ივანე ჯაფარიძე

მყინვარწვერიდან ევერესტამდე

ივანე ჯაფარიძე

მყინვარწვერიდან ევერესტამდე

(1923-1991 წ.წ.)

გამომცემლობა შპს "ფორმა"

თბილისი
2010

წინამდებარე წიგნში საარქივო მასალის გამოყენებით წარმოჩენილია ქართული სპორტული ალპინიზმის ისტორია 1923 წლიდან 1991 წლამდე, როცა გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ასვლით დასაბამი მიეცა მთამსვლელობას საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების წელს რომან გიუტაშვილმა ქართველთაგან პირველმა შედგა ფეხი დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე და ფრთები შეასხა ყველა თაობის მთამსვლელთა ოცნებას.

წიგნში გაშუქებულია ქართველ მთამსვლელთა საეტაპო, მნიშვნელოვანი ასვლები. აგრეთვე ის ასვლები, რისთვისაც საქართველოს გუნდებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

გაცოცხლებულია ქართული მთამსვლელობის ფუძემდებლებისა და იმ მამულიშვილთა სახეები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს როგორც მთამსვლელობაში, ასევე ქართულ მეცნიერებაში, მწერლობასა თუ ხელოვნებაში.

სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა მოგონება-თავგადასავლებში აღწერილია მწვერვალებზე ასვლის პერიპეტიები, თოკის მეწყვილეთა პორტრეტები, განსაზღვრულია მთამსვლელობის – ამ ვაჟკაცური სპორტის როლი და მნიშვნელობა ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

This book presents the history of Georgian alpinism since 1923 to 1991, from the times when Giorgi Nikoladze's climb to the Mount Kazbegi (Mkinvartsveri) gave its beginning to mountaineering in Georgia and the USSR, whereas in the year when Georgia regained its independence Roman Giutashvili became the first Georgian to reach the Everest, thus fulfilling the dreams of all generations of climbers.

The book describes the most important climbs by Georgian mountaineers, including those, which earned them gold, silver and bronze medals of the Soviet championships.

It revives the images of those pioneers of mountaineering and patriots who left their rich legacy not only in sport but in Georgian science, literature and arts.

The recollections of mountaineers representing several generations give account of the challenges of their climbs; describe their partners and the role of this brave sport in building one's character.

რედაქტორი: გივი ქართველიშვილი
სტილისტ-კორექტორები: მაია მიქაძე, სოფიო ჯაფარიძე

გამოყენებულია ავტორის, ევა აბგაროვიჩის (პოლონეთი), არჩილ ბენაშვილის, მიხეილ ზარგარიანის, დევი თარხნიშვილის, გურამ თიკანაძის, დავით იაკობაშვილის, სილვიო კალვის (იტალია), ნიკო კეცხოველის, მიხეილ კვირიკაშვილის, ტარიელ ლუკაშვილის, გიორგი ნიკოლაძის, მიქელ პატარიძის, ბენო ქაშაკაშვილის, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების გადაღებული ფოტოები
ივანე ჯაფარიძე, მყინვარწვერიდან ევერესტამდე 2010

ყველა უფლება დაცულია
დაბეჭდილია შპს "ფორმაში"
ISBN 978-9941-0-2303-3

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნზე მუშაობისას ახლოს გავეცანი გამოსაქვეყნებელ მასალას: მოგონებებს, წერილებს, ჩანაწერებს, მთასთან დაკავშირებულ განცდებს, შეხედულებებს, რაც სრულყოფილად, საინტერესოდ იყო აღწერილი და მიუხედავად წიგნის ავტორის, ივანე ჯაფარიძის კარგი ჟურნალისტობისა და ქართული ალპინიზმის ისტორიის უნიკალური ცოდნისა, სამუშაო მაინც საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. მასალების მოძიებას, შერჩევას, კორექტირებასა და შეჯერებას თითქმის მთელი წლის შრომა დასჭირდა. მთავარი კი მაინც შედეგია – წიგნი გამოიცა.

მწამს, მთამსვლელთა საზოგადოება მადლიერი იქნება ავტორისა, რომელმაც პატივი მიაგო ყველა გარდაცვლილ ქართველ მთამსვლელს და მათ საუკუნო ხსოვნას უძღვნა ეს ნაშრომი. მჯერა, იგი სამაგიდო წიგნი იქნება ყველა მთამსვლელისა და მთის მოყვარული პირისათვის.

საგულისხმოა, რომ საქართველოში სპორტულ ალპინიზმს სულ რამდენიმე ასეული კაცი მისდევდა და თითქმის ყველამ თავისი კვალი დატოვა როგორც მთამსვლელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს მთამსვლელთა წარმატებები საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ, ბუნებრივია, მიღწევები ბევრად უკეთესი იქნებოდა, ჩვენთვის წინა წლებში საბჭოთა კავშირის გარდა ყველა სხვა მთიანეთი რომ არ ჩაეკეტათ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1999 წელს საქართველოს – ამ პატარა ქვეყნის ორი გუნდი თითქმის ერთდროულად ავიდა ევერესტზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რაოდენ დიდი პოტენციალი არსებობს ქართულ მთამსვლელობაში სერიოზული წარმატებების მისაღწევად.

ძნელი აღმოჩნდა, წიგნში, ჩვენი მთამსვლელების საუკეთესო პიროვნული თვისებების სათანადოდ გადმოცემა. მართლაც, რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს და რა საზომით უნდა გაიზომოს სიმონ ჯაფარიძის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის მიერ მეგობრისათვის თავის გაწირვა?! ან რით უნდა აიწყას ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის მთამსვლელების გიორგი ნიკოლაძის, სოსო ასლანიშვილის, ნიკო კეცხოველის, მიქელ პატარიძის, ლევან გოთუას, აკაკი ბელიაშვილის, დავით წერეთლის, ლევან მარუაშვილისა და მათი მეგობრების წვლილი ან დამსახურება სხვადასხვა ასპარეზზე?!

აღსანიშნავია, რომ დიდი წარმატებების მიუხედავად, ჩვენი მთამსვლელები არასოდეს ყოფილან განებივრებულნი განსაკუთრებული ყურადღებით, ამიტომ ბევრმა არ იცის ქართული საზოგადოების როგორი დასაფასებელი ნაწილი გამოზარდა მთამსვლელობამ. სრულყოფილი, უანგარო პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მარტო ის რად ღირს, რომ მთამსვლელებს მაყურებელიც არ ჰყავთ და ისინი თავიანთი შვებულების ხარჯზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უდიდესი ენთუზიაზმითა და თავდადებით დადიოდნენ და დადიან მთაში.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო მოღვაწეები შეძლებენ ქვეყნისათვის მთამსვლელობის ფასისა და მნიშვნელობის უკეთ აღქმა-გააზრებას, ვინაიდან მთამსვლელობას, გარდა სხვა მრავალი სიკეთისა, შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ბუნებრივი რესურსების ეფექტურ ათვისებაში სამთო ტურიზმის განვითარების გზით, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია და რაზეც მოთხოვნა დღითი დღე იზრდება მსოფლიოში. დღეს მთელი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების გასწვრივ სამთო ტურიზმის აურაცხელი სპორტულ-სათავგადასავლო ობიექტი და მარშრუტი მდებარეობს, ჩვენ კი, შეიძლება ითქვას, არ გვაქვს ტურისტებისა და ინვესტორებისათვის შესაფერისი კონკრეტული საინფორმაციო მასალა: რუკები, ბუკლეტები, აღწერილობები, ცნობარები, მარკირებული მარშრუტები და სხვა. გარდა ამისა, ყველაზე მტკივნეული საკითხი ის არის, რომ საქართველოში დღეს არ გვყავს ადგილობრივი პროფესიონალი სამთო ინსტრუქტორები, სამთო გიდები, მაშველები და შესაბამისად, სამთო

ტურისტისათვის არ არსებობს უსაფრთხოების გარანტიები, რის გამოც ყოველწლიურად ათიათასობით ტურისტს ვკარგავთ.

ვინაიდან მთამსვლელობა სამთო ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის (მეკლდეურობა, სამთო საფეხმავლო ტურიზმი, მწვერვალებიდან თხილამურებით დაშვება - ფრირაიტინგი, სამთო ველოსახეობები, ყინულის მარშრუტებისა და გაყინული ჩანჩქერების გავლა, რაფტინგი, პარაპლანერიზმი და სხვ.) დასაყრდენი და ძირითადი ძალაა, ამიტომ ზემოჩამოთვლილი ხარვეზების შევსება და მოგვარება, ე.ი. საქართველოში სამთო ტურიზმის სახეობების განვითარება პროფესიონალი მთამსვლელების გარეშე შეუძლებელია. ზოგადად კი, მაღალმთიანი რაიონების სრულფასოვანი ათვისების პირობებში, საქართველოს შეუძლია ერთდროულად მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტა: ქვეყნის ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიგრაციის პროცესის შემცირება და, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია და ჩრდილო საზღვრების დაცვის გაძლიერება.

ყოველივე ეს კი ჩვენს ქვეყანაში ხელმისაწვდომია და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი.

მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ მთამსვლელთა მოღვაწეობისა და მიღწევების შესახებ მასალა წიგნად არ აკინძულა და არ გამოცემულა, რაც გარკვეულ ტვირთად აწვა ჩვენს თაობას, ვინაიდან ამ საქმის მოთავეობას, გარდა მატერიალური მხარისა, სათანადო ნიჭით, ცოდნითა და ღირსებით შემკული, მთამსვლელობისათვის თავდადებული ადამიანი სჭირდებოდა.

მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის მემკვიდრე - ივანე ჯაფარიძე აღმოჩნდა სწორედ ის პიროვნება, რომელმაც დაკავებულობის მიუხედავად, მაინც მოჰკიდა ხელი ამ უაღრესად შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს.

ავტორის უდიდეს დამსახურებად, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი წლების განმავლობაში დიდი რუდუნებით მაგნიტოფირზე იწერდა სხვადასხვა თაობის მთამსვლელებთან საუბარს, გაშიფრულ ტექსტს ლიტერატურულად ამუშავებდა და წინამდებარე წიგნში პატარ-პატარა მოთხრობებისა თუ თავგადასავლების სახით წარმოგვიდგინა.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი ხედვა საერთოდ მთამსვლელობაზე და საქართველოში მთამსვლელობის განვითარების ძირითად ეტაპებზე. სწორედ ივანე ჯაფარიძის ოჯახის უფროს თაობას და პირადად მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გადარჩა ჩვენი სახელოვანი მთამსვლელებისა და დიდი მამულიშვილების გიორგი ნიკოლაძის, სოსო ასლანიშვილის, ალექსანდრა, სიმონ, ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილის, სანდრო გვალიას, მიქელ პატარიძის, ლევან გოთუას, ლევან მარუაშვილის, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანების, ქელეშბი ონიანის, არჩილ ღუდუშაურის, რომანოზ ავალიანის, დავით წერეთლის, დავით ფურცელაძის, კაკო მარის, ოთარ გიგინეიშვილის, მზია ერისთავის, მარინე უთმელიძის, ლევან სუჯაშვილის, ალექსანდრე ნემსიწვერიძის, მაკრინე ქურდიანისა და სხვათა მიმოწერა, ფოტოსურათები, დღიურები და სხვ. ფასდაუდებელია მისივე არქივში შემონახული იმ ისტორიული დოკუმენტებისა თუ ეპისტოლარული მასალის მნიშვნელობა, რომელსაც ქართული მთამსვლელობის სათავეებთან მივყავართ და პირველად ამ წიგნში იხილავს დღის სინათლეს. ასევე კარგად და დამაჯერებლად არის წიგნში წარმოდგენილი ჩვენი მთამსვლელებისა და მეკლდეურების მიღწევები, ამ მიღწევათა ქრონოლოგია და ის თბილი მოგონებები, რომლებმაც როგორც ჩვენ, ასევე მთელ ქართველ საზოგადოებას მართლაც გაგვიცოცხლა და ხელშესახებად წარმოგვიდგინა უძვირფასესი ადამიანების სახეები. ამდენად, ავტორმა მეტად დიდი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ მთამსვლელობას.

თუ ეს წიგნი ჩვენს თანამედროვეებს შეახსენებს, ან ახალბედებს შემდგომში განაცდევინებს იმ შეუდარებელ გრძნობას, რომელიც მწვერვალზე ასვლისას ან ჯერ ფეხდაუდგამი მარშრუტის გავლის დროს ეუფლება ადამიანს, ჩავთვლით, რომ ჩვენი გარჯა გამართლებულია. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ წიგნის შექმნასა და გამოცემაში და თანადგომა თუნდაც ერთი სიტყვით მაინც გამოხატა.

ვუძღვნი ყველა ქართველი
მთამსვლელის ხსოვნას

შესავალი

მთები მთელ მსოფლიოში მრავალი კულტურისა და ტრადიციის უმაღლეს ფასეულობას გამოხატავს. უძველესი ადამიანის გონებამ "მიწიერ" ღმერთთა შორის გამორჩეულნი დაამკვიდრა მიუწვდომელ მთათა მწვერვალებზე. მაგალითად, ბერძნული მითოლოგიით, მთელი ქვეყნიერების მპყრობელი და მომწესრიგებელი ზევსი მაღალ ოლიმპოზე ცხოვრობს და იქიდან მართავს სამყაროს. ამაყმა ზევსმა თავბრუდამხვევი უფსკრულების თავზე, კავკასიონის ფრიალო კლდეზე მიაჯაჭვა პრომეთე - კაცობრიობის სიკეთისათვის ტანჯული ტიტანი.

თუ ძველი ბერძნებისათვის კავკასიონი ლეგენდარული, მითური მხარე იყო, ქართველებისათვის ის რეალურ სამყაროს წარმოადგენდა, რომლისკენაც უხსოვარი დროიდან ილტვოდნენ.

კავკასიონის მწვერვალებზე ამაღლებით ერთნი ღმერთთან მიახლოებას ცდილობდნენ, რომ იქიდან ლოცვა უკეთ მიეწვდინათ ზეციერისათვის, მეორენი, დაჭრილი ჯიხვის დევნით გართულნი აღწევდნენ მყინვართა საუფლოს, მესამენი კი მიჯაჭვულ ამირანსა თუ პრომეთეს დაეძებდნენ. შემდეგ, თანდათანობით, სპორტული ინტერესიც გაჩნდა და უკვე პროფესიონალი მთამსვლელები მიეძალნენ კავკასიონს. ასევე იყო ალპებზე, ანდებზე, კორდილიერებზე, პამირზე, ტიან-შანსა თუ ჰიმალაიზე.

მთას მიაშურებენ ისინი, ვისაც ფიზიკური მონაცემების გარდა, შეუძლია სძლიოს ადამიანურ სისუსტეებს და გააცნობიეროს – სად გადის მისი პიროვნული შესაძლებლობის ზღვარი...

ამ ძიებებისას მთამ არაერთი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ შეუპოვარნი და მაძიებელნი მაინც დადიან მთებში.

მთაში ერთბაშად ხდება ის, რასაც ადამიანები ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ აღწევენ – ეს საკუთარი თავის შეცნობაა!

1923 წლიდან - ქართული მთამსვლელობის პირველი ნაბიჯებიდანვე (პროფ. გიორგი ნიკოლაძის ჯგუფის ასვლა მყინვარწვერზე), მთამსვლელთა ერთი ნაწილი თავს მოვალედ თვლიდა ჩაეწერა საკუთარი შთაბეჭდილებები, აღებეჭდა ის ასვლები, გზები თუ მარშრუტები, რომელთა გავლაც მას უხდებოდა.

ქართული მთამსვლელობის 87-წლიანი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ბუნებრივია, ჯამდებოდა ქართველ მთამსვლელთა მიღწევები - იგი წიგნებისა თუ კრებულების სახით გამოიცემოდა; საზოგადოება ეცნობოდა მრავალთათვის უხილავ და მიუწვდომელ მწვერვალთა სამყაროს, რომელთა დალაშქვრა მხოლოდ სულიერად მტკიცე და ფიზიკურად ნაწრთობ ახალგაზრდობას ხელეწიფებოდა.

1935 წელს, იოსებ (სოსო) ასლანიშვილმა გამოსცა ქართველ მთამსვლელთა ათწლიანი მოღვაწეობის ამსახველი მცირე მოცულობის პირველი წიგნი - "მთამსვლელობა საქართველოში" (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ტფილისი, 1935). მანამდე მხოლოდ ცალკეულ ასვლათა დეტალური აღწერილობები არსებობდა.

1954 წელს იოსებ ასლანიშვილის, ოთარ გიგინეიშვილისა და დავით ფურცელაძის ავტორობით გამოიცა შედარებით მოზრდილი კრებული იმავე სათაურით, რომელშიც მიმოხილული იყო ქართველ მთამსვლელთა მიღწევები 1923-1950 წლებში ("მთამსვლელობა საქართველოში", სახელგამი, თბილისი, 1954).

1983 წელს ტრადიციული სათაურით - "მთამსვლელობა საქართველოში" (საზოგადოება "ცოდნა", თბილისი, 1983) - გამოიცა ოთარ გიგინეიშვილის ბროშურა, რომელშიც ქართველ მთამსვლელთა ასვლების ქრონოლოგიაა მოცემული.

ზემოთ დასახელებულ და სხვა ავტორთა მიერ გამოცემულმა წიგნებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მთამსვლელობის პოპულარიზაციის საქმეში, კარგი სამსახური გაუწიეს როგორც მთამსვლელებსა და მთამსვლელობით დაინტერესებულ ადამიანებს, ასევე ქართული სპორტის ისტორიის მკვლევართ.

ცხოვრების ლოგიკა ასეთია: ერთი თაობა მიდის, მოდის მეორე, რომელიც წინა თაობის საქმიანობის პირუთვნელი შემფასებელია. ჩვენდა საბედნიეროდ, წინა თაობის მთამსვლელთა ნაღვაწ-ნაშრომში იმდენი გმირული და გაუხუნარი ფურცელია ჩაწერილი, რომ მათი ხსოვნა და ზედმიწევნით ცოდნა ჩვენი და მომავალი თაობის ვალია.

სკოლის ასაკიდან ალექსანდრა ჯაფარიძის ოჯახურ გარემოში გაზრდილსა და მის შვილობილს, ბუნებრივია, მიხდებოდა მთამსვლელობაში მიმდინარე პროცესებისათვის თვალ-ყურის დევნება. ეს ინტერესი ცხოვრების განმავლობაში თანდათანობით ჩვევად მექცა - თავს ვუყრიდი ქართულ მთამსვლელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის მასალას – საჭურველს, აღკაზმულობას, ნივთებს, სამკერდე ნიშნებს, ფოტოსურათებს, ჩანაწერებს, მოგონებებს და სხვ., რის საფუძველზეც ჩემი და ჩემი წინაპრების მშობლიურ სოფელ ხრეითში (ჭიათურის რ-ნი), მამაპაპეულ სახლში გაიხსნა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი. გარდა ამისა, მთამსვლელებსა და მთამსვლელობაზე გამოვაქვეყნე ასზე მეტი პუბლიკაცია და მათვე მიეძღვნა ჩემი ავტორობით შექმნილი შვიდი ტელეფილმი, რომლებსაც დღემდე უჩვენებენ ქართულ ტელეარხებზე, ჩემ მიერ მომზადებულია ათეულობით რადიო და ტელეგადაცემა. გარდა ამისა, მოვიძიე ზოგიერთი ქართველი მთამსვლელის ხმის ძველი ჩანაწერი, შევქმენი თანამედროვე მთამსვლელთა საუბრის აუდიოჩანაწერების კარტოთეკა, რომლის მეშვეობითაც ჩვენი სახელოვანი მთამსვლელების ხმები სამუდამოდ დარჩება მომავალ თაობებს. მთამსვლელთა ამ თავგადასავლების მოსმენა შესაძლებელია ინტერნეტსაიტზეც www.radio1.ge, რადიოსერიალი "ირაო".

ალბათ, ჩემმა ამგვარმა საქმიანობამაც შეუწყო ხელი საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, შესანიშნავი მთამსვლელის, არაერთი საეტაპო, წარმატებული ექსპედიციისა და ასვლის ხელმძღვანელის გივი ქართველიშვილის დაჟინებულ თხოვნას, შეგვექმნა წიგნი მთამსვლელობის ისტორიაზე, ქართველ მთამსვლელთა მიღწევებსა და ნაკლებად ცნობილ თუ სრულიად უცნობ თავგადასავლებზე.

გივი ქართველიშვილმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის წინამდებარე წიგნის შექმნაში, თანაავტორობა უხერხულად ჩათვალა, რადგან წიგნში გადმოცემულ ისტორიაში, რომელიც ქართული მთამსვლელობის თითქმის ცხრა ათეულ წელს მოიცავს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვითონ არის ამ ისტორიის აქტიური მონაწილე.

მიუხედავად სხვადასხვა ხელის შემშლელი პირობისა, გავბედეთ შევჭიდებოდით ამ საპასუხისმგებლო საქმეს, რადგან წლების შემდეგ მაინც უნდა მოგვეყარა თავი იმ მასალისათვის, რომელიც გმირულ ფურცლებად ჩაიწერება ქართული მთამსვლელობის ისტორიაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან სხვაგვარი ქმედება მთამსვლელთა წინა და შემდგომი თაობების დაუფასებლობა იქნებოდა.

ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები - გარე თუ შინაომები, სამწუხაროდ, მთამსვლელთა ყოფა-ცხოვრებაზეც აისახა. თაობათა აღმზრდელი ძირითადი კერა, ქართველ მთამსვლელთა ერთადერთი სახლი – ალ. (ალიოშა) ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი, რომელიც მუდამ პროფესიული დაოსტატების, ურთიერთ თანადგომის, მეგობრობის, სიკეთისა და სიყვარულის ნავსაყუდელი იყო, მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა და მისი კუთვნილი ფართობის დიდი ნაწილი სხვა ორგანიზაციებმა მიითვისეს (იმედი გვაქვს, მხოლოდ დროებით), ხოლო საარქივო მასალა თითქმის განადგურდა.

საბედნიეროდ, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის შესაშური მონდომებითა და "მაგთის" დახმარებით, რომელიც ჭეშმარიტად ქართულ საქმეს ემსახურება და ყოველმხრივ ცდილობს საქართველოში მთამსვლელობის აღორძინებას, ბევრი რამ გაკეთდა: ეროვნული ფედერაციის ახალგაზრდა მთამსვლელები და მეკლდეურები ბოლო

წლებში საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდნენ, გარემონტდა ალპური კლუბი, დამონტაჟდა მეკლდეურობის ახალი სახეობის - "ბოლდერინგის" კედელი, განახლდა საქართველოს მთამსვლელობის მუზეუმი.

ყოველივე ამისათვის, საქართველოში სპორტული მთამსვლელობის "დაბრუნებისა" და აღორძინებისათვის დიდ მადლობას ვუძღვნით "მაგთის".



აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთამსვლელობის განახლებული მუზეუმი და აქ გამოფენილი ექსპონატები სახიერად წარმოაჩენენ ქართული მთამსვლელობის ისტორიას, რომელიც ამავე დროს საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაცაა. ოფიციალურად ეს ისტორია 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე.

2500 წლის წინანდელი მთებსა და ყინულებზე გადაადგილებისათვის დამხმარე იარაღი – წერაყინის ანალოგი

მსოფლიოში ალპინიზმის დასაწყისად ითვლება 1786 წელი, როდესაც ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4810 მ) ფრანგი ექიმი მიშელ პაკარი და შვეიცარიელი გამყოლი ჟაკ ბალმა ავიდნენ. პირველი სამეცნიერო ასვლა იმავე მწვერვალზე 1787 წელს განახორციელა შვეიცარიელმა ბუნებისმეტყველმა ბენედიქტ სოსიურმა. ტერმინი "ალპინიზმიც" სწორედ ამ ასვლების შემდეგ დამკვიდრდა, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში მთაზე ასვლების ისტორიას, სათავეები უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

საქართველოში მრავალი მითი, ლეგენდა და მაგალითი არსებობს, რომლებიც ქართველთა მთამსვლელობას უძველესი დროიდან ადასტურებს. ქართველი მთიელები ძველთაგანვე სარგებლობდნენ კავკასიონის უღელტეხილებით, მიმოდიოდნენ როგორც ახლო, ისე შორეულ მეზობლებთან.

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, მთამსვლელობაში სპორტის ოსტატის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა ჩართოლანის მიერ 1965 წელს, სოფელ ჭუბერში, ძვ.წ. V-VI საუკუნეების ლარილარის კრემაციულ სამაროვანზე მიკვლეული მონადირის სამარხი, რომელშიც დღევანდელი წერაყინის ანალოგი, მაღალ მთებსა და ყინულებზე გადაადგილებისათვის საჭირო იარაღი აღმოჩნდა, რაც 2500 წლის წინათ საქართველოს მთიანეთში ძნელად სავალ მთებზე ასვლის ფაქტებს მოწმობს.

კავკასიონზე მასობრივი გადასვლის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს მეფე ვახტანგ მეექვსის რუსეთში ემიგრაცია 1724 წელს, საქართველოს სამეფო კარის 1200 წარჩინებულთან ერთად. გაბრიელ გელოვანის სიტყვით, მეფეს თან ახლდნენ: "ურიცხვი სამღვდელონი და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი, მონანი და შიმუნვარნი (მხლებელი ქალი – ი.ჯ.) დედაწულითურთ მათით". ვახტანგ მეფის ამალამ გეზი ცხინვალისაკენ აიღო, აქედან კი რაჭაში გადავიდა" (ვ. გაბაშვილი – გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება - ვახუშტი ბაგრატიონი, ნაკადული, თბ., 1969., გვ. 34-35). მათი მარშრუტი, ნოწარულის ხეობიდან გურძიევცეკის გადასასვლელითა (ზ.დ. 3325 მ.) და ფასტაგის

მყინვარის გავლით, დიგორიაში გადადიოდა. ეს მარშრუტი დღესაც რთულ სამთო ტურისტულ მარშრუტთა რიცხვს მიეკუთნება.

გვახსენდება ბეთლემის ლეგენდაც, რომელსაც შესანიშნავად გვაწვდის ილია ჭავჭავაძე პოემაში "განდეგილი":

"სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა–თოვლნი ყინულად ქმნილნი, მზისგან არროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, –
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთი – ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, –
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა".



გამოქვაბულს ჯაჭვთან ერთად მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც, ხოლო 1948 წელს, როცა მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე მყინვარწვერის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კლდოვან ქარაფში გამოკვეთილ გამოქვაბულში შევიდა, იქაურობა აღწერა და გამოიკვლია, "განდეგილის" ლეგენდა სინამდვილედ იქცა.

ბეთლემის გამოქვაბულის კარი და ჯაჭვი

ასევე მნიშვნელოვანი იყო 1929 წელს გიტო გიორგიძის, ლევან მარუაშვილის, ალექსანდრა ჯაფარიძისა და სხვათა შემადგენლობით მოწყობილი ექსპედიცია საკმაოდ ძნელად ასასვლელ მწვერვალ ბრუტსაბძელზე (3670 მ), რომელსაც შიდა ქართლის მოსახლეობა "იალბუზს" ეძახდა და ძველად ქართლის საკულტო მწვერვალს წარმოადგენდა, სადაც ძელებით აგებული სალოცავი და გაძარცვული ძველთაძველი საფლავი იპოვეს. როდის და ვის სახელზე იყო სალოცავი აგებული ან ვინ იყო იქ დაკრძალული, ამის შესახებ არავითარი ცნობა არაა შემონახული.

მთასთან, მთის ყოფასთან დაკავშირებული ძველი მონაცემები მრავლადაა გაბნეული სხვადასხვა წიგნებსა თუ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ დღეს, როცა ალპინიზმზე ვსაუბრობთ, აქ, უპირველეს ყოვლისა, მისი სპორტული მხარე იგულისხმება, ასვლა კონკრეტული

მარშრუტით, სირთულით, სიმაღლით, დროითა და სხვა კრიტერიუმებით რომ არის განსაზღვრული.

ქართული ალპინიზმის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ქართველებმა დასაწყისშივე განსაზღვრეს მთამსვლელობის მომავალი და იგი ორი – სპორტული და მეცნიერული მიმართულებით განავითარეს, 30-იანი წლებიდან კი აქცენტი სპორტულ ალპინიზმზე გადაიტანეს და საბჭოთა სივრცეში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩვენში მასობრივ სპორტულ მოძრაობას საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში – 1918-21 წლებში ჩაეყარა, როცა დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. სწორედ ამ დროს შეიქმნა საქართველოში პირველი სპორტული ორგანიზაცია "შევარდენი", რომელშიც ქართული ინტელექტუალური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. 1923 წელს მყინვარწვერზე პირველი ალპინისტური ექსპედიციებიც უნივერსიტეტის ცნობილ მეცნიერებსა და სტუდენტობას უკავშირდება.

ქართული ალპინიზმის აკვანი - მყინვარწვერი, ეს შესანიშნავი, ულამაზესი მწვერვალი, რომელიც ყაზბეგის რაიონში, ხოხის ქედზე მდებარეობს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით იწოდება.

მყინვარწვერს თუშები "ლომს" ეძახიან, მოხევეები - "ხევის პატარძალს", ფშავლებმა კი მას მწვერვალის ძირში მდებარე სოფლის სახელი "გერგეტი" უწოდეს. "მყინვარწვერი" ანუ "მყინვარი", ეტყობა ყველაზე ძველი სახელია, ვინაიდან იგი რამდენიმე მყინვარის შუაშია აღმართული, ყველაზე მაღალია და თვით მწვერვალის წვერია თოვლ-ყინულოვანი. მყინვარწვერის გავრცელებული და საქართველოს გარეთ უფრო ცნობილი სახელია "ყაზბეგი". ინგლისელი დიპლომატი ოლივერ უორდროპი ამ მწვერვალის შესახებ 1888 წლის გაზეთ "ივერიაში" (№ 276) წერდა: "ქართველები ამ მთას ეძახიან მყინვარს და ოსები – ქრისტეს მთას. ყაზიბეგი (ავტორი ყაზბეგის ნაცვლად ყაზიბეგს ხმარობს - ი. ჯ.) გვარია იმ ოჯახისა, ვისაც ეკუთვნის ეს ადგილები... მყინვარი არარატის მთასავით აუვალ მთად არის ცნობილი და ამიტომ არ სჯეროდათ, როდესაც თავიანთ მოგზაურობის ამბავსა სწერდნენ ჩვენი თანამემამულენი – ფრეშფილდი, მური და ტუკერი, რომელნიც დიდის გაჭირვების შემდეგ ავიდნენ მყინვარზე ივნისს 1868 წელსა".

ევროპელ მთამსვლელთა დაინტერესება კავკასიონით იწყება მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან და ეს წლები უნდა ჩაითვალოს კავკასიონზე გამყოლობის ისტორიის დასაწყისადაც. საქართველოდან უცხოელების ექსპედიციებში მონაწილე პირველი გამყოლები იყვნენ პავლე, ანუ ბახვა ფიფია, მურათბი კიბოლანი, მიტო არღულიანი, ძმები ბეზურთანოვები, ლალა ხუციშვილი და სხვ.

შემდეგ ცნობილი გამყოლები გახდნენ მოხევეები: გახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი, რომლებიც მყინვარწვერზე პირველ საბჭოთა ასვლაში მონაწილეობდნენ. ქართველმა მთამსვლელებმა სწორედ ამ გამყოლებისგან შეიძინეს თაობიდან თაობაში გარდამავალი მთაში სიარულის ცოდნა და მთის სიყვარული.

1918-21 წლებში ნანატრი დამოუკიდებლობის მესაძირკვლე იყო ახლად დაარსებული უნივერსიტეტის განათლებული საზოგადოება, მაშინდელი ქართული ინტელიგენცია, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში მტკიცე საფუძველს უყრიდა ეროვნული ინტერესებით ნასაზრდოებ ნებისმიერ ინიციატივას. მთებში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობის მიზანიც ის იყო, რომ მაღალმთიანეთის კვლევა ერისა და ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ ყოფილიყო გამოყენებული.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1922 წელს გაუქმდა პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია "შევარდენი", რომელსაც ბოლშევიკური ხელისუფლება ნაციონალისტურ, წვრილბურჟუაზიულ ორგანიზაციას უწოდებდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ "შევარდენის" წევრთა უმეტესობამ შეინარჩუნა ეროვნული მუხტი, სპორტული სულისკვეთება და მთას - კავკასიონის მწვერვალებს მიაშურა.

1923 წელს მყინვარწვერზე პირველმა ორმა ასვლამ ქართველ ახალგაზრდებში დიდი ინტერესი გამოიწვია. დაიწყო ალპინისტური სექციებისა და ორგანიზაციების შექმნა. 1924 წელს დაარსებულ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ცალკე ჩამოყალიბდა "მთასვლა-მგზავროსნობის" განყოფილება. შეიქმნა აგრეთვე "პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება" ("პტეს"). ამ ორგანიზაციების მეშვეობით არაერთი ასვლა განხორციელდა კავკასიონის მწვერვალებზე. ახალგაზრდები საოცარი გატაცებითა და ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ამ ლაშქრობებში. მოკლე დროში მთამსვლელობა საკმაოდ ავტორიტეტული და პრესტიჟული მოღვაწეობა გახდა საქართველოში.

მთამსვლელობას სპორტის სხვა სახეობათაგან ის განასხვავებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, იგი უმაყურებლო სპორტია, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს, კეთილშობილებითა და მშვენიერებით აღსავსე. ადამიანს ღრმად აცნობს, აყვარებს თავის ქვეყანას და არა მარტო ფიზიკურ, მორალურ სიმტკიცესაც ანიჭებს; უვითარებს ნებისყოფას, გამძლეობას, სიმამაცეს, აჩვევს თავდაჭერილობას, გამოუმუშავებს ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარს, თანამგზავრთა მიმართ ნდობისა და მეგობრობის გრძნობას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია რაიმე მიზნის მიღწევა.

მთის სტიქიასთან ბრძოლა, დიდი ფიზიკური დატვირთვა, მოულოდნელად წარმოქმნილი სიძნელეები მთამსვლელს ავიწყებს ყოველდღიურობას და მთელი ყურადღება ძირითადი ამოცანისკენაა მიმართული - ესაა მწვერვალზე ასვლა. სასურველი შედეგისა და წარმატების მოპოვების შემთხვევაში, მთამსვლელს უცნაური გრძნობა ეუფლება; ამ უჩვეულო წუთს ის ვეღარასოდეს ივიწყებს და მომდევნო ასვლის ბიძგი და სტიმულიც სწორედ ამ შეგრძენებათა განახლების სურვილი ხდება.

ჩვენ ხელი მოვკიდეთ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს, რათა წიგნის ფურცლებზე წარმოგვეჩინა მთამსვლელთა გმირული სულისა და მათი არც თუ ჩვეულებრივი ცხოვრების თავისებურებები, სხვადასხვა თაობის ქართველ მთამსვლელთა მოგონებები, თავგადასავლები, მოსაზრებები და სურვილები, რაც ადრინდელი მიღწევებით მოგვრილ სიხარულსაც ხელახლა განგვაცდევინებს და მარცხით გამოწვეულ ტკივილებსაც გაგვიახლებს. მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ყველაფერი იმის საწინდარი იქნება, რომ მომავალში ახალი თაობა სწორად შეაფასებს წინა თაობების გამოცდილებას და მას თავის საქმიანობაში გამოიყენებს.

არ გამოვრიცხავთ, რომ წიგნში ზოგიერთი მონაცემი შედარებით ძუნწად და არასაკმარისად იყოს გადმოცემული, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველი მოგვიტევებს, თუმცა, იმას კი ნამდვილად დაინახავს, მთასთან შეჭიდებულ და მთამსვლელობით გატაცებულ ადამიანებს როგორი მიზნები ამოძრავებდა და ამოძრავებს დღესაც.

წიგნზე მუშაობის დაწყების წინ განზრახული გვქონდა ქართული მთამსვლელობის ისტორია 1923 წლიდან დღევანდლამდე გაგვეშუქებინა, მაგრამ საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის პერიოდში მწვერვალებზე ასვლა ალპურ კლუბში აღარ აღირიცხებოდა, ხოლო პრესასა და ინტერნეტში მთამსვლელთა შესახებ გამოქვეყნებული მწირი მასალა, ტელევიზიით მოწვდილი ინფორმაციები, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს შეიცავდნენ, ამიტომ დამატებით მეტად ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოს ჩატარება იქნებოდა საჭირო, რაც ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა. გარდა ამისა, ის გარემოებაც გავითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა თაობის მთამსვლელები აპირებენ თავიანთი მოგონებებისა და თავგადასავლების შესახებ წიგნების შექმნას, რაც მეტად მისასალმებელია.

გულწრფელი სურვილი გვქონდა, ყველა მთამსვლელსა და მთამსვლელობის გულშემატკივარს, მთასთან დაახლოებულ პირს ეთანამშრომლა ჩვენთან და შეძლებისდაგვარად მოეწოდებინა მასალა საკუთარ ასვლებზე, ცოცხალ თუ უდროოდ წასულ მეგობრებზე, იმ ხალხზე, რომელმაც წვლილი შეიტანა ქართული მთამსვლელობის წინსვლა-განვითარებაში. ბუნებრივია, ყველას ვერ მივაწვდინეთ ხმა, ზოგიერთმა არ მოისურვა, ზოგმაც მასალები ვერ ან არ მოგვაწოდა, ზოგიერთისა კი, სამწუხაროდ, წიგნის საერთო ქსოვილს არ მიესადაგა და მასში არ მოხვდა, თუმცა ამ მასალებმა ალპური კლუბის განახლებულ არქივში დაიდო ბინა და მომავალში გარკვეული ფორმით უთუოდ იხილავს დღის სინათლეს.

მთამსვლელთა დიდმა ნაწილმა საინტერესო მასალით “აღგვჭურვა”, ამიტომ ყველა იმ მთამსვლელსა და გულშემატკივარს, რომლებმაც გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნა, გაისარჯნენ და საკუთარი თავგადასავლები თუ მოგონებები მოგვაწოდეს, უღრმეს მადლობას მოვახსენებ, ვინაიდან ეს ერთგვარი ვალის მოხდაა საქართველოს მთამსვლელობისა და გარდაცვლილ მთამსვლელ მეგობართა წინაშე; ასევე ვალდებულებაცაა იმ თაობის მიმართ, დღეს რომ გატაცებით ცდილობს იმ ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროსთან ზიარებას, რომელიც ძველი თაობისათვის ცხოვრების უკვე განვლილი და ლამაზი გზაა.

ასე იყო თუ ისე, თანდათანობით თავი მოვუყარეთ მთამსვლელობის მეტად საინტერესო პერიოდის შესახებ არსებულ მასალებს, ჩვენს მეხსიერებაში შემორჩენილ მოგონებებს, ასევე სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა წერილობით თუ ზეპირად გადმოცემულ ისტორიებს, დავამუშავეთ, წიგნისათვის გავმართეთ და მოგონებების, მცირე ნოველებისა თუ ჩანახატების სახით ჩამოვაყალიბეთ.

ვფიქრობთ, მთებისაკენ მიმავალი ამ გზა-ბილიკების გახსენება ბევრს წინა წლებში დააბრუნებს და სულიერად გაამხნევებს, ხოლო ახალგაზრდა მთამსვლელებს მრავალ ხიფათს ააცილებს, გზას გაუკაფავს და მთას უფრო შეაყვარებს.



გიორგი ნიკოლაძის წერილი სიმონ ჯაფარიძეს შამონიდან (საფრანგეთი)

ქართველ მთამსვლელთა გზა
მყინვარწვერიდან ევერესტამდე
(1923-1991 წ.წ.)

1923 წელს მყინვარწვერზე თითქმის ერთდროულად ორი ასვლა დაიგეგმა და განხორციელდა. პირველ ექსპედიციას, რომელსაც სპორტული მიმართულება ჰქონდა, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო სამეცნიერო ექსპედიციას გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე ედგა სათავეში.



28 აგვისტოს, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, დევდორაკის მყინვარით მწვერვალზე ავიდა ჯგუფი, რომელშიც 18 მთამსვლელი შედიოდა (მათ შორის ხუთი ქალი): გიორგი ნიკოლაძე, იაგორ კაზალიკაშვილი, მარიამ ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე, ატო აღნიაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ზაქარია მამამთავრიშვილი, მიხეილ მათიაშვილი, ვასილ მჭედლიშვილი, მიხეილ ჯინჭარაძე, აბზი ბეზურთანოვი - გამყოლი, სტავროპოლელი ალექსანდრე ჩუმიხინი, შვედი სტუდენტი კურტ პაკენდორფი, გიორგი ალიხანოვი, გერმანელი მასწავლებელი ფრიდრიხ ბაუმჰაუერი.

ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე

მყინვარწვერიდან დაბრუნებულ ბედნიერ და გახარებულ გიორგი ნიკოლაძის ჯგუფს დევდორაკის მყინვარზე შემოხვდა გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით, რომელიც გზადაგზა მეტეოროლოგიურად, მაგნიტოლოგიურად, გლაციოლოგიურად და ტოპოგრაფიულად იკვლევდა მყინვარწვერის მიდამოებს, შეისწავლიდა მთის სნეულებებს და ნელ-ნელა მიიწევდა მწვერვალისაკენ. 3 სექტემბერს, 15 საათზე, ამ ექსპედიციის ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით (გახა წიკლაური, ალექსანდრა ჯაფარიძე, იოსებ ასლანიშვილი, ანდრია თოფაძე, ვალენტინ თულაშვილი, არნოლდ ვეისი, ტარასი ზაგაშვილი) მწვერვალზე ავიდა.

ამ ორი ასვლით საფუძველი ჩაეყარა მთამსვლელობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

მყინვარწვერზე ასვლით გამოწვეული აღტაცება ასე გამოხატა ისტორიული ლაშქრობის ხელმძღვანელმა გიორგი ნიკოლაძემ: "...ეს მწვერვალია... მაშ მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... შეშლილებივით ვაშას ვიძახდით, ვყვიროდით, ვიცინოდით, მე იაგორას მივვარდი და გადავკოცნე...

როგორ ავწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელი მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერისა და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე 18-ნი ვართ... ასეთ ცუდ დარში, როგორშიაც ჩვენ ავედით, 18 კაცი კი არა ჯერ ერთიც არ ასულა... ჩვენი ასვლის დროს კი 20 მენაკამდე (გრადუსამდე – ი. ჯ.) იყო ყინვა და ამასთან საშინელი ქარიც... უმთავრეს სიამაყეს ჩვენი დები წარმოადგენდნენ. ამდენი ქალი ჯერ იქ არასდროს ასულა. ჩვენები ხუთნი არიან... მწვერვალზე ყველა მშვენივრად გრძნობდა თავს. დაღალვის ნასახიც აღარავის ეტყობოდა და ყველა მხიარული იყო"...

1925 წ. პირველი ქართული და საბჭოთა ასვლა იალბუზზე გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. წინა რიგში: მარო ბეჟანიშვილი, ვანო კუკავაძე, ლიდუსი ჩხეიძე, ? ატო აღნიაშვილი მეორე რიგში: ასმათ ნიკოლაიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ელენე ლორთქიფანიძე, ლადო ფხალაძე, მარო ტყავაძე, სანდრო კილაძე, დევი მიქელაძე, ?

მყინვარწვერიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ნიკოლაძემ ერთ წინადადებაში შესანიშნავად გამოხატა მთამსვლელობის მნიშვნელობა მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის:

"ჩვენი სურვილი ის იყო, რომ ჩვენ ექსპედიციას, ჩვენში მთასვლის შემოღების და მგზავროსნობის ანუ ტურიზმის ფართო გავრცელების საძირკველი ჩაეყარა. მართალია, მთასვლა ერთგვარ ნებისყოფას, გამბედაობას და ამასთანავე ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანის ცოდნას, გამძლეობას და ჯანმრთელობას ძლიერ წინ სწევს და, რაც მთავარია, აღმაფრენის და სიმშვენიერის მრავალ ახალს და მაღალ გრძნობებს უნერგავს".

პირველი სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების 1924 წლის №1 ჟურნალში გამოქვეყნდა პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ანგარიშიც:

“1923 წლის ზაფხულში მე წარვუდგინე განათლების სახალხო კომისარს დავით კანდელაკს მყინვარის წვერზე გეოფიზიკური ექსპედიციის პროექტი. კომისარის თანაგრძნობითა და საჭირო თანხების გაცემით შესაძლო შეიქმნა ექსპედიციის მოწყობა.

ამრიგად, ეს ექსპედიცია უნდა ჩაითვალოს მყინვარწვერის პირველ გეოფიზიკურ ექსპედიციად, რამაც დაუდო მეცნიერული საფუძველი კავკასიონის მთავარი ქედის გეოფიზიკურ კვლევა-ძიებას. ვინაიდან ეს ექსპედიცია ამ მხრივ პირველია, ამიტომ მას აქვს უმთავრესად დასაზვერი და საცდელი ხასიათი.

ამ წერილში მე შევეხები პირველად ექსპედიციის მეტეოროლოგიურ მხარეს, შემდეგ მოვიყვან ექსპედიციის დროს წარმოებული დაკვირვებების ზოგიერთ შედეგს, რადგან უფრო დაწვრილებითი ანგარიში და მასალები განზრახული გვაქვს დავბეჭდოთ ობსერვატორიის შრომებში.

მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსანდრე დიდებულიძე

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტით ექსპედიციის შემადგენლობა იყო შემდეგი:

1. ექსპედიციის უფროსი – ობსერვატორიის დირექტორი, პროფ. ალექსანდრე დიდებულიძე,
2. მეტეოროლოგიური ნაწილის დამკვირვებლები: ვიქტორ კოჩერგინი, ალექსანდრა ჯაფარიძე, არჩილ ბენაშვილი, გიორგი ერიქაშვილი, კონსტანტინე პაპინაშვილი და გიორგი ავალიშვილი,
3. დამკვირვებლების თანაშემწენი: ვალენტინ თულაშვილი, ევგენი ლიპინსკი, ანდრია თოფაძე,
4. მაგნიტური ნაწილის დამკვირვებლები: დიმიტრი გურგენიძე, შალვა ხუჭუა, ნიკო ინწკირველი,
5. ტოპოგრაფები: გიორგი ქავთარაძე, სერგი ცხაკაია,
6. ექიმი – სოსო ასლანიშვილი,
7. მექანიკოსი – არნოლდ ვეისი,
8. მსახური - 1

სულ 18 კაცი.

მთელი ექსპედიციის განმავლობაში შეუწყვეტლად და ყოველ საათს წარმოებდა დაკვირვება... მწვერვალზე ასულებმა ნახეს პრეობრაჟენსკაიას მიერ დადგმული მეტეოროლოგიური ბუდრუგანა. მყინვარწვერის ექსპედიციამ დაგვანახვა ზოგიერთი ხელსაწყოს ნაკლულოვნება...

დასასრულ გამოვთქვამ სურვილს, რომ ჩვენს მიერ მოგროვილი მასალა არ იყოს უკანასკნელი, რომ იგი შეძლებისთანავე შე**ვსებულ იქნას ახალი ცნობებით, რაც დიდ სამსახურს გაუწევს მეცნიერებას საზოგადოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნის შესწავლას”.

მყინვარწვერზე ამ ორ პირველ ასვლას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ყველაზე მეტად უცხოელებს, მათ შორის ცნობილ მთამსვლელს, მყინვარწვერის პირველ ევროპელ "სტუმარს" დუგლას ფრეშფილდს აკვირვებდა, რომ მწვერვალზე ექვსი ქალი ავიდა.

1923 წ. მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილენი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ეზოში. სხედან: ევგენი ლიპინსკი, ანდრია თოფაძე, სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი ქავთარაძე, სერგი ცხაკაია, შალვა ხუჭუა. დგანან: არჩილ ბენაშვილი, კონსტანტინე პაპინაშვილი, ვალენტინ თულაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გიორგი ერიქაშვილი, არნოლდ ვეისი, ტარასი ზაგაშვილი, ვიქტორ კოჩერგინი, დიმიტრი გურგენიძე, ნიკო ინწკირველი

1924 წელს, 18 იანვარს დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის დამფუძნებლებიც მყინვარწვერის ორივე ექსპედიციის წევრები გახდნენ. ხოლო 29 თებერვალს ჩამოყალიბდა საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილება და პირველ თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე აირჩიეს, თავმჯდომარის მოადგილედ - იოსებ ასლანიშვილი, მდივნად - მიქელ პატარიძე.

მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებამ 1924 წელი მთლიანად საორგანიზაციო საქმიანობასა და ახალი მთამსვლური ექსპედიციების სამზადისს მიუძღვნა, ხოლო მომავალი წლისათვის ორი მნიშვნელოვანი ექსპედიცია დაგეგმა: ერთი - გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით იალბუზზე, მეორე კი - ალ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით კვლავ მყინვარწვერზე, მისი მიდამოების მეცნიერული კვლევის განზრახვით.

ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, 1924 წლის ზაფხულში, გიორგი ნიკოლაძემ საწვრთნელი მოგზაურობა მოაწყო ჩრდილო კავკასიაში წეის მყინვარის გავლით და რაჭაში გადასვლით. აღსანიშნავია, რომ ამ ლაშქრობაში პირველად გამოჩნდნენ შემდგომში შესანიშნავი მთამსვლელები და მთამსვლური ექსპედიციების ორგანიზატორები: დევი მიქელაძე და სიმონ ჯაფარიძე.

1925 წლის 12 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძემ განახორციელა პირველი ქართული და საბჭოთა ასვლა იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე და ეს ასვლაც, პირველი ექსპედიციის მსგავსად, მასობრიობით იყო მნიშვნელოვანი: მწვერვალზე 19 კაცი ავიდა, მათ შორის - მყინვარწვერზე პირველი ასვლის მონაწილე ხუთივე ქალი.

ორი კვირის შემდეგ, 28 აგვისტოს, პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციის თერთმეტმა წევრმა დალაშქრა მყინვარწვერი. მათ შორის იყო ერთადერთი ქალი - ალექსანდრა ჯაფარიძე.

1923 წ. მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილენი გასვლის წინ ავტომანქანაზე. წინა პლანზე: გიორგი ქავთარაძე, გიორგი ავალიშვილი, სერგი ცხაკაია, ვალენტინ თულაშვილი, არჩილ ბენაშვილი, სოსო ასლანიშვილი, ნიკო ინწკირველი, ანდრია თოფაძე (ზის მანქანის ფრთაზე). მანქანის ძარაში სხედან: კონსტანტინე პაპინაშვილი, ევგენი ლიპინსკი, არნოლდ ვეისი, გიორგი ერიქაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ვიქტორ კოჩერგინი, ტარასი ზაგაშვილი, დიმიტრი გურგენიძე, შალვა ხუჭუა, ალექსანდრა ჯაფარიძე

1926 წელს გიორგი ნიკოლაძე სამწლიანი სამეცნიერო მივლინებით უცხოეთში გაემგზავრა და მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას სიმონ ჯაფარიძე ჩაუდგა სათავეში, რომლის ხელმძღვანელობითაც, გარდა სპორტული ასვლებისა, დაიწყო ალექსანდრე დიდებულიძის ჩანაფიქრის ხორცშესხმა - მყინვარწვერზე გაგრძელდა კვლევა-დაკვირვებები მეტეოროლოგიასა და კლიმატოლოგიაში.

1927 წლის 7 აგვისტოს სიმონ ჯაფარიძე იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, სრულიად ახალი, ლამაზი და ლოგიკური გზით - გერგეტის მყინვარიდან, ფირნის ველის გავლით, ავიდა უნაგირაზე, იქიდან მწვერვალზე და დასაბამი მისცა დღეს მყინვარწვერზე ყველაზე მოხერხებული და უხიფათო გზით ასვლას, რომელსაც შემდგომ "სიმონ ჯაფარიძის გზად" მოიხსენიებდნენ. მწვერვალზე დაიდგა მეტეოროლოგიური ჯიხური, რომელშიც მოთავსებული იყო თვითმწერი ხელსაწყოები ამინდზე დაკვირვებისათვის. გაკეთდა მწვერვალზე ტემპერატურის ცვალებადობის ამსახველი ერთკვირიანი დიაგრამა, რომელიც იმ დროისათვის ასეთ სიმაღლეზე პირველი ავტომატური ჩანაწერი იყო მსოფლიოში. ამ მოვლენასაც უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა: კვლევის შედეგები დაიბეჭდა ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში, ხოლო მწვერვალიდან მოხსნილი ტემპერატურის ცვალებადობის ამსახველი გრაფიკი პარიზში, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე გაიგზავნა. სწორედ ამ კვლევების გაგრძელების აუცილებლობამ დაადასტურა მეტეოროლოგიური სადგურის კაპიტალური შენობის აგების საჭიროება გერგეტის მყინვარის შუა ნაწილში, სადაც ზამთარ-ზაფხულ იწარმოებდა დაკვირვებები.

იმავე წელს, შემოდგომით, ნოემბრის სუსხიან დღეებში მყინვარწვერზე ასვლით სიმონ ჯაფარიძემ კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგა მთამსვლელობაში, რის შესახებაც მოგვითხრობს სოსო ასლანიშვილი წიგნში - "ზამთრის ასვლა მყინვარწვერზე" (1928 წ.), რომელშიც ასვლის პერიპეტიებთან ერთად დეტალურადაა აღწერილი სტეფანწმინდაში მთამსვლელთა ჯგუფის შეხვედრა კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასთან, რომელიც აქ მხატვრულ ფილმ "ელისოს" იღებდა: "...მეოთხე საათი იყო, ჩვენი მანქანა სტეფანწმინდაში სასტუმრო "საქართველოსთან" რომ გაჩერდა. აქ ჩვენი მასპინძელია იაგორა ხახლიშვილი, რომელიც მუდამ ჩვენს მთამსვლელთ უფასოთ უთმობს ხოლმე ბინას. იქავე იყვნენ საქართველოს კინო მრეწველობის მუშაკნი რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას მეთაურობით. ალექსანდრე ყაზბეგის "ელისო"-ს იღებდნენ იმ ხანებში... ნიკოლოზ შენგელაიამ გამოსთქვა სურვილი ჩვენი ასვლის ზოგიერთი მომენტის გადაღების შესახებ, ჩვენც მოხარული ვართ... ყველანი გამოწყობილნი მზადა ვართ სამგზავროდ. კინო ექსპედიციამ დაიწყო ჩვენი გადაღება. ოპერატორია კერესელიძე, გადაღებას ხელმძღვანელობს თვით ნიკოლოზ შენგელაია"...

1923 წ. მყინვარწვერზე პირველი ასვლის მონაწილე ქალები. წინა რიგში: მარო ტყავაძე, ლიდუსი ჩხეიძე, ელენე ლორთქიფანიძე, უკან დგანან: ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ბეჟანიშვილი.

აღნიშნული სტრიქონების წაკითხვის შემდეგ იმედი გამიჩნდა, იქნებ სადმე იმდროინდელ მთამსვლელთა ცოცხალი სახეების უნიკალური კინოკადრებისათვის მიმეკვლია და დავიწყე ამ მასალის მოძიება. სამწუხაროდ, კინო-ფოტო-ფონო არქივში ჩემი საკმაოდ დიდი ხნის მუშაობის მიუხედავად, მასალას ვერ მივაკვლიე, თუმცა იმედს არ ვკარგავ - შესაძლოა, სადაც არ ველოდებით, იქ აღმოჩნდეს მთამსვლელთათვის ძალზე მნიშვნელოვანი ეს კადრები.

1928 წელს სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით კვლავ განხორციელდა მყინვარწვერზე ასვლა, რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ მწვერვალზე ავიდა პირველი რადიო და კინოექსპედიცია, რომელშიც 41 კაცი, მათ შორის 7 ქალი მონაწილეობდა.

მთამსვლელობის ისტორიაში 5043 მ სიმაღლის მწვერვალზე რეჟისორ ნიკოლოზ ლებედევის ხელმძღვანელობით გადაიღეს ერთ-ერთი პირველი ფილმი "კავკასიის კარიბჭე", რაც იმ დროისათვის არნახული მოვლენა იყო მსოფლიოში (სწორედ ამ ფილმშია შემონახული სიმონ ჯაფარიძის ცოცხალი სახის ერთადერთი კადრი, რომელიც გამოვიყენე ალექსანდრა ჯაფარიძისადმი მიძღვნილ სატელევიზიო ფილმში "მთამსვლელობის დედამთავარი". 1995 წ.).

სამაგალითოა ის ფაქტი, რომ სიმონ ჯაფარიძე, მყინვარწვერზე ყოველი ასვლის დაწვრილებით ანგარიშს უცხოეთში უგზავნიდა გიორგი ნიკოლაძეს, რომელიც, თავის მხრივ,

ამ მასალებს ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში აქვეყნებდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა კავკასიონით ევროპელების დაინტერესებას. ამის დასტური კი ისაა, რომ ამ წლებში კავკასიონს ევროპელთა უამრავი ექსპედიცია სტუმრობდა.

ამავე წელს სიმონ ჯაფარიძემ კახეთში, ლოპოტის ხეობაში, აღმოაჩინა თეთრი მარმარილოს საბადო. ეს მარმარილო შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაჰქონდათ და დიდი აღიარებით სარგებლობდა. ამ ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენით აღტაცებული სიმონი განსაკუთრებული მონდომებით, შეიძლება ითქვას, თავდავიწყებით იწყებს მუშაობას თავის სპეციალობაში – გეოლოგიაში.

1929 წლის ზაფხულში სიმონი უკვე სახკომსაბჭოს დავალებით მუშაობდა კახეთში სახურავი ფიქლების გამოკვლევაზე და აღარ აპირებდა მწვერვალებზე ასვლას, რადგან ემზადებოდა გეოლოგიურ მეცნიერებაშიც ეთქვა თავისი სიტყვა, მით უმეტეს, პირველი სერიოზული აღმოჩენა უკვე ჰქონდა... მაგრამ...



საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გიორგი ნიკოლაძის უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ მისი ხელმძღვანელობით დაგეგმა 25 კაციანი ექსპედიცია თეთნულდზე. ექსპედიციას დიდად დაეხმარა ზემო სვანეთისათვის დამაშვრალი პიმენ დვალი, რომელმაც ლაშქრობისათვის საჭირო სახსრები მოიპოვა.

1923 წ. მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე ალექსანდრა ჯაფარიძე

პიმენი 1924-26 წლებში ზემო სვანეთის ადგილობრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი იყო და 1924 წელს სწორედ მისი ინიციატივით გადმოიტანეს ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი ბეჩოდან მესტიაში.

თეთნულდის ექსპედიციის მომზადებაში სიმონ ჯაფარიძე არ მონაწილეობდა, მაგრამ ექსპედიციის წევრებს ვერც კი წარმოედგინათ თავიანთი განუყრელი მეგობრის, იმ დროს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელის გარეშე უცნობ მწვერვალზე წასვლა. გიორგი ნიკოლაძე და ექსპედიციის დანარჩენი წევრები დაჟინებით სთხოვდნენ სიმონს, თეთნულდის პირველ ქართულ ექსპედიციაში მათთან ერთად წასულიყო. სიმონი ყოყმანობდა, წუხდა, რომ ძალზე დაკავებული იყო გეოლოგიური საქმიანობით, მაგრამ გასაცილებლად მაინც ჩავიდა თბილისში და... მეგობრების თხოვნით გადაწყვიტა წასულიყო თეთნულდზე...

27 აგვისტოს, დილაადრიან, ნაგების მყინვარიდან მწვერვალისაკენ სამნი დაიძრნენ: გიორგი ნიკოლაძე, პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე...

მწვერვალზე ასვლის მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა, სიმონ ჯაფარიძე ყინულზე დაცურებულ პიმენ დვალს მიეშველა, მისი შეჩერება ვეღარ შეძლო და... გადაჰყვა...

სიმონისა და პიმენის სიცოცხლის უკანასკნელ მომენტს ასე აღწერს მათი დაღუპვის უშუალო და ერთადერთი მოწმე გიორგი ნიკოლაძე:

“2-3 საუნიღაა დარჩენილი კლდემდე, სადაც საშიშროება უკვე გავლილი იქნებოდა, როდესაც შედრკა პიმენი, ის ორი ფეხით ერთ საფეხურში იდგა და ორივე ფეხით დაიწყო დაცურება, თავდაპირველად ნელა, სულ ნელა, თითქოსდა შეუმჩნევლად. ის ცდილობდა დამაგრებულიყო ჯოხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასზე დაყრდნობით ფეხებით

შემაგრება, მაგრამ ფუჭი იყო მისი ცდა. მე შეშინებით დავუყვირე სიმონს, რომელიც ჩემზე უფრო ახლოს იდგა ზურგით პიმენისაკენ და სჭრიდა ახალ საფეხურს. "პიმენ, პიმენ", დაიყვირა სიმონმა და სწრაფად დაარჭო წერაყინის წვერი პიმენის მუხლებთან, რადგან პიმენი უკვე წაქცეულიყო ერთ ფეხზე, მაგრამ წერაყინმა ვერ დააკავა პიმენი. მაშინ სიმონმა სტაცა ხელი

პიმენს ბეჭებში, მაგრამ აღარაფერს შეეძლო პიმენის შეჩერება, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და მასთან ერთად სიმონის ბედიც.

1927 წ. მყინვარწვერზე ასვლის მონაწილენი: შოთა მიქელაძე, ანდრია კოვალკოვი, სოსო ასლანიშვილი, სიმონ ჯაფარიძე, არჩილ ბენაშვილი, დევი მიქელაძე.

დაცურება თავდაპირველად იყო ნელი... უეცრად, თითქოს მიწას მოსწყდნენო, გაქანდნენ ქვევით საშინელი სისწრაფით. მე დავინახე მხოლოდ, როგორ გაუვარდათ ორივეს ხელიდან წერაყინები. არც ერთ ჩვენთაგანს არ ამოუღია ხმა, სამივე დავმუნჯდით. პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი, დროშა – ყველაფერი ჩაცვივდა მყინვარის ძირში, გადაუხვია მარჯვნივ და გაჰქრა ჩემი ხედვის არედან. შეწყდა ხმაური, დადუმდა ყველაფერი და მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში"...

სიმონისა და პიმენის დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა მთელ სვანეთში. ყველაზე შორეულ სოფელშიც კი დასტიროდნენ დაღუპულთ. საუკეთესო სვანი მონადირეები თავდაუზოგავად ეძებდნენ დაღუპულებს. პიმენის ნეშტი მალევე იპოვეს, სიმონს კი ვერ მიაკვლიეს... ისინი ვერ ურიგდებოდნენ აზრს, რომ ძვირფასი სტუმრის გვამი ყვავ-ყორნებს დარჩენოდათ საჯიჯგნად, ეს სტუმართმოყვარეობის ურყევი ტრადიციის შებღალვა იქნებოდა...

1927 წ. სოსო ასლანიშვილი, ვასო ზაიკაშვილი, სიმონ ჯაფარიძე, ანდრია კოვალკოვი, ილარიონ წიკლაური, დევი მიქელაძე, გახა წიკლაური, შოთა მიქელაძე, არჩილ ბენაშვილი, იაგორ კაზალიკაშვილი, მიხეილ ზაგაშვილი.

დაღუპვიდან 10 დღის შემდეგ ტელემაკ ჯაფარიძემ, ვალიკო ყურაშვილმა, არჩილ გუჯეჯიანმა, ბართლომე ავალიანმა, გოჯი, მუსა და პავლე ზურებიანებმა ღრმა ნაპრალში ჩავარდნილ სიმონ ჯაფარიძეს მიაკვლიეს...

მომხდარმა კატასტროფამ აახმაურა ალპინისტთა ფართო წრეები. ჩვენში თუ საზღვარგარეთ თეთნულდი ყველაზე ცნობილ მწვერვალად იქცა.

მართალია, თეთნულდზე პირველი ასვლის ცდა მარცხით დასრულდა, მაგრამ ამ ფაქტს ქართული მთამსვლელობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში უკვალოდ არ ჩაუვლია. მან გმირული სული შთაბერა მთამსვლელობას და თავისთავად დააკანონა მთამსვლელთა შორის რაინდული ურთიერთობა.

სიმონის დაღუპვის წლისთავზე, 1930 წლის ივლისში, თეთნულდს სიმონის და-ძმამ ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებმა შეუტიეს იაგორ კაზალიკაშვილთან და ადსილ ავალიანთან ერთად. ალიოშა ჯაფარიძე სამ დღეში ორჯერ ავიდა მწვერვალზე, ჯერ მარტო, შემდეგ თანამგზავრებთან ერთად და ასე შემოაბიჯა მან მთამსვლელობაში.

სიმონ ჯაფარიძე

ამ ასვლის შემდეგ თეთნულდზე იერიშისათვის რამდენიმე ჯგუფმა დაიწყო მზადება. მათ შორის იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ტურისტული განყოფილება, რომლის წევრებმა შოთა მიქელაძემ და ასმათ ნიკოლაიშვილმა დალაშქრეს მწვერვალი. იმავე წელს თეთნულდზე მოსკოველი მთამსვლელების სამი ჯგუფიც ავიდა.

1930 წელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა - საქართველოში დაარსდა "პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება" (შემოკლებით - "პტეს"), სადაც ჩამოყალიბდა სამთო სექცია, რომლის ხელმძღვანელობაც გიორგი ნიკოლაძეს დაევალა.

პიმენ დვალი

სამწუხაროდ, გიორგი ნიკოლაძემ ვერ მოასწრო მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, რადგან იგი 1931 წელს, მოულოდნელად, 42 წლის ასაკში, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. უმძიმესი იყო მთელი საქართველოსათვის ეს დანაკარგი; საზოგადოებისათვის დაუჯერებელი იყო, რომ ეს ანტიკური ქანდაკების მსგავსი, ათლეტური აღნაგობის მრავალმხრივი სპორტსმენი ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა...

უდიდესი დანაკლისის მიუხედავად, გიორგი ნიკოლაძის დაწყებული საქმიანობა არ შეწყვეტილა: მთამსვლელობის ხაზით საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში მისი გზა ღირსეულად განაგრძო შოთა მიქელაძემ, პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებაში კი - გიტო გიორგიძემ.

1931 წლიდან ალპინისტური მოძრაობა საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა. ერთიმეორის მიყოლებით ეწყობოდა ასვლები ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებზე შოთა მიქელაძის, ალიოშა ჯაფარიძის, იოსებ ასლანიშვილის, იაგორ კაზალიკაშვილისა და ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იოსებ ასლანიშვილმა და იაგორ კაზალიკაშვილმა მწვერვალ უილფათიდან (4647 მ) ჩამოიტანეს რუსეთის სამხედრო ტოპოგრაფების კორპუსის კაპიტნის გიორგი ქავთარაძის (რომელიც იმ დროს კავკასიონის ტოპოგრაფიულ აგეგმვაზე მუშაობდა) მიერ 1891 წელს დატოვებული მინიმალური თერმომეტრი (მინიმალური ტემპერატურის გასაზომი – ი. ჯ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გიორგი ქავთარაძის უილფათაზე ასვლა მე-19 საუკუნეში ქართველი კაცის მწვერვალზე ასვლის პირველი და ერთადერთი ფაქტია. მართალია, მურათბი კიბოლანი გამყოლად ახლდა ვილი რიკმერსის ექსპედიციას უშბაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ექსპედიციამ მწვერვალზე ასვლა ვერ შეძლო.

ამ წელს ალიოშა ჯაფარიძე სრულიად ახალი გზით - დევდორაკისა და აბანოს მყინვარის გამყოფი ქედით ავიდა მყინვარწვერზე, რომელიც დანარჩენ მარშრუტებზე ბევრად მოკლე აღმოჩნდა. 1932 წელს საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოების სამთო-სათხილამურო სექციამ გულდასმით განიხილა მყინვარწვერის კალთებზე სიმონ ჯაფარიძის სახელობის ალპური ქოხის აგების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ძალზე დაინტერესდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტი და ქოხის აშენების შესაძლებლობის გამოსაკვლევად მყინვარწვერისკენ გაგზავნა სპეციალური ექსპედიცია შოთა მიქელაძის ხელმძღვანელობით.

მუშაობის დასრულების შემდეგ შოთა მიქელაძემ ექსპედიციის წევრ გეოლოგ მახარაძესან ერთად ახალი, სრულიად გამოუკვლევი გზით, ე.წ. "გველეშაპის კლდეებით" გადაწყვიტა მყინვარწვერზე ასვლა. ამ ცდამ ახალი მარცხი გამოიწვია - 8 აგვისტოს, ზ. დ. 4900 მ-ზე კლდიდან მოწყდა შოთა მიქელაძე, რომლის სახითაც საქართველოს მთამსვლელთა ოჯახმა დაკარგა კიდევ ერთი საუკეთესო, სრულიად ახალგაზრდა მთამსვლელი, ნიჭიერი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, თავისი საქმისა და ქვეყნის დიდი პატრიოტი.

დაღუპულთა მძებნელი ჯგუფი. I რიგში: ტელემაკ ჯაფარიძე (მესტია), არჩილ გუჯეჯიანი (მულახი). II რიგში: ბართლომე ავალიანი (მულახი), გოჯი ზურებიანი (მულახი), ვალიკო ყრუაშვილი (ცაგერი, მესტიის სკოლის მასწავლებელი), პავლე ზურებიანი (მულახი), მუსა ზურებიანი (მულახი)

ერთი შეხედვით პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მსხვერპლის მიუხედავად, ახალი ძალები მოდიოდნენ მთამსვლელობაში, იზრდებოდა დალაშქრული შედარებით რთული მწვერვალების რაოდენობა, რომელთა შორის აღსანიშნავია პტეს-ის ქუთაისის საბჭოს ექსპედიციის ასვლა კავკასიონის ერთ-ერთ უძნელეს მწვერვალ შხარაზე სანდრო გვალიას ხელმძღვანელობითა და მხატვარ ვ. ჭეიშვილის მონაწილეობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული ალპინიზმის განვითარებაში ახლოვდებოდა ახალი ეტაპი. ეს მომდევნო ნაბიჯი ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე ასვლა და კედლოვანი მარშრუტების გავლა უნდა ყოფილიყო, რაც დაგვაახლოვებდა ევროპული მთამსვლელობის დონესთან.

ამ მომწიფებული საკითხის გადაწყვეტა თავს იდო ალიოშა ჯაფარიძემ. ასასვლელი ობიექტის შერჩევას დიდი ხანი არ დასჭირვებია. ობიექტი თითქოს თვითონ ასახელებდა თავის

კანდიდატურას. ეს იყო უშბა" - აღნიშნავდა მრავალი ექსპედიციის ხელმძღვანელი და წლების განმავლობაში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი ("მთამსვლელობა საქართველოში", 1983).

უშბა მაგიური ძალით იზიდავდა მსოფლიოს ყოველი კუთხის გამოჩენილ მთამსვლელებს. მასზე ასვლის ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ უშბაზე ამსვლელი მსოფლიოში ცნობილი და სახელგანთქმული ინგლისის ალპური კლუბის წევრი ხდებოდა.

1930 წ. ალიოშა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, ადსილ ავალიანი თეთნულდზე

უშბაზე ასვლების ისტორია მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, როცა 1888 წელს, ჩრდილოეთ მწვერვალზე ასვლის ბედნიერება პირველად ინგლისელ ჯონ კოკინს და შვეიცარიელ ულრიხ ალმერს ხვდათ წილად.

1900 წლის 14 მაისს ვენაში ვილი რიკმერსმა მეგობრებთან ერთად დააარსა კავკასიის კლუბი. 1903 წელს მისი თხოვნით მთამსვლელებმა 1000 მარკა შეაგროვეს კავკასიონზე 34-დღიანი ექსპედიციის ხარჯებისათვის. იმავე წელს უშბაზე ასასვლელად გაემგზავრა გერმანელ, ავსტრიელ და შვეიცარიელ მთამსვლელთაგან შემდგარი ჯგუფი 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ადოლფ შულცე ხელმძღვანელობდა. სამხრეთ უშბაზე ავიდნენ გერმანელი მთამსვლელები შულცე (ხელმძღვანელი), რაიხერტი და შუსტერი, შვეიცარიელები ჰელბლინგი და ვებერი. ორი კვირის შემდეგ, 12 აგვისტოს კვლავ გერმანელები: დისტელი, პფანი (ხელმძღვანელი) და ლაიხსი ავიდნენ ჩრდილოეთ უშბაზე და განაგრძეს გზა სამხრეთ მწვერვალისაკენ. 13 აგვისტოს ისინი უშბის სამხრეთ მწვერვალზე იმყოფებოდნენ, ხოლო 14 აგვისტოს შულცეს გზით დაეშვნენ გულის მყინვარზე.

შოთა მიქელაძე

ამ ასვლებმა კიდევ უფრო პოპულარული გახადეს უშბა. მას სხვადასხვა ქვეყნიდან სახელმოხვეჭილი მთამსვლელები მოაწყდნენ, მაგრამ უმეტესობა მხოლოდ მისი ხილვით კმაყოფილდებოდა და ხელმოცარული უკან ბრუნდებოდა. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მრავალჯერ ცადეს უშბაზე ასვლა, მაგრამ ამაოდ.

უშბაზე ასვლისათვის "ბრძოლა" იმპერიალისტური ომისა და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განახლდა და მხოლოდ 1929 წელს, შულცეს გზით, მიაღწია მწვერვალს გერმანელების ჯგუფმა მერკლის, ბეტხოლდისა და რეხლის შემადგენლობით.

1933 წელს უშბას ისევ უცხოელ მთამსვლელთა ჯგუფი ესტუმრა, ამჯერად - შვეიცარიელები, რომელთა შესანიშნავმა მომზადებამ უზრუნველყო მათი გამარჯვება. ასვლა ამ შემთხვევაშიც შულცეს გზით განხორციელდა.

ამით დამთავრდა უშბაზე ასვლის ისტორიის პირველი პერიოდი.

თითქმის 50 წლის მანძილზე უშბაზე ასვლის ევროპელთა რამდენიმე ათეული ცდიდან მხოლოდ ოთხი დამთავრდა სრული გამარჯვებით. და აი, დადგა დრო, როცა უშბაზე ასვლისათვის "ბრძოლაში" ქართველი მთამსვლელებიც უნდა ჩაბმულიყვნენ.

უშბა

1934 წელს ცნობილი ექიმისა და მთამსვლელის, შემდგომში სპორტის დამსახურებული ოსტატის სოსო ასლანიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა "უშბის ექსპედიციის კომიტეტი", რომელსაც ევალებოდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და ექსპედიციის შემადგენლობის შერჩევა. "უშბის კომიტეტის" გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა უშბის ექსპედიციის შემადგენლობა: ალიოშა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), სანდრო გვალია (მოადგილე), ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ნიგურიანი, ლევან მარუაშვილი და მიქელ პატარიძე.

1934 წლის 20 აგვისტოს ექსპედიცია სვანეთში ჩავიდა და სოფელ უშხვანარში, შემდგომ "უშბის დიასახლისად" ცნობილ მაკრინე ქურდიანის ოჯახში გაჩერდა.

რამდენიმე დღის მზადებისა და დასვენების შემდეგ ექსპედიციამ ძირითადი ბანაკი გულის მყინვარზე გამართა. 29-ში დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მწვერვალზე ასასვლელად და მხოლოდ 31 აგვისტოს დღის 3 საათზე გულის მყინვარიდან, შემდგომ შერქმეულ ე.წ. "ზაზუბრინას", "ჰალსტუხისა" და "წითელი კუთხის" გავლით, უშბის სამხრეთ მწვერვალზე პირველად შედგა ფეხი ქართველ მთასვლელთა ოთხეულმა: ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებმა, იაგორ კაზალიკაშვილმა და გიო ნიგურიანმა.

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე

დიდი ქვებისაგან აგებულ ნიშში უცხოელთა წერილების ნაცვლად მათ საკუთარი ბარათი დატოვეს, ხოლო როცა დაღამდა და ნისლი გაიფანტა, მწვერვალზე მოციმციმე ცეცხლი აანთეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, უშბაზე ანთებული ცეცხლის საპასუხოდ, სვანეთის სოფლებში კოცონების ალი ავარდა და, როგორც მოხდენილად წერდა ალიოშა ჯაფარიძე "ამ კოცონებზე იწვოდა უკანასკნელი ნაშთები სვანების ცრუმორწმუნეობისა, უშბის წვერზე ადამიანის ასვლის შეუძლებლობის შესახებ."

ამ ასვლით ქართველმა მთამსვლელებმა საერთაშორისო კლასის დონეს მიაღწიეს.

იმავე 1934 წელს, "ᲞᲢᲔᲡ-ის" ცენტრალურმა საბჭომ შემოიღო "ალპინიზმის ოსტატის" წოდება და საქართველოში იგი ალიოშა ჯაფარიძეს, სანდრო გვალიას და დავით წერეთელს მიენიჭა. 1940 წელს ეს წოდება შეიცვალა და დაწესდა "სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ალპინიზმში".

1936 წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მთამსვლელებისათვის. თბილისში დაარსდა ალპური კლუბი, რომელიც პირველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში (საქართველოს ალპური კლუბის შესახებ ქვემოთ ცალკე თავში ვისაუბრებთ).

რამდენიმე სიტყვა აუცილებლად უნდა ითქვას იმ დიდ წვლილზე, რომელიც ქართველმა მთამსვლელებმა შეიტანეს პამირის მთიანეთის შესწავლა-ათვისების საქმეში; ამ ექსპედიციებს, გარდა მეცნიერულისა, სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა და პამირის უმაღლეს მწვერვალებზე მასობრივი ლაშქრობები ეწყობოდა, სადაც ინსტრუქტორებად სხვებთან ერთად ქართველი მთამსვლელებიც იყვნენ მიწვეულნი. პირველად, 1932 წელს, ლევან მარუაშვილი მიიწვიეს, შემდეგ ზედიზედ დავით წერეთელი (1933-34, 36 წ.) და 1936 წელს ალიოშა ჯაფარიძე, რომელმაც კორჟენევსკაიას პიკზე ასასვლელი გზების ძიებისას მის გვერდით მდებარე უსახელო მწვერვალზე ასვლის დროს ტერფები მოიყინა და განგრენა რომ არ განვითარებულიყო, ორივე ფეხზე ყველა თითი მოჰკვეთეს (ოპერაციის შემდეგ, ფეხის თითების გარეშე, ალიოშა ჯაფარიძემ 10 წელი იღვაწა მთამსვლელობაში და მრავალი მნიშვნელოვანი ასვლა განახორციელა კავკასიონის ურთულეს მწვერვალებზე).

1934 წ. უშბიდან დაბრუნების შემდეგ უშხვანარში. I რიგში: მაკრინე ქურდიანი, ეგნატე გაბლიანი, ალიოშა ჯაფარიძე, ლევან მარუაშვილი. II რიგში: სანდრო გვალია, ბექნუ ხერგიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, სოსო ასლანიშვილი, III რიგში: გიო ნიგურიანი, იაგორ კაზალიკაშვილი, გერმანე მემანიშვილი (მაკრინე ქურდიანის მეუღლე)

ამ ექსპედიციაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით წერეთლისა და ალიოშა ჯაფარიძის თავგანწირვა, როცა ზვავმა თითქმის მთელი ბატალიონი დამარხა და მათ თოვლიდან არაერთი განწირული ადამიანი გაათავისუფლეს, რისთვისაც ორივე ქართველი მთამსვლელი "პამირის გმირის" საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

1937 წელს ახალი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს ქართველმა მთამსვლელებმა. გაბრიელ ხერგიანის ხელმძღვანელობით, ჯგუფმა ბექნუ და ბესარიონ ხერგიანების, ჭიჭიკო ჩართოლანისა და მაქსიმე გვარლიანის შემადგენლობით, საეტაპო ასვლა განახორციელა უშბის სამხრეთ მწვერვალზე სრულიად ახალი, კედლოვანი გზით, რითაც საფუძველი ჩაეყარა კედლოვანი ასვლების კლასს საბჭოთა კავშირში. უშბაზე ეს მარშრუტი დღემდე "გაბრიელის გზის" სახელწოდებითაა ცნობილი.

1937-38 წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მასობრივ ალპინიადებს კავკასიონის მწვერვალებზე. ალიოშა ჯაფარიძის, დავით წერეთლის, სანდრო გვალიას, მელენტი სანებლიძის, გრიგოლ შადურის, კოტე ჯავრიშვილის, გიორგი ბაქრაძის, ალექსანდრა ჯაფარიძის, ოთარ გიგინეიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით ალპინიადები მოეწყო მყინვარწვერზე, თეთნულდზე, ჯიმარაზე, ქომიტოზე, ლაილაზე, გულბაზე, ნეფისკალოზე და ა.შ. 1938 წლის სექტემბერში ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოეწყო კავკასიონის ქედის ერთ-ერთი რთული მონაკვეთის ტრავერსი მწვერვალ მაჩხაფარიდან წურუნგალამდე.

ქართველმა მთამსვლელებმა (ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ლევან გოთუა, ივანე გალუსტოვი, კოტე ჯავრიშვილი) წარმატებით გაიარეს პირველი საკმაოდ ძნელი ტრავერსი, რომელიც ნაკლებად გამოკვლეულ რაიონში ჩატარდა და 13 მწვერვალზე ავიდნენ. ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი 1940 წელს ჩატარებული ცენტრალური კავკასიონის ურთულესი ტრავერსისა თეთნულდიდან შარი-თაუმდე, რომელიც ალპინისტურ ლიტერატურაში "ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსის" სახელითაა შესული. დიდი ტრავერსის (მონაწილენი: ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გოჯი ზურებიანი, ლევან სუჯაშვილი, ვახტანგ ქირიკაშვილი) დროს გაიარეს 20-ზე მეტი მწვერვალი, მათგან უმეტესობა საკმაოდ რთული, რაც იმ დროისათვის იშვიათ ალპინისტურ რეკორდად იყო მიჩნეული, ხოლო ასეთ რთულ ტრავერსში ქალის მონაწილეობა, როგორც ირკვევა, პირველი შემთხვევა იყო მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ლაშქრობის მონაწილეთაგან სამს: ალექსანდრა ჯაფარიძეს, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებს ტრავერსის წარმატებით განხორციელებისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

გაბრიელ ხერგიანი

განსაკუთრებული იყო ქართველ მთამსვლელთა როლი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1941-45 წ.წ.). ომის დროს ჩვენი მთამსვლელები ინტენსიურად ამზადებდნენ რეზერვს მოქმედი არმიისათვის. სამთო-საბრძოლო ოპერაციების მომზადება-ჩატარებას ხელმძღვანელობდნენ გიორგი ბაქრაძე, კაკო მარი, დავით ფურცელაძე, ლევან მარუაშვილი, დავით წერეთელი, ხოლო ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებმა, გიორგი სულაქველიძემ, ადგილობრივ და რუს მთამსვლელებთან ერთად, 1943 წლის ზამთრის მიწურულს იალბუზის მწვერვალიდან მოხსნეს გერმანელი ფაშისტების მიერ აღმართული დროშა.

მეორე მსოფლიო ომმა, ბუნებრივია, ხელი შეუშალა სპორტული ალპინიზმის განვითარებას, თუმცა მთამსვლელები იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ოსტატობის სრულყოფას. მაგალითად, 1943 წელს, ალიოშა ჯაფარიძე გოჯი ზურებიანთან, ქელეშბი ონიანთან, ტელემაკ ჯაფარიძესთან, ევგენი რაიზერთან და ნიკოლოზ მუხინთან ერთად შეუდგა

თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრის - უშბა-შხელდის ტრავერსის განხორციელებას. უამინდობის მიუხედავად, მთამსვლელებმა შეძლეს უშბის სამხრეთ მწვერვალზე ასვლა, მაგრამ გამძვინვარებული სტიქიის შემოტევის შედეგად, შვიდი დღე-ღამის მანძილზე შერჩნენ მწვერვალზე და მშიერ-მწყურვალნი უკან გამობრუნდნენ...

ქართველმა მთამსვლელებმა ამავე პერიოდში ჩაუყარეს საფუძველი მიუვალ მღვიმე-გამოქვაბულთა კვლევასაც. ალიოშა ჯაფარიძემ თანამოაზრეებთან (ალექსანდრა და გოგი ჯაფარიძეები, ლევან გოთუა, გოგი ლომთათიძე, ალექსანდრე ნემსიწვერიძე, ელენე აბაშიძე, სიმონ შხვაცაბაია, ვერა ბელეცკაია, ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ვალია ნასონოვა) ერთად გამოიკვლია ხვამლის, ორხვის, ტვიშის, შიომღვიმისა და უფლისციხის მიუვალი გამოქვაბულები.

ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის შემოდგომაზე, ალიოშა ჯაფარიძე ქელეშბი ონიანთან და ნიკოლოზ მუხინთან ერთად, კვლავ ცდილობს უშბა-შხელდის ტრავერსის განხორციელებას, მაგრამ ოქტომბრის თვის დასაწყისში საქართველოში მოულოდნელად შემოჭრილმა ციკლონმა, ჯგუფი ერთი კვირით უშბის სამხრეთ მწვერვალზე მოამწყვდია. საკვების, საწვავისა და წყლის მარაგის გარეშე დარჩენილმა ჯგუფმა გამოდარებისთანავე დაიწყო მწვერვალიდან დაშვება გულის მყინვარისაკენ, მაგრამ დაბნელებამდე ვეღარ მოასწრო სამშვიდობო ადგილამდე ჩასვლა (200-ოდე მეტრი იყო დარჩენილი) და ღამის სათევად კარავში შეფარებული ჯგუფი ზვავმა იმსხვერპლა.

გიო ნიგურიანი

ალიოშა ჯაფარიძისა და მისი მეგობრების დაღუპვამ შეძრა მთამსვლელთა სამყარო. საძიებო სამუშაოებში ქართველებთან ერთად საბჭოთა კავშირის უძლიერესი მთამსვლელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი პოვნა ვერ მოხერხდა...

მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1957 წლის აგვისტოში, გულის მყინვარზე, ალიოშა ჯაფარიძის ნეშტს შემთხვევით წააწყდნენ სამხრეთ უშბაზე მიმავალ მთამსვლელთა ჯგუფის წევრები. ამის შესახებ ორმოცდაათი წლის შემდეგ გვიამბობს ამ ასვლის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი ავთანდილ ძიძიგური:

"უშბა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალია. გამოირჩევა თავისი მრისხანებით. იგი განცალკევებით დგას კავკასიონის ქედის სამხრეთ კონტრფორსზე და ამაყად დაჰყურებს სვანეთის სოფლებს. მას არც ერთი იოლად ასასვლელი გზა არა აქვს, ამიტომაც შეიწირა მრავალი მთამსვლელის სიცოცხლე.

21 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში, მოიერიშე და მეთვალყურე ოთხკაციანი ჯგუფის წევრები სოფელ უშხვანარში მაკრინე ქურდიანის ეზოში ვიმყოფებოდით. ტრადიციულად, უშბაზე და შხელდაზე მოიერიშე ჯგუფები მაკრინე ქურდიანის სახლში აწყობდნენ საბაზო ბანაკს. აქედან იწყებოდა მწვერვალებზე იერიში. მთამსვლელებს დეიდა მაკრინე დაულოცავდა გზას და მშვიდობით დაბრუნებას უსურვებდა.

რამდენიმე ხნის დასვენების შემდეგ სოფელ გულისაკენ გავემართეთ, ავედით გულის მყინვარზე და დავბანაკდით მორენაზე. მოიერიშე ჯგუფში ჩემს გარდა ხუთი მთამსვლელი იყო, მათ შორის ორი ქალი. ისინი უშბაზე ასვლით საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის ნორმატივებს ასრულებდნენ. აღსანიშნავია, რომ უშბაზე ასვლების ისტორიაში იმ დროისათვის პირველი შემთხვევა იყო გუნდში რომ ორი ქალი მონაწილეობდა.

ის იყო კარვების გაშლა დავამთავრეთ, რომ დავინახეთ სამხრეთ უშბიდან ოთხი მთამსვლელი ეშვებოდა. გადავწყვიტეთ მეთვალყურე ჯგუფის ორი წევრი გაგვეგზავნა დაღლილი მთამსვლელების შესაგებებლად და ჩვენს ბანაკში მოგვეწვია. მთამსვლელებს დაღამებამდე სურდათ სოფლამდე ჩაღწევა, მადლობა შემოგვითვალეს და მყინვარის მარჯვენა მორენით სწრაფად დაეშვნენ სოფლისაკენ, ხოლო მეთვალყურე ჯგუფის წევრებმა მოიტანეს ფოტოაპარატი, რომელიც მყინვარის ენაზე ეპოვნათ. იქვე ყოფილა პატარა ზომის სამთო ფეხსაცმელი და ადამიანის ჩონჩხი. აშკარა იყო ეს ყველაფერი უშბაზე დაღუპულ მთამსვლელს ეკუთვნოდა. იმ დროისათვის უშბაზე დაღუპულთა ორი ჯგუფი იყო, რომელთა ნეშტები არ იყო ნაპოვნი. ერთი - ალიოშა ჯაფარიძის, ქელეშბი ონიანისა და ნიკოლოზ მუხინის, მეორე - რუსული ჯგუფის მონაწილე ქალ-ვაჟისა. რადგან ნანახი ფეხსაცმელი პატარა ზომისა იყო, ჯგუფის წევრების აზრით ის დაღუპული ქალისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მომაგონდა, რომ ალიოშამ პამირის ექსპედიციაში ფეხები მოიყინა და ფეხის თითები ამპუტირებული ჰქონდა. ადგილზე აღმოჩნდა აგრეთვე ხაკისფერი შალის ქურთუკი, რომელსაც "კანადკას" უწოდებდნენ. ალიოშაც ასეთ ქურთუკს ატარებდა. ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ ნაპოვნი ნეშტი ალიოშა ჯაფარიძეს ეკუთვნოდა.

1934 წ. პირველი თვითმფრინავი ზემო სვანეთში. მესტიაში თვითმფრინავის ჩაფრენა დაემთხვა უშბაზე ქართველ მთამსვლელთა პირველ ასვლას

გადავწყვიტე, დილით დეიდა მაკრინესათვის შემეტყობინებინა ყოველივე და მეთხოვა დეპეშა გაეგზავნა დეიდა ალექსანდრასათვის, სასწრაფოდ რომ ჩამოსულიყო. ჩემი ვარაუდით, ყველაფერ ამას ხუთი დღე დასჭირდებოდა. ამასობაში ჩვენც დავამთავრებდით უშბის ტრავერსს და შევუერთდებოდით მძებნელთა ექსპედიციას.

დავწექით დასაძინებლად. დილით ადრე შტურმზე უნდა გავსულიყავით. დიდხანს ვერ დავიძინე. გავიხსენე 1945 წლის ტრაგედია:

...1945 წელს ალიოშამ კვლავ გააგზავნა განაცხადი მოსკოვში ტრავერსის ჩატარების ნებართვის მისაღებად. ნებართვამ ისევ დაიგვიანა, ის მხოლოდ შემოდგომაზე, სექტემბრის მეორე ნახევარში მოვიდა, როცა სპორტული ასვლები ძალზე იშვიათად ტარდებოდა. ჯგუფმა ალიოშა ჯაფარიძის (ხელმძღვანელი), ქელეშბი ონიანისა და ნიკოლოზ მუხინის შემადგენლობით 26 სექტემბერს დაიწყო ტრავერსი სამხრეთ უშბიდან. მიაღწიეს ჩრდილოეთ უშბას. აქ კვლავ თავს დაატყდათ ძლიერი ქარბუქი. დიდხანს ელოდნენ გამოდარებას. გაუთავდათ საკვები, საწვავი და მაშასადამე წყალიც. ამოიწურა საკონტროლო ვადაც. დამხმარე ჯგუფმა სცადა დაეწყო სამაშველო სამუშაოები, მაგრამ უამინდობამ ხელი შეუშალა როგორც მაშველთა ცდას, ისე მოიერიშე ჯგუფის დაშვებას. უკანასკნელად 12 ოქტომბერს, როცა ცოტა ხნით გაიხსნა უშბა, მეთვალყურეებმა დაინახეს მოიერიშეები, რომლებმაც გულის მყინვარისაკენ დაიწყეს დაშვება. ამის შემდეგ ისინი აღარავის დაუნახავს.

მხოლოდ 25 ოქტომბერს, როცა გამოიდარა, მაშველმა ჯგუფმა ცნობილი მთამსვლელების ევგენი აბალაკოვის, ნიკოლოზ გუსაკის, ბექნუ ხერგიანისა და გოჯი ზურებიანის შემადგენლობით შეძლო გულის მყინვარით მიეღწია უნაგირამდე. იპოვეს კლდეში ჩარჭობილი პალო თოკის მარყუჟით. მათი კვალი კი არსად ჩანდა. ეტყობა ამ პალოზე დაეშვნენ მთამსვლელები უნაგირადან. სავარაუდოდ, 12 ოქტომბერს, ყინულის კედელზე ღამისთევისას, მთამსვლელები ზვავმა მოწყვიტა. მყინვარზე ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

1935 წ. ხევში დაკარგული თვითმფრინავის მძებნელთა ჯგუფი სოსო ასლანიშვილის ხელმძღვანელობით: ვ. ხუციშვილი, ს. ასლანიშვილი, ა. დავითაშვილი, ა. ხეთაგური

საძიებო სამუშაოები 1946 წელს განახლდა. მთამსვლელთა ჯგუფი კაკო მარის ხელმძღვანელობით სამხრეთ უშბაზე ავიდა და უნაგირადან გულის მყინვარზე დაშვება დაიწყო. მათ მყინვარის ზედა წელში, ბერგშრუნდის თავზე იპოვეს ყინულის პალოებზე დამაგრებული თოკი და კარვის ნაგლეჯი. ეს იყო უკანასკნელი ღამისთევის ადგილი. დაღუპულთა შემდგომმა ძებნამ შედეგი კვლავ არ გამოიღო...

და აი, 12 წლის შემდეგ, მყინვარმა დაღუპულ მთამსვლელთა ნეშტები ზედაპირზე გამოიტანა.

22 აგვისტოს დილით წერილი დავწერე და მეთვალყურე ჯგუფის უფროსს დავავალე იმ დღესვე ჩაეტანათ უშხვანარში დეიდა მაკრინესათვის. დეიდა მაკრინეს ჩემი წერილის მიღებისთანავე გაუგზავნია დეპეშა ალექსანდრასათვის, რომელიც მესამე დღეს სვან მთამსვლელებთან ერთად ჩამოსულა უშხვანარში. ალექსანდრამ ყურადღებით დაათვალიერა გულის მყინვარი და ალიოშას პოვნის ადგილიდან ზემოთ, დაახლოებით 25 მეტრში მიაკვლია ქელეშები ონიანს, რომელიც ყინულიდან ამოჭრეს. ნიკოლოზ მუხინის ნეშტს კი ვერ მიაკვლიეს.

უშხვანარში ჩვენს დაბრუნებამდე, ალიოშა თბილისში გადაუსვენებიათ, ქელეშები კი - მესტიაში. ადგილობრივმა მთამსვლელებმა ორი კვირის ძებნის შემდეგ ნიკოლოზ მუხინიც აღმოაჩინეს და იგი ვლადიკავკაზში გადაასვენეს.

1940 წ. ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი. ბექნუ ხერგიანი, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, გოჯი ზურებიანი, გაბრიელ ხერგიანი

დღეს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, განვლილ მოვლენებს როცა ვაანალიზებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენს მიერ ალიოშას ნეშტის პოვნა შემთხვევითი არ ყოფილა - უფალმა არ ინება გმირი მთამსვლელების უკვალოდ გაქრობა".

უშბის ტრაგედიამ უშბა-შხელდის ტრავერსს ფრიად მრისხანე მარშრუტის რეპუტაცია დაუმკვიდრა და, ერთგვარად, უმაღლესი ოსტატობის საზომიც გახადა.

ამ ტრაგედიის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში სპორტული ასვლები აღარ ჩატარებულა, მაგრამ 1948 წელს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავთან დაკავშირებით მყინვარწვერზე მოეწყო ალპინიადა სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით, რომელიც რეკორდული იყო მასობრიობის თვალსაზრისით. ვეტერან მთამსვლელებთან ერთად მწვერვალზე 502 კაცი ავიდა, ძირითადად, უნივერსიტეტისა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, 1948 წელს ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ მყინვარწვერის კალთებზე, ზ.დ. 4100 მ სიმაღლეზე ბეთლემის

გამოქვაბულის აღმოჩენა, რასაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ალიოშა ჯაფარიძის დაწყებული ტრავერსი 1950 წელს მისმა უმცროსმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა კაკო მარმა, ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა გააგრძელეს. ამ ხუთეულმა მიზანს მიაღწია. კაკო მარმა ალიოშა ჯაფარიძის გეგმაში ერთი მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა: ტრავერსი იწყებოდა არა უშბით, არამედ შხელდით. ტაქტიკური თვალსაზრისით ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ჯგუფის ყველა წევრი უშბას კარგად იცნობდა, შხელდას კი ნაკლებად. ამიტომ უმჯობესი იყო დასვენებულ ჯგუფს ჯერ უცნობი შხელდა გაევლო.

შხელდა-უშბის ტრავერსის დაწყებიდან მის დასრულებამდე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე უზარმაზარი პანო იყო გამოფენილი, რომელზეც ტრავერსის მარშრუტი იყო დატანილი და ასვლის მიმდინარეობას მთელი თბილისი და დედაქალაქში მყოფი სტუმრები ადევნებდნენ თვალს. ჯგუფის მიერ ყოველდღიურად გავლილ გზას პატარა დროშების გადაადგილებით აღნიშნავდნენ, რაც მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევდა.

1950 წ. შხელდა-უშბის ტრავერსი ყოფილ საბჭოთა კავშირში წლის საუკეთესო ასვლად შეფასდა. მონაწილენი: მაქსიმე გვარლიანი, გოჯი ზურებიანი, ბექნუ ხერგიანი, ივანე (კაკო) მარი (ხელმძღვანელი), ჭიჭიკო ჩართოლანი

ტრავერსი, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ბრწყინვალედ დასრულდა და მთელი საქართველო აღფრთოვანებით შეხვდა შხელდა-უშბის გმირებს. მათზე ბევრი დაიწერა, მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნეს მათ ასვლას, მაგრამ გაზეთებისათვის (“ლელო”, 1.09.1950; “ახალგაზრდა კომუნისტი”, 31.08.1950) მიცემულ ინტერვიუებში განსაკუთრებული გატაცებით იხსენებდნენ თავიანთ თავგადასავალს ასვლის მონაწილენი:

ივანე (კაკო) მარი - “...მწყობრი ნაბიჯით დავიძარით ექსპედიციის მთავარი ბაზიდან 30 ივლისს. მცხუნვარე მზე გულს იმედით გვივსებს. ღამის 10 საათზე უკვე უშბის მყინვარის ენასთან ვართ. გავმართეთ პირველი ბანაკი, განწყობილება - მხნე და საუცხოოა.
31 ივლისს წინასწარ დათქმულ ადგილს მივაღწიეთ, სადაც დარჩა ექსპედიციის დამხმარე რაზმი და რაცია. აქედან ჩვენი მოიერიშე ჯგუფი დასავლეთით, შხელდის მისადგომებისაკენ გაემართა.

1 აგვისტო - პირველი იერიში... იმავე დღეს ვძლიეთ "ხერხის" ოთხი მწვერვალი. 4160 მეტრის სიმაღლის მეოთხე მწვერვალზე ვიმყოფებით. ღამეა. წინა დღის მზიანი დარი თოვლის უხვმა ფანტელმა და ბნელმა ნისლმა შეცვალა. ორი დღე კარვებში ვართ. ეს მაინცდამაინც ვერაფერი სასიამოვნოა. მაქსიმე გვარლიანი არაფრად აგდებს ბუნების სტიქიის ამ პირველ შემოტევას.

4 აგვისტო. 4220 მ ზღვის დონიდან. იმავე დღეს დავძლიეთ ძნელად გადასალახავი ხუთი ე.წ. "უანდარმი".

6 აგვისტოს პალოებისა და თოკების გამოყენება მოგვიხდა, რომ ციცაბო კლდეებიდან უვნებლად დავშვებულიყავით. სამდღენახევარია ბობოქრობს ქარიშხალი. ნისლმა და თოვლმა დაფარა მიდამო. საშინელი გრიგალია. გააფთრებულმა ქარმა კარავი მოგვიგლიჯა, მაგრამ არ გავატანეთ. გრიგალთან ომი იმით დავამთავრეთ, რომ ყინულში "ბინა" ამოვჭერით და ხუთივენი შიგ მოვთავსდით. არც ერთის თვალს ძილი არ ეკარება. "ყინულის სახლიდან" თავის ამოყოფაც კი შეუძლებელია. ჩემი სვანი მეგობრები მაინც ოხუნჯობენ და ერთხელ "ლილეოც" კი შემოსძახეს.

შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილენი შხელდის კედელზე

10 აგვისტოს ცენტრალური შხელდა ავიღეთ. მწვერვალზე ვიპოვეთ ალპინისტების მიერ დატოვებული წერილი. 11 აგვისტოს ცენტრალური შხელდის 150-მეტრიან შვეულ და უძნელეს დასავლეთ კედელზე დაშვება კვლავ ბუნების სტიქიონთან სასტიკ ბრძოლაში მოგვიხდა. გადავწყვიტეთ იმავე დღეს გადაგველახა აღმოსავლეთ შხელდის კედელიც. წინ ბექნუ ხერგიანი მიგვიძღვის. დაღამებისას ბზარებში ვასობთ რკინის პალოებს, მასში ვუყრით კარაბინებს, თოკს და ნელა მივიწევთ წინ. 300 მეტრი კედლის შვიდსაათიანი იერიშის შემდეგ, აღმოსავლეთ შხელდის მწვერვალზე საშინელი ქარი დაგვიხვდა. 12 აგვისტოს ორსაათნახევარი მოვანდომეთ კარვის დადგმას. მომდევნო ორ დღეს სახეში გვცემს სეტყვისებური ხოშკაკალი. გულშემზარავი ჭექა-ქუხილი ორ დღეს გრძელდება.

15 აგვისტო. უამინდობის მიუხედავად, ვეშვებით უშბის პლატოზე, ვძლევთ კლდოვან შვეულ ფერდობებს და ნელა მივიწევთ წინ 17 დღის უძნელესი ლაშქრობის შემდეგ. საღამოს პლატოზე დაგვხვდა ბესარიონ ხერგიანის დამხმარე ჯგუფი, რომელიც უხვად გაგვიმასპინძლდა.

მეორე დღეს ვაპირებთ წინსვლას, გუშინ მზეზე ვიწვებოდით, დღეს კი ნისლი ჩამოწვა. მხოლოდ 18 აგვისტოს მოვექეცით ჩრდილოეთ უშბის მწვერვალის კლდოვან მხარეს, 20 აგვისტოს კი დილიდანვე შევებით და 21 აგვისტოს უკვე უშბის ჩრდილო მწვერვალიდან დავეშვით უშბის დანისებური უნაგირისაკენ.

"ჩემი ნაცნობი ადგილი, აქ ხომ 1946 წელს ვიყავით! - გავიფიქრე უნაგირას მისადგომთან მისვლისას. მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სრულიად ვერ ვიცანი ის მიდამო, სადაც რამდენიმე წლის წინათ სამი კარავი გვედგა. საცალფეხო გასასვლელი რა არის, ისიც კი აღარ დარჩენილა! გულის მყინვარის მოძრაობამ თუ გამოიწვია ადგილის კონფიგურაციის შეცვლა.

"...უნაგირას ორივე მხარეს ორკილომეტრიანი უფსკრულებია. ამინდი უარესდება. მაგრამ იძულებულნი ვართ განვაგრძოთ გზა. ეს "გზა" კი მოგეხსენებათ როგორია: დანისებური უნაგირის ორივე მხარეს ვაკეთებთ ფეხის მოსაკიდებელ თხრილებს, ერთ მხარეს ერთ ფეხს დავდგამთ, მეორე მხარეს - მეორე ფეხს და ისე გავდივართ დაახლოებით 120 მეტრ მანძილს "თავბრუდამხვევ სისწრაფეში"... 2 საათში!

21 აგვისტო ჩვენი ლაშქრობის უძნელესი დღეა. უშბის კედელი უნდა გადავლახოთ. ხელსაყრელ პირობებშიც კი ჭირს მასზე ასვლა, ახლა კი თხილისოდენა სეტყვა და ნისლი წამოგვეწია.

წინ წაგვიძღვა ჭიჭიკო ჩართოლანი და კუნაპეტ ღამეში გვამხნევებს - ერთი თოკის გაშლა და შარაგზაც გამოჩნდებაო. ჩვენ ვერ ვხედავთ მას, მხოლოდ მისი სიტყვები გვესმის. საშინელ კლდეებზე თოკის გაშლას ბოლო არ უჩანს, ან რა უნდა შარაგზას უშბაზე? ყოველი მტკაველის დაძლევა ცხარე ბრძოლით გვიხდება. და აი, გაიელვა ჩართოლანის მიერ ნასროლმა მაშხალამ. მწვერვალზე ასვლის ნიშანია. ახლა კი სწრაფად ავიჭერით მწვერვალზე და ერთმანეთს გამარჯვება მივულოცეთ.

შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილენი მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, კაკო მარი, გოჯი ზურებიანი და ბექნუ ხერგიანი თბილისში

24 აგვისტო. სამშვიდობოს გამოვედით გულის მყინვარზე, სადაც დამხმარე ჯგუფები და შემხვედრნი გველოდებოდნენ. კვლავ უშხვანარში ვართ, საიდანაც ტრავერსის წინ გზა დაგვილოცეს და რომელიც გახდა ალპინიზმის ისტორიაში უძნელესი ტრავერსის მოწმე".

ჭიჭიკო ჩართოლანი - "ბუნების სტიქიასთან 26 დღის შეუპოვარი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. როცა გზას შხელდის ექვსკბილა მწვერვალებისაკენ მივიკვლევდით, ვძლევდით კლდოვან ფერდობებსა და ყინულით დაფარულ ტაფობებს, მთელი სისრულით გვქონდა შეგნებული, რომ მრისხანე მთებში გავლილი თითოეული მეტრი სახელსა და დიდებას მატებდა ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

არცერთი ნაბიჯი უკან! – ასეთი იყო ლაშქრობის ხუთივე მონაწილის მტკიცე გადაწყვეტილება. მიხარია, რომ მრისხანე მთები ქედს იხრიან ჩვენი მთამსვლელების ნებისყოფის წინაშე".

გოჯი ზურებიანი - "სიამოვნებით ვიგონებ კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე გატარებულ დღეებს. 24 წელიწადია ალპინისტი ვარ, 44 მწვერვალი დამიმარცხებია, მაგრამ ამდენი სიძნელე არასოდეს შემხვედრია. ამ რთული ტრავერსის დამთავრების შემდეგ, სოფელ ბეჩოში გულთბილი მიღება მოგვიწყეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. მესტიაში ლაშქრობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა. განსაკუთრებული სიყვარულით შეგვხვდნენ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები. ისინი გვილოცავდნენ პირქუშ მთებზე გამარჯვებას. მხურვალე მადლობა თბილისელებს!"

მაქსიმე გვარლიანი - "1934 წელს პირველად ავედი დალაყორაზე. მას შემდეგ მთელი გულით შევიყვარე მთამსვლელობა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიე. არაერთხელ გამიზიარებია ჩემი გამოცდილება დამწყები მთამსვლელებისათვის. ახალგაზრდები ილიკო გაბლიანი, დათიკო ფალიანი, რეჯებ ჯაფარიძე, ვალადი და შოთა ჩართოლანები, დევეთ რატიანი და სხვები გულმოდგინედ უსმენდნენ ჩემს ნაამბობს ყოველი ახალი მწვერვალის დაპყრობის შესახებ.

ქართველ მთამსვლელთა კინომემატიანე
კინოოპერატორი ბორის კრეპსი

შხელდა-უშბის ლაშქრობის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ვარ, ამიტომ განსაკუთრებით მახარებს ტრავერსის შედეგები.

ახალგაზრდა მთამსვლელმა დათიკო ფალიანმა, რომელსაც დაპყრობილი აქვს შვიდი სხვადასხვა მწვერვალი, შხელდა-უშბის ლაშქრობიდან დაბრუნებისას მითხრა: - თქვენმა წარმატებამ ფრთები შეგვასხა. ამგვარი ძნელი გადასვლებით ჩვენც გვსურს ვასახელოთ სამშობლო. ამ სიტყვებით მან სვანი ახალგაზრდების საერთო აზრი გამოხატა; მთამსვლელობა სვანეთში მასობრივი და ახალგაზრდობის საყვარელი სპორტი ხდება".

უნდა აღინიშნოს, რომ შხელდის დაკბილული მასივისა და უშბის ორივე მწვერვალის ცალ-ცალკე გავლა დღესაც საკმაოდ ძნელია, მთელი ტრავერსის გავლა კი ნამდვილი მიღწევაა. ამიტომაც იყო, რომ წარმატებით განხორციელებულმა შხელდა-უშბის ტრავერსმა წარუშლელი ფურცელი ჩაწერა ქართული მთამსვლელობის ისტორიაში, მთელი მთამსვლური სამყარო აალაპარაკა და საბჭოთა კავშირში წლის საუკეთესო ასვლადაც აღიარეს.

1950 წელს რეჟისორმა შოთა მანაგაძემ, ოპერატორებმა: ოთარ დეკანოსიძემ და ბორის კრეპსმა შექმნეს დოკუმენტური კინონარკვევი "შხელდა-უშბის ტრავერსი". მასალა ნაწილობრივ გადაღებული იყო ტრავერსის ჩატარების დროს, დანარჩენი კი იმავე შემოდგომით გადაიღეს შხელდა-უშბის მიდამოებში. ფილმმა მთელ საბჭოთა კავშირის კინოეკრანები მოიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

1952 წელს ქართველმა მთამსვლელებმა კვლავ გამოიჩინეს თავი და წარმატება იზეიმა საქართველოს ალპური კლუბის ორმა ჯგუფმა ტრავერსების კლასში. ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ალექსანდრე ნემსიწვერიძე (ხელმძღვანელი), ლევან და ზურაბ ახვლედიანები, ჯოკია და სოზარ გუგავები, გრიგოლ გულბანი, რამინ კვიციანი, გაიარა კავკასიონის ქედის მონაკვეთი წურუნგალიდან თეთნულდამდე, ხოლო მეორე გუნდის წევრებმა ბექნუ ხერგიანმა (ხელმძღვანელი), ილია გაბლიანმა, ბესარიონ ხერგიანმა, ჭიჭიკო

ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა შხარა-თეთნულდის ტრავერსი განახორციელეს. ორივე ტრავერსი იმ წელს მთელ საბჭოთა კავშირში საუკეთესო ასვლად შეფასდა.

რადგან ამ დროისათვის კავკასიონზე თითქმის ყველა რთული მწვერვალი (და არა მწვერვალების რთული კედლები – ი. ჯ.) "ათვისებული" იყო, ქართველ მთამსვლელთა შემდგომი წინსვლისათვის საჭირო გახდა ახალი გზების ძიება და რაკი მსოფლიოს სხვა ქვეყნების მთიანეთში გასვლა ამ პერიოდში შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა გუნდებმა, პამირ-ტიან-შანისაკენ გაიხედეს, სადაც დაიწყო სასიმაღლო ასვლა მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე ზ.დ. 6000 მეტრს აღემატებოდა.

1954 წლიდან საბჭოთა კავშირში საუკეთესო ალპინისტური ასვლებისა და საპრიზო ადგილებისათვის დაწესდა მედლების სამი კომპლექტი. ამ წელს ქართველ მთამსვლელთა ექსპედიცია ოთარ გიგინეიშვილისა და ალექსი ივანიშვილის ხელმძღვანელობით პირველად გაემგზავრა შორეულ პამირში. ქართულ ალპინიზმში ეს იყო ახალი - "სასიმაღლო" ეტაპის დასაწყისი. პირველივე წელს ქართველების ჯგუფმა (გრიგოლ გულბანი, კირილ კუზმინი, ალექსანდრე ნემსიწვერიძე) მაქსიმე გვარლიანის ხელმძღვანელობით, ენგელსის პიკის (6510 მ) გავლისათვის ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ალექსანდრე ნემსიწვერიძე, გრიშა გულბანი, ლევან ახვლედიანი, რამინ კვიციანი, სოზარ გუგავა

1955 წელი უფრო ბარაქიანი აღმოჩნდა ქართველი მთამსვლელებისათვის, კვლავ ოთარ გიგინეიშვილის საერთო ხელმძღვანელობით (მოადგილე ალექსი ივანიშვილი) მათ ოქროს და ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს პამირიდან. ოქრო სასიმაღლო კლასში მოიპოვეს იოსებ კახიანმა (ასვლის ხელმძღვანელი), ლევან ახვლედიანმა, ჯუმბერ მეძმარიაშვილმა და მიხეილ ხერგიანმა, რომელთაც ღარმოს მყინვარიდან საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე (7435 მ) განახორციელეს ასვლა. ამავე კლასში ვერცხლის მედალოსნები გახდნენ მაქსიმე გვარლიანი (ასვლის ხელმძღვანელი), ზურაბ ახვლედიანი, ჯოკია და სოზარ გუგავები, დიმიტრი ობოლაძე, რომლებიც პიკ როსიაზე (6852 მ) ავიდნენ.

იმავე წელს კაკო მარის ხელმძღვანელობით ბექნუ ხერგიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და ილია გაბლიანმა, რომლებიც კავკასიონზე დარჩნენ, სამხრეთ უშბას (4709 მ) შეუტიეს ჩრდილო-დასავლეთი კედლით და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

1956 წელს სასიმაღლო კლასში ქართველმა მთამსვლელებმა: ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, თეიმურაზ კუხიანიძემ, რევაზ ხაზარაძემ, ლევან და ზურაბ ახვლედიანებმა დიმიტრი ობოლაძის

ხელმძღვანელობით (ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. გიგინეიშვილი, მოადგილე ა. ივანიშვილი) პამირში, მოსკოვის პიკზე (6785 მ) პირველი ასვლა განახორციელეს და ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ.

1957 წელს ქართველი მთამსვლელები ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, აგი აბაშიძე, ილია გაბლიანი, ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. გიგინეიშვილი, მოადგილე ა. ივანიშვილი) პამირში, დარვაზის ქედის ტრავერსის დროს 7 მწვერვალზე ავიდნენ, რომელთა სიმაღლე 6000 მეტრს აღემატება; აქედან ექვს მწვერვალზე პირველასვლა განახორციელეს, ხოლო ღარმოს პიკზე (6615 მ) ახალი გზით ავიდნენ, რისთვისაც ტრავერსების კლასში ჩემპიონის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯუმბერ მეძმარიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: "ივლისის პირველი რიცხვებიდან ჩვენი ექსპედიცია თბილისიდან გავიდა. 16 ივლისს ტაჯიკეთის დედაქალაქ სტალინაბადში (1961 წლიდან დუშანბე – ი. ჯ.) ჩავფრინდით. ფეხით გადავლახეთ კალაიხუმის გადასასვლელი და მივაღწიეთ გეოგრაფიული საზ-ბის მყინვარის ენას, სადაც მოვაწყეთ ძირითადი ბანაკი.

ლევან ახვლედიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, იოსებ კახიანი, მიხეილ ხერგიანი

პამირზე წელს საერთოდ ცუდი ამინდები იყო. ხშირად თოვდა და საშინელი ქარბუქი იდგა. უამინდობის მიუხედავად შედარებით მოკლე დროში დავამთავრეთ მწვერვალზე ასასვლელი გზების დაზვერვა და საიერიშო ბანაკის მოწყობა. მოიერიშეთა ჯგუფში შედიოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი, სპორტის ოსტატი ლევან ახვლედიანი, პირველთანრიგოსნები თეიმურაზ კუხიანიძე, გიორგი (აგი) აბაშიძე, ზურაბ ახვლედიანი, რევაზ და ოთარ ხაზარაძეები, ილიკო გაბლიანი.

ყინულვარდნილის გადალახვის შემდეგ ჯგუფი გავიდა ღარმოს მწვერვალიდან გამომავალი ერთ-ერთი გვერდითი ქედის ძირას, სადაც ანეროიდი 4300 მეტრს უჩვენებდა. აქ გაიშალა საიერიშო ბანაკი, საიდანაც ჯგუფმა 5 აგვისტოს დაიწყო ტრავერსი.

იერიშის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჯგუფმა განვლო დათოვლილი კედელი და მოექცა ქედზე, რომელზეც თოვლისა და ყინულის ლავგარდანები გადმოკიდულიყო. მოძრაობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ჯგუფი გაჰყვა ქედს და მიადგა ღარმოს მწვერვალს. ამ მწვერვალზე 1947 წელს პირველად ავიდნენ მოსკოველი მთამსვლელები,

მაგრამ ახალი გზა, რომლითაც ჩვენმა ჯგუფმა მოაწყო ასვლა, ბევრად უფრო რთული და ძნელი აღმოჩნდა.

ღარმოზე ასვლის შემდეგ სამი მთამსვლელი (თიკანაძე, მირიანაშვილი, ბერაძე) ძირითად ბანაკში დაბრუნდა. ათმა კვლავ განაგრძო ძნელი და რთული გზა. ჯგუფი მიდიოდა ძლიერ ქარბუქში, ზვავების საშიშროების პირობებში, ხანდახან ფხვიერ თოვლში, სადაც მუხლამდე ეფლობოდნენ. ბევრგან საჭირო შეიქმნა საფეხურების ამოჭრა და ყინულის პალოების ხმარება. ამ სიძნელეების მიუხედავად მოიერიშეთა ჯგუფმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ალპინიზმის ისტორიაში კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა.

ქართველ ალპინისტთა ტრავერსი გადაიღეს კინოოპერატორმა ბორის კრეპსმა და ასისტენტმა თ. მერკვილაძემ".

ტაჯიკეთის მაღალმთიან მწვერვალებზე ქართველ მთამსვლელთა სტუმრობა იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ პამირის სამ უსახელო მწვერვალს მათ ტაჯიკეთის კლასიკური პოეზიის ფუძემდებლის რუდაქის, ტაჯიკეთის ლიტერატურის ფუძემდებლის აინისა და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის სახელი მიანიჭეს, რამაც ტაჯიკი ხალხი დიდად გაახარა. ტაჯიკეთის მაშინდელი დედაქალაქი სტალინაბადი კი აღტაცებით შეეგება ჩვენ მთამსვლელებს და საქართველოში ყვავილების თაიგულებით გამოაცილა.

საინტერესო იყო აღნიშნული ტრავერსის მონაწილის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ბექნუ ხერგიანის კომენტარი:

"მოიერიშე ჯგუფში მეც ვიყავი. მართალია, თითქმის ნახევარი საუკუნე მაწევს ზურგზე, მაგრამ პამირის ექსპედიციით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ალპინიზმმა სიბერე არ იცის. მახსენდება განვლილი დღეები, ორნახევარი ათეული წელი მთაში ყოფნა, 123 მწვერვალის დალაშქვრა.

ზურაბ ახვლედიანი

კავკასიონი თავისი მწვერვალებით აღიარებულია როგორც ძნელი, ურთულესი მისადგომი, მაგრამ ალპინიზმი მარტო ასვლათა სიძნელით როდი განისაზღვრება. ახლა ქართველ ალპინისტებს კურსი ძირითადად სიმაღლოვან ტრავერსებზე აქვთ აღებული, რასაც თავისი გამართლება და მიზანი აქვს. ჩვენ მუხლმაგარ, ნიჭიერ ახალგაზრდობას როდი აკმაყოფილებს ექვსიათასიანები, ისინი მზად არიან იერიში მიიტანონ რვაათასიან მწვერვალებზე.

მეგობარი ბრძოლასა და გაჭირვებაში იცნობა. მთაში კი, როდესაც ხიფათი ყოველ წუთსაა მოსალოდნელი, მეგობრობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემს ახალგაზრდა თანამემამულეებთან და სპორტულ მეგობრებთან პამირში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სვანეთში, "მეზობელ" უშბასთან. გული მერჩის, ერთხელ კიდევ მსურს გავსინჯო მუხლის ძალა".

დარვაზის ქედის ტრავერსის კიდევ ერთი მონაწილე, ცნობილი მთამსვლელი, სსრკ არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი ზურაბ ახვლედიანი, რომელსაც წიგნზე მუშაობის დროს შევხვდი და ვთხოვე დარვაზის ქედის ტრავერსის შესახებ მოეთხრო, ცოტა ხანს მაცალეო მითხრა და რამდენიმე ხნის შემდეგ ასე დაიწყო საუბარი:

"ხანში შესულ მთამსვლელს აღარაფერი დამრჩა მოგონებების გარდა. მოგონებებისა, რომლებიც ჩვენ სულიერად გვამხნევებს და რაც მთავარია, ახალგაზრდებისთვისაა საჭირო და სამაგალითო.

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა ლეჩხუმის სკოლის მოწაფეებს გამოგვიცხადეს, რომ ექსკურსიაზე წაგვიყვანდნენ ხვამლზე. ხვამლზე ბევრი ლეგენდა მსმენოდა და რა თქმა უნდა ჩემ თანაკლასელებთან ერთად დიდი სიხარულით წავედი. ხვამლთან მისულებმა გავიგეთ, რომ

მთის წვერზე სხვა მთამსვლელებთან ერთად ალიოშა ჯაფარიძე იმყოფებოდა და ხვამლის გამოქვაბულში უნდა დაშვებულიყო. ისინი რომ მთის წვერიდან დაეშვნენ და ხვამლის გამოქვაბულში შევიდნენ, ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მიზნად დავისახე მთამსვლელი გავმხდარიყავი.

ამ პერიოდში, ჩემი უფროსი დეიდაშვილი ლევან ახვლედიანი მთამსვლელობაში ვარჯიშობდა და ჩემი მიზნების განხორციელებაში ალიოშა ნემსიწვერიძესთან ერთად მანაც დიდი მონაწილეობა მიიღო. სწორედ მათი რჩევით წავედი ბაქსანის ხეობაში, ალპინისტურ ბანაკში, სადაც მთამსვლელობის ანა-ბანა ვისწავლე და მესამე თანრიგოსანიც გავხდი. მას შემდეგ არაერთ მწვერვალზე შევდგი ფეხი.

ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით ვიგონებ სახელოვან მთამსვლელსა და შესანიშნავ პიროვნებას, მრავალი მთამსვლელის აღმზრდელსა და გზაზე დამყენებელს, არაერთი ექსპედიციისა და ასვლის ხელმძღვანელს ალექსანდრე ნემსიწვერიძეს, რომელსაც კავკასიონსა და პამირში მრავალი მწვერვალი ჰქონდა დალაშქრული და ჩემი პირველი სერიოზული ასვლაც მის სახელს უკავშირდება.

1952 წელს ალიოშა ნემსიწვერიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა წურუნგალა-თეთნულდის ტრავერსი, რომელშიც ჩემ გარდა მონაწილეობდნენ ლევან ახვლედიანი, რამინ კვიციანი, გრიგოლ გულბანი, სოზარ და ჯოკია გუგავები. ეს ტრავერსი საბჭოთა კავშირში წლის საუკეთესო ასვლად აღიარეს.

მახსენდება 1954 წელი, ქართველ მთამსვლელთა პირველი გასვლა პამირის მთიანეთში და პირველი სასიმაღლო ასვლები უსახელო მწვერვალზე, მარქსისა და ენგელსის პიკებზე. მარქსის პიკის მისადგომების დაზვერვის დროს, მაქსიმე გვარლიანის ხელმძღვანელობით, გრიგოლ გულბანმა და კირილ კუზმინმა 6300 მ სიმაღლის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი დალაშქრეს, რომელსაც პირველამსვლელთა უფლებით, ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის გიორგი ნიკოლაძის სახელი უწოდეს. ასევე დაუვიწყარია ჩემთვის 1957 წელი, როცა პამირში გაემგზავრა ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო დარვაზის ქედის ტრავერსი. ექსპედიცია, ძირითადად, წინა წლების სასიმაღლო ესპედიციებში მონაწილე მთამსვლელებით დაკომპლექტდა: ოთარ გიგინეიშვილი - ექსპედიციის ხელმძღვანელი, ალექსი ივანიშვილი - ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, მოიერიშე ჯგუფი: ჯუმბერ მეძმარიაშვილი (ხელმძღვანელი), სპორტის დამსახურებული ოსტატები ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი, სპორტის ოსტატები დიმიტრი ობოლაძე და ლევან ახვლედიანი, პირველთანრიგოსნები ზურაბ ახვლედიანი, ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, გიორგი აბაშიძე, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, გურამ თიკანაძე, სათადარიგო იყო გიორგი მაჭარაშვილი, კინოოპერატორი ბორის კრეპსი, ასისტენტი თ. მერკვილაძე, ჟურნალისტი უშანგი ჭიჭინაძე, ექიმი-ქირურგი გ. მენაბდე. სასიმაღლო ასვლებში პირველად მონაწილეობდა 7 მთამსვლელი, მათ შორის უკვე სახელმოხვეჭილი ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, ილია გაბლიანი, ახალგაზრდებიდან ოთარ ხაზარაძე, გიორგი აბაშიძე, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე.

ტაჯიკეთის მაშინდელ დედაქალაქ სტალინაბადში ჩასულებს, კულტურისა და დასვენების პარკში საჭიდაო სარბიელი დაგვხვდა გამართული, სადაც გარდა ადგილობრივი, ცნობილი მოჭიდავეებისა, ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობა. გაგვაცნეს მოჭიდავეები, რომელთა შორის იყო თავისუფალ ჭიდაობაში ტაჯიკეთის ცნობილი ფალავანი საშუალო წონაში, გვარად ალიევი, რომელმაც რამდენიმე შეხვედრა ზედიზედ მოიგო. ორი-სამი წყვილის შეხვედრას რომ ვუყურეთ, გიორგი მაჭარაშვილმა, მეგობრები ცაცოს რომ ვეძახდით და ადრე საქართველოს ჩემპიონი იყო ქართულ ჭიდაობაში, მსაჯს ნებართვა სთხოვა ალიევთან ეჭიდავა. მსაჯი ჯერ შეყოყმანდა - ხომ არ ხუმრობსო, მაგრამ როდესაც დარწმუნდა გიორგი არ ხუმრობდა, დათანხმდა. ამ შეხვედრის შესახებ ხმა დაირხა თუ არა, - ალიევი ქართველს ეჭიდავებაო, უამრავი ხალხი შემოეჯარა ნახერხიან საჭიდაო მოედანს. ჭიდაობის დაწყებამდე ალიევს ეგონა, მის წინ ახალბედა მოჭიდავე იდგა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს ასე არ იყო. გიორგი

შეტევას შეტევაზე ახორციელებდა და რამდენჯერმე ბეჭებით გააკრა ტაჯიკების ფალავანი, მაგრამ ცაცოს გამარჯვებას არ უთვლიდნენ და ხელახლა აწყებინებდნენ შერკინებას. ბოლოს გაბრაზებულმა ცაცომ ალიევი ფეხებით მაღლა ასწია და თითქოს მიწაში ლურსმანს არჭობსო, ისე "აჭედებდა" თავით ნახერხიან მოედანზე ამ ცნობილ მოჭიდავეს. ალიევი რომ მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ხალიჩიდან ისე გაიპარა, თვალი აღარავის მოუკრავს. მსაჯებმა, როგორც იქნა, გამარჯვება ცაცოს მიაკუთვნეს. გათამამებულმა გიორგიმ ითხოვა, კიდევ ვინმე გამოეყვანათ მის წინააღმდეგ, მაგრამ მსურველი აღარავინ აღმოჩნდა. გიორგის ეს გამარჯვება ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარი იყო.

ექსპედიციის ძირითადი ჯგუფი, მთელი საჭურვლითა და დაახლოებით ორი თვის პროდუქტით, კალაიხუმის უღელტეხილით გადავიდა პიანჯის ხეობაში, გაჰყვა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სახელმწიფო საზღვარს და შემდეგ ვანჩის ხეობაში შეუხვია. ვანჩის ხეობა უკვე მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაა, ხეობა საკმაოდ მწირია და ნაკლებად დასახლებული.

ვანჩის ხეობა საერთოდ კარგი და მყარი ამინდის მხარედ ითვლება, ჩრდილოეთიდან აქ იშვიათად იჭრება ღრუბელი. ალაის, იმიერალაის, პეტრე პირველის, აკადემიისა და დარვაზის ქედები, რომელთა თხემების სიმაღლე 6300 მეტრს აღწევს, საიმედო საფარია, მაგრამ იმ წელს, აქ მოსვლის პირველ დღეებში მწვერვალებიც კი ვერ დავინახეთ რიგიანად, ნისლის სქელი ფენა გამუდმებით ფარავდა დარვაზის ქედს".

ჩვენ ბ-ნ ზურაბ ახვლედიანთან საუბარი აქ დავასრულეთ, მაგრამ ტრავერსის შემდგომი მოვლენების აღწერას განვაგრძობთ ექსპედიციის ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ოთარ გიგინეიშვილის მონათხრობით, რომელიც თბილისში დაბრუნებისთანავე გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და სწორედ ამ პუბლიკაციებიდან გთავაზობთ ამონარიდებს:

"...30 ივლისს მყინვარის დასაზვერად მიდიან ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, დიმიტრი ობოლაძე და ზურაბ ახვლედიანი. მათი ამოცანაა დღესვე იპოვონ გასასვლელი გზა ყინულის პირველ ჩანჩქერზე. ეს ჩანჩქერი ჩანს ჩვენი ბანაკის მიდამოებიდან, დასერილია ხშირი ნაპრალებით და ტალღისებური ყინულით. ჩანჩქერის თავზე მყინვარი ვარდება, უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ეფარება ერთ-ერთ გვერდით ქედს.

დღის მეორე ნახევარში... თოვა დაიწყო. ყინულის ჩანჩქერი ღრუბელმა დაფარა. ზვავთა ხმაური გახშირდა. "მზვერავები" კი არსად ჩანდნენ. ვუყურებ საათს, ისარი უახლოვდება რვას. რვა საათზე ამოიწურება დათქმული საკონტროლო დრო და მაშინ მაშველი ჯგუფი უნდა გავიდეს ყინულის ჩანჩქერისაკენ დასახმარებლად. მაშველი ჯგუფი სწრაფად გაემზადა და სწორედ მაშინ, როდესაც საათი ზუსტად რვას გვიჩვენებდა, ზევიდან, თოვლის ფარდის მიღმიდან მოისმა ხმა, ჯერ სუსტი, მერე ძლიერი და ჩვენი მზვერავებიც გამოჩნდნენ. უცებ მიეცა დავიწყებას ჩვენს მიერ განცდილი შიში, ახლა მხოლოდ ამბავი გვაინტერესებს. ამბავი კი ასეთი იყო: პირველი ყინულის ჩანჩქერი გასავლელად რთულია და რაც მთავარია, საშიში - ყინული გამუდმებით ინგრევა. ჩანჩქერის თავზე, გავაკებაზე ბანაკისათვის არის ადგილი, მაგრამ ისიც არ არის უხიფათო. მყინვარი ჩაკეტილია ვიწრო კალაპოტში და ორივე მხრით ქედები კედლად აკრავს.

იმ ავდრიან საღამოს კვლავ ვიხილეთ პამირის ახალი საოცრება. ძლიერად თოვდა, სქელი ნისლი იდგა და უცებ, სულ რამდენიმე წუთში თოვა შეწყდა, ნისლი აიკეცა და ისე მოიწმინდა ცა, რომ აღარ იყო არც ერთი ნაფლეთი ღრუბელი. ყველა გაოცებული გამოვიდა კარვებიდან, სადაც რამდენიმე წუთის წინ ავდარს აფარებდნენ თავს.

3 აგვისტოს ყველანი, ვინც კი ვიყავით მეორე საშუალედო ბანაკში, უზომოდ დატვირთულები გავემართეთ მესამე ბანაკისაკენ. ირგვლივ ყინულის მთები გახშირდა. ზოგი მათგანი ისარივით ცისკენ აჭრილა, ზოგი თავჩაქინდრული დგას, ზოგსაც მტირალ ხესავით ჩამოუყრია ყინულის ლოლუები. ყინულის ლოლუა მზის სხივებში შეუდარებელი რამ არის, მაგრამ საფრთხილოც. ზოგი მათგანი ასეულ კილოგრამს იწონის და ოდნავ მიკარებაზე წყდება. ყინულის ჩანჩქერის დასაწყისშივე ერთი ყინულის ლავგარდანი ჩამოიშალა და

მხოლოდ რაღაც განგებით აგვცდა. სამ თოკად დავიყავით. წინა თოკის თავში ზურაბ ახვლედიანია - ადამიანი, რომელიც არ იღლება. ის ერთნაირი სიმარდით დადის დილით და საღამოთი, ექსპედიციის დასაწყისში და ექსპედიციის დასასრულს. ახლაც მტკიცედ მიაბიჯებს ზურაბი, ძლიერი დარტყმებით ჭრის საფეხურებს, მოძრაობს თავისუფლად, არ იმჩნევს თავის ზურგჩანთას, თითქოს მძიმე ზურგჩანთა კი არა, ბუმბულის ბალიში აქვს აკიდებული. ყინულის დერეფანში შევედით. ორივ მხრივ ყინულის მაღალი კედლებია, წინაც კედელი! ჩიხია, მაგრამ კედელში ჩვენებს წინა ამოსვლისას ვიწრო ხვრელი ამოუჭრიათ. ზევიდან კი ლოლუებიანი ყინულის ლავგარდანია გადმოკიდებული. მეტად არასაიმედო ნაგებობაა. ზურაბმა ორიოდე საფეხური ამოჭრა, აიწია ხვრელამდე და თავი გაყო. ცალი თვალით გახედა ლავგარდანს და რკალში გაძრომა დააპირა, მაგრამ ზურგჩანთა არ გაეტია, გამოედო ყინულს და მთელი კედელი ლავგარდანიანად შეირყა. კიდევ ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და ყინულის კედელი ლოლუებით და ლავგარდანით ზურაბთან ერთად გადაეშვებოდა ღრმა ნაპრალში. ყველამ ერთხმად შევძახეთ და შეძახილი იმდენად ძლიერი გამოვიდა, რომ ჩვენ თვითონვე შევკრთით. ასეთ ადგილებში, სადაც შეიძლება ზვავი წამოვიდეს ან ლავგარდანი ჩამოინგრეს, ხმამაღალ ლაპარაკსაც უნდა ვერიდოთ. ბგერით შექმნილმა ჰაერის ტალღამაც კი შეიძლება გამოიწვიოს თოვლის ზვავები ან ლავგარდანის ჩამონგრევა.

ზურაბი უკანვე ეშვება, წერაყინის ნელი დარტყმით აფვართოებს კედელში ამოჭრილ რკალს და შემდეგ ფრთხილად გადის. მას დანარჩენები მიჰყვებიან. როგორც იქნა, ყველა სამშვიდობოსაა.

ძნელი, ძალიან ძნელი გზა უდევს ჯგუფს წინ, მაგრამ გამარჯვების რწმენა მტკიცე გვაქვს. უნებლიედ მოგვაგონდა სულ ახლო წარსული, 1954 წელს, როდესაც პირველად ვეწვიეთ პამირს, მაშინ ჩვენთვის სრულიად უცნობ სამყაროს. ბევრი გაგვეგონა მაღალი მთების შესახებ, მაგრამ არც ერთი არ ვიყავით იალბუზზე უფრო მაღალი მთის მნახველი. მახსოვს როგორი გულის ძგერით, შეშფოთებით ვუყურებდით 6000 მეტრის სიმაღლის მწვერვალს, რომელიც პირველად დავინახეთ ჩვენს სიცოცხლეში, როგორ ვღელავდით, როდესაც პირველად გადავედით იალბუზის სიმაღლის ზღვარს და როგორ შეგვეხუთა სული, როდესაც არ გვეყო ჟანგბადი და შევიგრძენით ჩვენთვის სრულიად ახალი გრძნობა - ჰაერის წყურვილი და ვინატრეთ წყარო, მხოლოდ არა წყლის სახით, არამედ ჰაერის წყარო, რომ ერთი შესუნთქვით დავნაყრებულიყავით ჰაერით.

ახლა კი თითქოს ყველაფერი ოდითგანვე ცნობილია ჩვენთვის, აღარ გვაკვირვებს მაღალი მწვერვალები, არა თუ გვაკვირვებს, არამედ 6000 მეტრზე უფრო დაბალ მწვერვალს მწვერვალადაც კი აღარ ვთვლით. გაიზარდნენ და დავაუკაცდნენ ჩვენი მთამსვლელებიც, მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელნი სიმაღლოვან ასვლებში. ჯუმბერი (მეძმარიაშვილი) უკვე მოითვლის ისეთ მწვერვალებს, როგორიც არის მარქსის, სტალინის (ამჟამად კომუნიზმის), მოსკოვის სახელობის და მრავალი სხვა მწვერვალი. ასევე მრავლად აქვს მწვერვალები დალაშქრული ლევან ახვლედიანს. ამ მხრივ მათ ფეხდაფეხ მიჰყვება ზურაბ ახვლედიანი. შესანიშნავი მონაცემები გამოავლინეს შარშან მოსკოვის სახელობის მწვერვალზე ასვლის დროს თეიმურაზ კუხიანიძემ და რევაზ ხაზარაძემ. ეს გვაძლევს უფლებას ისე, როგორც არც ერთ სხვა ჯგუფს, ვიყოთ დარწმუნებული მომავალ წარმატებაში, მაგრამ არა მარტო ეს ხუთეული, არამედ დანარჩენებიც, რომლებიც მართალია პამირზე პირველად არიან, იძლევიან გამარჯვების სრულ იმედებს.

წელს ჩვენს ექსპედიციაში კვლავ მონაწილეობენ მესტიელი მთამსვლელები. ჩვენი წარსული ექსპედიციების წევრები ყოველთვის დიდი მადლობის გრძნობითა და პატივისცემით მოიგონებენ მესტიელი მთამსვლელების, სპორტის დამსახურებული ოსტატის მაქსიმე გვარლიანის, სპორტის ოსტატების იოსებ კახიანისა და მიხეილ ხერგიანის ღვაწლს ქართველი მთამსვლელების მიერ პამირის კვლევისა და ათვისების საქმეში. ახლა კი მესტიიდან ჩვენთან არიან ცნობილი ქართველი მთამსვლელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი და ილია გაბლიანი. პირველმა ორმა ივანე (კაკო) მართან

ტრავერსით გაიარეს შხელდისა და უშბის უძნელესი მწვერვალები და უშბის შვეული დასავლეთის კედელი. ამ ასვლაში მათთან იყო აგრეთვე ილია გაბლიანი.

მოიერიშე ჯგუფის ახალგაზრდობა ოთარ ხაზარაძე, გიორგი აბაშიძე, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე და გურამ თიკანაძე აღზრდილნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინიზმის სექციაში. ალპინიზმი მათ 1952-1953 წლებში დაიწყეს უნივერსიტეტის ალპინიადებში და მიუხედავად ხანმოკლე დროისა, უკვე აქვთ კავკასიონზე აღებული ისეთი ძნელი და სახელმოხვეჭილი მწვერვალები, რომლებიც დაამშვენებდნენ ყოველ უძლიერეს და გამოცდილ მთამსვლელის ბიოგრაფიას".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველ მთამსვლელთა ეს მიღწევა ტრავერსების კლასში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებით შეფასდა.

1958 წელს ქართველი მთამსვლელები: დიმიტრი ობოლაძე (ხელმძღვანელი), დიმიტრი დანგაძე, ოთარ კაპანაძე, ავთანდილ ძიძიგური შხარაზე სამხრეთის კედლით ავიდნენ და ტექნიკურად რთული ასვლის კლასში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ამავე წელს კავკასიონზე, ფასის მთა-აილამა-წურუნგალა-შხარა-ჯანღის ტრავერსისათვის, ტრავერსების კლასში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ქართველმა მთამსვლელებმა ჯოკია და სოზარ გუგავებმა, გრიგოლ გულბანმა (ხელმძღვანელი), გურამ თიკანაძემ.

1959 წელს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასვლას გეგმავდნენ. ქართველ მთამსვლელებს ნებართვა და მოწვევა ჰქონდათ ნეპალის მეფის მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევასაგან, რომელიც წინა წელს მეუღლესთან ერთად ესტუმრა საქართველოს და გაიცნო ქართველი მთამსვლელები. ნაკრები გუნდის კანდიდატები იყვნენ: აგი აბაშიძე, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, პირიბე გვარლიანი, ჯოკია გუგავა, თეიმურაზ კუხიანიძე, გიორგი მაჭარაშვილი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, შოთა მირიანაშვილი, ნოდარ ნადირაშვილი, დიმიტრი ობოლაძე, ილია ყავლაშვილი, ჭიჭიკო ჩართოლანი, სოლიკო ხაბეიშვილი, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები და მიხეილ ხერგიანი. მიხეილ ხერგიანი იმავე დროს, იოსებ კახიანთან ერთად საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ნაკრებ გუნდშიც ირიცხებოდა, რომელსაც ჩინელ მთამსვლელებთან ერთად, ტიბეტის მხრიდან უნდა განეხორციელებინა ასვლა ევერესტზე. სამწუხაროდ, ტიბეტში პოლიტიკური ვითარების გართულებისა და სხვა მიზეზების გამო, საკავშირო ფედერაციისაგან ორივე გუნდს უარი ეთქვა გამგზავრებაზე. 1960 წელს საქართველოს ალპური კლუბის გუნდმა ლევან ახვლედიანის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძის, ჯოკია და სოზარ გუგავების, ბექნუ ხერგიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, ილია გაბლიანის, ზურაბ ახვლედიანისა და ომარ ბერაძის შემადგენლობით, პამირში, ზულუმართისა და იმიერალაის ქედის ტრავერსისათვის, ტრავერსების კლასში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

ექსპედიციის ხელმძღვანელი ლევან ახვლედიანი ასე აფასებდა ქართველ მთამსვლელთა ამ წარმატებას: "შემთხვევით როდი უწოდებენ ალპინიზმს მამაცთა სპორტს. მწვერვალებზე ასვლას, ტრავერსებს ხომ საქმის ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ნებისყოფა, სიმტკიცე და, რაც მთავარია, მეგობრობა სჭირდება.

ალპინიზმის ისტორიის მატიანეში საქართველოს მთამსვლელებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ. რაოდენ სასიხარულოა, რომ მას კიდევ ერთი სასახელო ფურცელი შეემატა პამირში ზულუმართისა და იმიერალაის ქედების ტრავერსით.

საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასიმაღლო ექსპედიციის მთამსვლელთა ჯგუფმა, რომლის ხელმძღვანელობა მე მქონდა დაკისრებული, შეძლო ტრავერსის წარმატებით დამთავრება. ეს ადვილი საქმე როდი იყო. მარტო მოსამზადებელი მუშაობისათვის 20 დღეზე მეტი დაგვჭირდა, ხოლო ტრავერსს 10 დღე მოვუნდით".

გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ჯუმბერ მეძმარიაშვილი ქართველ მთამსვლელთა პამირში ასვლების შესახებ საგაზეთო ინტერვიუში ამბობდა: "ზედიზედ 7 წლის განმავლობაში, დაწყებული 1954 წლიდან, ჩვენს სიმაღლოვან გუნდს იერიში მიაქვს ჭაღარა პამირის მწვერვალებზე. ამ წლებში ჩვენ დავიპყარით ბევრი ძნელად მისადგომი ბუმბერაზი,

როგორიც არის სტალინის, მოსკოვის, ენგელსის პიკები, დარვაზის ქედი და სხვ. ამ წარმატებებისათვის ჩვენმა გუნდმა ორჯერ მიიღო ოქროს და სამჯერ ვერცხლის მედლები.

მიმდინარე წელმა კიდევ ერთი გამარჯვება მოგვიტანა - გავიარეთ ზულუმართისა და იმიერალაის ქედების 13 მწვერვალი, მათგან ყველაზე დაბალი 6100 მეტრ სიმაღლეს აღწევს, ყველაზე მაღალი ლენინის პიკი კი - 7134 მეტრს.

საბაზო ბანაკი მოვაწყეთ ოქტომბრის მყინვარის ენასთან 4200 მეტრ სიმაღლეზე.

17 აგვისტოს ავედით ლენინის პიკზე, 18-ში და 19-ში გავიარეთ კიდევ ორი მწვერვალი – რაზდელნაია და ძერჟინსკის პიკი, შემდეგ დავეშვით კომანის მყინვარზე და ამით დავამთავრეთ ტრავერსი.

"პობედის" მასივი. მარჯვნივ მწვ. ვაჟა ფშაველა

...ჩვენ ბევრი რამ ვთქვით მოიერიშეებზე, რომლებმაც გაიარეს ეს ტრავერსი, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმ ადამიანზე, რომელმაც ხელი შეუწყო ამ საქმის წარმატებას. ექსპედიციის წარმატება ხომ მთებში გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე მზადდებოდა. ეს ადამიანია ექსპედიციის უფროსის მოადგილე გივი ყალაბეგიშვილი, რომელმაც ბევრი ძალა და ენერგია მოახმარა ამ საქმეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე თსუ-ის დოცენტის ოთარ გიგინეიშვილის დახმარება. მან ექსპედიცია გააცილა ძირითად ბაზამდე და ადგილზე დაეხმარა ექსპედიციის ხელმძღვანელობას ტრავერსის სწორი ტაქტიკური გეგმის შემუშავებაში.

საგაზეთო სტატიის ფარგლებში ძნელია აღვწეროთ ჩვენი დამხმარე ჯგუფის მუშაობა. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ალპინიზმში კოლექტივი წყვეტს ყველაფერს"...

იმავე 1960 წელს მეორე გუნდმა კავკასიონზე, ოთარ ხაზარაძის (ხელმძღვანელი), ნოდარ ნადირაშვილის, გიორგი ბერძენიშვილის, გიორგი მანაგაძის, ავთანდილ ძიძიგურისა და შოთა მირიანაშვილის შემადგენლობით, ტექნიკურ კლასში ჯანღაზე სამხრეთის კედლით ასვლისათვის ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

1961 წელს ქართველმა მთამსვლელებმა დიმიტრი ობოლაძემ (ხელმძღვანელი), გიორგი (გოგი) ჯაფარიძემ, გიორგი დევიძემ, ვახტანგ კვაჭაძემ, ვალერი გაბელაშვილმა და იასონ ბერუაშვილმა, საკმაოდ რთული მაზერი-უშბა-შხელდის ტრავერსისათვის ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

ამავე წელს, საქართველოს ნაკრებმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. გიგინეიშვილი, მოადგილე ა. ივანიშვილი) ტიან-შანში, მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალ "პობედაზე" (7439 მ) ახალი გზით ასვლა დაგეგმა. საქართველოს საუკეთესო მთამსვლელთა ერთ ჯგუფს მიხეილ ხერგიანის, მიხეილ ხერგიანი-უმცროსის, ილია გაბლიანის, კირილ კუზმინის, თეიმურაზ კუხიანიძის შემადგენლობით, ჯუმბერ მეძმარიაშვილი ხელმძღვანელობდა. მწვერვალის მისადგომებთან, ქედზე ავად გახდა მიხეილ ხერგიანი-უმცროსი, რომელთანაც უფროსი მიხეილი დარჩა. დანარჩენმა ოთხეულმა კი "პობედა" დალაშქრა, მაგრამ უკან დაბრუნებისას უამინდობის გამო ილია გაბლიანსა და თეიმურაზ კუხიანიძეს "ცივი ღამისთევა" (კარვის გარეშე – ი. ჯ.) მოუხდათ. ცუდად გახდა ილია, რომელსაც თეიმურაზმა ყინულის გამოქვაბული გამოუთხარა, შიგ მეგობარი მოათავსა, თვითონ კი გადაეფარა და ამ დროს მოეყინა ხელ-ფეხი.

სამწუხაროდ, გადაციების გამო ილია გაბლიანი გარდაიცვალა, რომელიც მწვერვალის ქედზე დაკრძალეს, რადგან მისი დაბლა ჩამოყვანის არავითარი საშუალება არ იყო. დაშვებისას კვლავ ტრაგედია დატრიალდა: დაიღუპნენ თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი, რის შესახებაც დეტალურად გვიამბობს ამ ექსპედიციის მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი, ცნობილი მთამსვლელი, სპორტის საპატიო ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ ხაზარაძე: "48 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალ "პობედაზე" ტრაგედია დატრიალდა და დაიღუპნენ საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ბრწყინვალე წარმომადგენლები: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე და ილიკო გაბლიანი.

მე, როგორც ამ ტრაგედიის მონაწილესა და თვითმხილველს, მინდა 48 წლის შემდეგ გავიხსენო და თქვენც შეგახსენოთ იმ დღეების გმირული შემართებისა და წარმოუდგენელი ტრაგედიის ისტორია, რომელიც ჩემ დღიურებს ეყრდნობა.

ვიდრე ამ ისტორიაზე გიამბობთ, მანამდე მოკლე ექსკურსს შემოგთავაზებთ "პობედაზე" ასვლებთან დაკავშირებით.

"პობედა" (7439 მ) ყირგიზეთისა და ჩინეთის საზღვარზე, კოკშაალათაუს ქედზე მდებარეობს. იგი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე შვიდიათასიანი მწვერვალია და მკაცრი კლიმატური პირობებით ხასიათდება (დაბალი ტემპერატურა, ძლიერი ქარები, დიდთოვლობა).

მწვერვალის აღმოჩენის ისტორია ასეთია: 1938 წელს ამ რაიონს ეწვია და ჩრდილო-აღმოსავლეთ თხემზე ავიდა ჯგუფი, ტიან-შანის ცნობილი მკვლევრის, პროფესორ ავგუსტ ლეტავეტის ხელმძღვანელობით. მაშინ მწვერვალს სახელი არ ჰქონდა და არავინ იცოდა, რომ იგი რაიონის უმაღლესი მწვერვალი იყო. 1943 წელს ეს მთიანი რეგიონი შეისწავლა ტოპოგრაფთა ჯგუფმა რასაპოვის ხელმძღვანელობით. დაადგინეს, რომ ესაა აღნიშნული მთიანი სისტემის უმაღლესი წერტილი და "პობედა" უწოდეს.

"პობედამ", ჰიმალაების მწვერვალ ნანგაპარბატის მსგავსად, სახელი გაითქვა თავისი "მუხანათობით" და 1960 წლისათვის მასზე დაღუპულთა რიცხვმა 24-ს მიაღწია. ყველაზე ტრაგიკული 1955 წელი აღმოჩნდა, როდესაც მასზე 11 უზბეკი მთამსვლელი დაიღუპა (12 მოიერიშე მთამსვლელიდან მხოლოდ ერთი გადარჩა). ჯგუფს შიპილოვი ხელმძღვანელობდა. 1960 წელს მწვერვალზე კრახი განიცადა პროფკავშირებისა და თურქმენეთის ერთობლივმა ექსპედიციამ კირილ კუზმინის ხელმძღვანელობით. ჯგუფი პირველი გასვლისთანავე ზვავში მოჰყვა და 10 მთამსვლელი დაიღუპა.

ამ ტრაგიკულ მომენტებს იმიტომ აღვნიშნავ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ რა მუხანათ მწვერვალთან ჰქონდათ საქმე ქართველ მთამსვლელებს, როდესაც საკავშირო პირველობაზე მწვერვალ "პობედაზე" ასვლის განაცხადი გააკეთეს.

1961 წელს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ოთარ გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით, ტიან-შანისაკენ გაემგზავრა 30-კაციანი ქართული ექსპედიცია, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროს საქართველოში მოქმედი ყველა სახელგანთქმული მთამსვლელი, მოსკოვიდან კი მოიწვიეს ცნობილი მოსიმაღლე, აღნიშნული რაიონის კარგი მცოდნე, სპორტის დამსახურებული ოსტატი კირილ კუზმინი.

13 აგვისტოს ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ბანაკში შეიკრიბა იერიშისათვის მოსამზადებლად. საწვრთნელი ვარჯიშების შემდეგ საჭირო იყო ორი ჯგუფის ჩამოყალიბება. ერთი ჯგუფის ამოცანა იყო "პობედას" ტრავერსი. ჩონ-ტორენის გადასასვლელიდან "პობედაზე" ასვლა, შემდეგ 6918 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალის გავლით დიკის მყინვარზე დაშვება. მეორე ჯგუფის ამოცანა კი იყო დიკის მყინვარიდან უსახელო 6918 მეტრის სიმაღლის მწვერვალის გავლით "პობედაზე" ასვლა და იმავე გზით უკან დაბრუნება.



ჯუმბერ
მეძმარიაშვილი

ასეთმა გადაწყვეტილებამ ექსპედიციის მონაწილეთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან მოიერიშეთა შორის ვერ მოხვდა ბევრი კარგი მთამსვლელი. ამიტომ 16 აგვისტოს კვლავ საჭირო გახდა მწვრთნელთა საბჭოს შეკრება, რომელმაც შეცვალა წინა დღის გადაწყვეტილება და მწვერვალზე ასვლა ასე დაგეგმა:

ორივე ჯგუფი მწვერვალზე გავიდოდა მყინვარ დიკიდან 6918 მ უსახელო მწვერვალის გავლით. ერთი "პობედის" ტრავერსს განახორციელებდა და ჩონ-ტორენის მყინვარზე დაეშვებოდა, მეორე კი მწვერვალიდან იმავე გზით დაბრუნდებოდა, რომლითაც ავიდოდა. ე.ი. საკავშირო ჩემპიონატში პირველი ჯგუფი ტრავერსების კლასში მიიღებდა მონაწილეობას, მეორე კი - სასიმაღლო ასვლების კლასში. ჯგუფების შემადგენლობა ასე განისაზღვრა: პირველი ჯგუფი - ჯუმბერ მეძმარიაშვილი (ხელმძღვანელი), მიხეილ ხერგიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი), თეიმურაზ კუხიანიძე, ილია გაბლიანი, კირილ კუზმინი. მეორე ჯგუფი - ოთარ ხაზარაძე (ხელმძღვანელი), რევაზ ხაზარაძე, ზურაბ ახვლედიანი, ომარ ბერაძე, დიმიტრი დანგაძე, ჯუმბერ კახიანი. ჩამოთვლილ მთამსვლელებს, გარდა მიხეილ ხერგიანისა (უმცროსი), სასიმაღლო ექსპედიციებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მიხეილ ხერგიანის (უმცროსი) ჯგუფში მოხვედრა მიხეილ ხერგიანის (უფროსი) დაჟინებულმა თხოვნამ განაპირობა.

23 აგვისტოს პირველი ჯგუფი ადის 6918 მ უსახელო მწვერვალზე და "პობედისაკენ" ქედზე ეშვება. ღამეს ნაპრალში, დაახლოებით 6900 მ სიმაღლეზე ათევენ. ჩვენ მათთან უკვე არავითარი კავშირი არ გვაქვს, ამიტომ მიხეილ ხერგიანის მონათხრობის მიხედვით იური ბურლაკოვისეულ ჩანაწერს მოვიშველიებ:

"... 26 აგვისტოს დილაა. მიშამ ჯერ კიდევ მომზადებისას შენიშნა, როგორ ნელა იცვამდა უმცროსი მიხეილი. რასაკვირველია, სიმაღლეზე ყველას უჭირს, მაგრამ სხვებთან შედარებით სიმაღლემ მასზე გაცილებით ძლიერ იმოქმედა.

... იგი თოვლში ჩაჯდა: - მორჩა, ცუდად ვარ, აღარ შემიძლია. ვერ გავამართლე შენი ნდობა, გიღალატე, თქვენ წადით, მე დამტოვეთო.

მიშამ საყვედურით შეხედა მეგობარს, რა სისულელეს ამბობო. დაიწყეს თათბირი. გადაწყდა, რომ, ტრავერსს აღარ გააგრძელებენ. უმცროს მიხეილს თუ კარავში დატოვებდნენ, დააწვენდნენ, თბილად დაახურავდნენ, მწვერვალზე ასვლასაც შესძლებდნენ და ნაწილობრივ მაინც შესრულდებოდა ექსპედიციის მიზანი, რადგან ცოტაღა აკლდათ მწვერვალამდე. შემდეგ ყველანი ერთად დაეშვებოდნენ იმავე გზით, რა გზითაც ამოვიდნენ, მაგრამ ასეთ ვარიანტს მიშა ვერ დაუშვებდა. განა შეეძლო დაუძლურებული მეგობრის მიტოვება?...

...ამინდი კვლავ ფუჭდება. თავშესაფრის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ, მიხეილმა გამოქვაბულისათვის ადგილის ძებნა დაიწყო. მალე ნახა შესაფერისი ადგილი, ნიჩაბი ჰქონდა, თხრას შეუდგა. ქარით მიყრილმა თოვლმა საშუალება მისცა ფართო გამოქვაბული გამოეთხარა. მეგობარი შიგ შეიყვანა, ბუმბულის სათბურა გაუხსნა და მკერდის მასაჟი დაუწყო. შემდეგ საძილე ტომარაში ჩააწვინა, ჩაათბუნა და საჭმელი აჭამა, წინა ოთხეულმა კი ცოტა ზემოთ კარავი გაშალა, საიდანაც მარშრუტზე გავიდნენ.



ილია გაბლიანი

გათენდა 27 აგვისტო. დილით მიშა თავშესაფრიდან გამოფოფხდა. ზემოთ კარავთან მხოლოდ ორნი იყვნენ. პირველი შეკითხვების შედეგად გამოირკვა, რომ კუხიანიძე-გაბლიანის წყვილი დაიკარგა; როგორ მოხდა მთამსვლელთა ასე გაფანტვა?"

მას შემდეგ, რაც გადაწყდა მწვერვალზე მთამსვლელთა ოთხეულის ერთი და იმავე გზით ასვლა და ჩამოსვლა, მათ მწვერვალის ძირში, ქედზე ზურგჩანთები დატოვეს და მწვერვალისაკენ ისე გასწიეს. წინ მეძმარიაშვილი-კუზმინის წყვილი წავიდა, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ "პობედის" კლდოვან ქედს მიაღწია და მწვერვალზე აღმოაჩინა აბალაკოვის ჯგუფის წერილი, რომელიც საკუთარით შეცვალა. კუზმინმა გადაწყვიტა ქედზე აღმოსავლეთით ეროხინის ჯგუფის წერილიც მოეძებნა, რომელიც ამ ჯგუფის წინა წლის ასვლას დაადასტურებდა, ამიტომ მეძმარიაშვილ-კუზმინის წყვილი აღმოსავლეთისაკენ წავიდა, კუხიანიძე-გაბლიანის წყვილი კი ძირს წამოვიდა (ჯგუფის ასეთი გაყოფა დიდი შეცდომა იყო, რამაც ძალიან ცუდი შედეგი გამოიწვია). ამასობაში ამინდი მკვეთრად გაუარესდა, დაიწყო თოვა და ნისლმა ყველაფერი დაფარა.

მეძმარიაშვილ-კუზმინის წყვილმა ქედზე ნახა ეროხინის ჯგუფის წერილი, მაგრამ ცუდი ამინდის გამო მისი მოხსნა არ უცდია. ისინი უკან გამობრუნდნენ და დაიწყეს ძირს დაშვება. ქარბუქის გამო მათი კვალი წაიშალა, ჭირს ორიენტაცია, საშიშია გზას არ ასცდნენ და სხვა მიმართულებით არ ჩაეშვნენ, რაც უცილო დაღუპვის ტოლფასია. ღამის სათევად გვირაბის გამოთხრას ცდილობენ. წერაყინითა და ხელებით იწყებენ თხრას, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს შეუძლებელია, ძირს გლუვი ყინულია. მოულოდნელად ამინდი გამოკეთდა, ნისლი გადაიყარა და სწორი გზის გაკვლევა მოახერხეს. დაიწყეს დაშვება, ბინდდებოდა, ზურგჩანთებთან რომ მიაღწიეს. საკუთარი ზურგჩანთები აიკიდეს, კუხოს და ილიკოს ზურგჩანთები კი არც უძებნიათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ თავიანთი ზურგჩანთები წაიღეს და კარავთან ჩავიდნენ. მეძმარიაშვილ-კუზმინის წყვილი მახვილწვერიანი ქედით ეშვება. დაშვებისას, ქედის თოვლიან ფერდზე მოწყდნენ და დასავლეთისაკენ, მყინვარ

“ზვიოზდოჩკას” მიმართულებით დაცურდნენ. ბედად, თოკი თოვლის კუნძულოვან ფერდში გაიჭედა და მათი ვარდნა შეაჩერა. გადაურჩნენ გარდაუვალ სიკვდილს. კარავთან მივიდნენ, მაგრამ კუხოს და ილიას წყვილი არ დახვდათ. ჰგონიათ დაბლა ჩავიდნენ ხერგიანებთან და კარავში იძინებენ.

დილით, მეძმარიაშვილმა და კუზმინმა აღმოაჩინეს, რომ კუხო და ილია მათ ზემოთ არიან და ძლივს ეშვებიან. გამოირკვა, რომ უკან დაბრუნებისას, უამინდობის გამო, ქარბუქსა და ნისლში ეს წყვილები ერთმანეთს ასცდნენ. იმის გამო, რომ თავიანთი ზურგჩანთები ვერ იპოვეს, ღამე ათიეს წერაყინებით გამოჭრილ პატარა გამოქვაბულში საძილე ტომრებისა და კარვის გარეშე. “ცივ ღამისთევას” მათთვის უკვალოდ არ ჩაუვლია - მოეყინათ ხელ-ფეხი და ილიას სხეულის გადაცივება მოუვიდა. ამის შემდეგ მთელმა ჯგუფმა ერთად მოიყარა თავი და დაეშვნენ უნაგირისაკენ. უნაგირაზე მიშამ გამოქვაბული გამოთხარა და თავის სეხნიასთან ერთად შიგ მოთავსდა. დანარჩენებმა კარავი გაშალეს და ოთხივე ერთად დაბინავდა. ილია ღვიძლის ტკივილს უჩიოდა, მთელი ღამე არ ეძინა და წყალს ითხოვდა.

28 აგვისტოს დილით ხერგიანების წყვილი დაწინაურდა, დანარჩენები კი წასასვლელად ემზადებოდნენ. ილია გაბლიანი დამოუკიდებლად ჩაცმას ვერ ახერხებდა, კარვიდან გარეთ გამოიყვანეს და მზეზე გასათბობად ჩამოჯდა. რამდენიმე წუთში შეეხმიანენ და პასუხი არ იყო. ილიკო გარდაიცვალა. ჯუმბერ მეძმარიაშვილი წინ მიმავალ მიხეილ ხერგიანს დაეწია, აუხსნა მდგომარეობა და რჩევა ჰკითხა, როგორ მოქცეულიყვნენ.

გადაწყვიტეს ილია აქ დაეტოვებინათ. ჯუმბერმა ილიკოს ჯიბეში წერილი ჩაუდო: “გვაპატიე, წელს ვერ შევძელით შენი ქვემოთ ჩაყვანა, მაგრამ აუცილებლად ჩაგიყვანთ”.

გამარჯვების პიკზე მსხვერპლთა რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდა.

რაც შეეხება სამეულს, მათ შესახებ კირილ კუზმინი გვიამბობს:

თეიმურაზ კუხიანიძე

“ჩვენმა სამეულმა კარავი აშალა და დაშვება იწყო. კუხიანიძეს ფეხები აქვს მოყინული და წრიაპებს ვერ იკეთებს. ჯუმბერის “შეკელტონებს” დაკბილული ძირები აქვს, რომლებიც არც თუ საიმედოა ყინულზე. ამიტომ ჯერ ისინი ეშვებიან თოკით, შემდეგ მე ჩამოვყავარ ქვედა დაცვით: ჩემი წრიაპები კარგად ეჭიდება ყინულზე, შემდეგ კი კლდეებზე ვეშვებით. ბოლო კედელთან ჯუმბერი და თეიმურაზი მელოდებიან, ჩამოსვლაში რომ მომეხმარონ, რადგან წინა დღით ჩამოვარდნის შემდეგ მარცხენა ხელს თითქმის ვერ ვხმარობ. ვიკრიბებით კლდის შვერილზე. აქედან 10-12 მეტრიღაა ქვემოთ ჩასასვლელი. ჯუმბერი დაცვით ეშვება. ჩვენ რაღა ვქნათ? თეიმურაზი მთავაზობს დიულფერის გაკეთებას. ეს მართლაც ჭკუასთან ახლოა. მარყუჟს ვამაგრებთ კლდის შვერილზე და მე პირველი ვეშვები. ფეხს თოვლზე ვდგამ, თოკს ვიხსნი და ჯუმბერის გვერდით ვჯდები. ახლა თეიმურაზი ეშვება. აი, ორი ნაბიჯიღა რჩება თოვლამდე, ჩვენ ვდგებით, რათა თოკი შევხსნათ და გზა განვაგრძოთ, მაგრამ სწორედ ამ დროს ზემოთ რაღაც ხდება. თოკი დუნდება, თეიმურაზი ყვირილით შორდება კლდეს. თოკთან ერთად გორვა-გორვით მისრიალებს ციცაბო მყინვარზე და თვალს ეფარება ფერდობის იქით. გზაზე ჯუმბერს წამოედება, ისიც ეცემა, მაგრამ მალე ჩერდება. თეიმურაზის უკან, ზემოდან

მოგორავს ქვა, რომელმაც ალბათ თოკი გაწყვიტა. ჩვენ გვგონია, რომ თოვლიან ფერდობს იქით არის მოედანი და შესაძლებელია თეიმურაზი იქ შეჩერდეს - ეს 200 მეტრზეა ჩვენგან.

... სიმაღლე 6400 მეტრი. გადავწყვიტეთ აქედან გავიდეთ მარჯვნივ ტრავერსით ფერდობზე. წინ ჯუმბერი მიდის. რამდენჯერმე შევთავაზე წინ გავეშვი, მაგრამ დუმილით მიპასუხა. მას განსაკუთრებით უმძიმს - ჯგუფის ხელმძღვანელი და თანაც თეიმურაზის ახლო მეგობარია. არც ისე შორს ვართ იმ ადგილიდან, საიდანაც უნდა დავინახოთ თუ სად ჩამოვარდა კუხიანიძე. ჯუმბერი რატომღაც პირით დგება ფერდობისაკენ და იმავე წუთს ფეხი უცურდება საფეხურზე. დაკბილული ძირი ყინულზე ცურავს (რა გულდასაწყვეტია, რომ წრიაპები არ აცვია, წინა კბილები აუცილებლად შეაჩერებდა). ჯუმბერი ფერდობზე ეცემა, ცდილობს წერაყინი მოიშველიოს და შეჩერდეს, მაგრამ ხელიდან უვარდება, ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ კი სულ უფრო სწრაფად მისრიალებს ქვევით და კულუარის მოსახვევში უჩინარდება... 400 მეტრიანი ციცაბო კულუარი ჩემს ქვემოთ 1000-მეტრიანი ქარაფით მთავრდება მყინვარ "ზვიოზდოჩკაზე".

კუზმინი მარტო ბრუნდება ქვემოთ.

რაც შეეხება ჩვენ ჯგუფს, ავდივართ 6918 მ სიმაღლის უსახელო მწვერვალზე 24 აგვისტოს, ვაშენებთ ნიშს და ვტოვებთ წერილს. უსახელო მწვერვალს ვაჟა ფშაველას სახელს ვარქმევთ, ვაჟას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ღამეს 6200 მეტრზე მღვიმეში ვათევთ, 28 აგვისტოს კი უკვე საბაზო ბანაკში ვართ, სადაც გავიგეთ, რომ ზემოთ ერთ-ერთი მთამსვლელი დაიღუპა. 29 აგვისტოს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ რა ტრაგედია დატრიალდა. 30-ში მე და ჯუმბერ კახიანი გავდივართ ქედზე 5200 მეტრზე და იქ ვიგებთ მწარე სინამდვილეს. იმავე დღეს მიხეილ ხერგიანი და ჯოკია გუგავა ჩავიდნენ მყინვარ "ზვიოზდოჩკაზე" კუხოსა და ჯუმბერის საძებნელად. მეც დაუყოვნებლივ ჩავდივარ მათთან და მყინვარზე ჯერ კუხოს ზურგჩანთას ვპოულობთ, შემდეგ კი მათ ცხედრებს. ისინი ფერდობიდან ჩამოგვყავს და თოვლში ვასვენებთ.

2 სექტემბერს, დიკის ქედის გადმოვლით, ცხედრები საბაზო ბანაკში ჩამოვასვენეთ და 9 სექტემბერს ქ. პრჟევალსკის საავადმყოფოში მივასვენეთ.

13 სექტემბერს ექსპედიცია თბილისში დაბრუნდა. აეროდრომზე უამრავი ხალხი დაგვხვდა. საშინლად მძიმე შეხვედრა იყო...

ქართველმა ხალხმა, ჯუმბერისა და კუხოს ნეშტები დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიაბარა მიწას. ილიას ნეშტი კი დღესაც გამარჯვების პიკის ქედზე, 6700 მეტრის სიმაღლეზე განისვენებს".

"პობედაზე" დარჩა სამი ბუმბერაზი მთამსვლელის ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ილია გაბლიანის სიცოცხლე. ტიან-შანის ტრაგედიამ დაამწუხრა სრულიად საქართველო. საყოველთაო გლოვამ მოიცვა თბილისი. დაღუპულთა ხსოვნის საღამოზე ცნობილმა მეცნიერმა, მთამსვლელმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა ბრძანა: "ეს იყო ჩვენი ალპინიზმის უდიდესი გამარჯვება და ამავე დროს უდიდესი ტკივილი". არაერთი მოგონება, ლექსი თუ მოთხრობა დაიწერა ამ სამეულზე. გარდა ლექსებისა და სხვადასხვა პუბლიკაციებისა, დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა რეჟისორების ოთარ გურგენიძისა და ბორის კრეპსის მიერ შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი "დაუმთავრებელი დღიური", სადაც ტიან-შანის 1961 წლის ექსპედიციის კინოკადრებია გამოყენებული და ცოცხლადაა შემონახული ილიკო გაბლიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თემურ კუხიანიძის სახეები.

ამ უმძიმესი დანაკარგის შემდეგ საკავშირო პირველობაზე გასვლას აღარავინ ფიქრობდა, მაგრამ, ახალი გუნდის შექმნის პერსპექტივით, ახალგაზრდა მთამსვლელების მომზადება და მათთვის სასიმაღლო ასვლებში გამოცდილების მიღება აუცილებელ პირობად ისახებოდა.

ამ მიზნით 1962 წელს კაკო მარის ხელმძღვანელობით დაიგეგმა ექსპედიცია პამირში, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ შედარებით ახალგაზრდა მთამსვლელები

თბილისიდან, ქუთაისიდან, მესტიიდან, ლენტეხიდან: ბესიკ და ნუგზარ ბაქრაძეები, თენგიზ ბერიშვილი, პირიბე გვარლიანი, ჯოკია გუგავა, დიმიტრი დანგაძე, კიმი დარსაძე, დემურ ცომაია, მიხეილ ხერგიანი-უმცროსი, ჯუანშერ მუსელიანი (ექიმი), ანზორ ნიჟარაძე, კოსტა ქავთარია, გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე, შოთა და ლაერტ ჩართოლანები, ზაურ ჩარქსელიანი, გივი წერედიანი და სხვ. ექსპედიციის მოადგილე სამეურნეო დარგში გივი ყალაბეგიშვილი იყო, მთავარი მწვრთნელი კი – ლევან ახვლედიანი.

ექსპედიცია ყარაჯილგას ხეობაში, ოქტომბრის მყინვარის ძირში, ზ.დ. 4200 მეტრის სიმაღლეზე დაბანაკდა, საიდანაც ჯგუფებად დაყოფილ მთამსვლელებს რამდენიმე სავარჯიშო ასვლა უნდა განეხორციელებინათ. ერთმა ჯგუფმა პირველასვლა განახორციელა უსახელო მწვერვალზე, რომელიც ძალიან წააგავდა უშბას და ამიტომ პირველამსვლელთა უფლებით მას "პამირის უშბა" დაერქვა, რომელსაც მე-5 კატეგორიის სირთულე მიენიჭა.

სამწუხაროდ, ეს წელიც ტრაგიკული აღმოჩნდა ქართველი მთამსვლელებისათვის. ერთ-ერთი სავარჯიშო ასვლის დროს, მცირე დახრილობის ფერდობზე მოწყდა ზვავი, რომელმაც ექსპედიციის ერთი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი დაფარა. ზაურ ჩარქსელიანისა და კიმი დარსაძის შველა დაგვიანებული აღმოჩნდა, დანარჩენებმა კი შეძლეს ზვავიდან თავის დაღწევა.

ამ მარცხმა ძალზე მძიმედ იმოქმედა ექსპედიციასა და მის ხელმძღვანელზე, ქართული მთამსვლელობის ბრწყინვალე წარმომადგენელ კაკო მარზე, რომელიც ამის შემდეგ თითქმის ჩამოშორდა აქტიურ მთამსვლელობას და მხოლოდ ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე ალპურ კლუბში სხვადასხვა თავყრილობებსა თუ მთამსვლელთა ფედერაციის სხდომებზე.

პამირსა და ტიან-შანზე უმძიმეს დანაკარგებს 1963 წელს კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევა მიემატა. 27 აგვისტოს შხარას მწვერვალიდან დაშვებისას დაიღუპა ცნობილი მთამსვლელი და ფოტოხელოვანი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება გურამ თიკანაძე.

საქართველოს მთამსვლელობაში ასეთმა ვითარებამ საგრძნობი ვაკუუმი შექმნა. მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭირო და აუცილებელი იყო რადიკალური ზომების მიღება. ამისათვის 1963 წელს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოთარ გიგინეიშვილმა, საქართველოს სპორტკომიტეტის დახმარებით, მოახერხა ყაბარდო-ბალყარეთიდან საქართველოში, თბილისში გადმოეყვანა უკვე საქვეყნოდ ცნობილი და არაერთი წოდების მფლობელი მიხეილ ხერგიანი.

ამავე წელს, შემოდგომით, თბილისში აღინიშნა ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავი, რომელშიც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა გამოჩენილი მთამსვლელი მონაწილეობდა. საიუბილეო დღეებში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე გახდა თბილისი. ჩამოსული სტუმრებისა და დედაქალაქელებისათვის მეტეხის კლდეზე მოეწყო საჩვენებელი შეჯიბრება მეკლდეურობაში. ქართველმა საზოგადოებამ სწორედ ამ შეჯიბრებაში იხილა პირველად "კლდის ვეფხვის" - მიხეილ ხერგიანის სწორუპოვარი ცოცვა, რომელმაც საქართველოში მეკლდეურობას ერთბაშად დიდი პოპულარობა მოუპოვა.

ამ თარიღს მიეძღვნა ასევე საიუბილეო ლაშქრობა მყინვარწვერზე, რომელიც ჩემთვისაც დაუვიწყარი იყო, რადგან აქ მივიღე ალპინისტური ნათლობა, პირველად ვიყავი მწვერვალზე - მყინვარწვერზე - ყველა ჩემი მაშინდელი თანატოლისათვის ესოდენ საოცნებო მწვერვალზე. ამ ლაშქრობაში ჩვენთან ერთად იყვნენ მყინვარწვერზე პირველი ასვლის მონაწილე ქალები მარო ტყავაძე და ასმათ ნიკოლაიშვილი.

1963 წელს ქართველებმა ევერესტზე პირველამსვლელის, ლეგენდარული შერპის თენსინგ ნორგეის ნახვაც შეძლეს, როცა საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით და ჩვენი მთამსვლელების გასაცნობად იგი თბილისს ესტუმრა. მთამსვლელებმა და ქართველმა საზოგადოებამ მას ძალზე თბილი შეხვედრები მოუწყეს, რაც დღემდე კეთილმოსაგონარია ამ შეხვედრების მონაწილეებისათვის. თენსინგთან ბევრმა ქართველმა მთამსვლელმა გადაიღო სამახსოვრო ფოტო. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გადარჩა ერთ-ერთი შეხვედრის კინოფირი, რომელიც მთამსვლელმა ვანო ყვავილაშვილმა 8 მმ-იანი ფირიდან დისკზე გადაწერა და მისახსოვრა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

1964 წლიდან, ქართველ მთამსვლელებს, გამონაკლისის სახით, საზღვარგარეთის მწვერვალებზე ასვლის შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის მწვერვალებზე ასვლებს საფუძველი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაეყარა, როცა ქართველმა მთამსვლელებმა კოტე ჯავრიშვილმა, ალექსი ივანიშვილმა, კოტე ასტახიშვილმა და სხვებმა დალაშქრეს ირანის უმაღლესი მწვერვალი დემავენდი (5671 მ).

რადგან ქართველი მთამსვლელების საზღვარგარეთ გასვლისა და უცხოეთის მწვერვალებზე ასვლის საკითხს შევეხეთ, მოვიხმობთ ამონარიდს ოთარ გიგინეიშვილის ბროშურიდან "მთამსვლელობა საქართველოში" (თბილისი, 1983 წ., გვ 55), იგი წერს:

"1964 წელს მთამსვლური საზოგადოების "მაღალი მთების" მიწვევით ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი ეწვია შვეიცარიას, სადაც მოახდინა დორეს ქედის ტრავერსი ტრიანონის რაიონში და ავიდა მონბლანის მწვერვალზე (ოთარ გიგინეიშვილის, ომარ ბერაძის, გიორგი ბერძენიშვილის, დიმიტრი დანგაძის, შოთა მირიანაშვილის, ნოდარ ნადირაშვილის, სოლიკო ხაბეიშვილის, ოთარ და რევაზ ხაზარაძეების შემადგენლობით – ი. ჯ.), ხოლო 1966 წელს იოკოჰამის ალპური კლუბისა და გაზეთ "ასახის" მიწვევით იგი იყო იაპონიაში, სადაც იაპონელ მთამსვლელებთან ერთად მოახდინა ასვლები ხოდაკას ჯგუფის კლდოვან მწვერვალებზე და მწვერვალ ფუძიამაზე.

1964 წ. მიხეილ ხერგიანი, გივი წერედიანი, შალვა მარგიანი, ჯუმბერ კახიანი უშბაზე ასვლის წინ.

იაპონიაში ქართველი მთამსვლელების მიწვევის ინიციატორი "ვეფხისტყაოსნის" იაპონურ ენაზე მთარგმნელი იაპონელი მწერალი ფუკურო იყო. ჩვენი მთამსვლელების ჩასვლას შვეიცარიასა და იაპონიაში მოჰყვა შვეიცარიელ და იაპონელ მთამსვლელთა ჩამოსვლა საქართველოში და ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე. ჩვენი მთამსვლელების ჩასვლამ შვეიცარიასა და იაპონიაში დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო მთამსვლურ წრეებში. მათი იქ ყოფნის დღეებში პრესა სისტემატურად აშუქებდა ქართველ მთამსვლელთა ასვლებს. გაზეთმა "ასახი" თითქმის მთელი გვერდი დაუთმო რეპორტაჟს ფუძიამას მწვერვალიდან. იაპონიის ტელევიზიამ კი ორი გადაცემა მიუძღვნა ქართველი მთამსვლელების სტუმრობას იაპონიაში. ტოკიოში გამოიცა წიგნი, რომელიც ასახავს ქართველ მთამსვლელთა ყოფნას იაპონიაში და იაპონელებისას საქართველოში. ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელებმა როგორც იაპონიაში, ისე შვეიცარიაში ადგილობრივი ალპინისტური ორგანიზაციების თხოვნით

ჩაატარეს რამდენიმე ლექცია-მოხსენება საბჭოთა ალპინიზმისა და საბჭოთა კავშირის მთიანი სისტემების შესახებ".

1964 წელს მიხეილ ხერგიანმა უკვე შეძლო სვანეთში ძლიერი მთამსვლელების შეკრება (ჯოკია გუგავა, შალვა მარგიანი, ჯუმბერ კახიანი, გივი წერედიანი, მიხეილ ხერგიანი-უმცროსი), რომელმაც ჩრდილოეთ უშბაზე, ცნობილი და გახმაურებული ე.წ. "უშბის სარკის" კედლის გავლისათვის, ტექნიკურ კლასში, საკავშირო ოქროს მედლები დაიმსახურა.

1965 წელი ძალზე ნაყოფიერი იყო ქართველი მთამსვლელებისათვის. ტრავერსების კლასში ჩემპიონი გახდა ქუთაისელთა სახელით (რადგან გუნდის მომზადება და დაფინანსება ქუთაისმა უზრუნველყო) გამოსული გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მიხეილ ხერგიანი-უმცროსი (ხელმძღვანელი) ვალერი გაბელაშვილი, ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანი, გივი წერედიანი. ისინი აილამიდან მისესთაუმდე 21 დღეში 21 მწვერვალზე ავიდნენ. ამ წელს მიხეილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო გამოძახებული.

შოთა მირიანაშვილის გუნდს (დიმიტრი დანგაძე, ლევან ღლონტი, ვასო თევდორაშვილი) აილამის სამხრეთი კედლის გავლისათვის, ტექნიკურ კლასში ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. ხოლო ამავე წელს პირველად საკავშირო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში დაისაკუთრა გივი ქართველიშვილის (ხელმძღვანელი) გუნდმა (თამაზ ბაქანიძე, ბესიკ და ნუგზარ ბაქრაძეები, თენგიზ ბერიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე), კავკასიონზე ჯანღის დასავლეთ მწვერვალზე სამხრეთი კედლით ასვლისათვის.

1965 წლიდან საქართველოში უკვე ყალიბდება ორი დამოუკიდებელი გუნდი "ქარიშხალა" და "განთიადი", რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ შოთა მირიანაშვილი და გივი ქართველიშვილი.

გივი ყალაბეგიშვილი

1966 წელს მიხეილ ხერგიანი, როგორც სპორტული ნაწილის ხელმძღვანელი და გუნდის კაპიტანი, ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციასთან (კაკო არღვლიანი, სერგო ბარლიანი, თამაზ ბაქანიძე, პირიბე გვარლიანი, ვაჟა გიგაშვილი (მწერალი), რომან გიუტაშვილი, ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანი, შალვა მარგიანი, ჯუანშერ მუსელიანი (ექიმი), ზაქრო მუშკუდიანი, მარლენ რატიანი, თამაზ (კოსტა) ქავთარია, ლაერტ და შოთა ჩართოლანები, გივი წერედიანი) ერთად, რომელსაც გივი ყალაბეგიშვილი ხელმძღვანელობდა, ტიან-შანში გაემგზავრა "პობედაზე" ასასვლელად. მართალია, ეს ასვლა სსრკ პირველობის ეგიდით ტარდებოდა, მაგრამ გუნდის ძირითადი მიზანი ილიკო გაბლიანის ჩამოსვენება იყო.

მიხეილს ევალებოდა მთამსვლელებით გუნდის დაკომპლექტება, მაგრამ ამ დროს გამოცდილ ქართველ მთამსვლელთა უმეტესობა იაპონიაში იყო მიწვეული ასვლებზე და საქართველოში არ იმყოფებოდა. მან ქუთაისელ და მესტიელ მთამსვლელებთან ერთად გუნდში თბილისელი რომან გიუტაშვილი და თამაზ ბაქანიძე შეიყვანა.

ექსპედიციამ საბაზო ბანაკი "დიკი"-ს მყინვარზე გაშალა.

"პობედაზე" გასვლის წინ, გუნდმა რაციით შეიტყო რუსების ჯგუფის (ხელმძღვანელი ცნობილი მთამსვლელი და საუკეთესო ექიმი ვლადიმერ ვოროჟიშჩევი) განსაცდელის შესახებ, რომელსაც ვაჟა ფშაველას ქედიდან დაშვებისას "ცივი ღამისთევა" ჰქონია, გადაციების გამო გარდაცვლილა ვოროჟიშჩევი. მაშველთა ჯგუფში შევიდნენ მიხეილ ხერგიანი, სერგო ბარლიანი, ზაქრო მუშკუდიანი, თამაზ ბაქანიძე და რომან გიუტაშვილი, რომელთა დროულმა და ოპერატიულმა ქმედებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა დაღუპულის "დიკის" მყინვარზე

ჩამოყვანაში. ყოველივე ამას საკმაო დრო დასჭირდა, ამასობაში ამინდიც გაფუჭდა და ჯგუფი ილია გაბლიანის გარეშე დაბრუნდა საქართველოში იმ იმედით, რომ მომავალ წელს ეს მისია უთუოდ შესრულდებოდა...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1966 წლის ზაფხულში აგი აბაშიძე, ლევან ახვლედიანი, ომარ ბერაძე, ოთარ გიგინეიშვილი, დიმიტრი დანგაძე, შოთა მირიანაშვილი, გივი ქართველიშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები იაპონიაში იყვნენ და ავიდნენ მწვერვალებზე: ფუძიამასა და ჰოდაკაზე. ქართველმა მთამსვლელებმა იმავე წელს მიიღეს იაპონელთა ათკაციანი ჯგუფი, რომლებიც მყინვარწვერზე ავიდნენ და სვანეთში აილამას ბანაკიც მოინახულეს.

1967 წელს კავკასიონზე ძალზე ცუდი ამინდების გამო, საკავშირო ჩემპიონატში ყველა გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან, მათ შორის გივი ქართველიშვილის გუნდიც, რომელსაც განაცხადი ჰქონდა მწვერვალ აილამას ცენტრალური ბასტიონის გავლაზე. იმავე წელს, შემოდგომაზე, გივი ქართველიშვილმა მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მთლიანად საინჟინრო-სამშენებლო საქმიანობაზე გადაერთო.

1967-68 წლებში მიხეილ ხერგიანი, როგორც წინა წლებში, კვლავ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაშია დაკავებული და ამიტომ თბილისში გადმოსვლის შემდეგ მან ფაქტობრივად ვერ შეძლო საქართველოში ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება.

1968 წელი მნიშვნელოვანი იყო უშბის ისტორიაში, რადგან პირველად, ჩრდილოეთ უშბის დასავლეთის მარშრუტზე, მასობრივი ლაშქრობა მოეწყო მიხეილ ხერგიანისა (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ნოდარ კანკავას (მოადგილე) ხელმძღვანელობით; მწვერვალზე ავიდა 45 კაცი, რომელთა შორის იყო ადგილობრივი უხუცესი მთამსვლელი, 72 წლის ალმაცქირ კვიციანი.



შხარა

1969 წელს კავკასიონზე, ცენტრალურ შხარაზე სამხრეთი კედლით ასვლისათვის, ტექნიკურ კლასში ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ შოთა მირიანაშვილი (ხელმძღვანელი), აგი აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე და ოთარ ხაზარაძე.

სამწუხაროდ, 1969 წელს იტალიის ალპებში, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას, მოულოდნელად შეწყდა უძლიერესი მეკლდეურისა და მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სიცოცხლე, რამაც შეძრა მთელი საქართველო და საბჭოთა კავშირი...

სამი წლის განმავლობაში, 1967-69 წლებში, პამირსა და ტიან-შანში საქართველოდან ექსპედიცია აღარ ყოფილა და ვინაიდან სასიმაღლო ასვლებში მეტი ჩამორჩენა აღარ შეიძლებოდა, 1970 წელს სპორტის ოსტატ გივი ყალაბეგიშვილის ხელმძღვანელობით ქართველი მთამსვლელები კვლავ გავიდნენ პამირში, ლენინის პიკის რაიონში, სადაც ყარაჯილგას ხეობით მწვ. ოკტიაბრსკაია უნდა დაელაშქრათ. გუნდმა (დიმიტრი შარაშენიძე (კაპიტანი), ნუგზარ და ბესიკ ბაქრაძეები, თენგიზ ბერიშვილი, ნაზიმ ნემსიწვერიძე), რომლის მთავარი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ახვლედიანი იყო, საკავშირო ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ ექსპედიციას თან ახლდნენ მწერალი ოტია იოსელიანი, ჟურნალისტი დუდე გედენიძე, კინოოპერატორები: ი. კრეპსი, ვ. ერმაკოვი, ექიმი ჯუანშერ მუსელიანი და დამხმარე ჯგუფის წევრები: გიორგი როსტომაშვილი, გიორგი ახვლედიანი, სერგო ბარლიანი, სერგო ნანუმოვი, შაქრო გაბისიანი, ვ. მინდაძე, დემურ ცომაია, ა. კვიციანი, დ. გოგოლაური, მურად ჭიჭინაძე.

6-იანი მარშრუტი უშბაზე გრიგორენკო-პრიგოდას გზით

1971 წელს, ზამთარში, გივი ქართველიშვილი შვებულებას იღებს და თავის ჯგუფთან ერთად აწყობს ექსპედიციას სამხრეთ უშბაზე ზამთრის ასვლის განსახორციელებლად გაბრიელის გზით, მაგრამ დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო სამი მცდელობის შემდეგ ხელს იღებს განზრახვაზე.

ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირში სპორტულმა მთამსვლელობამ ახალ, უფრო რთულ მარშრუტებზე მიიტანა იერიში, რისთვისაც საჭირო გახდა მარშრუტების კლასიფიკაციაში განსაკუთრებული სირთულის აღმნიშვნელი მე-6 კატეგორიის დამატება. აქედან გამომდინარე, მთამსვლელთა კვალიფიკაციის მკვეთრად ამაღლების საკითხი საქართველოშიც დადგა დღის წესრიგში. ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მიზანდასახული გეგმისა და ამოცანების შესრულების შედეგად.

1971 წელს იმ დროს ახალგაზრდა მთამსვლელების: რომან გიუტაშვილის, თამაზ ბაქანიძისა და ტარიელ ლუკაშვილის მიერ დაიწყო ამ ამოცანის შესრულება. კერძოდ, მათ

გაიარეს ჩათინის ჩრდილოეთი ე.წ. „ჩათინის რომბის" ცნობილი კედელი, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში კლასიფიცირებულ მე-6 კატეგორიის სირთულის ასვლებს.

1973 წელი ქართული ალპინიზმის ისტორიაში საიუბილეო და, ამდენად, განსაკუთრებულიც იყო - აღინიშნებოდა ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავი. საქართველოს დედაქალაქი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მასპინძლობდა მთამსვლელთა ასოციაციების საერთაშორისო კავშირის (UIAA) გენერალური ასამბლეის გასვლით სესიას, პრეზიდენტის, ფიზიკის პროფესორ ჟან ჟუჟის (შვეიცარია) მეთაურობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა საქართველოს მთამსვლელთა მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტს. ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას, კითხვაზე, თუ რამ განაპირობა UIAA-ს ასამბლეის თბილისში ჩატარება, ბატონმა ჟან ჟუჟმა ასე უპასუხა: "საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ შემოგვთავაზა თავისი კანდიდატურა და ჩვენც დიდი სიამოვნებით მივიღეთ ეს წინადადება, რადგან საბჭოთა ალპინიზმის აკვანი სწორედ საქართველოში დაირწა.

თბილისში შევიკრიბეთ ალპინიზმით დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენლები, რათა საერთო პრობლემები გადავწყვიტოთ. კერძოდ, ესაა მთაში სიარულის უსაფრთხოება, საჭურვლის პრობლემა, ალპინისტთა საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა.



ცნობილია, რომ ყოველ ქვეყანას აქვს მთამსვლელთა თავშესაფრები და გვინდა, ისინი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ესეც ამ ასამბლეის ერთ-ერთი ამოცანაა.

განვიხილავთ აგრეთვე ბუნების დაცვის პრობლემას, რაც ძალიან საჭირბოროტო, ინტერნაციონალური საკითხია.

ქართველ მთამსვლელებზე მხოლოდ წამიკითხავს და გამიგონია მათგან, ვისაც თქვენი ბიჭები ჩვენში, შვეიცარიის ალპებში უნახავს, აგრეთვე, ჩემი თანამემამულეებისაგან, რომელთაც კავკასიონის მწვერვალები დაულაშქრავთ. ისინი ქართველ მთამსვლელებს შესანიშნავად ახასიათებენ".

70-იან წლებში მთამსვლელთა ასოციაციების საერთაშორისო კავშირის (UIAA) პრეზიდენტი პროფესორი ჟან ჟუჟი

გენერალური ასამბლეის წევრები, გარდა კომისიებში მუშაობისა, მრავალ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ. დაათვალიერეს ყაზბეგის რაიონი – საბჭოთა ალპინიზმის აკვანი, მოინახულეს მყინვარწვერი და უმდიდრესი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გამოემშვიდობნენ საქართველოს და მის დედაქალაქს.

საიუბილეო, 1973 წელს ჩატარებული ლაშქრობებიდან ტრავერსების კლასში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გივი წერედიანმა (ხელმძღვანელი), გელა გუგავამ, ზაქრო მუშკუდიანმა, ნუგზარ ნიგურიანმა და ვალერი რატიანმა, რომელთაც განახორციელეს საკმაოდ გრძელი ტრავერსი მწვერვალ ალიოშა ჯაფარიძიდან (შავი უცნობი) თეთნულდამდე. ხოლო ჯგუფმა დიმიტრი დანგაძის (ასვლის ხელმძღვანელი), სერგო ბარლიანის, შაქრო გაბისიანის, ალიოშა გავაშელის, ტარიელ ლუკაშვილის, შოთა მირიანაშვილისა (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ოთარ ხაზარაძის შემადგენლობით, პამირში კორჟენევსკაიას პიკი დალაშქრა და სასიმაღლო კლასში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

1974 წელს გივი ქართველიშვილი ბრუნდება მთამსვლელობაში, მაგრამ, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1974 და 1975 წლებში საკავშირო ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გუნდი მონაწილეობს შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით.

ვინაიდან ქართველიშვილის გუნდს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა, გუნდმა გადაწყვიტა ოსტატობა ტექნიკურად რთულ ასვლებზე სრულეყო და გივი ქართველიშვილის (ხელმძღვანელი), თამაზ ბაქანიძის, გოგი ზუმბაძის, ტარიელ ლუკაშვილის, ნუგზარ ნიგურიანის, მურად ჭიჭინაძის შემადგენლობით გაიარა მე-6 კატეგორიის სირთულის სამხრეთ უშბის დასავლეთი კედელი, ხოლო 1975 წელს, თითქმის იგივე ჯგუფმა (ნუგზარ ნიგურიანი ჩაანაცვლა დიმიტრი შარაშენიძემ) გაიარა ბოდხონის (ფანის მთები) დასავლეთი კედელი, რამაც გუნდი როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ტექნიკურად, უფრო რთული მარშრუტების გასავლელად მოამზადა.

1975 წელს შოთა მირიანაშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი) გუნდმა აგი აბაშიძის, სერგო ბარლიანის, დიმიტრი დანგაძის (ასვლის ხელმძღვანელი), შაქრო გაბისიანისა და ოთარ ხაზარაძის შემადგენლობით ვერცხლის მედალი მოიპოვა პამირში, მოსკოვის პიკზე სამხრეთი თხემით ასვლისათვის. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა "ლელომ" ექსპედიციის მწვრთნელისა და მოიერიშე ჯგუფის წევრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გიორგი (აგი) აბაშიძის მასალა გამოაქვეყნა:

"...მთამსვლელთა გუნდის სიძლიერე დაპყრობილი მწვერვალის სირთულით განიზომება. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველობის მონაწილე ყოველი გუნდი მაქსიმალურად რთული ობიექტის შერჩევასა და დაპყრობას ცდილობს. ჩვენი არჩევანიც მოსკოვის პიკის სამხრეთი თხემის უკიდურესი სირთულით იყო განპირობებული...



კორჟენევსკაიას პიკი

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ცენტრალურ პამირში მდებარე 6785 მ სიმაღლის მწვერვალი, რომელსაც ამჟამად მოსკოვის პიკი ეწოდება, მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე უცნობი იყო ადამიანებისათვის.

პირველი იერიში მოსკოვის პიკზე 1947 წელს იქნა მიტანილი. ასვლის გზად, როგორც შედარებით იოლად დასაძლევი, მწვერვალის ჩრდილო-დასავლეთი ქედი აირჩიეს. შტურმს სახელგანთქმული მთამსვლელი ევგენი აბალაკოვი ხელმძღვანელობდა, მოიერიშე ჯგუფში კი

საბჭოთა კავშირის ათი საუკეთესო მთამსვლელი შედიოდა. მიუხედავად ამისა, მწვერვალზე ასვლა განუხორციელებელი დარჩა. თერთმეტი მთამსვლელიდან მხოლოდ ორმა - ევგენი აბალაკოვმა და მიხეილ ანუფრიკოვმა - გადალახა მწვერვალის 6000-მეტრიანი ზღვარი, ხოლო შემდეგ ვერც მათ შეძლეს გზის გაგრძელება და იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. დანარჩენმა მოიერიშეებმა კი უფრო ადრე დაყარეს ფარ-ხმალი და დაბლა დაეშვნენ, მაგრამ მოსკოვის პიკის პირველ მოლაშქრეთა სპორტულ ღირსებას სრულიადაც არ ამცირებს ის გარემოება, რომ მათ ვერ შეძლეს მწვერვალის დაპყრობა: შტურმის შეწყვეტა მთამსვლელთა სისუსტის დამადასტურებელი კი არ იყო, არამედ მარშრუტის დიდი სირთულისა, რომლის დაძლევა, ალპინიზმის განვითარების იმჟამინდელ ეტაპზე, სავსებით ბუნებრივიცაა, რომ განუხორციელებელ ამოცანად დარჩენილიყო.

ოთარ გიგინეიშვილისა და ალექსი ივანიშვილის ხელმძღვანელობით 1954-1960 წლებში ჩატარებულ სასიმაღლო ექსპედიციებში, ჩვენი მთამსვლელები პამირის მთიანეთში 6000 მეტრზე მაღალ ორ ათეულზე მეტ მწვერვალზე, მათ შორის მარქსისა და ენგელსის სახელობის მანამდე დაუძლეველ მწვერვალებზე, ახალი გზით კომუნიზმის პიკზე და ლენინის პიკზე (7134 მ) ავიდნენ, განახორციელეს დარვაზის ქედის შვიდი მწვერვალისა და ზულუმართისა და იმიერალაის ქედების ტრავერსები.

ეს წლები ქართული სასიმაღლო ალპინიზმის ბრწყინვალე გამარჯვებათა წლები იყო. ამ წლებში განხორციელებულმა ასვლებმა საერთაშორისო აღიარება მოუტანა ქართულ მთამსვლურ სკოლას, ხოლო ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატებში ჩვენი მთამსვლელების გუნდმა ამ ხნის მანძილზე ხუთჯერ მოიპოვა ოქროსა და ვერცხლის მედლები.

1961 წლის შემდეგ სასიმაღლო ალპინიზმის განვითარება საქართველოში საგრძნობლად შეფერხდა: ათი წლის მანძილზე - 1962-1971 წლებში მხოლოდ სამჯერ მოეწყო სასიმაღლო ექსპედიციები, მაგრამ ამ ექსპედიციებს არ მოუტანიათ სასურველი შედეგები. საკავშირო მასშტაბით კი სასიმაღლო ალპინიზმმა ამ ხანებში არნახული აღმავლობა განიცადა: პამირისა და ტიან-შანის მთებში გავლილი იქნა ისეთი მარშრუტები, რომელთა დაძლევაზე რამდენიმე წლის წინათ ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო.

... მოსკოვის პიკზე ქარბუქში ავედით, უამინდობა მწვერვალზე იერიშის დაწყებიდანვე თან გვდევდა, ბოლო დღეებში კი უფრო მეტად გაავდრდა. მწვერვალის ქარაფებს ახალმოსული თოვლი სქელ ფენად გადაჰკვროდა, ყინვა ძვალ-რბილში ატანდა, მწვერვალის თხემიდან ანახვეტი თოვლის ნამქერი სახეში გვცემდა, გვაბრმავებდა და სუნთქვას გვიკრავდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გათოშილი ხელებით ძლივს დავწერეთ მწვერვალზე დასატოვებელი ბარათი, მოვხსენით რუსი ალპინისტების წერილი და მწვერვალის ქედით დასაშვები გზისკენ გავეშურეთ.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სამთო სისტემებში, ოთხ შვიდიათასმეტრიან მწვერვალს გარდა (კომუნიზმის პიკი, "პობედა", ლენინის პიკი, კორჟენევსკაიას პიკი), 6000 მეტრზე მაღალი არა ერთი და ორი ათეული მწვერვალია. მართალია, ამ მწვერვალებზე ალპინისტური თვალსაზრისით საინტერესო და ასასვლელად შესაძლო მარშრუტთა დიდი უმეტესობა უკვე გავლილია, მაგრამ ხვალ, ალბათ, დაძლეულ იქნება ისეთი მარშრუტებიც, რომელთა გადალახვაც დღეს შეუძლებლადაა მიჩნეული. სასიმაღლო ალპინიზმის სწრაფი განვითარება და ამჟამად უკვე დაძლეული ტრასები უთუოდ ამის საწინდარია.

გარდა სასიმაღლო ასვლებისა თუ ტრავერსებისა, გაისად ქართველმა მთამსვლელებმა შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიონ ჩემპიონატის ტექნიკური ასვლების კლასში მოასპარეზე გუნდებსაც. წლეულს ქართველ მთამსვლელთა მიერ განხორციელებული ტექნიკური ასვლები ამ შესაძლებლობის უტყუარი დამადასტურებელია (ამ ასვლათა შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ უმაღლესი, მე-6 კატეგორიის სიძნელის მარშრუტი მწვერვალ ბოდხონაზე, რომელიც მთამსვლელთა ჯგუფმა სპორტის ოსტატ გივი ქართველიშვილის მეთაურობით გაიარა). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაისად ქართველი

მთამსვლელები ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატის ტექნიკურ კლასშიც იტყვიან თავის სიტყვას”.

“უხვმოსავლიანი” გამოდგა 1976 წელი ქართველი მთამსვლელებისათვის. თერთმეტწლიანი “შესვენების” შემდეგ, პამირში გუნდმა გიორგი აბაშიძის, სერგო ბარლიანის, შალვა გაბისიანის, დიმიტრი დანგაძის (ასვლის ხელმძღვანელი), შოთა მირიანაშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი) შემადგენლობით გაიარა “საღრანის დიდი ნალის” ტრავერსი და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. ტიან-შანში კი, მწვერვალ ჯიგიტზე ჩრდილო-დასავლეთის კედლის დიდი სამკუთხედის ცენტრით მწვერვალზე ავიდნენ და ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: თამაზ ბაქანიძე, გიორგი ზუმბაძე, ტარიელ ლუკაშვილი, გივი ქართველიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დიმიტრი შარაშენიძე (ასვლის ხელმძღვანელი) და მურად ჭიჭინაძე.

ამ ასვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ „Известия“-ში (1976 წ. 10 დეკემბერი) გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ПОКОРИТЕЛИ ГОР“, რომელშიც ვკითხულობთ: „Они вели штурм западной стены пика Джигит, бесстрашные покорители высоты. Девять раз команда альпинистов во главе с капитаном, мастером спорта Д. Шарашенидзе провела «висячие» ночевки в гамаках над бездной. Никогда еще в истории советского альпинизма не было столь сложного подьема. Об этом рекордном восхождении нынешнего года и рассказывалось на традиционной встрече, которую провел Совет ветеранов Федерации альпинизма СССР.

ჯიგიტი

Более двухсот человек сьехались на встречу. Среди них – один из известных ученых-гигиенистов, академик А. Летавет. Его альпинистский стаж 60 лет. На Памире одна из вершин названа его именем. Приехали также известный своими первовосхождениями на пик Коммунизма, пик Победы, пик Ленина, организатор и руководитель многочисленных экспедиций на Кавказе, Памире и Тянь-Шане заслуженный мастер спорта В. Абалаков, его ученики – М. Ануфриков, А. Гусев и многие другие.

Такой спорт дарит своим приверженцам удивительное художественное видение заоблачного мира гор. Рекорды прошлых лет, казавшиеся феноменальными, нине доступны многим, но всегда альпинизм будет синонимом поиска, разумного риска, воли к победе“.

ამ გუნდებმა 1977 წელსაც გამოიჩინეს თავი, მაგრამ ამჯერად ორივემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, გიორგი ზუმბაძე, ტარიელ ლუკაშვილი, მურად ჭიჭინაძე, გივი ქართველიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი და გუნდის კაპიტანი), ჯემალ ქელეხსაშვილი და დიმიტრი შარაშენიძე (მწვრთნელი), პამირში ევგენი აბალაკოვის სახელობის პიკზე მანამდე გაუვლელი ჩრდილოეთის კედლით ავიდა და წარმატებას მიაღწია სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში. მეორე გუნდმა გიორგი აბაშიძის, სერგო ბარლიანის, შაქრო გაბისიანის, დიმიტრი დანგაძის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), შოთა მირიანაშვილის (გუნდის კაპიტანი) და ოთარ ხაზარაძის შემადგენლობით კავკასიონზე, ჭაუხების მასივის ტრავერსი განახორციელა და ახლად შემოღებულ კლდოვან კლასში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ეს იყო ამ გუნდის ბოლო წარმატება საკავშირო ჩემპიონატებში.

ჭაუხების მასივი

* * * * *

არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ მთამსვლელობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამოაზრეთა ერთიანი, მონოლითური ჯგუფების არსებობას ანუ გუნდურობის პრინციპს, როცა გუნდის წევრები, წლების განმავლობაში პატივს მიაგებენ, აფასებენ, ნახევარი სიტყვით უგებენ ერთმანეთსა და ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი კი გუნდში საქმიან ატმოსფეროს ქმნის, აგვარებს შიგნით თუ გარეთ წარმოქმნილ პრობლემებსა და საკითხებს, ასევე საკუთარ თავზე იღებს კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას და განსხვავებული შეხედულებების თუ მრწამსის მქონე გუნდის წევრებს საერთო მიზნისაკენ მიმართავს.

შოთა მირიანაშვილი

ქართული ალპინიზმის ისტორიაში გუნდის შექმნის მცდელობა ჰქონდა ალიოშა ჯაფარიძეს, კაკო მარს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, მიხეილ ხერგიანს, მაგრამ მათმა გუნდებმა სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ რამდენიმე წელიწადს იარსებეს.

ყველაზე სტაბილური, შეიძლება ითქვას "მრავალწლიანი" და შედეგიანი გუნდები კი ასპარეზზე გამოვიდნენ სამოციან წლებში, შოთა მირიანაშვილისა და გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით.

ეს ორი, გამოკვეთილი გუნდი "ქარიშხალა" და "განთიადი", რომლებიც ხშირად და მონაცვლეობით საქართველოს ალპური კლუბის ან საქართველოს სპორტკომიტეტის სახელით გამოდიოდა საკავშირო ასპარეზზე, საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევდა.

შოთა მირიანაშვილის გუნდმა, თითქმის უცვლელი შემადგენლობით 1960-1977 წლებში მოიპოვა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი.

1960 წელს ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

1965 წელს - ბრინჯაო.

1969 წელს - ბრინჯაო.

1973 წელს - ბრინჯაო.

1975 წელს - ვერცხლი.

1976 წელს, გუნდმა პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

1977 წელს მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მიიღო.

თუ შევაჯამებთ შოთა მირიანაშვილის გუნდის წევრების საუკეთესო ინდივიდუალურ მიღწევებს წლების განმავლობაში, იგი ასე გამოიყურება:

აგი აბაშიძე – მოიპოვა ორი ოქროს, ორი ვერცხლის, ერთი ბრინჯაოს მედალი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

სერგო ბარლიანი - ერთი ოქრო, ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო

გიორგი ბერძენიშვილი - ერთი ვერცხლი

შაქრო გაბისიანი - ერთი ოქრო, ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო

ალიოშა გავაშელი - ერთი ბრინჯაო

დიმიტრი დანგაძე - ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, სამი ბრინჯაო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

შაქრო გაბისიანი, აგი აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე, ოთარ ხაზარაძე, სერგო ბარლიანი, შოთა მირიანაშვილი (გუნდის ხელმძღვანელი)

ვასილ თევდორაშვილი - ერთი ბრინჯაო

გიორგი მანაგაძე - ერთი ვერცხლი
შოთა მირიანაშვილი - ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, სამი ბრინჯაო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი
ნოდარ ნადირაშვილი - ერთი ვერცხლი
ლევან ღლონტი - ერთი ბრინჯაო
ავთანდილ ძიძიგური - ორი ვერცხლი
ოთარ ხაზარაძე - ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, ორი ბრინჯაო, სპორტის საპატიო ოსტატი.

ამ წარმატებების ხელმძღვანელი, გუნდის ერთპიროვნული ლიდერი შოთა მირიანაშვილი, ორმოცდაათ წელზე მეტია მთამსვლელობაში მოღვაწეობს. განათლებით ფიზიკოსი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, წლების განმავლობაში იყო საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის წევრი, ამჟამად პრეზიდენტია; არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტთა კლუბის ხელმძღვანელი. მის მიერ მოწყობილ ალპინიადებში ასეულობით სტუდენტი ეზიარა მთას და თავის პირველ მწვერვალზე ავიდა.

შოთა მირიანაშვილმა მთაში ფოტოგადაღებების ტრადიციაც განაგრძო, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს გიორგი ნიკოლაძემ, არჩილ ბენაშვილმა, ატო აღნიაშვილმა, ალიოშა ჯაფარიძემ, მიქელ პატარიძემ, ხოლო უმაღლეს საფეხურზე აიყვანა საქართველოში მხატვრული ფოტოგრაფიის ფუძემდებელმა გურამ თიკანაძემ.

ხანდაზმულობის მიუხედავად, შოთა მირიანაშვილს დღესაც მთებისაკენ უჭირავს თვალი და ახალბედებისთვის ცდილობს ლაშქრობა-ალპინიადების მოწყობას.

* * * * *

1978 წელს სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში, გივი ქართველიშვილის გუნდი პამირში, მყინვარ ზუგვანდის სათავეებში, ტაჯიკეთის უნივერსიტეტის ცნობილ მწვერვალზე ცდილობდა ასვლას, მაგრამ ძლიერი ქვათაცვენის გამო იძულებული გახდა, უკან გამობრუნებულიყო. აღსანიშნავია, რომ სავარჯიშო ასვლების დროს იმავე ხეობაში გუნდმა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მე-5 კატეგორიის სირთულის მწვერვალი დალაშქრა.

1979 წელს ამ ჯგუფმა კვლავ შეუტია იმავე მწვერვალს და მიზანსაც მიაღწია. მის მიერ გავლილი კედელი უკუდახრილი და იმდენად გლუვია, რომ იგი ზუგვანდის სარკის სახელითაა ცნობილი. მწვერვალიდან ოქროს მედლები "ჩამოიტანეს" გივი ქართველიშვილმა (ექსპედიციისა და ასვლის ხელმძღვანელი), თამაზ ბაქანიძემ, ირაკლი გელდიაშვილმა, რომან გიუტაშვილმა, ტარიელ ლუკაშვილმა, მურად ჭიჭინაძემ. ეს ურთულესი ასვლა ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

გივი ქართველიშვილი

1980 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე, მოსკოვის პიკზე მომხდარი ავარიის შემდეგ, სადაც რუსების ჯგუფის სამი მთამსვლელი დაიღუპა, საკავშირო ფედერაციამ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ასაკობრივი ზღვარი შემოიღო

- 40 წლის მთამსვლელები ვეღარ მონაწილეობდნენ ჩემპიონატებში. ამის გამო, შემდგომ წლებში ქართველიშვილის გუნდში უკვე აღარ გამოდიოდნენ: თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე. მათი ადგილები ღირსეულად დაიკავეს ამ გუნდში აღზრდილმა ახალგაზრდებმა: ირაკლი გელდიაშვილმა, დევი თარხნიშვილმა, ჯემალ ქელეხსაშვილმა, თამაზ შარაშენიძემ, რომელთაც მომდევნო წლებში, ზედიზედ, ორჯერ ვერცხლის და ერთხელ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საკავშირო პირველობაზე.

1981 წელს გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით ეწყობა ექსპედიცია კავკასიონზე. მოიერიშე ჯგუფი ტარიელ ლუკაშვილის (ასვლის ხელმძღვანელი), ირაკლი გელდიაშვილის, დევი თარხნიშვილის, ჯემალ ქელეხსაშვილისა და მურად ჭიჭინაძის შემადგენლობით, კიუკურტლუს ჩრდილო-დასავლეთის ურთულესი კედლის გავლით ადის მწვერვალზე, რაც საკავშირო მსაჯთა კოლეგიამ "მხოლოდ" ვერცხლის მედლებით(?!) შეაფასა.

დიმიტრი შარაშენიძე, გივი ქართველიშვილი (გუნდის ხელმძღვანელი), ტარიელ ლუკაშვილი, რომან გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე, წინ: მურად ჭიჭინაძე, ირაკლი გელდიაშვილი

ამ ასვლასთან დაკავშირებით ერთი პარადოქსული ფაქტია აღსანიშნავი.

საერთოდ, საბჭოთა მთამსვლელობაში მიღებული იყო, რომ მწვერვალზე პირველასვლის ან ახალი მარშრუტის გავლის შემდეგ, ვინაიდან ამ მარშრუტებს შემდგომ სხვა გუნდებიც გადიოდნენ და მათ უკვე ხელთ ჰქონდათ წინა ამსვლელელების მარშრუტის აღწერილობა, ასვლა უფრო იოლი ხდებოდა როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ტექნიკურად და ტაქტიკურად. ამიტომ, თითქმის ყოველ 10 წელიწადში, საკავშირო ფედერაცია მწვერვალების სირთულეთა კლასიფიკაციას გადახედავდა და, როგორც წესი, მათ ჩამოაფასებდა ხოლმე. მარშრუტების უმეტესობა ამ წლებში ჩამოფასდა კიდეც. მათ შორის, რუსების მიერ გავლილი უშბის ის კედელი, რომელმაც იმ წელს ქართველების მიერ გავლილ კიუკურტლუს მარშრუტს მოუგო. საამაყოა, რომ ქართველების მიერ ოცდაათი წლის წინათ გავლილმა მარშრუტებმა

კიუკურტლუზე (რომელიც ტარიელ ლუკაშვილის მარშრუტის სახელითაა ცნობილი) და ტიან-შანში ჯიგიტზე (დიმიტრი შარაშენიძის მარშრუტი), შესაბამისად, დღემდე შეინარჩუნეს უმაღლესი - მე-6ბ და მე-6ა კატეგორიის სირთულე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ ტენდენციურ დამოკიდებულებას, რომელსაც საკავშირო ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის ჩინოვნიკები იჩენდნენ ქართველი მთამსვლელების მიმართ.

1982 წელს კავკასიონზე, ჭაუხებში (ექსპედიციის ხელმძღვანელი გივი ქართველიშვილი), დავით აღმაშენებლის მწვერვალზე ჩრდილოეთის კედლით ასვლისათვის ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ ტარიელ ლუკაშვილი (ასვლის ხელმძღვანელი), ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, თამაზ შარაშენიძე, ჯემალ ქელეხსაშვილი და მურად ჭიჭინაძე.

ჩვენმა მთამსვლელებმა, 1978 წლის ექსპედიციის დროს ტაჯიკეთის უნივერსიტეტის მწვერვალის გვერდით მდებარე საკმაოდ რთული უსახელო მწვერვალის კედელი დაზვერეს, რომლის სიმაღლე ზ.დ. 6100 მ-ია. სწორედ ამ კედლის გავლა გადაწყვიტა უკვე საკმაოდ გამოცდილმა ახალგაზრდულმა გუნდმა 1983 წელს (ექსპედიციის ხელმძღვანელი რომან გიუტაშვილი). მოიერიშე ჯგუფში, რომელსაც ირაკლი გელდიაშვილი ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ დევი თარხნიშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, მურად ჭიჭინაძე და თამაზ შარაშენიძე.

მწვერვალი „6100“

ამ ასვლის პერიპეტიებთან დაკავშირებით, ექსპედიციის უფროსის მოადგილე ვახტანგ კოლხიდაშვილი გვიამბობს:

“1 აგვისტოს მთელი გუნდი 5200 მეტრ სიმაღლეზე უღელტეხილზე გადავიდა. მეორე დღეს უმოქმედოდ ვიყავით... დგას შენს წინაშე ათასმეტრიანი ვერტიკალური კედელი და თითქოს მორალურად “გჩაგრავს”. შუადღისას მწვერვალს უზარმაზარი თოვლის ქუდი მოსწყდა და პირდაპირ კედლის ძირას მოადინა ზღართანი.

- ეს მწვერვალის გამოწვევას ჰგავს – თქვა მოიერიშეთა კაპიტანმა ირაკლი გელდიაშვილმა, მაგრამ მიუხედავად ამისა 3 აგვისტოს დაიწყო შტურმი. ირაკლი გელდიაშვილმა, დევი თარხნიშვილმა, მურად ჭიჭინაძემ, ჯემალ ქელეხსაშვილმა და თამაზ შარაშენიძემ პირველ დღეს მხოლოდ 200 მეტრი დაძლიეს, რადგან ვერტიკალური მონაკვეთის შემდეგ დაქანება უარყოფითი ხდება, მარშრუტს თოვლისა და ყინულის ლავგარდანის წყება გასდევს, ლავგარდანიდან უარყოფითი დახრილობა უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიას იძლეოდა, რადგან ყინულიდან მოწყვეტილი “ჩემოდნები” მათ ზურგს უკან სკდებოდა.

4 აგვიტო. დაიწყო ყვითელი კედლის დამუშავება. აქ უარყოფითი დახრა ყველაზე დიდია. ამ 250-მეტრიანი მონაკვეთის გავლას ოთხი დღე დასჭირდა. კავშირი რადიოგადამცემებით გვაქვს. წყვილი, რომელიც წინ მუშაობდა, ყველა ბაქნიდან ტვირთის გარშე მიდიოდა, ამუშავებდა რთულ მონაკვეთებს. უარყოფითი კედლის დახრა იმდენად დიდი იყო, რომ ბოლო კაცი პალოებს რომ ამოაძრობდა, 50-მეტრიან თოკზე დაკიდებული თითქმის 15 მეტრით ცილდებოდა შვეულ კედელს. ეს მაინცდამაინც არც თუ კარგი გრძნობაა, მაგრამ

ნელ-ნელა ყველა შეეჩვია ასეთ მდგომარეობაში ყოფნას. ღამის გასათევი ადგილის პოვნა ძალზე ძნელი იყო. მთელ მარშრუტზე მხოლოდ ერთხელ გაიშალა კარავი. დანარჩენი დღეები ჰამაკში ან მცირე ბაქნებზე ცალ-ცალკე ეძინათ. საღამოს მთელი გუნდი ერთად შეიკრიბა ბაქანზე, რომელსაც ორი მეტრი სიგანის თარო გასდევდა. კარავი გაშალეს, წყალიც მოიმარაგეს. ასეთი მდგომარეობა კი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია მთამსვლელებისათვის.

10 აგვისტოს გავლილ იქნა ყინულის ურთულესი მონაკვეთი, რომელსაც დევი თარხნიშვილი ამუშავებდა. დაიწყო ზედა ბასტიონის შტურმი. "ბუხრის" გავლა მოსალოდნელზე უფრო რთული აღმოჩნდა, რადგან იგი სიფრიფანა ყინულის ფენით იყო დაფარული. ასეთ დროს ჯერ ყინულის მომტვრევაა საჭირო და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მოძრაობის გაგრძელება.

მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი გელდიაშვილი ასე იგონებდა ამ რთული მონაკვეთის გავლის პერიპეტიებს: "კედლის რთული მონაკვეთების დასაძლევად, მით უმეტეს ზედა ნაწილში, სადაც თითებზეც ვერ ვეკიდებოდით, ვხმარობდით სპეციალურ, კუსტარულად დამზადებულ კაუჭებს, რომელთა დახმარებით საშუალება გვეძლეოდა ჩამოვკიდებულიყავით გრანიტის ზედაპირის სულ მცირე შვერილზეც კი. კედელზე მუშაობა გამორიცხავდა აჩქარებას, ფაციფუცს. ერთი საათის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე მეტრზე ავედით, მაგრამ წინ ახალი გამოცდა გველოდა - დაიწყო თხემი ჩაყინული კლდეებითა და დიდი ლავგარდანებით. ამასთან, ამინდიც შეიცვალა. მონაკვეთი საშიში იყო, რაც თითოეულისაგან მაქსიმალურ სიფრთხილეს მოითხოვდა.

ჯემალ ქელეხსაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, დევი თარხნიშვილი, თამაზ შარაშენიძე. წინ: ირაკლი გელდიაშვილი, მურად ჭიჭინაძე

მეცხრე დღეს ამინდი გაუმჯობესდა, მაგრამ რჩებოდა არანაკლებ რთული 160-მეტრიანი მონაკვეთი - ვერტიკალური კოშკი ყინულის "ბუხრით"... მწვერვალი უკვე ძალზე ახლოს იყო...

ბოლო მეტრები, ტექნიკურად არც ისე რთული, ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით გაიარეს ბიჭებმა და მეთერთმეტე დღეს ხუთეული მწვერვალზე იდგა. ჩამოსასვლელი გზა ბევრად ადვილი იყო.

ყველასათვის მოულოდნელად, მურად ჭიჭინაძის ზურგჩანთიდან ერთმა ბოთლმა "ქინძმარაულმა" ამოჰყო თავი. სიმძიმის გამო ზედმეტი ასანთი არავის მიჰქონდა გუნდში, მას კი...

გამარჯვებისა და ქართული ალპინიზმის სადღეგრძელო "ქუთაისური" მჭევრმეტყველებით წარმოსთქვა მურადმა"...

ირაკლი გელდიაშვილის ჯგუფმა ამ ასვლისათვის 1983 წლის საკავშირო ჩემპიონატში, სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სამწუხაროდ, ეს მედლები უკანასკნელი აღმოჩნდა ირაკლის, დევისა და მურადისათვის.

ამ ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, ირაკლი გელდიაშვილი და მურად ჭიჭინაძე ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრნენ, სადაც ზამთარში შხელდის ჩრდილოეთი კედლის მე-5 კატეგორიის სირთულის მარშრუტი გაიარეს. წარმატებული ასვლებით აღტაცებულებმა და საკუთარ თავში დარწმუნებულებმა, გუნდთან ერთად დაგეგმეს ზამთარში უშბაზე ასვლა გაბრიელის გზით.

ისიც აღსანიშნავია, რომ უშბაზე ზამთარში პირველასვლა განუხორციელებელი დარჩა ამ გუნდის უფროს თაობას, რომელსაც ჯერ კიდევ 1971 წლის თებერვალში საბაზო ბანაკიდან ჰქონდა სამი მცდელობა. ექსპედიციის შემადგენლობაში საკმაოდ გამოცდილი მთამსვლელების: თამაზ ბაქანიძის, თენგიზ ბერიშვილის, ვალერი გაბელაშვილის, რომან გიუტაშვილის, ომარ ერქომაიშვილის, ტარიელ ლუკაშვილის, გივი ქართველიშვილის (ხელმძღვანელი), ზაალ ქიქოძის, დიმიტრი შარაშენიძისა და გივი წერედიანის ყოფნის მიუხედავად, გაუგონარი დიდთოვლობის გამო, ასვლა ვერ განხორციელდა.

1984 წლის თებერვალში, უშბაზე ასასვლელად სვანეთში გაემგზავრა ექსპედიცია დიმიტრი შარაშენიძის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ვახტანგ კოლხიდაშვილის (მოადგილე), თამაზ ბაქანიძის, ირაკლი გელდიაშვილის, რომან გიუტაშვილის, ბიძინა გუჯაბიძის, ომარ ერქომაიშვილის, გიორგი ზუმბაძის, დევი თარხნიშვილის, დავით კობახიძის, გრიშა სტარჩიკის, ჯემალ ქელეხსაშვილის, გია ტუშურის, თამაზ შარაშენიძის, მურად ჭიჭინაძისა და კოკა ჯავახიას შემადგენლობით.

მარშრუტზე ორი ჯგუფის გასვლა გადაწყდა ერთი დღის ინტერვალით. პირველ ჯგუფში შედიოდნენ: ირაკლი გელდიაშვილი (ასვლის ხელმძღვანელი), დევი თარხნიშვილი, გიორგი ზუმბაძე, დავით კობახიძე, გია ტუშური, მურად ჭიჭინაძე, ხოლო მეორე ჯგუფში -დიმიტრი შარაშენიძე (ასვლის ხელმძღვანელი), თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, თამაზ შარაშენიძე.

პირველმა ჯგუფმა, ზამთრის მკაცრი პირობების მიუხედავად, წარმატებით გაიარა საკვანძო კედელი და მწვერვალზე ავიდა. ჩამოსვლისას, ძირითადი კედლის თავზე შეხვდა მეორე ჯგუფს და მცირე შესვენების შემდეგ კედლის ძირამდე დაეშვა, სადაც კარავი ჰქონდათ დატოვებული.

დილით, მეორე ჯგუფი წინა ჯგუფის გზით - თხემით ავიდა მწვერვალზე (დიმიტრი შარაშენიძის გარდა, რომელსაც ხელის თითები მოეყინა), მაგრამ უკან დაბრუნებისას, კედლის ძირიდან დაწყებული, მათ პირველი ჯგუფის კვალი ვერსად ნახეს. სავარაუდოდ, გუნდი (ირაკლი გელდიაშვილი, გიორგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, გია ტუშური, დავით კობახიძე, მურად ჭიჭინაძე) კედლის შემდეგ, შედარებით ნაკლებად დახრილ მონაკვეთზე ზვავში მოჰყვა და დაიღუპა.

1984 წლის თებერვალი უმძიმესი აღმოჩნდა ქართველი მთამსვლელებისათვის. ეს იყო დიდი დარტყმა მთამსვლელობისა და საერთოდ, მთელი ქართული საზოგადოებისათვის.

ამ ტრაგედიის შემდეგ ქართულ მთამსვლელობაში, ისე როგორც 1961 წელს, დიდი ხნით კვლავ ვაკუუმი შეიქმნა. ამის შემდეგ, ქართველ მთამსვლელებს მონაწილეობა აღარ მიუღიათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში და არც რაიმე მნიშვნელოვანი ასვლა ჩატარებულა.

გადიოდა წლები...

საჭირო გახდა სხვა გზების ძიება, მთავარი იყო ახალგაზრდა მთამსვლელთა გაერთიანება და მათი დაოსტატებისათვის ზრუნვა.

ამ მიზნის განსახორციელებლად, 1987-1990 წლებში გივი ქართველიშვილის მეთაურობით, რომელსაც სპორტულ ნაწილში რომან გიუტაშვილი ეხმარებოდა, საქართველოს

ახალგაზრდულმა ნაკრებმა, სადაც გაერთიანებული იყვნენ თბილისელი, ქუთაისელი, რუსთაველი და მესტიელი ახალგაზრდა მთამსვლელები, პამირსა და ტიან-შანში სავარჯიშო ასვლების გარდა ავიდნენ შვიდიათასიან მწვერვალებზე: ხანთენგრი, კორჟენევსკაიას, კომუნიზმისა და ლენინის პიკები. ეს სასიმაღლო ასვლები ერთგვარი სამზადისი იყო ჰიმალაისათვის, სადაც ქართველი მთამსვლელები ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში მიიწვია საქართველოში სტუმრად მყოფმა ნეპალის მეფემ, მაგრამ ტიბეტში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ეს ვიზიტი ჩაიშალა.

1988 წელს, ნეპალის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად, გადაწყდა, 1991 წლის გაზაფხულზე, ქართველი მთამსვლელები გამგზავრებულიყვნენ მწვერვალ ანაპურნაზე (8091 მ) ასასვლელად.

ექსპედიციის მზადების შესახებ, 1990 წლის გაზეთებში "ლელო" (27 ივნისი) და "საქართველოს რესპუბლიკა" (11 დეკემბერი) გამოქვეყნდა ინტერვიუები საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილესთან, ექსპედიციის ხელმძღვანელ გივი ქართველიშვილთან: "ჰიმალაიში ექსპედიციის მოწყობა ურთულესი საქმეა. გარდა ენთუზიაზმის, მაღალპროფესიულობისა და ასვლისათვის ფიზიკურად მზადყოფნისა, ღონისძიება საჭიროებს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის, აგრეთვე საქსპორტსახკომის ძალისხმევით ნაწილი საკითხებისა უკვე გვარდება. კერძოდ, დადებულია ხელშეკრულება "ჰიმალაი ექსპედიშენს კომპანისთან", რომელიც ადგილზე მოემსახურება ექსპედიციას, დაკვეთილია ნაწილი მთამსვლური საჭურვლისა, მათ შორის ჟანგბადის მოწყობილობა, დაგეგმილია და მზადების პროცესშია 1990 წლის პამირ-ტიან-შანის ექსპედიცია და სხვ.

მომავალ ექსპედიციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართული ეროვნული სპორტის ერთ-ერთი სახეობის, ალპინიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივას სახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპედიცია ანაპურნაზე არის პირველი რეალური ცდა საკავშირო სპორტსახკომის გარეშე მოეწყოს ქართველ მთამსვლელთა ასვლა ჰიმალაის მთიანეთში და საერთაშორისო ასპარეზზე გაცხადდეს საქართველოს სპორტული პრესტიჟის დაცვის ეროვნული ასპექტი.

ჰიმალაის ექსპედიცია (ოფიციალური სახელწოდება "ანაპურნა-91"), შეიძლება ითქვას, დაიწყო 1987 წლის მოსამზადებელი ასვლებით პამირსა და ტიან-შანში. იგი ითვალისწინებს საექსპედიციო აღჭურვილობის წვრილმანსაც კი, რომლის უნებლიე გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა კორექტივი შეიტანოს ასვლის წარმატებაში, ამიტომ საჭიროა საზოგადოებრიობის მაქსიმალური მხარდაჭერა და დახმარება, რათა ექსპედიცია, რომელსაც ადგილზე დიდი ხნით მოუწევს მუშაობა, ყოველმხრივ მომზადებული გაემგზავროს ნეპალს.

საგულისხმოა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის (დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი) განზრახვა, გენერალური სპონსორობა გაუწიოს ამ მამულიშვილურ საქმეს.

დახმარების სურვილი გამოთქვა და ექსპედიციის სპონსორობა იკისრა აგრეთვე ავსტრიულმა ფირმამ "აბვ"-მ (პრეზიდენტი ლ. ბაუზბეკი). ბატონ ლეოპოლდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ ქართული ექსპედიციის დაფინანსებაში.

1991 წლის იანვრამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. გასაკეთებელი საქმე კი უამრავია. დრო არ ითმენს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო-ეროვნულმა უწყებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა საშური ყურადღება უნდა გამოიჩინონ და თავიანთი მორალური მხარდაჭერითა და მატერიალური დახმარებით ხელი შეუწყონ ანაპურნაზე ქართველთა ასვლის ღირსეულად დაგვირგვინებას.

ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილეა რომან გიუტაშვილი – ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი. დანარჩენ მონაწილეებს დავასახელებ ანბანის მიხედვით. ესენი არიან: თბილისელები ზურაბ ასტახიშვილი (ექიმი), ბიძინა გუჯაბიძე, გია დვალი, გია თორთლაძე, დავით იოსელიანი, სანდრო კობაიძე, ავთანდილ მოკვერაშვილი, გელა ოთარაშვილი, ლევ სარქისოვი, თამაზ შარაშენიძე და დავით ჩანტლაძე, ქუთაისელები ამირან

დოლიძე და მერაბ ნემსიწვერიძე, ბენო ქაშაკაშვილი რუსთავიდან, აფი გიგანი და იდრის ხერგიანი სვანეთიდან.

ამ დღეებში ნეპალიდან დაბრუნა ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი რომან გიუტაშვილი და ბენო ქაშაკაშვილი. მათ მომავალ ასვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები გადაწყვიტეს კატმანდუში. განსაზღვრეს ექსპედიციის ჩატარების კონკრეტული ვადები. ნეპალში თებერვლის ბოლოს გავემგზავრებით. ასვლა დაგეგმილია 20 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით.

ანაპურნა მდებარეობს ცენტრალურ ჰიმალაიში, დედამიწის მთავარი მწვერვალის ევერესტის დასავლეთით. უკანასკნელი საბაზო ბანაკის დაცემას ვაპირებთ 7700-7800 მეტრ სიმაღლეზე. მწვერვალზე ასვლას და ჩამოსვლას დაახლოებით ათ დღეს მოვუნდებით. ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი შერპების ტომის მოსიმაღლე მთამსვლელები, კავშირგაბმულობის ოფიცერი, ალპინისტური ტვირთის მზიდავები და სხვ.

სხვათა შორის, ნეპალში არსებული წესების მიხედვით ჩვენთან ერთად მწვერვალზე ასვლა შეუძლიათ შერპებსაც, რომლებიც ამ მომენტისათვის საიერიშოდ მზად იქნებიან.

მზადებაში გვეხმარებიან საქართველოს სპორტსახკომი და ალპინიზმის ფედერაცია, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი, მაგრამ მთავარი დაბრკოლებაა საჭირო სახსრების უქონლობა. წინასწარ დაგვპირდნენ დახმარებას ფინანსთა სამინისტრო, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, "საქიმპექსი". პირველი ქართული ჰიმალაის ექსპედიციისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ავსტრიის "აბვ" ფირმამაც, რომელიც სასტუმროებს აშენებს საქართველოში. მაგრამ, ჯერჯერობით, დაპირებები დაპირებად რჩება. ჩვენ კი უკვე დაგვიდგა გადამწყვეტი ფაზა და მოსამზადებლად ორ თვეზე ოდნავ მეტი დაგვრჩა. მარტო რესპუბლიკის სპორტსახკომისა და ალპინიზმის ფედერაცის ძალისხმევა არ არის საკმარისი. საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას ავტორიტეტული ორგანო, რომელიც შეძლებს იკისროს მაკოორდინირებელი როლი ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

რამდენიმე ათეული წელი ელოდნენ ქართველი მთამსვლელები ჰიმალაის ექსპედიციას... და, ბოლოს, მათ მიეცათ ნანატრი ოცნების ასრულების რეალური შანსი. ანაპურნა უკვე არც ისე შორია, მასზე ასვლა ხომ ეროვნული მნიშვნელობის საქმეა".

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რეალური არასოდეს ყოფილა ქართველ მთამსვლელთა ჰიმალაიში გამგზავრების შესაძლებლობა, მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ექსპედიცია და საიერიშო ჯგუფი მთლიანად მზად იყვნენ მიზნის მისაღწევად, შეძენილი ჰქონდათ საჭურვლის დიდი ნაწილი, მოსკოვში გამზადებული ხვდებოდათ ვიზები და საერთაშორისო პასპორტები, დაკვეთილი იყო ბილეთები, მაგრამ ექსპედიცია მაინც არ შედგა უკვე საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარების გამო...

დასანანია, რომ ამგვარად დასრულდა ყოველმხრივ მომზადებული ექსპედიცია "ანაპურნა-91", მაგრამ ჰიმალაიში გასვლის იმედი მაინც არ ქრებოდა...

* * * * *

მთამსვლელთა გუნდების დახასიათების დროს არ შეიძლება მოკლედ არ შევაფასო გივი ქართველიშვილისა (სადაც იგი მუდამ ერთპიროვნული ლიდერი იყო) და მისი გუნდის (თამაზ ბაქანიძე, ბესიკ და ნუგზარ ბაქრაძეები, თენგიზ ბერიშვილი, ირაკლი გელდიაშვილი, რომან გიუტაშვილი, გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, დიმიტრი შარაშენიძე, თამაზ შარაშენიძე, მურად ჭიჭინაძე) დამსახურება და ნოვატორული ნაბიჯები ქართული სპორტული ალპინიზმის განვითარებაში.

გივი ქართველიშვილი - პროფესიით მშენებელი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ახალგაზრდობიდანვე სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა და ყოველ შვებულებას (რომელსაც ხშირად ვერ იღებდა გადატვირთულობის გამო) მთამსვლელობას - ექსპედიციების მომზადებასა და მწვერვალებზე საკმაოდ რთული მარშრუტებით ასვლას ახმარდა.

მან თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ქართულ სპორტს, კერძოდ მთამსვლელობას მიუძღვნა, რაც სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ბავშვობაში კარგი ტანმოვარჯიშე და მოცურავე იყო, ხოლო მისი მშობლები პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია "შევარდენის" აქტიური წევრები იყვნენ, რომელსაც სათავეში ედგნენ სასიქადულო მამულიშვილები და ცნობილი სპორტსმენები გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, დავით ჯავრიშვილი, გიორგი და თამარ ნიკოლაძეები. სწორედ ამ ორგანიზაციის გაუქმების შემდეგ მიაშურეს მთას მისმა დამფუძნებლებმა და წევრებმა, რითაც დასაბამი მიეცა მთამსვლელობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ქართულ მთამსვლელობაში ერთ-ერთი საუკეთესო და სტაბილური გუნდის გამორჩეული მიღწევები 1965-1991 წლებში ასეთია:

- გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში მოიპოვა სხვადასხვა ხარისხის 7 მედალი.
- თითქმის უწყვეტლივ, ზედიზედ რვა წლის განმავლობაში (1976-1983 წწ.) მოიპოვა ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.
- 1965 წელს, ყველაზე ახალგაზრდული (საშუალო ასაკი 27 წელი) გუნდი, საბჭოთა კავშირის პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილს იკავებს.
- 1971 წელს იყო უშბაზე ზამთრის ასვლის პირველი მცდელობა.
- 1971, 1973-74 წლებში გუნდმა წარმატებით დაიწყო კლასიფიცირებული მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტების გავლა.
- გუნდის მიერ გავლილი ყველა კედლოვანი ტექნიკური მარშრუტი, დღესაც ურთულეს მარშრუტებად ითვლება.
- 1991 წელს ამ გუნდის ორმა წევრმა რომან გიუტაშვილმა და თამაზ შარაშენიძემ, ათი გიგანთან ერთად, ქართველებიდან (1961 წლის ტრაგედიის შემდეგ) პირველად დალაშქრეს მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალი გამარჯვების პიკი, ხუთივე შვიდიათასიანი მწვერვალი (კომუნიზმის პიკი-7495 მ, გამარჯვების პიკი-7439 მ, ლენინის პიკი-7134 მ, კორჟენევსკაიას პიკი-7105 მ, მწვ. ხან-თენგრი-6995 მ) და ასევე პირველად შეასრულეს "თოვლის ჯიქის" საპატიო წოდების ნორმატივი.
- 1987-91 წლებში გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით სრულყოფილად მომზადდა ჰიმალაის პირველი ქართული ექსპედიცია "ანაპურნა-91", რომელიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო ჩაიშალა.

ცალ-ცალკე თუ შევაჯამებთ გივი ქართველიშვილის გუნდის წევრთა საუკეთესო ინდივიდუალურ მიღწევებს, მათ არაერთი რთული მარშრუტი აქვთ გავლილი; აქედან კლასიფიცირებული მე-6 კატეგორიის სირთულის მწვერვალები, რომლებიც საკავშირო ფედერაციის მიერ საკლასიფიკაციო კრებულში იყო შეტანილი (ჩათინი, სამხრეთ უშბა, ბოდხონა, ჯიგიტი, ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ზუგვანდის სარკე", კუკურტლუ). საერთო ჯამში "ექვსიანზე" 30-ზე მეტი ასვლა აქვთ შესრულებული და ამ გუნდის წევრთა მონაგარი ასე გამოიყურება:

თამაზ ბაქანიძე - მოპოვებული აქვს ორი ოქროს, ერთი ვერცხლის, ერთი ბრინჯაოს მედალი, გავლილი აქვს ხუთი კლასიფიცირებული მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტი. აქედან ორი პირველი გავლა (2 პ.გ.)

ბესიკ და ნუგზარ ბაქრაძეები - ერთი ბრინჯაო

თენგიზ ბერიშვილი - ერთი ბრინჯაო

ირაკლი გელდიაშვილი - ერთი ოქრო, ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ორი 6-იანი (2 პ.გ.)

რომან გიუტაშვილი - ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი, სამი 6-იანი (1 პ.გ.), "თოვლის ჯიქი", ევერესტი

გოგი ზუმბაძე - ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი, სამი 6-იანი (2 პ.გ.)

დევი თარხნიშვილი - ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ერთი 6-იანი (1 პ.გ.)

ტარიელ ლუკაშვილი - ორი ოქრო, სამი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ექვსი 6-იანი (3 პ.გ.)

გივი ქართველიშვილი - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ოთხი 6-იანი (2 პ.გ.)

ჯემალ ქელეხსაშვილი - სამი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ორი 6-იანი
დიმიტრი შარაშენიძე - ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ორი 6-იანი (1 პ.გ.)
თამაზ შარაშენიძე - ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ერთი 6-იანი, "თოვლის ჯიქი" (1 პ.გ.)
მურად ჭიჭინაძე - ორი ოქრო, ორი ვერცხლი, ორი ბრინჯაო, ოთხი 6-იანი (2 პ.გ.)
გივი ქართველიშვილი დღესაც თავდაუზოგავად იღვწის ახალგაზრდა მთამსვლელთა აღზრდისა და დაოსტატებისათვის.

* * * * *

ანაპურნაზე ქართველი მთამსვლელების გამგზავრების ისტორიაზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ასეთი შანსი არასოდეს ჰქონია ჩვენს გუნდს ჰიმალაიში წასასვლელად. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება მკითხველისათვის, თუ როგორი გულდაწყვეტილები იყვნენ ჩვენი მთამსვლელები, მაგრამ ამის მიუხედავად, იმედს მაინც არ კარგავდნენ და ეს ბედნიერი დღეც დადგა!

1991 წელს, შემოდგომით, საქართველომ დამოუკიდებლობა, ჩვენი ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა, ევერესტზე ასვლით აღნიშნა.

ქართული ალპინისტური სკოლის აღზრდილმა, გივი ქართველიშვილის გუნდის უცვლელმა წევრმა, მთამსვლელობის შესანიშნავმა ოსტატმა **რომან გიუტაშვილმა,** რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული მთამსვლელობის ისტორიაში, პირველმა შეასხა ფრთები ყველა თაობის ქართველ მთამსვლელთა ოცნებას და 54 წლის ასაკში მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, "ქვეყნიერების სახურავის" სახელით ცნობილი ევერესტი დალაშქრა 1991 წლის 10 ოქტომბერს.

1991 წელს ევერესტზე პირველად აფრიალდა საქართველოს დროშა

რაინდული ბუნების რომან გიუტაშვილი, ყოფილი პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე, მთამსვლელობაში სტუდენტობიდან ჩაება, როცა ერთ-ერთმა თანაკლასელმა არმაზში, მეკლდეურთა ვარჯიშზე წაიყვანა. აქ იგი გაიცნო მთამსვლელობის ინსტრუქტორმა, მეკლდეურთა გუნდის მწვრთნელმა ალექსანდრე (ალიოშა) მუავანაძემ, რომელსაც მოეწონა პირველსავე ცდაზე რომას თავისუფლად, მსუბუქად

ცოცვა და უყოყმანოდ ჩარიცხა სპორტსაზოგადოება "მედიკოსის" ნაკრებ გუნდში. ცოტა ხნის შემდეგ ამ გუნდმა საქალაქო პირველობაზე ფავორიტად მიჩნეული ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი დაამარცხა და პირად ჩათვლაში პირველი ადგილი რომან გიუტაშვილმა დაიკავა.

1953 წელს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავი აღინიშნებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, მყინვარწვერზე საიუბილეო ალპინიადა ეწყობოდა, რომელშიც რომანიც მონაწილეობდა. ამ ასვლამ სრულიად შეცვალა რომან გიუტაშვილს ცხოვრება...

1970-იან წლებში რომან გიუტაშვილი უკვე ცნობილი მთამსვლელია და საქართველოს უძლიერეს მთამსვლელთა შორისაა. გივი ქართველიშვილთან, დიმიტრი შარაშენიძესთან, თამაზ ბაქანიძესთან, გოგი ზუმბაძესთან, ტარიელ ლუკაშვილთან, მურად ჭიჭინაძესთან, ირაკლი გელდიაშვილთან, დევი თარხნიშვილთან და სხვებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო ჩემპიონატებში და მათთან ერთად იმსახურებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს. მას გარდა ჩემპიონატებისა, საუკეთესო ასვლები ჰქონდა კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ "პობედაზე" 1961 წელს განცდილი მარცხის შემდეგ, ქართველ მთამსვლელებს არც ერთი წარმატებული ასვლა აღარ ჰქონიათ ამ მწვერვალზე. მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1991 წელს რომან გიუტაშვილის ხელმძღვანელობით, თამაზ შარაშენიძე და აფი გიგანი ავიდნენ გამარჯვების პიკზე. ეს იყო გენერალური რეპეტიცია ჰიმალაიში გასვლის წინ. თამაზ შარაშენიძე, რომელსაც სწორედ ამ ასვლის შემდეგ მიენიჭა "თოვლის ჯიქის" საპატიო წოდება, იგონებდა: "მადლობით მინდა აღვნიშნო რომა გიუტაშვილის დამსახურება – მისი წყალობით იმ წელს თითოეული ჩვენგანი ორ-ორ შვიდიათასიანზე ავედით, თავად რომამ კი ტიან-შანიდან ჰიმალაიში გადაინაცვლა და ჩვენი მთამსვლელების მრავალი თაობის ოცნებას ფრთები შეასხა – მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ქართული დროშა ააფრიალა. იმ წელს უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია იყო საქართველოში, თორემ, დარწმუნებული ვარ, ევერესტზე ასვლას მეტი რეზონანსი ექნებოდა".

რომან გიუტაშვილი, ურთულესი მარშრუტების გავლითა და მნიშვნელოვან ასვლათა რაოდენობით, იმ წლებში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში. მან ასევე ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა "თოვლის ჯიქის" საპატიო წოდებაც - საბჭოთა კავშირის ხუთივე შვიდიათასიანი მწვერვალის დალაშქვრისათვის.

ხელმარჯვე და ნიჭიერი ინჟინერ-ელექტრიკოსი, მუდამ მოწესრიგებული და სპორტულად შემართული, უზომოდ თბილი, კეთილმოსურნე და ღიმილიანი კაცი დიდ სიყვარულს იწვევს ყველაში, ვისაც ოდესმე შეხვედრია მთასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთი პიროვნებები ალამაზებენ და აკეთილშობილებენ ჩვენს ცხოვრებას.

რომან გიუტაშვილის მიღწევა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მან ფრთები შეასხა თავისი ახალგაზრდა მეგობრების ოცნებას, რომელთა ფიქრის საგანი უკვე ჰიმალაის მწვერვალები გახდა.

ქართულ ალპინიზმში ისევ იწყებოდა ახალი ეტაპი...

* * * * *

დასასრულ, არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში მოღვაწე მთამსვლელებმაც არაერთი წარმატების მოპოვება შეძლეს; ჩვენმა მთამსვლელებმა ახალი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერეს ევერესტზე ასვლების ისტორიაში. 1999 წელს, ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფის ასვლა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე იმით იყო განსაკუთრებული, რომ მანამდე არავის ახსოვდა შემთხვევა, ერთ სეზონზე, ერთი ქვეყნის (თანაც ისეთი პატარა ქვეყნის, როგორიც საქართველოა) ორ ჯგუფი, სხვადასხვა მხრიდან წარმატებით ასულიყო ევერესტზე. სამხრეთიდან ავიდნენ ბენო ქაშაკაშვილის, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან გია თორთლაძის ჯგუფის წევრები.

ჰიმალაებში, რვაათასიანი მწვერვალები (ზოგიერთებს რამდენიმე) დალაშქრული აქვთ აფი გიგანს, ბიძინა გუჯაბიძეს, გია თორთლაძეს, მერაბ ნემსიწვერიძეს, გელა ოთარაშვილს,

ლევ სარქისოვს, ირაკლი უგულავას, ბენო ქაშაკაშვილს, ავთანდილ ცინცაძეს, მერაბ ციხისელს, მერაბ ხაბაზს. ეს მწვერვალებია: ევერესტი, 8848 მ., ლჰოცზე, 8516 მ., დჰაულაგირი, 8167 მ., ჩო ოიუ, მანასლუ, 8156 მ., 8153 მ., გაშერბრუმ-2, 8068 მ., შიშაპანგმა, 8013 მ.

პირველი "ჰიმალაელი ქართველი ქალი" სოფო თვარაძეა, რომელიც 2003 წელს მწვერვალ ამადაბლამზე (6865 მ) ავიდა. 2004 წელს, ლენინის პიკზე ასვლით, ლიკა ნოზაძემ 7-ათასიან მწვერვალზე ამსვლელი პირველი ქართველი ქალის სახელი დაიმსახურა.

ქართველმა მთამსვლელებმა ასევე შესანიშნავი ასვლები განახორციელეს პლანეტის სხვადასხვა ნაწილის ცნობილ მწვერვალებზე ელ-კაპიტანზე, მაკ-კინლიზე, სუ-ალტოზე და სხვ.

ანტარქტიკის კონტინენტზე ჩვენი სახელოვანი მთამსვლელი ბენო ქაშაკაშვილი 2004 წლის 25 დეკემბერს ავიდა მწვერვალ ვინსონზე (5140 მ), რითაც მან, ქართველთაგან პირველმა, ყველა კონტინენტის ყველა უმაღლეს მწვერვალზე ამსვლელის სახელი მოიპოვა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდობა ღირსეულად გააგრძელებს წინა თაობის მიერ დაწყებულ გზას და კვლავ მრავალ სახელოვან ფურცელს ჩაწერს ქართული მთამსვლელობის დიდ ისტორიაში.

საქართველოს ალპური კლუბი, ალპინისტური ბანაკები და მეკლდეურობა

ქართული მთამსვლელობის წინსვლა-განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ალპურმა კლუბმა, პირველმა ალპურმა კლუბმა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც 1936 წელს დაარსდა თბილისში.

ჯერ კიდევ 1935 წელს მთამსვლელთა საინიციატივო ჯგუფმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების, კაკო მარის, სოსო ასლანიშვილის, ალექსანდრე დიდებულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ბაქრაძის, ლევან მარუაშვილის, დავით წერეთლის, სანდრო გვალიას, აკაკი ბელიაშვილის, მიქელ პატარიძისა და სხვათა შემადგენლობით, სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა წინადადება იურიდიული პირის უფლების მქონე ალპინისტური ორგანიზაციის – "საქართველოს ალპური კლუბის" დაარსების თაობაზე.

1955 წლის 17 მაისი. ქართველ მთამსვლელთა შეკრება ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში. იატაკზე სხედან: 1. პავლე დევიძე 2.? 3. ავთანდილ ძიძიგური 4. ოქრო მანაგაძე 5. პირიბე გვარლიანი 6. გივი მელია 7. არტაშ არაქელოვი 8-9.? 10. ვახტანგ კვაჭაძე 11.? 12. დიმიტრი ობოლაძე 13. ვალიკო ფოფხაძე I რიგში: 1. ალექსი ივანიშვილი 2. სოსო ასლანიშვილი 3. ნოე ჯაფარიძე 4. მარინე უთმელიძე 5. კაკო მარი 6. ერეკლე ლუკაშვილი 7. დენიზა გოზალიშვილი 8. ალექსანდრა ჯაფარიძე 9. ასმათ ნიკოლაიშვილი 10. ნატო ცნობილაძე 11. მარო ტყავაძე 12. დავით წერეთელი 13. ვანო წიკლაური 14. ლევან სუჯაშვილი II რიგში: 1. გრიგოლ გულბანი 2. ალექსანდრე იაშვილი 3.? 4. კოტე ასტახიშვილი 5. ანდრო ფიფია 6. ირაკლი ბაქრაძე 7. ვადიმ მიხაილოვი 8. ნიკო კეცხოველი 9. ოთარ ხაზარაძე 10. ომარ ბერაძე 11. ქუჯი ძიძიშვილი 12. თემო მაჩაბელი 13. მაქსიმე გვარლიანი 14. ჭიჭიკო ჩართოლანი 15. ოთარ გიგინეიშვილი 16. გიორგი ხარატიშვილი III რიგში: 1. მერაბ გეგეჭკორი 2. სევა ელიავა 3. თორნიკე ტატიშვილი 4. თენგიზ მირზიაშვილი 5. გიორგი მახვილაძე 6. შოთა მირიანაშვილი 7. აგი აბაშიძე 8. გიგი აბაშიძე 9. გურამ თიკანაძე 10. გია ყიფიანი 11. ანატოლი ქავთარაძე 12. სარგის ცაიშვილი IV რიგში: 1. დავით სულხანიშვილი 2. ლევან ახვლედიანი 3. ნიკოლოზ ქადეიშვილი 4. გივი სიბაშვილი 5. გიორგი კავთიაშვილი 6. გიორგი ბერძენიშვილი 7. თეიმურაზ კუხიანიძე 8. შოთა ჩართოლანი 9. იასონ ბერუაშვილი 10. ჯუმბერ მეძმარიაშვილი V რიგში: 1. გურამ კახიძე 2. მიხეილ შენგელია 3. გურამ ნიკოლაიშვილი 4.? 5. ოთარ კაპანაძე

ჩვენი ოჯახის არქივში შემონახულია მთავრობისადმი მიმართვის 1936 წლის დოკუმენტი, საქართველოში "ალპური კლუბის" დაარსების თაობაზე. აქ ალიოშა ჯაფარიძე გამოდის ალპინისტური საზოგადოების სახელით, როგორც მთამსვლელთა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს ალპინისტთა აქტივმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დაავალა:

"ს.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

საბჭოთა სინამდვილეში ალპინისტური მოძრაობა საზოგადოებრივ – კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. მისი ჩასახვისა და განვითარების საქმეში საქართველოს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, როგორც საქართველოს, ისე სსრ კავშირის ცენტრალურ პერიოდულსა და სპეციალურ პრესაში.

ოთარ ხაზარაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი,? ზურაბ ახვლედიანი, ნოდარ ნადირაშვილი, შოთა ჩართოლანი, აგი აბაშიძე, სოლიკო ხაბეიშვილი, გიორგი (ცაცო) მაჭარაშვილი, შოთა მირიანაშვილი, პირიბე გვარლიანი ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში

საბჭოთა ალპინიზმის ისტორიის დასაწყისი დათარიღებულია 1923 წლის ზაფხულით, როდესაც საქართველოს მთამსვლელთა მიერ პროფ. ალ. დიდებულიძისა და პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ზედიზედ იქნა მოწყობილი პირველი ორი მასობრივი ასვლა მყინვარწვერზე, რომელიც მანამდე მხოლოდ იშვიათი პროფესიონალი ალპინისტისათვის იყო მისაწვდომი.

ამ ორი ასვლით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ალპინისტურ მოძრაობას საქართველოში, საიდანაც ის სწრაფად გავრცელდა საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ რაიონებში, რამაც უზრუნველყო პამირის, ალტაის, ტიან-შანის, კავკასიონისა და სხვა უმაღლეს მთაგრეხილთა შესწავლა, იქ ჩამარხულ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოვლინება და ამ სიმდიდრეთა მრეწველობისათვის გამოყენება.

კერძოდ, საქართველოს ალპინისტებმა 1923 წლის შემდეგ შესძლეს ჩაეტარებინათ მნიშვნელოვანი მუშაობა კავკასიონის ქედის შესწავლის საქმეში: აღებულია 100-ზე მეტი უძნელესი მწვერვალი, გადასერილია მრავალი უძნელესი ქედები და გადასავლები, დაგროვილია დიდძალი მასალა მაღალი მთების გეოლოგიიდან, მეტეოროლოგიიდან, ფლორიდან, მყინვართა ცხოვრებიდან და ა.შ. ალპინისტების მუშაობას გადამწყვეტი

მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში მოლიბდენის, ვოლფრამის, სურმის, დარიშხანისა და სხვა მინერალების აღმოჩენაში. აღსანიშნავია, რომ ალპინისტები მონაწილეობდნენ მაღალმთიანეთში საჰაერო ხაზების დაგეგმვაში, მათმა დაზვერვებმა უზრუნველჰყვეს დიდი სახალხო–სამეურნეო და სამხედრო მნიშვნელობის ასტრო-გეოდეზიური სამუშაოების წარმატებით ჩატარება კავკასიონის ქედზე 1935 წელს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი. საქართველოს ალპინისტებს დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული აგრეთვე წითელ არმიაში ალპინისტურ ცოდნათა გავრცელების საქმეში (მოვიგონოთ, მაგალითად, ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის ნაკრების ათასეულის ასვლა მყინვარწვერზე 1935 წელს დავით წერეთლის ხელმძღვანელობით და სხვა).

აღსანიშნავია, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქართველი ალპინისტები (ლევან მარუაშვილი, დავით წერეთელი, ალიოშა ჯაფარიძე) მონაწილეობდნენ 1932, 1933 და 1934 წლებში მოწყობილ პამირის ექსპედიციებში, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ამ მდიდარი რაიონის შესწავლის საქმეში.

მაგრამ ყველაფერი, ზემოთ აღნიშნული, მხოლოდ შესავალია იმ დიდი საქმისა, რომელიც მომავალში უნდა შეასრულონ საქართველოს ალპინისტებმა. სამწუხაროდ, ის ორგანიზაციული პირობები, რომელშიაც ამჟამად გვიხდება ალპინისტური მუშაობის წარმოება, შეუძლებელს ხდის ამ მოძრაობის შემდგომ გაღრმავებას და განვითარებას.

ქართველი მთამსვლელები საქართველოს ალპურ კლუბში. I რიგში: გივი მელია,? გურამ თიკანაძე, სოსო ასლანიშვილი, მარო ტყავაძე, II რიგში: გურამ ნიკოლაიშვილი, გურამ კახიძე, ლევან სუჯაშვილი, სარგის ცაიშვილი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, მიხეილ შენგელია, თეიმურაზ კუხიანიძე, ნოდარ კანკავა, შალვა ავსაჯანიშვილი. III რიგში: გრიშა გულბანი, შოთა ჩართოლანი, გივი სიბაშვილი, ?? პირიბე გვარლიანი. IV გიორგი ბერძენიშვილი, სევა ელიავა, ნოე ჯაფარიძე, ანდრო ფიფია, შოთა მირიანაშვილი, ირაკლი ბაქრაძე. V რიგში: კოტე ასტახიშვილი, მერაბ გეგეჭკორი,

ალპინიზმი ჩვენში გაიზარდა დიდ საზოგადოებრივ–მასობრივ მოძრაობად. მშრომელი ახალგაზრდობის ათასები და ათეული ათასები დაინტერესებულია და ჩაბმულია მოძრაობაში. ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობის მთელი რაზმები აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, თბილისის მსხვილი საწარმოებიდან და სხვ. მოგვმართავენ ალპინისტურ ლაშქრობათა მომზადება–მოწყობაში დახმარებისათვის. ამ დახმარებას ჩვენ შევძლებთ, როცა შევქმნით სათანადო

ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის შექმნა საშუალებას მოგვცემს აგრეთვე მივიღოთ ზოგიერთ სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციათა წინადადება მაღალმთიან ზონაში ამა თუ იმ სამუშაოს სამეურნეო წესით შესრულების შესახებ. ალპინისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა დღემდე არ იყო კონცენტრირებული ერთ ორგანიზაციაში. მისთვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას, საქართველოს პროლეტარულ ტურისტთა საზოგადოებას, რომელთანაც არსებობდა ე.წ. "ალპინისტური სექცია". მაგრამ აღნიშნულმა საზოგადოებებმა ვერ განახორციელეს ფართო, მასობრივი ხასიათის ალპინისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა.

ასეთ პირობებში ალპინისტური მოძრაობა აღმოჩნდა თვითმდინარებაზე მიშვებული და ყოველგვარ მატერიალურ საშუალებებს მოკლებული. ის დღემდე მარტოოდენ მთამსვლელთა ვიწრო წრის ენთუზიაზმითა და ენერგიით იკვებებოდა.

1958 წ. ჩარლზ ევანსი მეუღლესთან ერთად სტუმრად საქართველოს ალპურ კლუბში. ევგენი გიპენრეიტერი, ევანსის მეუღლე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ჩარლზ ევანსი,? უკან: გოგი ჩიჩუა,? ომარ ბერაძე, ? თეიმურაზ კუხიანიძე

ამ გარემოებამ ძლიერ შეაფერხა ალპინისტური მოძრაობა ჩვენში და თუ საქართველო წარმოადგენს საბჭოთა ალპინიზმის კლასიკურ ქვეყანას, სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი ამ უაღრესად სასარგებლო საზოგადოებრივ–კულტურულ მოძრაობას, და თუ საქართველოს ალპინისტებს პირველი ადგილი ეკავათ მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დღეს ის ჩამორჩება ყაბარდოს, ჩრდილოეთ ოსეთს, აზოვ–შავი ზღვის მხარეს, ქალაქ მოსკოვს, ლენინგრადს და მრავალ სხვა რაიონს, სადაც სასურველადაა ჩამოყალიბებული ალპინისტური ორგანიზაციები.

თუკი ჩვენში დაუგვიანებლად ჩამოყალიბდება ავტორიტეტული ალპინისტური ორგანიზაცია, საქართველოს ალპინისტები შეძლებენ გაუსწორდნენ და არასოდეს ჩამორჩებიან საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებს. დაგვიანების შემთხვევაში კი ჩვენთვის ადგილი მხოლოდ უკანა რიგებშიღა შეიძლება დარჩეს.

საქართველოს ალპინისტთა აქტივს მსჯელობა ჰქონდა ალპინისტური მოძრაობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ რამდენიმე საჯარო კრებაზე და ძირითად გზად ყოველთვის ერთხმად იქნა მიღებული "ალპური კლუბის" შექმნა.

საქართველოს მთელი ალპინისტური საზოგადოება კარგად გრძნობს ზნეობრივ პასუხისმგებლობას ალპინისტური საქმის განვითარებისათვის საქართველოში და იმ მოვალეობას, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის, საწარმოო ძალათა განვითარების, ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის, სამშობლოს თავდაცვის უნარის გაძლიერების მიზნებიდან, ამიტომ დაისვა ჩვენს მიერ საკითხი იურიდიული პირის უფლების მქონე ალპინისტური ორგანიზაციის – "საქართველოს ალპური კლუბის" დაარსების შესახებ, რომელსაც ექნება თავისი საკუთარი წესდება.

"ალპური კლუბის" დაარსება ფართო შესაძლებლობებს გაშლის საქართველოს მთამსვლელთა წინაშე. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ქართველი ალპინისტები ამ შესაძლებლობას გამოიყენებენ მთამსვლური გატაცებითა და ენთუზიაზმით და ალპინისტურ მოძრაობას გახდიან სოციალისტური მშენებლობის საიმედო დამხმარე საშუალებად და სამშობლოს თავდაცვის მძლავრ იარაღად.

მთამსვლელთა საორგანიზაციო ბიუროს
თავმჯდომარე ალ. ჯაფარიძე
მდივანი ივ. მარი
წევრები ალ. დიდებულიძე, ი. ასლანიშვილი, ა. ბელიაშვილი, დავ. წერეთელი, დავ. ფურცელაძე, 1936 წელი".

ქართველი მთამსვლელები საქართველოს ალპურ კლუბში. I რიგში: ანატოლი ქავთარაძე, ალექსი ივანიშვილი, გოჯი ზურებიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თენგიზ ცერცვაძე, იოსებ კახიანი, უშანგი ჭიჭინაძე. II რიგში: ჯოკია გუგავა, ლევან ახვლედიანი, ოთარ კაპანაძე, სოზარ გუგავა, სარგის ცაიშვილი, არტაშ არაქელოვი (ალპური კლუბის მნე), ზურაბ ახვლედიანი. III რიგში: შალვა მარგიანი, პირიბე გვარლიანი, მიხეილ ხერგიანი, ? აივანზე კლუბის თანამშრომელი ლია

ასეთი იყო ქართველ მთამსვლელთა მიმართვა მთავრობისადმი და წარმოიდგინეთ, რაოდენ მოულოდნელი იყო, როდესაც საქართველოს სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ოქტომბრის №1320 დადგენილებით თბილისში დაარსდა "საქართველოს ალპური კლუბი".

იმავე წლის 17 ნოემბერს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა დარბაზში შედგა ქართველ მთამსვლელთა და მოთხილამურეთა გაერთიანებული კრება, რომელმაც საქართველოს ალპური კლუბის წესდება დაამტკიცა. ქართველი ალპინისტების საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგნენ კაკო მარი და სანდრო გვალია. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ გოგი ბაქრაძე, ერეკლე ლუკაშვილი, მიქელ პატარიძე, ყაზბეგის რაიონის წარმომადგენელი სტეფანე ალიბეგაშვილი და სხვები. კლუბის საბჭოში აირჩიეს 23 კაცი.

კრებას დაესწრო სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მილშტეინი, რომელიც მიესალმა ალპინისტებს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ახალ კლუბს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ეს იყო პირველი და დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი ალპური კლუბი, რომელიც უმოკლეს ხანში ამიერკავკასიის სამთო საქმიანობაში წამყვან ორგანიზაციად იქცა.

1945 წელს, ალიოშა ჯაფარიძის დაღუპვის შემდეგ, სახკომსაბჭოს 14 ნოემბრის № 1476 დადგენილებით, საქართველოს ალპურ კლუბს მიენიჭა მისი სახელი, რითაც აღინიშნა ის ღვაწლი და დამსახურება, რომელიც მას მიუძღოდა მთამსვლელობის განვითარებაში.

საქართველოს ალპურმა კლუბმა შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უდიდესი როლი შეასრულა მთამსვლელთა, მეკლდეურთა, სამთო ტურისტთა და მეგზურ-გამყოლთა კვალიფიციურ მომზადებაში, საქართველოს მაღალმთიანეთის შემსწავლელ მეცნიერ-მკვლევართა დახმარებასა და ხელის შეწყობაში. იგი მუდამ იყო მთის მოყვარული საზოგადოებრიობის შეკრების ცენტრი, მთამსვლელობასა და მეკლდეურობაში დიდი სპორტული შედეგების მოპოვების მონაწილე, მემატიანე და პოპულარიზატორი.

ერეკლე ლუკაშვილი - პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელიც 1904 წელს შვეიცარიის ალპებში ავიდა მწვერვალებზე ვეტერჰორნსა და იუნგფრაუზე

საინტერესოა, რომ საქართველოს ალპური კლუბის გახსნამდე მეფის რუსეთში პირველი იყო კავკასიის ალპური კლუბი, რომელიც 1879 წელს დაარსდა თბილისში და მხოლოდ 1881 წლის ბოლომდე იარსება. ამის შესახებ კოტე ჯავრიშვილი წიგნში "მთები და ადამიანები" აღნიშნავს: "ოთხშაბათს, 14 თებერვალს, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ბინაზე შედგა კავკასიის ალპური კლუბის დამფუძნებელთა და წევრებად ჩაწერილთა პირველი კრება. შეიკრიბა სულ 17 კაცი". 1879 წლის 16 თებერვლის ნომერში გაზ. "კავკაზი" ათავსებს ამ პირველი კრების სრულ ანგარიშს. ამ ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რომ კრებაზე დასმულა საკითხი ალპური კლუბის "ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოებასთან" შეერთების, ხოლო შემდეგ ამ ორი ორგანიზაციის "რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების" კავკასიის განყოფილებასთან შეერთების შესახებ".

კავკასიის ბუნებისმოყვარულთა საზოგადოებისა და კავკასიის ალპური კლუბის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბორის სტატკოვსკი, მდივნად - ბოტანიკოსი იაკობ მედვედევი, ხოლო საბჭოს წევრებად - მიხეილ გარსევანიშვილი და სპირიდონ სიმონოვიჩი.

ბორის სტატკოვსკი გზების ინჟინერი, ინჟინერ-პოლკოვნიკი იყო. კავკასიაში 30 წელი იცხოვრა და კარგად იცნობდა კავკასიონს. მიხეილ გარსევანიშვილი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი გახლდათ. გეოლოგი სპირიდონ სიმონოვიჩი კი დედით

და ბებიით ქართველი, სავსებით გაქართველებული იყო და სრულიად სამართლიანად ითვლება კავკასიის გეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

1936 წელს პამირის ექსპედიციაში დავით წერეთელთან ერთად მონაწილეობდა ალიოშა ჯაფარიძე, რომელმაც კორჟენევსკაიას პიკზე ასასვლელი გზების ძიებისას ტერფები მოიყინა და განგრენა რომ არ განვითარებულიყო, ორივე ფეხზე ყველა თითის ამპუტაცია გახდა საჭირო. იმ დროს, როცა ალიოშა ჯაფარიძე ფეხის თითების ამპუტაციის გამო ჯერ კიდევ ფერგანის საავადმყოფოში იმყოფებოდა, თბილისში გაიხსნა საქართველოს ალპური კლუბი, რამაც იგი უსაზღვროდ გაახარა და მეგობრებისადმი გამოგზავნილ წერილში თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამ ფაქტის მნიშვნელობის შესახებ:

"დღეს მივიღე კაკოს დეპეშა ალპური კლუბის დამტკიცების შესახებ. აღსრულდა დიდი ხნის წადილი და ცდა. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული გაკეთდება რამე თუ არა. საჭიროა თითოეულმა ჩვენთაგანმა მიიღოს თავის თავზე ვალდებულება შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს ამ საქმის გაშლა-განვითარებას, რომ უზრუნველყოფილი გვექნეს საბჭოთა კავშირში მოწინავე ადგილი, თორემ ეს მამაძაღლები სულ გადაგვთელავენ. გილოცავ რასაკვირველია, კლუბის დაარსებას. გადაეცი გულითადი მოკითხვა თქვენებს, ყველა ნაცნობ-მეგობრებს. მეგობრული სალმით ალიოშა. 25/X – 1936 წ. ქ. ფერგანა".

მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ალპური კლუბის დაარსების შემდეგ ალიოშა ჯაფარიძემ, როგორც ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, ექიმები და სხვადასხვა დარგის აღიარებული სპეციალისტები. ალპურ კლუბში, მთამსვლელობის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციისათვის, უანგაროდ და თავდაუზოგავად იღვწოდნენ: ლევან გოთუა (რომელიც ჩეკა-ს მუდმივი მეთვალყურეობის მიუხედავად, ალპური კლუბის პასუხისმგებელი მდივანი იყო გადასახლებიდან გადასახლებამდე), მიქელ პატარიძე, აკაკი ბელიაშვილი, კაკო მარი, დავით ფურცელაძე, დავით წერეთელი, გიორგი ბაქრაძე, შალვა მაყაშვილი, ანა ხარაძე და სხვა მრავალი. ეს ადამიანები ერთმანეთის უახლოესი მეგობრებიც იყვნენ და ამა თუ იმ მწვერვალზე ყველა მნიშვნელოვან ასვლას საკუთარ წარმატებად და მიღწევად მიიჩნევდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოეტისა და მთარგმნელის მიქელ პატარიძის 1936 წლით დათარიღებული წერილი, რომელსაც იგი პამირში მყოფ ალიოშა ჯაფარიძეს და დავით წერეთელს უგზავნის. ამ წერილში, გარდა მეგობრული ურთიერთობისა, მძაფრად ფეთქავს ის ეროვნული მუხტი და მშობლიური ქვეყნის სიყვარულის განცდა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილისათვის.

მიქელ პატარიძის ეს წერილი, რომელიც პირველად ქვეყნდება, ვფიქრობ, საინტერესო დოკუმენტია, რომელშიც საოცრადაა შერწყმული მეგობრობის დიდებული გრძნობა, იუმორი და საკუთარი ქვეყნის გულშემატკივრობის არაჩვეულებრივი განცდა:

"ჩემო ძვირფასო ძმებო – ალიოშა და დათიკო! თქვენმა ბარათმა, რომელიც ცოტა დაგვიანებით მივიღე, უსაზღვროდ გამახარა. ბიჭებო, დღე არ გაივლის რომ თქვენზე არ ვიფიქრო, ხან სიხარულით და სიამაყით, ხან შიშით. გვიხარია, რომ საქართველოს სახელს არ შეარცხვენთ და ვშიშობთ, რომ ასე შორს ხართ და ჩვენ ვერაფერში დაგეხმარებით გაჭირვების დროს. გაზეთებში გაიელვა ცნობებმა თქვენს შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით თქვენი მიღწევები, რომელიც უსათუოდ გექნებათ. ჩვენ, აქ, წელს მეტად მოდუნებულნი ვართ. ჯერ კიდევ არ გაფორმებულა ალპინისტური კლუბი თუ საზოგადოება. მაგრამ იმედია, ბოლოს არ დაგვივიწყებენ. გული მიკვდება, რადგან ვხედავ, რომ აქ ჩვენი ჯგუფი თანდათან იქსაქსება და საქმეს წყდება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუთმოთ კავკასიონი სხვებს, ის ჩვენია. ჯერ კიდევ ვახტანგ მეფემ შედგა იალბუზზე ფეხი და "დიდმა მთებმა დრეკა შეჰქნეს". ჩვენ ხომ მისი ბარტყები ვართ. ასე რომ, თავი არავის დააჩაგვრინოთ; მანდ თქვენ საქართველოს ხალხის წარმომადგენელნი ხართ და ეს სახუმარო საქმე არ არის. შენ თვითონ მწერ, რომ მანდ, შორეულ ქვეყანაში, ნათლად გრძნობ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის უპირატესობას. ეს ასეც არის, ეს ურყევი ფაქტია. აქ მრავალი ახალი ამბავია, კარგი ამბები, რომ ჩამოხვალთ

ვისაუბრებთ. თქვენ გვიამბობთ მაგ მთისას და მაგ ბარისას, ჩვენ კი აქ იმას, რაც უთქვენოდ მოხდა. ხშირად ვხვდებით ჩვენ ბიჭებს: ჯანიკოს (ჯანსუღ ფურცელაძე), შალიკოს (შალვა მაყაშვილი), სანდროს (გვალია), კაკო ბელიაშვილს, სოსოს (იოსებ ასლანიშვილი) და სხვებს. ყველა გიგონებთ და ყველა მოუთმენლად მოელის თქვენ ამბებს, თქვენს გამარჯვებას და მშვიდობით ჩამოსვლას. ჩვენს ამბავს იკითხავ. ჯანიკომ ფეხი იტკინა, ახლა კარგად არის, შალიკო ხატავს და გამოფენაში მონაწილეობს, სანდრო ცხარობს, აკაკი ბელიაშვილი "ჩალიჩობს" სახკინმრეწვში, კაკო "დიპლომატობს" ჯავახიშვილთან, სოსო სვანეთში ჩიყვის "საძებნად" წავიდა, მე ვთარგმნი პუშკინს და მაიაკოვსკის და რაც მთავარია, ვაშენებ ბინას.

ტფილისი, რომელსაც ახლა რუსულადაც Тбилиси ჰქვია (Тифлис-иоѣ), დღითი დღე მშვენიერდება. ჩამოხვალთ და სიურპრიზები დაგხვდებათ...

ყველა მოუთმენლად მოელის ალიოშას ჩამოსვლას. მეტი რა მოგწეროთ ბიჭებო, კარგად იყავით. გახსოვდეთ, რომ თქვენთან არის ჩვენი საუკეთესო გრძნობები. თქვენი მიქელი. 1/IX-1936 წ.".

ჩვენი წინაპრებისა და მათ გვერდში მდგომი მთამსვლელების მიერ შექმნილმა და ჩამოყალიბებულმა პირველმა მთამსვლურმა ორგანიზაციამ – ალპურმა კლუბმა მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად, ფასდაუდებელი როლი შეასრულა სპორტული ალპინიზმის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში, რაც იმით გამოიხატა, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში სწორედ საქართველოს ალპურ კლუბში გაიხსნა მთამსვლელობის პირველი მუზეუმი, არსებობდა უნიკალური ბიბლიოთეკა, მდიდარი არქივი და აქ ინახებოდა ყველა ქართველი მთამსვლელის კვალიფიკაციისა და ოსტატობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ალპური კლუბი, დღესაც სხვადასხვა თაობის ქართველ მთამსვლელთა შეკრება-შეხვედრების, მეგობრული ურთიერთობისა და გამოცდილების გაზიარების ერთადერთ ადგილს წარმოადგენს.

თავდაპირველად, ვიდრე ფედერაციები შეიქმნებოდა, საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ითავსებდა იმ ფუნქციებსაც, რომლებიც შემდგომ ფედერაციებს დაეკისრათ.

ქვემოთ გთავაზობთ იმ პირთა ვინაობას, რომლებიც 1936-1991 წლებში იყვნენ ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარეები, მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტები და ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორები.

ალპური კლუბის თავმჯდომარეები და მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტები (1936-1991 წწ.)

ვ. დევაძე – ალპური კლუბის თავმჯდომარე 1936-38

ალიოშა ჯაფარიძე- 1938-1940; 1943-1945

გ. ხინჩაგაშვილი - ალპური კლუბის თავმჯდომარე 1941-43

ივანე (კაკო) მარი- ალპური კლუბის თავმჯდომარე 1940, 1946-48

ნიკო კეცხოველი - 1948-1963 წ.წ. ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და ფედერაციის პრეზიდენტი

ოთარ გიგინეიშვილი (ფედერაციის პრეზიდენტი) 1963-1982

სარგის ცაიშვილი (ფედერაციის პრეზიდენტი) 1982-1989

ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის
დირექტორები (1945-1991 წწ.)

ალექსი ივანიშვილი
1945-1964 წ.წ.



გიორგი ბერძენიშვილი
1964-1966 წ.წ.

დიმიტრი ობოლაძე
1966-1983 წ.წ.

ნოდარ კანკავა
1984-1989 წ.წ.

გია საჯაია
1990-2004 წ.წ.

* * * * *

საქართველოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1935 წელს პირველი ალპინისტური ბანაკის გახსნა ხევში, მყინვარწვერის ძირში, დევდორაკის მყინვართან ახლოს; "დევდორაკის ალპინისტური ბანაკის" ხელმძღვანელი იყო გიორგი ბაქრაძე (სასწავლო ნაწილი - ალექსანდრა ჯაფარიძე). ეს ბანაკი 1936-39 წლებში საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა და გარკვეული წვლილი შეიტანა ახალგაზრდა სპორტსმენების მომზადების საქმეში.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, მთის რაჭაში, კერძოდ, შოვში გაიხსნა მთამსვლელობის ინსტრუქტორთა სტაციონარული სკოლა, რომელსაც "სამთო მომზადების სკოლა" ეწოდა. სკოლაში მუშაობდნენ: გოგი ბაქრაძე - დირექტორი, სანდრო გვალია, ქელეშბი ონიანი, ვერა ბელეცკაია, ვალენტინა ნასონოვა და სხვ. მოსამზადებელი კონტიგენტი იგზავნებოდა სხვადასხვა ორგანიზაციიდან და 1944-45 წლებში ამ სკოლამ მოამზადა 200-ამდე სამთო ინსტრუქტორი.

40-იანი წლების ბოლოს მთამსვლელთა მოსამზადებელი ბანაკი გაიხსნა საქართველოში, მდ. ნაკრას ხეობაში (მესტიის რ-ნი), რომელიც ექვემდებარებოდა საკავშირო სპორტსაზოგადოება "ნაუკას". ბანაკის ძირითად კონტიგენტს ხარკოვის ცნობილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები შეადგენდნენ, რომლებიც ქართველ სტუდენტებთან ერთად იმაღლებდნენ თავიანთ ოსტატობას.

ალპინისტურ ბანაკ "ნაკრას" დირექტორად დიდხანს მუშაობდა ვახტანგ კვაჭაძე, სასწავლო ნაწილის უფროსად კი - უკრაინელი მთამსვლელი მიხეილ ბარუშკო. ამ ბანაკმა უდიდესი როლი შეასრულა "ორმოცდაათიანელ" ქართველ მთამსვლელთა ცხოვრებაში. აქ სტაჟიორებად, მონაწილეებად და ინსტრუქტორებად იყვნენ ცნობილი ქართველი მთამსვლელები: თეიმურაზ კუხიანიძე, ოთარ და რეზო ხაზარაძეები, შოთა მირიანაშვილი, გიორგი ბერძენიშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე და სხვა.

ბანაკებში ახალბედა მთამსვლელები თეორიულ კურსს ადგილზე გადიოდნენ, ხოლო პრაქტიკული სწავლება უშუალოდ საწვრთნელ ვარჯიშებზე და მწვერვალებზე ასვლის დროს ხდებოდა. ახალბედები ასევე გადიოდნენ სამთო-სამაშველო სამსახურისა და პირველადი ექიმამდელი დახმარების აუცილებელ კურსს, სრულყოფდნენ, ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას და შესაბამისად მათი სპორტული მაჩვენებლებიც ყოველწლიურად იზრდებოდა.

სამწუხაროდ, 1958-59 წლის ზამთრის დიდთოვლობის დროს ბანაკის ნაწილი ზვავმა წაიღო, რის გამოც, უკვე 1959 წელს, ადგილობრივი პროფკავშირების ხელშეწყობით, ბანაკი მესტიის რაიონის სოფელ შიხრაში გადავიდა და ერთი ზაფხული კარვებში იმუშავა.

1960 წლის ზაფხულში დაბა მესტიაში (აეროპორტის მახლობლად) ახლად აშენებულ შენობაში გაიხსნა მესტიის ტურბაზა "უშბა" (დირექტორი დიმიტრი ობოლაძე, სასწავლო ნაწილის უფროსი ირაკლი ბაქრაძე), რომელმაც ალპინისტური ბანაკიც შეიფარა, მაგრამ ვინაიდან ტურისტული და ალპინისტური ბანაკები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ დღის განრიგით, დისციპლინით, სასწავლო პროგრამით თუ ტრადიციებით, მთამსვლელთა სპორტული მიღწევებით ამ ბანაკის მუშაობა არაეფექტური იყო.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის, ბ-ნ ოთარ გიგინეიშვილის მცდელობით, 1965 წლის ზაფხულში ზემო და ქვემო სვანეთის მიჯნაზე, ლენტეხის რაიონში, მწვერვალ აილამის ძირში გაიხსნა ალპინისტური ბანაკი "აილამა" (დირექტორი დიმიტრი ობოლაძე, სასწავლო ნაწილის უფროსი სანდრო გვალია, შემდგომ გოგი ჯაფარიძე), რომელსაც 1969 წლიდან სათავეში ჩაუდგა ჯოკია გუგავა; ეს ბანაკი ერთადერთი იყო კავკასიონის სამხრეთ კალთებზე (ჩრდილოეთით ათამდე ბანაკი იყო), რომელმაც ძალიან ჩქარა მოიპოვა პოპულარობა. ბანაკი იმდენად გადატვირთული იყო, რომ ვერ იტევდა მსურველებს, ამიტომ ჯოკია გუგავას ენერგიული მცდელობითა და უშუალო მონაწილეობით მეზობელ ზესხოს ხეობაში გაიხსნა ბანაკ "აილამის" ფილიალი "ზესხო", რომელიც ქართული დამოუკიდებელი ბანაკი გახდა. ამ ბანაკებში მრავალმა ქართველმა მთამსვლელმა გაიარა და საკმაო გამოცდილებაც მიიღო. მათ შორის იყვნენ: აფი გიგანი, გია დვალი, ამირან დოლიძე, ზურაბ კუჭავა, გელა ოთარაშვილი, ვახტანგ სვანიძე, ბენო ქაშაკაშვილი, დავით ჩანტლაძე, ზაურ ჩართოლანი, პალიკო ცაგარეიშვილი, იდრის ხერგიანი და სხვ. სამწუხაროდ, 90-იანი წლების ისტორიულ ქარტეხილებს ჩვენი ალპინისტური ბანაკებიც ვერ გადაურჩა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადარჩა მხოლოდ "ზესხო", რომელიც კერძო ინვესტორების დახმარებით გარემონტდა, მაგრამ ამ ბანაკიდან სპორტული ასვლები თითქმის არ ხორციელდება.

მართალია, საბჭოთა სისტემაში ალპინისტურ ბანაკებში თითქმის გასამხედროებული რეჟიმი იყო და სასწავლო პროცესი საკმაო სიმკაცრით გამოირჩეოდა, მაგრამ, როგორც ჩვენი მთამსვლელების უმეტესობა აღნიშნავს, წინასწარ შედგენილი, ეტაპებად დაყოფილი და დამტკიცებული პროგრამით ასეთ პირობებში სწავლება დადებით შედეგს იძლეოდა, რადგან მთის რელიეფის, მოძრაობის ტექნიკის, უსაფრთხოების წესების დაცვა და დისციპლინა ყველა მთამსვლელისათვის აუცილებელია, ვინაიდან მთა არავის აპატიებს ზერელე დამოკიდებულებას, დაუდევრობას და უპასუხისმგებლობას, ხოლო დამკვიდრებული წესების უგულებელყოფით გამოწვეული მარცხის მაგალითი უამრავია მთამსვლელობის ისტორიაში.

* * * * *

მეკლდეურობა მთამსვლელობის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც, როგორც სპორტის დამოუკიდებელ სახეობას, 1947 წელს, ჩრდილო კავკასიის ალპინისტურ ბანაკ "დომბაიში" ჩატარებული შეჯიბრებით ჩაეყარა საფუძველი. საქართველოში მას დასაბამი მიეცა 1948 წელს, როდესაც მსგავსი შეჯიბრება თბილისშიც გაიმართა. ამას მოჰყვა საკავშირო ტურნირები, რომლებშიც მუდმივად მონაწილეობდნენ ქართველი მეკლდეურები.



1949 წლიდან ტარდებოდა სსრკ პროფკავშირების პირველობა, რომელიც მეკლდეურობაში ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს წარმოადგენდა და მასში ქართველებიც მონაწილეობდნენ. 1950-51 წლებში, პროფკავშირების პირველობაზე ქართველებიდან წყვილთა შეჯიბრებაში პრიზიორები გახდნენ ნ. ქადეიშვილი-ვ. ფოფხაძე და ნ. ხუციშვილი-ნ. ბორჩხაძე.

1952 წელს პროფკავშირების პირველობაზე პირველ დიდ წარმატებას მიაღწიეს მიხეილ ხერგიანმა და შალვა მარგიანმა, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ წყვილთა ცოცვაში. ამ დღიდან მიხეილ ხერგიანის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა მეკლდეურობას და პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებებსა და სსრკ ჩემპიონატებში შვიდჯერ მოიპოვა ჩემპიონობა (1952, 1960, 1962, 1964, 1965 (აბსოლუტური), 1966, 1967).

1960 წელს მიხეილ ხერგიანი სსრკ ნაკრებში თავის მეწყვილე იოსებ კახიანთან ერთად ინგლისში გაემგზავრა, სადაც მათ "კლდის ვეფხვი" შეარქვეს.

თანდათანობით, წლიდან წლამდე, მეკლდეურობა საქართველოში სულ უფრო პოპულარული გახდა. 1962 წელს თბილისში გაიხსნა განათლების სამმართველოს მოზარდ მთამსვლელთა და მეკლდეურთა სკოლა - ერთ-ერთი პირველი სსრკ-ში, რომლის დირექტორი იყო ამ სახეობის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი ნოდარ კანკავა. საქართველოში პირველი შეჯიბრებები მეკლდეურობაში თბილისის ბოტანიკური ბაღისა და მეტეხის კლდეებზე ტარდებოდა.

მას შემდეგ, რაც 1963 წელს მიხეილ ხერგიანი ყაბარდო-ბალყარეთიდან თბილისში გადმოვიდა, ქართველმა მეკლდეურებმა დიდი ნახტომი გააკეთეს წინ და უკვე 1965 წელს, ყირიმში გამართულ სსრკ პირველ ჩემპიონატზე მთავარ დისციპლინაში - ინდივიდუალურ ცოცვაში ჩემპიონი გახდა მიხეილ ხერგიანი. აღსანიშნავია, რომ სსრკ პირველივე ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა (მიხეილ და თინა ხერგიანები, თამაზ ბაქანიძე, ლადო გურჩიანი, ნუნუ ლაცაბიძე, ტარიელ ლუკაშვილი) გუნდურ ჩათვლაშიც პირველი ადგილი დაიკავა.

1966 წელს, პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე, რომელიც მონაწილეთა რაოდენობითა და მასშტაბურობით თითქმის საკავშირო ჩემპიონატს უტოლდებოდა, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა თამაზ ბაქანიძემ და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მეკლდეურობაში აღიარებული ლიდერის - მიხეილ ხერგიანის დაღუპვის შემდეგ ჩვენი მეკლდეურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შემდგომ წლებშიც არაერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს. განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო, რომ 1969 წელს საკავშირო პირველობაზე, რომელიც ყირიმში ჩატარდა, წყვილთა ცოცვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და სპორტის ოსტატები გახდნენ მიხეილ ხერგიანის მოწაფეები ირაკლი გელდიაშვილი და ლადო გურჩიანი. ოსტატის წოდება შემდგომ მიხეილის აღზრდილმა იულია თურმანიშვილმაც მიიღო. მომდევნო წლებში კი სპორტის ოსტატები გახდნენ ლადო გურჩიანის მოწაფეები ვახტანგ საბანიძე, თამარ ქიტუაშვილი და ზინა ჭკადუა, რომლებიც საკმაოდ კარგად გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებზე.

ქართველ მეკლდეურთა ავტორიტეტზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მეკლდეურთა საჩვენებელი შეჯიბრება ჩატარდა, 20 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა ქართველმა ლადო გურჩიანმა, რომელიც საბჭოთა კავშირის (სამკაციან) ნაკრებში მოხვდა.

1969 წლის სსრკ ჩემპიონები მეკლდეურობაში ლადო გურჩიანი და ირაკლი გელდიაშვილი

1975 წელს ქ. კრასნოიარსკში ჩატარებულ საკავშირო ჩეპიონატზე მეკლდეურობის ერთ-ერთ სახეობაში - "დომბაის წყვილში" - ოთხი ვერცხლის მედალი მოიპოვეს საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა იულია თურმანიშვილი-თამარ ქიტუაშვილისა და ვახტანგ საბანიძე-ლადო გურჩიანის წყვილმა.

1977 წელს ქ. იალტაში სსრკ ჩემპიონატზე, "ყირიმულ წყვილებში" ბრინჯაოს მედლები მოიპოვა აკაკი ხერგიან-ლადო გურჩიანის წყვილმა. ა. ხერგიანმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

1984 წელს მოზარდ მთამსვლელთა და მეკლდეურთა სპორტული სკოლა გარდაიქმნა რესპუბლიკურ სკოლად (დირექტორი ლადო გურჩიანი). მეკლდეურობის ჯგუფები გაიხსნა თბილისში, მესტიაში, ლენტეხში, ჭიათურაში, ქარელში, ყაზბეგში, ქუთაისში, ონში.

ამავე წელს პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე ახალგაზრდებში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა ეკა ჭკადუამ (ინდივიდუალური ცოცვა, სწრაფი ცოცვა, დომბაის წყვილი, მრავალჭიდი), ხოლო 1985 წელს სსრკ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ცოცვაში ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

1986 წელს, გაგრაში, რიწის ტბის მიდამოებში ჩატარებულ სსრკ ჩემპიონატზე, სწრაფ ცოცვაში ჩემპიონი გახდა ზინა ჭკადუა.

1988 წლიდან მეკლდეურობაში სიახლეა - საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები უკვე დარბაზებში, ხელოვნურ კედლებზე ტარდება. საქართველოში ამ დროს ასეთი კედლები არ არსებობდა და სპორტსმენები მხოლოდ ბუნებრივ კლდეებზე ვარჯიშობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლადო გურჩიანის აღზრდილმა ჩვენმა მეკლდეურებმა მაინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

საქართველოს მეკლდეურთა ნაკრები გუნდი. ნოდარ კანკავა, ლადო გურჩიანი, თამაზ ბაქანიძე, ირაკლი გელდიაშვილი, მზია მაქაცარია, იულია თურმანიშვილი, შოთა ქოქოშვილი

ქართველი მეკლდეურები ყოველწლიურად ატარებენ საქართველოს ჩემპიონატებს, გარდა ამისა, მიხეილ ხერგიანის, ირაკლი გელდიაშვილის, მურად ჭიჭინაძის მემორიალებს, პერიოდულად მონაწილეობენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში.

გაცოცხლებული სახეები

წიგნზე მუშაობისას თითქოს გაცოცხლდა ქართული ალპინიზმის ისტორია. ჩემს თვალწინ განსაკუთრებული სიდიადით წამოიმართნენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი პიროვნული თვისებებითა თუ ცხოვრების წესით, დაუვიწყარნი დარჩნენ ჩვენს ხსოვნაში, საფუძველი ჩაუყარეს, შემდგომ კი საკუთარი მხრებით ზიდეს მთამსვლელობის განვითარების მძიმე ტვირთი და წარუშლელი კვალი დატოვეს არა მხოლოდ მთამსვლელობაში, არამედ ქართული სპორტის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, როცა რომელიმე პიროვნებას ვაფასებთ, უპირველესი, ვისი სახეც გაცოცხლდება და მასშტაბურად წარმოჩნდება, **გიორგი ნიკოლაძეა**, რომლის ღვაწლი ქვეყნის წინაშე ძალზე ძნელია წიგნის რამდენიმე გვერდზე დაატიო. მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ მისი დამსახურება ქართული სპორტის, კერძოდ მთამსვლელობის შექმნა-ჩამოყალიბებაში.

გიორგი ნიკოლაძე რომ ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელია, ამის შესახებ ყველა ალპინისტურ სახელმძღვანელოსა თუ ენციკლოპედიაშია მითითებული, მაგრამ საინტერესო ისაა, როგორ მოასწრო ამდენი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც მხოლოდ 42 წელი იცოცხლა.

ტერმინი "მთამსვლელობა" გიორგი ნიკოლაძემ შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ენაში - "მთამსვლელობა" ხომ ყველა მთიანი ქვეყნის მოსახლეობის მთასთან ურთიერთობას გამოხატავს და უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე "ალპინიზმი", რომელიც მხოლოდ ალპებთან ასოცირდება.

გარდა ამისა, გიორგი ნიკოლაძის დამსახურებაა ისიც, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართველმა ახალგაზრდებმა დაიწყეს ახალი სიტყვებისა და ტერმინების შემოტანა ქართულ ენაში. მართალია, ბევრი ტერმინი არ დამკვიდრდა, მაგრამ ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში და ქართული ენა გამდიდრდა ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა: ტანვარჯიში, ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ჭოკით ხტომა, მრავალჭიდი, თარჯრბენი, მსაჯი, სასტვენი, მცველი, გარემარბი, თამაშგარე, გარბენი, ბადრო, ქულა და ა.შ.

წარმოგიდგენიათ, ამ სიტყვების გარეშე რამდენად ღარიბი იქნებოდა ქართული სპორტული ტერმინოლოგია?!

ასევე უმნიშვნელოვანესია გიორგი ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების დამსახურება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაშიც: წნევა, დენი, სადენი, ძრავა, ხსნარი, სინჯარა, მდგრადი, წნეხი, წინაღობა, მინარევი ფარდობა, ტოლობა, ტოლდიდი, ტოლგვერდი, ჯერადი, ელჭექი, ბუდობი, ხსნარი, მართობი, მართი კუთხე, კუთრი, საცხი, ჯვარედინი, შუქფარი, ფართი, ნათურა, ლიანდაგი და სხვ.

ჩვენ თითქმის ყოველ წამს ვიყენებთ ამ სიტყვებს, მაგრამ ის კი არ ვიცით, რომ მათი შემქმნელნი და დამამკვიდრებელნი გიორგი ნიკოლაძე და მისი მეგობრები იყვნენ.

გიორგი ნიკოლაძე, როგორც მისი ბიოგრაფიის მკვლევარები აღნიშნავენ, უპირველეს ყოვლისა, იყო გამოჩენილი მათემატიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო

ალგებრულ გეომეტრიაში, რაზეც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა სორბონის უნივერსიტეტში. მან შექმნა პირველი ქართული სახელმძღვანელო დიფერენციალურ გეომეტრიაში, იყო ბრწყინვალე ინჟინერ-მეტალურგი და ამ დარგის პიონერი საქართველოში. მისი კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. მან შექმნა ორიგინალური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული, იქამდე არსებულისაგან სრულიად განსხვავებული ელექტრო-არითმომეტრი, რომლითაც დაინტერესდნენ საფრანგეთის სამეცნიერო და სამრეწველო წრეები.

ცნობილია, რომ გიორგი ნიკოლაძე წლების განმავლობაში ცხოვრობდა ევროპის ქვეყნებში და ყოველ ხელსაყრელ მომენტს ქართული მთამსვლელობის განვითარება-სრულყოფისათვის იყენებდა. სწორედ მან ჩამოიტანა უცხოეთიდან მთამსვლელთათვის ისეთი აუცილებელი ინსტრუმენტები, როგორებიც წერაყინი და წრიაპია.

1925 წ. მარჯვნიდან: 4. გიორგი ნიკოლაძე, 5. ასმათ ნიკოლაიშვილი, 6. დევი მიქელაძე, 9. სიმონ ჯაფარიძე, 10. ვანო კუკავაძე, ზის ელენე ლორთქიფანიძე

1926-28 წლებში გიორგი ნიკოლაძე უცხოეთში იყო მივლინებული და მიუხედავად ძალზე გადატვირთული ამ სამი წლისა (1927 წელს დაქორწინდა ჟორჟეტა ღამბაშიძეზე, 1928 წლის აპრილში გარდაეცვალა მამა - ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რამაც თავზარი დასცა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ შეძლო სორბონის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციის დაცვა), მაინც ახერხებდა ქართული მთამსვლელობის განვითარებაზე ფიქრსა და ზრუნვას.

ამის დასტურად გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს სიმონ ჯაფარიძის არქივში დაცული გიორგი ნიკოლაძის წერილებიდან, რომლებიც 1926 წლითაა დათარიღებული:

“ძვირფასო სიმონ, შენი და თქვენი ახალი დიდი გამარჯვების აღწერილობა აქ დამხვდა შამონიში, რაც არის მონბლანის ძირში მოთავსებული სოფელი და იმავე დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი მთამსვლელობისა და ზამთრულ ჯომარდობისა. უნდა ნახო აქაური მაღაზიები და მთასვლური მოწყობილობა, რომ იგრძნო რამდენად ჯერ-ჯერობით ღარიბნი ვართ ჩვენ, მაგრამ კიდევ უფრო ღარიბნი ვართ ძნელი ასვლების

ტექნიკის და გამოცდილების ცოდნაში, რამდენად საჭიროა ამ მხრივ აქაურ მეგზურებთან და მთამსვლელებთან ერთად ცოტა მაინც მოგზაურობა; თუ აქ მოსვლა ვერ მოახერხეთ ოდესმე, უნდა ვისარგებლოდ მანდ წამოსული სპეციალისტებით. ამ მხრივ ვეცადოთ საქმე როგორმე გავაუმჯობესოთ, თორემ უშბაზე ასვლის იმედი არ უნდა გვქონდეს სხვაფრივ. რათ უნდა ვიწვალოთ და ხელახლა "აღმოვაჩინოთ" ის ხერხები, რომელნიც აქ დიდი ხანია ცნობილია და საყოველთაოდ მიღებული. გუშინ ვნახე სინემაში ერთ-ერთი უძნელესი ასვლა თავიდან ბოლომდის მშვენივრად გადაღებული. მიუხედავად აუწერელი სიძნელეებისა საინტერესოა, რომ ისინი სინემას წყოსს (კინოაპარატს – ი.ჯ.) და სხვა ბარგს ზურგით კი არ მიათრევენ (ძნელ გზაზე), არამედ თოკებით სწევენ ზევით...

...დღეს მქონდა მოლაპარაკება მთელ დედამიწაზე საუკეთესო კინო-აპარატების ფირმასთან (Dებრიე) ჩვენი გეოგრაფიული საზოგადოებისათვის შესაფერისი აპარატის შესარჩევად.

აქ კინოში ვნახე ერთი დიდად საინტერესო გეოგრაფიული სურათი... მთელი აფრიკის საუკეთესო ნაწილები ისე მშვენივრად იყო ნაჩვენები, რომ რაღაც ერთი საათის განმავლობაში ვინახულე ეგვიპტის ახლად და ძველად აღმოჩენილი სიძველეები, ნილოსის ჩანჩქერები (ნიაგარაზე უფრო ლამაზი) და ბუმბერაზული კაშხალები (ინგლისელების მიერ აშენებული), სამხრეთ აფრიკის მაღაროები, ქალაქები და ბევრი რამ. ისეთ აღტაცებაში მოვედი, რომ მამაც წამოვიყვანე და მეორედ ისევ დავესწარი, მამაც აღტაცებაში იყო. აი, ჩვენი მოგზაურობა რომ ასე გადაგვეღო, რა დიდებული საქმე იქნებოდა. თუკი ჩვენი სიტყვიერი მოხსენებები ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ყველგან, მაშ რაღა იქნებოდა კინოსურათებით გადმოცემული შთაბეჭდილება! ამას გარდა ეს სურათები მილიონიან შემოსავალს მოგვცემენ, ისე რომ ყოველ ახალ მოგზაურობას აგვინაზღაურებენ. ამიტომ გადავწყვიტე ამ საკითხის მეცნიერულად შესწავლა და ყოველმხრივ მოფიქრება"...

გიორგი ნიკოლაძის უცხოეთში ყოფნის პერიოდში, სიმონ ჯაფარიძე ზედიზედ აწყობს მნიშვნელოვან და ხალხმრავალ ექსპედიციებს მყინვარწვერზე და ამ ასვლების დეტალურ ანგარიშს წერილობით უგზავნიდა უცხოეთში მყოფ გიორგი ნიკოლაძეს, რომელიც თავის მხრივ, ამ მასალებს ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში აქვეყნებდა. ერთ-ერთი ასვლის თაობაზე გიორგი ნიკოლაძე სიმონ ჯაფარიძეს სწერდა:

"ძვირფასო სიმონ, მოგილოცავ შენ და ყველას თქვენ ასე დიდებულად შესრულებულ ექსპედიციას. მეტადრე ის მახარებს, რომ ეს ყველაფერი უჩემოდ ჩატარდა და თქვენ თითონაც "მთასვლური უნარი" გამოიჩინეთ. ეს ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, სამაყოა.

დიდად გმადლობ... აწერილობისათვის, რომელიც მეც და მამაჩემმაც დიდის ინტერესით წავიკითხეთ. ერთს კიდევ გთხოვ (თუ ძნელი არ არის) თერმოგრამა გადახატო როგორმე (თუნდაც დაახლოებით) და გამომიგზავნო, რადგან ჩემთვისაც ძლიერ საინტერესოა

მისი ნახვა თუ რა მიმდევრობით იცვლება თბილანდი (იგულისხმება ტემპერატურა) მყინვარწვერის მწვერვალზე".

ამ წერილის საპასუხოდ სიმონი წერდა გიორგი ნიკოლაძეს:

"ძვირფასო ძმაო გიორგი! ალბათ უკვე მიღებული გექნებათ ჩემი ვრცელი წერილი მყინვარწვერზე და იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე ასვლების შესახებ...

იმ წერილშიც გპირდებოდი, რომ თერმოგრამას მალე გამოგიგზავნი-თქო, მაგრამ მაინც დამაგვიანდა გამოგზავნა ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ახლა კი, როგორც იქნა დაიბეჭდა. გიგზავნი გადიდებულს, რომელიც შედარებით კარგად გამოვიდა, პირდაპირ თერმოგრამის პირი არ გამოვიდა, რადგან იისფერი მელნით იყო ნაწერი და ამისათვის მე დამჭირდა ტუშით ასლის გადაღება. ასლი ძალიან დაკვირვებით გადავიღე...

სხვათა შორის, ევროპის გამოფენებზედაც გამოვგზავნეთ ეს ფოტოსურათები სხვა დიდძალ ფოტოგრაფიულ მასალასთან ერთად. გამოფენებზე გამოვგზავნეთ აგრეთვე დიაგრამები და თერმოგრამის თანახმად შედგენილი ერთი კვირის ტემპერატურის სვლის გრაფიკი – როგორც მყინვარწვერის, ისე შედარებისათვის სტეფანწმინდის და ტფილისის, ყველაფერს ნახავთ პარიზის გამოფენაზე.

გრაფიკები და დიაგრამები ჩემი დახაზულია და ნაკლს და უნაკლობას ალბათ მაცნობებთ. სურათებიც ძალიან ბევრი გამოიგზავნა, არჩილმა [1] გაადიდა. სხვა აქაურ ამბებს თუ იკითხავთ, ყველანი კარგად არიან. გაფრენებს [2] ვაწყობთ ნელ-ნელა"...

1925 წ. I რიგში: გიორგი ნიკოლაძე, მარო ბეჟანიშვილი, დევი მიქელაძე II რიგში: ასმათ ნიკოლაიშვილი, ლადო ფხალაძე, სონია სტრავინსკაია, ლიდუსი ჩხეიძე, სანდრო კილაძე, ელენე ლორთქიფანიძე, ბოლო რიგში: შოთა ძაგნიძე? ატო აღნიაშვილი, არჩილ ბენაშვილი, ივანე კუკავაძე,??

---

[1] არჩილ ბენაშვილი – მთამსვლელი. გიორგი ნიკოლაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ალპინისტურ ლაშქრობებში მაღალმთიანეთის ფოტოგრაფირებას. 1930 წლამდე, მთამსვლელობის ფოტომატიანე, ძირითადად, გიორგი ნიკოლაძისა და მისი ნამუშევრებითაა შექმნილი

[2] ქართველი ახალგაზრდების ის ჯგუფები, რომლებიც გიორგი ნიკოლაძესთან ერთად ტურიზმსა და ალპინიზმს მისდევდნენ, ქალაქგარეთ გასვლას, ექსკურსიას, მოგზაურობას "გაფრენს" უწოდებდა.

მოხმობილი მიწერ-მოწერიდან კარგად ჩანს, თუ როგორ აწუხებდათ გიორგი ნიკოლაძესა და მის მეგობრებს საქართველოში გამოცდილების, მთამსვლური ტექნიკისა და აუცილებელი აღჭურვილობის უქონლობა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი მიუვალ ადგილებში ფოტო და კინოგადაღებების აუცილებლობას, როგორ გამუდმებით ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ქართველ მთამსვლელთა მიღწევები გაეცნო ალპინისტური გამოცდილების მქონე ევროპას.

დაუსრულებლად შეიძლება გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე საუბარი, მაგრამ სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მისი ღვაწლის მიმოხილვას დავასრულებთ ჩვენი სახელოვანი მთამსვლელის ბენო ქაშაკაშვილის მამის, მეტალურგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ ქაშაკაშვილის სიტყვებით ნარკვევიდან "ქართველ მეცნიერთა, სპორტსმენთა და ინჟინერთა სიამაყე", რომელშიც იგი გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას აჯამებს: "ჩვენი ქვეყნისა და ერის საუკუნეების ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ბევრი საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერს, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონს, წარმოების ღვაწლმოსილ ინჟინერს, პატენტების ავტორს ვნახავთ, მაგრამ გიორგი ნიკოლაძის გარდა ვერ შეარჩევთ პიროვნებას, რომელიც ერთდროულად სამაგალითო იყოს, როგორც მეცნიერი, მკვლევარი, მათემატიკოსი, გეოგრაფი, მრავალმხრივ განვითარებული ინჟინერი და წარმოების დიდი ორგანიზატორი, მებრძმედე-მეტალურგი, ელექტრომეტალურგი, გამომგონებელი, მრავალი სახის სპორტსმენი, საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი, ალპინისტი. დიახ, ასეთი მრავალმხრივ განათლებული და განვითარებული მხოლოდ გიორგი ნიკოლაძე გახლდათ."

* * * * *

ქართული ალპინიზმის ისტორიაში გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მოიხსენიებენ პროფესორ **ალექსანდრე დიდებულიძეს**, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელს. 1923 წელს გეოფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებმა, მყინვარწვერზე და მის მიდამოებში პირველად ჩაატარეს მეცნიერული დაკვირვებები და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაღალმთიანეთში მიზანმიმართულ მეცნიერულ კვლევებს სწორედ აქედან დაედო სათავე.

ალექსანდრე დიდებულიძე - ცნობილი მეცნიერი ენერგეტიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ოდესაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში. 1918 წელს, უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაბრუნდა საქართველოში. იყო თსუ-ის ფიზიკის კათედრის გამგე, თსუ-ის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო 1922 წლიდან ჯერ თსუ-ში, შემდეგ კი (1928 წლიდან გარდაცვალებამდე) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე. პარალელურად, 1923-25 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, 1930-45 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და ამიერკავკასიის ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერთა

ინსტიტუტის ელექტროტექნიკის კათედრებს, ხოლო 1948-51 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს.

აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ პროფესორ კონსტანტინე ამირეჯიბთან ერთად 1930 წელს შექმნა პირველი საბჭოთა ელექტროტრაქტორი, აგრეთვე პირველი გრძელჭავლიანი საწვიმარი აპარატი ნათესების მოსარწყავად. ავტორი იყო მნიშვნელოვანი გამოგონებებისა, რომელთაგან აღსანიშნავია სითბოს იზოთერმული აკუმულატორი, თერმოელემენტების დამზადების ახალი პრინციპი და სხვ.

გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, მაგრამ რის შექმნაც მოასწრო, განძად დარჩა ქართულ მეცნიერებას.



1923 წ. მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მეგზური გახა წიკლაური

მისი ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე მოწყობილ ექსპედიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაღალმთიანეთის მეცნიერული ათვისებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების თვალსაზრისით. სწორედ ალექსანდრე დიდებულიძის დამსახურება იყო, რომ საქართველოს მაღალმთიანეთში ჩატარდა პირველი მეტეოროლოგიური, კლიმატოლოგიური, მაგნიტომეტრული, გეოლოგიური კვლევები, რომლებმაც შემდგომ სისტემატური ხასიათი მიიღო და შედეგებმა 30-იან წლებში ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის აშენებაში პოვა გამოხატულება.

გეოფიზიკური ობსერვატორიის მყინვარწვერზე ორი ლაშქრობის მნიშვნელობის შესახებ გამოქვეყნდა ალექსანდრე დიდებულიძის ორი სტატია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების 1924 წლის №1 ჟურნალში.

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს ალპინისტურ ორგანიზაციებს ექსპედიციისათვის აუცილებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყოების დათმობითა და კლიმატური მონაცემების მიწოდებით იმ რაიონებისათვის, სადაც ლაშქრობა იყო განზრახული.

ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციების შემდეგ არც ერთი წელი არ გასულა, რომ ობსერვატორიის თანამშრომლებს მაღალმთიანი ლაშქრობა არ მოეწყოთ, რითაც ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ ალპინიზმის განვითარების საქმეს საქართველოში.

ალექსანდრე დიდებულიძის მიერ მოწყობილ ექსპედიციებს არა მარტო მეცნიერული, სპორტული თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ ექსპედიციებმა მისცა ქრთულ სპორტს, კერძოდ მთამსვლელობას, ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ შემდგომ სპორტის დამსახურებული ოსტატები ალექსანდრა ჯაფარიძე და იოსებ (სოსო) ასლანიშვილი.

* * * * *

ქართული ალპინიზმის განვითარებაში უდიდესია ცნობილი მთამსვლელის, მეგზურისა და სახალხო პოეტის, მოხევე **იაგორ კაზალიკაშვილის** ღვაწლი და დამსახურება.



იაგორ კაზალიკაშვილმა პირველად მყინვარწვერზე 1907 წელს შედგა ფეხი რუსეთის სამთო საზოგადოების წევრ ისაკოვთან ერთად თავისი მასწავლებლის, სოფელ გველეთში მცხოვრები ქისტის იან ბეზურთანოვის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ იგი დაახლოებით 30-ჯერ ავიდა მყინვარწვერზე, როგორც რუს, ასევე უცხოელ მთამსვლელებთან ერთად. 1913 წელს რუსეთის სამთო საზოგადოებამ ოფიციალურად გასცა მეგზურის წიგნაკი იაგორ კაზალიკაშვილის სახელზე.

1923 წელს იგი წინ მიუძღოდა პირველ ქართულ ექსპედიციას მყინვარწვერზე, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა.

იაგორ კაზალიკაშვილი მყინვარწვერსა და კავკასიონის სხვა მწვერვალებზე ისეთ მთამსვლელებთან ავიდა, როგორებიც იყვნენ გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრა, სიმონ, ალიოშა ჯაფარიძეები, სოსო ასლანიშვილი, შოთა მიქელაძე, დავით წერეთელი, რუსები მარია პრეობრაჟენსკაია, დუხოვსკოი და სხვ.

1928 წელს სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა "მოსკინოს" გადამღებთა ჯგუფი რეჟისორ ნიკოლოზ ლებედევთან ერთად და მთამსვლელობის ისტორიაში პირველად 5000 მეტრის სიმაღლეზე გადაიღო ფილმი "კავკასიის კარიბჭე" ("ვრატა კავკაზა"). აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა იაგორ კაზალიკაშვილის უფროსი ვაჟი სტეფანე.

იაგორ კაზალიკაშვილი, ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი, არაერთი საეტაპო და მნიშვნელოვანი ასვლის მონაწილეა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ქართული და საბჭოთა ასვლა თეთნულდისა (1930 წ.) და უშბის (1934 წ.) მწვერვალებზე.

1934 წ. იაგორ კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი უშბის ძირში

პოეტმა და სახალხო მთქმელმა – იაგორ კაზალიკაშვილმა მთელი პოემა უძღვნა უშბაზე ასვლა-ჩამოსვლის ეპოპეას, რომელშიც შესანიშნავადაა გალექსილი მთამსვლელთა ყოველი ნაბიჯი. პოემა საკმაოდ საინტერესო, მაგრამ მოზრდილია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სტროფს შემოგთავაზებთ, რათა წარმოდგენა შეგიქმნათ იაგორ კაზალიკაშვილის პოეტურ გულწრფელობასა და ნიჭიერებაზე. თავისი მოზრდილი პოემის დასასრულ, ავტორი საკუთარ ასვლათა ერთგვარ ნუსხასაც გვთავაზობს:

"რვასა მთასა ვარ ასული, რვასა მთაზედა რებული:
მარუხ, ლაკობა, ერწახვი, იალბუზ, სახელდებული;
ოსეთჩი ადაი-ხოხი, შიგ შუა მთებჩი დებული;

ყინვარწვერი და თეთნულდი ესაც უშბაი, ქებული.
ას ოცი ჯიხვი მამიკლავს და ოცი მგელი ხელითა.
საწყალის გლეხის შვილი ვარ, მთაჩი გაზრდილი ქერითა.
მაინც ვერ გავძეღ, უშბაო, შენის ჩონჩხების ცქერითა,
გათავდა უბის წიგნაკი შენის ლექსების წერითა".

გარდა მწვერვალებზე განხორციელებული სპორტული ასვლებისა, იაგორ კაზალიკაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის მყინვარწვერის კალთებზე, ზ.დ. 3700 მ-ზე მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის ასაშენებლად ადგილის შერჩევასა და მშენებლობის პროცესში სათანადო კონსულტაციის გაწევაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მეტეოსადგურის პირველი მოზამთრეები 1933-34 წლის ზამთარში სადგურის უფროს დავით შარაშიძესთან ერთად იაგორ კაზალიკაშვილი და სანდრო გვალია იყვნენ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს მეტეოროლოგიური კომიტეტის მიერ წარმოებულ სამეცნიერო მუშაობაში.



1923 წ. მყინვარწვერზე პირველი ქართული და საბჭოთა ექსპედიციის მეგზური იაგორ კაზალიკაშვილი

ალიოშა ჯაფარიძე იგონებდა რა იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად განხორციელებულ პირველ ასვლას თეთნულდზე, მისადმი მიძღვნილ ნარკვევში წერდა:

"მიუხედავად მრავალი სამსახურებრივი და ოჯახური ხასიათის დაბრკოლებებისა, იაგორი ჩამოვიდა ყაზბეგიდან თბილისში ჯგუფთან შესაერთებლად, მან გაასალკლდევა ჯგუფის წევრთა რწმენა და იმედი დასახული მიზნის მიღწევისა. თვით მსვლელობის დროს, როგორც თეთნულდზე, ისე უშბაზე, იაგორი იჩენდა მაღალმთიანი ბუნებისადმი საუკეთესო და იშვიათ დაინტერესებას, სიფხიზლესა და გამოცდილებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 14 ივლისის ასვლა თეთნულდზე, რომელიც ჯგუფმა ერთი დღის განმავლობაში მოახდინა პირდაპირ სოფ. ადიშიდან (დაახლოებით 32 კილომეტრის გავლით მწვერვალამდე და უკან), მოწყობილი იყო იაგორის წინადადებით. კარგი მთამსვლელისათვის საჭირო თვისებებს გარდა, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა იაგორი, მას ახასიათებს იშვიათი კეთილშობილება და ბუნებრივი კულტურული სიმაღლე. მისი ლექსთა მღერა და ჩონგურზე დაკვრა ჩვენი ხალხური შემოქმედების საკმაოდ ღირსშესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. თავისი ადამიანური თვისებების წყალობით იაგორი არა მარტო მათში იწვევს ღრმა მეგობრულ გრძნობას, ვისთანაც ის თანამგზავრობს, არამედ მათშიაც, ვისაც ის ხვდება თავისი მოგზაურობის დროს. ასე იყო ჩვენი ჯგუფის მოგზაურობის დროსაც: იაგორმა გულწრფელი და ღმა მეგობრული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა სვანებს შორის ყველგან და განსაკუთრებით სოფ. ადიშში...

მეორე მოგზაურობა მყინვარწვერისკენ მე მომიხდა იაგორასთან ერთად იმავე 1931 წელს ივლისში. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე სოფ. სტეფანწმინდის მცხოვრები ნიკო ქირიკაშვილი, რომელიც პირველად მოდიოდა მყინვარწვერზე. ამ შემთხვევაში ჩვენ წავედით სრულიად ახალი გზით, რომლითაც მანამდე არავინ ასულა მყინვარწვერზე. ეს გზა მიიმართება სოფ. სტეფანწმინდიდანვე დაწყებული მწვერვალამდე დევდორაკის მყინვარსა და აბანოს მყინვარს შორის მდებარე წყალგამყოფ ქედზე. მოგზაურობა წარმატებით დასრულდა – ჯგუფი მთელი შემადგენლობით სრულიად უვნებლად ავიდა მწვერვალზე. ამით გაიხსნა მყინვარწვერისკენ კიდევ ერთი საინტერესო და შედარებით ადვილი გზა. ეს მიღწევაც შედეგია იაგორის თანამგზავრობისა ჩემთან, მისი დახმარების, გამოცდილების და ყველა იმ ძვირფასი თვისებებისა, რომელნიც იაგორს ახასიათებენ, როგორც საუკეთესო ადამიანს და მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველ მეგზურს".

გოჯი ზურებიანი, გიო ნიგურიანი, იაგორ კაზალიკაშვილი, ადსილ ავალიანი

ამ შეფასებებიდან ნათელი ხდება იაგორ კაზალიკაშვილის პიროვნება, მისი სულისკვეთება. თუკი ყოველივეს მის პოეტურ ნიჭსაც დავუმატებთ, წარმოჩნდება ზნეობით, ღირსებითა და ვაჟკაცური შემართებით შემკული ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება შრომითა და სიკეთით გაატარა.

იაგორ კაზალიკაშვილის სიკეთე და მოყვასისადმი სიყვარული ტრადიციად მოჰყვება მის შთამომავლობას. მისმა სამივე ვაჟმა მოსინჯა თავი მთამსვლელობაში, მეორე მსოფლიო ომი მეხივით დაატყდა კაზალიკაშვილების ოჯახს – სამივენი ფრონტის წინა ხაზზე გაიწვიეს. საბედნიეროდ ყველანი ცოცხლები დაბრუნდნენ, თუმცა ნაბოლარა ვაჟი ალექსი - დაჭრილი და დაინვალიდებული. ამის მიუხედავად ყველამ მშვენიერი ოჯახი შექმნა. ალექსი მამისეულ სახლში დარჩა სტეფანწმინდაში და ეთერ ბულაშვილთან ერთად ბრწყინვალე ოჯახს ჩაუყარა საფუძველი, სამივე შვილი - მერი, ნინო და იაგო - სიკეთითა და სიყვარულით აღზარდეს, რომელთაც ღირსეულად გააგრძელეს ოჯახის ტრადიციები და

ათწლეულების განმავლობაში კვლავაც ქართველ მთამსვლელთა საყრდენსა და თავშესაფარს წარმოადგენენ.

1935 წლის შემოდგომით, როცა უკურნებელი სენით შეპყრობილი სარეცელს მიჯაჭვული იაგორ კაზალიკაშვილი თავისავე ლექსს ფანდურზე ამღერებდა და სამუდამოდ ეთხოვებოდა მშობლიურ მთებს, მყინვარწვერზე ავიდა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის ნაკრები და მწვერვალიდან გაისმა ზარბაზნის ზალპი, რომელმაც თითქოს ქვეყანას აუწყა მთის მგოსნის, შესანიშნავი მეგზურისა და მთამსვლელის იაგორ კაზალიკაშვილის უკვდავებაში გადასახლება. მწვერვალიდან ჩამობრუნებული ექსპედიციის ხელმძღვანელები: კაკო მარი და დავით წერეთელი მთამსვლელებთან ერთად საპატიო ყარაულში დადგნენ და პატივი მიაგეს უახლოესი მეგობრისა და მთაში მათი განუყრელი თანამგზავრის იაგორ კაზალიკაშვილის ხსოვნას.

იაგორ კაზალიკაშვილის პატივსაცემად, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის მახლობლად არსებულ ღამის სათევს დიდ ლოდთან "იაგორას ნიში" ჰქვია; "იაგორას მისავალი" ეწოდება რაჭაში, მწვერვალ ბურჯულას აღმოსავლეთით კავკასიონის მისასვლელს; 1933 წელს სოსო ასლანიშვილის რედაქტორობით გამოიცა მისი ლექსების კრებული, ხოლო დენიზა გოზალიშვილმა მიუძღვნა წიგნი "მთის მგოსანი". სტეფანწმინდაში, მამაპაპეულ სახლში გახსნილია იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის მთამსვლელთა მუზეუმი.

* * * * *

ალექსანდრა ჯაფარიძე ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც თავის ძმებთან – სიმონთან და ალიოშასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ალპინიზმს და სათავე დაუდო მთამსვლელობის გმირულ ისტორიას საქართველოში.

იგი ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ხრეითში დაიბადა 1895 წლის 11 თებერვალს. რვა წლის ალექსანდრა უფროსმა ძმამ – ვანომ ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში მიაბარა, თვითონ კი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1905 წელს სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის, მეფის მთავრობამ იგი დააპატიმრა და პეტრე–პავლეს ციხეში ჩასვა, სადაც დაავადდა და 24 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ათი წლის ალექსანდრას სულში ბავშვური უშუალობით და ღრმა განცდით აღიბეჭდა ოჯახის ეს დიდი ტრაგედია. ცხოვრებამ თითქოს თავიდანვე გაა-ფრთხილა და შეამზადა იგი მრავალი განსაცდელისათვის.

ჯაფარიძეთა ოჯახიდან მთამსვლელობას პირველად ალექსანდრა ეზიარა 1923 წელს.

კავკასიონის მწვრვალები ალექსანდრას ღვიძლი ძმები არიანო – ამბობდა ლევან გოთუა, რადგან ამ მწვერვალებზე სამუდამოდ დარჩა მისი ძმების ახალგაზრდული სული და კავკასიონმა მხოლოდ ძმათა ნამუხლარზე წასული დის წინაშე მოიხარა ქედი. დამ ძმების სისხლი არ შეარჩინა უშბასა და თეთნულდს.

"პირველად მე დავადგი ფეხი მთების ამაყ გულს. პირველად მე შევაღე მათი სული და ჩემს ძმებზე კი იყარეს ჯავრი. იქნებ, ამით უფრო მეტი ვნება მომაყენეს, სული ჩამითუთქეს, გამომიწვიეს"... ასე ჩაუწერია თავის დღიურში ალექსანდრა ჯაფარიძეს და დიდი ტკივილებისა და განსაცდელის მიუხედავად, მან ვაჟკაცურად მიიღო მთების ეს გამოწვევა ...

1929 წელს, თეთნულდზე ასვლის დროს, მეგობრის გადასარჩენად შემართული, 33 წლის ასაკში დაიღუპა მთამსვლელი და გეოლოგი, ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადოს აღმომჩენი – სიმონ ჯაფარიძე...

გლოვამ დაისადგურა ჯაფარიძეთა ოჯახში, მაგრამ დაუოკებელია მათი სწრაფვა მწვერვალებისაკენ. ერთი ძმა მეორემ შეცვალა. ალექსანდრას მომდევნო ძმა – ალიოშა ამოუდგა მხარში. და–ძმამ სიმონის საფლავზე ფიცი დადო – მისი დამსხვრეული ოცნებების აღსადგენად, წლისთავზე, თეთნულდი დაეპყროთ.

– "თუ არა სიმონის სიკვდილი, მე იქნებ არასოდეს მეფიქრა მთებზე" – წერდა ერთგან ალიოშა.

– "სიმონის დაღუპვის შემდეგ, დაუძლეველი სურვილი გაგვიჩნდა გვენახა და გამოგვეკვლია ის ადგილები, სადაც მან უკანასკნელად დაადგა ფეხი" – იგონებდა ალექსანდრა.

სიმონის დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ თეთნულდზე ოთხნი ავიდნენ: და–ძმა ჯაფარიძეები, მათი მუდმივი თანამგზავრი მთაში, მოხევე იაგორ კაზალიკაშვილი და სვანი ადსილ ავალიანი.

თეთნულდიდან გამობრუნებულებმა უშბის მწვერვალიც დაზვერეს, მოსინჯეს მისი ძალა, მაგრამ უნაგირაზე ასულებს, უამინდობამ ხელი ააღებინა მწვერვალზე. უშბაზე ასვლა რამდენიმე წლით გადაიდო.

თეთნულდზე ასვლის შემდეგ და–ძმამ არაერთი მწვერვალი დალაშქრა კავკასიონზე, მაგრამ თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული იყო ქართველების პირველი ასვლა უშბაზე 1934 წლის აგვისტოში.

...მწვერვალამდე 200–დე მეტრი რჩებოდა, დაღლილებს ღამემ მოუხერხებელ ადგილზე რომ მოუსწრო. აქ ერთი ადამიანი თუ გაათევდა, ისიც ნახევრად დამჯდარი, ისინი კი ოთხნი იყვნენ. აუცილებელი გახდა 200 მეტრით ქვევით დაშვება. შეწუხდნენ. ენანებოდათ ტანჯვით გამოვლილი მანძილის დაკარგვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. გადაწყდა უკან დაბრუნება. მხოლოდ ალექსანდრა არ აპირებდა წასვლას. მას გამოცდილება კარნახობდა, რომ ამ კრიტიკულ მომენტში მცირე დაბრკოლებამ შეიძლება ხელი ააღებინოს განზრახვაზე მის თანამგზავრებს. ალიოშა მიუხვდა დას ჩანაფიქრს და დათანხმდა, ალექსანდრა მარტო დარჩენილიყო ღამის სათევად. თვითონ კი იაგორთან და გიოსთან ერთად 200 მეტრით დაბლა დაეშვა.

ალექსანდრა ჯაფარიძის უშბის ვერტიკალურ კედელზე ღამისთევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მწვერვალზე წარმატებით ასვლაში.

– "თუ არა ალექსანდრას თავგანწირვა, ჩვენ, ალბათ ხელს ავიღებდით უშბის დაპყრობაზე", – იგონებდნენ შემდეგ ასვლის მონაწილენი. პოეტსა და სახალხო მთქმელს – იაგორ კაზალიკაშვილს კი ეს ამბავიც ლექსად უთქვამს:

"ქალსა შევხედე, ციცაფით ჩამოგვცქერს, ვითა წყეული,
ბაწარზე დაკიდულია, ნაბადში გამოხვეული.
სიყვარული მაქ მაგისა, როგორც რომ მამას შვილისა,
აღარ მეგონა, თავს ვფიცავ, მზეღა ენახა დილისა,
ეხლა შევატყვე, ყოფილა ფოლად ნარევი რკინისა,
ამხანაგების გამტანი, არ გამტეხელი პირისა".

1940 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი. პირველად ალპინიზმის ისტორიაში ქართველმა მთამსვლელებმა, ძირსდაუშვებლად, კავკასიონის უმაღლეს და ურთულეს ნაწილში, წურუნგალიდან გესტოლამდე, სურსათის მარაგის შეუვსებლად, მძიმე ზურგჩანთებით, 13 დღეში, ქედ-ქედ გაიარეს და დალაშქრეს 20-ზე მეტი მწვერვალი, რომელთაგან 11 უმაღლესი კატეგორიის სირთულისა იყო და მასში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა ერთადერთი ქა-

ლი – ალექსანდრა ჯაფარიძე. იმ დროისათვის ასეთ ძნელ ალპინისტურ ლაშქრობაში ქალის მონაწილეობა პირველი შემთხვევა იყო მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ეს ტრავერსი, თავის დროზე, უმაღლესი კლასის სპორტულ მიღწევად და უმაგალითო ალპინისტურ რეკორდად იყო მიჩნეული.

და–ძმა ჯაფარიძეებს, მწვერვალების გარდა, მრავალი მიუვალი მღვიმე-გამოქვაბული, ბუნებრივი სვეტი თუ ქვაბ-სახიზარიც უკვლევიათ. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ხვამლის მიუვალი ციხე-ქვაბულის კვლევა.

ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის ციხე-ქვაბული "მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები" იყო. და-ძმა ჯაფარიძეებთან ერთად, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით, ციხე-ქვაბულში შევიდნენ: მწერალი ლევან გოთუა, არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე, მხატვარი ვერა ბელეცკაია, გეოგრაფი ელენე აბაშიძე, პალეონტოლოგი ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩი, მთამსვლელები: ალექსანდრე ნემსიწვერიძე, გოგი ჯაფარიძე, ვალია ნასონოვა, სიმონ შხვაცაბაია.

ჩატარებულმა გათხრებმა გამოარკვია, რომ ხვამლის "განძთსაცავი" დიდი ხნის წინ პირწმინდად გაუძარცვავთ და ნივთიერი ნაშთები უკვალოდ გამქრალა.

1927 წ. მყინვარწვერის ექსპედიცია თბილისიდან გამგზავრების წინ. მარცხნიდან: 1. ნოე ჯაფარიძე, 2. ალიოშა ჯაფარიძე, 3. ? 4. ბეჟან ლორთქიფანიძე, 5. ანდრია კოვალკოვი, 6. დარეჯან ნიკოლაიშვილი, 7. არჩილ ბენაშვილი, 8. დევი მიქელაძე, 9. ვალენტინ თულაშვილი, 10. შოთა მიქელაძე, 11. სიმონ ჯაფარიძე, 12. სოსო ასლანიშვილი. წინ: ვასასი კალანდარიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე

1945 წლის შემოდგომაზე ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დაიწყო უშბა-შხელდის დიდი ტრავერსი. საქართველოში მოულოდნელად შემოჭრილმა ციკლონმა ჯგუფს უშბაზე მოუსწრო. გრიგალმა და ქარიშხალმა, რომელმაც დაბლა, მესტიაში, ხეები ფესვებიანად დათხარა, მთამსვლელები მწვერვალზე დაატყვევა. ერთი კვირის შემდეგ კი არნახული სიძლიერის ზვავმა კარავში ღამის სათევად შეფარებული ალიოშა ჯაფარიძე, თავის

მეგობრებთან – ქელეშბი ონიანთან და ნიკოლოზ მუხინთან ერთად, დაუნდობლად დამარხა უშბის ნაპრალებში.

ძმის დაღუპვით გამოწვეულმა განცდებმა და გლოვამ, თითქოს, ცხოვრების აზრი დაუკარგა ალექსანდრას, მაგრამ აქაც აჯობა თავის თავს, აქაც მონახა სასიცოცხლო ინტერესები. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში, სადაც იგი პედაგოგად მიიწვია მზია ერისთავმა, ჩვეული გულმოდგინებითა და სიყვარულით შეუდგა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ამ პატარა კაბინეტში მზია ერისთავმა იმთავითვე შექმნა ის განწყობილება და საფუძველი, ურომლისოდაც ძნელია ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა. მისი აზრით, ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირადი მაგალითის ძალას. ასეთ სამაგალითო პიროვნებად კი მას უშბის გმირი – ალექსანდრა ჯაფარიძე მიაჩნდა.

ალექსანდრა ჯაფარიძე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის მოსწავლეებთან

ალექსანდრა ჯაფარიძემ, თავის მოწაფეებთან ერთად, მრავალჯერ შემოიარა საქართველო, დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები, მაგრამ მათ შორის გამორჩეული და დაუვიწყარი იყო დიხ-თაუ. 55 წლის ასაკში თავის აღზრდილებთან რევაზ ნათაძესთან, ანატოლი ქავთარაძესთან, ვახტანგ კვაჭაძესთან, დიმიტრი ყანდარელთან, ატე ნემსიწვერიძესთან, ლევან ახვლედიანთან და ალექსი ივანიშვილთან ერთად, ახალი გზით (დასავლეთიდან, ჩრდილო ქედით) ავიდა მწვერვალზე და პირველი ქალი იყო, რომელმაც ამ ასაკში, ასეთი რთული მწვერვალის დალაშქვრა შეძლო.

ალექსანდრა ჯაფარიძეს ცხოვრებამ, მრავალ ტკივილთან ერთად, სიხარულიც ბევრჯერ აჩუქა. ასეთი სიხარულის მომგვრელი იყო მისთვის 1948 წელს ლეგენდადქცეული ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენა მყინვარწვერის კალთებზე.

– "ხასხასა და დაუჟანგავ, ზღაპრადთქმულ ჯაჭვს ხელით რომ შევეხე, გული კინაღამ ამომივარდა მკერდიდანო" – იგონებდა ბეთლემიდან დაბრუნების შემდეგ. გაცოცხლდნენ ილიას "განდეგილის" გმირები. ლეგენდა სინამდვილედ იქცა.

გამოქვაბულში ნაპოვნ განძთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მე-13 საუკუნეზე ადრინდელი, რელიეფური გამოსახულებებითა და ასომთავრული წარწერებით შემკული

დროშა (ხატი) და მე-15 საუკუნის ბრინჯაოს სამფეხა შანდლის ძირი აღმოჩნდა, დანარჩენი ნივთები კი მე-17, მე-18 საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

ბეთლემის ლეგენდის გახსნამ დიდი გამოძახილი პოვა, მრავალნი დაინტერესდნენ, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი იგორ ტამი, ცნობილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვები. 1957 წელს კი, გადასახლებიდან საბოლოოდ დაბრუნებული ლევან გოთუას ხელმძღვანელობით და ალექსანდრა ჯაფარიძის მონაწილეობით, ბეთლემს და მყინვარწვერს ეწვია ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ჯგუფი. ეს ასვლა, რომელსაც მშვენიერი ნარკვევი უძღვნა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა, ილიას დაბადების 120 და ვერაგული მკვლელობის 50 წლისთავს მიეძღვნა.

1958 წ. საქართველოში სტუმრად მყოფ ჩარლზ ევანსს საჩუქარს გადასცემს ალექსანდრა ჯაფარიძე

მყინვარწვერზე პირველი ასვლიდან ზუსტად 30 წლის შემდეგ ალექსანდრა ჯაფარიძემ, თავის უმცროს ძმასთან – ნოესთან ერთად, უხელმძღვანელა თავის მშობლიური კუთხის – ჭიათურის რაიონის მაღაროელთა 52-კაციან ალპინიადას. ეს იყო მისი მე-19 და საბოლოო ასვლა მყინვარწვერზე. იგი ამჯერადაც თავისი ძმის გვერდით იდგა, უხმოდ გაჰყურებდა კავკასიონს და მათგან ორ მწვერვალს გამოარჩევდა – თეთნულდსა და უშბას. ამ მწვერვალებზე იგი დაღუპული ძმების სახეებს ხედავდა და ამიტომაც ეძნელებოდა მათთან განშორება. ისევ ძმამ შეაძლებინა შეუძლებელი – იდგა ნაბოლარა ძმის მხარზე დაყრდნობილი და ჩუმად, უსიტყვოდ ემშვიდობებოდა საყვარელ მთებს...

ალექსანდრა ჯაფარიძე მოხუცებულობის ჟამსაც ვერ თმობდა საყვარელ მთებს. სწორედ ამის დასტური იყო, რომ ქართულად აამეტყველა ცნობილი ფრანგი მთამსვლელის – მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი "ანაპურნა", რომელშიც ხატოვნად და ამაღელვებლადაა აღწერილი ჰიმალაებში პირველი 8000-იანი მწვერვალის აღებისას სტიქიასთან ბრძოლაში გამარჯვებულ მთამსვლელთა უმაგალითო გმირობა და მაღალი ზნეობა. ეს თარგმანი, ალექსანდრა ჯაფარიძის უკანასკნელი საჩუქარი იყო ქართველი ხალხისადმი.

დიდია ალექსანდრა ჯაფარიძის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, კავკასიონის მიუვალი მწვერვალებისა და მაღალმთიანეთის კვლევის საქმეში, ხოლო ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ჰიდრომეტეოროლოგიური მეცნიერების განვითარებაში; იგი

ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში სინოპტიკური მეტეოროლოგიის განვითარებას და წლების განმავლობაში მაღალკვალიფიციურად, დიდი ენერგიითა და მონდომებით უძღვებოდა ამინდის ბიუროს ფრიად მნიშვნელოვან ოპერატიულ სამუშაოებს.

ალექსანდრა ჯაფარიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველი ქალის ჭმუნვისა და სიხარულის გმირული გზა იყო. მან ეს გზა უმწიკვლოდ, სუფთად და სამაგალითოდ გაიარა. სწორედ ამიტომ ჩვენი დროის უდიდესმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ ასე მიმართა ალექსანდრა ჯაფარიძეს, რუსთაველის თეატრში გამართულ 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე:

“ჩვენო ცოცხალო ლეგენდავ! ძვირფასო ალექსანდრა! მრავალი ქალის როლი გა-ნმისახიერებია ჩემი მოღვაწეობის მანძილზე, მაგრამ ნამდვილად გამიჭირდებოდა მეთამაშა ისეთი ქალის როლი, რომელშიც ისე იქნებოდა ქალური სინაზე და დიდი ვაჟკაცობა შერწყმული, როგორც ეს თქვენშია.

თქვენი სახელი უკვდავია, როგორც მარადიულია თქვენს მიერ მრავალჯერ დამო-რჩილებული, მაგრამ მაინც ამაყი და უდრეკი, ჭაღარა კავკასიონი! იცოცხლეთ დიდხანს ჩვენი ერის საამაყოდ, ჩვენი ხალხის სადიდებლად!

“მყინვარივით შეგვერცხლია თმები,
მყინვარების ნაზო დედოფალო,
დაგილაშქრავს გულზვიადი მთები,
ჩვენი ქვეყნის ღირსეულო ქალო!”

ალექსანდრა ჯაფარიძე 1974 წლის 27 ნოემბერს ჩუმად, უხმაუროდ განერიდა ამ წუთისოფელს და ვერის ბაღში დაკრძალეს თავისი ძმების გვერდით. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მისი სიცოცხლე არ დამთავრებულა, კვლავ გრძელდება, რადგან უანგაროდ დახარჯული სიცოცხლე არ კვდება.

ყოველწლიურად, ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების დღეს, მის საფლავზე მრავლად იკრიბებიან უკვე ჭაღარაშერეული ადამიანები. ისინი ალექსანდრა ჯაფარიძის აღზრდილები არიან. მათ არასოდეს ავიწყდებათ ამაგდარი მასწავლებელი, საყვარელი "დეიდა ალექსანდრა", რომლის ცხოვრებაც ლეგენდას ჰგავდა და... ეს ლეგენდა სინამდვილე იყო...

* * * * *

ქართულ ალპინიზმის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ღვაწლმოსილ მკურნალსა და საზოგადო მოღვაწეს **იოსებ (სოსო) ასლანიშვილს**, რომელმაც მთელი ცხოვრება საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში გალია.

1923 წელს იგი ალექსანდრე დიდებულიძის სამეცნიერო ექსპედიციას ექიმად გაჰყვა მყინვარწვერზე და აქედან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად, მთამსვლელობა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ამის დასტურად საკმარისია დავასახელოთ, რომ იგი იყო საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქართული ალპინიზმის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, მთამსვლელობის გულშემატკივარი და მისი გულმხურვალე პოპულარიზატორი.

ჯერ კიდევ 1935 წელს მან შეაჯამა ქართველ მთამსვლელთა 10-წლიანი მიღწევები და გამოსცა წიგნი “მთამსვლელობა საქართველოში”. ამავე სათაურით 1954 წელს დავით ფურცელაძესა და ოთარ გიგინეიშვილთან ერთად მოზრდილი კრებული მოამზადა, რომელიც დღემდე სამაგიდო წიგნია ქართული მთამსვლელობით დაინტერესებული მკითხველისათვის. მთამსვლელობასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს გამოსცა წიგნები : “მყინვარწვერზე

ასვლა შემოდგომით 1927 წლის 9 ნოემბერს" (1928 წ.), "ექიმის მუშაობა ტურიზმისა და ალპინიზმის დარგში" (1933 წ.), "უშბას მწვერვალისაკენ" (1934 წ.) და სხვა მრავალი, რომლებიც მთამსვლელობას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა და ახალგაზრდობაში დიდ ინტერესს აჩენდა.

სოსო ასლანიშვილი თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი გახლდათ. ამ სიყვარულით იყო გაჯერებული მისი საქმიანობის ყველა სფერო - მედიცინა, მთამსვლელობა, მწერლობა, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორობა, მსახიობობა თუ ქართული სუფრის თამადობა, რაშიც ტოლს არავის უდებდა. ქართველი კაცის მახასიათებელი კეთილშობილებიდან გამომდინარე, იგი ძალზე ადვილად ურთიერთობდა მკაცრი ბუნების მთიელებთან, ამაში მისი ჰუმანური სპეციალობა – ექიმობაც ეხმარებოდა.

1925 წელს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს მკურნალთა მესამე სამეცნიერო კონგრესის დადგენილების შესაბამისად, სვანეთში გაიგზავნა ესპედიცია ჩიყვისა და ჩიყვიანობის შესწავლის მიზნით. ექსპედიციაში თავისი მასწავლებლის, პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანის წინადადებით, მონაწილეობდა ახალგაზრდა ექიმი სოსო ასლანიშვილი, რომელმაც შესანიშნავად გაიცნო არა მარტო სვანეთის ბუნება და მარადთოვლიანი მწვერვალები, არამედ გამოიკვლია ქვემო და ზემო სვანეთში ჩიყვის გავრცელების არეალი, შეკრიბა საკმაოდ დიდი მასალა, რომლის საფუძველზეც გააშუქა ჩიყვის აღმოცენების მიზეზები, რაც იმ დროს უზარმაზარი მნიშვნელობის საქმე იყო. დაადგინა და დაადასტურა, რომ სვანეთში ჩიყვის გავრცელებას უშუალო კავშირი აქვს წყლებთან. ნაკლებად არის გავრცელებული იმ მიდამოებში, სადაც სვამენ ენგურისა და კლდოვანი წყაროების წყალს, ხოლო თითქმის არაა იმ ადგილებში, სადაც მინერალური წყლებია. სწორედ ამ საქმიანობიდან გამომდინარე მოიპოვა მან სვანეთის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა. დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ ბეჩოს თემში სოფელ უშხვანარში იგი შეიფარა მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახმა, რომელიც შემდგომ, ათწლეულების მანძილზე ქართველ მთამსვლელთა უცვლელ საყრდენსა და თავშესაფარს წარმოადგენდა უშბის რაიონში მრავალი ურთულესი ასვლის დროს.

განსაკუთრებულია სოსო ასლანიშვილის ღვაწლი 1934 წელს ქართველ მთამსვლელთა უშბაზე პირველი ასვლის მოწყობა-მომზადების საქმეში.

1934 წელს მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა ე.წ. "უშბის ექსპედიციის კომიტეტი", რომელსაც ევალებოდა ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება და ექსპედიციის შემადგენლობის შერჩევა. რასაკვირველია, სოსო ასლანიშვილმა, როგორც სჩვეოდა, ყველა საკითხი შესანიშნავად მოაგვარა და გუნდის შემადგენლობაც შეარჩია: ალიოშა ჯაფარიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), სანდრო გვალია (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, მიქელ პატარიძე, ლევან მარუაშვილი და გიო ნიგურიანი.

ქართველთა პირველი ექსპედიცია უშბაზე წარმატებით დასრულდა და მთელი სვანეთი დიდი ამბით შეხვდა გამარჯვებულებს, ამაში კი უდიდესი იყო სოსო ასლანიშვილის წვლილი, რომელმაც ეს ისტორიული ასვლა საყოველთაო სახალხო ზეიმად გადააქცია და ამის შესახებ

პატარა წიგნიც დასტამბა სათაურით "უშბას მწვერვალისაკენ". საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ ფაქტში ის გახლავთ, რომ იგი აიწყო და დაიბეჭდა მესტიაში ზემო სვანეთის რაიკომის, რაიაღმასკომის და რაისაბჭოს გაზეთ "ახალი სვანეთის" რედაქციის სტამბაში, რომლის გამგე და წიგნის ტექრედაქტორი იყო შალვა კაპანაძე, ბეჭდვის ხელმძღვანელი - საშა ჩიხლაძე, ასოთამწყობნი - ქრისტინე ნაკანი, ელენე ხერგიანი და ნინო ჯაფარიძე, მემანქანე - ნესტორ მუშკუდიანი. წიგნი სულ 500 ეგზემპლარად დაიბეჭდა. სოსო ასლანიშვილი ამ წიგნის გამოცემის შესახებ აღნიშნავდა, რომ ეს იყო პირველი წიგნი ზემო სვანეთში.

1934 წელს უშბაზე ქართველ მთამსვლელთა პირველ ასვლას სვანეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი კიდევ რამდენიმე მოვლენა დაემთხვა. ამის შესახებ წერს სწორედ მითითებულ წიგნში სოსო ასლანიშვილი:

"აღსანიშნავია აუცილებლად ზემო სვანეთის ცხოვრებაში 1934 წლის ზაფხულ-შემოდგომის მიჯნა, როდესაც მის სინამდვილეში სამ დიდ მოვლენას ჰქონდა ადგილი, სახელდობრ:

1) 26 აგვისტოს გამოვიდა განახლებით გაზეთი "ახალი სვანეთი", მაგრამ მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, რომ ეს გაზეთი დაიბეჭდა თვით მესტიაში, თვით გაზეთ "ახალი სვანეთი"-ს სტამბაში

2) 31 აგვისტოს უშბას მწვერვალზე ავიდა საქ. პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების მთასვლური ექსპედიცია

3) 2 სექტემბერს ზემო სვანეთის მშრომელ მოსახლეობამ ჩაიბარა თავისი თვითმფრინავი "ზემო სვანეთი"-ს სახელწოდებით"...

გარდა მთამსვლელობისა, სოსო ასლანიშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მედიცინაში, კერძოდ – ენდოკრინოლოგიაში, როგორც ამ დარგის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა; ხელოვნებასა და მწერლობაში, როგორც წიგნების ავტორმა და ჟურნალების - "თეატრი და მუსიკა", "ხელოვნება", "შევარდენი", "თანამედროვე მედიცინა" - რედაქტორმა.

სოსო ასლანიშვილი მეგობრობდა იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებთან, პოეტებთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილ მოღვაწეებთან, განსაკუთრებული ურთიერთობა კი ცისფერყანწელებთან ჰქონდა. გადაღებულია ერთ-ერთ ადრინდელ ფილმში. იყო ქართული სუფრის გამორჩეული თამადა, მაგრამ მისი გატაცება მაინც შოთა რუსთაველი და მისი "ვეფხისტყაოსანი" იყო. მას ჰქონდა "ვეფხისტყაოსნის" გამოცემების უნიკალური კოლექცია და თავის სიცოცხლეში 81 გამოცემას მოუყარა თავი, რომელთაგან 41 საქართველოში იყო გამოცემული. მის კოლექციაში იყო 1812 წლის ვახტანგისეული გამოცემა, 1883 წელს ქუთაისში, 1891 წელს ოზურგეთში, 1896 წელს ახალსენაკში, 1899 წელს ბათუმში გამოცემული ეგზემპლარები. აგრეთვე ბერლინში გამოცემული 7 სმ X 4,5 სმ ფორმატის პატარა "ვეფხისტყაოსანი", რომლის სულ 500 ეგზემპლარი დაიბეჭდა, 1899 წელს არტურ ლაისტის მიერ დრეზდენში და 1955 წელს ჰუგო ჰუპერტის მიერ ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნები, მარჯორი უორდროპისეული 1912 წელს ლონდონში და 1938 წელს მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამოცემული "ვეფხისტყაოსანი" და ა.შ.

ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა ბავშვობისდროინდელი მოგონება, რომელიც სოსო ასლანიშვილის "ვეფხისტყაოსნის" კოლექციონერობასთანაა დაკავშირებული.

საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაცია ჩინეთს ესტუმრა და საქართველოდან ამ ჯგუფში პოეტი ხუტა ბერულავა ჩართეს. ამ პერიოდში ჩინელმა ლი ტი ემ ჩინურ ენაზე თარგმნა "ვეფხისტყაოსანი", რომლის ყდას ირაკლი თოიძის ნახატი ამშვენებდა. სოსო

ასლანიშვილმა სთხოვა ხუტა ბერულავას, ჩინური თარგმანის მისი კოლექციისათვის საქართველოში ჩამოტანა, მაგრამ იმ დროს უცხოეთიდან რაიმეს შემოტანა (თუნდაც წიგნის) საგანგებო ნებართვის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

როგორც მახსოვს, ხუტა ბერულავას რომ საქართველოში "ვეფხისტყაოსნის" ჩინური თარგმანის ერთი ეგზემპლარი ჩამოეტანა, ცეკას სპეციალური ნებართვა დასჭირდა. ამის შესახებ იმდენი საუბარი და მითქმა-მოთქმა იყო, რომ მაშინ პატარა ბიჭს სამუდამოდ დამამახსოვრდა. ხუტა ბერულავამ, რა თქმა უნდა ჩამოუტანა სოსო ასლანიშვილს "ვეფხისტყაოსანი" და ამ პერიპეტიების სამახსოვროდ წაუწერა: "ასლანიშვილების ოჯახს – ხუტა ბერულავა".

1948 წ. ალპინიადა მყინვარწვერზე სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით მიძღვნილი ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავისადმი. ალპინიადის მონაწილე ვეტერანი მთამსვლელები: ერეკლე ლუკაშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, სოსო ასლანიშვილი, მარო ტყავაძე, ივანე კუკავაძე, მარო ბეჟანიშვილი

მრავალ სხვა საქმეშიც გამორჩეული იყო სოსო ასლანიშვილის მოღვაწეობა, მაგრამ სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა თავისი ქვეყნისა და ხალხის უანგარო სამსახური. 1955 წელს, 64 წლისა, იგი ავტოავარიაში დაიღუპა. სოსო ასლანიშვილის ტრაგიკული სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ქართველი მთამსვლელებისათვის, რადგან იგი ბურჯად ედგა ქართულ მთამსვლელობას - ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს და კეთილი სიტყვით, ცოდნით, გამოცდილებითა და საქმიანობით სამაგალითო იყო ახალგაზრდებისათვის.

* * * * *

ქართული ალპინიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანია აკადემიკოს **ნიკო კეცხოველის** ღვაწლი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე იყო. ამ პერიოდში საქართველოს ალპური კლუბი წარმოადგენდა ერთადერთ ორგანიზაციას კავკასიაში, რომელიც მთამსვლურ საქმიანობას მასშტაბურად და წარმატებით ახორციელებდა. ქართულმა მთამსვლელობამ რომ დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, ამაში, რა თქმა უნდა, განუზომელია ნიკო კეცხოველის დამსახურება.

,,კვალი ნათელი" - ასე ვუწოდე ბ-ნი ნიკოსადმი მიძღვნილ ამ მოგონებას, რომელშიც მისი მთამსვლური საქმიანობის რამდენიმე ეპიზოდია მოხმობილი.

ქართული მთამსვლელობის ისტორიაში მრავალი სახელოვანი მამულიშვილი მოღვაწეობდა, მაგრამ იშვიათია იმ რეგალიების მქონე პიროვნება, რომლებითაც ბ-ნი ნიკო კეცხოველი იყო "აღჭურვილი".



1923 წლიდან მოყოლებული, ნიკო კეცხოველმა ცხოვრების დიდი და სახელოვანი გზა გაიარა. იყო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამ დროს ბოლშევიკებმა თბილისის უნივერსიტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადააკეთეს და ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააძევეს. საბედნიეროდ, რამდენიმე წელიწადში პირვანდელი ფუნქცია აღუდგინეს და ივანე ჯავახიშვილიც დააბრუნეს უნივერსიტეტში) დეკანი, თსუ-ისა და სხვადასხვა ინსტიტუტების ბოტანიკის კათედრის გამგე, თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თსუ-ის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის 3-3 ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

ძნელია დაიჯერო, რომ ეს ყველაფერი ერთ კაცს ეკუთვნის, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნიკო კეცხოველი ქართველი ხალხის მეხსიერებაში მაინც თსუ-ის ლეგენდარულ რექტორად დარჩა. ბ-მა ნიკომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ 8 წელი (1945 - 1953 წ.წ.) იღვაწა, მაგრამ ეს წლები ახალი ეპოქა იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ხოლო თუ რა როლი შეასრულა უნივერსიტეტმა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის განვითარებაში, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ზნეობისა და სულიერების გადარჩენის საქმეში, ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი...

ნიკო კეცხოველი, ჯერ კიდევ სტუდენტი, მაგრამ უკვე უნივერსიტეტის თანამშრომელი, 1924 წელს, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობს განუყრელ მეგობრებთან, გეოლოგებთან - სიმონ ჯაფარიძესა და დევი მიქელაძესთან ერთად, სადაც არ ივიწყებს თავის სპეციალობას და მცენარეთა მდიდარი ჰერბარიუმი (რის საფუძველზეც შეიქმნა შემდგომ თსუ-ის ბოტანიკის კათედრის ჰერბარიუმი) ჩამოაქვს, მისმა მეგობრებმა კი პალეონტოლოგიური და მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ნიმუშების უმდიდრეს კოლექციას მოუყარეს თავი. ეს მოგზაურობა ერთგვარი მოსამზადებელი ვარჯიში იყო მომდევნო წელს იალბუზზე პირველი ქართული ლაშქრობისათვის, რომლის შემადგენლობაშიც თავის თანამგზავრებთან ერთად თვითონაც მოხვდა. იალბუზზე პირველი ასვლისა და თავისი ალპინისტური ნათლობის შესახებ დაწვრილებით გვიამბოვს ბ-ნი ნიკო თავის წიგნში "თოვლიან მთებში", რომელშიც მთამსვლელ მეგობართა პორტრეტებთან ერთად, სახიერად აღწერს საქართველოს მთიანეთის საოცარ ბუნებას...

ვინაიდან ბ-ნი ნიკოს ლიტერატურულ მოღვაწეობას შევეხეთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იგი ერთადერთი ბუნებისმეტყველია საქართველოში, რომელმაც მთამსვლურ-მოგზაურული ჟანრის მხატვრული ნაწარმოებებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა ლიტერატურის დარგში. დიდია ბ-ნი ნიკოს ღვაწლი ქართული ენის გამდიდრების საქმეშიც. მან უამრავი საბუნებისმეტყველო ტერმინი ამოკრიფა სხვადასხვა კუთხის დიალექტებიდან, ძველი წერილობითი ძეგლებიდან და ქართულ ლიტერატურულ, წერილობით თუ სამეტყველო მიმოქცევაში შემოიტანა. თუნდაც ის რად ღირს მთამსვლელებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის), რომ მან დაამკვიდრა ქართულში სიტყვა "მეკლდეური", აგრეთვე "გზაგასაყარი", "მთამაღალი" და ა.შ. განსაკუთრებულია ნიკო კეცხოველის ღვაწლი და დამსახურება ქართული სპორტის აღორძინების საქმეში. 1947 წელს, სწორედ იგი იყო უნივერსიტეტში სპორტული კლუბის ჩამოყალიბების მოთავე და მოამაგე, რომლის თავმჯდომარეობაც, რექტორობის მიუხედავად, თავადვე იკისრა. ამ პერიოდში მიეცა დასაბამი უნივერსიტეტის ალპინისტურ ლაშქრობებსა და ალპინიადებს, რომლებიც შემდგომ ტრადიციად გადაიქცა. ბ-ნი ნიკო ამ საშვილიშვილო საქმის სათავეებთან იდგა და წლების განმავლობაში მასაც დაატყო თავისი მადლიანი ხელი.

ნიკო კეცხოველის ღვაწლის აღიარებაზე, მთამსვლელობაში მის დიდ ავტორიტეტზე ისიც მიუთითებდა, რომ ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის უშბაზე დაღუპვის შემდეგ, 1948 წლიდან 1963 წლამდე, ბ-ნ ნიკო ხელმძღვანელობდა საქართველოს ალპურ კლუბს, რომელსაც 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიენიჭა და მთამსვლელთა ფედერაციის შექმნამდე მის ფუნქციასაც ითავსებდა.

მარინე უთმელიძე, ოთარ კაპანაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, დენიზა გოზალიშვილი, ნიკო კეცხოველი, ნოე ჯაფარიძე, მარო ტყავაძე ვერის ბაღში, ალპური კლუბის წინ

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ბ-ნი ნიკოს ხელშეწყობით მოეწყო ისეთი ღირსშესანიშნავი ასვლები, როგორებიც იყო შხელდა-უშბის სარეკორდო ტრავერსი, ქართველ მთამსვლელთა პირველი სასიმაღლო ასვლები პამირსა და ტიან-შანში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის - კომუნიზმის პიკის დალაშქვრა ახალი გზით, დარვაზის ქედის, ოქტომბრისა და ძერჟინსკის სახელობის მწვერვალების ტრავერსები, ასვლები მოსკოვის, კარლ მარქსის, პრავდის სახელობის მწვერვალებზე.

პამირ-ტიან-შანში ჩვენი მთამსვლელების პირველი წარმატებული ასვლების შემდეგ ნიკო კეცხოველს გაუჩნდა იდეა, კავკასიონის გარდა, სხვა მთათა სისტემების მაღალ

მწვერვალებსაც შერქმეოდა ქართული სახელები. ჩვენმა სახელოვანმა მთამსვლელებმა ფრთები შეასხეს ბატონი ნიკოს იდეას და პამირში გაჩნდა მწვერვალები: "ვაჟა ფშაველა", "გიორგი ნიკოლაძე", "თეთნულდის მსხვერპლნი", "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" და სხვ.

ნიკო კეცხოველის ყოველი საჯარო გამოსვლა, რომელიც საქართველოს, მის ბუნებას, წიაღსეულსა თუ მის დაცვასა და გონივრულ მოხმარებას შეეხებოდა, მუდამ გამორჩეოდა ერისკაცისათვის დამახასიათებელი სიბრძნით, ღრმა ანალიზით, სანდო და უტყუარი დასაბუთებით, ლოგიკური და ანალიტიკური მსჯელობით. ბ-ნი ნიკოს რამდენ მოხსენებასა და საჯარო გამოსვლასაც კი დავსწრებივარ, არ მახსოვს შემთხვევა, რომელიმე ოპონენტი ბ-ნ ნიკოსთან პაექრობაში გამარჯვებული დარჩენილიყო. იგი მართლაც ილია ჭავჭავაძის მოდგმის კაცი იყო, რომელსაც "ერის წყლული აჩნდა წყლულად". ასევე დაუვიწყარია ჩემთვის და სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში 1957 წლის 1 სექტემბერს წარმოთქმული მისი სიტყვა, როცა 12 წლის შემდეგ, უშბაზე, გულის მყინვარის მიდამოებში იპოვეს ბიძაჩემის - ალიოშა ჯაფარიძის ნეშტი და თბილისში ჩამოასვენეს.

ბატონმა ნიკომ, როგორც ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, მთავრობაში დასვა საკითხი, ალიოშა ჯაფარიძის ვერის ბაღში, მისივე სახელობის ალპური კლუბის გვერდით დაკრძალვის შესახებ და მთავრობამ წინააღმდეგობის გარეშე დააკმაყოფილა ნიკო კეცხოველისა და მთამსვლელთა საზოგადოების სურვილი.

ნიკო კეცხოველს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს მთა-ბარი. კარგად იცნობდა ყოველ კუთხეს, ყოველ ძეგლს. ბუნების დიდი ქომაგი შესანიშნავი მხარეთმცოდნე იყო. პირადი მაგალითითა თუ თავისი შესანიშნავი წიგნებით ქართველ ახალგაზრდებს ასწავლიდა ბუნების მშვენიერების შეცნობას და აყვარებდა სამშობლოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბ-მა ნიკომ თავისი განუყრელი ფოტოაპარატით გადაღებული საქართველოს მთიანეთის უნიკალური კადრები და დიდებულ მთამსვლელთა დაუვიწყარი პორტრეტები დაგვიტოვა, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა დაამშვენა კიდეც ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში ჩვენს მიერ აღდგენილი და განახლებული მთამსვლელთა მუზეუმი.

ნიკო კეცხოველისდარ ადამიანებს დიდებულ ძეგლებს უდგამენ. მის სახსოვრად კი მხოლოდ ერთი პატარა მემორიალური დაფა დგას მთაში, აწუნთის უღელტეხილზე - მის საყვარელ გადასახედზე, რომელზეც ხალხური ლექსის ერთი სტროფია ამოკვეთილი:

"კარგ ყმასა სწუნობს სოფელი,
იტყვიან - კარგი რად არი?!
როცა კი გაუჭირდებათ,
ყველა კითხულობს - სად არი?.."

მართლაც და, როგორ გვჭირდება ნიკო კეცხოველი და მისი მსგავსი მოღვაწეები დღესაც – 21-ე საუკუნეში!

* * * * *

მთამსვლელობის ისტორიაში განსაკუთრებულია **ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის** ღვაწლი და დამსახურება. მასზე მრავალი წიგნი, ლექსი, მოთხრობა, ფილმი, სტატია თუ ნარკვევია შექმნილი. მეც არაერთი ნარკვევი თუ წერილი მიმიძღვნია ღვიძლი ბიძისათვის, მაგრამ ქართული მთამსვლელობის წინაშე მისი დამსახურების წარმოსაჩენად უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე თქვენთვის შემომეთავაზებინა მისი თანამედროვეების, მასთან ერთად თოკში ჩაბმული მეგობრების მოგონება-შეფასებები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბ-ნ კოტე ჯავრიშვილის შეხედულება და ანალიზი ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რასაც თავის დროზე მიუძღვნა მცირე მოცულობის წიგნი "მთის რაინდი". გთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული წიგნიდან:

“საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე ეკუთვნოდა ქართველი მთამსვლელების მეორე თაობას, იმ თაობას, რომლის წარმომადგენლებმა, როგორც თვით ალ. ჯაფარიძე წერდა, “თავისი ალპინისტური მოღვაწეობა დაიწყეს მაშინ, როცა ალპინისტური მოძრაობა საქართველოში ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული იყო”.

ამ მოძრაობას საფუძვლად დაედო სამშობლოს დიდი სიყვარული და იმ მნიშვნელობის შეგნება, რომელიც მთამსვლელობას აქვს არა მარტო როგორც სპორტის სახეობას, არამედ როგორც კულტურის ერთ-ერთ ფაქტორს და მეცნიერული კვლევა-ძიების დამხმარე დარგს, საფუძვლად დაედო ის შინაარსი და იდეები, რომლებიც დღემდე რჩებიან ალპინიზმის მამოძრავებელ ძალად.



1930-დან 1945 წლამდე მთამსვლელობის განვითარება საქართველოში და თითქმის ყველა გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. მან თექვსმეტი წელი იმოღვაწა და ამ ხნის განმავლობაში კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე შეასრულა ასზე მეტი უძნელესი და რეკორდული ასვლა, რითაც საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სახელი მოიხვეჭა.

ალიოშა ჯაფარიძე იყო ინჟინერი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, მაგრამ მისმა პიროვნებამ ალპინიზმში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, პოვა ყველაზე ნათელი გამოსახულება.

მთამსვლელობა მხოლოდ სპორტი როდია. იგი ამავე დროს ადამიანის მეცნიერულ, კულტურულ და სამხედრო საქმიანობასთანაც არის დაკავშირებული.

მაღალმთიანეთის შესწავლა და მის საწარმოო ძალთა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოყენება საფუძვლად უდევს ალიოშა ჯაფარიძის მთელ მუშაობას. იგი, როგორც ინჟინერი, მუშაობდა საქართველოს მთის მდინარეთა ენერგეტიკული რესურსების გამოკვლევასა და ჰიდროელექტროსადგურთა დაპროექტებაზე.

ალიოშა ჯაფარიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთამსვლელობასთან არის დაკავშირებული. იგი იყო არა მარტო ალპინისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი და საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი ფუძემდებელი, არამედ ორგანიზატორი ისეთი ღონისძიებებისა, რომელთაც საერთო კულტურული, ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებული ხვამლისა და ორხვის გამოქვაბულების, აგრეთვე კაცხის სვეტის გამოკვლევა და მრავალი სხვა, რომელთა ჩატარება მაღალი ალპინისტური ტექნიკის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია, ხოლო თავიანთი მიზნითა და მნიშვნელობით ისინი სცილდებიან ტექნიკურად ძნელად გადასაჭრელი საკითხების ფარგლებს და საქართველოს ისტორიულ და არქეოლოგიურ გამოკვლევაში შეაქვთ წვლილი.

როგორც ლიტერატორი, იგი მთლიანად მთამსვლელობასთან არის დაკავშირებული. მას ამეტყველებდა მთა. კავკასიონისა და პამირის დიადმა ბუნებამ, ალპინიზმის სიყვარულმა დააწერინა “უშბა”, “თეთნულდი”, “პამირის მთებში” და სხვ.

ალიოშა ჯაფარიძეს კარგად ესმოდა მორალური ფაქტორის მნიშვნელობა მთებთან ბრძოლაში და თვითონაც მორალური სიმტკიცისა და ნებისყოფის საუკეთესო მაგალითი იყო.

1934 წელს უშბაზე ასვლის გამო იგი წერდა: "რაც შეეხება ასეთ მწვერვალზე ასვლისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს, უნდა ითქვას, რომ იგი არ იყო ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ჩვენ გვქონდა ერთი იარაღი, რომელიც ჩვენი მოწყობილობის ნაკლოვანებათა კომპენსაციას წარმოადგენდა. ეს იყო მთელი ჩვენი კოლექტივის სულიერი სიმტკიცე და ენთუზიაზმი. ეს იარაღი ხომ უმთავრესია ყოველ ბრძოლაში, ყოველ საქმეში".

მის მიერ დალაშქრულ მწვერვალთა შორის ვხვდებით უსახელო მწვერვალებს, რომლებსაც მან დაანათლა სახელები. ასეთია რუსთავის, სიმონ ჯაფარიძისა და გამარჯვების მწვერვალები ხდის ხეობაში, კოტე მარჯანიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და ეგნატე ნინოშვილი ცენტრალური კავკასიონის მთავარ ქედზე, უსახელო მწვერვალი წურუნგალსა და ფიტნარგინს შორის, რომელზეც ალიოშა 1938 წელს ავიდა და მისი დაღუპვის შემდეგ მთავრობის დადგენილებით ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიეკუთვნა.



ალიოშა ჯაფარიძე, დავით დონდუა, სიმონ ჯაფარიძე

ცნობილ მწვერვალზე ასვლის დროსაც კი გაურბოდა იგი გათელილ მარშრუტებს; ცდილობდა ახალი გზით მისდგომოდა მწვერვალს და ახალი გზით ასულიყო მასზე.

ალიოშა ჯაფარიძემ ახალი გზები დაადგინა 15 მწვერვალზე: მყინვარწვერზე, თეფლიზე, ჯიმარაზე, კიდეგანის მაღალზე, სახარის მაღალზე, შტავლერზე და სხვ.

მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მწვერვალი პირველი კატეგორიისა იყო, თუ სრულიად არ იყო კლასიფიცირებული. ყოველი მწვერვალი მისთვის იყო სამზერი, ახალი კუთხე, საიდანაც გაჰყურებდა მთებს, მრავალფეროვან ბუნებას და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წერტილიდან დაენახა, შეესწავლა და შეეთვისებინა იგი.

1934 წელს პირველი ასვლა სამხრეთ უშბაზე საეტაპო თარიღია საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში, რომლითაც დაიწყო საბჭოთა მთამსვლელობის ბრწყინვალე მიღწევათა უწყვეტი რიგი.

დასახული ამოცანის განხორციელების პირველი მარცხი ალიოშა ჯაფარიძეს არასოდეს უცრუებს გულს ამოცანის საბოლოო განხორციელებისათვის ბრძოლაში.

1935 წლის მაისში ალიოშა ჯაფარიძე სამჯერ უშედეგოდ ცდილობს შტავლერზე ასვლას და მხოლოდ მეოთხე ცდა მწვერვალზე ახალი გზით ასვლისა სრული გამარჯვებით მთავრდება.

1937 წელს, ტეპლი-თაუდან (4250 მ) გამობრუნებული, კვლავ უბრუნდება მას 1938 წლის ივლისში და წარმატებით ადის ახალი გზით.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ გიორგი ნიკოლაძის შემდეგ ისეთი მონდომებით არავინ მოჰკიდებია ასვლების დროს ფოტოგადაღებას, როგორითაც ალიოშა ჯაფარიძე; ყველა მისი ასვლა დოკუმენტირებულია მრავალრიცხოვანი ფოტოსურათით, მარტო წურუნგალა-შხარას ტრავერსის დროს მან გადაიღო ექვსასზე მეტი კადრი. "ფედის" აპარატი ალიოშა ჯაფარიძის მუდმივი თანამგზავრი იყო და მის მიერ გადაღებული რამდენიმე ათასი კადრი ძვირფას მემკვიდრეობას წარმოადგენს; უკანასკნელ წელს მან კინოაპარატიც შეიძინა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა მისი გამოყენება მაღალმთიანეთის პირობებში.

1930 წ. თეთნულდის ექსპედიცია. ალექსანდრა ჯაფარიძე, ადსილ ავალიანი, გოჯი ზურებიანი, ალიოშა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, რომანოზ ავალიანი, გოჯი ჩეგიანი, ვასასი კალანდარიშვილი

ფართოა ალიოშა ჯაფარიძის მთამსვლური მოღვაწეობის გეოგრაფიული არე. მას ჩატარებული ჰქონდა ასვლები და კარგად იცნობდა მაღალმთიან რაიონებს: ზემო და ქვემო სვანეთს, აფხაზეთის სვანეთს (დალს), ქლუხორს, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთს, ყაბარდოსა და ზემო რაჭას, ხევსა და ხევსურეთს, აჭარის და გურიის მთიან ნაწილებს, დასავლეთ და აღმოსავლეთ პამირს.

ალიოშა ჯაფარიძის ოსტატობის შესწავლისას ჩვენ, პირველ ყოვლისა, გვაინტერესებს ის წყარო, რომლიდანაც მომდინარეობდა მისი ოსტატობა. უეჭველია, რომ იგი შეგნებულად, თანმიმდევრულად მიჰყვებოდა ალპინიზმის იმ ხაზს, რომელიც ქართველ გამყოლ-მეგზურებიდან გადაეცა პირველი თაობის ქართველ მთამსვლელებს და მემკვიდრეობით გადმოვიდა მეორე თაობაზეც.

1930 წელს მისი პირველი თანამგზავრები იყვნენ: იაგორ კაზალიკაშვილი, ალმაცქირ კვიციანი, იოსებ კიბოლანი და ადსილ ავალიანი, 1931-33 წლებში - ნიკო ქირიკაშვილი, გოჯი ზურებიანი და გიო ნიგურიანი. იაგორ კაზალიკაშვილი მისი მუდმივი თანამგზავრი იყო.

ქართველ მთიელთა შორის სვანები და მოხევეები გამოირჩევიან მთებში სვლის ოსტატობით. ყაზბეგელი მთამსვლელები თოვლში სიარულის ოსტატები არიან, ზემო სვანებს კარგად ეხერხებათ როგორც კლდეზე, ისე თოვლსა და ყინულში სვლა, თუშები კლდეზე და განსაკუთრებით მეტეხ კლდეებზე სვლის მესაიდუმლენი არიან. სწორედ მთამსვლური ტექნიკის ეს ხალხური საწყისი იყო ალიოშა ჯაფარიძის მთამსვლური ოსტატობის ძირითადი წყარო. იგი ხშირად აღტაცებით იხსენებდა იაგორ კაზალიკაშვილის მთებისადმი სიყვარულსა და გზის არჩევის უებრო ალღოს. ალიოშა ჯაფარიძემ სწორედ მათგან შეითვისა და ისწავლა საუკუნეების მანძილზე გამოცდილებით შემოწმებული ათასგვარი, ხშირად შეუმჩნეველი და აღუნუსხავი ხერხი მთასვლისა, უებრო ალღო მთიელისა და მონადირისა, მთების ცოდნა და სიყვარული.

1938 წ. სოსო ასლანიშვილი და ალიოშა ჯაფარიძე მწვ. ჯიმარაზე

ალიოშა ჯაფარიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა დამოუკიდებელი მოძრაობის ჩვევების გამომუშავებას, აგრეთვე ასვლის ყველა მონაწილის დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობასა და გამოცდილებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მოძრაობის დროს თვითონ იშვიათად მიდიოდა წინ - ამ როლს სხვას ანდობდა. ეს იყო ერთგვარი პედაგოგიური ხერხი. იგი მხოლოდ ზოგად გეზს აძლევდა და თუ მეწინავე სწორად და პირობებთან შეფარდებით

გამართლებულად წარმართავდა სვლიგეზს, წვრილმანი შესწორებებითა და შენიშვნებით არ აბეზრებდა თავს.

თვით ალიოშა ჯაფარიძე გაბედული და რისკიანი მთამსვლელი იყო. მთაში ხშირად ზღვარი უაზრო თავგანწირვასა და გააზრებულ რისკს შორის იმდენად მცირეა, რომ მისი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია.

იგი სწორედ ამ ზღვარის გამოძებნის დიდი ოსტატი იყო.

მთამსვლელის მოქმედებას ხშირად თან სდევს შეცდომები. მათ, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ალიოშა ჯაფარიძის პრაქტიკაშიც, მას არასდროს მიუჩქმალავს ისინი. მისი აზრით, ერთი მთამსვლელის შეცდომა მაგალითი უნდა გახდეს სხვათათვის, რომლებმაც მათი საფუძვლიანი ანალიზითა და შესწავლით უნდა აიცდინონ მსგავსი შეცდომა თავიანთ პრაქტიკაში.

ანალიზს უკეთებს რა ასვლის დროს ფეხის თითების წაყინვის მიზეზებს, ალიოშა ჯაფარიძე წერს: "ჩემმა გაკვეთილმა არ უნდა ჩაიაროს ფუჭად ამხანაგებისათვის. სახიფათო გზით ასვლის და ჩამოსვლის სიძნელეებთან დაკავშირებული საკითხებით გატაცებულმა მე ვერ შევნიშნე მოყინვის ის ნიშნები, რომლისთვისაც უნდა მიმექცია ყურადღება. მე მომატყუა ჩემმა თვითდაიმედებამ და, აი, ორი შეცდომა გახდა მიზეზი მოყინვისა, რომელიც ბევრად აუფასურებს ჩვენს მიღწევას..."

ალიოშა ჯაფარიძე დაუდეგარი ენერგიის პატრონი იყო. ერთი წლის განმავლობაში მის მიერ ჩატარებულ ასვლათა რიცხვი სარეკორდოა. ასე მაგალითად, 1938 წელს იგი ავიდა 17 მწვერვალზე, 1940 წელს - 22-ზე და ა.შ. საშუალოდ კი 6-7 მწვერვალზე ადიოდა წელიწადში.

თექვსმეტი წლის განმავლობაში ალიოშა ჯაფარიძე დაუზარებლად ემსახურა მთამსვლელობის დანერგვისა და განვითარების საქმეს, გამოამჟღავნა მისი ზოგადკულტურული ჟღერადობა და საერთაშორისო კლასის სარეკორდო ასვლებით სახელი გაუთქვა ქართველ მთამსვლელებსა და ქართულ ალპინიზმს.

ალიოშა ჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მთამსვლური სპორტის განვითარებაში.

მის მიერ დანერგილი სიყვარული ალპინიზმისადმი კიდევ ბევრს შეაყვარებს მთებთან შერკინებას, გააბედვინებს და შეაძლებინებს მათ დაძლევას".

აი, ასე აფასებს კოტე ჯავრიშვილი ალიოშა ჯაფარიძის მოღვაწეობას მთამსვლელობაში.

* * * * *

ქართული მთამსვლელობის ისტორიას ისეთი პიროვნებებიც ახსოვს, რომელთა მიღწევები სპორტული თვალსაზრისით, შესაძლოა, არ იყო შთამბეჭდავი, მაგრამ მათი მოღვაწეობა მთამსვლელობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და სპორტის ამ სახეობას დიდ ავტორიტეტს უხვეჭდა.

სწორედ ამგვარი პიროვნება გახლდათ ცნობილი პოეტი და მთარგმნელი **მიქელ პატარიძე**, რომელიც მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ერთგულად და უანგაროდ ემსახურა ქართული მთამსვლელობის წინსვლისა და განვითარების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ თუკი რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა მის ირგვლივ ქართულ საზოგადოებაში, იგი ყოველთვის წამომწყებთა შორის იყო და მთლიანად იზიარებდა ინიციატორთა სიძნელეებს – კეთილი საქმის თაოსნობა მისი უმთავრესი თვისება იყო.

მიქელ პატარიძე მუდამ მათ შორის იყო, ვინც ქმნიდა ახალს, იყო ეს ლიტერატურული ცხოვრება თუ სპორტული წამოწყება; იგი ერთ-ერთი მთავარი იყო მათ შორის, ვინც პირველად ეზიარა ევროპულ მოდერნისტულ მიმდინარეობას, ვინც პირველად მიიტანა იერიში კავკასიონის მწვერვალებზე.

განათლებული და გულისხმიერი ადამიანი, ნატიფი ინტელიგენტი და ღირსებით აღსავსე მოქალაქე, შნოსა და ლაზათს მატებდა ყოველგვარ საქმიანობასა და წამოწყებას. ის უხდებოდა 20-იანი წლების თბილისს, როცა მეოცნებე ახალგაზრდები ფრანგულ პოეზიას ეტანებოდნენ, მხარს უმშვენებდა შემდგომ წლებში ახალ წამოწყებათა მესვეურებს და წერაყინით ხელში მიაბიჯებდა კავკასიონის მწვერვალებისკენ მიმავალ ბილიკებზე; ის უყვარდათ და პატივს სცემდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, როცა მომხიბლავი, შთაგონებული სახით და ხავერდოვანი ხმით კითხულობდა თავის თარგმანებს თუ საკუთარ ლექსებს. ლამაზი და ტანადი ქართველი ოფიცერი ადრეულ წლებშიც გამოირჩეოდა პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში.

პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, მიქელ პატარიძე ჩაირიცხა სამხედრო სასწავლებელში, მაგრამ რევოლუციის გამო ვეღარ დაამთავრა და დაბრუნდა საქართველოში, სადაც წლების განმავლობაში მისი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული. თავად შესანიშნავი ტანმოვარჯიშე და ათლეტი, მთელი არსებით ჩაება ახალ სპორტულ წამოწყებაში, რომელიც ეროვნული საქმიანობის რანგში იყო აყვანილი. სპორტული საზოგადოება "შევარდენი" ის საწვრთნელი სკოლა იყო, რომელსაც ჰქონდა კულტურული მისია და მიზნად ისახავდა ეროვნული ღირსების, თვითშეგნების, ქართველი კაცის სულიერი და ფიზიკური სრულყოფის, ადამიანებს შორის ეთიკური დამოკიდებულების დახვეწის იდეას. მიქელ პატარიძე ამ სკოლის ერთგვარი იდეოლოგიც იყო და მის ჩამოყალიბებასა და შემდგომ მუშაობაში ერთგულად ედგა მხარში გიორგი ნიკოლაძეს, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

სპორტულ საზოგადოება "შევარდენში" მათი ერთობლივი მოღვაწეობა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტით აღინიშნა – ეს იყო ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნა. მიქელ პატარიძემ გაიზიარა გიორგი ნიკოლაძის ეს იდეა და თავად შეასრულა დიდი როლი ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში.

მიქელ პატარიძეს და მის თაობას სამარცხვინოდ მიაჩნდათ ის გარემოება, რომ ევროპელ მთამსვლელთა ჰეგემონია ბატონობდა კავკასიონზე, ქართველი სპორტსმენებისათვის კი ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო კავკასიონის მწვერვალები. მთამსვლელობა, გარდა დიდი ფიზიკური და სულიერი წვრთნისა, დაუღალავ ორგანიზატორულ საქმიანობასაც მოითხოვდა და ამ მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის თაოსნობა გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მიქელ პატარიძემაც იტვირთა, რადგან ახლისა და პროგრესულის მიღება, ახალი საქმით აღტაცება მისი ბუნების უმთავრესი თვისება იყო.

მიქელ პატარიძე, როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, ხალისიანი პიროვნება იყო და მუდმივად მონაწილეობდა კავკასიონის მწვერვალებზე განხორციელებულ ასვლებში. იგი წევრი იყო 1934 წლის უშბის პირველი ექსპედიციისა, რომელიც ქართველ მთამსვლელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. მართალია, მიქელ პატარიძე მწვერვალზე არ ასულა, მაგრამ ექსპედიციის მომზადებასა და ასვლის წარმატებით განხორციელებაში მისი წვლილი მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ალიოშა ჯაფარიძე მიქელ პატარიძეს "მთამსვლელობის მეჭირისუფლესა და ენთუზიასტს" უწოდებდა და ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც ზუსტად და მჭევრმეტყველურად გამოხატავენ მიქელ პატარიძის საქმიანობის ხასიათს, მის ბუნებას, მის ღვაწლს მთამსვლელობაში.

მიქელ პატარიძის გატაცება მთამსვლელობით შესანიშნავად აისახა მის ნარკვევებსა და საგაზეთო წერილებში, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა, რაც მის ძირითად პროფესიად შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ არ ჰქონოდა ამ ყოველმხრივ საინტერესო ადამიანს პოეტისა და მთარგმნელის სახელი.

მიქელ პატარიძემ თავის ძირითად პოეტურ საქმიანობად თარგმანის რთული, მგრამ კეთილშობილური მისია დაისახა. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ მისი თარგმანების მეშვეობით დამკვიდრდა და ქართული პოეზიის საკუთრებად იქცა შესანიშნავი ფრანგი პოეტის, პარნასელთა სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ხოსე მარია დე ჰერედიას "ტროფეები", რონსარის, ჰიუგოს, ბოდლერის, ვერლენის, როლანის, პოლ ვალერის ცალკეული ლექსები. განსაკუთრებით საყურადღებოა არტურ რემბოს "მთვრალი ხომალდისა" და ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების თარგმანები.

1932 წ. შოთა მიქელაძის მძებნელთა ექსპედიციის წევრები: სანდრო გვალია, ალიოშა ჯაფარიძე, მიქელ პატარიძე.

მიქელ პატარიძე ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების არა მარტო მთარგმნელი, არამედ მისი მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი იყო 17 წლის განმავლობაში და თუკი ეს მუზეუმი ბაღდათში დღესაც განაგრძობს არსებობას, ეს, უპირველეს ყოვლისა, მიქელ პატარიძის დამსახურებაა.

სამწუხაროდ, 1959 წელს ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მიქელ პატარიძე 65 წლის ასაკში განერიდა ამ წუთისოფელს და მრავალი კეთილი საქმე დარჩა განუხორციელებელი.

ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის დროს ბაღდათში არაერთხელ შევხვედრივარ იმ ხალხს, რომელსაც კარგად ახსოვდა მიქელ პატარიძის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში. განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით იხსენებდა მას მიქელ პატარიძის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორი ნიკოლოზ კუჭუხიძე, რომელმაც მრავალი რამ მიამბო მიქელ პატარიძის მოღვაწეობის შესახებ და ფენომენალური მეხსიერების წყალობით გადაარჩინა მიქელ პატარიძის რამდენიმე ექსპრომტი, რომლებიც ჩავიწერე და შემდგომ სათაურით "მიქელ პატარიძის ლექსად ნათქვამი წერილები" გამოვაქვეყნე გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2003 წლის 26 მაისის №136-ში. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, როგორი იუმორისა და ნიჭის პატრონი გახლდათ მიქელ პატარიძე, რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ ზემოთ აღნიშნული პუბლიკაციიდან.

ბ-ნი მიქელი ბაღდათის ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორად 1943 წელს დანიშნეს. ომია. მკაცრი ზამთარი. მუზეუმს არ აქვს შეშა, რისთვისაც მან რაიონის ხელმძღვანელობას მიმართა. ხელმძღვანელობამ შეშით უზრუნველყოფა მუზეუმის მახლობლად არსებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეს – სერგო გოგსაძეს დაავალა. მიქელ პატარიძემ რამდენჯერმე მიაკითხა სერგოს შეშის თაობაზე, მაგრამ შეშის მოტანა დაგვიანდა. ბოლოს მიქელმა ლექსად მისწერა სერგოს:

"ძმაო სერგო, წილად მერგო შენთან ხშირი სიარული,
მინდა გულში ჩაგინერგო მუზეუმის სიყვარული.
არ მაქვს შეშა, გამაშეშა დილის ყინვამ, დილის სიომ,
მუზეუმი უმზეური დაემსგავსა კავკასიონს".

გალექსილი წერილის მიუხედავად, შეშის მოტანა მაინც დაგვიანდა. მიქელმა განმეორებით მისწერა:

"ძმაო სერგო, არ შეგერგოს ჩემი ხოტბა, ჩემი ლექსი,
სიცივისგან გაყინული, ხან ვტირი და ხან კი ვკვნესი.

ეს ლექსები კოლმეურნეობის კანტორაში წაუკითხავს რაიკომის მდივანს პეტრე ნანიტაშვილს, რომელსაც ბევრი უცინია და სერგოსთვის უთქვამს – მარტო ამ ლექსებისთვის ღირს შეშის გაგზავნაო. მართლაც, ორი ურემი შეშა მიუვიდა მუზეუმს და ის ზამთარი, როგორც იქნა, გაიტანა.

ომის დამთავრების შემდეგ, მუზეუმში დაიწყო აღმშენებლობითი და სარემონტო სამუშაოები. სამშენებლო მასალებს მუზეუმი სხვადასხვა ორგანიზაციიდან იღებდა, ძირითადად კი – ადგილობრივი მრეწველობიდან. ყველა მასალა მოვიდა, მაგრამ დაგვიანდა კირის მიღება. მიქელ პატარიძე რამდენჯერმე იყო საკირეში, დირექციაში, მაგრამ კირი მაინც არ ჩანდა. ბოლოს ადგილობრივი მრეწველობის დირექტორს წერილი გაუგზავნა:

"ცხრა თვე უნდა, დედაკაცმა, რომ შვას შვილი გასაკვირი,
თორმეტი თვე რად არ ეყო რომ საკირემ დასწვას კირი?!"

შედეგმაც არ დააყოვნა – სასწრაფოდ მოვიდა კირი.

მუზეუმში ტარდებოდა საექსპოზიციო სამუშაოები. სურათებისა და სხვადასხვა ხასიათის ილუსტრაციებისათვის საჭირო იყო ჩარჩოები, რომლებიც თელის მასალისაგან უნდა გაკეთებულიყო. თელას, საერთოდ. კარგი ჯავარი აქვს, მაგრამ ძალზე დეფიციტურია და მიქელმა ვერსად იშოვა. უთხრეს, რომ თელის ფიცარს სოფელ ხანში უაღრესად გავლენიანი პიროვნება ვანო ტაბეშაძე გიშოვისო. გარკვეული ნაცნობობა მიქელს ჰქონდა ვანო ტაბეშაძესთან. ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფო სესხზე ხელმოწერები მიმდინარეობდა და მისი ორგანიზებულად ჩატარებისათვის, სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებულები იყვნენ რაიონული აქტივის წევრები. სოფელ ხანზე მიმაგრებულები იყვნენ კულტურის განყოფილების გამგე მამია მინაძე და სატყეო მეურნეობის დირექტორი გიგლა ჩიქოვანი. ისინი ხანში მიემგზავრებოდნენ და მიქელმა მათ ვანო ტაბეშაძესთან "წერილი" გაატანა:

"ხანისწყლის პირას შემოგხვდი, ქართველ ვაჟკაცად გიცანი,
კალმახით გამიმასპინძლდი, შემპირდი თელის ფიცარი,
დღეს კი ხანისკენ მოდიან ჩიქოვანი და მინაძე,
იმ მოსკოველ ძმას გაფიცებ, რა დროს რიდია, სინაზე,
მაგ შენი თელის ფიცარი ჩამომიტანე ბინაზე,
ფიცარს მორიც მოაყოლე, ამ ჩემი მტერის ჯინაზე".

მართლაც, მიქელს მორიც მოუვიდა და ფიცრებიც, დამუშავდა და მოხმარდა მუზეუმს.

ერთ ზაფხულს, ბაღდათში, ნიკოლოზ კუჭუხიძესთან ნათესავი ლამაზი ქალები ისვენებდნენ. მდინარეზე ბანაობისას ერთ-ერთმა, ლიამ, ქოში დაკარგა – მდინარემ მოსტაცა. ნაბანავები ბრუნდებიან შინისაკენ და მუზეუმთან მიქელი შემოხვდათ. კითხვაზე, რატომ ეჭირა ხელში ცალი ქოში, ლიამ შეწუხებულმა შესჩივლა: ბატონო მიქელ, ქოში დავკარგე, მდინარემ მომტაცაო. მიქელი არც დაფიქრებულა ისე "დაამშვიდა" დაზარალებული:

"თამარის ქოშებს ჩაგაცმევ, არ დაგაღონოს ტუფლებმა,
ოღონდ, რომ ჩულქი ჩაგაცვა, მომეცი ამის უფლება",

ქალებმა მიქელთან ერთად ბევრი იცინეს და სრულებით დაავიწყდათ ქოშის დაკარგვით გამოწვეული წუხილი.

ერთხელ, მიქელ პატარიძეს მეგობარი – გიგლა ჩიქოვანი ეწვია და ნიკოლოზ კუჭუხიძეს სთხოვა სუფრის გაშლაზე მიხმარებოდა. ბ-ნი ნიკოლოზი იგონებდა: "გავაწყეთ სუფრა. დავსხედით. ერთი პეტერბურგში აღზრდილი არისტოკრატი იყო (მიქელი პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში იყო, მაგრამ რევოლუციის გამო ვეღარ დაამთავრა და საქართველოში დაბრუნდა – ი. ჯ.), მეორე – თბილისში აღზრდილი ინტელიგენტი. მათი საუბრის მოსმენას არაფერი სჯობდა. შემდეგ ჩემი ბედით დაინტერესდნენ. სკოლა დავამთავრე და ახალი აღებული მაქვს სიმწიფის ატესტატი. დაინტერესდნენ ჩემი ატესტატით. ორივემ ნახა, ფრიადები მქონდა, მხოლოდ ორ მეორეხარისხოვან საგანში მეწერა ოთხი. იმ წელს შემოიღეს მედლები და თუ ყველა საგანში ფრიადი გქონდა, ოქროს მედალს მიიღებდი. მიქელმა მისაყვედურა – შეგეძლო ოქროს მედლის აღება და ეს არ უნდა მოგსვლოდა და სკოლასაც არ უნდა გაეკეთებინაო, თან ლექსად მიაყოლა:

"ნიკოლოზ, რად ვერ მიიღე მედალი? განა ურალში ცოტაა მეტალი?
მიტომ ვერ მიიღე მედალი, რომ შენ ხარ დედალი".

გიგილომ ბევრი იცინა და მე განვაცხადე, რომ ინსტიტუტს დავამთავრებ წითელ დიპლომზე-მეთქი. არავითარ შემთხვევაში არ ვიზრუნებდი წითელი დიპლომის აღებისათვის, რომ ის სიტყვები არ ეთქვა ჩემთვის მიქელ პატარიძეს იუმორში გატარებული დიდაქტიკით. მართლაც ავიღე პირველი ხარისხის დიპლომი და ვაჩვენე მიქელს, მან კი დაურეკა გიგილო ჩიქოვანს:

"ნიკოლოზს მიუღია მედალი, აღარ არის დედალი.
აქ ჩამოდი სასწრაფოდ, დაკლულია დედალი,
შენი ძმა და მეგობარი მიქაელი მხნედ არის,
საცა არის გაფრინდება ცაში ჩემი მხედარი".

მოვიდა გიგლა ჩიქოვანი, შეიჭამა დედალი და ჩემი დიპლომის აღება ქართული პურ-მარილით აღინიშნა.

17 წელი ვმუშაობდი მიქელ პატარიძესთან და ეს 17 წელი ჩემთვის მეორე უმაღლეს სასწავლებელს უდრიდა. იგი უნიჭიერესი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი იყო. ნაადრევად გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მიქელ პატარიძემ დაწერა შესანიშნავი ლექსი "თურმე რამდენი ხანი მეძინა", რომელიც ასე მთავრდება:

"ვიცი, კვლავ მოდის ძილი უძირო,
ვერ გამაღვიძებს ფრინველთ გალობა,
დღეს მიტომ მინდა ვიყო უძილო,
მადლობა იმას, ვინც მიწყალობა
ეს მზე, ეს მიწა, ფიქრი უძირო,

რომ ჩემ ლექსებით ანაკვესებით
მშობლიურ მიწას მუდამ ვუმზირო”.

აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნებით ვეცადე, მოკრძალებული პატივი მიმეგო ღირსეული მამულიშვილის ნათელი ხსოვნისათვის.

მიქელ პატარიძის მსგავს მამულიშვილებს უნდა იცნობდეს ქართველი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რადგან სწორედ ასეთი ხალხია ჩვენი ეროვნული თვითშეგნების საყრდენი და ორიენტირი.

* * * * *

ქართველ მეცნიერ გეოგრაფთა დიდ კოჰორტაში იშვიათად ყოფილა ესოდენ ღრმად განსწავლული, ერუდირებული, მჭევრმეტყველი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე გეოგრაფი, როგორიც იყო **ლევან მარუაშვილი**. გეოგრაფიული მეცნიერების იმ დარგების ჩამოთვლაც კი გაგვიჭირდება, რომლებშიც უდიდეს წარმატებას მიაღწია დაუღალავმა მეცნიერმა – ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, პალეოგეოგრაფია, გეოგრაფიის ისტორია, მღვიმეთმცოდნეობა და სხვ. მეცნიერების ყველა ამ დარგში მას შეეძლო ღრმა მეცნიერული თეორიებისა და დებულებების ჩამოყალიბება; ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ყველაფერი მას შეეძლო პოპულარულად მიეტანა მკითხველამდე; ამიტომ არის, რომ ლევან მარუაშვილს ბადალი არ ჰყავს გეოგრაფიულ ჟურნალისტიკაში.

17 წლის იყო ლევან მარუაშვილი, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასვლაში მწვერვალ ბრუტსაბძელზე 1929 წელს გიტო გიორგიძესთან, ალექსანდრა ჯაფარიძესთან, ვასასი კალანდარიშვილთან, დარეჯან ნიკოლაიშვილთან და ლევან კვეზერელ-კოპაძესთან ერთად. ერთი წლის შემდეგ მონაწილეობდა მწვერვალ თეთნულდსა და ბანგურიანზე ასვლაში, თუმცა თეთნულდზე ბოლომდე ასვლა ვერ შეძლო. 1931 წელს ორჯერ ავიდა მყინვარწვერსა და ყუროზე, 1932 წელს კი მიიწვიეს პამირის ექსპედიციაში და ამის შემდეგ 10 წლის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა მთამსვლელობაში.

მთამსვლელობისა და მოგზაურობის გარდა, ლევან მარუაშვილი გატაცებული იყო მწერლობით. ადრეულ ასაკში წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს. აკი ჩაუწერია კიდეც თავის უბის წიგნაკში: “ჩემი მთავარი ბედნიერება იმაში იყო, რომ მე მივაგენი ჩემს სარბიელს და ყოველთვის ვემსახურებოდი ჩემთვის საყვარელ საქმეს – კვლევას და წერას, წერას და კვლევას”. ლევან მარუაშვილის ამ სიტყვების დასტურად, საინტერესოა ალექსანდრა ჯაფარიძის ერთი ჩანაწერი თავის დღიურში, როცა სვანეთში მიმავალთ გზაში კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო და დაღლილ-დაქანცულნი გადახურულში შეფარებულან. ლევანს მაშინვე ქაღალდი და ფანქარი მოუმარჯვებია და წერა დაუწყია: “ლევანი სულ წერს და წერს. ბედნიერი კაცია, რომ ამდენი წერის უნარი აქვს”.

როგორც აღინიშნა, ლევან მარუაშვილის დამოუკიდებელი სამოგზაურო საქმიანობა 1929 წლიდან იწყება. მან თავის ტექნიკუმის მეგობრებთან – დავით ფურცელაძესა და შალვა კახეთელაძესთან ერთად, 5 დღეში ფეხით გაიარა თრიალეთის ქედი თბილისიდან ბორჯომამდე. ამ დროისათვის ლევანი უკვე ჩაბმული იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების მუშაობაში, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. იგი ხშირად ესწრებოდა კრებებს, მონაწილეობდა ექსკურსიებში, ამიტომ თრიალეთის ქედის გავლის შემდეგ მას ამ მოგზაურობის შესახებ

მოხსენება შესთავაზეს. ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა და მეტისმეტად ღელავდა, ბოდიშიც მოიხადა - მოგზაურობა სამეცნიერო თვალსაზრისით არ იყო მნიშვნელოვანიო, მაგრამ სიტყვით გამოსულმა მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების წევრებმა გიორგი ნიკოლაძემ და სიმონ ჯაფარიძემ აღნიშნეს, რომ ყველა მოგზაურობას მეცნიერული მიზანი ვერ ექნებოდა. ქართველი ახალგაზრდების მიერ თრიალეთის ქედის გავლა მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალეს და მოხსენებაც დადებითად შეუფასეს.

იმავე წელს, შიდა ქართლში მდებარე მწვერვალ ბრუტსაბძელზე (რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "იალბუზს" ეძახის) მოეწყო ექსპედიცია. ამის შესახებ ლევან მარუაშვილმა გაზეთიდან შეიტყო და სასწრაფოდ გადაწყვიტა შეერთებოდა გიტო გიორგიძის ჯგუფს. ექსპედიციაში ლევანის მიღება ბუნებრივად მოხდა, რადგან იგი გეოგრაფიული საზოგადოების აქტივისტად ითვლებოდა.

ბრუტსაბძელზე მთამსვლელებს დახვდათ არყის ხის ძელებით აშენებული ნაგებობის ძველთაძველი ნაშთი. ბრუტსაბძელის ორივე წვერზე იდგა 2 მ. სიმაღლის ქვით ნაგები კოშკურა, რომელიც მთამსვლელთა ვარაუდით მე-19 საუკუნის ბოლოს, ტოპოგრაფიული აგეგმვის დროს უნდა აშენებულიყო.

გიტო გიორგიძის მოსაზრებით, ბრუტსაბძელის თხემზე შემორჩენილი ნაშთი – არყის ხის ძელებით აგებული "ქოხი" - განდეგილი ბერის სავანე უნდა ყოფილიყო, რომელიც ადრინდელ საშუალო საუკუნეებში ქრისტიანობის პროპაგანდისათვის გამოიყენებოდა. სამწუხაროდ, იმ დროს ჯერ არ არსებობდა აბსოლუტური ასაკის დადგენის რადიონახშირბადული მეთოდი, ბრუტსაბძელის ძეგლის მერქნის ასაკი რომ განსაზღვრულიყო.

ლევან მარუაშვილს ყმაწვილობიდანვე იზიდავდა სვანეთი – მაღალი მთების, მყინვარებისა და უდრეკი ხალხის ზღაპრული მხარე. იგი ესტუმრა სვანეთს და იქ ოთხი თვე დაყო. იმუშავა კალა-იფარის შემაერთებელი გზის შეკეთებასა და ტვიბერის მყინვარის ბოლოსთან, ზ.დ. 2100 მ სიმაღლეზე ტურისტთა თავშესაფრის მშენებლობაზე. სწორედ აქ ყოფნის პერიოდში თარგმნა და ახალი მასალებით შეავსო მან რუსი მოგზაურისა და მთამსვლელის ვიქტორ სემიონოვსკის წიგნი "სამთო ტურიზმი". თარგმანი 1932 წელს გამოვიდა და ეს იყო ლევან მარუაშვილის პირველი ნაბეჭდი წიგნი.

დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას, ლევანი მესტიაში, ტურბაზაში ჩადიოდა, რომლის გამგე სანდრო გვალია იყო. აქ უმეტესად რუსი და უცხოელი მთამსვლელები ჭარბობდნენ, იშვიათად ქართველები, რომელთა შორის იყვნენ ლევან გოთუა, გრიგოლ მუხაძე და სხვები.

სვანეთში ყოფნის პერიოდში ლევან მარუაშვილი ახლოს გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ხასიათს, რის შესახებაც ხშირად აქვეყნებდა მასალებს იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

მნიშვნელოვანია ქართველ მთამსვლელთა როლი პამირის მთიანეთის შესწავლა-ათვისების საქმეში; მასში მონაწილეობდნენ: ლევან მარუაშვილი (1932 წ.), დავით წერეთელი (1933-34-36 წ.), ალიოშა ჯაფარიძე (1936 წ.), რომლებიც ინსტრუქტორებად იყვნენ მიწვეულნი. ეს ის პერიოდი იყო, როცა დღის წესრიგში საქართველოს ალპური კლუბის გახსნის საკითხი იდგა და ქართველი მთამსვლელები ყოველ წუთში ელოდნენ მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებას. ტარდებოდა პრეზიდიუმის სხდომები, რომლებსაც, ბუნებრივია, ალიოშას თანამებრძოლებიც ესწრებოდნენ. ისინი ყველა სიახლეს წერილობით ატყობინებდნენ ალიოშას ფერგანის საავადმყოფოში, სადაც იწვა მოყინული ფეხის თითების ამპუტაციის გამო და მისგანაც ხშირად იღებდნენ საპასუხო წერილებს. ერთ-ერთ წერილში მეგობრები წერენ:

"საყვარელო ძმაო ალიოშა, ალპინისტების შეკრების შემდეგ ისევ და ისევ ჩვეულებრივ, ალექსანდრას წინადადებით შენთან ვართ სახლში. ვსვამთ შენ სადღეგრძელოს, ვიგონებთ გარდაცვალებულ ჩვენს ალპინისტებს, ვბაასობთ ჩვენთვის საყვარელი საკითხების ირგვლივ და კარგადაც ვქეიფობთ, ლორი, ლობიო, ტყემალი, მწვანილი და ნაფარეული. თამადა სოსო ასლანიშვილი. აქ არიან კაკო მარი, ლევან მარუაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, ნუნუ ბენდუქიძე".

ასეთი მიწერ-მოწერა, რომლის ავტორი ხშირად ლევან მარუაშვილი იყო, მეგობრებზე კეთილ გავლენას ახდენდა, ალიოშასათვის კი დიდი შეღავათი იყო.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებს რომ თვალი გადავავლოთ, მთამსვლელობაზე გამოქვეყნებული წერილების უმრავლესობა ლევან მარუაშვილს ეკუთვნის. თავისი ნამდვილი გვარ-სახელის გარდა, მასალას ის ფსევდონიმებითაც აქვეყნებდა: ალადინი, სიგმა, ელმარი, ომეგა, ლ. მარ-ი.

1934 წ. უშბის მწვერვალისაკენ. სანდრო გვალია, გიო ნიგურიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, ლევან მარუაშვილი, ალიოშა ჯაფარიძე

1931 წლიდან ლევან მარუაშვილი თავის მეწყვილე-მეგობარ, მხატვარ შალვა მაყაშვილთან ერთად, სეზონურად ექსკურსიამძღოლად მუშაობდა ყაზბეგის ტურბაზაში. მაშინ ექსკურსიამძღოლების თანამდებობას "გეოლოგი" ერქვა, რაც უფრო პრესტიჟულს ხდიდა მას. ყაზბეგში გატარებულმა ზაფხულმა ლიტერატურული ასახვა პოვა ლევან მარუაშვილის ბროშურაში „Казбек" (1932), რომელიც ხევის მოკლე გზამკვლევს წარმოადგენს. თავისი მთამსვლური მოღვაწეობისა და თავგადასავლების შესახებ მან საინტერესო მასალები გამოაქვეყნა წიგნებში "დასავლეთ პამირის მთებში" (1934), "ათი წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ" (1979), "მოგზაურობა ქვეყნიერების ბანზე" (1988).

1992 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ქართველმა ხალხმა გულმხურვალედ მიულოცა დაბადების 80 წლისთავი მხცოვან მთამსვლელსა და მეცნიერს. ერთი თვის შემდეგ, 5 დეკემბერს სამუდამოდ შეწყდა ბობოქარი სულისა და დაუდგრომელი მეცნიერის ლევან მარუაშვილის სიცოცხლე, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოს ბუნების კვლევას, მისი მშვენიერების აღწერას შეალია და 500-ზე მეტი ნაშრომით უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

ლევან მარუაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარდა 2002 წელს, მეც მომეცა საშუალება შემეფასებინა მისი ღვაწლი არა მარტო გეოგრაფიულ მეცნიერებაში, არამედ ქართულ მთამსვლელობაში, რომლის დიდი ენთუზიასტი და დაუღალავი პოპულარიზატორიც ბრძანდებოდა პროფესორი ლევან მარუაშვილი.

* * * * *

ქართული ალპინიზმის ისტორიაში **სანდრო გვალია** ერთადერთი კაცია, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში, მიუხედავად თავისი ინტელექტისა და ცოდნისა, მთამსვლელობის გარდა, სხვაგან არსად უღვაწია, რადგან მთამსვლელობა და სამთო-სათხილამურო სპორტი იყო მისი სტიქია. იგი მთამსვლელობის ყველა წვრილმანსა და ნიუანსში კარგად ერკვეოდა, რაც მის ავტორიტეტს ერთიათად ზრდიდა.

სანდრო გვალია სამთო სათხილამურო სპორტსა და მთამსვლელობაში სრულიად ახალგაზრდა, 19-20 წლის ასაკში ჩაება და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თხილამურების, მარადთოვლიანი მწვერვალებისა და ალპინისტური ბანაკების გარეშე არ უცხოვრია. ისიც აღსანიშნავია, რომ მყინვარწვერის კალთებზე მდებარე ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის პირველი მოზამთრეები დირექტორთან – დავით შარაშიძესთან ერთად სანდრო გვალია და იაგორ კაზალიკაშვილი იყვნენ. მეტეოსადგური მაშინ სამოთახიანი ფიცრული სახლი იყო (გამძვინვარებულ სტიქიას რომ არ მოეგლიჯა, დაწნული ფოლადის ბაგირებით იყო დამაგრებული) და მოზამთრეები მორიგეობით, 24 საათის განმავლობაში აკვირდებოდნენ მაღალმთიანეთში მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესებს.

სწორედ ამ პერიოდში, სანდრო გვალია თხილამურებით დაეშვა მწვერვალ ორწვერიდან, შემდეგ მყინვარწვერიდან, იალბუზიდან და თეთნულდიდან. სულ კავკასიონის 18 მწვერვალიდან დაეშვა იგი თხილამურებით, რაც დღესაც განსაკუთრებულ მოვლენად არის მიჩნეული.

სანდრო გვალიას თოკის მეწყვილე და მეგობარი, მთამსვლელი და გეოგრაფი, პროფესორი ლევან მარუაშვილი თავის წიგნში "მოგზაურობა "ქვეყნიერების ბანზე" სანდრო გვალიაზე წერდა:

"ალექსანდრე გვალია, თუ მის პიროვნებას მხოლოდ ალპინიზმის თვალსაზრისიდან შევაფასებთ, გახლდათ ამ დარგის №1 ენთუზიასტი (ყოველ შემთხვევაში საქართველოში). მას არ ჰქონია სხვა პროფესია ალპინიზმით გატაცების გარდა. მთელი ცხოვრება, თითქმის 20 წლის ასაკიდან მოხუცებამდე, მთამსვლელობაში გაატარა.

მან რამდენიმე ზამთარი მყინვარწვერის ახლადდაარსებულ მეტეოროლოგიურ სადგურში დაყო – ზღვის დონიდან 3700 მეტრის სიმაღლეზე. მისდევდა სათხილამურო სპორტს (მთებში)...

გვალია და მე ერთი თაობის მთამსვლელები ვიყავით: მე 1929 წელს შევისრულე პირველად მწვერვალზე ასვლის სურვილი, მან კი 1930 წელს. ბანგურიანზე, უშბის "არწივის ბუდეში" და იალბუზზე, მე და გვალია ერთად ავდიოდით 1930, 1934 და 1935 წლებში. ორი წლით უფროსი იყო ჩემზე. საჭიროდ მიმაჩნია ვაღიარო მისი თავდადებული შრომა, ამხანაგური მხარდაჭერა და მზრუნველობა, ერთგულება საერთო საქმისადმი, საერთო გამარჯვებით აღტყინება".

ლევან მარუაშვილის ამ შეფასებისას სანდრო გვალიას ხასიათის მრავალ შტრიხს შენიშნავს მახვილი თვალი. მთავარი ის გახლავთ, რომ მას მთამსვლელობისათვის არასოდეს უღალატია და ბოლომდე ამ საქმის ერთგული დარჩა.

სანდრო გვალია 30-იან წლებში გამორჩეული მთამსვლელი და სამთო მოთხილამურე იყო. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ 1934 წელს უშბაზე პირველი ქართული ექსპედიციის შემადგენლობაში ექსპედიციის ხელმძღვანელმა ალიოშა ჯაფარიძემ იგი თავის მოადგილედ დანიშნა და მოიერიშე ჯგუფშიც უნდა ჩართულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში,

ყველასათვის მოულოდნელად, უარი თქვა ასვლაზე, თუმცა ექსპედიციის მზადების სიმძიმემ მის ზურგზე გადაიარა.

1934 წ. უშბაზე პირველი ქართული ექსპედიციის მონაწილენი: იაგორ კაზალიკაშვილი, სანდრო გვალია, ალიოშა ჯაფარიძე, გიო ნიგურიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე

სანდრო გვალია არა მარტო ცალკეულ ასვლებს მოთავეობდა სხვადასხვა სირთულის მწვერვალებზე, არამედ მასობრივ ალპინიადებსაც ედგა სათავეში. სწორედ მის მიერ 1947 წელს მწვერვალ ბანგურიანზე მოწყობილ ალპინიადაში მიიღო მონაწილეობა პირველად მიხეილ ხერგიანმა და აქედან დაიწყო მისი ლეგენდარულ მთამსვლელად ჩამოყალიბება.

1948 წელს სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით იმ დროისათვის ფანტასტიკური ლაშქრობა შედგა მყინვარწვერზე, რომელიც ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავს მიეძღვნა. მან მწვერვალზე 502 კაცი აიყვანა, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და მთამსვლელობის ფუძემდებლები: ალექსანდრა ჯაფარიძე, მარო ტყავაძე, მარო ბეჟანიშვილი, სოსო ასლანიშვილი, ვანო კუკავაძე და ერეკლე ლუკაშვილი.

საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო სანდრო გვალიას მოღვაწეობა ე.წ. სამხედრო და გამოყენებით მთამსვლელობაში. 1935 წელს იგი ხელმძღვანელობს სამხედრო-ტოპოგრაფიული რაზმის ასვლას იალბუზზე, რომლის მწვერვალებზე იგი ათჯერაა ნამყოფი. ამავე რაზმთან ერთად პირველასვლა განახორციელა მწვერვალ კიშკაჯერზე. სპორტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1937 წელს, სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით, რამინ კვიციანთან და ცნობილ სამთო მოთხილამურესთან, შემდგომში შესანიშნავ ხუროთმოძღვარ ლადო მესხიშვილთან (ვინც პირველად გააკეთა მალაყი თხილამურებზე, დააპროექტა და ააშენა ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური და ჭადრაკის კლუბი) ერთად ცენტრალური კავკასიონის უსახელო მწვერვალზე ასვლა, რომელიც შოთა რუსთაველის საიუბილეო 750-ე წლისთავს მიეძღვნა, მწვერვალზე რუსთაველის ბიუსტი აიტანეს და პირველამსვლელთა უფლებით დიდი მგოსნის სახელი დაანათლეს.

1950 წლის შემდეგ სანდრო გვალიას მართალია მწვერვალებზე აღარ უვლია, მაგრამ მთამსვლელობას არ ჩამოსცილებია, პირიქით, მთელ თავის გამოცდილებას ალპინისტურ საქმიანობას და ახალგაზრდობის აღზრდას უთმობდა. იგი ძირითადად ალპინისტურ ბანაკებში მოღვაწეობდა და ბევრს შეასწავლა მთამსვლელობის ანა-ბანა.

მრავალი ქარტეხილის გადამტანი ბ-ნი სანდრო შესანიშნავი გარეგნობის, კარგი მოსაუბრე, არტისტული და ამასთანავე შეუპოვარი, ფიცხი ბუნების კაცი იყო. საინტერესო თავგადასავლებიც ჰქონდა და მთელი ცხოვრება, როგორც სწორად მიაჩნდა, ისე გაატარა:

„ისე ვიცხოვრე თავი არავისთვის მომიდრეკიაო – იტყოდა ხოლმე და იმასაც სინანულით დაამატებდა, შეცდომაც ბევრჯერ დავუშვიო".

სანდრო გვალია, როგორც მისი თოკის მეწყვილე, პროფესორი ლევან მარუაშვილი აღნიშნავდა, ხანდახან პირველობისა და მოწინავეობისთვისაც გამოიღებდა ხოლმე ხელს და მისი ეს დაუდგრომლობა ახალ-ახალ ინიციატივებში იკვეთებოდა. სწორედ ამის გამოძახილი იყო იმ დროისათვის მრავალთათვის დაუჯერებელი ამბავი – მყინვარწვერიდან თხილამურებით დაშვება. იგი საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი და პოპულარიზატორია. მთამსვლელობაში იყო სპორტის ოსტატი, უფროსი ინსტრუქტორი, ბოლო წლებში ალპინისტურ ბანაკ "აილამის" სასწავლო ნაწილის უფროსი, ალ. ჯაფარიძის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის წევრი და წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი.

* * * * *



ცნობილი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, გლაციოლოგი, მეოთხეული გეოლოგიის უთვალსაჩინოესი მკვლევარი და ერთ-ერთი პირველი ოსტატი მთამსვლელობაში **დავით წერეთელი** რაჭის უმშვენიერეს სოფელ ჯვარისაში დაიბადა.

სკოლის დამთავრებისთანავე სრულიად ახალგაზრდა ამბროლაურის რაიონის სკოლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1930 წელს კი თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება მეცნიერებასთან და მთამსვლელობასთან იყო დაკავშირებული, რაშიც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. მნიშვნელოვანი მის საქმიანობაში ის გახლდათ, რომ სტუდენტობიდანვე მონაწილეობდა ზემო სვანეთის მყინვარების შემსწავლელ ექსპედიციაში, ორი წლის შემდეგ კი დამოუკიდებლად დაიწყო გერგეტის მყინვარების კვლევა, რაშიც განსაკუთრებულად დაეხმარა მთამსვლური გამოცდილება, რომელიც მან ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციებში მიიღო - კატინთაუზე, გესტოლაზე, ადიშზე, ხოლო შემდეგ თავად უხელმძღვანელა ასვლას ნახარზე, მყინვარწვერზე, ბელალაყაიაზე, სპარტაკზე.

1933-34 წლებში დავით წერეთელი პამირის ექსპედიციებში მიიწვიეს, რისი საწინდარიც გახდა მისი მეცნიერული და მთამსვლური ცოდნა-გამოცდილება. აღნიშნულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები დიმიტრი შჩერბაკოვი და კონსტანტინე მარკოვი, რომელთაც მიზნად ჰქონდათ პამირის მთიანეთის გლაციოლოგიური, გეოლოგიური შესწავლა და სასარგებლო წიაღისეულის ძიება.

რაც შეეხება 1936 წლის პამირის ექსპედიციაში დავით წერეთლისა და ალიოშა ჯაფარიძის მთამსვლელობის ინსტრუქტორებად მიწვევას, აღნიშნულ ექსპედიციას, გარდა სპორტულისა, სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა. ამიტომ მთელი საბჭოთა კავშირიდან ყველა საუკეთესო მთამსვლელს მოუყარეს თავი და მათი ხელმძღვანელობით მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ 70-მა მონაწილემ სრული სამხედრო აღჭურვილობით ზ.დ. 6500 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დავით წერეთლისა და ალიოშა ჯაფარიძის თავგანწირვა, როცა ზვავმა თითქმის მთელი ბატალიონი დამარხა. მათ სტიქიას გამოსტაცეს

და ზვავიდან გაათავისუფლეს არაერთი განწირული ადამიანი, რისთვისაც ორივე ქართველი მთამსვლელი მთავრობამ "პამირის გმირის" საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

პამირიდან დაბრუნების შემდეგ დავით წერეთელმა კვლავ განაგრძო საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებაში, სადაც უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მეცნიერ მუშაკად დაიწყო მუშაობა, 1936-42 წლებში კი განყოფილების გამგედ დააწინაურეს. ომის დამთავრების შემდეგ, 1946-51 წლებშიც იგი ამავე განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ პერიოდში ქართული გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა შესთავაზა სამეცნიერო დარგში, რასაც დავით წერეთელი დათანხმდა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ამ თანამდებობაზე გახლდათ.

1932 წ. შოთა მიქელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასვლა მყინვარწვერზე. ნიკო ქირიკაშვილი, ანდრო ხეთაგური, დავით წერეთელი, იაგორ კაზალიკაშვილი, ასმათ ნიკოლაიშვილი, კაკო მარი, შალვა ჩოფიკაშვილი

უნდა ითქვას ისიც, რომ ბ-ნი დავითი ძირითად საქმიანობას – მეცნიერულ კვლევას - კარგად უთავსებდა თავის გატაცებას – მთამსვლელობას და შედეგებიც საკმაოდ წარმატებული ჰქონდა. მაგალითად, გეოგრაფიის ინსტიტუტში მისი ინიციატივით შეიქმნა გლაციოლოგიური ჯგუფი, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა კავკასიონის მყინვარები და მათი დინამიკა.

1943 წელს დავით წერეთელმა დასტამბა გამოკვლევა "მდინარეების რიონისა და ჯეჯორის აუზების თანამედროვე გამყინვარება და ძველი გამყინვარების ნიშნები". ეს იყო დავით წერეთლის პირველი საჯარო გამოსვლა გლაციოლოგიის საკითხებზე, რამაც მაშინვე ნათელი გახადა მისი დიდი კომპეტენტურობა ამ საქმეში; ეს კვლევები მის მიერ 1937-41 წლებში ალპინისტური ლაშქრობების დროს შეკრებილ მასალებს ეფუძნება. მყინვარების შესწავლის შედეგები განზოგადდა ნაშრომში "მთიანი ქვეყნების გამყინვარება და მათი

შედარება ვაკეების გამყინვარებასთან", რომელიც ჯერ საქართველოში გამოქვეყნდა, შემდეგ კი ინგლისურად დაიბეჭდა სტოკჰოლმის XIX საერთაშორისო გეოგრაფიული კონგრესის შრომებში.

1937 წ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ალპინიადა მყინვარწვერზე დავით წერეთლის (რიგში მეორე წერაყინით ხელში) ხელმძღვანელობით

ჯერ კიდევ 1935 წელს დავით წერეთელი ლევან მარუაშვილთან ერთად მონაწილეობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტოპო-გეოდეზიური რაზმის მუშაობაში, რომელმაც სატრიანგულაციო პუნქტი გამართა კავკასიონზე. ამისათვის მათ დიდი თეოდოლიტი აიტანეს იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე.

განსაკუთრებული იყო ქართველ მთამსვლელთა როლი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ამ დროს დავით წერეთლისა და ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით კავკასიონზე ურთულეს პირობებში განხორციელდა უძნელესი სამუშაო, რომელმაც ამიერკავკასიის ფრონტი უზრუნველყო ზუსტი კარტოგრაფიული მასალებით. ამავე დროს, დავით წერეთელი ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა და დიდი როლი შეასრულა პირველად საბჭოთა კავშირში სამხედრო გეოლოგიის ("სპეცგეო") სამსახურის ჩამოყალიბებაში. 1943-45 წლებში დავით წერეთელი გაიგზავნა ირანში გეოლოგიური დაკვირვებებისათვის და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის.

წლების მანძილზე დავით წერეთელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ლექციების კურსს კითხულობდა გლაციოლოგიაში, მეოთხეულ გეოლოგიასა და გამოყენებით გეომორფოლოგიაში, რომლის სწავლებასაც თვითონვე ჩაუყარა საფუძველი.

პამირის მთებში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ დავით წერეთელმა გამოსცა წიგნი "მოგზაურობა პამირში", ხოლო უფრო ადრე პამირის მთებში მოპოვებული მასალები დაედო საფუძვლად მის სადიპლომო ნაშრომს "ლენინის პიკის გეოლოგიისა და გეომორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი".

დავით წერეთელი ერთ-ერთი გამორჩეული მთამსვლელია საქართველოში, რომელმაც მთამსვლელობა და მეცნიერება ერთმანეთს განუყოფლად დაუკავშირა.

ბ-ნი დავითი უაღრესად კაცთმოყვარე, სპეტაკი, უანგარო ადამიანი იყო, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა საკუთარი ქვეყნის მთა-ბარი, მის კეთილდღეობას ემსახურა მთელი სიცოცხლე და ამ სიყვარულს უნერგავდა ახალგაზრდებს. მან ოთხი მეცნიერი შვილი აღუზარდა სამშობლოს და ამ მხრივაც ვალი მოიხადა ქვეყნის წინაშე.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ბ-ნ დავით წერეთლის სტუდენტი ვიყავი, საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან და მის შვილებთან, რომლებიც დღემდე ჩემი კოლეგები, მეგობრები არიან და ქართული მთამსვლელობის ბედით ისევე არიან დაინტერესებულნი, როგორც მათი სახელოვანი მამა - მთამსვლელობაში ერთ-ერთი პირველი სპორტის ოსტატი, პროფესორი დავით წერეთელი იყო.

* * * * *



ქართველ მთამსვლელთა და მოთხილამურეთა შორის საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა შესანიშნავი პიროვნება, მთამსვლელი და მოთხილამურე **გიორგი (გოგი) ბაქრაძე,** რომელმაც უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო და მეტალურგი გახდა. ქალაქ ფრაიბურგში დაეუფლა იგი სამთო-სათხილამურო სპორტს, სამშობლოში ერთ-ერთმა პირველმა ჩამოიტანა ნამდვილი თხილამურები და მეთოდურად, თანდათანობით ამკვიდრებდა საქართველოში სპორტის ამ ულამაზეს სახეობას.

გიორგი ბაქრაძის აქტიური მთამსვლური მოღვაწეობა 1933 წელს დაიწყო, როცა მისი ხელმძღვანელობით ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერსა და გუდაურის გადასასვლელზე სამთო თხილამურებით. ქართველ მთამსვლელთა ეს სათხილამურო ლაშქრობა იმის დამამტკიცებელი იყო, რომ სათხილამურო სპორტი ვითარდებოდა და მტკიცედ იკიდებდა ფეხს ჩვენი მთიანეთის პირობებში. ამავე წლის ზაფხულში სოსო ასლანიშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიცია ნაკლებად გამოკვლეულ აფხაზეთის კავკასიონზე გაემგზავრა. პირველასვლა შედგა მარუხსა და ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე, აგრეთვე მწვ. ერცახსა და აჭაფარა-პტიშზე. აღნიშნულ ექსპედიციაში გიორგი ბაქრაძე თავის მეგობრებთან - შალვა მაყაშვილთან და იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად იყო. ამ ლაშქრობის მნიშვნელობას ისიც ზრდიდა, რომ მასში პირველად მონაწილეობდა აფხაზეთის სვანეთის – დალის ხეობის 5 მკვიდრი: სევერიან გვიჭიანი, აბრამ, გეგი, აპოლონ და დავით თამლიანები.

როგორც აღინიშნა, ეს იყო პირველი ექსპედიცია საქართველოდან, რომელმაც გამოიკვლია და შეისწავლა კავკასიონის ქედის ყველაზე უფრო დასავლეთი ნაწილის – აფხაზეთის კავკასიონის მწვერვალები.

1934 წელს გიორგი ბაქრაძის ხელმძღვანელობით სათხილამურო ლაშქრობა მოეწყო ბახმაროზე. 1935 წელს კი საგანგებო შემთხვევა მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე – მთებში დაიკარგა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავი, რომელსაც ფოსტა მოჰქონდა ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, მინერალური წყლებიდან. თვითმფრინავი ერთი თვის განმავლობაში იყო დაკარგული და მთავრობის კომისიამ მთამსვლელთა რამდენიმე საძიებო ჯგუფი შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთის ხელმძღვანელად გიორგი ბაქრაძე დაინიშნა. ჯგუფს ძებნა ყაზბეგიდან ბურსაჭირის გადასასვლელამდე, ღუდუშაურის ხეობაზე ჩამოვლით უნდა ეწარმოებინა და გაევლო - შინისწვერი, გველის მთა, საგუნთანოს მთა, საგველოსგორი.

სამდღიანი ძებნის შემდეგ, ამ ჯგუფმა დაღუპულ თვითმფრინავს დაახლოებით 4000 მ სიმაღლეზე, კიბის მყინვარის მახლობლად მიაკვლია.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტი მთამსვლელობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ამანაც განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 1935 წელს, სწორედ მთამსვლელთა და მოთხილამურეთა საზოგადოებამ, რომლის საინიციატივო ჯგუფში გიორგი ბაქრაძეც შედიოდა, დასვა მთავრობის წინაშე საკითხი საქართველოში ალპური კლუბის გახსნის შესახებ.

მის დიდ ავტორიტეტზე ის ფაქტიც მიუთითებდა, რომ 1936 წელს, როცა ხევში დევდორაკის ალპინისტური ბანაკი გაიხსნა, დირექტორად გიორგი ბაქრაძე დანიშნეს. მის ხელში მრავალმა ახალგაზრდამ აითვისა მთამსვლელობისა და მთაში თხილამურებით სიარულის ტექნიკა.

კლუბის დაარსების შემდეგ გიორგი ბაქრაძე აქ მუდმივად თანამშრომლობდა როგორც მთამსვლელი, ინსტრუქტორი და სამთო-სათხილამურო სპორტის სპეციალისტი.

1937 წელს გიორგი ბაქრაძე მწვ. მაილზე ადის ლევან გოთუასთან ერთად.

1938 წელი სამთო-სათხილამურო ლაშქრობებით დაიწყო. მარტში კავკასიონის მთავარი ქედის თუშეთის მონაკვეთზე გაემგზავრა მთამსვლელ მოთხილამურეთა ჯგუფი გიორგი ბაქრაძის, დავით ფურცელაძისა და სხვათა მონაწილეობით, ხოლო მაისში, როცა მთაში ჯერ კიდევ ზამთარია, მოეწყო მწვ. ჯიმარაზე ასვლა უმძიმეს მეტეოროლოგიურ პირობებში და მწვერვალს მხოლოდ გიორგი ბაქრაძემ, სანდრო გვალიამ და ნიკოლოზ ჯაგინოვმა მიაღწიეს. ამავე წელს, სანდრო გვალიამ და გიორგი ბაქრაძემ უხელმძღვანელეს ზემო სვანეთის ალპინიადას ლაჰლაზე და მწვერვალზე 100 კაცი აიყვანეს. ალპინიადის ფარგლებში, გიორგი ბაქრაძის ხელმძღვანელობით სპორტული ასვლები მოეწყო ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე ბეზინგის მასივში, კატინ-თაუსა და გესტოლაზე. ამ ალპინიადის საერთო ხელმძღვანელი სანდრო გვალია იყო, უფროსი ინსტრუქტორი კი - გიორგი ბაქრაძე.

1939 წელს გიორგი ბაქრაძემ სპორტსაზოგადოება "სპარტაკის" ალპინიადა მოაწყო მწვ. ქაბარჯინაზე, ხოლო 1940 წელს უხელმძღვანელა დონღუზორუნსა და დიკლოს მთაზე ასვლას.

1941 წელს, ომის დაწყებისთანავე, გიორგი ბაქრაძე სამხედრო სამსახურშია და დანიშნეს შოვის ბაზაზე არსებულ სამხედრო-ალპინისტური და სათხილამურო სკოლის უფროსად, სადაც ახალგაზრდებს სამთო ბრძოლებისათვის ამზადებდნენ.

გიორგი ბაქრაძე – ბრწყინვალე ინჟინერ-მეტალურგი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საბრძმედე საამქროს პირველი უფროსი, მთელი ცხოვრების მანძილზე ამ სფეროში მუშაობდა და ევროპაში მიღებულ ცოდნას უშურველად ახმარდა საქრთველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. პენსიაში გასვლის შემდეგ გარდაცვალებამდე იგი საქართველოს სათხილამურო ფედერაციას ხელმძღვანელობდა და ხშირად იყო ბაკურიანში. დღეს რომ ბაკურიანი სათხილამურო სპორტის მექაა, ამაში ძალზე დიდია გიორგი ბაქრაძისა და მისი მეგობრების წვლილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გიორგი ბაქრაძის ოჯახი მთამსვლელთა და სამთო-მოთხილამურეთა შეკრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან "ბაზას" წარმოადგენდა, სადაც მათ მასპინძლობდა გიორგი ბაქრაძის მეუღლე, შესანიშნავი ოჯახიშვილი, ფრიად განათლებული, საუკეთესო შვილების აღმზრდელი, ქალბატონი ბაბეტა ერისთავი. მშობლებმა მთამსვლელობისა და სათხილამურო სპორტის სიყვარული შვილებს - ბესიკსა და ნუგზარსაც ჩაუნერგეს. ეს სიყვარული მთამსვლელობისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ ძმების წარმატება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლებით აღინიშნა.

ბაქრაძეების ოჯახი აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. იგი დღესაც მხარში უდგას, გულშემატკივრობს ქართველ მთამსვლელთა ახალ თაობას და ხარობს მათი წარმატებებით.

* * * * *

მთამსვლელობის მოჭირნახულე იყო ცნობილი იურისტი და მთამსვლელი, მოგზაური და მოთხილამურე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით ფურცელაძე**.

ქართველ მთამსვლელთა მეორე თაობა: ალიოშა ჯაფარიძე, სანდრო გვალია, შალვა მაყაშვილი, დავით წერეთელი, ლევან გოთუა, ლევან მარუაშვილი, გიორგი ბაქრაძე, მელენტი სანებლიძე, კაკო მარი, ნიკო ქირიკაშვილი, გიო ნიგურიანი, გოჯი ზურებიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, გაბრიელ, ბესარიონ, ბექნუ ხერგიანები და სხვები, ასპარეზზე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდნენ. მათ მხარს უმშვენებდნენ აგრეთვე ქართული ალპინიზმის ფუძემდებლები ალექსანდრა ჯაფარიძე და სოსო ასლანიშვილი. ამ შესანიშნავ მოღვაწეთა შორის, გამორჩეული ადგილი ეკავა დავით ფურცელაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ტურისტული და ალპინისტური საქმიანობის გაშლა-განვითარებაში. იგი არა მარტო ჩინებული ტურისტი და ალპინისტი, არამედ შესანიშნავი მეგობარი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო.

1936 წელს, საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს ალპური კლუბის დაარსების შესახებ, რაშიც მნიშვნელოვანი იყო საინიციატივო ჯგუფის წევრის დავით ფურცელაძის წვლილი.

დავით ფურცელაძემ მთამსვლელობაში 1933 წელს შემოდგა ფეხი, როცა იგი თავისი ძმის ჯანსუღ ფურცელაძის ხელმძღვანელობით, ალექსანდრა ჯაფარიძესა და ანა ხარაძესთან ერთად სვანეთის მწვერვალებზე ავიდა. იმავე წელს, ივნისის თვეში, ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, იაგორ კაზალიკაშვილთან და ვალენტინ გიგინეიშვილთან ერთად ავიდა მყინვარწვერზე, ხოლო აგვისტოში ალიოშა ჯაფარიძესთან და ჯანსუღ ფურცელაძესთან ერთად, უშბის აღმოსავლეთით მდებარე უსახელო მწვერვალს ლაშქრავს, რამდენიმე დღის შემდეგ კი იგივე ჯგუფი ადის მწვერვალ კულაკთაუზე დასავლეთის თხემით.



სოსო ასლანიშვილი, ალიოშა ჯაფარიძე, დავით ფურცელაძე. წინ: კოტე ჯავრიშვილი

დავით ფურცელაძე დიდ მუშაობას ეწევა საქართველოში ალპინისტური ორგანიზაციის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია მისი, როგორც იურისტის როლი საქართველოს ალპური კლუბის წესდების შემუშავებაში, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში გამართულმა მთამსვლელთა და მოთხილამურეთა ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა.

საქართველოში სამთო-სათხილამურო ლაშქრობების აღმავლობით დაიწყო 1938 წელი და ამ საქმიანობის ეპიცენტრში სხვებთან ერთად, ბუნებრივია, დავით ფურცელაძეც იმყოფებოდა. მარტის თვეში, დავით ფურცელაძემ, გიორგი ბაქრაძესთან ერთად, კავკასიონის ქედის თუშეთის მონაკვეთზე წაიყვანა მთამსვლელ-მოთხილამურეთა მოზრდილი ჯგუფი,

ხოლო მისი ხელმძღვანელობით მწვ. ქაბარჯინაზე ავიდა ჯგუფი გ. გიორგობიანის, ვ. ხუციშვილისა და ი. ბეზურთანოვის შემადგენლობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია დავით ფურცელაძის ღვაწლი და დამსახურება მეორე მსოფლიო ომის ბობოქარ წლებში. სამხედრო-ტექნიკური წვრთნის განხორციელებასა და საბრძოლო ოპერაციების მომზადება-ჩატარებაში კაპიტანი დავით ფურცელაძე უშუალოდ ეხმარებოდა სარდლობას, რისთვისაც მან უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობები და ჯილდოები დაიმსახურა.



ქართველი მთამსვლელები მეორე მსოფლიო ომის დროს. ალიოშა ჯაფარიძე, დავით ფურცელაძე, ილია შონია, ვიქტორ მოლოვიჩკო, ალექსანდრე ნემსიწვერიძე

ომის დამთავრების შემდეგ, დავით ფურცელაძეს გივი მელიასთან ერთად მწვერვალ ყარაყაიაზე აჰყავს მთამსვლელობა-ტურიზმის ინსტრუქტორთა კურსების 12-კაციანი ჯგუფი, ხოლო 50-იან წლებში მოაწყო ორი დიდი ალპინიადა მყინვარწვერსა და ორწვერზე: მყინვარწვერზე ავიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფკავშირთა ალპინიადის 96 კაციანი შემადგენლობა, ხოლო ორწვერზე - საქართველოს პროფკავშირების წარმომადგენელთა 50-კაციანი ჯგუფი.

დავით ფურცელაძის დიდი ერუდიცია და განათლება არაერთხელ წარმოჩენილა არა მხოლოდ მის მთამსვლურ თუ ტურისტულ მოგზაურობებში, არამედ მის მიერ შექმნილ წიგნებსა და ნაშრომებში, რომლებიც მთამსვლელობისა და ქართული სამართლის ისტორიის ფუნდამენტურ საკითხებს ეხებოდა. რომ არა დავით ფურცელაძე, შესაძლოა, არ შექმნილიყო დღემდე ყველა მთამსვლელისათვის სამაგიდო წიგნები "მთამსვლელობა საქართველოში" და კრებული "კავკასიონზე".

გარდა იმისა, რომ დავით ფურცელაძე დამსახურებული მეცნიერი იურისტი ბრძანდებოდა, იგი საქართველოში ერთ-ერთი პირველი სპორტის ოსტატი იყო სამთო ტურიზმში, არაერთი წელი იმუშავა საქართველოს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო ათწლეულების მანძილზე იყო მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი და ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის წევრი.

როცა დავით ფურცელაძეს ვიგონებ, თვალწინ მიდგას ჭაღარაშერეული, გამხდარი, აკურატული, მუდამ ფორმაში მყოფი, გემოვნებით ჩაცმული, დინჯი, დახვეწილი სიტყვა-პასუხის

მქონე ჭეშმარიტი ინტელიგენტი, რომლის ქცევა და მანერები სამაგალითო იყო და ჩვენში, ახალგაზრდებში, მის მიმართ განსაკუთრებულ მოკრძალებას და პატივისცემას იწვევდა.

* * * * *

კაკო მარზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, მისი სიდინჯე და ვაჟკაცური, ჭეშმარიტად ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებები გვახსენდება. მეგობრისათვის თავდადება, მხარში დგომა, წინაპართა ღვაწლის დაფასება, მათი ხსოვნისადმი მოწიწება, თავმდაბლობა და საოცარი უბრალოება იყო კაკო მარისათვის ნიშნეული თვისებები, რომლებიც მუდამჟამ ზრდიდა მის ავტორიტეტს და აძლიერებდა მისდამი პატივისცემას.

კაკო მარის მთამსვლელობაში მოსვლა მისი მეგობრის - შოთა მიქელაძის სახელს უკავშირდება. 1932 წელს შოთა მიქელაძემ მყინვარწვერს ურთულესი გზით – ე.წ. გველეშაპის კუდის გავლით შეუტია, მაგრამ 4900 მეტრის სიმაღლეზე, ქარაფის თავზე მოწყდა და დაიღუპა, რაც უდიდესი დანაკლისი იყო ქართული მთამსვლელობისათვის.

საქართველოში ალიოშა ჯაფარიძის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, დაღუპული მთამსვლელის გზა არ შეიძლებოდა გაუვლელი დარჩენილიყო, რამდენიმე დღის შემდეგ დავით წერეთლის ხელმძღვანელობით იმავე გზით მყინვარწვერზე ავიდნენ კაკო მარი, ასმათ ნიკოლაიშვილი, იაგორ კაზალიკაშვილი, ნიკო ქირიკაშვილი, ანდრო ხეთაგური და შალვა ჩოფიკაშვილი. ამ დღიდან მოყოლებული, ქართული მთამსვლელობა განუყრელადაა დაკავშირებული კაკო მარის სახელთან.

მთამსვლელის მიერ განვლილი გზის, მისი ღვაწლის შეფასებისას, უპირველესად იმას აღნიშნავენ, რა სიახლე შეიტანა, რა პრობლემები გადაჭრა და რით გაამდიდრა მან მთამსვლელობა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კაკო მარის დამსახურება. სწორედ მან შექმნა პირველად მთამსვლელთა მონოლითური, უძლიერესი სპორტული გუნდი, რომლის ანგარიშზე მრავალი ურთულესი ასვლაა კავკასიონსა თუ პამირის მთიანეთში.

კაკო მარი რომ, გარდა კარგი სპორტსმენობისა, შესანიშნავი ორგანიზატორი და მეურნე იყო, ეს არა მხოლოდ მთამსვლელთა თაობებისთვისაა ცნობილი, არამედ ამას ადასტურებს ყველა გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი, რომელიც ოდნავ მაინცაა ჩახედული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაში, სადაც ბატონმა კაკომ, 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ნაყოფიერად იღვაწა. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დღევანდელი შენობა კვლავ ქართველ გეოგრაფთა სამსახურშია და ქართველი მთამსვლელებისთვისაც ძვირფასია (1936 წელს სწორედ აქ დაფუძნდა საქართველოს ალპური კლუბი), კაკო მარის დამსახურება და თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია.

1933 წელს კაკო მარი ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებთან, ანა ხარაძესთან, აკაკი ბელიაშვილთან, ბორის გინცენბერგთან და ბორის გუჯეჯიანთან ერთად თოთისა და თეთნულდის მწვერვალებზე ავიდა, 1935 წელს კი დავით წერეთელთან ერთად სათავეში ჩაუდგა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის ნაკრების ასვლას მყინვარწვერზე სრული საბრძოლო აღჭურვილობით. მწვერვალზე ავიდა 316 კაცი, აიტანეს ქვემეხი, რაც იმ დროისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო; ჩვენს ქვეყანაში იწყებოდა მოძრაობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და ამ მოძრაობაში სხვებთან ერთად, აქტიურად ჩაებნენ ქართველი მთამსვლელებიც, რომლებიც მთიან რაიონებში ახალგაზრდობას ამზადებდნენ საომარი მოქმედებებისათვის. ომის დაწყებისთანავე, სხვა ქართველ

მთამსვლელებთან ერთად, მებრძოლთა რიგებში ჩადგა კაპიტანი კაკო მარი. მისი ცოდნა და გამოცდილება საჭირო გახდა ბეჩოს, მესტიის, დონღუზორუნის უღელტეხილების დასაცავად და სამთო მებრძოლების მოსამზადებლად.

1933 წ. თეთნულდის ექსპედიცია. I რიგში: 1. აკაკი ბელიაშვილი 5. ანა ხარაძე 6. ალექსანდრა ჯაფარიძე 8. ბორის გინცენბერგი. II რიგში: 2. ალიოშა ჯაფარიძე 4. კაკო მარი 6. გოჯი ზურებიანი

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, თავდაცვისუნარიანობის გასამტკიცებლად, საბჭოთა კავშირში დაიწყო საკმაო რაოდენობის ალპინისტური ბანაკების შექმნა, რაც იქიდან გამომდინარეობდა, რომ საბჭოთა მთამსვლელობა არა მარტო იდეოლოგიური პრინციპებით, სტრუქტურითაც განსხვავდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების მთამსვლელობისაგან. ამ დროიდან ჩვენში მთამსვლელობა უპირატესად სასწავლო-სპორტულ ბანაკებზე იყო დაფუძნებული, რაც მას ორგანიზებულ ფორმას, გეგმიან ხასიათს აძლევდა. ამან განაპირობა ის, რომ საბჭოთა მთამსვლელობამ რამდენიმე ათწლეულში გაიარა ის გზა, რომელსაც ევროპული მთამსვლელობა ორი საუკუნე მოუნდა. იმ პერიოდში კავკასიონის მწვერვალებზე მხოლოდ უცხოელთა ბარათებს თუ შეხვდებოდით. ამიტომ გაჩნდა მთამსვლელებში ლოზუნგი: "გავწმინდოთ კავკასიონის მწვერვალები უცხოელთა ბარათებისაგან". უცხოელთა ბარათები, ბუნებრივია, ძნელად მისასვლელ მწვერვალებზე იდო და მათზე ასვლა ახლადფეხადგმული ჩვენი მთამსვლელებისათვის არც ისე იოლი იყო. ამისათვის საჭირო გახდა მთამსვლური ტექნიკის ათვისება. დაიწყო ალპინისტური ბანაკების შექმნა. იმ პერიოდში საქართველოს გადასცეს ორი – მყინვარწვერთან დევდორაკის და ჩრდილო ოსეთში წეახის ბანაკები. კაკო მარს წეახის ბანაკი ხვდა წილად, სადაც მისი ხელმძღვანელობით, გარდა ახალბედების მომზადებისა, შეიქმნა ქართველ მთამსვლელთა შესანიშნავი გუნდი ქელეშბი ონიანის, გენო რაიზერის, არჩილ ღუდუშაურისა და სხვათა შემადგენლობით, რომლებიც საკმაოდ დახვეწილი ტექნიკით გამოირჩეოდნენ.

1945 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, კაკო მარი უბრუნდება სამოქალაქო ალპინიზმს; ეს წელი მეტად მძიმე გამოდგა ქართული მთამსვლელობისათვის – უშბა-

შხელდის ტრავერსის განხორციელების დროს ზვავმა შთანთქა ალიოშა ჯაფარიძე და მისი ჯგუფის წევრები: ქელეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი. კაკო მარის ხელმძღვანელობით უშბის მიდამოებში გაიშალა საძიებო სამუშაოები და მიუხედავად იმისა, რომ დაღუპულები მხოლოდ 12 წლის შემდეგ იპოვეს, მათი გზა არ დარჩენილა გაუვლელი.

კაკო მარი, 1946 წელს, დაღუპულთა ძებნის დროს ავიდა ჩრდილოეთ უშბაზე და გულის მყინვარის მხარეს დაღუპულთა ნაკვალევზე ჩავიდა, ამის შემდეგ კი დაიწყო აქტიური და ენერგიული ზრუნვა თავისი მეგობრისა და მასწავლებლის განუხორციელებელი ჩანაფიქრის - უშბა-შხელდის ტრავერსის გავლის - სისრულეში მოსაყვანად.

1946 წ. ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის ძებნის ექსპედიცია. კაკო მარი და ალექსანდრა ჯაფარიძე ჩრდილოეთ უშბაზე.

1947-48-49 წლები დაძაბულ მზადებაში გავიდა. კაკო მარი ყოველ ზაფხულს შხელდა-უშბის რაიონში ატარებდა, სწავლობდა გასავლელი ტრასის ყოველ მონაკვეთს, არჩევდა, აკვირდებოდა და ამზადებდა ჯგუფის წევრებს. ტაქტიკური თვალსაზრისით ხვეწდა მარშრუტის გავლას და აი, 1950 წელს მან თავის ჯგუფის წევრებთან, ბექნუ ხერგიანთან, გოჯი ზურებიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან, მაქსიმე გვარლიანთან ერთად ბრწყინვალედ განახორციელა შხელდა-უშბის ურთულესი ტრავერსი და იგი იმ წლის საუკეთესო ასვლად აღიარეს მთელ საბჭოთა კავშირში. ამ წარმატებამ უდიდესი გამოხმაურება პოვა ყოფილ საბჭოთა კავშირში და ასვლის ყველა მონაწილეს მიანიჭეს იმ დროს არსებული უმაღლესი სპორტული წოდება – სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1955 წელს, კაკო მარმა, ბექნუ ხერგიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და ილია გაბლიანთან ერთად, კიდევ ერთხელ შეუტია სამხრეთ უშბას და ურთულესი სამხრეთ-დასავლეთის კედლით ავიდა მწვერვალზე; 1962 წელს კი ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციას უხელმძღვანელა პამირის მთიანეთში.

იგი არასოდეს ჩამოსცილებია ქართულ მთამსვლელობას. მუდამ ჩართული იყო სპორტულად რთული ასვლების ტაქტიკური გეგმის მომზადებაში, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ ახალგაზრდებისათვის თავზე არ მოეხვია თავისი აზრი და დელიკატურად, თითქოს

შემთხვევით გაახსენდებოდა იმ ამოცანის ამოხსნა, რომელიც წარმოიშვებოდა და ახალგაზრდებს ეტყოდა, ასე ხომ არ გვეცადა, ასე ხომ არ გაგვეკეთებინაო.

1976 წელს უკვე ჭარმაგმა ბ-ნმა კაკომ დიდად გაიხარა, როცა ქართველმა მთამსვლელებმა საკავშირო ჩემპიონატში 2 ოქროს მედალი მოიპოვეს და ამ გამარჯვების საპატივცემულოდ და აღსანიშნავად თავის ოჯახში შესანიშნავი, ჭეშმარიტად არისტოკრატული ქართული სუფრა გაშალა, რომელიც დღემდე დაუვიწყარია ამ დიდებული ლხინის მონაწილე მთამსვლელებისათვის, რომლებიც ოჯახებით იყვნენ მიწვეულნი.

ვიხსენებთ რა კეთილშობილებით რჩეულ, კაცთმოყვარე, თავმდაბალ, მაგრამ ამავე დროს პრინციპულ, მკაცრ და შეუპოვარ კაკო მარს, სიხარულთან ერთად სინანულიც გვეუფლება, რადგან ახლა იშვიათად გვხვდებიან ასეთი ადამიანები.

დღემდე არ მავიწყდება მისი თბილი და გულითადი დამოკიდებულება, კეთილი და საჭირო რჩევები. იგი განსაკუთრებულ სითბოს იჩენდა მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის მიმართ და ძმასავით ედგა მხარში ალექსანდრა ჯაფარიძეს. მისი მზრუნველობისა და კეთილშობილების გამომხატველი არაერთი ნივთი დღესაც მახსენებს მის სახეს, მის პიროვნებას.

ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ 1977 წელს, დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შესძლებლობა მომეცა ბატონი კაკო მარისათვის საიუბილეო თარიღი მიმელოცა, აღმენიშნა მისი ღვაწლი და დამსახურება მთამსვლელობაში, მადლობა გადამეხადა იმ სითბოსა და სიკეთისათვის, რომელსაც იგი უშურველად გასცემდა.

* * * * *

ქართველი მთამსვლელები, უპირველეს ყოვლისა, დიდი მამულიშვილები და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი, გამორჩეული და სამაგალითო პიროვნება იყო შესანიშნავი მწერალი, დრამატურგი, სასიქადულო მამულიშვილი და დიდი საზოგადო მოღვაწე **ლევან გოთუა**, რომელმაც მთამსვლელობაშიც მოასწრო გამოკვეთილი სიტყვის თქმა.



მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი ცხოვრების მესამედი გადასახლებებსა და შორეული ციმბირის გულაგებში გაატარა, მთამსვლელობისთვის არასოდეს უღალატია და თავისი მწერლური ნიჭი ამ მიმართულებითაც უშურველად დახარჯა. მრავალი მოთხრობა, ნარკვევი, ესსე თუ ჩანახატი მიუძღვნა მეგობარ მთამსვლელებსა თუ მთამსვლურ ლაშქრობებს. ასევე განუზომელია მისი, როგორც მთამსვლელობის ორგანიზატორის ღვაწლი და დამსახურება. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ იგი წლების განმავლობაში საქართველოს ალპური კლუბის სწავლული მდივანი იყო და მრავალ სასიკეთო საქმეს უყრიდა საფუძველს.

ლევან გოთუას ცხოვრების გზა, მისი ფიქრის საგანი მამული იყო მუდამ, ამიტომაც ჰქონდა ფეხით შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე, მისი მთა–ბარი. უშრეტი ენერგიით აღსავსეს, მოგზაურობა, მთამსვლელობა შემოქმედებად მიაჩნდა და თვლიდა, რომ თუ ავადმყოფი ან დავარდნილი არ არის, "ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა–წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა–წყლისა".

მისი შესანიშნავი რომანები "გმირთა ვარამი" და "მითრიდატე", ბრწყინვალე მოთხრობები და ნოველები, დიდი სიყვარულით სარგებლობენ და ყოველდღიური საკითხავია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის.

ლევან გოთუამ, ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილმა, საკუთარ თავზე გამოცადა იმპერიული უზნეობისა და აღვირახსნილობის უსაზღვრო სისასტიკე, საპატიმრო ბანაკებსა და ციხის ჯურღმულებში არაადამიანური ყოფის სიმწარე, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცსა და რაინდს შეეფერება, არასოდეს დაუკარგავს საკუთარი ღირსების გრძნობა და სამშობლოს სიყვარულის განცდა.

როგორც აღვნიშნეთ, ლევან გოთუას ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე, მისი მთა-ბარი, მაგრამ მრავალთათვის შესაძლოა უცნობია ლევან გოთუას მთამსვლური მიღწევები, რომელთაც საფუძველი 1937 წელს ჩაეყარა.

იმ ავადსახსენებელ დროს, როცა ხალხს საკუთარი ლანდიც კი აფრთხობდა, ხოლო ლევან გოთუას უკვე საკმაო ხანი ჰქონდა გატარებული გადასახლებებსა და ციმბირის შორეულ ბანაკებში, მისთვის საქართველოს მთა–ბარში სიარული და მწვერვალებისაკენ ლტოლვა ერთგვარი პროტესტი იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი ვერ ეგუებოდა ბოლშევიკების მიერ დამკვიდრებულ და გამეფებულ შურს, გაუტანლობას, ბეზღობას, ღალატს, შიშს, სულმოკლეობას და ქალაქიდან კავკასიონის მწვერვალებს მიაშურებდა ხოლმე, რადგან მხოლოდ აქ შეიგრძნობდა ბუნების პირველყოფილ მშვენიერებას და ჭეშმარიტი მეგობრობის ფასს.

1944 წელს ლევან გოთუა, ალიოშა ჯაფარიძესთან და არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძესთან ერთად, ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის ისტორიულ სოფელ კაცხში, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით ავიდა მიუვალ კაცხის სვეტზე, პირველებმა გამოიკვლიეს ბუნების ეს საოცარი ძეგლი, რომლის წვერზეც ეკლესიის ნანგრევები იყო შემორჩენილი. ამ ასვლას მიუძღვნა მშვენიერი ნარკვევი – "კაცხის სვეტის საიდუმლო", რომელშიც შენიშნავს:

"თავის დროზე მძაფრად განუცდია სვეტის საიდუმლო დიდ ქართველ მეცნიერს ვახუშტის, რომელიც წერდა: იქ ხეობის თავზე "არს კლდე, აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა".

სვეტზე ასვლის შემდეგაც არ მიუტოვებია ბ-ნ ლევანს ვახუშტის წიგნის ფურცვლა და კიდევ ერთი გასაშიფრი კითხვის ნიშანი აღმოაჩინა: "რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არის ხომლის კლდე ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები".

ხვამლით დაინტერესებული ლევან გოთუა უმალ თავის მეგობარს - ალიოშა ჯაფარიძეს შეეხმიანა, რომელიც 1939 წელს უკვე იმყოფებოდა ხვამლის ციხე-ქვაბულში. ახალ ექსპედიციაში კი ლევან გოთუა ერთ-ერთი დასაყრდენი ფიგურა გახდა.

1945 წელს ლევან გოთუამ, ალიოშა, ალექსანდრა, გოგი ჯაფარიძეებთან, გიორგი (გოგი) ლომთათიძესთან, ვერა ბელეცკაიასთან, ელენე აბაშიძესთან, ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩთან, ალექსანდრე ნემსიწვერიძესთან, ვალია ნასონოვასა და სიმონ შხვაცაბაიასთან ერთად, ხვამლის ციხე–ქვაბული ყოველმხრივ გამოიკვლია. ძირითად ქვაბულში არქელოგიური გათხრებიც ჩაატარეს, მაგრამ ციხე ცარიელი დახვდათ. მათი აზრით, "მეფეთა საგანძურთ სადები" საქართველოს ავბედითი ისტორიის რომელიღაც მონაკვეთში სრულებით გაპარტახებულა. "მტრებს, მძარცველებს, დროს – ყველას ბეჯითად უმუშავნია", წერდა ბ–ნი ლევანი თავის ცნობილ ნარკვევში "ხვამლის ციხე-ქვაბული".

ამ ლაშქრობიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ იმ ხანად არსებულმა რეჟიმმა ლევან გოთუა კვლავ დააშორა საქართველოს და ციმბირის შორეულ გზებს გაუყენა.

რატომ? რისთვის? ეს კითხვები აწვალებდა და ტანჯავდა ბ–ნ ლევანს: "ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ

ასე ძლიერად მიყვარს სამშობლო". ამ კითხვაში პასუხიცაა. დიახ! ლევან გოთუასავით სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები საშიშნი იყვნენ მაშინდელი ხელისუფლებისათვის. სამშობლოს ლევანისებური სიყვარული იმ დროს დანაშაულად ითვლებოდა...

1957 წ. ედიშერ ყიფიანი, აკაკი გეწაძე, რევაზ ინანიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან გოთუა, ლევან სუჯაშვილი, გივი ყალაბეგიშვილი მყინვარწვერის ძირში.

ლევან გოთუას წინაშე მრავალგზის დასმულა ყოფნა–არყოფნის საკითხი, ხშირად იგი, გარდაცვლილი მეგობრის ბედსაც კი ნატრობს, რომელიც საქართველოს მიწაში განისვენებს: "არის იმდენად მძიმე განცდები და ემოციები, რომ მათი დავიწყება არ შეიძლება და ისინი დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში. ჩემმა ცხოვრებამ მე თითქოს ჩამრეცხა კიდეც. გამიყინა სიცოცხლე, მაგრამ უფრო მტკივნეულად, უფრო მძაფრად გამიშიშვლდა გულში ჭრილობა ჩემი თავგადასავლის სახით... წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერმე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულისხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა, ამიტომ ვიყავი ასე დახარბებული ქართულ კუთხეებს, ქართულ არე–მარეს, ხევებს, ქართულ მწვერვალებს და ქართველ ხალხს. არაერთგზის შემშურვებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიადაც არა ვიცი რა, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და შეძლებისდაგვარად ერის ვალი მაინც მინდა მოვიხადო, სხვას რომ თავი დავანებოთ. ზეპირად, ასე შიგადაშიგ და ფრაგმენტულად წერა მეტად ძნელ–ცუდია, ზიანდება და კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, აგრეთვე მხატვრული დონეც, მაგრამ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს – იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ–ფეხზე იმდენი მავთული მეხვია – მთელ დედამიწას შემოერტყმოდა".

ლევან გოთუა არაადამიანური მოთმინებით იტანდა ამ ტკივილებს და თავისი ქვეყნის ცხოვრების რიტმს იმ შორეთშიაც ფეხაწყობილი მიჰყვებოდა. ხელფეხშებორკილ მწერალში მაინც ვერ შეძლეს შემოქმედებითი გზნების განელება, ნიჭიერების ცეცხლის ჩახშობა. ყოველ ფაქტს, ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც საქართველოდან მის ყურამდე აღწევდა,

ბ–ნი ლევანი მწერლისათვის ნიშნეული განცდით აღიქვამდა და საკუთარ შემოქმედებით ქურაში აწრთობდა ...

საბოლოოდ, ლევან გოთუა საქართველოში 1955 წლის აგვისტოში დაბრუნდა და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად დიდი გულმოდგინებით შეუდგა თავისი ნაწარმოებების გამოცემასაც.

შესანიშნავ რომანებთან ერთად, ბ-მა ლევანმა თავის ასვლას კავკასიონის მწვერვალებზე, მოგზაურულ ჩანაწერებსა და ნარკვევებს თავი მოუყარა და "მგზავრული კრიალოსნის" სახით აკინძული ცალკე წიგნად გამოსცა.

"ჩემთვის მოგზაურობა და წერა – შემოქმედების ორი მხარეა...

მე ძველი მთამსვლელი ვარ და ვიცი, მაღალ მწვერვალებს უფრო ხშირად დიდი ბურუსი ახვევიათ ხოლმე... მე კი, ოცი საუკუნის შემდეგ, დავდივარ კალმითა და ხელნაწერებით სპერის ზღვიანეთში, სარფიდან დიოსკურიამდე... ჰოი, რა დიდი ანტიკური სამყარო გვქონია! ჰოი, ჯერ კიდევ, რამდენი საქართველო გვქონია "აღმოსაჩენი"!..

1957 წ. დავით საყვარელიძე, ლევან გოთუა, ალექსანდრა ჯაფარიძე ბეთლემის გამოქვაბულის ძირში

ლევან გოთუას მუდამ ჰქონდა დაუკმაყოფილებლობის განცდა იმის გამო, რომ ბოლომდე ვერ ამოწურა საკუთარი თავი, როგორც მთამსვლელმა - მრავალი მწვერვალის დამლაშქრავმა და "ნათლიამ", გადასახლებიდან დაბრუნებულმა კი ნაწილობრივ შეისრულა თავისი გულის წადილი...

1957 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და ვერაგული მკვლელობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, იგი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ჯგუფს, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი ალექსანდრა ჯაფარიძე და "ილიას გზით" წაიყვანა ახალგაზრდები.

ლაშქრობაში მათ გარდა მონაწილეობდნენ მწერლები: ზაქარია შერაზადაშვილი, გიორგი ქავთარაძე, ედიშერ ყიფიანი, აკაკი გეწაძე, ალეკო სანადირაძე, რევაზ ინანიშვილი, ზურაბ ლორთქიფანიძე, შოთა არაბული, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ნოდარ შამანაძე, ემელიან ქურდიანი, ოთარ კუპრავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, მთამსვლელობის ინსტრუქტორები: გურამ თიკანაძე, გივი ყალაბეგიშვილი, ლევან სუჯაშვილი, კინოოპერატორი არტურ პოღოსოვი და რადიოკომიტეტის თანამშრომელი მოსე ქარჩავა.

მყინვარწვერის დალაშქვრა და ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა ახაგაზრდა მწერლებისათვის მთამსვლური ნათლობაც იყო, შთაგონების წყაროც და წარუშლელი შთაბეჭდილებაც.

ლაშქრობას მშვენიერი ნარკვევი უძღვნა, უდროოდ გარდაცვლილმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა, რომელმაც გულწრფელად და უშუალოდ აღწერა ლაშქრობის მონაწილეთა გზა მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე. გურამ თიკანაძემ კი ფოტოსურათებზე დაატყვევა და ისე შემოუნახა შთამომავლობას ამ დაუვიწყარი ლაშქრობის შეჩერებული წამები (სამწუხაროდ, ამ ლაშქრობის ფოტონეგატივები დაიკარგა, მაგრამ ჩვენი ოჯახის არქივში აღმოჩნდა გურამის მიერ ამ ექსპედიციაში გადაღებული ალექსანდრასადმი ნაჩუქარი ოცამდე ფოტო, რომლებიც გავამრავლე, გამოვაქვეყნე პრესაში და 2008 წელს საზოგადოებას წარვუდგინეთ ისტორიის მუზეუმ "ქარვასლაში" გამართულ სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური დოკუმენტური ფილმების ტრადიციულ ფესტივალზე "ნიამორი").

ლევან გოთუა დიდად აფასებდა თავის უმცროს მეგობრებთან: გურამ თიკანაძესთან, სარგის ცაიშვილთან, რეზო ინანიშვილთან, დავით მუსხელიშვილთან, ნოდარ ებრალიძესთან, გივი გაფრინდაშვილთან, მანანა კობერიძესთან, ნოდარ ჯობაძესთან, გურამ ხეცურიანთან, ატე ნემსიწვერიძესთან და კოტე ჯავრიშვილთან ერთად, ქობთავისა და თრეხვის მღვიმეებში ჩატარებულ კვლევებს და დაბეჯითებით მოუწოდებდა ახალგაზრდობას: "აქ – მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ "ქართლის ცხოვრების" დაფანტული ფურცლები, "ვეფხისტყაოსნის" დაკარგული დედნები და დედნისპირები... მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშები. განახლებულ საქართველოში რამდენი მიუვალი ციხე-ქვაბული, ქვა-ქალაქი თუ თავისუფლების ქვასახიზარი ჯერ კიდევ დარჩენილა ორბის ამარა! რამდენ ქვა-ფურცელს ჯერ კიდევ კითხვის ნიშანი უზის? რამდენი დიდებული ნაშთი ჯერ კიდევ ელის თავის მეოცნებეთ, გაბედულ მკვლევართ! დრო კი მიდის, მიიხარჯება და ბევრი რამ იშლება, იკარგება დაუბრუნებლივ"...

მსურს ჩვენს ოჯახში შემონახული, ლევან გოთუასთან დაკავშირებული ერთი წერილის ფრაგმენტი გაგაცნოთ, რომელიც თელაველ პედაგოგს, ქ-ნ თამარ გოგიაშვილს ეკუთვნის. ალექსანდრა ჯაფარიძისათვის გამოგზავნილ წერილში წარმოჩენილი ერთი ადამიანის განცდა ლევან გოთუას მიმართ მთელი ქართველი ხალხის პატივისცემად და სიყვარულად აღიქმება:

"...ფეხი გამისხლტა და დავეცი, რა გამაძლებინებდა, რომ გოთუას "გმირთა ვარამი" არ "დაბადებულიყო", გატაცებით ვკითხულობ... ვფიქრობ, სად გაიზარდა, ვინ შთააგონა ბედდავსილი კახელების უზომო სიყვარული. მეც, როგორც ერთი კახელთაგანი, დავალებული ვარ...

ბატონი ლევანი წერის მანერაში ძლიერ ამჟღავნებს თავის პიროვნებას. რაღაც აქვს ამ კაცს ხელშეუკარებელი, ფანატიკური, ძლიერი. მის ნაწერებში იგრძნობა საკმეველის სურნელება... ნატიფად წერს, დიდი ჰქონია ქართველებისადმი გულმხურვალება და სიყვარული...

ქალბატონო ალექსანდრა! თუ არ ვცდები, თქვენი ძმა "რჩეულ ნაწერებში" არაფერს ამბობს გოთუას მთამსვლელობის შესახებ, რადა?"

ქ-ნ თამარ გოგიაშვილის ამ კითხვაზე პასუხი ბ-ნი ლევანის ზემოთ მოტანილი ის ციტატაა, სადაც იგი თავის თავგადასავალზე საუბრობს და განვლილ ცხოვრებას აფასებს. იმაზეც ვთქვით, რომ ლევან გოთუა შესანიშნავი მთამსვლელი იყო და მისი დამსახურებაცაა, რომ დღეს კავკასიონის მწვერვალები ქართველ მწერალთა სახელებს ატარებენ. ხოლო რატომ არ ფიგურირებს ალიოშა ჯაფარიძის 500 გვერდიან წიგნში ("რჩეული ნაწერები", 1949 წ., გამოიცა ცნობილი გეოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის დავით დონდუას რედაქტორობით) ლევან გოთუას სახელი, პასუხი მარტივია. თუ გავითვალისწინებთ წიგნის გამოსვლის თარიღს, მთამსვლელობაში მნიშვნელოვანი წარმატებებისა და დამსახურების მიუხედავად, ბუნებრივია, მასში ლევან გოთუას ვერ ახსენებდნენ, რადგან ამ დროს კომუნისტურ რეჟიმს პოლიტიკური სარჩულით იგი საპატიმრო ბანაკებში ჰყავდა

გამომწყვდეული და სასჯელს სამშობლოს სიყვარულისთვის (სხვა ბრალდება მას არ ჰქონია) ვორკუტის, სოლოვკების, ნარიმისა თუ ბიისკის იზოლატორებში იხდიდა.

ჩრდილოეთის გულაგებში ნაწამებმა მწერალმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა სულის სისპეტაკე და ადამიანებისადმი უანგარო სიყვარულის გრძნობა. სწორედ ამ განცდით იარა თავისი ცხოვრების ეკლიან გზაზე და 1973 წლის 30 იანვარს ვალმოხდილი, უხმაუროდ განერიდა ამ წუთისოფელს, განსასვენებელი კი არმაზში, საკუთარ ეზოში პოვა...

ათწლეულების შემდეგ, ახლაც თვალწინ მიდგას, გოლიათური აღნაგობის, ქარში ლომის ფაფარივით აწეწილი თმით, თვალებში სევდა-ნაღველჩაგუბებული, სათნო და კეთილღიმილიანი ბ–ნი ლევანი, სათუთი გრძნობებითა და ხშირად ბავშვური უშუალობით აღსავსე. წავიდა ღირსეული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავისი ქვეყნის სიყვარულისთვის დამაშვრალი რაინდი, ჩვენ კი დაგვიტოვა გაუნელებელი სევდა და სიკეთის ქმნის დაუვიწყარი გაკვეთილები.

გარდაცვალებიდან 32 წლის შემდეგ, 2005 წლის 15 დეკემბერს, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით, ბ-ნი ლევანის ნეშტი არმაზიდან მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში გადმოასვენეს.

გადმოსვენებისა და დაკრძალვის რიტუალის გაძღოლის პატივი მე მხვდა წილად და ვიდრე სამუდამოდ დავემშვიდობებოდი დიდებულ მწერალს, მივმართე შეკრებილ საზოგადოებას:

“ბატონებო! ახლა, როცა საქართველოს ასე სჭირდება ერის ბედ-იღბალზე დაფიქრებული და ზნეობით შემკული, სპეტაკი ადამიანები, კიდევ უფრო მწვავედ განვიცდით ბ-ნი ლევანის არყოფნით გამოწვეულ ტკივილს.

მაგრამ, სწორედ დღეს, არმაზიდან აქ, მცხეთის უწმინდეს სავანეში გადმობრძანებით, ბ-ნი ლევანი ნიშანს გვაძლევს, რომ იგი ჩვენთანაა და გვაფრთხილებს: – “გამოფხიზლდით ქართველებო! უღმერთოთა, ბნელეთის მოციქულთა და რჯულგაყიდულთა თარეშსა და ორომტრიალში, სამშობლოს მთა-ბარს მიხედეთ, ხელიდან არ გაგისხლტეთო”.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს, აქ, ამ მიწაზე გადმოსახლებით, ბ-ნი ლევანი, დავით აღმაშენებლის შეგონებას, მის ფიცს მიჰყვება და ყველას მოგვიწოდებს: “გულზე დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველთაო”.

ჩვენ, ბ-ნი ლევანის მომდევნო თაობა, ვალში ვართ დიდებული მწერლის, შესანიშნავი მთამსვლელისა და ღვაწლმოსილი მამულიშვილის წინაშე, რადგან ჯერ კიდევ ვერ გავისიგრძეგანეთ მისი სიდიდე და მასშტაბურობა, ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილის შემდეგ ვერ მივაგეთ საკადრისი პატივი.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მწამს დადგება დრო, როცა იგი გაბრწყინდება; ახალი თაობა ღირსეულად დააფასებს ლევან გოთუას და ყველა იმ ჭეშმარიტ მამულიშვილს, რომელსაც სამშობლოს სიყვარულისთვის “ხელ-ფეხზე იმდენი მავთული დაახვიეს, მთელს დედამიწას შემოერტყმოდა”.

გემშვიდობებით ბ-ნო ლევან და გწამდეთ, ვიდრე ვიცოცხლებთ, თქვენ ჩვენ გვერდით იქნებით, ვითარცა მწვერვალისაკენ მიმავალ მართვეთა წინამძღოლი, ბრძენი მოძღვარი და მაგალითი მოყვასის სიყვარულისა!”

გადასახლებიდან დაბრუნებული ბ-ნ ლევანი, ნიჭიერ, თაობაში გამორჩეულ ახალგაზრდებს დაუმეგობრდა, რომელთა შორის მეტად დაუახლოვდა გურამ თიკანაძეს, რომელსაც “**კაი ყმა**” უწოდა. მეც ასე დავარქვი მცირე მოგონებას გურამზე, რომელსაც ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ.

* * * * *

სიცოცხლეში მას არ ჰქონია იუბილეები და დაფნის გვირგვინები. სიკვდილის შემდეგაც არ მიუკრავთ მემორიალური დაფა იმ სახლისათვის, რომელშიც იგი ცხოვრობდა,

მაგრამ მისი სახელი და უკვდავი საქმე ლეგენდად დარჩა კოლეგებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

“დეიდა მზია”- აი, მისი სადარბაზო ბარათი, მისი პიროვნება, მის მიერ უმწიკვლოდ განვლილი ცხოვრების გზა.

40-იანი წლების დასაწყისიდან ამ სახელით ეცნობოდა პიონერთა სასახლეში მოსული ბავშვი **მზია ერისთავს** და ამ სახელითვე რჩებოდა იგი მის მეხსიერებაში.

მზია ერისთავმა გადაწყვიტა თბილისის პიონერთა სასახლისათვის შეეთავაზებინა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის დაარსების იდეა. ეს იდეა სასახლეში მოეწონათ, ხოლო განათლების სამინისტროში მას მხურვალედ დაუჭირა მხარი ბავშვთა სპორტის მესვეურმა, დიდმა პატრიოტმა და ფართოდ ერუდირებულმა პიროვნებამ, პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია “შევარდენის” წევრმა გიორგი მერკვილაძემ. იდეის ავტორს სთხოვეს ხსენებული კაბინეტისათვის სასწავლო გეგმა შეემუშავებინა... ბავშვობაში შესისხლხორცებული მოგზაურობის სიყვარულის გარდა, მზია ერისთავს უკვე ჰქონდა ტურისტულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, რაც მას ოფიციალურად აძლევდა უფლებას ტურიზმის განვითარებაზე თავისი მოსაზრება წამოეყენებინა, ხოლო თუ რა შინაარსი უნდა ჩადებულიყო საბავშვო ტურიზმში, ეს მან ნაწილობრივ დაასაბუთა თავის მიერ შედგენილ პროექტში. აქ ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე არსებობდა გიორგი ნიკოლაძის მიერ დანერგილი ტრადიცია სტუდენტთა ქვეითი მოგზაურობისა, რომელსაც “გაფრენი” შეარქვა მათმა წამომწყებმა; ამავე დროს, ჩვენში აღმავლობის გზაზე მდგომი ალპინისტური მოძრაობა, რომელსაც იმავე გიორგი ნიკოლაძის და პროფ. ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციების მყინვარწვერზე ასვლამ (1923 წ.) ჩაუყარა საფუძველი, კიდევ უფრო პოპულარული გახადა და-ძმა ჯაფარიძეებისა და მათი მიმდევარი თბილისელი, ქუთაისელი, მოხევე თუ სვანი მთამსვლელების ძალისხმევამ. ეს ყველაფერი ქმნიდა ბრწყინვალე ფონს და საფუძველს იმისათვის, რომ მზია ერისთავს დაესაბუთებინა ამ საქმის მოზარდ თაობაში დანერგვის აუცილებლობა. ეს იქნებოდა, ერთი მხრივ, მოზარდთა სპორტი - მათი ფიზიკური წვრთნის და გაჯანსაღების შესანიშნავი საშუალება და მეორე მხრივ, მიზანდასახული მხარეთმცოდნეობითი მუშაობა და ერთგვარი სკოლა ბუნების მოვლენების აღქმისა და შესწავლისათვის. დიდებულიძის მიერ მყინვარწვერზე მეტეოროლოგიური სადგურის ატანა და დაფუძნება, ნიკოლაძის “გაფრენების” შემეცნებითი ხასიათი, ალიოშა ჯაფარიძის მიერ კავკასიონზე გავლილი მარშრუტების დეტალური აღწერა და სხვა, იმის კარგ მაგალითს მისცემდა მოზარდ თაობას, თუ სამშობლო მხარეში სიარულით გამოწვეული სიამოვნება როგორ უნდა შეეხამებინა მის შეცნობასა, შესწავლასა და აღწერასთან.

პროექტი დაამტკიცეს და იმავე წელს, მზია ერისთავის თაოსნობით, სასახლეში დაარსდა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი, რომლის ხელმძღვანელობა მასვე დაეკალა, როგორც მის ფუძემდებელსა და ბავშვთა ტურიზმის საუკეთესო მცოდნეს. აქედან მოყოლებული, თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი, სხვა კაბინეტებთან ერთად, იმ ბუდედ იქცა, რომელშიც საქართველოს მომავალი ფრთიანდებოდა.

ამ პატარა კაბინეტში მზია ერისთავმა იმთავითვე შექმნა ის განწყობილება და საფუძველი, ურომლისოდაც ძნელია ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა. თავის მიერვე

შერჩეულ პედაგოგებთან ერთად იგი ბავშვთა სულის მესაიდუმლე გახდა. აქ ბავშვებს მშობლიური ქვეყნის სიყვარულში წვრთნიდნენ და სხვათა ქვეყნების პატივისცემასაც უნერგავდნენ; გაჭირვების ატანას აჩვევდნენ და ლხინის დაფასებას ასწავლიდნენ; უფროსებისადმი პატივისცემა ისევე მოითხოვებოდა, როგორც უმცროსების მიმართ მზრუნველობა. ლაშქრობის დროს ნანახისა და განცდილის წერილობითი გადმოცემა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საჯაროდ გამოსვლა და შთაბეჭდილებათა გაზიარება. ამით მოზარდი წერასაც ეჩვეოდა და ორატორის თვისებასაც იძენდა.

დეიდა მზია ახერხებდა ბავშვები უმკაცრესი კონტროლის ქვეშაც ჰყოლოდა და ამავე დროს, მათთვის აზროვნებისა და მოქმედების სრული დამოუკიდებლობაც შეენარჩუნებინა. მის ხელში ბავშვის, მოზარდის ნიჭი ყოველმხრივ ვითარდებოდა, მის ფანტაზიას სრული გაქანება ეძლეოდა, რომელიც შემდეგ შემოქმედებით ენერგიად გადაიქცეოდა...

მზია ერისთავის აზრით, ბავშვისათვის დიდი (და შეიძლება გადამწყვეტიც) მნიშვნელობა ჰქონდა პირადი მაგალითის ძალას. ამის ერთ-ერთი გამოხატულება ისიც იყო, რომ მან ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის პედაგოგად მიიწვია თავისი უახლოესი მეგობარი, ცნობილი მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე.

ყველა ბავშვის ოცნება გახდა თავისი მასწავლებლის გმირული მაგალითებისათვის მიებაძა, ხოლო მზია ერისთავისა და ალექსანდრა ჯაფარიძის საქმიანობისა და უანგარო მეგობრული ურთიერთობის შემყურე მოზარდი უკვე თავისით ხვდებოდა, რას ნიშნავდა ჭეშმარიტი მეგობარი და, საერთოდ, მეგობრობა.

მზია ერისთავმა არა მარტო ალექსანდრა ჯაფარიძე ჩართო ბავშვებთან მუშაობაში. ახალგახსნილ კაბინეტს თავს დასტრიალებდნენ ქართული მთამსვლელობის კორიფე ალიოშა ჯაფარიძე, ცნობილი გეოგრაფი და ალპინისტი დავით წერეთელი, სანდრო გვალია, კოტე ასტახიშვილი. მის საქმიანობას ყურადღებას არ აკლებდნენ ცნობილი მეცნიერები და მოღვაწეები: გიორგი ჩიტაია, ნიკო კეცხოველი, შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე და ბევრი სხვა. თანამდგომთა და გულშემატკივართა რიცხვი წლითიწლობით იზრდებოდა... ერთ-ერთი პირველი ექსპედიციის ხელმძღვანელობა ჯავახეთში, მწვ. სამსარზე ასვლით, მაშინ (1943 წ) ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალპინისტს (შემდგომში კავკასიონის და პამირის მწვერვალთა დამპყრობს) დიმიტრი (მიტო) ობოლაძეს მიანდო. მალე (ამჯერად მოკლე ხნით) კაბინეტში მუშაობა დაიწყეს საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების მეცნიერ-მუშაკმა, მთამსვლელმა დენიზა გოზალიშვილმა; მრავალმხრივი ინტერესების მქონე ლიტერატორმა ფაცია პაიჭაძემ; ცოტა მოგვიანებით კაბინეტის თანამშრომელი და შემდგომ ერთ-ერთი წამყვანი ძალა (ბოლოს კაბინეტის გამგე) გახდა გეოგრაფი მარინე უთმელიძე, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ალპინისტი ქალია, უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსით რომ დააგვირგვინა თავის ალპინისტური მოღვაწეობა, ხოლო როგორც პედაგოგმა და ლაშქრობების შესანიშნავმა ხელმძღვანელმა, თავი დაამახსოვრა მოზარდთა რამდენიმე თაობას... კაბინეტში სხვადასხვა დროს მოწვევით მუშაობდნენ მხატვრები: ელენე ახვლედიანი, შალვა მაყაშვილი, ნინო ბრაილოვსკაია (ბრაილაშვილი), ნუცა თოფურიძე, ვერა

ბელეცკაია და სხვ. დიდი რუდუნებითა და სიფაქიზით (თვით მზიას უშუალო მონაწილეობით) ხდებოდა ცალკეული სტენდის, ალბომის თუ საგამოფენო ექსპონატის გაფორმება; იქმნებოდა დახვეწილი, აკადემიური და მხატვრული გარემო, რომელიც ბავშვების გათვითცნობიერებასა და გემოვნების გამომუშავებას ემსახურებოდა. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ბავშვების შემოქმედებითი ნიჭის განვითარება, მათი ფიზიკური და ზნეობრივი წვრთნა და სამშობლოში მოგზაურობისადმი ინტერესის გაღვიძება იყო.

მზია ერისთავის ხელში გაიარა მრავალმა თაობამ და თითქმის ყველა დღეს ჩვენი ქვეყნის საამაყო მამულიშვილია. ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ მარტო გურამ თიკანაძის, გურამ რჩეულიშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის სახელის ხსენებაც კმარა იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, რა სულისკვეთებისა და ზნეობის ახალგაზრდობას ზრდიდა ტურიზმისა და ალპინიზმის ეს პატარა კაბინეტი.

არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ მზია ერისთავმა 1952 წელს დააფუძნა ბავშვთა ცენტრალური რესპუბლიკური საექსკურსიო-ტურისტული სადგური და წლების მანძილზე მასაც თავისებური შემართებით განაგებდა.

1996 წელს, ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორის, ცნობილი მთამსვლელისა და მეკლდეურის, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონისა და პრიზიორის ტარიელ ლუკაშვილის ინიციატივით, დაარსების 45 წლისთავზე, ტურისტულ სადგურს ეწოდა მოსწავლე ახალგაზრდობის ტურიზმის რესპუბლიკური ცენტრი და მიენიჭა მზია ერისთავის სახელი.

მზია ერისთავი და ნიკო კეცხოველი

ყველას და ყველაფრის მოგონება შეუძლებელია. ეს მხოლოდ შტრიხებია იმ საერთო სულისკვეთების მისანიშნებლად, რომელიც საცნაურია მზია ერისთავის ლაშქრობებში. "მოლაშქრეები" ალბათ უფრო პირობითი სახელია ადამიანთა იმ ჯგუფისა, რომელიც გარკვეული წლების განმავლობაში "დეიდა მზიას" არეალში იყო მოქცეული. შეიძლება ითქვას, ეს იყო მზია ერისთავის დიდ ოჯახი, ბავშვებიან - უფროსებიანად ერთმანეთის მოყვარული და ერთმანეთის თანამზრახველი. ამიტომ იქცა ეს ურთერთობა მათი საერთო ბიოგრაფიის ნაწილად.

1996 წლის 20 ნოემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დიდ დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა მზია ერისთავის დაბადების 90 წლისთავი. აქ თავი მოიყარა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში და ტურისტულ სადგურში ბავშვობაგამოვლილმა რამდენიმე თაობამ. მათმა მოგონებებმა გააცოცხლა ის საოცარი მოგზაურობები საქართველოს მთასა და ბარში, რომლებმაც უსაზღვროდ გაალამაზა და გაამდიდრა მრავალი თაობის ბავშვობა, უშუალოდ შეაგრძნობინა ჩვენი მიწის სურნელი, ცის სილაჟვარდე, მთების სიმაღლე, მაცოცხლებელი წყაროების სიანკარე და რაც მთავარია, აპოვნინა ერთმანეთი, დაამეგობრა, ადამიანურ ურთიერთობათა უფაქიზეს ნიუანსებს აზიარა, გამსჭვალა ერთი მისწრაფებით სამშობლოს უანგარო სამსახურისათვის.

ეს დღე იყო სამადლობელი არა მარტო მზია ერისთავის, არამედ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც დიდი ძალისხმევა მოახმარეს სხვადასხვა თაობის ქართველი ბავშვების

სულის გამოძერწვას და საამისოდ უშურველად გაიღეს თავიანთი ცოდნა, ენერგია და სიყვარული.

* * * * *

მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული მთამსვლელობის ისტორიაში **ოთარ გიგინეიშვილმა.** იგი ნიკო კეცხოველის შემდეგ ჩაუდგა სათავეში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციას და მის სახელს დაუკავშირდა ქართველ მთამსვლელთა დიდი გამარჯვებებიც და მტკივნეული მარცხიც.

ოთარ გიგინეიშვილის მთამსვლელობაში მოსვლა არ იყო შემთხვევითი, რადგან, როგორც მისი თანაკლასელი, ამერიკაში მოღვაწე, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ვახტანგ ჯობაძე იგონებდა, ისინი სკოლის პერიოდშიც კი დაინტერესებულნი იყვნენ მოგზაურობით და ილტვოდნენ მწვერვალებისაკენ.

1937 წლიდან ოთარ გიგინეიშვილი უკვე თვითონ ხელმძღვანელობდა ასვლებს სხვადასხვა მწვერვალებზე. იგი ღრმად ერუდირებული, დიდად განსწავლული ისტორიკოსი იყო და მუდმივად დაძაბული საპასუხისმგებლო სამსახურების მიუხედავად, მაინც ახერხებდა მთამსვლელობაშიც ეთქვა თავისი სათქმელი.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის შემდეგ დაამთავრა თსუ-ის ასპირანტურა, სწავლობდა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში, მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში ექსპერტ-კონსულტანტად, პირველ მდივნად, მინისტრის თანაშემწედ, კითხულობდა ლექციებს თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე თურქულ ენასა და თურქეთის ისტორიაში. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, 1960 წლიდან კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სათავეში ჩაუდგა თავის შექმნილ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებას, 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო დარგში.

ოთარ გიგინეიშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, რომელიც უზარმაზარ ენერგიას ახმარდა საზოგადოებრივ და ეროვნულ საქმეს. ამის დასტური კი ისიც იყო, რომ იგი თითქმის ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას და მასთან ერთად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციას. მან დიდი როლი შეასრულა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში, რომლის განუყოფელი ნაწილი მთამსვლელობაც იყო. სწორედ მისი ფედერაციის თავმჯდომარედ ყოფნის დროს მოხერხდა ქართველ მთამსვლელთა მეგობრული ვიზიტი საზღვარგარეთ – იაპონიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ბულგარეთში.

1954 წელს ოთარ გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით გავიდნენ პირველად ქართველი მთამსვლელები პამირის მთიანეთში, სადაც ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს და მრავალჯერ დაიმსახურეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. მისი ფედერაციის თავმჯდომარეობის დროს ჩაეყარა საფუძველი ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში მთამსვლელთა მუზეუმს – პირველ მუზეუმს ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომლის შექმნაში განუზომელია ალპური კლუბის პასუხისმგებელი მდივნის, ქალბატონ დენიზა გოზალიშვილის ღვაწლი.

დიდია ოთარ გიგინეიშვილის დამსახურება ქართული მთამსვლელობის პოპულარიზაციის საქმეში, რისი დასტურიცაა საზოგადოება "ცოდნის" ხაზით მის მიერ 1983 წელს გამოცემული ბროშურა - "მთამსვლელობა საქართველოში". ასევე აღსანიშნავია მისი მწერლური ნიჭი, რომელიც განსაკუთრებით კარგად ჩანს მის მთამსვლურ ჩანაწერებში. იგი იშვიათი სიზუსტით გადმოსცემს ნებისმიერი მთამსვლელისათვის ნაცნობ განცდებს, რასაც კარგი მწერლებიც კი იშვიათად ახერხებენ. ამის საილუსტრაციოდ მისი ერთი ჩანაწერის ფრაგმენტს მოვიტანთ: "მთა ყურთასმენასა და ხშირად თვალსაც ატყუებს – შორეულს ახლოდ მოგაჩვენებს. ადამიანი კარგავს ბარისათვის ჩვეულ ზომა-მანძილის გრძნობას და მთაში ახალი უნდა შეიმუშაოს. ეს ახალი გრძნობა ყველაზე უფრო ძვირფასია მთამსვლელისათვის. უამისოდ იგი განწირულია. ეს გრძნობა მიუთითებს მთამსვლელს გზას იქ, სადაც უცხო თვალი ამას ამაოდ ეძებს. საფრთხესაც წინასწარ შეაგრძნობინებს. მთას ათასი და ათიათასი ნიშანი აქვს. ყველა უნდა იცოდეს მთაში მოარულმა, თორემ მთამ თქმა მხოლოდ ერთხელ იცის და შემდეგ კი – უფრთხილდი.

თუ პირველი ვარდნის შემდეგ სულიერი სიმშვიდე და მუხლის სიმტკიცე შეგრჩა, შენც შერჩები მთამსვლელობას.

მთამსვლელისათვის კლდე მეტყველი, ცოცხალი არსებაა. მაგრამ კლდეთა ენა იდუმალია, იგი კიდურებით შეიცნობა, და ეს ენა რომ ისწავლო, კლდეებს ზედ უნდა შეეზარდო, მათთან აღამო და ათენო. შემთხვევითი ადამიანი ქვას ქვისგან ვერ გაარჩევს. ბუმბერაზი კლდეები მისთვის მხოლოდ ნაცრისფერი რუხი ქვების ერთობლიობა იქნება. მისთვის ქვა მხოლოდ ქვაა, ყველა ქვა და ყველა კლდე ერთმანეთსა ჰგავს, როგორც უცხო ტომის ყველა ადამიანი პირველი შეხედვით ერთსახიერი გეჩვენება. მთამსვლელი კი ორ კლდეს, ორ ქვას ერთმანეთში არ აურევს. ყოველ კლდეს თავისი წყობა აქვს და მის დარღვევას მთამსვლელის თვალი უცბათ შეამჩნევს.

მრავალი თეორია და წესების მთელი სისტემა არსებობს საყრდენების შემოწმების შესახებ. მათ ათვისებას ხანგრძლივი დრო სჭირდება. თვით ასვლის დროს კი საყრდენთა შემოწმებას გამოცდილი მთამსვლელი წამის განმავლობაში ასწრებს. ამ წამში კონცენტრირებულია წლების გამოცდილება. გამოცდილების გამოყენება ავტომატიზმამდე უნდა დავიდეს. ეს ავტომატიზმი წლობით მუშავდება. მთამსვლელისათვის იგი ყველაზე ძვირფასია. ამიტომაა, რომ მთამსვლელი თავისი სპორტული მიღწევების ზენიტს 40 წლის ასაკისათვის აღწევს, თუმცა ფიზიკურად იგი ამ დროისათვის ის აღარ არის, რაც მაშინ, როდესაც მთამსვლელობას პირველად ხელი მიჰყო, ეს კი მომეტებულად 18-20 წლის ასაკში ხდება. სპორტის სხვა სახეობებში 40 წლის სპორტსმენს უკვე ბებერთა კატეგორიაში რიცხავენ...

ზოგს მთამსვლელობაში მხოლოდ სპორტული ჟინი იტაცებს, ხოლო არიან ისეთი მთამსვლელნი, რომელთა გატაცებას კიდევ სხვა რამ ემატება, ამ ჟინზე უფრო ძლიერი. ეს არის ბუნების სიყვარული, თავდავიწყებული გატაცება მთიანეთის ბუნების სიმკაცრითა და ძლიერებით. უცხონი ხშირად გვეკითხებიან, რა დაგვრჩენია მწვერვალებზე, რა გვიტაცებს მთამსვლელობაში. ამ შეკითხვაზე პასუხს უცბათ ვერც კი გასცემ. მთა გვაჯადოებს მარად თოვლიანი მწვერვალების ელვარებით, მათი მოალერსე ბრწყინვალე მზითა და მთვარის ზღაპრული სხივოსნობით, იგი გვაჯადოებს ღრუბელთა ქარავნებით მწვერვალთა გზებზე, ზვავთა გრუხუნით, განთიადის სიჩუმითა და დაისის სევდით. და ვინც ერთხელ მაინც იგემა ეს ბანგი, ის კვლავაც მთისკენ მიისწრაფვის. ადამიანის გრძნობათა წყებას თითქოს კიდევ ერთი ახალი გრძნობა, მთის გრძნობა ემატება. მთაში, ბართან შედარებით, რაღაც ახალი შეიგრძნობა. მთამსვლელი სულ ახლოს, მანამდე მისთვის უცნობსა და შორეულ სამყაროს ეზიარება.

ამ გრძნობათა გარეშე მთამსვლელის გზა ნაკლული და ერთფეროვანია, მის შემოქმედებაში არაფერია ახალი, ის მხოლოდ სხვათა მიერ გაკვალული გზებით დადის. მხოლოდ ამ გრძნობას შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს მთის ზვიად ბუნებასთან შეჭიდებული ადამიანი.

მრავალ მთამსვლელს შევხვედრივარ კავკასიონზე, იყვნენ მათ შორის ფენომენალური გულ-კუნთის მქონენი, რომელთა მაჯა თითქმის არ ხშირდებოდა ყველაზე უფრო ძნელ ადგილებშიაც კი; იყვნენ კლდის ვირტუოზები, რომლებიც დაცოცავდნენ შვეულ სიპებზე და რაღაც თილისმით მაინც არ ვარდებოდნენ; იყვნენ ისეთებიც, ვისაც გადაღეჭილი ჰქონდათ მთამსვლელობის მთელი თეორია და შეეძლოთ ეკითხათ დაუსრულებელი ლექციები იმის შესახებ, თუ რატომ დააბიჯეს მათ ფეხი ასე და არა სხვანაირად, სწორედ მარჯვენა ფეხი და არა მარცხენა და სწორედ ამ წერტილზე და არა რომელიმე სხვაზე. მაგრამ თითქმის ყველას აკლდა მთავარი, აკლდა მთის გრძნობა და მისი სიყვარული. მათი მოსვლა და წასვლა მთამსვლელობის ისტორიაში უკვალოდ იკარგება"...

ოთარ გიგინეიშვილის ამაგს უკვალოდ არ ჩაუვლია ქართველი მთამსვლელებისათვის. უთუოდ მისმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 1954 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველწლიურად, ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა ჯგუფი პამირის მთიანეთს სტუმრობდა და მნიშვნელოვან გამარჯვებებსაც აღწევდა. სწორედ ამ წარმატებებისა და მთამსვლელობაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის მიანიჭეს მას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

* * * * *

ქართველ მთამსვლელთა შორის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი **ალექსი ივანიშვილი,** რომლის მხრებზეც გადაიარა საბჭოთა კავშირში პირველი კლუბის - საქართველოს ალპური კლუბის მოწყობა-მოწესრიგებისა და განვითარების სიმძიმემ.

თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მან დიდი ამაგი დასდო ქართველ მთამსვლელთა ერთადერთი კერის – საქართველოს ალპური კლუბის საქმიანობის წარმოჩენას. სწორედ ლექსო ივანიშვილის დროს შეიქმნა ალპური კლუბის ინფრასტრუქტურა – შესანიშნავი ბიბლიოთეკა, უნიკალური არქივი, მთამსვლელთა სპორტული მიღწევების კარტოთეკა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო 1959 წელს გამოცემულ კრებულს "კავკასიონზე" და მასში მოცემულ უნიკალურ საცნობარო მასალას – "საქართველოს მთამსვლელთა ასვლების მატიანეს".

ალექსი ივანიშვილის დირექტორობის დროს საქართველოს ალპური კლუბი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. ტარდებოდა ცნობილი მთამსვლელებისა თუ მეცნიერების ლექცია-სემინარები, მნიშვნელოვან ასვლათა საანგარიშო მოხსენებები, საიუბილეო და ხსოვნის საღამოები, რომლებშიც ახალგაზრდა მთამსვლელებიც მონაწილეობდნენ. ასე თანდათანობით, უფროსი თაობის მხარდამხარ, მათი ყურადღებითა და მზრუნველობით იზრდებოდა ქართული მთამსვლელობის მომავალი, რამაც განაპირობა კიდეც მათი შემდგომი უდიდესი წარმატებები საკავშირო ჩემპიონატებზე მეკლდეურობასა თუ მთამსვლელობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ეს იყო ერთადერთი საშუალება, ქართველ მთამსვლელებს დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის და ბოლომდე გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები.

ალექსი ივანიშვილმა იმგვარი თბილი გარემო შექმნა ალპურ კლუბში, რომ ახალგაზრდობა თავს ვალდებულად თვლიდა ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით, კლუბში ცოტა ხნით მაინც მისულიყო და მთამსვლელობის საკითხებზე ესაუბრა უფროსი თაობის თუ თანატოლ მთამსვლელებთან. ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი ქართველ მთამსვლელთა დიდ ოჯახს წარმოადგენდა და ეს ერთობა-სიახლოვე ბუნებრივია, სპორტულ შედეგებზეც დადებითად აისახებოდა.

ალექსი ივანიშვილი, ოთარ გიგინეიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ქართველ მთამსვლელთა პირველ გასვლებს პამირ-ტიან-შანში, საიდანაც არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს საქართველოში.

ძია ლექსო შესანიშნავი ორგანიზატორი გახლდათ, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო ხალხმრავალი და შორეული ექსპედიციების მოწყობა მაღალმთიანეთში. იგი საკუთარი შვილივით უფრთხილდებოდა და დაჰკანკალებდა ალპინისტურ საჭურველს, რომლის შოვნა და შეძენა იმ დროისთვის დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

მთამსვლელობაში შეტანილი წვლილისა და ახალგაზრდა მთამსვლელთა აღზრდა-დაოსტატებაში გაწეული ამაგისათვის 1961 წელს ალექსი ივანიშვილს მთამსვლელობაში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭა.

მისი, როგორც შესანიშნავი ორგანიზატორისა და კარგი მეურნის სახელი ცნობილი იყო საქართველოში. ამიტომ, როცა საქართველოში ღია ცის ქვეშ ქართული ყოფის ამსახველი მუზეუმის შექმნა გადაწყდა, ამ საქმის ხელმძღვანელად და ორგანიზატორად უყოყმანოდ დანიშნეს ალექსი ივანიშვილი. მან აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და არქიტექტორ ლონგინოზ სუმბაძესთან ერთად უმოკლეს დროში ფეხით შემოიარა მთელი საქართველო და თბილისში ჩამოიტანა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ოდა სახლები თუ უნიკალური ეთნოგრაფიული ექსპონატები, რომელთა საფუძველზეც აღმოცენდა დღეს უკვე მსოფლიოში ცნობილი თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომლის პირველი დირექტორი ბრძანდებოდა მთამსვლელობაში გამობრძმედილი და დამსახურებული მოღვაწე ბ-ნი ალექსი ივანიშვილი.

ბ-ნი ლექსოს ეს წარმატება ყველა ქართველ მთამსვლელს ახარებდა და ეამაყებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ მამულიშვილთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაკლებობას ქართული მთამსვლელობა არაოდეს უჩიოდა, რაც თავის მხრივ, სპორტის ამ უნიკალურ და ვაუკაცურ სახეობას განსაკუთრებულ ხიბლსა და მიმზიდველობას ანიჭებდა.

* * * * *

კოტე ჯავრიშვილის მთამსვლელობაში მოღვაწეობა 1930-იანი წლებიდან დაიწყო. 1936 წელს მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ასვლა მწვ. ლაზგწითზე, 1937 წელს კი ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით სუათისის მყინვარით ავიდა მწვ. ჯიმარაზე. ათი დღის შემდეგ თვითონ უხელმძღვანელა ასვლას მწვ. შინოზე, ერთი კვირის შემდეგ კი ალიოშა

ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობდა და დალაშქრა შანის (იგივე შავანა) მთავარი მწვერვალი, მწვ. ყურო და ავიდა მწვ. თეფლიზე 4400 მეტრამდე; 1938 წელს ხელმძღვანელობს თელავის რაიონულ ალპინიადას მწვ. ქომიტოზე და ადის მწვ. ძნელაძეზე. ამავე წელს გაიარა ე.წ. "მცირე ტრავერსი" - ფასის მთიდან წურუნგალამდე, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, ლევან გოთუა და ივანე გალუსტოვი. ეს ლაშქრობა 1940 წელს განხორციელებული ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. ამის შემდეგ კოტე ჯავრიშვილმა არაერთ ალპინიადას თუ სპორტულ ასვლას უხელმძღვანელა, რომელთაგან აღსანიშნავია 1939 და 1940 წლებში ჩატარებული აფხაზეთისა და თბილისის ალპინიადები მწვერვალ ფიზკულტურელსა და მყინვარწვერზე. 1942 წელს უხელმძღვანელა სამხედრო ნაწილის ასვლას მწვ. სამსარზე. 1944 წელს კოტე ასტახიშვილთან, ალექსი ივანიშვილთან და სხვებთან ერთად დალაშქრა ირანის უმაღლესი მწვერვალი დემავენდი (5671 მ.). ამის შემდეგ კი მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ასვლები მწვერვალებზე: ბანგურიანზე, სვეტღარის დასავლეთ და მთავარ მწვერვალებზე, ლალვერზე, გესტოლაზე,

კატინთაუზე, ორთაყარაზე; 1945 წელს განახორციელა ასვლები მწვერვალებზე: ჯანტუგანი, დონღუზორუნი, მარიანა, თეთნულდი, გალითაუ, დალაყორა, რუსთაველი, ჯანღა. 1946 წელს უხელმძღვანელა ასვლებს მცირე უშბასა და აღმოსავლეთ შხელდაზე. მაგრამ მის მაძიებელ ბუნებას მარტო მწვერვალებზე ასვლა არ აკმაყოფილებდა, იგი ცდილობდა ამ დროს ნანახი და განცდილი სხვებისთვისაც გაეზიარებინა, ეს კი მთამსვლელობის პოპულარიზაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა. წლების განმავლობაში იყო ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და დიდ დროს უთმობდა კლუბის საქმიანობას, ახალგაზრდების შემოკრებას, მთამსვლელობაზე წერილობითი მასალების მოძიებას, რაც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა ქართული ალპინიზმის მასშტაბურად წარმოჩენისათვის.

ქართველი მთამსვლელები ალპურ კლუბში. ალექსი ივანიშვილი, ბექნუ ხერგიანი, ავთანდილ ძიძიგური, ლევან ახვლედიანი, კოტე ჯავრიშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, მარინე უთმელიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, გივი ყალაბეგიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კოტე ჯავრიშვილის კვლევები, ნარკვევები, წერილები თუ სტატიები ქართული მთამსვლელობის შესახებ, ეხება იგი კავკასიაში შექმნილ პირველ ალპურ კლუბს, კავკასიელ გამყოლებს, ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოსადგურს თუ მთასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

კოტე ჯავრიშვილის ნარკვევებში, წერილებსა თუ სტატიებში მრავალ საინტერესო ისტორიასთან ერთად ვეცნობით გამოჩენილ ქართველ მთამსვლელებს, მათ ღვაწლსა და დამსახურებას კავკასიონის მთების შესწავლაში. სწორედ კოტე ჯავრიშვილის დამსახურებაა, რომ არ დაგვეკარგა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველ მთამსვლელთა სახელები. ბ-ნი კოტე მხატვრულად აღწერდა ქართველ მთამსვლელთა სახიფათო, მაგრამ წარმტაც და საინტერესო მოგზაურობებს. თავისი მადლიანი კალმით მან არაერთი მთამსვლელის პორტრეტი გააცოცხლა, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ისე სრულყოფილად არავის დაუხატავს ალიოშა ჯაფარიძის პორტრეტი, არავის გაუანალიზებია მისი ღვაწლი და

დამსახურება ქართული ალპინისტური სკოლის შექმნაში, როგორც ეს კოტე ჯავრიშვილმა გააკეთა თავის ნარკვევში "მთის რაინდი".

სხვადასხვა დროს, იგი, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, რომლებიც მთამსვლელობასთან უშუალო კავშირში არ იყო, მაგრამ აქაც დაუღალავი პოპულარიზატორი იყო სპორტის ამ ეროვნული სახეობისა.

ქართულ ენციკლოპედიაში მუშაობის დროს, სადაც იგი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციას ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებული ყურადღებითა და გულმოდგინებით ეცნობოდა იმ მასალებს, რომლებიც მთამსვლელობასთან იყო დაკავშირებული. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მან თავის რედაქციაში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი ქართველი მთამსვლელი ქალი, სპორტის ოსტატი, გეოგრაფი მარინე უთმელიძე, რომლის ხელშიც გაიარა მთამსვლელობასთან დაკავშირებულმა თითქმის ყველა სტატიამ.

ასევე აღსანიშნავია კოტე ჯავრიშვილის დამსახურება ქართული მხატვრული ფოტოგრაფიის ფუძემდებლის, შესანიშნავი მთამსვლელის - გურამ თიკანაძის წინაშე. მან ჟურნალ "დროშაში" ფოტორეპორტიორად მიიყვანა იგი, რითაც შესაძლებლობა მისცა (მივლინებების წყალობით) ფეხით შემოევლო საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული თავის განუყრელ ფოტოაპარატთან ერთად. სწორედ ამ პერიოდში შექმნა გურამმა თავისი ბრწყინვალე ფოტოსურათების უდიდესი ნაწილი.

1962 წელს კოტე ჯავრიშვილმა გურამ თიკანაძესთან ერთად იმოგზაურა აფხაზეთში – შავი ზღვის სანაპიროზე, რათა წიგნი დაეწერათ აფხაზეთზე. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, რის შესახებაც დანანებით იგონებდა ბ-ნი კოტე: "... წიგნი არ დაიწერა, - მაგრამ დარჩა მოგონება შესანიშნავ ადამიანზე, რომელიც, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, თავისი თავისადმი ესოდენ სასტიკი და მომთხოვნი იყო. იმ შემოდგომით გადაღებული ასეული ფირიდან მხოლოდ რამდენიმეს ეღირსა გამოქვეყნება.

ვიხსენებ იმ დაუწერელი წიგნის ამბავს და ვფიქრობ თვით გურამზე. მას ხომ ამდენი განზრახვა, გეგმა, სწრაფვა და ოცნება დარჩა აუხსნელი...

გურამი შესანიშნავი მთამსვლელი იყო, ამიტომაც მისი სურათები ზუსტად ასახავენ მთამსვლელის განცდებს.

მრავალ სურათს შორის, რომლებიც ქმნიან გურამის მთასვლურ სუიტას, ორი სურათი ყოველთვის გვაკვირვებდა.

... მთამსვლელი უახლოვდება მწვერვალს. ქვევით ბურუსით მოცული მთების პანორამა ინთქმება საღამოს ბინდში. მთამსვლელის წინ მხოლოდ ჩამავალი მზით გაშუქებული თოვლიანი მწვერვალის უკანასკნელი შეფერდებაა. საშტორმო ტანსაცმლით შებურული ადამიანის ყოველ ნაკვთში დაღლილობა, მაგრამ ამავე დროს, ძალა გამოსჭვივის. ხელში აკრეფილი გაყინული, მოუქნელი თოკის გორგალი განვლილი გზის სიძნელეზე მოგვითხრობს. მთამსვლელის თვალებს მუქი სათვალე ფარავს, მაგრამ სახე მწვერვალისაკენ, თვალუწვდენელი ლაჟვარდისაკენ, გამარჯვებისა და მომავლისაკენ მიუპყრია...

და კიდევ ერთი, სულ უბრალო, გრაფიკულ სისადავემდე ამაღლებული სურათი: ჩანს პიტალო ყინულის კედელი, ცივი, ულმობელი, განუზომლად ვრცელი, პირქუში და მიუკარებელი. მაგრამ მას სერავს ლარივით გაჭიმული თოკი და თოკის ბოლოზე წერაყინაღმართული ადამიანის პატარა ფიგურა, პატარა, მაგრამ ზამბარასავით დაჭიმული, ქედუხრელი, დაუძლეველი... უყურებ და გჯერა, რომ იგი ყველა სიძნელეს დაძლევს, დაიპყრობს მწვერვალს.

გურამ თიკანაძის მთასვლური სუიტა ჩვენი სპორტის მადიდებელი, ამაღლებული სიმღერაა, რომელიც ახალი მიღწევებისაკენ გვეძახის"...

ეს მცირე ამონარიდი კოტე ჯავრიშვილის მოგონებიდან იმიტომ მოვიხმეთ, რომ აღგვენიშნა ბ-ნი კოტეს ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება – პიროვნების ნიჭისა და მასშტაბის შეუმცდარი განჭვრეტდა. ქვეყნისა და ხალხისადმი უანგარობისათვის უყვარდა მას გურამი და მისი მსგავსი ახალგაზრდები.

კოტე ჯავრიშვილი თავად იყო სამაგალითო პიროვნება. სამწუხაროდ, ერის სიკეთისათვის დამაშვრალ ამ მართლაც ენციკლოპედიური ცოდნის კაცს არ დასცალდა მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ მისი სასიკეთო და სამაგალითო საქმეები მომავალ თაობებს გადაეცემა. ხანმოკლე სიცოცხლე ერგო მის ერთადერთ ვაჟსაც, ჩემს უახლოეს მეგობარს, კოლეგასა და თანამშრომელს, დიდად განათლებულ, უწესიერეს კაცს ვასილ ჯავრიშვილს. მამის საქმე მან ღირსეულად განაგრძო ენციკლოპედიაში და მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალებზე არასოდეს ასულა, ქართული მთამსვლელობის მხურვალე თაყვანისმცემელმა, მთამსვლელობასთან დაკავშირებული არაერთი სტატია და ნარკვევი დაამუშავა, რომელსაც ენციკლოპედიის სხვადასხვა ტომში შეხვდება დაინტერესებული მკითხველი.

* * * * *

გამოჩენილ ქართველ მთამსვლელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და პრიზიორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, არაერთი თაობის აღმზრდელს, სპორტის ოსტატ **ალექსანდრე ნემსიწვერიძეს**, რომელიც მთამსვლელურ სარბიელზე 40-იან წლებში გამოვიდა. მან დიდი მუშაობა გასწია ქუთაისში ალპინიზმის განვითარებისათვის და ქუთაისელი მთამსვლელები მოკლე ხანში გაიყვანა საკავშირო სპორტულ არენაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი ქუთაისის მთამსვლელთა სკოლის შემქმნელია, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი სახელოვანი მთამსვლელები, როგორებიც იყვნენ ლევან, ზურაბ, ავთანდილ, გიორგი ახვლედიანები, ვალერი გაბელაშვილი, მურად ჭიჭინაძე, მამუკა ციხისელი და სხვა მრავალი.

მისი სპორტული მიღწევებიდან აღსანიშნავია კავკასიონის დიდი ტრავერსი წურუნგალიდან თეთნულდამდე, რომელიც ტრავერსების კლასში 1952 წლის საუკეთესო ასვლად მიიჩნიეს მთელ საბჭოთა კავშირში. მისი, როგორც მწვრთნელისა და ექსპედიციის ხელმძღვანელის დამსახურებაა, რომ 1965 წელს გუნდმა მიხეილ ხერგიანის (უმცროსი) ხელმძღვანელობით გაიარა აილამა-მისისთაუს ტრავერსი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

ალექსანდრე ნემსიწვერიძე შესანიშნავად ფლობდა ალპინიზმის ტექნიკას და ამავე დროს შეუდარებელი ტაქტიკოსიც იყო. მან, პირველად ჩვენს ქვეყანაში დააყენა რთული მარშრუტების სწრაფად გავლის საკითხი. გარდა ამისა, პირველად მან შემოიღო ტრავერსების ტექნიკურად რთული კედლით დაწყება.

განსაკუთრებულია ალექსანდრე ნემსიწვერიძისა და მისი მთამსვლელი მეგობრების დამსახურება მიუვალი მღვიმე-გამოქვაბულების შესწავლაში, რომელთა სიღრმეში შეღწევაც მხოლოდ ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით იყო შესაძლებელი.

ხვამლის მასივი თვალშეუდგამი ქარაფებით, კარსტული მღვიმეებით, დაბურული ტყეებითა და კანიონებით ქუთაისიდან ჩრდილოეთით ორმოციოდე კილომეტრზე მდებარეობს. ხვამლის მეცნიერულ შესწავლას, ჯერ კიდევ 1939 წელს დაუდო სათავე ალიოშა ჯაფარიძემ. იგი პირველად ეწვია ხვამლის ხელოვნურ ქვაბულს, ხოლო 1945 წლის ივნისში მოაწყო დიდი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდა ხვამლის კალთებზე გაზრდილი, სოფელ ტვიშში დაბადებული ალექსანდრე ნემსიწვერიძე. ამ ასვლაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. იგი იმითაც გახლდათ საგულისხმო, რომ სპორტულის გარდა, კონკრეტულ მეცნიერულ მიზნებსაც ისახავდა. ატემ, როგორც მას ეძახდნენ მისი თანამედროვენი, გამოიკვლია ორხვისა და ტვიშის, ქობთავისა და თრეხვის გამოქვაბულები, სადაც მოწინავე და პირველი სიძნელის გადამლახველი მუდამ თვითონ იყო. ამის შემდეგ, პროფესიით ისტორიკოსმა მთელი სიცოცხლე მთებს დაუკავშირა. იგი სიცოცხლის ბოლომდე შთაგონებული იყო დიდი სპორტული მიზნებითა და უმწიკვლო მოქალაქეობრივი გრძნობებით.

ცნობილი მწერალი და მთამსვლელი, ალექსანდრე ნემსიწვერიძის თოკის მეწყვილე ლევან გოთუა, ხატოვნად აღწერს ორხვის გამოქვაბულში მეგობრის შესვლას: "... ატე გულზვავიანად მიეძალა კლდეს... მაგრამ არც კლდე დახვდა ჯაბანად და ვიდრე ატე პირველ პალოს დააჭედებდა, კლდემ გულისპირი მოიგულვა და ატე-კაცს სავალი აუსხლიტა.

... მე მრავალჯერ მივლია ატე ნემსიწვერიძესთან მწვერვალებზე, ქვაბულებში, ძველ ძეგლებზე, კარსტულ მღვიმეებში...

ის ღამე ატემ კლდეზე მიბმულმა გაატარა, უცეცხლოდ, უთბილსამოსოდ, სამაგიეროდ მეორე დილით ჯიქურ შეუტია კლდეს და მაინც გაიტანა თავისი.

- თოკი მომეცით, თოკი! უფრო ლაღად – ჰაერში არწივივით ყივის და ბზრიალასავით ბრუნავს ადამიანი... ტან-ფეხებით ცდილობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ეს ფრინველ-კაცი.

ჯერ ვერ მოვასწარით შვებით ამოსუნთქვა, რომ ზევიდან ძახილი მოგვესმა:

- აბა თოკის კიბე გაამზადეთ!

ვეცით, გავშალეთ. მალე ქვაბულისწინა შვეულ ღარში თოკი ჩამოუშვა ატემ. ჩვენც კიბის მარყუჟი ჩავუბით, თოკის კიბე გაიშალა, აცოცდა და როგორც ოდესღაც, მისავალი გაუჩინა ორპირის ქვაბს...

... ატემ თოკი ჩამოუშვა. მკერდზე შევიბი და კიბეს ავეთათე...

... ქართველი – კლდის ნაშიერია, მისივე წილი... ამიტომ იზიდავს კლდე... არა და რა წარმოუდგენელმა გასაჭირმა ამოიყვანა ჩვენი წინაპართაგანი ორპირის უწყლო და უმოწყალო გამოქვაბულში"...

განსაკუთრებულია ალექსანდრე ნემსიწვერიძის დამსახურება მე-11 საუკუნის წარწერიანი ქვა-ჯვარის აღმოჩენაში. ალპინისტური ტექნიკის გამოყენების გარეშე იგი ვერ შეაღწევდა ქარელის რაიონის სოფელ თრეხვის გამოქვაბულში, სადაც ეს უნიკალური ქვა-ჯვარი აღმოჩნდა შემდეგი წარწერით:

"მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმერთებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალთარსალან სილტანისაგან ოხრობისათა ქორონიკონსა ს პ ვ (1066)".

"...ქვაბ-სახიზრები ჩვენი ერის ისტორიული ყოფის განუყრელი ნაწილია. ატე ნემსიწვერიძემ, თავად განათლებით ისტორიკოსმა, კარგად უწყოდა, რომ... "სწორედ აქ, მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ "ქართლის ცხოვრების" დაფანტული ფურცლები, მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშები"... ამიტომაც ეძებდა იგი გულდინჯად, თავგამოდებით... ეძებდა და პოულობდა კიდეც" - წერდა ლევან გოთუა და ამის დასტურად თრეხვის გამოქვაბულის აღმოჩენას იმოწმებდა, როცა 1957 წელს ალექსანდრე ნემსიწვერიძემ ლევან გოთუასთან და გივი გაფრინდაშვილთან ერთად, "ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი დამწერის ლეონტი მროველის სამყოფელში შეაღწია, საიდანაც მე-11 საუკუნით დათარიღებული წარწერიანი ქვა-ჯვარი ჩამოიტანა.

ამ აღმოჩენამ, თრეხვის ქვა-ჯვარისა და "ქართლის ცხოვრების" ლეონტი მროველის იგივეობა უდავო გახადა, რითაც გამართლდა ჩვენი დიდი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძისეული წინასწარი დათარიღება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ "ქართლის ცხოვრების" გადარჩენილი, უძველესი ანასეული ხელნაწერი მე-15 საუკუნისაა, ხოლო უფრო ადრინდელი ცნობა არც აღმწერლებისა და არც ტექსტების შესახებ ჯერჯერობით არ ჩანს, ცხადი ხდება თრეხვის ქვა-ჯვრის აღმოჩენის დიდი მნიშვნელობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ აღმოჩენის ერთ-ერთი შემოქმედი მთამსვლელობის ცნობილი ოსტატია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მთამსვლელობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლა-განვითარებაში.

თუ მოგონება სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავს, მაშინ ალექსანდრე (ატე) ნემსიწვერიძის სიცოცხლე გრძელდება, რადგან მას ხშირად ახსენებენ მისი მეგობრები, კოლეგები, რომლებიც მასთან ერთად ასულან კავკასიონისა და პამირის გოროზ

მწვერვალებზე, მადლიერებას გამოხატავენ ისინი, ვინც მისი ხელმძღვანელობით პირველად ეზიარა მთის სიძნელეებს და დაუღალავად იარა საქართველოს გზა-ბილიკებზე... იგონებენ და არც მომავალში დაივიწყებენ ამ სულითა და სხეულით ძლიერ ადამიანს, რომელიც მრავალი კეთილი საქმის წამოწყების მოთავე და სულისჩამდგმელი იყო...

* * * * *

ქართულ ალპინიზმის ისტორიაში არაერთი ოჯახი გვხვდება, რომლის რამდენიმე თაობა თავგანწირვითა და ერთგულებით ემსახურებოდა მთამსვლელობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ სპორტის ამ ეროვნული სახეობის წინსვლა-განვითარებაში. ასეთთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა **ქირიკაშვილების** ოჯახს. ამ ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენელი ნიკო ქირიკაშვილი ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების, დავით წერეთლისა და სხვათა ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან ასვლებს ახორციელებდა კავკასიონის მწვერვალებზე, შემდგომ კი თვითონ ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს კავკასიონზე.

ვახტანგ ქირიკაშვილი

მან 1931 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, დეევდორაკისა და აბანოს მყინვარების გამყოფი ქედით, ასვლა განახორციელა მყინვარწვერზე, რომელზეც ამ მხრიდან არავინ ასულა.

1932 წელს ნიკო ქირიკაშვილი, იაგორ კაზალიკაშვილთან, კაკო მართნ, ასმათ ნიკოლაიშვილთან, ანდრო ხეთაგურთან და შალვა ჩოფიკაშვილთან ერთად, დავით წერეთლის ხელმძღვანელობით, შოთა მიქელაძის დაღუპვის შემდეგ, შოთას გზით ავიდა მყინვარწვერზე. იმავე წელს იგი იულია კამერონთან ერთად ავიდა ჭაუხების ერთ-ერთ მწვერვალზე.

ქირიკაშვილების ოჯახისათვის განსაკუთრებული იყო 1937 წელი, როცა ალიოშა ჯაფარიძემ რამდენიმე ალპინიადა მოაწყო მყინვარწვერსა და ქაბარჯინაზე. ამ ალპინიადაში მამასთან – ნიკოსთან ერთად მონაწილეობდა 14 წლის **ვახტანგ ქირიკაშვილი**. ისინი დასავლეთის მხრიდან ავიდნენ ქაბარჯინაზე, რაც პირველასვლა იყო. ამასთან დაკავშირებით ასვლის ხელმძღვანელი წერდა: "მეხუთე ლაშქრობა ჩატარდა 10-12 სექტემბერს აქამდე აუღებელ მწვერვალ ქაბარჯინაზე. ეს მწვერვალი სოფ. სიონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და თავისი შავი სილუეტით ლურჯი ცის გუმბათის ფონზე ჰქმნის მშვენიერ პანორამას, რომელიც მგზავრის თვალწინ აიმართება ხეობის გასწვრივ ყაზბეგის მხრიდან სამხრეთისაკენ გახედვისას. გზა, რომლითაც ავიდა ჯგუფი, შეიძლება მივაკუთვნოთ მე-4 კატეგორიის სიძნელეს (უკანასკნელი 150 მეტრის ასვლასა და ჩამოსვლაზე საჭირო შეიქნა ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკის გამოყენება და 11 საათი დრო). მწვერვალზე ავიდა 6 კაცი: ალიოშა ჯაფარიძე (ხელ-ლი), არჩილ ღუდუშაური, ლევან გოთუა, ი. არუთინოვი, ნიკო და ვახტანგ ქირიკაშვილები. დაბრუნებისას, ჯგუფის ნაწილი ჩამოშვებულ იქნა სხვა გზით, რომელიც ასვლის გზასთან შედარებით უფრო ადვილი აღმოჩნდა. ჩამოსვლისას ჩვენს მიერ აღმოჩენილი გზა, თითქმის ერთადერთი გზაა მწვ. ქაბარჯინისაკენ. ეს გზა, როგორც ჩანს, არ იყო გამოვლენილი იმ ჯგუფების მიერ, რომლებმაც სცადეს ქაბარჯინაზე ასვლა ჩვენამდე, რითაც აიხსნება მათი ცდის უშედეგობა" (ალიოშა ჯაფარიძე - რჩეული ნაწერები, 1949, გვ. 227).

აქედან მოყოლებული, ვახტანგ ქირიკაშვილმა, ჯერ მამასთან, შემდეგ კი შვილთან ერთად, მთელი ცხოვრება მთამსვლელობასა და მონადირეობაში გაატარა და მრავალი ღირსეული მეგობარი შეიძინა. მისი და მისი ოჯახის სამაგალითო ურთიერთობებზე ხშირად საუბრობენ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. ვიდრე ვახტანგ ქირიკაშვილის ასვლების შესახებ გიამბობთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთი ამბავიც გავიხსენოთ, რომელიც მამამისს – ნიკო ქირიკაშვილს უკავშირდება.

ალიოშა ჯაფარიძე და ნიკო ქირიკაშვილი

ცნობილია, რომ 1936 წლიდან ხევში გაიხსნა დევდორაკის ალპინისტური ბანაკი, რომელსაც გიორგი ბაქრაძე ხელმძღვანელობდა. 1938-39 წლებში დევდორაკის ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი იყო ალექსანდრა ჯაფარიძე და მასთან ინსტრუქტორებად მუშაობდნენ ნიკო ქირიკაშვილი, გივი გაბლიანი, ოსმან კაზალიკაშვილი და სხვები. მაშინდელი ისტორია-თავგადასავლები შემდეგ გალექსა ვადიმ ჩხენკელმა, რომელმაც მთელი პოემა მიუძღვნა მთამსვლელთა საბანაკო ცხოვრებას (ხელნაწერი ინახება ალექსანდრა ჯაფარიძის პირად არქივში). პოემაში მშვენივრადაა წარმოჩენილი ნიკო ქირიკაშვილის პორტრეტი და მისი მონადირული ხასიათი, რაც შემდეგ მის შვილსა და შვილიშვილებსაც გამოჰყვათ.

გთავაზობთ რამდენიმე სტროფს ამ პოემიდან:

“ბანაკში დაჰკრეს საყვირი ყველანი ფეხზე დგებიან,
გივის და მისსა ლაშქარსა გულიან ესალმებიან,
სიხარულს ცეცხლი დაენთო გულები მისგან ბნდებიან,
ვაჟები მხიარულობენ, მთები ბანს ეუბნებიან.
ლაშქართან ნიკოც მოვიდა ქირიკაშვილის გვარისა,
მხარბეჭიანი, ფეხმარდი მსგავსი არწივის შავისა,
ვარ მისი ქების გამგონე და არ მსმენელი ავისა,
მის ქებას ცალკე მეც ვიტყვი შნო თუ მომეცა ამისა.
გამოჩნდა მთაი მაღალი, მიუსავალი კლდიანი.
მაღლით ღრუბელი ჰფარავდა, დაბლით ფერდობი მწვნიანი;
შეჰყურეს დაინახვიდნენ ჯიხვი ბალახს სძოვს, რქიანი.
თვალსა იამა მის ნახვა თითქო დარია მზიანი.
ნიკომ რა ჯიხვსა თვალი ჰკრა, გულმა დაუწყო ძგერანი ...
გადახტა, თითქო ჯიხვია, კლდეს აჰყვა, როგორც მერანი.
სწადიან ახლოს მიიჭრას ისმინოს ჩლიქვთა ბგერანი ...
თოფი ინატრა: - ესროლოს დაჰღვაროს სისხლის მელანი,
ასთალოს კარგი სამწვადე შეაფუცხუნოს ალზედა ...
მაგრამ რაი ჰქნას, არ ჰკიდის ვაჟკაცსა თოფი მხარზედა;
დაღონდა, ცრემლი მოადგა არწივსა ორთავ თვალზედა.
შეჰსტვინეს, ჯიხვნი შეაკრთეს, არეკეს მაღალ მთაზედა.

პირველად აღარ კრთებოდნენ მოსულთა დანახვაზედა,
ამაყსა კისერს იგრეხდნენ, იყურებოდნენ განზედა,
ბოლოს რქიანმა ისკუპა ქვიდან გადახტა ქვაზედა,
მას სხვა ორიცა იქ მყოფი გამოჰყვა კვალი-კვალზედა,
როგორც ნიავი მიჰქროდნენ რქებსა არტყამდნენ რქაზედა,
უკან არ მოიხედვიდნენ თითქო არ ხტოდნენ ხრამზედა.
ავიდნენ, მთებსა შეესხნენ ადამიანის ხმაზედა ...
მის შემდეგ ვიტყვი მყინვარი, როგორ აიღო ლაშქარმა,
გივიმ, გზა როგორ გაჰკაფა, მამაცმა, არა ლაჩარმა.
თავს ნიკო დაგვსტრიალებდა მოსიყვარულე ძმობისა,
გააჩნდის ყველა ღირსება მეგობრის მეგობრობისა,
კლდიდან კლდეზედა გადახტის, ვით რამე ჯიხვი რქიანი,
არც თავსა ავი შეამთხვას, არცა სხვას უქნას ზიანი".

ვახტანგ ქირიკაშვილი უკვე რამდენჯერმე იყო სხვადასხვა მწვერვალზე ნამყოფი, როცა 1940 წელს და-ძმა ჯაფარიძეებმა ცენტრალურ კავკასიონზე მოწყობილ დიდ ტრავერსში მიიწვიეს. საუკეთესო ქართველ მთამსვლელებთან ერთად ლაშქრობამ ახალგაზრდა ვახტანგს მეტი გამოცდილება შესძინა და 1943 წლიდან უკვე თავად იყო კავკასიონის მწვერვალებზე ასვლის ხელმძღვანელი.

კეთილშობილი, მეგობრული ურთიერთობის მოტრფიალე, გამოცდილი ინსტრუქტორი და საიმედო მეგზური ვახტანგ ქირიკაშვილი ყველასთვის სასურველი იყო მთამსვლურ ლაშქრობებში. ალექსანდრა ჯაფარიძეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ბავშვები მთაში როცა მიჰყავდა, მის გვერდით ყოველთვის ვახტანგ ქირიკაშვილი იდგა. ასე იყო 1949 წელსაც. პიონერთა სასახლის ბავშვების ჯგუფმა, სადაც ვახტანგი ინსტრუქტორი იყო, ხევში დალაშქრა: ყურო (კიბის მყინვარიდან), რუსთავის პიკი და აკაკი წერეთლის მწვერვალი, ხოლო ცოტა უფროსებმა და გამორჩეულებმა - ანატოლი ქავთარაძემ, დიმიტრი ყანდარელმა, რეზო ნათაძემ, რეზო მაყაშვილმა, ტრავერსით გაიარეს მწვერვალები: ილია ჭავჭავაძე-სიმონ ჯაფარიძე-გამარჯვება-პიონერთა სასახლის პიკი (პირველასვლა). მანამდე ასეთ რთულ ასვლებს ბავშვებს არიდებდნენ და საამაყოა, რომ ეს ტრავერსი დღემდე განუმეორებელია.

ზის ნიკო ქირიკაშვილი

ვახტანგ ქირიკაშვილის მიღწევათა შორის მნიშვნელოვანია 1951-52 წლების უშბის ტრავერსი და მისი ხელმძღვანელობით მოხევეთა ჯგუფის მიერ შხელდის ხუთივე მწვერვალის დალაშქვრა.

ქირიკაშვილების ოჯახმა, კაზალიკაშვილების ოჯახთან ერთად, გარდა მთამსვლელობაში წარმატებისა, მთელი ეპოქა შექმნა ხევის სტუმარ-მასპინძლობის ისტორიაში, რაც დღემდე დაუვიწყარია ყველა მთამსვლელისათვის, ვინც კი ერთხელ მაინც მოხვედრილა ამ სტუმართმოყვარე ოჯახში. ძველი თაობის მთამსვლელები დღესაც იხსენებენ, როგორი სიხარულით, ხელგაშლილობითა და სახეღიმილიანი ხვდებოდნენ ოჯახის მამაკაცები და

დიასახლისები მოულოდნელად მისულ სტუმრებს. მთიდან ჩამოსულ, ოჯახის სითბოს მონატრებულ, დაღლილ და მოშიებულ მთამსვლელებს როგორ უმასპინძლდებოდნენ ცნობილი "საფირმო" მოხეური ყაურმითა და ტრადიციული ხინკლით, რომელიც თითქოს ულევი იყო. მთამსვლელებს დღემდე კარგად ახსოვთ ვახტანგ ქირიკაშვილის დედა - ქ-ნი მარიამი - ყველასთვის საყვარელი დეიდა მარუსა, მეუღლე - მუდამ ჯარასავით მოტრიალე, ქ-ნი იზოლდა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ოჯახური ტრადიცია მომდევნო თაობებშიც გაგრძელდა.

თითქოს სიმბოლურია, რომ შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ასვლაზე, რომელსაც ვახტანგ ქირიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად მყინვარწვერზე იდგნენ მისი შვილები - ლილი, ლალი და შალვა, რომელიც ყაზბეგის მეკლდეურთა ნაკრებ გუნდში გამოირჩეოდა და საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევდა საქართველოს პირველობაზე.

შალვა ქირიკაშვილი

შალვა ქირიკაშვილის ოჯახი ათეული წელია ქართველ მთამსვლელთა დასაყრდენია ხევში. მათი სახლის კარი მუდამ ღიაა მთამსვლელებისათვის. სახელოვანი პაპის საფუძველჩაყრილ ტრადიციას დიდებულად აგრძელებენ შვილიშვილები - ვახტანგი, თემური და ლევანი. ვახტანგი და თემური გამოცდილი ინსტრუქტორები და სამთო მაშველები არიან, რომლებიც მყინვარწვერზე მეგზურობას უწევენ ჩამოსულ სტუმრებს, ლევანი კი ძალზე ძლიერი იყო თავისუფალ ჭიდაობაში და მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა.

შალვა ქირიკაშვილს მთელი საქართველო იცნობს როგორც უბადლო მონადირეს, უღალატო მეგობარსა და შესანიშნავ სახასიათო მსახიობს. იგი ათამდე ქართულ ფილმში მონაწილეობს და გადაიღეს საქვეყნოდ განთქმულმა რეჟისორებმა: თენგიზ აბულაძემ, მერაბ კოკოჩაშვილმა, თემურ ბაბლუანმა, გოდერძი ჩოხელმა და სხვ. როგორც მთამსვლელი, მონაწილეობდა კავკასიონისა და პამირის ექსპედიციებში, ასევე დაუღალავად წინამძღოლობდა მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის მიერ მოწყობილ ბავშვთა ექსპედიციებს ხევში - ჭაუხებში, დევდორაკისა და გერგეტის მყინვარების მისადგომებთან. დიდი მეგობრობა ჰქონდა უდროოდ დაღუპულ ირაკლი გელდიაშვილთან, დღემდე განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებს ჩვენს ცნობილ მთამსვლელებთან.

ღმერთმა ნუ მოშალოს ქირიკაშვილების მოდგმა "ხევის პატარძლის" - მყინვარწვერის საუფლოში.

* * * * *

"ძია მიტო" - ასე იცნობდა ყველა ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს – **დიმიტრი ობოლაძეს**, რომელიც მთამსვლელობაში 1937 წელს ძალოსნობიდან მოვიდა და მას შემდეგ, რაც ოთარ გიგინეიშვილისა და ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით მწვერვალები - ორთავა, ქომიტო და პატარა ქაჩუ დალაშქრა, სამუდამოდ დაუკავშირდა სპორტის ამ სახეობას.

დაუდეგარი, მუდამ ვერცხლისწყალივით მოძრავი დიმიტრი ობოლაძე, ათწლეულების განმავლობაში მრავალი ალპინიადის მომწყობი, ექსპედიციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მთლიანად მთამსვლელობით იყო დაკავებული და მიუხედავად მისი ძალოსნობით გატაცებისა და პირველი სპორტული წარმატებებისა, საბოლოოდ მაინც მთამსვლელობაში დარჩა და გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, რაც მისი ღვაწლისა და დამსახურების აღიარება იყო.



დიმიტრი ობოლაძის მიღწევებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1956 წელს, პამირში, მოსკოვის პიკის დასავლეთ მწვერვალზე (დ. ობოლაძე - ხელმძღვანელი, ლ. და ზ. ახვლედიანები, თ. კუხიანიძე, ჯ. მეძმარიაშვილი, რ. ხაზარაძე) და 1958 წელს შხარის დასავლეთ მწვერვალის სამხრეთი კედლით ასვლა (დ. ობოლაძე - ხელმძღვანელი, დ. დანგაძე, ო. კაპანაძე, ა. ძიძიგური), რისთვისაც საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები დაიმსახურა, ხოლო 1961 წელს მაზერი-უშბა-შხელდის საკმაოდ რთული ტრავერსის გავლისათვის (დ. ობოლაძე - ხელმძღვანელი, ი. ბერუაშვილი, ვ. გაბელაშვილი, გ. დევიძე, ვ. კვაჭაძე, გ. ჯაფარიძე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გარდა მნიშვნელოვანი ასვლების ხელმძღვანელობისა, სხვადასხვა დროს იგი აქტიურად მონაწილეობდა ალპინისტური ბანაკების შექმნა-ჩამოყალიბებაში. იგი იყო ალპინისტურ ბანაკ "აილამის" და "უშბის" ერთ-ერთი პირველი დირექტორი. ხოლო ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბს 1966-83 წლებში ხელმძღვანელობდა; მის ხელში გაიზარდა ქართველ მთამსვლელთა არაერთი თაობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1950-80-იანი წლების ქართველ მთამსვლელთა შორის იშვიათად მოიძებნება ისეთი პიროვნება, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჰქონოდა ძია მიტოსთან ურთიერთობა.

1963 წ. დიმიტრი ობოლაძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან მარუაშვილი საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, ზოვრეთის ქუჩაზე იგი მუდამ სიხარულით მასპინძლობდა თავის სტუმართმოყვარე ოჯახში ახალგაზრდა მთამსვლელებს, რომელთაც დღემდე ახსოვთ ძია მიტოსთან გატარებული საღამოები. არაერთხელ ყოფილა ძია მიტო კეთილმოსაგონარი შეხვედრებისა და ლაღი იუმორის თემა. ქართველი მთამსვლელები დღემდე იხსენებენ, როცა თენსინგ ნორგეი და ედმუნდ ჰილარი პირველად ავიდნენ ევერსეტზე, ძია მიტომ განაცხადა: - "თენსინგს ეზოში ჰქონდა ევერესტი და ავიდოდა აბა რა იქნებოდა, აბა, ჩემს ეზოში ყოფილიყო, თუ ვინმე მომასწრებდაო".

როგორც ხშირად ხდება ხოლმე მთამსვლელთა ოჯახებში, ძია მიტოს ოჯახის წევრები: დედა – ქ-ნი ნადია, მეუღლე – ქ-ნი მაყვალა, ძმა – წლების მანძილზე საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი უშანგი ობოლაძე – მთამსვლელობის დიდი გულშემატკივრები და ხელის შემწყობები იყვნენ.

ვალმოხდილი წავიდა დიმიტრი ობოლაძე ამ ქვეყნიდან. მის ღვაწლსა და ამაგს ყოველი შეხვედრის დროს დღემდე თბილად იგონებენ სხვადასხვა თაობის მთამსვლელები.

* * * * *

ქართულ ალპინიზმში მამაკაცების კვალად, ქალებმაც იმთავითვე მიაშურეს მთას. 1923 წელს, იმ დროს, როცა გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციებში, მამაკაცებთან ერთად ქართველი მთამსვლელი ქალები: მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ლიდუსი ჩხეიძე და ალექსანდრა ჯაფარიძე პირველები კვალავდნენ ბილიკებს კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებისაკენ, ქვეყანას მოევლინა **მარინე უთმელიძე**, რომელმაც სასახელოდ განაგრძო წინამორბედთა გზა.

მთამსვლელობას სტუდენტობის პერიოდში ეზიარა, როცა ალპინიზმის 20 წლისთავთან დაკავშირებით თსუ-ის დოცენტის, გეოგრაფისა და მთამსვლელის მელენტი სანებლიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი. ამის შემდეგ მარინე უთმელიძე ალიოშა ჯაფარიძისა და კოტე ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციებში მონაწილეობდა და მოკრძალებული ბუნების მიუხედავად, როგორც გაბედულმა მთამსვლელმა, ქართული ალპინიზმის გამოჩენილ მოღვაწეთა ყურადღება მიიპყრო.

თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და უკვე თვითონ ხელმძღვანელობდა ალპინისტურ ლაშქრობებს კავკასიონის მწვერვალებზე.

მარინე უთმელიძის სპორტული მიღწევები და პიროვნული თვისებები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1949 წელს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ მზია ერისთავმა ახალგაზრდა მთამსვლელი და ბუნებისმეტყველი პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის ცნობილ კაბინეტში (რომელსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა) მიიწვია პედაგოგად, სადაც ალექსანდრა ჯაფარიძე მუშაობდა და მთამსვლელობის ანბანს ასწავლიდა ბავშვებს. მზია ერისთავი გრძნობდა, თუკი ქალთაგან მთამსვლელობაში ალექსანდრა ჯაფარიძის სპორტულ ღვაწლს ვინმე იმემკვიდრებდა, ერთ-ერთი პირველთაგანი უთუოდ მარინე უთმელიძე იქნებოდა. იგი არც

ამჯერად შემცდარა - მარინე უთმელიძემ ღირსეულად გაართვა თავი ახალგაზრდების გაწვრთნას და პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა მთამსვლელობაში.

მარინე უთმელიძის სპორტულ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1952 წელი, როცა ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა. ამასთან დაკავშირებით თავის დღიურში ჩაუწერია: "სამი დღეა ქარიშხალი მძვინვარებს. უნაგირას გავლას დაახლოებით ოთხი საათი მოვუნდით. შემოგვაღამდა სამხრეთ მწვერვალის კლდეებზე. მეტი გზა არ იყო, კლდეზე მიჯაჭვული ვიყავით მთელი ღამე და გათენებას ველოდით. დილით მშვენიერი ამინდი დადგა და იმავე დღეს რთული კლდეების გადალახვის შემდეგ უკვე სამხრეთ მწვერვალზე ვულოცავდით ერთმანეთს გამარჯვებას".

ამონაწერი ძველი გაზეთიდან: "ზემო სვანეთიდან მივიღეთ ცნობა, რომ ოთხმა ახალგაზრდა მთამსვლელმა - მარინე უთმელიძემ, თორნიკე ტატიშვილმა (ხელმძღვანელი), სარგის ცაიშვილმა და ჯუმბერ მეძმარიაშვილმა - ბრწყინვალედ დაამთავრა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი. ეს არის ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი, რომელიც კი ყოფილა კავკასიონის ამ უძნელეს მწვერვალზე, ხოლო მარინე უთმელიძე - პირველი ქართველი ქალია, რომელმაც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა".

ეს იყო მარინე უთმელიძის უდიდესი წარმატება, რასაც, ბუნებრივია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა - მიიღო მთამსვლელი ქალისათვის მეტად საპატიო - სპორტის ოსტატის წოდება მთამსვლელობაში, იქცა მრავალი პოეტის მუზად, მშვენიერი ლექსი - "ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს" - უძღვნა მას იოსებ ნონეშვილმა; ამ ლექსზე შეიქმნა სიმღერა, რომელიც 55 წლის შემდეგ, დღესაც ძალზე პოპულარულია. მორიდებულსა და მოკრძალებულს, მეტისმეტად თავმდაბალს, ერიდებოდა და მთელი ცხოვრების მანძილზე არ ამხელდა, რომ ლექსის ადრესატი თავად იყო. ამიტომ ცოტამ თუ იცის, რომ პოეტისათვის ამ ლექსის შთამაგონებელი პიროვნება მარინე უთმელიძეა.

"ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს,
მაღალ მთებს, ქარაფებს აფრქვევდა
მინანქარს,
ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს...
ქალი ხარ, ალი ხარ, მითხარი, ვინა ხარ?
არ გეყო, ძალით რომ დაიპყარ ეს გული?
ახლა მთებს მიადექ რისხვით
წარბშეკრული,
უფრთხილდი, ლამაზო, მთა განა გულია?
მანდ ყველგან ქარიშხლის ფრთა
განაბულია.
და როგორც ლომები პირს რისხვით
აღებენ,
ნისლებში ნაპრალთა ვეება თაღები.
უფრთხილდი, ყაზბეგიც ბერი ნუ გგონია,
ჭაბუკის გული აქვს ჭაღარა გოლიათს.
მაგ თვალთა ცდუნებას ვაჰ თუ ვერ
გაუძლოს,
დაგტოვოს თავისთან, მყინვართა
საუფლოს.
...მაგრამ შენ სრულიად არ უფრთხი
არაფერს
და როგორც კიბეებს, აბიჯებ ქარაფებს.
პირველი მიუძღვი გამოცდილ
მთამსვლელებს...
ხან თოვლი გეყრება ხან წვიმა გასველებს.
მე შენმა სურვილმა მთამსვლელად მაქცია,
წერაქვი მიჭირავს, წრიაპი მაცვია...
და ფრთხილად მოგყვები, შენსავით ვიქცევი..
რამდენჯერ აშკარა მარცხისგან მიხსენი.
ფეხი თუ დამიცდა, ხელს მიწვდი მაშინვე,
რამდენჯერ დაღუპვას შენ გადამარჩინე.
მაგრამ ძირს, ქალაქში, როდესაც
ჩავდივართ,
მთამსვლელთა ადათ-წესს ივიწყებ
ადვილად.
შემხვდები ქუჩაში, გულცივად მიყურებ,
მანიშნებ: ბარშიაც მხსნელად ნუ მიგულებ.
ვგრძნობ მე არ ვეკუთვნი მაგ თვალთა
არჩევანს
და ვხედავ ჩვენს შორის ნაპრალის გაჩენას.
მე შენი სიმკაცრის ნაპრალში ვვარდები,
ძვირფასო საშველად ნუ დაგვიანდები,
მე ყველა ნაპრალზე ეს მეტად მაშინებს...
კვლავ ხელი მომეცი, კვლავ გადამარჩინე".

მარინე უთმელიძე მთელ თავის მთამსვლურ გამოცდილებას მოწაფეებს გადასცემდა და პატარა გოგო-ბიჭები კავკასიონის მწვერვალებზე დაჰყავდა. ბავშვებთან ერთად მტკაველ-მტკაველ შემოიარა საქართველოს მთიანეთი. ნათქვამია: "მყინვარებს ჩუმი სიმამაცე სჭირდებათო", სწორედ ამ რწმენით ზრდიდა იგი ნორჩ მთამსვლელებს იმჟამინდელ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში. მათგან მრავალი გამოჩენილი მოღვაწე და სასიქადულო მამულიშვილია, ისინი დღეს თავად ზრდიან ახალ თაობას, მაგრამ მთაში გატარებული დღეები დაუვიწყარია და როგორც აღნიშნავენ, მუდმივი სტიმულის მიმცემი საზოგადოებრივ თუ შემოქმედებით საქმიანობაში.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის შექმნისთანავე მარინე უთმელიძე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციაში იწყებს მუშაობას უფროსი რედაქტორის თანამდებობაზე, სადაც იგი მიიწვია ამ რედაქციის ხელმძღვანელმა, ცნობილმა მთამსვლელმა და გეოლოგმა კოტე ჯავრიშვილმა. იგი კარგად იცნობდა მარინე უთმელიძის, როგორც მთამსვლელისა და გეოგრაფის შესაძლებლობებს. აკი არც შემცდარა – ქართული ენციკლოპედიის თითქმის ყველა ტომში ზედმიწევნით ზუსტად და სანდოდ არის მომზადებული მასალა, რომელსაც მარინე უთმელიძე აწერს ხელს.

მარინე უთმელიძე მუდამ დაკავებული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით და ყველგან დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ტურიზმის სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის საბჭოს წევრი. მინიჭებული ჰქონდა ტურიზმსა და ალპინიზმში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, "სახალხო განათლების წარჩინებულის", "ტურიზმის წარჩინებული მოღვაწის", საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდებები. დაჯილდოვებული იყო ღირსების ორდენით.

მარინე უთმელიძე, ნატო ცნობილაძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, დენიზა გოზალიშვილი, თამარ თულაშვილი-ფურცელაძე

დღესაც, სხვადასხვა შეკრებებზე, ყოველთვის ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც უანგაროდ იღვაწეს მთამსვლელობაში, მოახერხეს გონიერი, განსწავლული, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ამაღლებული თაობების აღზრდა. ამ მოღვაწეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს შესანიშნავ მთამსვლელსა და პედაგოგს, ყველასათვის საყვარელ მარინე

უთმელიძეს, რომელსაც უკვე ჭაღარაშერეული მისი მოწაფეები დღემდე "დეიდა მარინედ" მოიხსენიებენ.

დიდი დრო გავიდა უშბის ტრავერსიდან, მრავალი რამ შეიცვალა ამქვეყნად, უშბა დღესაც ელის ქართველ ქალს, რომელიც გაიმეორებს მარინე უთმელიძის შედეგს, მაგრამ ჯერჯერობით ლეგენდა ლეგენდად რჩება...

* * * * *

ქართულ მთამსვლელობაში ჯაფარიძეთა გვარის ნებისმიერი წარმომადგენელი (მიუხედავად სპორტული მონაცემებისა და მიღწევებისა) პასუხისმგებლობასთან ერთად გარკვეულ სიმძიმესაც განიცდის - ისეთი შეცდომა არ დაუშვას, მთამსვლელობაში ამ გვარის ღვაწლს რომ დაამცრობს. ამ ფიქრით მოდის მთამსვლელობაში თითქმის ყველა ჯაფარიძე.

ალბათ **გიორგი (გოგი) ჯაფარიძესაც** ასეთი განცდა ჰქონდა, შესაძლოა უფრო ძლიერიც, რადგან იგი ამ ოჯახის წევრი იყო და მთამსვლელობას თავისი მამიდა-ბიძების – ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების მაგალითით ეზიარა.

ვიდრე მთამსვლელობაში მოვიდოდა გოგი ჯაფარიძე კრივით იყო გატაცებული და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ოჯახის ტრადიციამ იმძლავრა და მთელი ცხოვრება მთამსვლელობას - სპორტის ამ ლამაზ და ვაჟკაცურ სახეობას მიუძღვნა.

გოგი ჯაფარიძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სპორტული მონაცემებით, უშიშარი ბუნებითა და საოცარი ხელმარჯვეობით. როგორც მამიდა – ალექსანდრა მიამბობდა, გოგის ფანტასტიკური ნიჭი და გამომგონებლის უნარი ჰქონდა ტექნიკაში. იმ დროს, როცა ავტომობილები ჯერ კიდევ თითზე ჩამოსათვლელი იყო, მან საკუთარი ხელით ააწყო ავტომანქანა და მას შემდეგ თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო მექანიკოსად ითვლებოდა. თუმცა ეს ნიჭი მთის სიყვარულს შესწირა. გვარმა მთამსვლელობისკენ გადასძალა... მან კავკასიონის არაერთი საინტერესო და რთული მწვერვალი მოიარა, გახდა უმაღლესი დონის პროფესიონალი მთამსვლელი, სპორტის ოსტატი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.



უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ გოგი ჯაფარიძე როგორც მთამსვლელი, სრულიად ახალგაზრდა - 22 წლისა მონაწილებდა ხვამლის ქვაბულის შემსწავლელ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელსაც მისი ბიძა - ალიოშა ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. საბედნიეროდ, შემორჩა ამ ექსპედიციის გამოქვაბულში შესვლისა და მუშაობის ამსახველი კინოქრონიკა, რომელიც კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეჟისორების მიერაა გადაღებული. სწორედ ამ კინოქრონიკამ შემოინახა ახალგაზრდა გოგი ჯაფარიძის ცოცხალი სახე, დღეს რომ საინტერესო ისტორიულ მასალას წარმოადგენს.

გოგი ჯაფარიძემ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად რუსულ ალპინისტურ ბანაკებში გაატარა. რამდენიმე წელი იმუშავა ბანაკ "აილამაში" სასწავლო ნაწილის უფროსად, შესანიშნავად ხელმძღვანელობდა ბანაკის სპორტულ მხარეს და პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული, საკუთარ გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდობას; ეხმარებოდა ახალბედა მთამსვლელებს პირველი დაბრკოლებების გადალახვაში; ვერ ეგუებოდა საქმისადმი უგულისყურო, ზერელე დამოკიდებულებას, მეტად პრინციპული და მომთხოვნი იყო. ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, უზადო ტექნიკითა და სამაგალითო დისციპლინით გამორჩეული მთამსვლელი და მეკლდეური თამაზ ბაქანიძე ხშირად აღნიშნავს, რომ მის მთამსვლელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი

მიუძღვის გოგი ჯაფარიძეს, რომლის სიცოცხლე სამწუხაროდ, ნაადრევად შეწყდა, იგი ახალგაზრდობის გატაცებას – ავტომანქანას ემსხვერპლა. ავტოკატასტროფაში დაიღუპა თავის საყვარელ სვანეთში, სადაც მთამსვლური ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა.

* * * * *

ქართული მთამსვლელობის ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა **დენიზა გოზალიშვილმა**, რომელიც იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი მეკლდეურობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი (1963-90), საქ. მეკლდეურთა კომიტეტის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების, ალ. ჯაფარიძის სახ. საქართველოს ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.

მან მთამსვლელობასა და ტურიზმში მოღვაწეობა დაიწყო 1940 წლიდან, თსუ-ში სწავლის პერიოდში. 1941 წელს კი საბჭოთა კავშირში ქალთა პირველი ზამთრის სათხილამურო ასვლის მონაწილე იყო მწვერვალ ალაგიოზზე, რომელიც მდებარეობს სომხეთში, ლენინაკანის რაიონში და წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანს. მისი სიმაღლე ზ.დ. 4097 მ-ია და ზამთრობით ალპინისტური ლაშქრობისათვის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. ლაშქრობის ხელმძღვანელმა ალექსანდრა ჯაფარიძემ გაზეთ "კომუნისტის" (№69, 23 მარტი, 1941 წ.) თანამშრომლებს თბილისში დაბრუნებისას განუცხადა: "ეს ლაშქრობა ქალთა საერთაშორისო დღეს მივუძღვენით და ამიტომ ლაშქრობაც სწორედ ამ დღეს დავიწყეთ. ჩვენს ჯგუფში შედიოდნენ ალპინისტი ქალები: ვერა ბელეცკაია, ნატო ცნობილაძე, სელმა ბილხენი, ეთერ ფალიაშვილი, ირინე და ქეთო კევლიშვილები, განა შენგელია, დენიზა გოზალიშვილი და მე.

9 მარტს ჩვენმა ჯგუფმა სოფელ ბიურაკანს მიაღწია, რომელიც ერევნიდან 40 კმ-ით არის დაშორებული. 12 მარტს დილით შევუდექით თოვლით გადალესილ აღმართს ალაგიოზის მაღალმთიანი მეტეოსადგურისაკენ, რომელიც ზ.დ. 3200 მ-ზე მდებარეობს. ძლიერი ქარბუქი და ნისლი ორიენტაციის საშუალებას არ იძლეოდა. მთელი დღე მოვუნდით 16 კმ-ის გავლას და საღამოს მივაღწიეთ მეტეოსადგურს. მოზამთრეები დიდი სიხარულით შეგვხვდნენ.

შემდეგ სამ დღეს კვლავ ცუდი ამინდი იყო. 15 მარტს, მიუხედავად ცუდი ამინდისა, გავსწიეთ ალაგიოზის სამხრეთ მწვერვალისაკენ, რომელსაც დიდი სიძნელეების გადალახვით მივაღწიეთ. 17 მარტს ავედით ალაგიოზის უმაღლეს (ჩრდილოეთ) მწვერვალზე (4097 მ) და იმავე დღეს დავბრუნდით უკან".

1941 წლიდან დენიზა გოზალიშვილი საქართველოს ისტორიის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად იწყებს მუშაობას, მაგრამ არც ალპინისტურ ლაშქრობებზე ამბობს უარს. მისი მთამსვლური მიღწევებიდან მნიშვნელოვანი იყო 1943 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ დიდ ალპინისტურ ლაშქრობაში მონაწილეობა, რომელიც მიზნად ისახავდა ჭაუხების მასივის კვლევას და პირველ ასვლებს აქ არსებულ მწვერვალებზე.

გარდა ამის, დენიზა გოზალიშვილმა განახორციელა ზამთრის ასვლა მყინვარწვერზე, ორწვერზე, მაილზე და სხვ.

შემდეგ მუშაობა დაიწყო ჯერ განათლების სამინისტროს ახლად გახსნილი ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურის (1951), ხოლო 1953 წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგ-მეთოდისტად. სასახლეში მოღვაწეობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსწავლეთა მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობები სხვადასხვა უღელტეხილზე: მამისონი, ბურსაჭირი, ზეკარი. ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე: ყურო, ტერსკოლის პიკი, იალბუზის ფერდობები. 1969 წელს უხელმძღვანელა ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის პირველ რესპუბლიკურ ალპინიადას თრუსოს ხეობაში. 1971 წელს კი - მეცნიერ მთამსვლელ ქალთა ასვლას მწვერვალ არაგაწზე ქართული ფეხსაბიჯებით (თხილამურებით).

ქ-ნი დენიზა იყო ხელმძღვანელი და ინიციატორი წლების განმავლობაში მოქმედი პოპულარული საერთაშორისო ფოტო-კინო კონკურსისა "მთები და ადამიანები" და ბავშვთა ნახატების კონკურსისა "ჩემი მთები", რომლებიც ტრადიციულად ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში ტადებოდა.

ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც მან ქართულ მთამსვლელობაში შექმნა, არის საბჭოთა კავშირში პირველი, საქართველოს მთამსვლელთა მუზეუმი თბილისში და იაგორ კაზალიკაშვილის სახლ-მუზეუმი სტეფანწმინდაში.

1963 წ. ალექსანდრა ჯაფარიძე, დენიზა გოზალიშვილი, თენსინგ ნორგეი, ლუიზა ნარიმანიშვილი, მარინე უთმელიძე

მისი ავტორობით გამოქვეყნებულია გზამკვლევები და ბუკლეტები: "ბეთანია", "მცხეთა", "კოჯორი", "კრწანისი" (1966), "თბილისის შემოგარენი" (1976), "მყინვარწვერი" (1978), "შხარა" (1979), "მიხეილ ხერგიანი" (1982), "შენთვის ნორჩო მოგზაურო" (1986), "კლდოვან ქარაფებზე" (1990), სტატიები ქართული ენციკლოპედიისათვის, საკავშირო და ქართული პრესისათვის, მაგრამ მაინც ცალკე გამოსაყოფია მისი წიგნები "მთის ბილიკებით" (1980) და "მთის მგოსანი" (1980). პირველი წიგნი დენიზა გოზალიშვილის აღზრდილების მოგზაურულ ჩანაწერებზეა აგებული. რაც შეეხება "მთის მგოსანს", იგი შესანიშნავი მთამსვლელისა და პოეტის იაგორ კაზალიკაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, რომელშიც

სიყვარულითა და დიდი სითბოთია დახატული ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის შთამბეჭდავი სახე.

დენიზა გოზალიშვილის მიერ განვლილი ცხოვრება ჭეშმარიტად უნიკალური იყო, რადგან სადაც კი მას წლების მანძილზე უღვაწია, ნათელი და გამორჩეული კვალი აქვს დატოვებული, იქნებოდა ეს მთამსვლელობაში, პედაგოგიკასა თუ პუბლიცისტიკაში.

დენიზა გოზალიშვილს მთამსვლელების მიმართ სიყრმიდანვე დაჰყვა განსაკუთრებული მოწიწებისა და სიყვარულის გრძნობა. იგი მისხალ-მისხალ აღწერდა ქართული მთამსვლელობის მიღწევებსა და ტრაგიკულ თავგადასავლებს, მთებთან მორკინალ ლეგენდარულ მთამსვლელთა პორტრეტებს. ყველა საქმეს თავისი მემატიანე სჭირდება. 60-80-იან წლებში ქართველ მთამსვლელებსაც ჰყავდათ თავიანთი მემატიანე დენიზა გოზალიშვილის სახით.

დიდია დენიზა გოზალიშვილის დამსახურება როგორც ქართულ ალპინიზმში, ასევე ახალგაზრდების აღზრდის საქმეში. მან ღირსეულად განაგრძო მზია ერისთავის, ალექსანდრა ჯაფარიძისა და მარინე უთმელიძის საქმე. ამიტომაც არ ივიწყებენ მას მადლიერი მოწაფეები, რისი გამოხატულება და დასტური იყო 2009 წლის შემოდგომაზე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართული ხსოვნის საღამო, რომელიც "დეიდა დენიზას" - დენიზა გოზალიშვილის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა და უკვე ჭაღარაშერეულმა "მოწაფეებმა" გაიხსენეს დეიდა დენიზასთან ერთად მოგზაურობაში, მთაში გატარებული დაუვიწყარი დღეები.

* * * * *

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია **ვახტანგ კვაჭაძეს** მთასა თუ ქალაქურ ყოფაში, არასდროს დაავიწყდება ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი, არაჩვეულებრივი ენერგიითა და სიკეთით აღსავსე კაცი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ალპინიზმის წინსვლა-განვითარებაში.

კვაჭის (სიყვარულით ასე ეძახდნენ მას უახლოესი მეგობრები), როგორც მთამსვლელს, მრავალი მნიშვნელოვანი ასვლა აქვს განხორციელებული კავკასიონზე და საკავშირო ჩემპიონატის მედალიც მოუპოვებია, მაგრამ გარდა მთამსვლელობისა, იგი შესანიშნავი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო. საკავშირო დაქვემდებარების ალპინისტურ ბანაკებში მყოფ ადამიანებს უთუოდ ემახსოვრებათ მდ. ნაკრის ულამაზეს ხეობაში არსებული ალპინისტური ბანაკი "ნაკრა", რომლის დირექტორი სულით ხორცამდე ქართველი ვახტანგ კვაჭაძე იყო. ადვილი მისახვედრია, რამდენად ავტორიტეტული და ყველასთვის საყვარელი უნდა ყოფილიყო იგი, რომ დიდი სპორტული ტრადიციებით გამორჩეული ბანაკის დირექტორად დაენიშნათ.



სწორედ ამ ბანაკის დიდი დამსახურებაა, რომ აქ ოსტატებად "მოინათლნენ" და ჩამოყალიბდნენ ქართველ მთამსვლელთა შესანიშნავი წარმომადგენლები: თეიმურაზ კუხიანიძე, ოთარ და რეზო ხაზარაძეები, ოთარ კაპანაძე, შოთა მირიანაშვილი, გიორგი ბერძენიშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე და სხვა მრავალი.

ვახტანგ კვაჭაძის დირექტორობის პერიოდში ალპინისტურ ბანაკ "ნაკრაში" მყოფნი ერთხმად აღნიშნავენ მის სითბოსა და პიროვნულ ხიბლს, რაც მთავარია, უჩვეულოდ კეთილ დამოკიდებულებას ახალბედების მიმართ. მაგრამ როცა საქმე ბანაკის სპორტულ საქმიანობასა და მთამსვლური ტრადიციების უგულებელყოფას ეხებოდა, ბ-ნ ვახტანგს მაშინ არც სიმკაცრე აკლდა და არც მომთხოვნელობა. თავად წესრიგის მოყვარული და პუნქტუალური იყო -

ნათქვამს უცილობლად აღასრულებდა. სწორედ მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ "ნაკრა" სხვა ჩრდილოეთის ბანაკებიდან (როგორც მათ ვეძახდით) არა მარტო სპორტული ტრადიციებით, არამედ ქართული სტუმართმოყვარეობით, ყველასადმი კეთილგანწყობითა და მზრუნველობით გამოირჩეოდა; არ ჰქონდა მნიშვნელობა მთამსვლელი დიდი იყო თუ პატარა, გამოცდილი თუ გამოუცდელი, ქართველი თუ არაქართველი, აქ ყველას დიდი სითბო და სიყვარული ხვდებოდა.

მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ვახტანგ კვაჭაძეს განსაკუთრებით დავუახლოვდი და ხშირად ვიყავი მისი თბილი ოჯახის სტუმარი. შესვლისთანავე იგრძნობოდა, რომ აქ ყველაფერი მშობლიური მთების სიყვარულით სუნთქავდა. მისი შესანიშნავი მეუღლე და ქალიშვილი საოცარი სითბოთი და სიყვარულით ეგებებოდნენ ყველას, განსაკუთრებით კი ბ-ნი ვახტანგის მთის მეგობრებსა და თოკის მეწყვილეებს. დაუზარებლად, აღტაცებითა და დიდი სიყვარულით მიამბობდა თავის მეგობრებზე, მასწავლებლებზე, რომლებმაც იგი მთამსვლელობას აზიარეს. ამ საუბრებსა და გარდაცვლილ მთამსვლელთა მოგონებებში არაერთი თბილი და დაუვიწყარი საღამო გაგვიტარებია ერთად. მას სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა შეხვედრებისა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების გარკვეული გეგმებიც ჰქონდა, რაც უთუოდ შეუწყობდა ხელს სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა შორის უწყვეტი სულიერი კავშირის დამკვიდრებას. სამწუხაროდ, ამ მშვენიერი ჩანაფიქრის განხორციელება მას აღარ დასცალდა.

წიგნზე მუშაობისას მრავალგზის ვიგრძენი ვახტანგ კვაჭაძის არყოფნით გამოწვეული ტკივილი, რადგან ქართულ მთამსვლელობას მისი სახით ძალზე აკლია შესანიშნავი მთხრობელი და თავისი თაობის ჭეშმარიტი მემატიანე. დარწმუნებული ვარ, ბ-ნი ვახტანგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, წარმოდგენილი ნაშრომი მრავალი კარგი მოგონებითა და თავგადასავლით გამდიდრდებოდა.

* * * * *

ქართულ მთამსვლელობას დასაბამითვე დაებედა, რომ მას უაღრესად განათლებული, მაღალინტელექტუალური, დიდი მოქალაქეობრივი და ეროვნული სულისკვეთებით

გამსჭვალული ადამიანები გიორგი ნიკოლაძე, ალიოშა ჯაფარიძე, კაკო მარი ხელმძღვანელობდნენ. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ საქართველოს მთამსვლელთა თავკაცად აკადემიკოს ნიკო კეცხოველისა და პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის შემდეგ მოვიდა შესანიშნავი მთამსვლელი, ლიტერატორი, მკვლევარი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **სარგის ცაიშვილი**.

სარგის ცაიშვილს უმნიშვნელოვანესი კვლევები აქვს ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, ავტორია მონოგრაფიებისა შოთა რუსთაველზე, დავით გურამიშვილზე, ბესიკ გაბაშვილზე; ვრცელი წერილები და ესეისტური ნარკვევები უძღვნა გალაკტიონ ტაბიძეს, ლეო ქიაჩელს, ნიკო ლორთქიფანიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ლევან გოთუას. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური კვლევა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაზე. როგორც "ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ დიდი ამაგი დასდო რუსთველოლოგიას; იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სარგის ცაიშვილი ქართველ მთამსვლელთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც ალპინისტური მოღვაწეობა უნივერსიტეტში ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში დაიწყო და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1952 წელს - ძნელად გასავლელი უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი, მით უმეტეს, ჯგუფში ქალიც იმყოფებოდა. სარგის ცაიშვილთან, თორნიკე ტატიშვილთან და ჯუმბერ მეძმარიაშვილთან ერთად ტრავერსში მონაწილეობდა მარინე უთმელიძე, რომელიც ხშირად ამბობდა: - ჩემი ეს მიღწევა ნამდვილი ვაჟკაცებისა და რაინდების - სარგისის, თორნიკესა და ჯუმბერის დამსახურებაა.

მეცნიერული საქმიანობით მუდამ გადატვირთული და დაკავებული, სარგის ცაიშვილი მთამსვლელობისათვის მაინც იცლიდა. 1955 წელს მას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა, 1983 წელს კი ერთხმად აირჩიეს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარედ.

სარგის ცაიშვილს საკმაოდ რთული მარშრუტები აქვს გავლილი კავკასიონზე, რომელთაგან აღსანიშნავია სვეტღარის, დალაყორას, გადილ-ბაშყარას, წურუნგალის ტრავერსები, ასვლები მწვერვალებზე: ჩათინი, არისტოვის პიკი, დიხ-თაუ, მიჟირგი, შხარა, პუშკინის პიკი, მაზერი და სხვ. ხშირად ამ ასვლების ხელმძღვანელი თვითონ სარგისი გახლდათ. სამწუხაროდ, ადრე შეწყდა სარგის ცაიშვილის სიცოცხლე, მას მრავალი საინტერესო იდეა დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ რისი გაკეთებაც მოასწრო, მარად გაუხუნარ ფურცლად დარჩება ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

* * * * *

ქართველ მთამსვლელთა შორის თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა შესანიშნავმა მთამსვლელმა **გრიგოლ გულბანმა**.

მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ასვლის მონაწილემ, სახელი უსაზღვრო ფიზიკური შესაძლებლობით, დიდი ძალითა და გამძლეობით გაითქვა. გრიშა გულბანის მთამსვლელობაში მოღვაწეობის პერიოდში სპორტული რეჟიმის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნა არ იყო. ყველანი ჩვეულებრივი რიტმით ცხოვრობდნენ და რთულ მწვერვალებზეც ხშირად სავარჯიშო ასვლის გარეშე მიდიოდნენ. (თანამედროვენი გრიშა გულბანთან დაკავშირებით იგონებენ შემთხვევას, როცა დიდ პურობაზე მოხვედრილმა ბ-მა გრიშამ ბოლომდე დაცალა ჟიპიტაურით სავსე პატარა ტიკჭორა, მეორე დილით კი ჩიტივით წამოფრინდა და მწვერვალისაკენ გაემართა. გზაში გაჭირვებულ თანამგზავრებსაც მიეხმარა, საკუთართან ერთად მათი ტვირთიც ზიდა და ისე ავიდა მწვერვალზე).

გრიგოლ გულბანმა საინტერესო ფურცლები შემატა ქართული მთამსვლელობის ისტორიას. მისი მონაწილეობით გავლილი წურუნგალა-აილამა-ჯანღა-თეთნულდის ტრავერსი რად ღირს, რომელიც 1952 წელს საუკეთესოდ შეფასდა მთელ საბჭოთა კავშირში. 1954 და 1958 წლებში კი ვერცხლის მედლებით აღინიშნა ენგელსის პიკზე ასვლა პამირში და ფასის მთა-ჯანღის ტრავერსი კავკასიონზე. საყურადღებოა, რომ გურამ თიკანაძემ თავისი პირველი მედალი (ვერცხლი) მთამსვლელობაში სწორედ 1958 წელს გრიგოლ გულბანის ხელმძღვანელობით განხორციელებული ტრავერსის გავლისათვის მიიღო.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს გრიშა გულბანმა ლევან ახვლედიანთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად დალაშქრა შუროვსკის პიკი და მცირე უშბა, ავიდა თეთნულდზე, განახორციელა უშბის, იალბუზის, ყოშთანთაუს და დიხთაუს ტრავერსები. იყო ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, შესანიშნავი პიროვნება, პატრიოტი, ყველასთვის საყვარელი და სამაგალითო. ყველა მთამსვლელი, რომელიც კი შეხვედრია გრიშა გულბანს, გამორჩეული

პატივისცემით იგონებს მას, როგორც ქართული ალპინისტური სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, მთამსვლური ნიჭით დაჯილდოებულ შესანიშნავ მოქალაქეს და სამაგალითო პიროვნებას.

* * * * *

ქვემო სვანეთში, ლენტეხში, მდ. ლასკადურას ნაპირას ცხოვრობდა შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცი, ბრწყინვალე მთამსვლელი **დიმიტრი გუგავა,** რომელსაც სიყვარულით ყველა **ჯოკიას** ეძახდა. მან ხუთი შვილი აღუზარდა ქვეყანას, რომელთაგან სამი ვაჟკაცი მთასაც აზიარა. ერთ-ერთის - მირანგულას სახელი, ჯოკიას მეგობრებმა მწვერვალს დაარქვეს შხარის მასივზე, როცა ტრავერსის დროს გაიგეს ჯოკიას ვაჟიშვილის შეძენა. მამუკა - შესანიშნავი მეკლდეური და მთამსვლელი იყო, უფროსი - ბერდია - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჭიდაობა ძიუდოში, პერსპექტული მთამსვლელი იყო, რომელსაც უშბაც კი აქვს დალაშქრული ერთ-ერთი პოპულარული მარშრუტით - გაბრიელის გზით.

ქართველ მთამსვლელთაგან ცოტას თუ მოუპოვებია ჩემპიონისა და პრიზიორის იმდენი მედალი, რამდენიც ჯოკია გუგავას. იგი ხომ საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი და ორგზის პრიზიორია. ასევე 1952 წელს, როცა საუკეთესო ასვლებისთვის მედლები არ იყო დაწესებული, საუკეთესოდ შეფასდა მის მიერ გავლილი წურუნგალა-თეთნულდის ტრავერსი.



მთამსვლელობის გარდა, ჯოკია გუგავას მეორე დიდი გატაცება ქართული ხალხური სიმღერა იყო, რომელსაც წლების განმავლობაში თავდავიწყებითა და დიდი სიყვარულით ემსახურა. მან, როგორც ფოლკლორულ ანსამბლ "ლილეს" სოლისტმა, საკავშირო და საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ოთხჯერ დაიმსახურა ლაურეატის წოდება და ოთხი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ამავე დროს, მშობლიურ ლენტეხის რაიონში დიდი ენთუზიაზმით იყო ჩაბმული კულტურულ ცხოვრებაში - მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში.

სვანეთისა და საერთოდ, ქართული სპორტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო 1965 წელი, როცა მწვერვალ "აილამას" ძირში დიმიტრი ობოლაძის ხელმძღვანელობით გაიხსნა ამავე სახელწოდების ალპინისტური ბანაკი, რომელმაც უმოკლეს ხანში დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1969 წლიდან ალპინისტურ ბანაკ "აილამას" უფროსად დაინიშნა უკვე სახელოვანი მთამსვლელი ჯოკია გუგავა. მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, მონდომებითა და შესანიშნავი პიროვნული თვისებების წყალობით, იგი წარმატებით ართმევდა თავს მეტად რთულ, მაგრამ პატრიოტულ საქმეს - ქართველ მთამსვლელთა კვალიფიციური კადრების მომზადებასა და დაოსტატებას.

სხვადასხვა წლებში ბანაკ "აილამაში" მთამსვლელებს ჯოკია გუგავასთან ერთად წვრთნიდნენ ცნობილი ქართველი მთამსვლელები და ინსტრუქტორები: სანდრო გვალია, შალვა მარგიანი, გოგი ჯაფარიძე, ლადო გურჩიანი, ვალერი რატიანი, ზაქრო მუშკუდიანი, ვახტანგ საბანიძე, აკაკი ხერგიანი, ალიოშა გაზდელიანი, ვალოდია ქურასბედიანი, გელა გუგავა, ნუგზარ ნიგურიანი, შამილ დადეშქელიანი, ვაჟა მათითაიშვილი, თენგიზ ცერცვაძე ("ძია წეკო"), ჯუმბერ კახიანი, თემურ მაისურაძე, იაკობ ხაბულიანი, ირაკლი ბაქრაძე, გიორგი დევიძე და სხვები.

ჯოკია გუგავას ძმასავით ერთგულად მხარში ედგა ბიძაშვილი და სიყრმის მეგობარი, სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი სოზარ გუგავა.

ასევე დიდად ეხმარებოდა მეგობარი, რაიონის მკვიდრი, ლენტეხის კავშირგაბმულობის უფროსი, შესანიშნავი მთამსვლელი, სპორტის ოსტატი გრიგოლ გულბანი.

სწორედ ამ ხალხის თანადგომამ, ჯოკიასადმი პატივისცემამ და მთამსვლელობისადმი პროფესიულმა დამოკიდებულებამ მოუპოვა დიდი სახელი და საყოველთაო აღიარება ალპინისტურ ბანაკ "აილამას". ბანაკში ყოველწლიურად იზრდებოდა მთამსვლელობით დაინტერესებული სამასამდე ახალგაზრდა საქართველოს, საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომელთა გულუხვი მასპინძელი ჯოკია გუგავა იყო.

ყოფილ საბჭოთა კავშირში "აილამა" მალე ერთ-ერთი პოპულარული ალპინისტური ბანაკი გახდა, რასაც ხელს მისი მდებარეობაც უწყობდა. ამ რაიონშია თავმოყრილი ტექნიკურად რთული ისეთი შესანიშნავი მწვერვალები, როგორებიცაა: აილამა, შხარა, რუსთაველი, ჯანღა, წურუნგალა და ა.შ. ბანაკიდან ამ მწვერვალების ძირში ღამის სათევამდე მისვლა რამდენიმე საათში შეიძლებოდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ბანაკისადმი მთამსვლელთა ინტერესს.

წლიდან წლამდე ბანაკში მომსვლელთა რიცხვი მატულობდა, "აილამა" ვეღარ იტევდა მოზღვავებულ მთამსვლელებს. ჯოკია გუგავამ, დაიწყო ზრუნვა "აილამის" ფილიალისათვის - ახალი ალპინისტური ბანაკისათვის ადგილის შესარჩევად.

მართლაც, აილამასთან ახლოს, ზესხოს ულამაზეს ხეობაში, საფუძველი ჩაეყარა ახალი ბანაკის მშენებლობას. პირველი ბარის დაკვრის მისია ჯოკია გუგავამ ცნობილ მწერალსა და მთამსვლელთა დიდ მეგობარს - გურამ ფანჯიკიძეს დააკისრა. ამ ბანაკის აგებასა და წლების განმავლობაში მის გამართულად მუშაობაში კი ლომის წილი სოლიკო ხაბეიშვილს ეკუთვნოდა, რომელმაც კარგად დაინახა, თუ რა სიკეთის მოტანა შეეძლო ჩვენი ქვეყნისათვის ულამაზესი მთების გარემოცვაში ჩაძირულ ბანაკს.

ჯოკია გუგავამ თავისი სიყვარული ქართული მწერლობისადმი იმითაც გამოხატა, რომ ნამყვამსა და ვახუშტის შორის არსებულ მწვერვალს, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, ქართველი კლასიკოსისა და დიდებული მთამსვლელის - ლევან გოთუას სახელი დაარქვა.

ძნელია მთამსვლელობასა თუ ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში ჯოკია გუგავას ღვაწლისა და დამსახურების, ან მის მიერ მოპოვებული ჯილდოების ჩამოთვლა, მაგრამ ის კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესანიშნავი მთამსვლელი და დიდებული ხელოვანი უზომოდ თავმდაბალი გახლდათ. მისი უბრალოება და თავშეკავებულობა ნაცნობ-მეგობართა გაოცებასაც კი იწვევდა. ჯოკია გუგავას ეს თვისებები კვლავაც გვარწმუნებს, რომ ღირსეულნი თავს არასოდეს იწონებენ. ისინი უბრალოდ, უხმაუროდ, უანგაროდ ემსახურებიან საკუთარ ქვეყანას.

* * * * *



ნიკო კეცხოველის რექტორობისა და ალპინისტური მოღვაწეობის პერიოდში მრავალი ახალგაზრდა ეზიარა მთას. მთამსვლელობაში ერთბაშად მოვიდა ახალი თაობა, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო **ჯუმბერ მეძმარიაშვილი**.

ჯუმბერ მეძმარიაშვილის სახელს დღესაც მოწიწებით ახსენებს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც მიუპყრია მზერა მარადთოვლიანი მწვერვალებისაკენ, რადგან ამ სახელთან ქართული ალპინიზმის გმირული ფურცლებია დაკავშირებული. მთა ყოფილა ჯუმბერისა და მისი ვაჟის - დათოს ბედისწერა, ამიტომაც მწვერვალებმა დაისაკუთრეს მათი სიცოცხლე.

ჯუმბერ მეძმარიაშვილის ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ 32 წელს მოიცავს, მაგრამ მისი სიცოცხლე დღესაც

გრძელდება, რადგანაც ჩვენი დიდებული მწერლისა და მთამსვლელის ლევან გოთუას სიტყვებით რომ ვთქვათ: "დაღუპულები აღარ ბერდებიან და აღარ ხუცდება მათი ხსოვნა".

ფილოსოფოსი და ჟურნალისტი, მაღალი ზნეობის, კეთილშობილი, შინაგანი არისტოკრატიზმის, დიდი სულიერებისა და რწმენის მატარებელი, მუდამ მოწესრიგებული და კოხტა, ტანდაბალი, მაგრამ უშიშარი, მართალი კაცი - აი, ასეთად იცნობდა ქართული საზოგადოება ჯუმბერ მეძმარიაშვილს.

მართალია, მას დიდი მოკრივის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, თავის განუყრელ მეგობრებთან თორნიკე ტატიშვილთან და სარგის ცაიშვილთან ერთად 1950 წელს კავკასიონს შეუტია და ზედიზედ რამდენიმე მწვერვალი დალაშქრა. ერთი წლის შემდეგ კი უკვე თვითონ უხელმძღვანელა ასვლებს კავკასიონის მწვერვალებზე. იმავე სეზონზე ავიდა ჩათინზე, შუროვსკის პიკზე, მცირე უშბაზე, არისტოვისა და მაზერის მწვერვალებზე, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა 1952 წელს უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსისათვის. ეს ტრავერსი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ჯუმბერთან, ასვლის ხელმძღვანელ თორნიკე ტატიშვილთან და სარგის ცაიშვილთან ერთად მონაწილეობდა მარინე უთმელიძე - პირველი ქართველი ქალი, რომელმაც ასეთი რთული ტრავერსი განახორციელა. აღნიშნული წარმატების დასტურად ამ შესანიშნავ "კვარტეტს" სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

ორი წლის შემდეგ ქართველი მთამსვლელები პირველად გასცდნენ კავკასიონს და პამირის მთიანეთს მიაშურეს, სადაც ზედიზედ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე – კომუნიზმის პიკზე ავიდნენ სრულიად ახალი გზით. ექსპედიციამ 27 კმ სიგრძის ღარმოს მყინვარი დაძლია და რთული ყინულვარდნილით ბელიაევის მყინვარზე გავიდა, სადაც ზ.დ. 5000 მ-ზე საიერიშო ბანაკი გამართა. შემდგომ ეს ადგილი აქ მოსული ყველა ექსპედიციის საბანაკო ადგილი გახდა და იგი მთამსვლურ ლიტერატურაში "ქართველთა ნაბინავარის" სახელით შევიდა. ასევე პირველი ასვლა განახორციელა კომუნიზმის პიკის მახლობლად მდებარე უსახელო მწვერვალზე (6853 მ), რომელსაც შემდგომ როსია დაერქვა. ამ შესანიშნავი ასვლებისათვის ჯუმბერ მეძმარიაშვილი და მისი გუნდის წევრები შესაბამისად, ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

მომდევნო წლებში ჯუმბერ მეძმარიაშვილი თანაგუნდელებთან ერთად მოსკოვის პიკზე ასვლისათვის ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, ხოლო მისი ხელმძღვანელობით გავლილი დარვაზის ქედის ტრავერსი და ასევე ზულუმარტისა და იმიერალაის ქედის ტრავერსი (ხელმძღვანელი ლევან ახვლედიანი) წლის საუკეთესო მიღწევად აღიარეს და ოქროს მედლებით აღინიშნა.

ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, მარინე უთმელიძე ბაკურიანში

1961 წელი ტრაგიკულად დასრულდა ქართველი მთამსვლელებისათვის...

"პობედიდან" დაბრუნებისას ტრაგედია

დატრიალდა: მოულოდნელად გარდაიცვალა ილია გაბლიანი და ზ.დ. 7000 მეტრზე პოვა სამუდამო სასუფეველი. ქედზე დაშვებისას თოკზე მოწყდა თეიმურაზ კუხიანიძე და ამ სურათის მხილველი ჯუმბერ მეძმარიაშვილი მეგობრის მისაშველებლად გაემართა. სამწუხაროდ, მანაც მეგობრის ბედი გაიზიარა...

სახელოვანი მამის ხსოვნით იზრდებოდა დათო მეძმარიაშვილი. ვისაც მამები თავზე ადგნენ, მათთან შედარებით ვაჟკაცური ხასიათი ჩამოუყალიბდა დედისერთას. გარეშე თვალი ვერ გრძნობდა, რომ უმამოდ იზრდებოდა, თავად დათო კი ერთი დღეც არ არსებობდა მამის გარეშე.

ნიჭიერმა ყმაწვილმა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ამ დროს უნივერსიტეტში და საერთოდ საქართველოში ალპინიადების ბუმი იყო. უამრავი ახალგაზრდა ეზიარა მთას. ამის წყალობით ბევრი მათგანი გამორჩეულ ადამიანად ყალიბდებოდა. მათთვის არც ვაჟკაცური ქმედებები იყო უცხო და არც რომანტიკული სამყარო. 70-იან წლებში ამაღლებული სულისკვეთების ახალგაზრდები ჭარბობდნენ საზოგადოებაში. ზურგჩანთა და კარავი ამ თაობის განუყრელ ატრიბუტებად იქცა.

დათოს მეგობრებიც დაუმეგობრდნენ მთას. მთაში, ბუნების წიაღში, როგორღაც ლაღდება ადამიანი, დათოს კი როგორც მისი მეგობრები იხსენებდნენ, უთქვამს: "სადაც მივდივარ მამაჩემის სახელი წინ მხვდება, მრცხვენია, მთაში რომ არ ვარ ნამყოფიო" და წავიდა... იქნებ მამის ხატება უხმობდა მაღალი მწვერვალებისკენ?!. ალბათ კავკასიონსაც ხშირად იმიტომ სტუმრობდა, დაოსტატებული ტიან-შანში "პობედაზე" რომ ამაღლებულიყო, მაგრამ... პამირი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა... მწვერვალ როსიადან ჩამოსვლის დროს მან და მისმა მეგობრებმა პამირის მთიანეთს დაუტოვეს თავიანთი მაღალი სულები...

დიდი დრო გავიდა ჯუმბერისა და დათოს გარდაცვალებიდან, ამ დრომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ სიკვდილი ჰფენს ნათელს ბოლომდე პიროვნების ღირსებასა და მასშტაბს. ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული იყო მამა-შვილის ამქვეყნიური ცხოვრება. ამიტომ შეერწყა მწვერვალებს მათი სახელები...

* * * * *

ახალგაზრდობას ყოველთვის ჰყავს თავისი კერპი, თავისი ცხოვრების წესის ერთგვარი კანონმდებელი, რომლის ცხოვრების სტილიც მიბაძვის საგანს წარმოადგენს. 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდებისათვის ასეთი კერპი იყო მზეჭაბუკის დარი **გურამ თიკანაძე** - მოგზაური და მთამსვლელი, მოთხილამურე და მოკრივე, უმახვილესი თვალის მქონე ფოტოხელოვანი და ჟურნალისტი, ერთგული მეგობარი და თავისი მიწა-წყლის უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი.

საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებოდით მას განუყრელი ფოტოაპარატით თუ წერაყინით ხელში. სად არ წვდებოდა მისი თვალი და გონება, ვისთან არ მეგობრობდა - საუკუნეს მიტანებულ მოხუცებთან თუ სრულიად პატარა ბავშვებთან.

განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება სვანეთთან. განუზომელი იყო ამ კუთხისადმი გურამის სიყვარული და სვანებიც ასეთივე სიყვარულით პასუხობდნენ მას. დღემდე სამაგალითოდ რჩება გურამისა და პატარა სვანი ბავშვების მეგობრობა. დღესაც ხშირად იხსენებენ ზემო სვანეთში, როგორც კი გურამი მათ სოფელში გამოჩნდებოდა, მთელი სოფლის ბავშვები გარს შემოეხვეოდნენ და ისიც დღის გარკვეულ დროს მათთან ერთად ატარებდა. ასე უწილადებდა გურამი სვანეთის ახალგაზრდობას თავის სიყვარულს და აკი ამ სიყვარულით დღემდე იგონებენ სვანები სიკეთით სავსე დიდებულ რაინდს.

განათლებით გეოლოგს, თითქოს კავკასიონის მთები და საქართველოს წიაღისეული უხმობდა კვლევებისათვის, მაგრამ მისი თავისუფალი, პოეტური ბუნება ვერ ეტეოდა სპეციალობით შემოზღუდულ ჩარჩოებში, ალბათ, ამიტომაც ხელოვანის ნიჭმა და ალღომ იგი ქართული მხატვრული ფოტოგრაფიის ფუძემდებლად აქცია, ხოლო სპორტულმა ჟინმა და მისწრაფებამ კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზეც აამაღლა.

შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში მოუსვენარი და უცნაური ფიქრები არ ასვენებდნენ გურამ თიკანაძეს. მრავალი კითხვა დაუსვამს საკუთარი თავისთვისაც. ერთგან მის ასეთ ჩანაწერსაც ვხვდებით: "გეოლოგიაში დავრჩე, ფოტორეპორტიორობას მოვკიდო ხელი თუ ოპერატორობას. ჯერხნობით ყველაფერს დინებას ვაძლევ. მე მგონი, დინება ფოტორეპორტაჟთან მიმიყვანს".

1963 წ. გურამ თიკანაძე და ევერესტზე პირველამსვლელი თენსინგ ნორგეი

ახდა გურამ თიკანაძის წინასწარმეტყველება. მისმა სახელოვანმა გზამ, რომელმაც კავკასიონისა და პამირის მრავალ მწვერვალზე გადაიარა, საბოლოოდ იგი ფოტოხელოვნებასთან მიიყვანა. მთამ მისცა მის მზერას მასშტაბი და ჭვრეტის განსხვავებული კუთხე. ამის დასტურია მისთვის დამახასიათებელი ხედვით გადაღებული ფანტასტიკური ფოტო - "მოწყვეტა აილამას ქედიდან", რომელმაც მსოფლიოს საგამოფენო დარბაზები შემოიარა.

მისი ხანმოკლე სიცოცხლე ახალგაზრდა კაცის შეგნებული მოღვაწეობის ამსახველი მართლაც მხატვრული რეპორტაჟია. მისი ცხოვრება კი მხოლოდ ორ თარიღში თავსდება - დაიბადა 1932 წლის 12 სექტემბერს, გარდაიცვალა 1963 წლის 27 აგვისტოს. დაიღუპა მწვერვალ შხარადან დაშვების დროს. შხარა მისი უკანასკნელი მწვერვალი აღმოჩნდა...

ეს ამბავი ჩემს მეხსიერებაშიც სამუდამოდ აღიბეჭდა...

1963 წლის ივლის-აგვისტოში თითქმის ყველა ქართველი მთამსვლელი ზემო სვანეთში იმყოფებოდა. ჩვენი 25-კაციანი ექსპედიცია სოფელ უშხვანარში, "უშბის დიასახლისის" მაკრინე ქურდიანის ოჯახში ბინადრობდა, მეორე ჯგუფი კი, რომელშიც გურამი შედიოდა, სოფელ უშგულში იყო დაბანაკებული.

იმ წელს გახშირებული მარცხის გამო საკავშირო ფედერაციამ საკვალიფიკაციო ასვლები აკრძალა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და მთამსვლელებს ასვლების გაგრძელების ნებართვას დაჰპირდა. ამ იმედით მოიყარეს თავი ქართველმა მთამსვლელებმა ზემო სვანეთში ივლისის დასაწყისში. თვეზე მეტი ლოდინსა და სავარჯიშო ასვლებში გაილია.

10 აგვისტოს ჩრდილო კავკასიის ბანაკებიდან უშგულში გურამ თიკანაძე ჩავიდა და ამბავი ჩაიტანა - ჩრდილო კავკასიის ბანაკებში საკვალიფიკაციო ასვლების ნებართვა მიიღეს და ცოტა ხანში უთუოდ ჩვენთანაც მოვაო. ნებართვის მიღების მოლოდინში, გურამის წინადადებით, უშგულის ჯგუფმა "სვანეთის დედოფალი" - თეთნულდი დალაშქრა. მწვერვალიდან დაბრუნებული გურამი კი პირდაპირ მესტიაში წავიდა ამბის გასაგებად.

აგვისტოს ნახევარი უკვე გასული იყო და მთამსვლელები სეზონს დამთავრებულად თვლიდნენ, ბარგიც კი შეკრული ჰქონდათ, გურამმა მესტიაში შხარაზე ასვლის ნებართვა რომ მიიღო.



22 აგვისტოს ჯგუფი (ივანე წიკლაური, თამაზ ბაქანიძე, ვალიკო ფოფხაძე, გიორგი კობიძე, გურამ თიკანაძე - ხელმძღვანელი) შხარას დასავლეთ კედლისაკენ დაიძრა და 26 აგვისტოს შხარის ქედზე ავიდნენ, მაგრამ გაავდრდა და უკან გამობრუნებულებს გზაში დააღამდათ. კლდის ძირში გაათიეს. 27 აგვისტო მზიანი გათენდა, მაგრამ კლდოვან კედელზე დაშვებისას ქარი ამოვარდა და თოვა დაიწყო. გურამი კლდეში პალოს დასარჭობ ბზარს ეძებდა. ბოლოს მონახა და ჩააჭედა კიდეც, მას კარაბინი გამოსდო, თოკი გაუყარა და "დიულფერის" საშუალებით დაშვება დაიწყო.

მოულოდნელად კლდის ბზარიდან პალო ამოვარდა და გურამი თოკთან ერთად უფსკრულისაკენ გადაეშვა...

ის დღე შავად დაღამდა შხარის თეთრ სამყაროში...

ნაშუადღევს უშხვანარშიც ამოაღწია ამ თავზარდამცემმა ამბავმა. ყველა კუთხიდან მთამსვლელთა ჯგუფები დაიძრა უშგულისაკენ... ჩვენი ექსპედიციის წევრებმა ხანმოკლე საგანგებო თათბირი გამართეს. ალექსანდრა ჯაფარიძეს ეთხოვა ამ ამბის თბილისში ჩატანა. დანარჩენები მყისვე გაემართნენ შხარისაკენ...

განსაკუთრებული მისიით აღჭურვილ ალექსანდრა ჯაფარიძესთან ერთად მესტიიდან სატვირთო თვითმფრინავით თბილისისაკენ მეც გამოვფრინდი. მთელი საქართველოსთვის უნდა გვეუწყებინა გურამ თიკანაძის უკვდავებაში გადასახლება...

ერთი წლის შემდეგ პოეტმა მურმან ლებანიძემ გურამს შესანიშნავი ლექსი უძღვნა, რომელიც უსწრაფესად გავრცელდა ხალხში:

- ვოი!
  რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
  ვოი, რა საშინელია სიკვდილი
  ლოგინში!
  იგიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ
  ყინულის ლოგინში!..
  ვოი, კალა-უშგული შეკრებილა -
  ყანას და სათიბს მომცდარა.
  მთელი სვანეთი შეკრებილა.
  შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
  ვოი, შხარა სისხლით შეღებილა -
  კოხტა თიკანაძე მომკვდარა...
  ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
  გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
  ბექნუ ხერგიანს და ბექნულ ლომებს
  მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში.
  გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
  რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
  საკუთარ ხელით პალო დაუგია,
  საკუთარ პალოზე მომწყდარა...
  ცოცხლისგან საყვედური აუგია -
  თოკი ერთადერთი ჩაუბია,
  თავი სიმამაცით წაუგია,
  ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში...
- "ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე მითხარით ზარი!.."
უშგულში გამოვარდა ივდითი
ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი
დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:
"თეთნულდმა რა მოგცა, უშბაზე რა
გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები
დაგქონდა რამ დაგაპატარავა,
შვილო?!"
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი უკვე დახარჯე...
შენ გაიელვე ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და მიტივტივებს შენი საკაცე...
ვოი, რა უფერულია სიკვდილი
ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი
ლოგინში!
იგიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ
ყინულის ლოგინში!..
გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა.
თავი სიმამაცით წაუგია,
ვიო-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია -
ვარსკვლავი ვარსკვლავებს
მომწყდარა".

მართალია, გურამ თიკანაძე ჩვენ შორის აღარ არის, მაგრამ იგი არ ავიწყდება ქართველ ხალხს; ახლაც, 47 წლის შემდეგ, მრავალი რამ კეთდება მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად. გურამის სახელი ეწოდა ერთ-ერთ ლამაზ მწვერვალს კავკასიონზე, ჭაუხების მასივში, მისი სახელობისაა ახალგაზრდული კლუბი მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, სადაც დაწესებულია სახალხო დღესასწაული "გურამობა".

თითქოს გენეტიკურად გაგრძელდა სვანეთისადმი სიყვარული გურამის შვილში. მამის სახიერი ქალიშვილი ია ყოველმხრივ მხარში უდგას სვანეთის მოსახლეობას და მის სიყვარულს პრაქტიკული საქმიანობით ახორციელებს - ხელს უწყობს სვანეთში სამთო ტურიზმის განვითარებას და ეხმარება მათ მამის სახელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარებაში. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ღირსეული შთამომავლობა არასოდეს ივიწყებს რაინდული სულისკვეთების მქონე ვაჟკაცებს.

* * * * *

1969 წლის 4 ივლისს იტალიის ალპებში, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას, ქვათაცვენაში მოყვა და მოულოდნელად შეწყდა უძლიერესი მეკლდეურისა და მთამსვლელის, მსოფლიოში "კლდის ვეფხვის" სახელით ცნობილი **მიხეილ ხერგიანის** სიცოცხლე...

უკდავებაში გადასახლებამდე მიხეილ ხერგიანმა საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო: კოშკებისა და მწვერვალების გარემოცვაში გაატარა ბავშვობის წლები, პირველი სიმაღლეც აქვე დაძლია. ბანგურიანი იყო პირველი მწვერვალი, 15 წლისამ რომ დალაშქრა. მამისა და ბიძის დაუკითხავად აედევნა ალპინიადას, რომელსაც სანდრო გვალია ხელმძღვანელობდა. ბანგურიანზე დაწყებული გზა მიხეილმა კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა და ალპების ურთულეს მწვერვალებზეც გააგრძელა, არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, კლდეზე ცოცვაში კი მართლაც შეუდარებელი იყო. იგი სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახლდათ მთამსვლელობაში.

ვიდრე მთამსვლელობას ეზიარებოდა, რამდენიმე წლით ადრე მიხეილ ხერგიანი ჭიდაობამ გაიტაცა და რესპუბლიკურ პირველობაზე საპრიზო ადგილი მოიპოვა. მთამსვლელობის ინსტრუქტორთა სკოლის დამთავრების შემდეგ კი მთელი თავისი ცხოვრება მთამსვლელობას მიუძღვნა...

1958 წლის მაისში პეკინიდან მოსული დეპეშა იტყობინებოდა, რომ ჩინელები საბჭოთა მთამსვლელებს ერთობლივ ექსპედიციას სთავაზობდნენ ევერესტზე. გადაწყდა, 1959 წლის გაზაფხულზე, ტიბეტის მხრიდან, მანამდე გაუვლელი ჩრდილოეთის გზით შეეტიათ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალისათვის. მხარეთა შეთანხმებით, ერთობლივი სავარჯიშო ასვლები ლენინის პიკის რაიონში უნდა ჩატარებულიყო. ცნობილ მოსიმაღლეებთან ერთად ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ ნაკრებში ორი ქართველი მთამსვლელი - მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანიც შეიყვანეს.

"ხერგიან-კახიანის წყვილი უეჭველად გამოიჩენს თავს ჰიმალაებშიო", წერდა ამ შეკრებამდე ცოტა ხნით ადრე ევერესტზე პირველი წარმატებული ექსპედიციის ხელმძღვანელი, ლორდი ჯონ ჰანტი, რომელსაც იმავე წელს სწორედ ხერგიანმა და კახიანმა უმასპინძლეს ჩრდილო კავკასიაში, იალბუზის მიდამოებში.

1959 წლის თებერვალში ალპინისტურ ბანაკ "შხელდის" ბაზაზე მოეწყო ნაკრების ექსპედიციისწინა შეკრება, ხოლო 20 მარტს მთამსვლელები უკვე მოსკოვში იყვნენ. ბარგი კარგა ხნის გაგზავნილი იყო და მონაწილენიც დღე დღეზე უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ პეკინიდან მოსული ცნობის თანახმად, ტიბეტის იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია

შეუძლებელს ხდიდა ერთობლივი ექსპედიციის ჩატარებას (1960 წელს, ჩინელმა მთამსვლელებმა პირველად ალპინიზმის ისტორიაში, ჩრდილოეთის მხრიდან მიაღწიეს დედამიწის უმაღლეს მწვერვალს).

ასე ახლოს იყო ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი მთამსვლელი - მიხეილ ხერგიანი ყველა ალპინისტის ოცნებასთან - ევერესტთან, მაგრამ მისი ოცნება განუხორციელებელი დარჩა, თუმცა მიხეილის მთელი ალპინისტური ცხოვრება – ეს იყო გზა ევერესტისაკენ.

მიხეილის მამა - ბესარიონ ხერგიანი

მანამდე, 1957 წელს, როცა ცნობილმა მთამსვლელმა ვიტალი აბალაკოვმა მიხეილ ხერგიანი იოსებ კახიანთან ერთად თავის გუნდში შეიყვანა, ქართველმა მთამსვლელებმა მწვერვალ დონღუზორუნზე ასვლა გადაწყვიტეს ჩრდილო-დასავლეთის კედლით. ეს მარშრუტი რთულია და ამავე დროს მეტად სარისკო. კედელს ვეება ყინულოვანი ქუდი ახურავს, რომელსაც განუწყვეტლივ სწყდება ყინულის უზარმაზარი ლოდები. ეს კედელი გუნდებმა რამდენჯერმე შეიტანეს საკავშირო ჩემპიონატის განაცხადში, მაგრამ ბოლო წუთს ყოველთვის ხელს იღებდნენ მის გავლაზე.

და აი, 21 ივლისს ალპინისტური ბანაკი "შხელდა" მწვერვალისაკენ აცილებს მიხეილ ხერგიანს და იოსებ კახიანს. შტურმი 22 ივლისს ღამით დაიწყო. ჯიბის ფარნის შუქზე გაიარეს ქვედა კლდოვანი სამკუთხედი, შემდეგ ბერგშრუნდიც გადალახეს, ბოლოს ნელ-ნელა გათენდა კიდეც. ამ ასვლასთან დაკავშირებით მიხეილ ხერგიანი იგონებდა: "იოსებმა სამი პალო ჩაარჭო და დაცვაზე დადგა. მე ზევით წავედი. ჩავარჭე პირველი პალო, ჩამოვკიდე

კიბე და საფეხურზე შევდექი. 4 საათს ვმუშაობდი ლავგარდანზე, შემდეგ ყინული ნელ-ნელა გასწორდა და შუადღისას უკვე მწვერვალზე ვიყავით. ძალიან დამეღალა ხელები. იოსები მასაჟს მიკეთებს. მეოთხე დღეს ბანაკში ხმაურიანი შეხვედრა მოგვიწყვეს".

მიხეილ ხერგიანისთვის ყველაზე საყვარელი მწვერვალი უშბა იყო. მას არაერთხელ უთქვამს: - უშბაზე ჩემი მარშრუტით უნდა ავიდეო. ეს სიყვარული მან ამაღლებულად გამოხატა 1964 წელს, როცა ურთულესი ვერტიკალური კედლით, ე.წ. "უშბის სარკით", თავის მეგობრებთან შალვა მარგიანთან, გივი წერედიანთან, ჯუმბერ კახიანთან, ჯოკია გუგავასთან და უმცროს მიხეილ ხერგიანთან ერთად ავიდა მწვერვალზე, რისთვისაც ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურა. ოთხი წლის შემდეგ, უშბასთან დაკავშირებით, მან კიდევ ერთი ლეგენდა შექმნა – მოაწყო ე.წ. "უშბის ალპინიადა" და ჩრდილოეთ მწვერვალზე აიყვანა 45 კაცი, მათ შორის უხუცესი მთამსვლელი, 72 წლის ალმაცქირ კვიციანი.

1967 წელს საფრანგეთში, სადაც მსოფლიო მთამსვლელთა თანავარსკვლავედი იყო შეკრებილი, მიხეილ ხერგიანი შეხვდა პირველი რვაათასიანი მწვერვალის - ანაპურნას დამლაშქრავს, ცნობილ ფრანგ მთამსვლელ მორის ერცოგს. შამონის ალპინისტთა საერთაშორისო შეკრების დამთავრებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე ანაპურნის გმირმა, გაცნობის მიზნით, გულითადად ჩამოართვა თავისი უთითო ხელი მიხეილ ხერგიანს, რომელიც ამ შეკრებაზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო.

1965 წ. მიხეილ ხერგიანი და ალექსანდრა ჯაფარიძე

გრან-ჟორასზე ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა საუკეთესო შედეგი - 12 საათი აჩვენა. ამ ასვლასთან დაკავშირებით ონიშჩენკოს თავის დღიურში ჩაუწერია: "ამ კედლის გავლისას მიშამ მეკლდეურის მთელი ხელოვნება გამოავლინა. ვისაც მიშა ხერგიანი კლდეზე უნახავს და ბედნიერება ჰქონია მასთან ერთად ასულიყო მწვერვალზე, ადვილად გაიგებს ჩემს აღტაცებას". მეორე დღეს მთელი შამონი, შეკრების ყველა მონაწილე ალაპარაკდა ამ ასვლაზე.

შეიძლება ვინმეს პარადოქსულადაც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს გრან-ჟორასის ჩრდილო კედელზე არის გზა, ე.წ. "რუსული ვარიანტი", რომელიც ქართველმა მიხეილ ხერგიანმა და უკრაინელმა ვიაჩესლავ ონიშჩენკომ გაკვალეს.

მეკლდეურობაში სსრკ პროფკავშირების პირველობაზე, რომელსაც 1948 წელს ჩაეყარა საფუძველი, ქართველთაგან პირველ წარმატებას მიაღწიეს და 1952 წლის შეჯიბრებაზე წყვილთა ცოცვაში ჩემპიონები გახდნენ მიხეილ ხერგიანი და შალვა მარგიანი. ამ დღიდან მიხეილ ხერგიანის სახელი განუყოფლად დაუკავშირდა მეკლდეურობას. სსრკ-ში იგი ერთპიროვნული ლიდერი იყო და თანაგუნდელებთან შალვა მარგიანთან, იოსებ კახიანთან, თამაზ ბაქანიძესთან, ტარიელ ლუკაშვილთან, ნუნუ ლაცაბიძესთან, იულია თურმანიშვილთან, ლადო გურჩიანთან ერთად, არაერთგზის გახდა საკავშირო თუ პროფკავშირების ჩემპიონატების ჩემპიონი და პრიზიორი.

1960 წელს მიხეილ ხერგიანმა, პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამავე წელს სსრკ ნაკრებში თავის მეწყვილე შესანიშნავ მთამსვლელ იოსებ კახიანთან ერთად ინგლისში გაემგზავრა, სადაც მათ "კლდის ვეფხვი" შეარქვეს.

1965 წელს ყირიმში ჩატარდა სსრკ პირველი ჩემპიონატი მეკლდეურობაში. მთავარ დისციპლინაში - ინდივიდუალურ ცოცვაში - ჩემპიონი გახდა მიხეილ ხერგიანი. საქართველოს ნაკრები კი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მიხეილ და თინა ხერგიანები, თამაზ ბაქანიძე, ტარიელ ლუკაშვილი, ლადო გურჩიანი, ნუნუ ლაცაბიძე, საუკეთესო იყო გუნდურ ჩათვლაში და პირველ ადგილზე გავიდა.

მას შემდეგ მიხეილ ხერგიანმა არაერთი მედალი მოიპოვა როგორც ინდივიდუალურ ცოცვაში, ისე წყვილთა შეჯიბრებაში.

ბოლო წლებში მიხეილის საუკეთესო მეწყვილე იყო მთამსვლელი ვიაჩესლავ ონიშჩენკო. 1969 წელსაც ერთად იყვნენ და ორი სარეკორდო ასვლა განახორციელეს იტალიაში, დოლომიტის ალპებში; ბოლოს ჯერი სუ-ალტოზე მიდგა. დილაადრიან გავიდა ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილი ვაცოლერის თავშესაფრიდან. თოვლიან და ყინულოვან ფერდობებზე წინ უკრაინელი მიდიოდა. შემდეგ როცა ურთულესი კლდეები დაიწყო, წინ მიხეილი გავიდა. დღის პირველი საათისათვის მთამსვლელებს ნახევარი თოკიღა რჩებოდათ რთულ კლდეებზე. ხერგიანს ვეება შვერილმა გზა გადაუღობა. მიშამ უკან მოიხედა და სლავამ ამ დროს სურათი გადაუღო. შემდეგ ხერგიანი მარჯვნივ წავიდა, სამსაფეხურიანი თოკის კიბის დახმარებით გაიარა რამდენიმე მეტრი, "ბუხარში" შევიდა და თვალს მიეფარა. ონიშჩენკო დაცვაზე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ ქვათაცვენის ხმა მოისმა და...

მთელი საქართველო შეძრა ამ მოულოდნელმა ტრაგედიამ...

სვანეთი საყოველთაო გლოვამ მოიცვა...

ლაღამში, ხერგიანების სახლისაკენ საქართველოს ყველა კუთხიდან ზღვა ხალხმა იწყო დენა. იგრძნობოდა ბოლომდე გაუცნობიერებელი ტრაგედიის სიმძაფრე, ხალხი ვერ შეგუებოდა აზრს, რომ შეიძლებოდა სიკვდილზე მრავალგზის გამარჯვებული მიხეილის გმირული სიცოცხლე ასე უეცრად შეწყვეტილიყო.

მიხეილ ხერგიანი საქართველომ სვანური ზარით გააცილა უკვდავებაში...

სამწუხაროდ, ქართველ მთამსვლელთა დღევანდელი თაობა ვერ მოესწრო მიხეილ ხერგიანს. მის შესახებ მათ მხოლოდ წიგნებიდან და თანამედროვეთა მონათხრობიდან იციან.

ალპინიზმი უმაყურებლო სპორტია და ბევრისათვის უცხოა ის განცდა, რომელიც მწვერვალზე ასვლისას ეუფლება მთამსვლელს, მაგრამ მიხეილ ხერგიანმა, კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატმა, შეჯიბრებებზე მოახერხა თვალსაჩინო და გასაგები გაეხადა მაყურებლისათვის მთაზე სვლის ტექნიკა და ის დაუოკებელი ჟინი, რომელიც მთასთან შეჭიდებულ ადამიანს ეუფლება.

მართალია დიდი დრო გავიდა მიხეილის დაღუპვიდან, მაგრამ მისი სახელი უფრო და უფრო ლეგენდარული ხდება. როგორც აღვნიშნეთ, მიხეილ ხერგიანზე, რომელსაც ინგლისელებმა "კლდის ვეფხვი" შეარქვეს, არაერთი წიგნი დაიწერა, გადაიღეს კინო და ტელეფილმები, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი, რაც მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის გაკეთდა, ახალგაზრდა ქართველი მთამსვლელების მიერ მიხეილ ხერგიანის დაუმთავრებელი მარშრუტის გავლა იყო სუ-ალტოზე.

საქართველოში მომხდარმა კატაკლიზმებმა თითქოს გააფერმკრთალეს და დავიწყების ბურუსში გახვიეს ჭეშმარიტ გმირთა სახელები. მეშჩანური ცხოვრებისა და მომხვეჭელობისკენ ლტოლვამ თითქოს წაშალა დიდებულ მამულიშვილთა ხსოვნა და ცხოვრების ავანსცენაზე საზოგადოებისათვის მიუღებელი კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფები წამოატივტივა, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველებმა კარგად იციან უკვდავების ღირსი თანამოძმეების ფასი და მათ სახელებს არასოდეს ივიწყებენ.

დაღუპულ მთამსვლელთა გახსენებას, ბუნებრივია, მუდამ ახლავს დიდი ტკივილი, მაგრამ აქვე ჩნდება მათ მიერ გავლილი ცხოვრების გზის ხელახალი გააზრების სურვილი.

სწორედ ამ გრძნობით გაემგზავრა იტალიაში ახალგაზრდა მთამსვლელთა ჯგუფი ბენო ქაშაკაშვილის, აფი გიგანისა და გელა ოთარაშვილის შემადგენლობით. ბენო ქაშაკაშვილი, ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად, ტელეოპერატორისა და რეჟისორის ფუნქციასაც ითავსებდა.

გადაწყვეტილება მარტივი და ამაღლებული იყო – 32 წლის შემდეგ გაევლოთ სახელოვანი თანამემამულის – მიხეილ ხერგიანის შეწყვეტილი მარშრუტი მწვერვალ სუ-ალტოზე...

იტალიაში, ჩივეტას მასივზე, 25–მდე მწვერვალს ითვლიან, რომელთა სიმაღლე ზ.დ. 3000 მ–ს აღემატება. ამ მწვერვალებზე ყველა სირთულის მარშრუტს შეხვდებით. სუ-ალტოც ამ მასივის ერთ-ერთი მწვერვალია - ქართველებისათვის ესოდენ გამორჩეული და მნიშვნელოვანი...

მწვერვალის ძირში დგას ვახტანგ ონიანის მიერ შექმნილი ბრინჯაოს შესანიშნავი მემორიალი, რომელიც თავდაპირველად ქალაქის ცენტრში დაიდგა, შემდეგ კი იტალიელმა ალპინისტებმა სუ-ალტოს ძირში ამოიტანეს. აქ, მწვერვალთა სამყაროში, ეს ძეგლი მიხეილ ხერგიანის მთებთან თანაზიარობის უკვდავ სიმბოლოდაა ქცეული.

მარშრუტი სუ-ალტოზე, რომელიც 800–მეტრიან ვერტიკალურ კედელს წარმოადგენს, პირველად 1951 წელს ფრანგების წყვილმა (გაბრიელმა და ლივანოსმა) გაკვალა.

მთამსვლელები აღნიშნულ მარშრუტს, სირთულის გარდა, ხშირად იმიტომაც არიდებენ თავს, რომ აქ ქვათაცვენის მუდმივი საფრთხეა...

ქვათაცვენა ახლაც აფერხებდა ჩვენი მთამსვლელების მოძრაობას, მაგრამ აფის საიმედო დაცვით გელამ კედლის ურთულესი მონაკვეთები დაძლია და კარნიზამდე გავიდა.

ეს ყველაფერი კი ბენომ ვიდეოკამერაზე აღბეჭდა. რამდენიმე მეტრიც და აფი გიგანმა, გელა ოთარაშვილმა და ბენო ქაშაკაშვილმა უკვე მწვერვალზე მიულოცეს ერთმანეთს წარმატება.

მწვერვალზე, როგორც საპატიო ყარაულში, დგანან ახალგაზრდა მთამსვლელები და სიამაყის განცდას მდუმარედ გამოხატავენ... მათ აისრულეს დიდი ხნის ოცნება – ავიდნენ სუ-ალტოზე... მიშას დაუბრუნეს თავისი ვალი...

მწვერვალიდან დაბრუნებულები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მიხეილ ხერგიანის ბრინჯაოს მემორიალთან იმ განცდით, რომ დალაშქრეს სუ-ალტო, მწვერვალი, რომელმაც საუკეთესოთა შორის საუკეთესო მთამსვლელის სიცოცხლე თავის საკუთრებად გაიხადა...

* * * * *

მიხეილ ხერგიანთან ერთად "კლდის ვეფხვის" სახელი მიენიჭა ინგლისში **იოსებ კახიანს,** რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მთამსვლელობას მიუძღვნა. ზემო სვანეთის სოფელ მულახში დაბადებული იოსები ფიზკულტურის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ნალჩიკში ცხოვრობდა და მისი მუდმივი სამუშაო ადგილი ტურისტულ სასტუმრო "ჩეგეტის" სამაშველო სამსახური იყო. 20 წლის იყო, მეორე მსოფლიო ომში რომ წავიდა და ომის დამთავრებამდე იბრძოდა როგორც გვარდიის უფროსი სერჟანტი და ოცეულის მეთაური.



იოსები, რომელსაც შინაურები "ერმინეს" ეძახდნენ, მთამსვლელობაში 1947 წლიდან მოღვაწეობდა. 1950 წელს მიიღო ინსტრუქტორის, 1956 წელს სპორტის ოსტატის, 1963 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის, ხოლო 1967 წელს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. კავკასიონზე, კერძოდ, იალბუზის რაიონში, საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი, როგორც სამაშველო სამსახურის აქტიური ორგანიზატორის სახელი. იგი ხშირად პირადად მონაწილეობდა სამაშველო სამუშაოებში. მას და მიხეილ ხერგიანს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ უცხოელ მთამსვლელებთან. 1957 წელს, ჯონ ჰანტის ხელმძღვანელობით კავკასიონზე ჩამოსულ ინგლისელ მთამსვლელთა ჯგუფს მიხეილ ხერგიანთან ერთად მასპინძლობდა იოსებ კახიანი. ამ ვიზიტის დროს ისინი მონაწილეობდნენ ერთობლივ ასვლაში კავკასიის პიკზე. 1963 წელს ასევე მათ უმასპინძლეს ევერესტზე პირველამსვლელ თენსინგ ნორგეის.

რაც შეეხება იოსებ კახიანის სპორტულ ასვლებს, ძირითადად იგი რუს მთამსვლელებთან აქვს განხორციელებული, თუმცა საქართველოს მთამსვლელთა მიერ მოწყობილ ექსპედიციაშიც არაერთი ჯილდო მოუპოვებია.

1955 წელს ბელიაევის მყინვარით კომუნიზმის პიკზე ასვლისათვის სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ალპური კლუბის გუნდმა, ლევან ახვლედიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და მიხეილ ხერგიანის შემადგენლობით, სსრკ ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები მოიპოვა. ბრინჯაოს მედლით შეფასდა 1956 წელს მიხეილ ხერგიანთან ერთად დონღუზორუნზე ჩრდილო-დასავლეთი კედლით ასვლა. ასევე, 1958 წელს მისი ხელმძღვანელობით "სპარტაკის" გუნდის ასვლა ტიუტიუბაშის ცენტრალურ მწვერვალზე ჩრდილოეთის კედლით, რომელშიც მონაწილეობდნენ იგორ პოლევოი ("გავროშა"), შამილ ტენიშევი, მიხეილ ხერგიანი, მიხეილ ხერგიანი-უმცროსი და შალვა მარგიანი. 1959 წელს ჩემპიონის ოქროს მედლით დაჯილდოვდა ახმად დონიშის (ყოფილი ვოროშილოვი) პიკზე ასვლისათვის. ხოლო 1960 და 1962 წლებში ვერცხლის

მედლები მიიღო ლენინის პიკზე სამხრეთიდან და შუროვსკის პიკზე ჩრდილოეთის კედლით ასვლისათვის, რომლის ხელმძღვანელი თვითონ იყო. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ იოსებ კახიანზე ფილმი გადაიღეს კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეჟისორმა გიორგი გამილაღდიშვილმა და ოპერატორმა ვაჟა აქიაშვილმა, რომლის სათაურია "ძია ერმინე".

* * * * *

მარადიულად დარჩება როგორც საქართველოს, ასევე ქართული მთამსვლელობის ისტორიას **სოლიკო ხაბეიშვილის** სახელი, რადგან ქართული სპორტის ასაღორძინებლად და საკეთილდღეოდ მან უაღრესად მნიშვნელოვან საქმეებს ჩაუყარა საფუძველი. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ იგი 50-იანელ მთამსვლელთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც



ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია მთამსვლელობაში და სახელი გაუთქვა სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას, რის დასტურიცაა ის ფაქტი, რომ 1959 წელს იგი შეყვანილ იქნა საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დედამიწის უმაღლესი მწვერვალის - ევერესტის დალაშქვრას გეგმავდა. სამწუხაროდ, ეს მიწვევა, ტიბეტში პოლიტიკური ვითარების გამწვავების მომიზეზებით ჩაიშალა. 1964 წელს, სოლიკო ხაბეიშვილი საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებ გუნდთან ერთად ეწვია შვეიცარიას, სადაც ტრიანონის რაიონში დორეს ქედის ტრავერსი განახორციელა და ავიდა მონბლანის მწვერვალზე, ხოლო 1966 წელს იოკოჰამის ალპური კლუბისა და გაზეთ "ასახის" მიწვევით იგი თანაგუნდელებთან ერთად იყო იაპონიაში, სადაც იაპონელ მთამსვლელებთან ერთად ავიდა ხოდაკას ჯგუფის კლდოვან მწვერვალებზე და მწვერვალ ფუძიამაზე.

სოლიკო ხაბეიშვილი სკოლის მერხიდან, ახალგაზრდობაშივე გამოირჩეოდა ენერგიულობითა და შრომისმოყვარეობით. წერდა ლექსებს, შესანიშნავად კითხულობდა გამოჩენილ პოეტთა შემოქმედებას, ასევე კარგად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე ჩართული იყო ახალგაზრდულ წრეებსა და გაერთიანებებში, სამეურნეო და პარტიულ საქმიანობაში. მოუცლელობის მიუხედავად, ცდილობდა როგორმე ბოლომდე გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში. იგი ყოველთვის მფარველობდა სპორტს, გამორჩეულად - სამთო სახეობებს. აწყობდა ექსპედიციებს, აშენებდა სამთო-სათხილამურო კურორტს, ალპინისტურ ბანაკებს. ამ მხრივ სამაგალითოა "ზესხოს" ბანაკი. სოლიკო ხაბეიშვილის მრავალი სასიკეთო და სასარგებლო საქმიდან, ბევრი რამ ჩვენთვის დღემდე უცნობია. მაგრამ მისი სახელის უკვდავყოფისათვის ზამთრის სპორტის უნიკალური ბაზის – გუდაურის შექმნაც იკმარებდა. იგი პირველი იყო ვინც პერსპექტივაში განჭვრიტა გუდაურის მომავალი და თავისი წინდახედულობითა და თავდადებით ზამთრის ეს კურორტი ქვეყნის სამსახურში ჩააყენა. იყვნენ სკეპტიკოსებიც... სწორედ ამას ეხმიანება მისი გუდაურისადმი მიძღვნილი ლექსი:

ამ ლამაზ მთებში გუდაურისა ისეთი თეთრი ცეცხლი ანთია,
მგონი ქვეყანას მზე განურისხდა და ყველა სხივი აქ დააფრქვია.
მეტყვით, - მთით ნეტავ აქ ვის აკვირვებ, სადაც უშბაა, სადაც შხარაა,
მაგრამ მე მაინც ჩემსას დავყივლებ: სხვა გუდაური არსად არაა.

სხვაგან, სხვა მთებში ბუდობს დემონიც,
იცის ეს, ვისაც მთებში უვლია, -
გუდაური კი ჰგავს დეზდემონას,
აქ მხოლოდ თეთრი სიყვარულია.

სწორედ გუდაური გახდა ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე ქართველი ახალგაზრდებისა და სპორტსმენების ყველაზე მიმზიდველი და საყვარელი ადგილი. ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ინტერესის სფეროშიც მოექცა და, ამის წყალობით, საქართველოს ყოველწლიურად უამრავი უცხოელი ეცნობა. მთავარი მაინც ის არის, რომ თუკი 80-იან წლებში სამთო-სათხილამურო სპორტს მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი მისდევდა, დღეს მათი რიცხვი ათიათასობითაა. სოლიკო ხაბეიშვილის პატივსაცემად და მისი ხსოვნის აღსანიშნავად გუდაურში ყოველწლიურად ტარდება "სოლიკო ხაბეიშვილის მემორიალი" - შეჯიბრებები სამთო სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელშიც ახალგაზრდებთან ერთად სოლიკო ხაბეიშვილის მეგობრებიც მონაწილეობენ. გუდაურის შეჯიბრებების მონაწილეთა უმრავლესობა არც კი მოსწრებია სოლიკო ხაბეიშვილს, მაგრამ მათი ბაგიდანაც ისმის ამ დიდებული ქართველისადმი მადლიერება, რადგან ახალგაზრდების ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღებისათვის ასეთი შესანიშნავი კერა დაუტოვა მომავალ თაობებს.

სოლიკო ხაბეიშვილი არა მარტო დიდი საზოგადო მოღვაწე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი იყო, არამედ შესანიშნავი პოეტი, ბრწყინვალე მეუღლე, მზრუნველი მამა და უღალატო მეგობარი. მთა იყო მისი გატაცება, მთაში დარჩენილი მეგობრები კი - მისი უთქმელი დარდი და ტკივილი. ეს ტკივილი მოგვიანებით ამ ლექსით გამოხატა:

"ვიხსენებ მე ისევ თეთრ ედელვაისებს
და ყელში რაღაცა მიჭერს,
მზე ისევ უცინის თეთრ ედელვაისებს -
უდროოდ დაღუპულ ბიჭებს".

სოლიკო ხაბეიშვილს გუდაურის მსგავსი არაერთი მასშტაბური პროექტის განხორციელება ეიმედებოდა, მაგრამ არ დასცალდა...

გაივლის დრო, შეიცვლება თაობები, მაგრამ სოლიკო ხაბეიშვილის სახელი მუდამ იარსებებს, რადგან მომავლისათვის გაღებული სიკეთე არ კვდება.

* * * * *

ქართულ მთამსვლელობაში მიხეილ ხერგიანის დარი ვარსკვლავი იყო **ირაკლი გელდიაშვილი.** სამწუხაროდ, არ დასცალდა ბოლომდე ფრთების გაშლა, ვინაიდან რასაც უწინასწარმეტყველებდნენ მისი ნიჭით აღტაცებული მაყურებლები თუ თანაგუნდელები და რა შედეგებსაც მიაღწია, თუნდაც ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიუკურტლუს მწვერვალებზე, ირაკლის თავისი შესაძლებლობების ნახევარიც კი არ გამოუყენებია, ზღვაში წვეთი იყო მასთან შედარებით, რისი გაკეთების პოტენციალიც მას ჰქონდა, რადგან მაშინდელ სისტემაში ყველა მთამსვლელს ძირითადი სამსახური ჰქონდა და მთაში წასვლა მხოლოდ შვებულების დროს შეეძლო. მას რომ მსოფლიოს დღევანდელი პროფესიონალი მთამსვლელების პირობები და საშუალებები ჰქონოდა (რომლებიც თითქმის მთელ წელიწადს მთაში ატარებენ) და არ ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ გივი ქართველიშვილის გუნდზე, რომელიც მხოლოდ შვებულების პერიოდში ახერხებდა რთული ასვლების განხორციელებას, ვფიქრობ, მას ბადალი არ ეყოლებოდა. ამავე დროს, იგი იყო ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი მთამსვლელობასა და მეკლდეურობაში. დღეს მოქმედ მთამსვლელებს ირაკლიზე რომ ესაუბრები, ისინი აღტაცებისა და სიყვარულის გარეშე ვერ

საუბრობენ თავიანთ მასწავლებელზე. ეს ნიჭიც თითქოს განგებამ სპეციალურად დააბერტყა, რომ მისი სიკეთე და მთამსვლელობისადმი სიყვარული მომდევნო თაობებშიც გაგრძელებულიყო.

ყველანი შევხვედრივართ პირველი წარმატებით თავბრუდახვეულ ადამიანებს, მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნას რომ ელტვიან. ირაკლი გელდიაშვილის ცხოვრებას რომ გადახედავ, განგაცვიფრებს ჯერ კიდევ პატარა ბიჭის ღირსეულობა. როგორ შეეძლო დიდი წარმატებების მქონეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც ისე მიეღო, რომ ზედმეტი სიტყვა არ ეთქვა, ახალგაზრდული აღტაცება მაინც არ გამოეხატა. იშვიათად მინახავს მისებრ ღირსეული, თავმდაბლობითა და მეგობრებისადმი უდიდესი სიყვარულით გამსჭვალული პიროვნება. იგი უხმაუროდ, დინჯად და აუღელვებლად ხვდებოდა მილოცვებს. არაერთხელ მინახავს ალპურ კლუბში, როგორ უსმენდა თავის უფროს კოლეგებსა და მეგობრებს, როცა მთამსვლელობის გლობალურ საკითხებს ან რომელიმე მწვერვალზე ასვლის პერიპეტიებს განიხილავდნენ; ლამაზი, მეტყველი, დაფიქრებული და ნაღვლიანი თვალებით მოსიარულე, მოწიწებით ეპყრობოდა უფროსი თაობის მთამსვლელებს და კეთილი ღიმილით ესალმებოდა ყველას. ასეთი იშვიათი მოკრძალებისა და თავმდაბლობის მიუხედავად, ირაკლი ცეცხლოვანი ბუნების კაცი იყო, რაც მის სპორტულ მიღწევებში საუკეთესოდ გამომჟღავნდა, მაგრამ გასაკვირიც არის, რომ ასეთი ბუნების კაცი სპორტული ორიენტირებით იყო გატაცებული და შესანიშნავი წარმატებებიც ჰქონდა სპორტის ამ სახეობაში, შემდგომ მსაჯობდა კიდეც. საერთოდ, მეკლდეურობიდან დიდ მთამსვლელობაში ძალზე იშვიათად გადადიან. ამიტომაც გასაკვირია, მეკლდეურობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, რომელსაც წინ კიდევ მრავალი გამარჯვება ელოდა, მაინც მთამსვლელობას არჩევს; ჩანს, ირაკლის რომანტიულმა ბუნებამ იძალა, რასაც გივი ქართველიშვილის ცნობილ გუნდში მოხვედრამაც შეუწყო ხელი.

პამირი. მწვ. ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, "ზუგვანდის სარკე"

აქ სრულად გაიშალა ირაკლი გელდიაშვილის ნიჭი და შესაძლებლობები. ეს გუნდი ამ პერიოდში უკვე უმაღლესი – მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე დადიოდა. ირაკლიმ თანდათანობით ლიდერის თვისებები შეიძინა, მუდამ წინმავალი იყო და, თაობათა ცვლის პარალელურად, უპირობოდ ამ გუნდის ხელმძღვანელიც გახდა. სამწუხაროდ, კაპიტნის

რანგში მან მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო, მომდევნო წელს კი უშბის ტრაგედია მოხდა - ზვავმა იმსხვერპლა მთელი გუნდი.

ძალზე ძნელია ირაკლი გელდიაშვილზე წარსულში საუბარი. გვამხნევევს მხოლოდ ის, რომ მისი ოსტატობა თაობიდან თაობას გადაეცემა. ირაკლი გელდიაშვილი ჭეშმარიტად უნიჭიერესი მთამსვლელი და ღირსეული კაცი იყო. ასეთად დარჩა იგი ქართულ მთამსვლელობასა და მეკლდეურობაში.

"ოთხმოცდაათიანელი" ბევრი გამორჩეული მთამსვლელი ირაკლის თავის მასწავლებლად და სათაყვანო პიროვნებად მიიჩნევს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება ისიცაა, რომ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ყოველწლიურად საქართველოში ტარდება მისი სახელობის საკმაოდ წარმომადგენლობითი მემორიალი მეკლდეურობაში.

* * * * *

შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული და უნიჭიერესი მეკლდეური იყო **გია საჯაია,** რომელიც შემდეგ საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი გახდა. მის

სპორტულ მონაცემებს როცა ვიგონებთ, გვახსენდება მეგობართა წრეში მონათხრობი ერთი ამბავი, როცა გია, როგორც გულშემატკივარი და მაყურებელი, ესწრებოდა ფეხბურთში საქართველოს ერთ-ერთი წარმატებული გუნდის ვარჯიშს. მწვრთნელი ფეხბურთელებს მძლეოსნური ნორმატივების ჩაბარებასაც სთხოვდა, ამიტომ მათ ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომებშიც ავარჯიშებდა და შეჯიბრებასაც აწყობდა გამარჯვებულის გამოსავლენად. სპორტული აზარტის მქონე გია საჯაიას ფეხბურთელების მწვრთნელისათვის უთხოვია: - მეც ვცდი თავს ხტომებშიო. მწვრთნელს ნება დაურთავს და ფეხსაცმელებსა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს მათზე ბევრად უკეთესი შედეგი უჩვენებია.

მეკლდეურობაში იგი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრიც იყო და იალტის მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილეც. იყო გივი ქართველიშვილის ალპინისტური ექსპედიციების წევრი და თავისი ხუმრობებით, მახვილგონივრული "გამოგონებებით" ყოველთვის ხალისიან განწყობას უქმნიდა მთელ გუნდს.

გია საჯაია და მიხეილ ხერგიანი

გია საჯაიას ალპური კლუბის დირექტორობა საქართველოსათვის ავბედით პერიოდს, 1991-92 წლების მოვლენებს დაემთხვა; შენობა ამ პერიპეტიების ცენტრში მოექცა და კლუბის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად დაზიანდა. ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაუვლია. უკურნებელი სენით შეპყრობილი გია საჯაია ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი მეგობარი

მთამსვლელებისთვის დაუვიწყარია გიასთან მთაში გატარებული პერიოდი და ის ოინები, რომელთა მოგონება კვლავ აცოცხლებს მის ხსოვნას.

* * * * *

საქართველოს მთამსვლელებსა და მთამსვლელობაზე როცა ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ **მაკრინე ქურდიანი**. უშბის ძირში, სოფელ უშხვანარში ცხოვრობდა "უშბის დიასახლისად" და "მთამსვლელთა დედად" მონათლული მაკრინე ქურდიანი, რომლის მდიდარ სულიერ სამყაროსა და თბილ სვანურ კერას მრავალი გამოჩენილი მთამსვლელი, მეცნიერი და მოგზაური მოუხიბლავს. ახალგაზრდობიდანვე არ ყოფილა ზემო სვანეთში რაიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომლის აქტიური მონაწილე თავის მეუღლესთან, უბრწყინვალეს ვაჟკაც გერმანე მემანიშვილთან ერთად მაკრინე ქურდიანი არ ყოფილიყო, ხოლო მთამსვლელობაში იგი, ჭეშმარიტად უშბის ცოცხალი მემატიანე იყო.

საინტერესოა, რომ 1925 წელს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა მედიკოსთა სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა სვანეთში ჩიყვის დაავადების გამოსაკვლევად. ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში ცნობილი ექიმი, მთამსვლელი და საზოგადო მოღვაწე, შემდგომ სპორტის დამსახურებული ოსტატი სოსო ასლანიშვილიც მონაწილეობდა, მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის ოჯახმა თითქმის ორი თვე შეიფარა. მთამსვლელთაგან სწორედ სოსო ასლანიშვილი იყო პირველი, ვინც ამ ოჯახის სითბო და სიყვარული იგრძნო, რაც შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში არ მოჰკლებია მთამსვლელთა თაობებს. აქედან მოყოლებული, ეს ოჯახი იყო სვანეთში ყველა მთამსვლელის მეოხი და შემფარებელი, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

მაკრინე ქურდიანის მეუღლე გერმანე მემანიშვილი, ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მაკრინეს არავითარი ცნობა არ მიუღია მეუღლის დაღუპვის, დაჭრის ან ტყვედ ჩავარდნის შესახებ, ამიტომ ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ გერმანე ცოცხალია.

მაკრინე ქურდიანის თავზე მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ მოდრეკილა ულმობელი ცხოვრების წინაშე. ოთარაანთ ქვრივივით შრომასა და სიკეთის ქმნაში განვლო წუთისოფელი; საკუთარი შვილი არ მიეცა, მაგრამ მოკეთე და მომგონებელი მრავლად ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ქართველ მთამსვლელებს კი საკუთარ და-ძმებად და შვილებად მიიჩნევდა.

საკუთარ ცხოვრებაზე იშვიათად, მაგრამ საინტერესოდ ჰყვებოდა, რადგან თავად ეს ამბები იყო საინტერესო, რომელთაც გამხატვრულება აღარ სჭირდებოდა. ამ ამბავს კი, რომელსაც ერთგვარი სიამაყითაც იხსენებდა ხოლმე, თითქმის საუკუნის ისტორია აქვს:

წინა საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს სვანეთს ამერიკელთა კინოექსპედიცია ესტუმრა უშბის მიდამოებისა და კავკასიონის ულამაზესი მწვერვალების გადასაღებად. მყინვარიდან დაბრუნებისას ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს თავში ქვა მოხვედრია და თავგატეხილი მაკრინეს ჭიშკარს მისდგომია. დიასახლისს გაჭირვებული სტუმარი შინ შეუყვანია, თავი შეუხვევია და

შესანიშნავი იუმორის მქონეს თავისებურად გაუმხნევებია: "არა უშავს, უშბის სამახსოვროდ დაგრჩებაო".

ერთ საღამოს მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის ეზოში დიდი მხიარულება სუფევდა: თეთრ ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალებს სვანურ ქუდებსა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლიან შავ ჩოხებში გამოწყობილ კაცებთან ერთად ფერხული გაუმართავთ. განცვიფრებულ სტუმრებს ეს არაჩვეულებრივი ლხინი გადაუღიათ და ბევრი რამ ჩაუწერიათ სვანური ადათისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ბოლოს ამერიკელ ლინგვისტს ქართულის მცოდნე მოუკითხავს და მისთვის მაკრინე ქურდიანი წარუდგენიათ, რომელსაც ქართულის ცოდნა დედისგან მოსდგამდა. მაკრინეს დედა, მაინე, ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე ყოფილა და კარგად სცოდნია რუსთაველი, ჩახრუხაძე, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი და სხვა ქართველი მწერლები. ისიც ნიშანდობლივი და საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძის დასატირებლად სვანეთიდან 5 მამაკაცთან ერთად თბილისში მაინეც გაუგზავნიათ. პოეტის ცხედართან თურმე დიდხანს ისმოდა სვანური ზარი.

ამერიკელებს ერთი წლით, მაკრინეს წაყვანა მოუსურვებიათ თავიანთ ქვეყანაში, იქნებ ქართული ენა შეგვასწავლოსო, მაგრამ ეს რომ გადაუთარგმნეს, მაკრინეს მტკიცე უარი განუცხადებია: "სიკვდილიც ვერ დამაშორებს ჩემს სვანეთსო"; მეორე დღეს კი ამერიკელებისთვის იაკობ გოგებაშვილის "დედა ენა" მიუტანია საჩუქრად და უთქვამს: "ყველაზე კარგად ეს წიგნი გასწავლით ქართულ ენასო".

უშბაზე ყოველი ახალი იერიშისას ღამეს მის სახლში ათევდნენ მთამსვლელები. გასვლის წინ დიდად მორწმუნე და ღვთისნიერი მაკრინე ქურდიანი ყველას მხურვალედ ლოცავდა, წარმატებას უსურვებდა და ისე აცილებდა რთულ გზაზე დამდგართ. სწორედ ამ სახლიდან მიჰყვებოდათ მთამსვლელებს საოცარი სიმშვიდე და გამარჯვების რწმენა.

ასე გრძელდებოდა მუდამ...

თუმცა მწვერვალზე არასოდეს ასულა, უშბაზე ყველა გამარჯვების მონაწილედ მიაჩნდა თავი და ესეც არ იყო გადაჭარბებული. ყველა მთამსვლელს, რომელიც კი უშბას შესჭიდებია, მაკრინე ქურდიანის ჭერქვეშ უნახავს სტუმართმოყვრული კერა და მაკრინეს დედობრივი სითბო მწვერვალამდე აუტანია.

მაკრინე ქურდიანის ეზო-კარ-მიდამო პირველად 1963 წელს ვიხილე, როცა აქ დაიდო ბინა საქართველოს მთამსვლელთა დიდმა ჯგუფმა, ტიან-შანში დაღუპული მეგობრების – ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის ცოლ-შვილთან ერთად და ოდნავ მოგვიანებით ალექსანდრა ჯაფარიძესთან ერთად მეც შევუერთდი მათ.

მთამსვლელები საკავშირო ფედერაციიდან საკვალიფიკაციო ასვლების ნებართვას ელოდნენ, მაგრამ აგვისტოც ისე მიილია, ნებართვა არ ჩანდა. იმედი გადაიწურა და მთამსვლელებმა თბილისში გასამგზავრებლად ბარგი შეკრეს, ავტომანქანას ელოდებოდნენ. ამ დროს გვაცნობეს შხარაზე გურამ თიკანაძის დაღუპვის ამბავი...

მაკრინეს მწუხარება უსაზღვრო იყო და ეს განცდა, ეს ტკივილი მას სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. მინახავს, გურამის ფოტოს თვალცრემლიანი როგორ ჰკოცნიდა. იყო ამ რიტუალში რაღაც დიდებული, ამაღლებული, დედაშვილური...

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაკრინე ქურდიანსაც დაატყო თავისი ულმობელი ხელი ცხოვრების ორომტრიალმა, ურვამ და დარდმა... ავადმყოფობაც გაუშინაურდა...

ერთ დღეს სვანეთიდან ჩამოსული მეგობარი შემხვდა და მაკრინეს მოკითხვა გადმომცა, თან მისი საყვედურნარევი სიტყვებიც დაამატა - "ჩემთან რატომ აღარ ჩამოდისო". არადა მას შემდეგ მართლაც აღარ ვყოფილვარ სვანეთში. ბევრი აღარ მიფიქრია და საჭირო მედიკამენტებით "დატვირთული" მესტიაში ჩავედი, სასტუმროში დავბინავდი, მეორე დღეს კი უშხვანარში ავედი. ძნელია იმის აღწერა და გადმოცემა, როგორ გაიხარა და ატირდა ეს ქვასავით მაგარი, მრავლისმნახველი და გაუტეხელი ქალი. რატომღაც არ ველოდი მის ასეთ რეაქციას ჩემს დანახვაზე. დაძაბუნება შევატყე. დამენანა...

არ შეგაწუხებთ-მეთქი, წასვლა რომ დავაპირე, ლოყაზე ხელი იტკიცა – ეს როგორ მაკადრეო და სამი დღე არ გამიშვა თავისი სახლიდან. ბევრი ვისაუბრეთ, წასულებიც

გავიხსენეთ, თითქოს სულიც დავუამეთ ერთმანეთს, ცოტა ოჯახშიც წავეხმარე, წამლების მიღების დრო და წესებიც ჩამოვუწერე და როცა გურამის, ალიოშასა და ალექსანდრას წერილებზე დაიწყო საუბარი, ვიფიქრე, ვთხოვ, იქნებ მომცეს და თბილისში გამატანოს-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა – ამ წერილებს როცა ვკითხულობ, მგონია ისინი ჩემ გვერდით არიან და ვეფერებიო. ვიდრე ცოცხალი ვარ, ეს წერილები ჩემთან იქნება და დავიბარებ, ჩემ შემდეგ თქვენ გადმოგცენო. მხოლოდ ალექსანდრას რამდენიმე წერილი მაჩვენა, რომელიც ჩვენი საუბრის დროს იქვე გადავიწერე. სამწუხაროდ, დანარჩენი წერილების ბედი დღემდე უცნობია ჩემთვის. საბედნიეროდ, თან მქონდა ფოტოაპარატი და ვიწროფირიანი კინოაპარატი "კიევი", რითაც მოვახერხე გადამეღო თავისი სახლის წინ მოფუსფუსე "უშბის დიასახლისი". ეს იყო მაკრინე ქურდიანის დიდი ცხოვრების დასასრულის ბოლო კადრები, რომლიდანაც ერთ-ერთი ამ მოგონებას ერთვის.

2007 წლის 12 სექტემბერს გურამ თიკანაძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული "გურამობა", ჩვეულებისამებრ, თბილად და ამაღლებულად ჩატარდა ლატალში. თბილისიდან ჩასულებს გულმა აღარ მოგვითმინა, უშხვანარში ასვლა და მაკრინე ქურდიანის კარ-მიდამოსათვის თვალის შევლება გადავწყვიტეთ. ძველი სახლის გადარჩენილმა პატარა ოთახმა, რომლის ფანჯრიდანაც ჩარჩოში ჩასმული სურათივით უშბა მოჩანდა, ჩვენში 45 წლის წინანდელი მოგონებები გააცოცხლა...

მისხალ-მისხალ ვცდილობდით ყველაფრის აღდგენას. გაცოცხლდა ძველი თავგადასავლები. გარკვეული დროით, როგორც ზღაპარში, ყმაწვილებად ვიქეცით, დავიბრუნეთ ახალგაზრდობა. უშბა კი იდგა მზის სხივებით აელვარებული და ამაყად გვიმზერდა.

* * * * *

პატივცემულო მკითხველო! ჩემს ხსოვნაში შემორჩენილი მოგონებებით, ხელთ არსებული პუბლიკაციებითა და ჩაწერილი მასალით ყველა შესანიშნავი მთამსვლელისა თუ მთამსვლელობის გულშემატკივრის პორტრეტების აღდგენას ბუნებრივია ვერ შევძლებდი, ხოლო რაც წარმოვადგინე შესაძლოა ისეთი არაა, როგორიც ამ დიდებულ მოღვაწეებს ეკუთვნით, მაგრამ მათი სიყვარული მუდამ თან მსდევს, რაც უთუოდ გაამართლებს მათდამი ჩემს დამოკიდებულებას და უკმარისობის იმ განცდას, რაც შესაძლოა მკითხველს დაეუფლოს ამ წიგნის კითხვისას.

მოგონება-თავგადასავლები

თამაზ ბაქანიძე
მეგობრების უმეტესობა მთაში შევიძინე

საქართველოს დიდი ნაწილი მთას უკავია და ამიტომ ქართველ კაცს არ უნდა უკვირდეს, რატომ დადიან მთაში. ყველაზე ძვირფასი, რასაც მთაში ეყრება საფუძველი, ადამიანთა ურთიერთობაა, რაც ხშირად მეგობრობაში გადაიზრდება. მეგობრების უმეტესობა მთაში შევიძინე. ესაა გრძელი რიგი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული და ამჟამად მხნედ მყოფი მთამსვლელებისა. ამ რიგში ბევრი სახელოვანი ადამიანი იგულისხმება. სიამაყის გრძნობით ვიგონებ სახელგანთქმულ მთამსვლელ ალექსანდრე ნემსიწვერიძეს, რომლის მიერ გავლილი მე-5ბ კატეგორიის სირთულის მარშრუტი მწვერვალ დიხ-თაუზე 1964 წელს ჩემი პირველი ურთულესი ასვლა იყო, ნუგზარ ბაქრაძესა და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

მთაში ჩემი პირველი მასწავლებელი და გზის გამკვალავი იყო საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი გოგი ჯაფარიძე. უზადო მთამსვლური ტექნიკის მფლობელი, ერუდირებული მთამსვლელი, რომელიც დიდ გამოცდილებას დაუზარებლად გადასცემდა ახალგაზრდებს.

ჩემს მთამსვლელად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მიშა ხერგიანთან ვარჯიშებმა, მასთან და მის ჯგუფთან ერთად რამდენიმე საინტერესო ასვლის განხორციელებამ. ასევე მასთან ერთად საბჭოთა კავშირისა და პროფკავშირთა საკავშირო პირველობებზე მეკლდეურობაში გამოსვლებმა, სადაც მოვიპოვე გუნდური - ოქროსა და პირადი - ბრინჯაოს მედალი.

დიდი სტიმულის მომცემი იყო ჯგუფის ყველა წევრისათვის 1971 წელს მწვერვალ ჩათინის ურთულესი, მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტის გავლა რომან გიუტაშვილთან და ტარიელ ლუკაშვილთან ერთად.

ჩათინის რომბი

ჩემს სპორტულ მიღწევებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გამოჩენილ მთამსვლელს, ექსპედიციების უბადლო ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს გივი ქართველიშვილს, რომლის ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირის პირველობებზე მოვიპოვე ორჯერ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

მთაში სიარულის უდიდესი სტიმული იყო აგრეთვე ჩრდილო კავკასიისა და შუა აზიის ალპინისტურ ბანაკებში მუშაობა, გამოჩენილ უცხოელ მთამსვლელებთან შეხვედრები. უპირველეს ყოვლისა, ესენი იყვნენ 1952 წელს ევერესტზე შვეიცარიის ექსპედიციის მონაწილენი, მაკალუს პირველი წარმატებული ფრანგული ექსპედიციის ხელმძღვანელი ჟან ფრანკო, ასევე მწვერვალ დჰაულაგირის 1961 წლის წარმატებული ექსპედიციის უფროსი მაქს აიზელინი და თანამედროვეობის უდიდესი მთამსვლელი რაინჰოლდ მესნერი.

1981-82 წლებში მწვრთნელად ვმუშაობდი პამირის საერთაშორისო ალპინისტურ ბანაკებში, სადაც უცხოელ მთამსვლელებთან ერთად სხვადასხვა გზებით ავედი შვიდიათასიან მწვერვალებზე: კორჟენევსკაიას პიკზე - ორჯერ, კომუნიზმის პიკზე - ორჯერ, ლენინის პიკზე. ასევე დაუვიწყარია საქართველოს ექსპედიციის წევრებთან ერთად ლენინის პიკსა და მწვერვალ ხან-თენგრიზე 1988 წლის ასვლა.

ყველასათვის მძიმე იყო 1984 წლის ზამთარში საქართველოს საუკეთესო მთამსვლელების დაღუპვა სამხრეთ უშბიდან დაშვებისას, რამაც დიდად დააზარალა ქართული ალპინიზმი.

წილად მხვდა ბედნიერება, "ზუგვანდის სარკე" გამევლო საბჭოთა კავშირის უძლიერეს მთამსვლელთან და მეკლდეურთან ირაკლი გელდიაშვილთან და სხვა მეგობრებთან ერთად.

მინდა აღვნიშნო, რომ ეროვნული მთამსვლელობის განვითარებაში, მამაკაცებთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ ქალებს. უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან ლეგენდარული ალექსანდრა ჯაფარიძე, მარინე უთმელიძე, ლუიზა ნარიმანიშვილი, მეკლდეური და მთამსვლელი ნუნუ ლაცაბიძე, თამარ ბილიხოძე, სოფო თვარაძე, ლიკა ნოზაძე და სხვები.

სიამაყის მომგვრელია ქართველ მთამსვლელთა წარმატებები მსოფლიო არენაზე, ჰიმალაისა და ყარაყორუმში. სასიამოვნოდ მაგონდება საშუალო სირთულის ასვლები ავსტრიისა და გერმანიის ალპებში. რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ მე-6 კატეგორიის სირთულის ხუთ მარშრუტზე ასვლა განვახორციელე ჩემს მეგობარ ქართველ მთამსვლელებთან ერთად (2007 წლის აუდიოჩანაწერი).

გურამ კალანდაძე

70 წლის იუბილარი მყინვარწვერზე ვიდექი

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მთასთან ურთიერთობის განცდა და ემოციები, თავისთავად უპასუხოდ ტოვებს მოარულ კითხვას: "რატომ დადიან მთაში?!"

ჩემი თაობის ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებით გამორჩეული იყო სამთო, მეტალურგიული და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის, დიდებული ქართველი მამულიშვილის ნიკო კეცხოველის ძალისხმევით დიდი ყურადღება ექცეოდა საუნივერსიტეტო სპორტულ ცხოვრებას, განსაკუთრებით, საქართველოს მთა-ბარში სიარულს. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად მეც "შემეყარა" მთის სიყვარულის "ვირუსი", რომელიც დღემდე არ ექვემდებარება "განკურნებას".

ჩემი პირველი სპეციალობიდან – გლაციოლოგიიდან გამომდინარე, 1959-1965 წლებში ვმონაწილეობდი სამეცნიერო ექსპედიციებში, რომლებსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი აწყობდა ხოლმე ზემო სვანეთში. ამ პერიოდში შევისწავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ცნობილი მყინვარი. ექსპედიციებში სხვებთან ერთად მონაწილეობდა აგრეთვე ჩემი კოლეგა და მეგობარი, ცნობილი მთამსვლელი, სპორტის ოსტატი რეზო ხაზარაძე. ინსტიტუტის მღვიმეების შემსწავლელ, ანუ სპელეოლოგიის

განყოფილებაში მუშაობდა ჩემი ნათესავი და მეგობარი გურამ თიკანაძე, რომელიც მწვერვალ შხარაზე დაიღუპა 1963 წლის აგვისტოს ბოლოს და შხარის ციცაბო ფერდობებიდან მისი ჩამოსვენების მწარე ხვედრი სხვებთან ერთად მეც გავიზიარე.

გურამ თიკანაძის ტრაგედია განსაკუთრებით ამძაფრებდა მთასთან ჩემს ურთიერთობას და ალპინისტურ ექსპედიციებში უფრო ხშირად ვმონაწილეობდი.

თბილისში, ჩემი სახლის სიახლოვეს, ვერის ბაღის ტერიტორიაზე, საქართველოს ალპურ კლუბში თავს იყრიდა მთამსვლელთა გამორჩეული თაობა, უბრწყინვალესი ექსპედიციებისა და ასვლების მონაწილენი. განსაკუთრებით ვამაყობ ჩემი კლასის მეგობრებით თეიმურაზ კუხიანიძითა და აგი აბაშიძით. გურამ თიკანაძეს, როგორც წინასწარმეტყველს ისე აქვს ნათქვამი: "ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია". მართლაც, თაობებმა ერთ თოკში ჩაბმული, უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრები დაკარგეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლტოლვა მთებისაკენ არ განელებულა. მთის მაგიური ძალა, ექსტრემალურ პირობებში ურთიერთდახმარების, თავდადების, ერთგულების თვისებების გამომჟღავნება განსაკუთრებით აღრმავებდა ჩვენში ადამიანთა შეცნობის უნარს.

არ მავიწყდება 1963 წელს ზემო სვანეთში, უშბის ძირში მდებარე ულამაზეს სოფელ უშხვანარში, "უშბის დიასახლისად" წოდებულ მაკრინე ქურდიანის ზღაპრულ არე-მარეში გატარებული დღეები და წარმატებული ალპინისტური ექსპედიციები, სახლის ღია აივანზე საძილე ტომრებში გამოხვეული მეგობრების ღამის საუბრები, ტკბილი სიმღერები, შესანიშნავი იუმორი და მეზობლად, ოჯახთან ერთად მცხოვრები, აწ გარდაცვლილი დიდი გეოლოგის, აკადემიკოს პეტრე გამყრელიძის საინტერესო საბუნებისმეტყველო "ლექციები" დედამიწის ასაკისა თუ მთათა წარმოშობის შესახებ. გეოლოგი, პროფესორი თამაზ ჯანელიძე, ყოველი შეხვედრისას დიდი სითბოთი იხსენებს ჩვენთან ერთად სვანეთში გატარებულ დღეებს.

გარდა სხვა მწვერვალებისა, არაერთხელ ვყოფილვარ მყინვარწვერზე, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო 2003 წელს, ქართული ალპინიზმის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ექსპედიცია, როცა ჩემი მეგობრის, დიდი მთამსვლელის გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით ავედით მყინვარწვერზე.

მეტეოსადგურში ვიყავით დაბანაკებულები და მწვერვალზე გასვლის წინ, 24 სექტემბერს 70 წელი შემისრულდა. საუზმისთვის სამზარეულოში შევედი, კარი გავაღე და რას ვხედავ: შესვლისთანავე, მაგიდებთან შეკრებილი ექსპედიციის წევრები ფეხზე დგებიან, სიმღერით მესალმებიან, შეძახილებით მილოცავენ დაბადების დღეს და მეტეოსადგურში ცნობილი თუჯის უზარმაზარი ტაფით მომართვეს გივის რეცეპტით რამდენიმე ათეული კვერცხისაგან დამზადებული, ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელი უცვლელი კერძის - "ჩიჟი-პიჟის" უზარმაზარი "ტორტი" ერთი ანთებული სანთლით, რომლის ჩაქრობაც "სოლიდური" ასაკის მიუხედავად არ გამჭირვებია.

ეს დღე და მეორე დღე - 2003 წლის 25 სექტემბერი, როცა 70 წლის იუბილარი მყინვარწვერზე ვიდექი, ჩემი ცხოვრების ულამაზეს დღეებად და დაუვიწყარ მოგონებად დამრჩება სიცოცხლის ბოლომდე (2008 წლის აუდიოჩანაწერი).

ოთარ კაპანაძე
როგორ გავიცანით "შავი უცნობი"

არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა ვათვალიერებდი (უკვე მერამდენედ!) ჩემი ალპინისტური ცხოვრების ამსახველ ფოტოსურათებს, თვალში მომხვდა ერთი მათგანი. ეს იყო ჯაფარიძეთა სახელოვანი გვარის შესანიშნავი წარმომადგენლის - ლეგენდარული ალიოშა ჯაფარიძის ფოტო, რომელმაც უმალ გამიცოცხლა მეხსიერებაში ჩემი წარსულის ერთი ეპიზოდი.

1955 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. ქუთაისიდან ლევან ახვლედიანმა, რომელსაც იმ წელს სხვებთან ერთად (ზურაბ ახვლედიანი, მაქსიმე გვარლიანი, სოზარ და ჯოკია გუგავები, იოსებ კახიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, დიმიტრი ობოლაძე, მიხეილ ხერგიანი, ხელმძღვანელები: ოთარ გიგინეიშვილი, ალექსი ივანიშვილი) დალაშქრული ჰქონდა შორეული პამირის ცადაწვდილი მწვერვალები: კომუნიზმის პიკი და როსია, შემომითვალა, დოლომისისწვერზე ასასვლელად ალპინიადის მოწყობას ვაპირებ, იქნებ წამოხვიდეო. ძალიან გამიხარდა: მწვერვალს რომ თავი დავანებოთ, იქ მელოდა შეხვედრები ჩემს ძველ



მეგობრებთან და უცნობ ახალგაზრდებთან, რომლებთან ურთიერთობაც ყოველთვის საინტერესო და ახლის მომტანია. დიდი მომზადება არ დამჭირვებია. რამდენიმე დღეში ქუთაისში ვიყავი. იქ უკვე დაემთავრებინათ ალპინიადისათვის მზადება და სულ მალე გეზი რაჭისაკენ ავიღეთ, სადაც კედელას ქედზე უნდა აგვეღო მწვერვალი დოლომისისწვერი. ალპინიადის დეტალებს აღარ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა. წარმატებით - რადგან მას ხელმძღვანელობდა ლევან ახვლედიანი თავის გამოცდილ ინსტრუქტორებთან ერთად.

ალპინიადის შემდეგ სპორტული ექსპედიციის ჯერი დადგა. ჯგუფს, რომელსაც სათავეში ლევანი ედგა, უნდა დაელაშქრა სვანეთის კავკასიონის ერთ-ერთი რთული მწვერვალი - ალექსანდრე ჯაფარიძე ანუ, როგორც მას უცხოელმა მთამსვლელებმა უწოდეს, "შავი უცნობი". იგი მდებარეობს წურუნგალასა და ფიტნარგინს შორის და ერთ-ერთია იმ ცამეტი მწვერვალიდან, რომელთა მრავალკილომეტრიანი ტრავერსი ჯერ კიდევ 1938 წელს შეასრულეს საქართველოს მთამსვლელებმა: ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, ლევან გოთუამ, კოტე ჯავრიშვილმა და ივანე გალუსტოვმა.

ჩვენი ლაშქრობისათვის განისაზღვრა ექსპედიციის შემადგენლობა. მასში შედიოდნენ ზურაბ, თამაზ, გივი ახვლედიანები, ჯოკია გუგავა, ჯუმბერ დარსაველიძე, ბონდო მაღლაფერიძე, შალვა სირბილაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ხანმოკლე მომზადების შემდეგ გავემგზავრეთ ლევანის მშობლიურ სოფელ ორხვში, სადაც მის მამისეულ სახლში გავათიეთ ღამე. მასპინძელთათვის ჩვეული, უხვი ვახშმის შემდეგ დასაძინებლად დავწექით, მაგრამ მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო დიდხანს ვერ დავიძინეთ. არადა, დილით ადრე გზას უნდა გავდგომოდით სვანეთისაკენ. ინათა თუ არა, ლევანმა მორიდებით გაგვაღვიძა, ადექით, ბიჭებო, წასასვლელები ვართო. თქვენც არ მომიკვდეთ, ყური არ ვათხოვეთ. ასე არ უნდა კოტრიალიო, დააძრო თავისი "განუყრელი" მაუზერი და ლამის ყურის ძირში დაგვიცალა. ვიკადრეთ წამოხტომა.

გადავედით სვანეთში. გავიარეთ სოფლები, ხეობები და ვიწრობები, კლდეები, ზესხოს მყინვარი... ყველაფერი ჩინებულად აეწყო, ერთი შემთხვევა რომ არა: გასვლის წინ ლევანმა მიხმო და საზოგადო ტვირთიდან მხოლოდ ერთი ბოთლი ტყემალი მომცა, - ამას მოუარე, გამოგვადგებაო; ტყემალი რომ დაგვიმთავრდება, ბოთლი არ გადააგდო, წყალი ჩავასხათ, შესანიშნავი სასმელი იქნება სიმაღლეზეო. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ერთ რამეს ვიტყვი: იერიშის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ბოლო ღამისთევის ადგილას კარვები რომ გავშალეთ, წყლით სავსე ბოთლი სასთუმლად გამოსაყენებლად ზურგჩანთაში ჩავდე. არ გამიმართლა: დილით, ზურგჩანთაში, ტყემლიანი წყლის ნაცვლად, ბოთლის ნამსხვრევები და ყინულიღა დამხვდა. ღმერთმა მეტი სადარდებელი ნუ მოგცესო, დამამშვიდეს ბიჭებმა. ლევანმა კი თავისი დინჯი ხმით მითხრა, "ც" ვიტამინი მაქვს წამოღებული, ასე რომ, მჟავე წყალი ბლომად გვექნებაო.

ამ ამბავს იმისათვის ვიხსენებ, რომ ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: აღნიშნული "დანაკლისის" გარდა, მიუხედავად საკმაოდ ძნელად გადასალახავი თოვლ-ყინულიანი

კლდოვანი მონაკვეთებისა და საშინელი სიცივისა, არაფერი შეგვმთხვევია ისე ავედით მწვერვალზე, დაღლილნი, მაგრამ ბედნიერნი, რომ საწადელს მივაღწიეთ. ამის შემდეგ, ლევანმა სათითაოდ დაგვირიგა ალიოშა ჯაფარიძის ფოტოსურათები, რითაც პატივი მიაგო მთის რაინდის ხსოვნას და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი დაღუპვის შემდეგ, 1945 წელს, მთავრობის დადგენილებით ამ მწვერვალს ლეგენდად ქცეული კაცის სახელი ეწოდა.

ამის შემდეგ ლევანი მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: - ჩემო ქაფარაჯა (ასე მეძახდნენ გასული საუკუნის 40-60-იანი წლების ალპინისტები სწავლულისა და ჩინებული მთამსვლელის თორნიკე ტატიშვილის წყალობით), დღეს 15 ნოემბერია და სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღესო. ბიჭებმაც ყური მოჰკრეს თუ არა ლევანის ნათქვამს, უმალ ყიჟინა დასცეს და გულთბილად მომილოცეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მსგავსი რამ იშვიათად ხდება ადამიანის ცხოვრებაში. როგორ ვიფიქრებდი, რომ ზღვის დონიდან 4700 მეტრ სიმაღლეზე, ალიოშა ჯაფარიძის სახელობის მწვერვალზე, თოკში ერთად ჩაბმული მეგობრების წრეში აღინიშნებოდა ჩემი დაბადების დღე.

ეს ამბავი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში და როცა წასულ მეგობრებს ვიხსენებ ხოლმე, ყოველთვის თვალწინ მიდგას ლევან ახვლედიანი - კეთილშობილი და სტუმართმოყვარე კაცი, ამტანი და გამტანი, გულადი სპორტსმენი და ახალგაზრდობის აღმზრდელი, თადარიგიანი და ყურადღებიანი, სიტყვაძვირი და სიტყვამართალი, შესანიშნავი ორგანიზატორი და პიროვნება. სწორედ მან და მისმა თანაგუნდელებმა ალექსანდრე ნემსიწვერიძემ, რამინ კვიციანმა, გრიგოლ გულბანმა, ავთანდილ და ზურაბ ახვლედიანებმა, რევაზ და ოთარ ხაზარაძეებმა, გიორგი აბაშიძემ, თეიმურაზ კუხიანიძემ, ილია გაბლიანმა, ბექნუ ხერგიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა, ომარ ბერაძემ და სხვებმა კავკასიონზე, პამირსა თუ ტიან-შანში შესრულებული ურთულესი ასვლებითა და ტრავერსებით მოიპოვეს მაშინდელი საკავშირო ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და კიდევ უფრო შორს გაუთქვეს სახელი ქართულ მთამსვლელობას (2009 წ.).

მერაბ კოკოჩაშვილი
დიდგორით დაწყებული ბილიკები

ომისა და ომის შემდგომ წლებში ჩვენი თაობა გარდა ოჯახისა, პიონერთა სასახლეშიც იზრდებოდა. მე და ჩემი მეგობრები ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში დავდიოდით, სადაც გვზრდიდნენ და ბუნებასთან, გარემოსთან ურთიერთობას გვასწავლიდნენ ჩვენთვის უსაყვარლესი პიროვნებები: მზია ერისთავი და ალექსანდრა ჯაფარიძე, აგრეთვე ახალგაზრდა პედაგოგი, მთამსვლელი მარინე უთმელიძე, რომელთაც დავყავდით მთელ საქართველოში.



ჩემი პირველი ლაშქრობა ქართლთან არის დაკავშირებული. თბილისიდან დავიწყეთ, გავიარეთ დიღომი, გადავიარეთ თრიალეთის ქედი, სადაც მაშინ სოფლები იყო. ახლა კი ყოფილ ვენახებსა და ბაღებში ველური ვაზი ხარობს.

პირველი გასაჭირი დიდგორის მწვერვალთან შეგვხვდა. დავბანაკდით თუ არა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, წვიმა, თქეში და დასაძინებლად კარვები რომ გვქონდა გამზადებული, ყველაფერი დაგვინგრია. დეიდა მზიამ ხელახლა აგვაშენებინა ეს "სახლები", რომლებშიც ერთმანეთზე მიყუჟულებს, ექვს-შვიდ ბავშვს ერთად გვეძინა და გაჭირვების ჟამს, ქარიშხალსა და წვიმაში თავს ვაფარებდით ამ პატარა კარავში. ისე მოგვეწონა ეს ყველაფერი, რომ კარვებს შორის გასასვლელებს ქუჩები, შესახვევები, ჩიხები დავარქვით, სახელები გავუჩინეთ. პირველად იმ ღამეს გავიგე, როგორ

უნდა მოუარო შენზე სუსტსა და უმცროსს, როგორ მივლიდა მე ჩემზე უფროსი, როგორ გვეძინა, როგორ ვათბობდით ერთმანეთს ამ კარავში ქარიშხლიან ღამეს, როგორი ტკბილი იყო რამდენიმე საათის ძილი, როგორი იყო დილის მზე, რომელმაც გაგვათბო და ვიგრძენით რა არის სტიქია, რა არის კარგი, რა არის ცუდი, რა არის მეგობრობა. ამ ღამემ მე პირადად დამანახა, რა არის შენი აშენებული სახლი, შენი შექმნილი ოჯახი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ამ ქარიშხალს იმიტომ ვიხსენებ, რომ ეს იყო ჩვენი - 13-14 წლის პატარა ბიჭებისა და გოგონების პირველი განსაცდელი.

შემდეგ, ცოტა რომ წამოვიზარდეთ, უკვე დეიდა ალექსანდრასთან დავიწყეთ სხვადასხვა მარშრუტებზე სიარული, კლდეებზე ცოცვა. მთაზე რომ ადიხარ, ეთვისები, ეცნობი შენ მიწას, ეს უდიდესი პოტენციაა მომავალში შენი კულტურის გასაგებად, შენი თავის გამოსამჟღავნებლად. დეიდა ალექსანდრასთან მთაში სიარულმა ისეთი ადამიანები გამაცნო ვერც წარმოვიდგენდი - მთამსვლელებისა და შესანიშნავი პიროვნებების მთელი თაობები. მაგალითად, ცნობილი ქართველი მთამსვლელი თემურ კუხიანიძე, კუხოს ვეძახდით, შემდეგ ტიან–შანში დაიღუპა. ჩემი პირველი ასვლა მწვერვალ ყუროზე გურამ რჩეულიშვილთან და ჩემი თაობის ახალგაზრდებთან ერთად მოხდა, სადაც ერთი ამბავი შემემთხვა, რომელიც ჩემი მომავალი ცხოვრებისათვის ვფიქრობ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

უკვე მწვერვალთან ახლოს, დაახლოებით 4000 მეტრის სიმაღლეზე, დაცვაზე ვიდექი, რადგან ჩემს მეგობარ გურამ მელაძეს უნდა გზა გაეგრძელებინა და შემდეგ თვითონ დამდგარიყო დაცვაზე. თოკში ერთად ვიყავით ჩაბმულები. გურამმა რომ ჩემ წინ ჩაიარა, მოულოდნელად ცხვირიდან სისხლი წამსკდა. ძალიან შევწუხდი. დეიდა ალექსანდრა მყისვე ჩემთან გაჩნდა და მკითხა რა მომივიდა. ისე მინდოდა მწვერვალზე ასვლა, რომ ტყუილი ვთქვი - გურამის წერაყინი მომხვდა-მეთქი. დეიდა ალექსანდრას გაეცინა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს სიმაღლის ბრალი იყო და დარჩენა შემომთავაზა, ჩვენც შენთან დავრჩებითო, - მითხრა. აქ დარჩენა სიკვდილის ტოლფასი იყო ჩემთვის. ამიტომ ცხვირში ბამბებგაჩრილი ავედი მწვერვალზე. ყოველნაირად ვცდილობდი თავი ისე მეჩვენებინა, რომ ვაუკაცი ვარ და ყველაფრის ატანა შემიძლია. შესაძლოა ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როდესაც განსაცდელის დასაძლევად ტყუილიც კი მოვიშველიე.

მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც მთასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ცნობილ და გამორჩეულ მთამსვლელს კი ეხება.

მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში დავბრუნდი და მალევე დავქორწინდი. თამადა ქორწილში ჩემი მეუღლის მამიდაშვილი ჯუმბერ მეძმარიაშვილი იყო. ჯუმბერი ისეთი პიროვნება იყო, რომ ძალიან იოლად შეგაყვარებდა თავს, თუმცა ამას არასდროს ცდილობდა. თავისთავად მოდიოდა მისგან განსაკუთრებული სიკეთის სხივი და სიყვარული. თუმცა ამავე დროს იყო მკაცრი და ცოტა ირონიულიც. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ყოველნაირად დადებითი. კარგად მახსოვს, გამთენიისას დამთავრდა ქორწილი და რომ დავიშალეთ, ჯუმბერმა გამოგვაცილა, ღია ავტომანქანაში - "ვილისში" ჩაგვსვა და ყვავილები მოგვაყარა. ჩვენ "ყვავილმოყრილები" დავიძარით, ის კი იმ დღეს მიფრინავდა ტიან-შანში და ხელის ქნევით გვემშვიდობებოდა. ასე დარჩა ჯუმბერი ჩემს მეხსიერებასა და ოცნებაში. შემდეგ, როცა ტრაგედია დატრიალდა ტიან-შანში, "პობედაზე", სადაც ჯუმბერი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, არ მცილდებოდა ფიქრი, რომ მათზე რაღაც უნდა გადამეღო, რადგან ამ ასვლის ისტორია, ძმობის, მეგობრობის, თავდადების, თავგანწირვის მაგალითია.

ვაჟა გიგაშვილს ძალიან საინტერესო სცენარი ჰქონდა, რომელიც ამ ამბავს ეხებოდა. წლების განმავლობაში ამაზე ვფიქრობდი და ეს ფიქრი არ მტოვებდა. ფიქრი ფიქრად, მაგრამ თუ გადაღების სურვილი გაქვს, მთაში მუშაობას შეგუება და ფიზიკური მომზადება სჭირდება. ამიტომ დავიწყე ვარჯიში. მახსოვს მყინვარწვერზე ავედი, უფრო ადრე სვანეთში ვიყავი ძალიან ძლიერ ჯგუფთან ერთად. მაშინ მიხეილ ხერგიანი ცოცხალი იყო და ქართველ მთამსვლელებთან ერთად უშბაზე უნდა ასულიყვნენ შვეიცარიელები. ეს იქნებოდა ერთ-ერთი პირველი ერთობლივი ასვლა. მათთან ერთად ავედი უშბის ძირამდე. სამწუხაროდ, ეს ასვლა

უამინდობის გამო არ განხორციელდა. გამოდარების შემდეგ ქართველ მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად ვიარე პატარა მწვერვალებზე, ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიყავი და სწორედ ამ ჯგუფის დახმარებით დავიწყე ფილმის მომზადება. ფილმის მომზადება იმით დაიწყო, რომ მყინვარწვერზე ავედით და ასვლის შემდეგ წელზე ძირმაგარებმა გამომაყარა, 5-7 გამონაყარი მქონდა, არადა, მთაში უნდა წავსულიყავი. სახლში ტრაგედია იყო - წელზე ამხელა ჭრილობით სად მიდიხარო. ამაში, რასაკვირველია, თავის როლს თამაშობდა ჯუმბერის ტრაგედიაც. მივფრინავთ ჯერ ტაშკენტში, შემდეგ დუშანბეში, იქიდან მთიანი ბადახშანის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ტაჯიკმა ქირურგმა ძირმაგარები დანით ამოაგდო და ნაოპერაციევ ადგილზე სპირტი დაასხა. ტკივილმა კინაღამ გამაგიჟა, მაგრამ რა უნდა მექნა. ვერტმფრენით კომუნიზმის პიკის ძირში უნდა მივიდეთ, სადაც ჯგუფი დაბანაკდება. მე 5-კაციანი ჯგუფი მყავს წაყვანილი - ოპერატორი, ასისტენტი, თანაშემწე და იძულებული ვარ ყველანაირი ტკივილი მოვითმინო. იმისათვის, რომ ზუსტად მეგრძნო რას ნიშნავს კავკასიონზე უფრო მაღალ მთებში - პამირსა და ტიან-შანზე ცხოვრება და მუშაობა, ყველა ეტაპი უნდა გამევლო. ვფიქრობ, ეს ეტაპები გავიარე.

აქ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის სიძნელეები, რომელთაც მთაში ყოფნისას ძლევ და ის ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება, ერთმანეთის დამცველი, მზრუნველი, ხანდახან დამოკიდებული, ერთმანეთშია გადაჯაჭვული. ფაქტობრივად, ეს ცხოვრების ის გზაა, რომელიც უნდა გაიარო კინოშიც და სხვაგანაც. ზუსტად იგივეა, მხოლოდ გამძაფრებულ სიტუაციაში გიხდება ყველაფრის კეთება. ერთი თვე ჭრილობით მიხდებოდა სიარული, ზურგჩანთებისა და სიმძიმეების ტარება, რაც ძალიან ძნელი იყო. კარგი სკოლა გავიარე იმისათვის, რომ თვით ფილმზე სერიოზულად მემუშავა. მივხვდი, რომ იქ ფიზიკურად ძლიერ ადამიანებთან, თვით მთამსვლელებთან მუშაობაა საჭირო, სხვანაირად არაფერი გამოვა. პამირში ყოფნისას შევარჩიეთ ერთი ადგილი, სადაც ზვავები ძალიან ხშირად ჩამოდის თუ მზიანი ამინდია 12-დან 15 საათამდე. არაჩვეულებრივი სანახავია ეს ყველაფერი და ძალიან გვინდოდა გადაღება. დღის განმავლობაში ისე ცხელოდა, საცურაო კოსტუმებში დავდიოდით. ჯგუფში გვყავდა ყოფილი მოჭიდავე - ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში, რომელიც აპარატით გავუშვით ზვავების გადასაღებად. დააყენა კამერა და იღებს ზვავების ჩამოსვლას. ჩვენ აქეთ ბანაკში ვიყავით და უცებ გვესმის საშინელი გრუხუნი. გავიხედეთ და ზვავი კი არა მთელი მთა მოდის იქითა მხრიდან. წამოვხტი და როგორც ვიყავი, შიშველი გავიქეცი ოპერატორის მისაშველებლად, ჩვენი ბიჭებიც მომდევენ. მივრბივართ; ვხედავთ, თოვლის კედელი გვიახლოვდება, კედლის წინ კი ოპერატორი გამორბის კამერით. ზვავი ნისლივით მოდის, გვიახლოვდება, ოპერატორს კი ვეღარ ვხედავთ. უეცრად დაგვეჯახა ეს ცივი კედელი და ჩვენ ალპინისტებთან ერთად შემოვტრიალდით და უკან მოვკურცხლეთ, სიცივისაგან გათოშილებმა.

მართალია, არც ჩვენს ძიუდოისტ-ოპერატორს და არც ჩვენ არაფერი მოგვსვლია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სტიქიამ სირცხვილი გვაჭამა. სტიქია ასეთ სიურპრიზებს გთავაზობს, მაგრამ საქმე ისაა, დაძლიო ეს სიძნელეები. როგორც ჩანს, ასეთმა შემთხვევებმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, რადგან ამ ფილმს ახლა რომ ვუყურებ, იმდენად დამაჯერებლად მეჩვენება ყველაფერი, მიკვირს, იმ რთულ პირობებში როგორ მოვახერხეთ და გადავიღეთ თუნდაც ავარიაში მოყოლილი მთამსვლელის ვერტიკალურ კედელზე დაშვება, მოყინული სახე და ა.შ. ყველაფერი ძალზე ბუნებრივი გამოვიდა. იმდენად მძიმე იყო ის დაშვება, რომ საღამოს დამირეკეს და მითხრეს: ვისაც ვიღებდი, როლის შემსრულებელი - შესანიშნავი მხატვარი, კერამიკოსი ოთარ ვეფხვაძე საავადმყოფოში წაიყვანეს, ბრმა ნაწლავის შეტევა დაეწყოო. გავიქეცი ამბის გასაგებად. ყინვაში თოკზე იმდენ ხანს ეკიდა, რომ შეტევა დაეწყო და ოპერაცია გაუკეთეს. მეტსაც ვიტყვი, ყინულის ლავგარდანია, ფილმის გმირი მიტო დანგაძე, წრიაპებით და წერაყინით, ყველა წესის დაცვით მიცოცავს. ამ მომენტს ზემოდან საკმაოდ დიდხანს იღებს ოპერატორი და ამბობს, რომ ძალიან შესცივდა, თან ფეხზე ვერ დგება, რადგან თოკითაა დაბმული. მოვახერხეთ და თოკების საშუალებით ლეიბები

ავუგზავნეთ, რომ მათზე დამჯდარიყო და არა ყინულზე. ისიც იმ ღამეს საავადმყოფოში წაიყვანეს. ეს ჩრდილო კავკასიაში, ტერსკოლთან ახლოს მოხდა.

ალბათ უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ ჩვენ ყველანი, კაცებიც, ქალებიც, მთელი გადამღები ჯგუფი მყინვარზე კარვებში ვცხოვრობდით. ეს არის შესანიშნავი სკოლა ადამიანისათვის, რათა შენს მიზანს მიაღწიო, დაძლიო სიძნელე ბუნებასთან ურთიერთობაში, თუმცა ხშირად თვითონ ისე ვარღვევთ ამ ურთიერთობას, რომ მორალურად თუ სულიერად მკვებავი და ჩვენზე მზრუნველი ბუნება ჩვენი მოწინააღმდეგე ხდება.

კიდევ ერთი ამბავი: პამირში მთამსვლელთა ჯგუფი კორჟენევსკაიას პიკზე წავიდა, ჩვენ კი დამხმარე ჯგუფში ვართ. სირთულეების მიუხედავად, 6300 მეტრზე ბოლო ბანაკი გავშალეთ, ბარგი ავიტანეთ და ღამე იქ გავათიეთ. დილით მოიერიშეები მწვერვალზე წავიდნენ, ჩვენ კი უკან დავბრუნდით. ქვემოთ, მყინვარზე ჩამოვედით, მაგრამ საჭმელი არ გვაქვს. ყველაფერი შევჭამეთ. გარკვეული მარაგი არის, მაგრამ ის მწვერვალზე წასულების წილია და მათ ჩამოსვლამდე ხელის ხლება არ შეიძლება, რამე რომ მოხდეს, ჩვენ უნდა ავუტანოთ ეს ყველაფერი ზემოთ. სხვა გზა არ არის, მათ ჩამოსვლამდე უნდა გავძლოთ. ბანაკში ჩვენთან ერთად იყო შესანიშნავი მთამსვლელი და პიროვნება სერგო ბარლიანი. სერგომ ცოტა ხნის წინ მოკლა მთის თხა, რომელიც უკვე შეჭმული გვქონდა. ორი დღის მშივრები ვართ ძალიან რომ მოგვშივდა, ჩვენმა ოპერატორმა ნუგზარ ერქომაიშვილმა თქვა: - წავალ, მოვძებნი, იქნებ ძვლები მაინც ვიპოვოო. წავიდა ნუგზარი და ცოტა ხანში წვივის ორი ძვალი მოიტანა, რომელიც დაჩეხა, ცოტა ბურღული დააყარა, ერთი კოლოფი ტომატიანი საშინელი თევზის კონსერვი იყო, ისიც ჩაუშვა და წვნიანი მოხარშა. წვნიანი გამოვიდა, ასეთი გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მიჭამია. ამასობაში მთამსვლელები მწვერვალიდან დაბრუნდნენ და იქიდან წავედით ჩვენი ძირითადი ბანაკისაკენ. გზაში, მყინვარზე ვხედავ კაცია წამოწოლილი, წინ უცნაურად ჩახუფული ქვაბი უდგას. მივედი, მივესალმე, გავესაუბრე, ვუყვები ჩვენს ამბებს და ვკითხე, რას აკეთებდა.

- ჩემს ჯგუფს ველოდები და ჩაის ვუდუღებო.
- რა უცნაურად უდუღებთ-მეთქი.
- ცდა მაქვს, ვაკუუმში წყალი დუღილს 100^0-ზე კი არა, 70^0-ზე იწყებს და

მშრალი სპირტის ერთ ნატეხზე ვადუღებო.

- ძლიან საინტერესოა, იქნებ ეგ მეთოდი ჩვენც გამოვიყენოთ-მეთქი.
- როგორ არა, შემატყობინეთ და ყველაფერი კარგად გექნებათო, თან თავისი გვარიც

დამიწერა. ჩვენებს ვეუბნები - სემიონოვი გავიცანი და თავისი მეთოდით ჩაის ადუღებას დაგვპირდა-მეთქი. სემიონოვის გვარის გაგონებაზე ყურები ცქვიტეს და მითხრეს: - ეგ კაცი ნობელის პრემიის ლაურეატიაო. აი, ასეთი კაცი შემხვდა იქ, გადაკარგულში, მყინვარზე.

ცხოვრება საინტერესო რამ არის. აუარებელ ამბავს შეგატყობინებს, ბუნებაც ბევრ რამეს გვეუბნება ყურს თუ დავუგდებთ. მთავარია, რომ იგი პატივისცემას ბადებს შენში და შენ ირგვლივ არსებული სიძნელეების დაძლევასაც გასწავლის. ვფიქრობ, იმ წლებმა ბევრი რამ მომცა, რაც შემდეგ მამოძრავებელი გახდა ჩემს ცხოვრებასა და საქმეში. განსაკუთრებით კი ის მასწავლა, რომ თუ გსურს მიზნის მიღწევა, უნდა დაძლიო წინააღმდეგობა (2009 წლის აუდიოჩანაწერი).

ტარიელ ლუკაშვილი
სიკვდილ-სიცოცხლის გზაწვრილებზე

ჩემი მთამსვლელობა სტუდენტობიდან დაიწყო 1960 წელს. უნივერსიტეტში ტარდებოდა ხოლმე ტრადიციული ალპინიადები. იმ დროს არ იყო გაყოფილი მეკლდეურობა და მთამსვლელობა. 1963 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატი მთამსვლელობაში, მიშა ხერგიანი თბილისში რომ ჩამოვიდა, მაშინ დავინახეთ, რომ ის მარტო მთამსვლელი კი არა, კარგი მეკლდეურიც იყო. ალპინიზმის 40 წლისთავთან დაკავშირებით, საჩვენებელი ასვლები

მოეწყო მეტეხის კლდეებზე, სადაც მიშამ თავისი ოსტატობა გვიჩვენა. ასვლებში მეც ვმონაწილეობდი, მაგრამ დაშვებისას ფეხი ვიტკინე და შეჯიბრება ვეღარ გავაგრძელე. საქართველოს პირველობაზე, ყაზბეგში, 1965 წელს მეორე ადგილი დავიკავე, მიშამ კი პირველი და უკვე მყარად მოვხვდი საქართველოს ნაკრებ გუნდში. 1965 წელს საბჭოთა კავშირში პირველი თასის გათამაშება ჩატარდა მეკლდეურობაში და იქ გავხდით პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. დიდი ბედნიერება იყო, ჩვენი დაჯილდოებაც ძალიან პომპეზური იყო სპორტის სასახლეში.



შემდეგ დაიწყო მთამსვლელობა. ვიყავი სკა-ში, სადაც შემოვიკრიბეთ თანამოაზრე მთამსვლელები. საკმაოდ კარგი სკოლა ჩამოყალიბდა არმიის სპორტულ კლუბში, იქ დავაუკაცდა მთამსვლელთა ის გუნდი, რომელიც შემდეგ კარგ ასვლებს ახორციელებდა. აქ, ყოველგვარი წინაღობის გარეშე იყო ტრანსპორტიც, საკვებიც, საჭურველიც. მაგრამ, ძირითადად, ჩემი სპორტული საქმიანობა დაკავშირებულია გივი ქართველიშვილის გუნდთან. გივი დაახლოებით 1973 წელს დაუბრუნდა მთამსვლელობას და შეიკრა ერთი გუნდი, რომელმაც საკმაოდ ბევრი პოპულარული მარშრუტი გაიარა. მახსოვს 1976 წელი, ჯიგიტის კედელი. მანამდე მიშას ჰკითხეს: ნეტავ ვინ გაივლის ამ კედელსო, მიშამ უპასუხა: - ჯერ ამ კედლის დრო არ არის, მთამსვლელობაში არავინ მეგულება, ეს კედელი ვინმემ გაიაროსო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ გავიარეთ, რასაც დიდი შეფასება მისცა გაზეთმა "იზვესტიამ". ეს ერთ-ერთი საეტაპო მნიშვნელობის ასვლა იყო. ამის შემდეგ იყო აბალაკოვის პიკი, ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვერვალი და ა.შ. ყველაზე რთული იყო კიუკურტლუ, რომელზეც ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი. 2000 წლის ჟურნალ "ვერტიკალში" წერია, რომ მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტები მოხსნილია მთელ კავკასიონზე, დარჩენილია მხოლოდ ერთადერთი - ჩვენი მარშრუტი. მოსკოველებმა დააპირეს ჩვენი მარშრუტის გვერდზე გავლა, მაგრამ ვერ გაიარეს. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ დღემდე ეს მარშრუტი ერთ-ერთი პოპულარულია მთელ კავკასიონზე. იმის შემდეგ იყო კიდევ დავით აღმაშენებლის მწვერვალი ჭაუხებში.



საუბედუროდ, შემდეგ 1984 წლის ტრაგედია დატრიალდა. ჩვენი ბიჭები, ჩვენი გუნდი მთლიანად დაიღუპა უშბაზე და იმის შემდეგ მწვერვალებზე აღარ მივლია.

მწვ. ბოღხონა

მთამსვლელობაზე თუ ვილაპარაკებთ, ეს სპორტის ისეთი სახეობაა,

რომელმაც საუკეთესო მეგობრობა იცის. ჩვენი ლიდერი ყოველთვის იყო გივი ქართველიშვილი, წლების შემდეგ ამირჩიეს მე, შემდეგ ავირჩიეთ ირაკლი გელდიაშვილი, ირაკლი ზღაპრული კაცი იყო. ვთვლი, რომ მიშას დონის მთამსვლელი იყო. იგი ტოლს არავის უდებდა საბჭოთა კავშირში. ის უნდა ყოფილიყო გუნდის შემდგომი ყველა ასვლის კაპიტანი, მას ეს ყველაზე მეტად ეკუთვნოდა, მაგრამ არ დასცალდა, თავის კაპიტნობის პერიოდში ერთი ბრინჯაოს მედალი მოიტანა საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მაგრამ შემდეგ, ზამთარში, უშბაზე დაიღუპა (2007 წლის აუდიოჩანაწერი).

ლუიზა ნარიმანიშვილი
თავგანწირვა

ცხოვრებაში ყველას თავისი მწვერვალი აქვს დასაპყრობი. ადამიანს ახასიათებს დიდი მიზნისაკენ სწრაფვა. მთამსვლელებს კი განუზრახავთ ეს სწრაფვა მთებთან ჭიდილში განახორციელონ. ყველას გამოუცდია მიზნის მიღწევით გამოწვეული დიდი ბედნიერება, მაგრამ მთამსვლელის მიერ მწვერვალის დალაშქვრით გამოწვეული აღმაფრენა შეუდარებელია, მისი გადმოცემა შეუძლებელია, ეს მხოლოდ თვითონ უნდა განიცადო.

მიუკარება მწვერვალი თუ დალაშქრე, მისი ურჩი ბუნება თუ დაიმორჩილე, იგი სიძლიერისათვის თითქოს გაჯილდოვებს, გინაწილებს თავის სიდიადეს, გართმევს ფიზიკურ ძალას და გაძლევს სულიერ სიძლიერეს, გაავადებს მის კალთებზე დაფენილი თოვლივით მარადიული სიყვარულით, გასწავლის ერთგულებას, თავგანწირვას.

თავგანწირვა ადამიანის ერთ-ერთი უდიადესი თვისებათაგანია, რომლის გამომჟღავნებას ხშირად პირობა სჭირდება. ბევრს გაუწირავს თავი საყვარელი საქმისათვის, საყვარელი ადამიანისათვის, მაგრამ ყველას როდი შეუძლია ანგარიშმიუცემლად თავის გამეტება. ეს მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანთა ხვედრია, დიდი და ნამდვილი კაცობის მიმანიშნებელი. აი, ერთი ჩვენს თავს გადამხდარი და ჩვენ მიერ განცდილი ამბავი.

გამარჯვებულნი ვეშვებოდით კავკასიონის ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალიდან. ბედნიერნი ვიყავით მაშინ ოთხნი, რომლებიც ერთი სუნთქვით ვსუნთქავდით, გულიც ერთნაირად გვიცემდა, ერთნაირად გვამაღლებდა გამარჯვების დაფდაფები, ვიყავით ამაყზე ამაყნი, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენ მიერ განვლილი გზა ბევრისათვის სანუკვარ ოცნებად იყო ქცეული.

ირგვლივ მომაჯადოებელი სილამაზე სუფევდა. დამორჩილებული, თითქოს ბედს შერიგებული, გარინდებული მწვერვალი დაგვცქეროდა თავს. ქედები ხელიხელგადახვეულნი, მხარიმხარშემდგარნი უტყვად იდგნენ და შესცქეროდნენ უძირო, ლამაზ ცას. გამჭვირვალე ჰაერი ცივი ნიაღვარივით მოედინებოდა ფილტვებში. ენით გამოუთქმელი გრძნობა დაუფლებოდა ყველას.

მოვდიოდით ოთხნი, ბუნების წიგნის გადაშლილ უზარმაზარ ფურცელზე დასმული ოთხი წერტილივით მცირენი, მაგრამ ამ საოცრებაზე, რომელსაც ბუნება ჰქვია, გამარჯვებულნი. ფრთები რომ გვქონოდა, გავფრინდებოდით. უკან დარჩა ყინულის ლოგინში გატარებული ღამეები, კლდოვანი კედლები, თავაწყვეტილი ქარის თარეში, თოვლი და ხოშკაკალა...

დალაშქრულია კიდევ ერთი მწვერვალი. ერთით გავიზარდეთ და ასჯერ ავმაღლდით.

ქვემოთ, მთის მწვანე კალთებს შორის ვიწრო ზოლად გაწოლილი მდინარის პირას, მოჩანდა ლამაზად ჩამწკრივებული თეთრი კარვები, ჩვენი სამყოფელი, ჩვენი ბინა. ამ

კარვებთან უხილავი ძაფებით ვიყავით დაკავშირებული. იქ ძგერდა ჩვენი მოლოდინით გამსჭვალული გულები. თვალწინ წამომართულა "სამახვშო კარავი", რომლის წინაც ჩვენ შესახვედრად საგანგებოდ მოწყობილ მაგიდასთან დინჯად ზის ძია ლეექსო (ივანიშვილი – ი.ჯ.), რომელსაც ყოველთვის სწამდა მწვერვალზე წასულების გამარჯვებისა. იქ გველოდებოდა სევას (ელიავა – ი.ჯ.) ენაწყლიანი ანეკდოტები და ბიჭების ვაუკაცური სიმღერები. საღამოს ბანაკში უნდა ვიყოთ. მზადდება საზეიმო სადილი, ჩვენი კარავი ირთვება მინდვრის ყვავილებით. გველის საოცარი ზეიმი, რომლითაც ყველა ასვლა გვირგვინდება. ეს არის სულის ამაღლების უჩვეულო ბანკეტი.

ორიოდე მეტრიც და მწვანე ბალახის გვერდით გავაგრძელებთ დაშვებას. წყვილად თოკში ჩაბმულები გამოვცალკევდით და ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენით, თითქოს მძიმე ტვირთი მოგვეხსნას მხრებიდან. მთამსვლელთა განუყრელმა მეგობრებმა - თოკებმა - პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და გულდასმით აკეცილები ბიჭების მხრებზე ისვენებენ, ემზადებიან შემდეგი სამსახურისათვის.

ვგრძნობდი, თანდათანობით როგორ მიდუნდებოდა ყველა კუნთი, რომლებიც ლარივით იყო დაჭიმული ხუთი დღის განმავლობაში.

ირიბად ვჭრიდით პატარა თოვლის ღარს; ორიოდე ნაბიჯიღა მრჩებოდა იქითა ნაპირამდე, უცებ ფეხქვეშ თოვლი რომ გამომეცალა; ფეხი მოვინაცვლე, მაგრამ ვერ გავჩერდი, თოვლის ქვეშ ეტყობა ყინული იყო. მთაში გამოცდილ ხერხს მივმართე: ვცადე წერაყინს დავყრდნობოდი და შემეჩერებინა თავი, მაგრამ ამაოდ - თოვლის მასა უკვე საკმაოდ სწრაფად მიმაქანებდა ქვევით. ჩემ წინ ჩაიქროლეს ნუგზარის, შემდეგ ბესიკის მოულოდნელობისაგან გაქვავებულმა სახეებმა. კულუარი კი უზარმაზარი, დახეთქილი ყინულვარდნილით მთავრდებოდა.

ყველაფერი დამთავრდა - გამიელვა თავში და ერთ წამს დედის სახე დამიდგა თვალწინ. უცებ მთელ სხეულზე რაღაც მძიმედ დამეცა და მაგრად ჩამაფრინდა ზურგში. - ნუ გეშინია! - ჩამესმა ლეოს (ჯაფარიძე – ი.ჯ.) ხმა, რომლის ხელები მარწუხივით შემომეჭდო მკლავებზე.

დამძიმებულმა სხეულმა სიჩქარეს უმატა. უცებ სახეზე თითქოს ყინულის უთო გადამისვეს. როცა გონს მოვედი და თვალები გავახილე, წითლად შეღებილი თოვლი დავინახე. კულუარის შუაში ყინულის დიდ ლოდზე ხურჯინივით აქეთ-იქით ვიყავით გადაკიდებულები მე და ლეო. ვცადე ფეხის განძრევა, მაგრამ საყრდენი ვერ ვიპოვე, რადგან ჰაერში ვიყავი გამოკიდებული. სიკვდილს სულ რაღაც ორიოდ მეტრში გაუშეშდა ჩვენსკენ გამოწვდილი ხელები.

კულუარის თავში ქანდაკებებს ჩამოჰგავდნენ ძმები ნუგზარ და ბესიკ ბაქრაძეები, ჯერ ვერ მოსულიყვნენ გონს, რა მოხდა. შემდეგ ელვის სისწრაფით დაეშვნენ ქვევით, ჩვენკენ.

ყოველგვარი წესის დაცვით, დიდი სიფრთხილით აგვიყვანეს ზევით. ლეოს მაჯაში გადაჭრილი ხელიდან გამოსულ სისხლს რომ შევხედე, გონება დავკარგე. შემდეგ ხმები არ მაძინებდნენ, ყურში ჩამძახოდნენ, თითქოს უროს მირტყამდნენ საფეთქელში. სახიდან თითქოს ცივი, გაუხეშებული ნიღაბი ამაძრეს და თვალი გავახილე. ვხედავ, გახსნეს საველე აფთიაქი, ლეოს ხელზე თასმები გადაუჭირეს, წამლები დაალევინეს, მაგრამ სისხლი კვლავ ჟონავდა მისი მაჯიდან.

ყველანი გავჩუმდით, ხმას არავინ იღებდა. ჩვენ ირგვლივ ნისლმა დაიწყო აქეთ-იქით ბორიალი, ბინდი გვეპარებოდა. თითქმის სამი საათი დავკარგეთ. უკვე ბანაკში ვიქნებოდით...

საჭირო იყო მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა ქვევით. გზა არც ისე რთული და გრძელი იყო, მაგრამ ფეხები მღალატობდნენ, ახლადფეხადგმულივით მეკეცებოდა მუხლები. ვერა და ვერ გადავდგი ნაბიჯი. ლეოს ფერმკრთალი სახის შეხედვაზე ტირილს ვერ ვიკავებდი. მელაპარაკებოდნენ, მამხნევებდნენ, მიყვიროდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. სურვილი დიდი მქონდა, მაგრამ ძალ-ღონე არ მყოფნიდა. მიმიხვდნენ ბიჭები, რა მდგომარეობაშიც ვიყავი. ასე სიარულს შეიძლება უფრო ცუდი შედეგი მოჰყოლოდა.

ნუგზარმა და ბესიკმა იქვე კლდის თავზე მონახეს პატარა გამოქვაბული, ალბათ ჯიხვის სადგომი თუ იყო, რადგან აქა-იქ ჯიხვის ბეწვები ეყარა. წელში მოხრილები, ხელით შეგვიყვანეს გამოქვაბულში ჯერ მე, მერე ლეო, თვითონაც ჩვენ მახლობლად მოკალათდნენ და ასე წვალებით მოვეწყეთ ღამის სათევად.

ქვევიდან ალბათ თვალს გვადევნებდნენ და შეშფოთებულნი არიან ასე ახლოს რატომ დავრჩით კლდეებზე ღამის სათევად. მშვიდობიანობის ნიშანს ვაძლევთ და ამით ვამშვიდებთ.

ჩამოწვა უმთვარო ღამის უკუნეთი. ბიჭები ცდილობენ გაგვამხიარულონ, ყვებიან ანეკდოტებს, ათასნაირ ამბებს, მაგრამ მხიარულება არ გამოდის. მე სულ ლეოს სუნთქვას ვუსმენ. შევაწუხე შეკითხვებით, ჩემი წუხილით და ბოლოს ვჩუმდები.

და როცა უცნაურმა სიჩუმემ დაისადგურა გამოქვაბულში, ლეომ სიმღერა წამოიწყო. მის ისედაც მშვენიერ, ხავერდოვან ხმას რაღაც არაჩვეულებრივი სითბო შეჰპარვოდა და ამ სითბოთი იგი ყველა ჩვენგანს ამხნევებდა. იგი მღეროდა და მისი სუსტი ხმა საოცარი სიძლიერით იზრდებოდა თითოეულ ჩვენგანში.

- იგი მღეროდა წითელ ყაყაჩოებზე და კლდეებში ჩაკარგული, პატარა, ბნელი გამოქვაბული წითლად ნათდებოდა.
- იგი მღეროდა ლურჯთვალა იაზე და იის სურნელი გვაბრუებდა კავკასიონის თოვლებში ჩაკარგულებს.
- იგი მღეროდა სიცოცხლის სიყვარულზე და ჩვენ ასჯერ მეტად გვიყვარდა სიცოცხლე, რომელიც დღეს ასე ახლოს იყო სიკვდილთან.
- იგი მღეროდა ადამიანთა სიყვარულზე, რომელმაც დღეს ჩვენ გადაგვარჩინა.
- იგი მღეროდა უანგარო და დაუყვედრებელ თავგანწირვაზე, რომელიც დიდი ბუნების, ნამდვილი ადამიანის ხვედრია.
- იგი მღეროდა და მადლობას უხდიდა საკუთარ თავს იმისათვის, რომ იგი ასეთი ყოფილა.
- იგი მღეროდა ლამაზ სიმღერას და მე ქედს ვიხრიდი ამ ბუმბერაზ მთებზე უფრო ამაღლებული კაცის წინაშე.

ვევედრებოდი ღმერთს, რომ ლეოს სიმღერას არ ჰქონოდა დასასრული... (1975 წ.).

ლევ სარქისოვი
ქართველები ყველას ძალიან უყვარდა

1965 წლის ზამთარში მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით უნდა ავსულიყავით მწვერვალ ულუ-თაუზე. ამიტომ ბაკურიანში გვქონდა შეკრება. მიშა დილით ადრე გვაღვიძებდა, ყველას გვავარჯიშებდა და ბოლოს თოვლში "გვაბანავებდა", მაგალითს კი თვითონ გვაძლევდა, თუ არ იბანავებდი, გაგიშვებდა გუნდიდან.



ბაკურიანიდან დომბაიში წავედით, სადაც მიშა თხილამურებზე დგომას გვასწავლიდა. ერთხელ მითხრა, – შენ კარგად გამოგდის, მიდი, ჩასრიალდიო. ვერ ჩავალ – მეთქი, ვპასუხობ. დაკიდებული ფერდი იყო. მაჩვენე როგორი დგომა გაქვს, ცოტა დაიღუნეო – მითხრა, მაგრად მიბიძგა და გამიშვა ფერდობზე. ჩემდა გასაოცრად, ისე ჩავედი არ წავქცეულვარ. მისი წყალობით, მას შემდეგ ვდგავარ თხილამურებზე. უნიჭიერესი პედაგოგი იყო.

იმავე წელს, ახალი ალპინისტური ბანაკი "აილამა" უნდა გახსნილიყო. დიმიტრი ობოლაძე იყო დირექტორი. ჩვენ ცოტა ადრე მოგვიწია ჩასვლა და მას ბანაკის მოწყობაში ვეხმარებოდით. მწვერვალებზეც ვიარეთ. ცვლა

რომ დამთავრდა, თავის გუნდთან – ეროვნულ ნაკრებთან ერთად ჩამოვიდა გივი ქართველიშვილი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჯანღაზე ასასვლელად ემზადებოდა. გავიგეთ, რომ გივის დამხმარე ჯგუფში ხალხი სჭირდებოდა და მე, ლოვა აკოპიანმა და სერგო ნანუმოვმა "შერპებად" ჩვენი თავი შევთავაზეთ. ასე მოვხვდით ასპროცენტიან ქართულ გუნდში სამი სომეხი და დღემდე დაუვიწყარია, როგორი ძმობითა და სიყვარულით ვცხოვრობდით, როგორ ვმუშაობდით.

გივი ყველას ძალიან გვიყვარდა. მახსოვს, მისი შეკვეთით სვან კაცს დილაადრიან მოჰქონდა რძე, მაწონი, არაჟანი. გივი თავის კარავთან იჯდა და გვიყურებდა. აბა, ბიჭი იყავი და შენი ნორმა რძე არ დაგელია. ამდენი ხანი გავიდა და მას შემდეგ ასეთი მშვენიერი ყველი აღარ მიჭამია. ჯანღამდე, გივის ხელმძღვანელობით, სავარჯიშოდ 11 კაცი რუსთაველის პიკზე ავედით. საექსპედიციო ცხოვრების გემო პირველად გივი ქართველიშვილის გუნდში გავიგე. პირველად მე-4 კატეგორიის სირთულის მწვერვალზე მან ამიყვანა. ჩემი პირველი მწვრთნელი მთამსვლელობაში გივი ქართველიშვილი იყო. ერთი თვე გავატარეთ ხალდეს მყინვარზე ჩვენ მიერ მოწყობილ ბანაკში და აქ ვისწავლე ყველაფერი: როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მთამსვლელებს შორის, როგორ უნდა მიეჩვიო დამოუკიდებლობას და ა.შ. ძირითად გუნდში იყვნენ გივი ქართველიშვილი, თამაზ ბაქანიძე, ძმები ბესიკო და ნუგზარ ბაქრაძეები, თენგიზ ბერიშვილი, მიტო შარაშენიძე. მწვერვალზე რომ წავიდნენ, ბანაკში ჩვენ სამნი დავრჩით და გამუდმებით დურბინდში ვიყურებოდით. მიუხედავად იმისა, რომ თოვლი და მზე თვალს გვჭრიდა და ცრემლი გვდიოდა, მათ მოძრაობას გამუდმებით ვაკვირდებოდით და ნებისმიერ დროს მზად ვიყავით დახმარებისათვის. ეს იყო ჩემი პირველი საექსპედიციო ლაშქრობა, სადაც კარგი სკოლა გავიარე.

ბოტანიკურ ბაღში ბევრს ვვარჯიშობდი, შეჯიბრებებზეც გამოვდიოდი მეკლდეურობაში. 1965 წელს ყირიმში ჩატარდა პირველი ჩემპიონატი. მაშინ მიშა ხერგიანი გახდა ჩემპიონი კოსმაჩოვთან პაექრობაში. მეც ვიყავი ამ გუნდში, თუმცა მნიშვნელოვანი არაფერი გამიკეთებია. მართალია, ყველა შეჯიბრებაში გამოვდიოდი, მაგრამ არ ვიყავი მოწინავეთა შორის.

ამ დროს, ჩემი მეგობარი გრიშა სტარჩიკი მოხვდა სამხედროების გუნდში. მეც შემომთავაზა მისვლა. ამ გუნდში დიდი სიმკაცრე იყო, მაგრამ, როგორც შემდეგ მივხვდი, ეს საჭირო იყო. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე გაჩერება არ შემეძლო, რაღაც უნდა მეკეთებინა. ყველა რომ წამოწვებოდა და ისვენებდა, მე ქვაბებს ვხეხავდი, ყველას ფეხსაცმელს ვუპოხავდი და ა.შ. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ ვინმეს შეემჩნია, ასეთი ვარ ბუნებით. ამ გუნდს ძალიან დიდი შესაძლებლობა ჰქონდა.

შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელი გავხდი და იმ რაიონში ყველა კარგი მარშრუტი გავიარეთ. განვახორციელეთ შხელდის ტრავერსი. შხელდაზე 7-8 გზით ვართ ასული, ცენტრალურ შხელდაზე მიშა ხერგიანისა და სუბარტოვიჩის მარშრუტები გავიარეთ, ავედით შუროვსკის პიკზე და ა.შ.

სერიოზული მწვერვალი, რომელიც დარჩენილი მქონდა ჩათინი იყო. 6-ჯერ ვიყავი უშბაზე, ჩათინზე ასვლას კი ვერა და ვერ ვახერხებდი. ძალიან ძნელი და საპასუხისმგებლო კედელია. ნამდვილი ხაფანგი. ბოლოს ბენოსთან (ქაშაკაშვილი – ი.ჯ.) და ბიჭებთან ერთად გავიარე.

ჩემი მწვრთნელობის პერიოდში 2 წლიან სამხედრო სამსახურში მოსული ახალგაზრდები, რომელთა უმეტესობა ქართველები იყვნენ, მთაში მიმყავდა. ეს იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრები და ამიტომ იგი სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც ეკუთვნოდა, მაგრამ პრაქტიკულად იგი ქართული ალპინიზმის ნაწილს წარმოადგენდა. აზერბაიჯანიდან არც ერთი კაცი არ ყოფილა, სომხეთიდან რამდენიმე კაცი ჩვენ გავზარდეთ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობა თბილისში იყო განთავსებული და სამხედრო ოლქების ჩემპიონატებზე რომ ჩავდიოდით, სადაც 10 ოლქიდან 100-მდე კაცი იყრიდა თავს, ხმა გავარდებოდა, ქართველები ჩამოვიდნენო. არავინ ამბობდა ამიერკავკასიის გუნდიაო. ჩვენთან რომ მოსულიყვნენ და ვენახეთ, ხშირად სპეციალურად გადმოდიოდნენ

ულელტეხილებზე. ქართველები ყველას ძალიან უყვარდა და პატივს გვცემდნენ. უამრავი მეგობარი გვყავდა მთელ საბჭოთა კავშირში.

გუნდს საკმაოდ დიდხანს საზოგადოებრივ საწყისებზე ვამზადებდი. შემდეგ გამაფორმეს მწვრთნელად. შეიარაღებული ძალების გუნდში მოდიოდნენ ბიჭები ბელორუსიიდან, უკრაინიდან, შუააზიიდან, იყვნენ ებრაელები, სომხები, მაგრამ ძირითადი ბირთვი ქართველებისაგან შედგებოდა. ჭრელი შემადგენლობა იყო, მაგრამ ისე მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან, ერთი კონფლიქტიც კი არ ყოფილა. მედლები რომ მოგვქონდა, ამას ხელმძღვანელობა ხედავდა და ხარჯთაღრიცხვის თანხებს ნელ-ნელა გვიზრდიდა. ჩემპიონატებისწინა შეკრებებს კავკასიონზე ვატარებდით. თუ მქონდა 18 კაცის წაყვანის უფლება, ხშირად 20-25 კაცი მიმყავდა. მიუხედავად იმისა, რომ შეკრებებზე ზედმეტი 5-10 კაცი იყო, პროდუქტი მაინც გვყოფნიდა და გვრჩებოდა კიდეც. ექსპედიციისათვის გამოყოფილი იყო სატვირთო ავტომანქანა და 2000 ლიტრი ბენზინის ტალონები, გვქონდა რადიოკავშირი, შუშხუნები, სასიგნალო პატრონები, თოკები, კარვები, გაზქურები – ყველაფერი, რაც საჭირო იყო ექსპედიციაში. მართალია, ეს იყო უხეში საბჭოთა ნაწარმი, მაგრამ მაინც ვხმარობდით. მანქანას დავტვირთავდით თბილისში და ჩავდიოდით შუა აზიაში, ქალაქ ოშამდე. ბიჭებს თვითმფრინავით ვუშვებდი. მარშრუტი ასეთი გვქონდა: თბილისი – ბაქო – ბორანით გადავდიოდით კრასნოვოდსკში – გავივლიდით ყარა-ყუმის უდაბნოს – მარტანი – ტაშკენტი – ოში. იქიდან ხეობაში შევდიოდით და ბანაკს ვაწყობდით ელექტროგანათებით, რადიოკავშირით. ყოველთვის საკმაოდ გვქონდა ჭაჭის არაყი ან კონიაკის სპირტი, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვინმეს ზედმეტი დაელია. არავინ სვამდა, მაგრამ თუ სტუმარი მოვიდოდა, ვსვამდით პატარა, 20 გრამიანი ჭიქებით, რომლებიც ტრადიციულად დაგვქონდა ექსპედიციებში და ამ ჭიქებმა თითქმის ყველა მთიანი რაიონის მწვერვალი მოიარეს.

1967 წელს, შეიარაღებულ ძალებში რომ მივედი, მშვენიერი, შეკრული გუნდი დამხვდა, რომელიც პერმანენტულად იცვლებოდა. მაგალითად, ირაკლი გელდიაშვილი ჯარისკაცად მოვიდა 2-წლიან სამხედრო სამსახურში. მახსოვს, უშბაზე ასვლა ორივესათვის პირველი იყო. ირაკლი თვითონ იყო ხელმძღვანელი და უშბაზე ასვლა გაბრიელის გზით სურდა, მაგრამ გამოუცდელობით მარშრუტზე გასასვლელი გზა რომ ვერ მონახა, ხმამაღლა, პატარა ბავშვივით ატირდა – გზა ვერ ვიპოვეო. ამ გუნდში იყო ომარ ერქომაიშვილი, უნიჭიერესი მთამსვლელი, არაჩვეულებრივი ადამიანი, ისიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჯარისკაცად იყო ჩვენთან. ორი წლის განმავლობაში პირადი პრობლემები როცა მქონდა და მთაში ვერ წავედი, გუნდს გოგი ზუმბაძე ხელმძღვანელობდა.

სამხედროში ყოფნის დროს, მთამსვლელობის გარდა, ვისწავლე გზები, თუ სად როგორ შევსულიყავი. შტაბში ყველგან შევდიოდი. საინტერესოა ეპიზოდი, თუ როგორ "ვიშოვე" ახალი კამაზი.

შევედი ცნობილ გენერალ მაკაშოვთან, რომელიც პატივს გვცემდა, რადგან შეიარაღებული ძალების ჩემპიონატებზე ხშირად ვიღებდით ოქროს მედლებს. ვუთხარი, რომ ექსპედიციებში "ზილით" დავდივართ, რომელიც ხშირად გვიფუჭდება და სამადლოდ მუდამ ვიღაცის სათრევი ვართ-მეთქი. სარაკეტო ნაწილში გამაგზავნა. ვნახე დგას ახალთახალი კამაზი, რომელიც თვითმფრინავებს ატარებდა. მაკაშოვმა გამოიძახა ნადიბაიძე (რომელიც შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გახდა) და უბრძანა, ჩვენთვის ახალი "კამაზი" მოეცათ. რა თქმა უნდა, უპრობლემოდ მოგვცეს.

მრავალი წელი ბიჭებთან ერთად ვიყავი ამ გუნდში. როგორც მწვრთნელს კარგი ბერკეტი მქონდა – შემეძლო კაცი სამხედრო უწყებით შეკრებაზე გამომეძახა. წინასწარ შევადგენდი გეგმას და ჩამოვწერდი სიას, ვინ რომელ კლასში უნდა გამოსულიყო. ამ სიას გენერლის სახელზე ვაგზავნიდი სამხედრო შტაბში, საიდანაც დაუყოვნებლივ ათავისუფლებდნენ კაცს 3 თვით და ხელფასის შენარჩუნებით. კვებიდან დაწყებული, ყველაფერი უფასო იყო ჩვენთან, წინასწარ ვთანხმდებოდით და ყველა სიამოვნებით მოდიოდა, პრობლემებიც არ გვქონდა.

გუნდში მუდამ ნიჭიერი ხალხი გვყავდა. ურთულეს მარშრუტებზე დავდიოდით. ვალიკო ქურასბედიანთან ზუგვანდის კედელი გავიარე. შემდეგ მოვიდა ბიძინა გუჯაბიძე, რომელსაც დახასიათება არ სჭირდება – უნიჭიერესი და უძლიერესი მთამსვლელია. კედელს თუ მივადგებოდით, 100%-ით დარწმუნებულები ვიყავით, რომ გავიდოდით. თითქმის არ იყო შემთხვევა უკან გამოვბრუნებულიყავით. ერთხელ იყო მხოლოდ, კრუმკოლზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ ისეთი ზვავსაშიში თოვლ-ყინული ეკიდა, ფეხის დადგმაც საკმარისი იყო, რომ მოწყვეტილიყო.

გუნდში ერთი დაუწერელი კანონი გვქონდა. ბანაკს რომ მოვხსნიდით და მოვდიოდით, ნაბანაკარი ისე უნდა დაგვესუფთავებინა, რომ ადგილზე ასანთის ღერიც არ უნდა დარჩენილიყო. კონსერვების დაჭეჭყილ ქილებს და ნარჩენებს სპეციალურად ამოთხრილ ორმოში ვყრიდით, ცეცხლს ვუკიდებდით და ქვებით ვფარავდით. სხვა ჯგუფებს აქ ჩვენი ცხოვრების არავითარი კვალი არ ხვდებოდა.

საქართველოს ნაკრების წევრები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე კარგად გამოდიოდნენ, მათ სეზონზე 2-3 ასვლა ჰქონდათ და ოქროს და ვერცხლის მედლები მოჰქონდათ. უძლიერესები იყვნენ. "სკაში" ბევრი ხალხი გადიოდა წვრთნას, იყო ამის შესაძლებლობა. მასობრიობის თვალსაზრისით კი ალპინიადებიც კარგ საქმეს აკეთებდნენ.

ხშირად მოდიოდნენ ჩემთან ახალგაზრდების მშობლები და მთხოვდნენ მათი შვილების გუნდში აყვანას. ასე იყო დათო რაქვიაშვილის შემთხვევაში, რომელიც შემდეგ მშვენიერი მთამსვლელი დადგა. დათო კობახიძეც ჩვენს გუნდში გაიზარდა და მასთან ერთად პამირი შემოვიარეთ. არ დამავიწყდება, გია ტუშური რომ ავიყვანე, რამდენჯერმე მოვიდა მამამისი, პატივისცემა უნდოდა. თავი დამანებე, თორემ თქვენ ბიჭს გუნდიდან გავაგდებ–მეთქი. ბოლოს მოვიდა და მითხრა:

- ჩემი ხელით დაწურული ღვინო მაქვს და ჩემთან უნდა წამოხვიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთო.
- არა, ძმაო, ვერ წამოვალ, ჯერ ერთი, საერთოდ არ ვსვამ, მეორეც, თქვენს შვილს ვასწავლი, მკაცრად ვექცევი და რომ დამინახოს თქვენთან სახლში ღვინოს ვსვამ, რაღა ავტორიტეტი მექნება–მეთქი. აი, რომ დაამთავრებს ჩემთან და გავუშვებ, მერე მოვალ და დავლევ–მეთქი. სამწუხაროდ, მათ ოჯახში ჭიქის აწევა მაინც მომიხდა გიას დაღუპვის შემდეგ.

ზუსტად ვერ ვიტყვი რამდენმა, მაგრამ დაახლოებით 200-მდე კაცმა გაიარა ჩემს ხელში. ბევრი მათგანი შემდგომ ცნობილი და სახელოვანი მთამსვლელი გახდა, რომელთაც ურთულესი ასვლები განახორციელეს კავკასიონზე, პამირში, ტიან-შანზე, ჰიმალაებში.

პირველად მე წავიყვანე უშბაზე ბიძინა გუჯაბიძე, დავით ჩანტლაძე, გია თორთლაძე და სხვები, რომლებიც ირაკლი გელდიაშვილთან ვარჯიშობდნენ. თვითონ ირაკლიც ჩვენთან ჩამოყალიბდა როგორც უძლიერესი მთამსვლელი. მასთან ერთად მაქვს შემოვლილი ფანის მთები, ბოდხონა და სხვა მწვერვალები. შემდგომში, ირაკლი გელდიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გახდა საქართველოში და ბიჭები მასთან იზრდებოდნენ. ირაკლი რომ დაიღუპა, მოვიდა ვალიკო ქურასბედიანი, რომელიც ჯარისკაცი იყო და მთხოვა:

- ლოვა, ბიჭები ირაკლის გარეშე უპატრონოდ დარჩნენ და იქნებ გუნდში აიყვანოო.
- რახან მთხოვ, კარგი-მეთქი, მაგრამ არ ვიცი გუნდში როგორები იქნებიან-მეთქი.
- ნორმალური ბიჭები არიანო, მითხრა და მეც დავთანხმდი, მაგრამ რომ მოვიდნენ და ვნახე, ბიძინას წვერი ჰქონდა მოშვებული, დათოს დიდი ჯვარი ეკიდა, ვიფიქრე, ვინ არიან ეს "პიჟონები"-მეთქი, მაგრამ შევცდი, შესანიშნავი ბიჭები აღმოჩნდენენ. დათო ჩანტლაძე თავის დროზე მშვენივრად დადიოდა, მაგრამ შემდეგ ცოტა დამძიმდა. გელა ოთარაშვილი შესანიშნავად ცოცავს და სიმაღლეზეც კარგად დადის. გია თორთლაძე შემდეგ ცალკე გამოეყო მათ.

არ დამავიწყდება ბენო ქაშაკაშვილის ჩვენთან მოსვლა. მართალია, სამხედრო არ ვიყავი, მაგრამ სულ სამხედროებში ვტრიალებდი და დისციპლინა ჩემთვის უმთავრესი იყო. ამიტომ ვინც ჩვენთან მოდიოდა, ყველას მკაცრად ვექცეოდი, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ

ვისი შვილი თუ ნათესავი იყო. ვინმე რომ სიგარეტის ნამწვს დააგდებდა, ან ჭურჭელს არ გარეცხავდა, ავფეთქდებოდი და ყველას ტყავს ვაძრობდი. ახლა რომ ვიხსენებ, არ ყოფილა შემთხვევა, ბენოსათვის შენიშვნა მიმეცა. ასეთი სუფთა, წყნარი და თავშეკავებული ადამიანი იშვიათად მინახავს. მას ერთი შეცდომაც კი არასოდეს დაუშვია და იმიტომ კი არა, რომ ძალიან დისციპლინებული იყო, არა, მასში ისე იყო გამჯდარი ღირსების გრძნობა, შენიშვნა რომ მიმეცა და სხვა ტონით დავლაპარაკებოდი, ვერ შემეპასუხებოდა და შეიძლება გუნდიდან წასულიყო. ფანტასტიკური შინაგანი დისციპლინა ჰქონდა. ასეთი კაცი მეორე არასოდეს მყოლია. რომ მოვიდა, 3-4 ჯგუფი მყავდა და ერთად გადიოდნენ მარშრუტზე. ბენო ძალიან კარგად ცოცავდა და ხშირად ვუშვებდი ხოლმე წინ. სადაც გავუშვი, ყველა მწვერვალზე ავიდა და გზიდან არასოდეს დაბრუნებულა. ერთი პერიოდი ავადმყოფობის თუ სხვა პრობლემების გამო, მთაში სიარულს თავი დაანება. შემდეგ რუსთავის მერიაში მუშაობდა, გასუქდა, წონაში მოიმატა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

- ლოვა, ღამეები აღარ მძინავს, აღარაფერი მინდა მთაში წასვლის გარდა, მაგრამ ნახე რამხელა ვარ, ალბათ საერთოდ ვეღარ ვივლიო. მართლაც ძალიან იყო წონაში მომატებული, მაგრამ ვიცოდი რომ ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა და რასაც შევთავაზებდი, აუცილებლად გააკეთებდა.

წავედით მყინვარწვერზე. ძალიან გაუჭირდა, ფერი არ ედო, მაგრამ მაინც ამოვიდა მწვერვალზე. მყინვარწვერიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღეში კვლავ მოვიდა ჩემთან და მეკითხება:

- ახლა რა ვქნათ, სად წავიდეთო? იალბუზი შევთავაზე, მაგრამ იმ დროს აფხაზეთის ომთან დაკავშირებით ჩრდილო კავკასიაში ქართველებს შეიძლება პრობლემები შექმნოდათ და ბენომ იალბუზზე უარი თქვა. გავეხუმრე და ვუთხარი:

- როგორიც იალბუზი და მყინვარწვერია, ასეთი მწვერვალი მაკ-კინლია ამერიკაში და მაშინ იქ წავიდეთ–მეთქი. რას ვიფიქრებდი, რომ ჩემს ხუმრობაზე ბენო სერიოზულად იფიქრებდა და წავიდეთო - მეტყოდა.

- ბენო, ხომ არ გაგიჟდი, ვიხუმრე–მეთქი.

- მორჩა, 100%-იანი მივდივართო. დატრიალდა, ნახა სპონსორები და სამი კაცი - მე, ბენო და ბიძინა გუჯაბიძე წავედით ამერიკაში. ახლა რომ ვფიქრობ, იმ ფორმაში, როგორშიც ბენო იყო, ნებისმიერი მთამსვლელი და მათ შორის მეც, 6000-იან მწვერვალზე ასვლაზე უთუოდ უარს ვიტყოდით და უკან გამოვბრუნდებოდით, მაგრამ ბენო ავიდა. 5500 მეტრზე ძალიან გაუჭირდა, ცუდად იყო, მაგრამ გაუძლო, იარა შესაძლებლობის ზღვარზე და საოცარი ნებისყოფა გამოავლინა. როგორც ჩანს, მაკ-კინლი იყო ის საფეხური, ის ზღვარი, რომელმაც მეორე სუნთქვა გაუხსნა ბენოს. ამის შემდეგ მას დახმარება არ დასჭირვებია, არც ბარგის ტარებაში, არც ღრმა თოვლის ამოჭრაში, არც წინ მუშაობაში.

ევერესტთან დაკავშირებითაც დაახლოებით ასევე მოხდა. ჰიმალაებში ბენო უკვე რამდენჯერმე იყო ნამყოფი, ევერსეტზეც იყო აფი გიგანთან ერთად, მაგრამ მწვერვალზე ვეღარ ავიდნენ უამინდობის გამო. ბიძინა გუჯაბიძე დჰაულაგირზე იყო ნამყოფი. ჰიმალაიმ ჩემზეც გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა. პირველად რომ შევედი ხეობაში, გაოცებული დავრჩი. ბანაკში ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა დავამყარეთ, აქ იყვნენ შვედები, ამერიკელები, იაპონელები და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ბანაკი მყინვარის დასაწყისში გვქონდა გაშლილი, ვინც ამოდიოდა ყველას ვეპატიჟებოდით ქართული ხელგაშლილობით. ისინიც დიდი სიამოვნებით მოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად.

მწვერვალის შტურმი შესანიშნავად ჩავატარეთ, საკმაოდ კარგი ტემპით ვიარეთ და ცოტა ხანში ყველას გავუსწარით, მაგრამ მწვერვალზე აფის ჟანგბადის აპარატი გაუფუჭდა. ბენომ მთხოვა:

- შენ ყველაფრის ოსტატი ხარ და როგორც გინდა, გააკეთეო.

- 8000 მეტრზე რა უნდა გავაკეთო–მეთქი. ცოტა ხანს ვიფიქრე, შემდეგ ვიწვალე და აპარატი ამუშავდა. ამაზე შემდეგ ბევრი ვიცინეთ. სხვათა შორის, მეც, ბიძინასაც და აფისაც

გვინდოდა მწვერვალზე უჟანგბადოდ ასვლა, მაგრამ ბენომ კატეგორიულად აგვიკრძალა და სწორადაც მოიქცა, რადგან ყოველგვარი მოულოდნელობა აგვაცილა თავიდან.

2000 წელს ბენოს ჯგუფი ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე ავიდა, მაგრამ უამინდობის გამო ვეღარ შეძლეს ლჰოცზეს მეორე, მანამდე აუსვლელი მწვერვალის დალაშქრვა, რომელზეც მომდევნო წელს რუსების ჯგუფი ავიდა. დასანანია, რომ ამ ექსპედიციაში ქართველებმა უსახსრობის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა.

სკა-ს გუნდი იმით იყო გამორჩეული, რომ მრავალი წლის განმავლობაში მაღალ ტემპში ვმუშაობდით, არ გვქონია წყვეტა და ჩავარდნა, თუმცა ისეთი მომენტიც იყო, როცა გუნდში სულ სამი კაცი დავრჩით - მე, ცხონებული გია ტუშური და ვიქტორ ლაპკინი, მაგრამ მე და გიამ წყვილში გავიარეთ მარშრუტი და მედლებიც მოვიპოვეთ. გია, როგორც ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, ცალკე პრიზით დააჯილდოვეს.

მწვრთნელად რომ დავიწყე მუშაობა, ძალიან მკაცრი ვიყავი. გუნდში ყველასთან მეგობრულად და თანატოლივით ვიყავი, მაგრამ დისტანცია მაინც მქონდა. მეგობრული ურთიერთობა მთავარი იყო, თუმცა თუ ვინმე დროზე არ გაიღვიძებდა, ტანსაცმელს არ გაირეცხავდა ან საქმეს არ აკეთებდა, ყველას ვსაყვედურობდი. საყვედური არავის სწყინდა, რადგან ხედავდნენ, რომ მართალი ვიყავი.

დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს მათთან, ვისთან ერთადაც მივლია მთაში; მაგალითად, ტექნიკური თუ სპორტული თვალსაზრისით, უნიჭიერესი, უძლიერესი მთამსვლელია თამაზ ბაქანიძე, რომელთან ერთადაც გავიარე პირველი 5-იანი მწვერვალი. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი არც სიგარეტს ეწეოდა და არც სვამდა.

ბიძინა გუჯაბიძე ერთ-ერთი უძლიერესია ქართულ ალპინიზმში. შეიძლება ითქვას, რომ იმ მარშრუტებზე, რომლებიც ბიძინას გასაოცარ ტემპში აქვს გავლილი, მიშა არც იფიქრებდა, რადგან მაშინ დროც, საჭურველიც და ფსიქოლოგიაც სხვაგვარი იყო. ახლა ყველგან დადიან, ახალი მიდგომებია, შემოდის ახალი კვანძები, ახალი სისტემები. ბიძინა სულ ვარჯიშობს, სწავლობს, ყველაფერს კარგად ითვისებს, ეხერხება ყველაფერი და განაგრძობს მთაში სიარულს. ასეთი სულით ძლიერი ადამიანი იშვიათად მინახავს.

მშვენიერი ახალგაზრდაა გელა ოთარაშვილი, მაგრამ რადგან ჩემთვის ძალიან ახლობელი და უსაყვარლესი ადამიანები არიან, ძნელია, როგორც გელას, ისე სხვების სრულყოფილად დახასიათება. შეიძლება გელამ საბაზო ბანაკში არ იაქტიუროს, ვთქვათ, ქვაბი არ გამოგგლიჯოს ხელიდან, გინდა თუ არა მე უნდა გავხეხო ან სუფი უნდა გავაკეთოო, მაგრამ სხვა საქმეში და მეგობრობაში შეუცვლელია.

ოქროა დათო ჩანტლაძე; ასეთები იყვნენ 1984 წელს დაღუპული ბიჭები: გია ტუშური, დათო კობახიძე, დევი თარხნიშვილი. დევისთან ერთად ბოდხონის 6-იანი კედლოვანი მარშრუტი მაქვს გავლილი. ჩვენ გუნდში იყვნენ აგრეთვე ვიქტორ რიბინსკი და ომარ ერქომაიშვილი. რიბინსკისთან ერთადაც ვარ მთაში ნამყოფი. ინტელიგენტი ბიჭი იყო, ძლიერი ალპინისტი და ცოტა ინდივიდუალისტი.

ომარ ერქომაიშვილზე რომ ვთქვა ნიჭიერი კაცი, ძლიერი მთამსვლელი იყო–მეთქი, არ იქნება დახასიათება. იგი ყველას სული და გული იყო. მორალურად სუფთა ხალხი იყო. უმეტესობა ასეთია საქართველოში, მაგრამ რატომღაც ავანსცენაზე სიბინძურე ჩანს, ასეთები კი ნაკლებად ჩანან.

როგორ არ ვთქვა გივი ქართველიშვილზე, რომელმაც დიდ მთამსვლელობას მაზიარა და გზაზე დამაყენა. რაც მის ექსპედიციებში ვნახე და ვისწავლე, ამას ვერც ვერსად ნახავ და ვერც ვერსად ისწავლი.

ბენო ქაშაკაშვილზე ვთქვი, მაგრამ ყველაფერი უცბად არ გაგახსენდება და სათქმელს ვერ ამოწურავ. მახსოვს, ერთ დღეს შემხვდა და გულდაწყვეტილმა მითხრა:

– იცი, რომ შენი რეკორდი მოხსნეს?! გამეცინა და ვუთხარი:

– ბენო, 100 მეტრზე რომ დარბიან წამის მეასედებში, იმ რეკორდებს ხსნიან და ეს რა რეკორდია. თუ მომეცა შესაძლებლობა, ავალ და ისევ ვაჯობებ – მეთქი, ვიხუმრე. ბენომ კი სერიოზულად მითხრა:

- მაგაზე ვიფიქროთო.

ბენო ძალიან საქმიანი კაცია, რომელიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს საკეთებელს. მარტო ის რად ღირს, ყაზბეგის მეტეოსადგური გადაარჩინა დანგრევას, რომელსაც სახურავი პრაქტიკულად აღარ ჰქონდა და ზამთარ-ზაფხულ შენობაში თოვლი და წყალი იდგა.

ძალიან ბედნიერი და იღბლიანი კაცი ვარ, რომ ჩემთან, სკა-ს გუნდში სვანებიც იყვნენ, 5-6 ბიჭი. ახლა ძნელია ყველას გვარის გახსენება. ერთი ქურასბედიანი იყო, ხერგიანი იყო, ლადო გურჩიანის ძმა იყო. ყველანი შესანიშნავები იყვნენ. ვალიკო ქურასბედიანზე თბილი, წესიერი და მომთმენი კაცი მეორე არ მინახავს, თან უძლიერესი მთამსვლელი იყო. იგივე მინდა ვთქვა აფი გიგანზე. "უმაღლესი ხარისხის" კაცია, ნამდვილი ტანკი. ფანტასტიკური ჯანმრთელობის მქონე. ევერესტზე რომ ვიყავით, არც მიფიქრია, რომ დავწეოდი, რადგან ტყუილი ცდა იქნებოდა. გუნდში დაცვა და იმედია, იცი, რომ მასთან არაფერი გაგიჭირდება. ბოლოს მყინვარწვერზე ვიყავით ერთად. გსიამოვნებს, რომ ნახევარ სიტყვაზე გიგებს ყველაფერს. უძლიერესი მთამსვლელია, მგონი ცოტა დააფასეს, თორემ თვალწინ გვაქვს რომა გიუტაშვილის მაგალითი. რომა პირველი ქართველი მთამსვლელია, რომელიც ევერესტზე ავიდა, მაგრამ უყურადღებობის გამო იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. თუმცა რაა საკვირველი, მიხეილ ხერგიანსაც თავის დროზე არ აფასებდნენ ისე, როგორც იმსახურებდა, რისი ღირსიც იყო. არც წესიერ სამსახურს სთავაზობდნენ, არც ბინას აძლევდნენ.

უცხოელებს რომ ვუყურებ, მათ ჩვენნაირი ურთიერთობები არ გააჩნიათ, ისინი ძირითადად ინდივიდუალისტები არიან. ჩვენ ცოცხლებიც გვახსოვს და დაღუპულებიც არ გვავიწყდება. 1984 წელს უშბაზე დაღუპული ბიჭების 5 წლის თავზე, უშბაზე ზამთარში წავედით და მათი გზით გავიარეთ მარშრუტი. კვლავ ვიპოვეთ დაღუპულთა ნივთები. ასევე პატივი მივაგეთ 35 წლის წინ ტიან-შანში დაღუპულთა ხსოვნას, ავედით გამარჯვების პიკზე, ვნახეთ გაბლიანის ნეშტი. მიხეილ ხერგიანის ხსოვნისათვის წავიდნენ ბიჭები იტალიაში და სუ-ალტოზე ხერგიანის გზა გაიარეს. ეს იყო პატივისცემა ძველი თაობის მიმართ, მათ თითქოს ვალი მოიხადეს მიშას წინაშე. ჩვენთან სხვა დამოკიდებულება და სხვაგვარი სითბო იყო, ამიტომ მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ ჩვენთან ალპურ კლუბში, სადაც მთამსვლელობის შესანიშნავი მუზეუმი გვქონდა, რომელიც დენიზა გოზალიშვილმა გააკეთა და 1991-92 წლების მოვლენების დროს მთლიანად განადგურდა. საბედნიეროდ, გივი ქართველიშვილის, თამაზ ბაქანიძის, ბესიკ ბაქრაძის, დიმიტრი შარაშენიძის, ივანე ჯაფარიძის მონდომებითა და დახმარებით, აღდგა და განახლდა ქართული მთამსვლელობის მუზეუმი, რომელიც პირველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში.

დიმიტრი შარაშენიძე
მწვერვალიდან დანახული წლები

არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვობაში იზრდებოდნენ ალპინისტურ გარემოში, გვერდში ჰყავდათ მთამსვლელები მამის, ბიძის, უფროსი ძმისა თუ სხვა ახლობლის სახით და მათი უხილავი ზეგავლენით გადაწყვიტეს თვითონაც ალპინისტები გამხდარიყვნენ. ჩემს გარშემო ამის უამრავი მაგალითია. მე კი მთაში წავედი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით.

1956 წელი, ოქტომბრის დასაწყისი. პირველ კურსზე ვარ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მოდის ჩემთან ჩემი თანაკურსელი გივი ქართველიშვილი და მეუბნება:

- გინდა ორი კვირის განმავლობაში ლექციები გააცდინო საპატიო მიზეზით?

უკეთეს შემოთავაზებას რას ვინატრებდი გაზარმაცებული სტუდენტი? ამიტომ პასუხი მოკლე იყო – მინდა.

- მაშინ წავიდეთ მთაში, ალპინიადა ეწყობა.
- წავიდეთ.

იმ დროს საქართველოში მრავალრიცხოვანი ალპინიადა ტარდებოდა და მიმართული იყო ახალგაზრდების ფართო მასების მთამსვლელობაში ჩასართავად. მონაწილეთა რიცხვი 100-120 კაცს აღწევდა. მართალია, ყველა აღარ აგრძელებდა მთაში სიარულს და მთამსვლელობას ერთეულები შემორჩებოდნენ ხოლმე, მაგრამ თვით ღონისძიება იყო სავსებით გამართლებული, რადგან ახალგაზრდას ეძლეოდა საშუალება, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ზიარებოდა იმ მშვენიერ განცდას, რომელსაც მწვერვალზე ასვლა ჰქვია. გარდა ამისა, მწვერვალი და საერთოდ, მთა, ძალზე აახლოვებს ადამიანებს. მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც მაშინ ერთად ავედით მწვ. ყუროზე (4200 მ., ყაზბეგის რაიონი), დღემდე დავრჩით მეგობრებად.

ასვლის შემდეგ მივიღე ალპინისტური ნათლობა, გავხდი "ალპინიზმის პირველი საფეხურის ნიშნოსანი" და მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია ჩემი ცხოვრება ამ საქმესთანაა დაკავშირებული.

ზემოხსენებულ ალპინიადაზე გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც გაერთიანდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთამსვლურ სექციაში და შემდეგ ალპინისტურ ბანაკებში იმაღლებდნენ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ მაშინ ალპინიზმში საფეხურებრივი მომზადება არსებობდა, რომელიც მთამსვლელის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ასვლის თანდათანობით გართულების პრინციპს გულისხმობდა, ეს კი სპორტული მომზადების საფუძვლიან გარანტიას იძლეოდა.

ასეთ პირობებში ჩვენ სხვადასხვა ალპინისტურ ღონისძიებებში მონაწილეობით ვიმაღლებდით ოსტატობას. ამ ეტაპზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1961 წელს უშბაზე ასვლა ალიოშა ჯაფარიძის გზით და შემდეგ ჩრდილო უშბის ტრავერსი. ასვლის ხელმძღვანელი გახლდათ შესანიშნავი პიროვნება, მთამსვლელი და ფოტოხელოვანი გურამ თიკანაძე. მის ჯგუფში ვიყავით გივი ქართველიშვილი, ლევან ჯაფარიძე, ბესო და ნუგზარ ბაქრაძეები და ამ სტრიქონების ავტორი.

ეს ასვლა უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. მას შემდეგ გაცილებით რთული გზებით მივლია სხვადასხვა მწვერვალზე, მაგრამ უშბის დალაშქვრის ემოციას ვერც ერთი ასვლა ვერ შეედრება. ეს განაპირობეს უშბის ლეგენდებმა - ჯაფარიძეების დიდი მთამსვლური ოჯახის ბრწყინვალე გამარჯვებებმა და ამავდროულად, დიდმა ტკივილმა (ალიოშა ჯაფარიძე უშბაზე დაიღუპა). ასეა თუ ისე, უშბის ტრავერსის შემდეგ ვიგრძენი, რომ უფლება მაქვს თავი მთამსვლელად ჩავთვალო.

ჩვენი მეგობრობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, კვალიფიკაციასაც ვიმაღლებდით და ერთიან ჯგუფად ვყალიბდებოდით.

1961-1969 წლები, ქართული ალპინიზმისა და მისი ქომაგებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა: ამ პერიოდში დაიღუპა ჩვენი რამდენიმე სახელოვანი, მე ვიტყოდი უმაღლესი პროფესიონალიზმის ახალგაზრდა მთამსვლელი, რამაც დიდი დაღი დაასვა ჩვენს მთამსვლელობას. ამის გამო საკმაოდ ჩამოვრჩით საკავშირო დონეს. მაშინ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მთამსვლელები უკვე საკმაოდ ხშირად დადიოდნენ მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე, საქართველოში კი ასეთი დონის არც ერთი ასვლა არ განხორციელებულა.

სწორედ ამ დიდი ჩავარდნის პირობებში, 1971 წელს ჩვენი მეგობრები, ჩვენი მომავალი გუნდის უცვლელი წევრები: რომან გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე და ტარიელ

ლუკაშვილი ავიდნენ მწვ. ჩათინზე ე.წ. "რომბის" გავლით (მე-6 კ.ს.). ეს ასვლა იყო გარღვევა, რომელმაც მაღალი კვალიფიკაციის გუნდის ჩამოყალიბების წინაპირობა შექმნა.

ასეთ რთულ ვითარებაში გივი ქართველიშვილმა ითავა მაღალი კვალიფიკაციის გუნდის შექმნა. ჩვეული სიდინჯით, მოთმინებით, ორგანიზატორული ნიჭის წყალობით და თუ გნებავთ, დიპლომატიური უნარით, შემოიკრიბა მთამსვლელი მეგობრები და თავისი განწყობა თანდათანობით გუნდის წევრებსაც გადასდო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ განსხვავებული ხასიათის ხალხი იყო. საერთო ჰქონდათ ერთი - მთის სიყვარული. რასაკვირველია, ეს გრძნობა მთავარია, მაგრამ ტემპერამენტი, ცხოვრების წესი და სხვა მრავალი ფაქტორი ანგარიშგასაწევია ქმედითი, მონოლითური გუნდის ჩამოსაყალიბებლად. გივიმ ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი და გუნდის თავკაცი გახდა.

დაიგეგმა მე-6 კატეგორიის მარშრუტებზე რამდენიმე ასვლა ორი წლის განმავლობაში. ამისთვის შეირჩა სამხრეთ უშბის დასავლეთის და მწვ. ბოდხონის სამხრეთ-დასავლეთის კედლები. ორივე ასვლა (ექსპედიციის და ასვლის ხელმძღვანელი გივი ქართველიშვილი) წარმატებით შესრულდა 1974 და 1975 წლებში. ამრიგად, ჩვენი გუნდის ყველა წევრს აქტივში უკვე აღმოაჩნდა ერთიდან სამამდე მე-6 კ.ს. მარშრუტის გამოცდილება.

ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ობიექტური მონაცემის გათვალისწინებით, დადგა დრო, როცა უნდა გაგვევლო "საკუთარი" ექვსიანი, რასაკვირველია, სსრკ ჩემპიონატის ჩარჩოში,

შედგა 6 კაციანი ჯგუფი: დიმიტრი შარაშენიძე (ასვლის ხელმძღვანელი), გივი ქართველიშვილი (ექსპედიციის უფროსი, გუნდის მწვრთნელი), თამაზ ბაქანიძე, გოგი ზუმბაძე, ტარიელ ლუკაშვილი, მურად ჭიჭინაძე.

ნებისმიერ სფეროში ასეა, ახალი სუბიექტის გამოჩენას თან სდევს ძველის წინააღმდეგობა. სამწუხაროდ, ჩვენ მიმართაც ასე მოხდა.

გადავლახეთ რა "წყალქვეშა დინებები", ექსპედიცია 1976 წ. გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ტიან-შანზე. განაცხადი გაკეთდა ტექნიკური ასვლების კლასში. ობიექტი გახლდათ ამ მთიან სისტემაში მდებარე მწვ. ჯიგიტის (5170) ჩრდილოეთი კედელი.

ეს მწვერვალი აღმართულია ისიკ-ყულის ტბიდან დაახლოებით 40 კილომეტრზე, კოკ-ბორის ულამაზეს ხეობაში. თავისი ადგილმდებარეობისა და უზარმაზარ ტბასთან სიახლოვის გამო, მწვ. ჯიგიტის მიკროკლიმატი მკვეთრად განსხვავდება ამ რაიონის სხვა მწვერვალების კლიმატისაგან.

საქმე ის გახლავთ, რომ ისიკ-ყულის ტბა კონტინენტური ჰავის საკმაოდ ცხელ რაიონშია. ამიტომ მისი ზედაპირიდან დღის განმავლობაში წყლის აორთქლება ერთობ ინტენსიურია. საღამოს და ღამით, ტემპერატურის მკვეთრი დაცემის გამო, ტენიანი ჰაერი ახლომდებარე მაღალმთიან რაიონში იწვევს ინტენსიურ თოვას. ამ პროცესს როგორც წესი, თან სდევს ძლიერი ქარი. ქარის სათარეშო კი უპირველესად რაიონის უმაღლესი მწვერვალები - ჯიგიტი (5170 მ) და კარაკოლია (5250 მ).

ასვლის დროს რეალურად შექმნილმა უამინდობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეს ყველაფერი წინასწარ გვქონდა გათვალისწინებული.

მთელი ასვლის განმავლობაში მზე არ გამოსულა. ყოველი დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით პირველ-ორ საათზე, იწყებოდა თოვა ძლიერი ქარით. მოძრაობა შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენი მოძრაობის ხანგრძლივობა დღეში რამდენიმე საათით განისაზღვრებოდა. ამ დროს ქვევით, საბაზო ბანაკში, განუწყვეტლივ წვიმდა. ამინდის თვალსაზრისით ისეთი რთული ვითარება შეიქმნა, რომ ჩემპიონატის მსაჯმა და საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელმა ამ ხეობაში მოსკოვთან შეთანხმებით უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს – რაციის საშუალებით უკან ჩასვლა შემოგვთავაზეს, ამინდის გამოსვლის შემდეგ კი მარშრუტზე დაბრუნების გარანტიაც მოგვცეს (რაც ჩემპიონატის დებულებით აკრძალული იყო). მე დღესაც მადლობელი ვარ ამ შემოთავაზებისა, რადგან იგი ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნვით იყო განპირობებული.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულებმა, უარი ვთქვით შემოთავაზებაზე და განვაგრძეთ ასვლა.

ეს ყველაფერი მოხდა ასვლის დაწყებიდან მეოთხე დღეს. ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, რომ კიდევ ათ დღეს გაგრძელდებოდა ეს საშინელი ამინდი. მთელი 14 დღის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ დავდგით კარავი. გვეძინა, თუ ამას ძილი შეიძლება დაარქვა, ცალ-ცალკე ან ორ-ორს ერთად ჩამომსხდრებს, რასაკვირველია, კლდეზე თოკით მიბმულებს. ამავე წლის დეკემბერში, მოსკოვში მოეწყო ვეტერან ალპინისტთა შეკრება, სადაც ერთ-ერთმა გამომსვლელმა განაცხადა: "საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ასეთ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ასვლა". ამასვე წერდა 1976 წლის 10 დეკემბრის გაზეთი "იზვესტია". მნიშვნელოვანი და საყურადღებო ის გახლავთ, რომ ეს ითქვა მოსკოვში, იმ მთამსვლელების მიერ, რომელთაც რა არ უნახავთ მთაში. ჩემთვის ეს შეფასება უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემპიონის ოქროს მედალი, რომელიც ამ ასვლისათვის მივიღეთ.

14 დღის შემდეგ, გვიან ღამით მივაღწიეთ თოვლიან ქედს და ამ ხნის განმავლობაში პირველად შევძელით კარვის დადგმა. კედელი ფაქტობრივად გავლილი იყო და თუმცა უამინდობა გრძელდებოდა, კარავში შეყუჟულებს ეს უკვე აღარ გვანაღვლებდა. გვიანობამდე ისმოდა გოგი ზუმბაძის წკრიალა ხმა - "შარშან უფრო საშინელი, ცივი ქარი ქროდა, მაგრამ მაშინ ჩემთან იყავ, სულ არ მეშინოდა"... ყველა მღეროდა, კარავში აუწერელი სიხარული სუფევდა.

მეორე დღეს, ე.ი. ასვლიდან მეთხუთმეტე დღეს, 7 აგვისტოს გამოიდარა. თითქოს ბუნებამაც დაგვაჯილდოვა სიმტკიცისათვის. ცაზე ღრუბლის ერთი ნაგლეჯიც კი არ იყო და ჩვენს თვალწინ ტიან-შანის შესანიშნავი პანორამა გადაიშალა. წყნარად გამოვედით კარვიდან და საკმაოდ იოლი ქედით დაახლოებით დილის 11 საათზე უკვე მწვერვალზე ვიყავით.

მინდა აღვნიშნო, რომ ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრმა საკუთარი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში, მაგრამ მაინც გამოვყოფ თამაზ ბაქანიძეს და გოგი ზუმბაძეს, რომელთაც განსაკუთრებული ოსტატობა გამოამჟღავნეს კედლის უაღრესად რთული მონაკვეთების დაძლევის დროს, რაც მათი უბადლო მეკლდეურობით იყო განპირობებული.

იმავე დღეს შედარებით ადვილი გზით ჩამოვედით ქვედა ბანაკში, სადაც გველოდებოდნენ დამხმარე ჯგუფის წევრები: ზაალ ქიქოძე, თამაზ შარაშენიძე, გია საჯაია, გია თარხნიშვილი და ექსპედიციის უფროსის მოადგილე თენგიზ ბერიშვილი. მოგვეფერნენ, დაგვაპურეს, მოგვასვენეს. დიდი მადლობა მათ უამრავი "შავი" სამუშაოს შესრულებისთვის, ურომლისოდაც დიდ საქმეში გამარჯვება წარმოუდგენელია.

ჯიგიტზე ასვლამ და ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვებამ, წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისით, ბევრი პრობლემა მოუხსნა გუნდს. შეწყდა ჩვენ მიმართ "წყალქვეშა დინებები", მნიშვნელოვნად გაიოლდა ექსპედიციების ჩასატარებლად საჭირო ფინანსების მოძიება, სპორტის ხელმძღვანელობის თვალში გაიზარდა გუნდის ავტორიტეტი და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის იყო, რომ ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდით საკუთარ ძალებში - გუნდს შეუძლია უმაღლესი სირთულეების დაძლევა.

ჩემი აზრით, ამ ასვლით დამთავრდა ჩვენი გუნდის მაღალი კლასის მთამსვლელთა გუნდად ჩამოყალიბების პროცესი.

დადგა 1977 წელი. გუნდი კვლავ მოემზადა ჩემპიონატისათვის. ძალების მოსინჯვა ამჯერად სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში გადავწყვიტეთ. შეირჩა ობიეტი – ე. აბალაკოვის პიკის (6446 მ) ჩრდილოეთი კედელი. ეს მწვერვალი ცენტრალურ პამირში, პეტრე პირველის ქედზე მდებარეობს. დადგინდა მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობა: გივი ქართველიშვილი (ექსპედიციისა და ასვლის ხელმძღვანელი), დიმიტრი შარაშენიძე (გუნდის მწვრთნელი), თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, გოგი ზუმბაძე, ტარიელ ლუკაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი.

მარშრუტის ტექნიკურ სირთულეს სიმაღლის ფაქტორიც ემატებოდა. კედლის სპეციფიკა - გაზრდილი ზვავსაშიშროებაა. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარშრუტის დაზვერვისას ზვავების ჩამოსვლის ძირითადი სიბრტყეების განსაზღვრას. კედელი

დღის განმავლობაში, სხვადასხვა განათების პირობებში რამდენიმე მხრიდან დაიზვერა. საბოლოოდ შეირჩა ყველაზე უხიფათო გზა, თუმცა სადღაც 6300 მ. სიმაღლეზე, ქედზე გასვლამდე, ჩვენ უნდა გაგვევლო ფრიად უსიამოვნო ადგილი, ე.წ. "ძაბრის" ყელი, სადაც თავს იყრიდა ზემოდან ჩამოვარდნილი კლდოვანი თუ თოვლ-ყინულოვანი ლოდნარი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, ამინდმაც ხელი შეგვიწყო და მე-7 დღეს უკვე მწვერვალზე ვიყავით. ასვლის დროს რაიმე ექსცესი არ მომხდარა. მარშრუტის სირთულიდან გამომდინარე (მე-6 კ.ს.), იყო მხოლოდ დიდი ფიზიკური დატვირთვა. ჩემპიონატში მეორე ადგილი ავიღეთ და ამით კიდევ ერთხელ განვიმტკიცეთ ავტორიტეტი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ყველა მთამსვლელი ჩვენს გუნდს უკვე ერთ-ერთ სერიოზულ კონკურენტად განიხილავდა საკავშირო ჩემპიონატებზე.

1978 წლის ჩემპიონატისათვის განაცხადი სამხრეთ-დასავლეთ პამირში მდებარე ტაჯიკეთის უნივერსიტეტის პიკის (6180 მ) აღმოსავლეთ კედელზე (სასიმაღლო-ტექნიკური კლასი) გავაკეთეთ.

ე. აბალაკოვის პიკი

კედელი ზუგვანდის მყინვარზეა აღმართული და წარმოადგენს 1100 მეტრის სიმაღლის კლდეს, რომელიც მთავრდება 290 მ. უკუდაქანების მონაკვეთით. მარშრუტზე ძალიან ცოტა თოვლია, მხოლოდ აქა-იქ ძევს, რაც იმას ნიშნავს, რომ წყლის მოპოვება შეზღუდულია, ეს პრობლემა კი დამატებით თავსატეხს უქმნის მთამსვლელს. ერთადერთი დადებითი ამ რაიონში ასვლებისათვის ისაა, რომ იგი სტაბილური კარგი ამინდით ხასიათდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის. ჯგუფი გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით მარშრუტზე გავიდა ზუგვანდის მყინვარზე გაშლილი ბანაკიდან და ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ 100 მ. გაიარა. დაიდგა კარავი, უკვე კარავში ვეწყობოდით ღამის სათევად, რომ დაიწყო ქვათაცვენა. როგორც შეგვეძლო, თავი კლდეს შევაფარეთ, მაგრამ ერთი პატარა ქვა მაინც მომხვდა და ფეხი მომტეხა. ამის შემდეგ შეწყდა ასვლა და ხელმოცარულები დავბრუნდით შინ. ასე დამთავრდა ჩვენთვის 1978 წლის ალპინისტური სეზონი.

1979 წელსაც იმავე ობიექტზე გავაკეთეთ განაცხადი. ძალიან მნიშვლელოვანი იყო გუნდის წინა წლის გამოცდილება. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცოდნა კლდის ფაქტურის, მარშრუტის საკვანძო მონაკვეთების ახლოდან შეფასებისა და სხვა "წვრილმანების" შესახებ, ტაქტიკური გეგმის შედგენაში ძალიან დიდ როლს თამაშობს.

რაც მთავარია, 1979 წელს ჩვენთან გუნდში მოვიდა ირაკლი გელდიაშვილი, საბჭოთა კავშირისა და ალბათ არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესი მეკლდეური და შესანიშნავი მთამსვლელი. ამ გარემოებამ თვისობრივად გააძლიერა ჩვენი გუნდი. სამსახურის გამო ვერ შევძელი სათანადოდ მომზადება და მართალი რომ ვთქვა, მარშრუტზე ჯგუფის გასვლამდე ვგრძნობდი, რომ ჯგუფში მოხვედრის კონკურენციას ვერ გავუძლებდი და როცა გივი ქართველიშვილმა მისთვის ჩვეული დელიკატურობით მითხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩემი დარჩენა, საბოლოოდ დაესვა წერტილი ამ ასვლაში ჩემს მონაწილეობას. რომ ვთქვა გული არ დამწყვეტია-მეთქი, ტყუილი იქნება. შინაგანად ძალიან განვიცადე ეს ამბავი, მაგრამ ერთი წამითაც არ მიფიქრია, რაიმე წყენა გამომეხატა. ძალიან დიდი იყო დასახული ამოცანის მნიშვნელობა და პირადი სურვილის გამო ასვლის რისკი რომ გამეზარდა, სულმოკლეობა იქნებოდა ჩემი მხრიდან.

დადგინდა ჯგუფის შემადგენლობა: გივი ქართველიშვილი (ხელმძღვანელი), თამაზ ბაქანიძე, ირაკლი გელდიაშვილი, რომან გიუტაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, მურად ჭიჭინაძე.

ჯგუფი სისხამ დილით გავიდა კედელზე ზუგვანდის მყინვარიდან. წინ წავიდა კარგად "შეთამაშებული" სამეული თამაზ ბაქანიძე, ტარიელ ლუკაშვილი და მურად ჭიჭინაძე. მათ სწრაფად დაკიდეს თოკები და დაიწყო ეს შესანიშნავი ასვლა. ამინდი კარგი იყო. ქვევიდან მშვენივრად ჩანდა ჯგუფის მუშაობა. ბიჭები სინქრონულად, შეთანხმებულად მოქმედებდნენ და საქმეც სწრაფად მიიწევდა წინ. პირველ დღეს კედლის ძირიდან 100 მეტრი გაიარეს და დაახლოებით 5200 მ. სიმაღლეზე ავიდნენ. შემდეგი 4 დღის განმავლობაში ჯგუფი ჩვეულებრივი გრაფიკით ადიოდა. დიდი დახრის გამო, მთამსვლელები ძირითადად უზურგჩანთოდ მოძრაობდნენ, ზურგჩანთებს და სხვა ბარგს თოკით ქაჩავდნენ. ყველაფერი ნორმალურად ვითარდებოდა, მაგრამ მაინც მოხდა მცირე კაზუსი, რამაც შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდა ასვლის სირთულე. ორ მონაწილეს, რომლებიც ზურგჩანთებს თოკით ზემოთ ეწეოდნენ, ერთმანეთთან მცირედი შეუთანხმებლობის გამო, გადმოუვარდათ ზურგჩანთა, რომელშიც ჯგუფის საჭურველის, პროდუქტისა და ბენზინის ნაწილი იყო. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეამცირა პროდუქტებისა და ბენზინის რაოდენობა. საქმეს განსაკუთრებით ბენზინის დაკარგვა ართულებდა, რადგან ასეთ უთოვლო მარშრუტზე წყლის მოპოვების ერთადერთი საშუალება პრიმუსზე ყინულის გადნობაა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მთამსვლელს მწვერვალზე ასვლისას ყურადღების ოდნავი მოდუნების უფლებაც კი არა აქვს.

მიუხედავად ყველაფრისა, ჯგუფმა წარმატებით განაგრძო გზა და მიადგა მარშრუტის ძირითად რთულ მონაკვეთს - გადმოქანებული კლდის დასაწყისს. ურთულესი 290 მეტრიანი მონაკვეთის გავლას გუნდი რვა (!) დღე მოუნდა. წინ უპირატესად ირაკლი გელდიაშვილი მუშაობდა. ქვევიდან კარგად ჩანდა რა ფანტასტიკურად გადიოდა ის რთულ მონაკვეთებს თავისუფალი ცოცვით, კიდებდა თოკებს, რომლის საშუალებითაც დანარჩენები ადიოდნენ ზევით. მეთოთხმეტე დღეს ჯგუფი ქედზე გავიდა და შუადღისას მწვერვალს მიაღწია. ჩვენი გუნდის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა ასეთი დახრილობისა და გრძელი კედლის გავლა. ბიჭები საბაზო ბანაკში მეორე დღეს, საღამო ხანს დაბრუნდნენ. ძალიან დაღლილები იყვნენ, საოცრად გამხდარნი, მაგრამ თვალები უბრწყინავდათ გამარჯვების სიხარულით.

შედეგი – ჩემპიონატში გამარჯვება, ოქროს მედლები და გუნდის "ყულაბაში" მესამე "საკუთარი" მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტი.

1981 წელს ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ამ დროისათვის საკავშირო ჩემპიონატის დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა – 40 წელს გადაცილებულ მთამსვლელებს აეკრძალათ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა. ამის

გამო, ჯგუფი ერთდროულად დავტოვეთ გივი ქართველიშვილმა, თამაზ ბაქანიძემ, რომან გიუტაშვილმა და მე - დიმიტრი შარაშენიძემ, მაგრამ ჩვენი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ცვლლილებებისთვის ყველანი მზად აღმოვჩნდით.

ჯგუფიდან გასული მთამსვლელების ადგილი დაიკავეს ჩვენს ექსპედიციებში მომზადებულმა მთამსვლელებმა თამაზ შარაშენიძემ და ჯემალ ქელეხსაშვილმა. მათ დაემატა შესანიშნავი ალპინისტი დევი თარხნიშვილი და ამით თაობათა ცვლამ გუნდში აბსოლუტურად უმტკივნეულოდ ჩაიარა.

1981 წელს, ჯგუფი, უკვე ახალი შემადგენლობით გამოვიდა ჩემპიონატში.

ამჯერად ექსპედიცია მწვ. კიუკურტლუს (4646 მ) დასავლეთ კედელს მიადგა. ეს მწვერვალი დასავლეთ კავკასიონზე მდებარეობს და ფაქტიურად იალბუზის ქედს წარმოადგენს. ექსპედიციის უფროსი გახლდათ გივი ქართველიშვილი, მწვრთნელები – მე და რომან გიუტაშვილი, ასვლის ხელმძღვანელი - ტარიელ ლუკაშვილი.

ასვლის დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ამ სიგრძისა (450 მ) და საშუალო დახრილობის (84^0) ასეთი მონოლითურ-კლდოვანი მარშრუტი კავკასიონზე არავის ჰქონდა გავლილი. (კედლის ვერტიკალურობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ კედლის გავლის შემდეგ, ზედმეტი თოკები რომ არ ეტარებინათ, ბიჭებმა ისინი დაბლა გადმოყარეს და რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, კედლის შეუხებლად მის ძირში დაეცნენ).

ჯგუფი ტარიელ ლუკაშვილის (ხელმძღვანელი), ირაკლი გელდიაშვილის, დევი თარხნიშვილის, მურად ჭიჭინაძის, ჯემალ ქელეხსაშვილის შემადგენლობით გავიდა საბაზო ბანაკიდან და ათ დღეში მიაღწია მწვერვალს. ამ გზაზე მათ შეხვდათ უამრავი უკუდახრის მონაკვეთი, ე.წ. "ბუხარი" და სხვა ურთულესი რელიეფი. ასვლის მთელ გზაზე არსად იყო საკარვე ადგილი, ამიტომ ღამეს კლდეზე თოკით მიბმულნი ალპინისტურ ჰამაკებში ათევდნენ. ძალიან ცივი კედელია, დილით მზე მხოლოდ 12 საათისათვის თუ მიადგებოდა.

საოცარი სუბიექტურობა გამოიჩინა მაშინ საკავშირო მსაჯთა კოლეგიამ, როცა ამ ასვლას მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მიანიჭა. რასაკვირველია, მარშრუტი მე-6 კ.ს. შეფასდა, მაგრამ საკავშირო ჟიურიმ თავისი "პირუთვნელი და ობიექტური შეფასებით" ჯგუფს ოქროს მედლები დააკარგვინა, რომლებიც მას უცილობლად ეკუთვნოდა.

განვმარტავ, რომ მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტები, კლასიფიკაციების გადაფასების მხრივ, უფრო დაბალი სირთულის მარშრუტებისგან განსხვავებით, სხვაგვარ, სპეციფიკურ მდგომარეობაში არიან. კერძოდ, როდესაც რომელიმე ჯგუფი პირველი გაივლის მარშრუტს და მას მე-6 კატეგორიას მიანიჭებენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შემდეგი ამსვლელებისათვისაც იგი აუცილებლად მე-6 კატეგორიის მწვერვალად ჩაითვლება. საკმარიასია, ეს მარშრუტი რამდენიმე ჯგუფმა გაიაროს, რომ მას ჩამოაფასებენ მე-5 კატეგორიამდე. ასეთი ბედი ეწია კავკასიონზე ბევრ ცნობილ მარშრუტს, როგორიცაა ჩათინის ე.წ. "რომბი", უშბის "სარკე", უშბის დასავლეთი კედელი, მწ. ნახარი და სხვ.

ჩვენი გუნდის მიერ გავლილი კიუკურტლუს დასავლეთი კედელი დღესაც, 28 წლის შემდეგ, არ ჩამოფასებულა და ის ერთადერთი მე-6 კ.ს. მარშრუტია მთელ კავკასიონზე. რასაკვირველია, ეს ფაქტი ყველა მედალზე ძვირფასია. ამ მარშრუტს "ქართველების გზა" ჰქვია და ეს ძალიან მეამაყება.

დაბოლოს, მინდა კვლავ აღვნიშნო ირაკლი გელდიაშვილის დიდი ოსტატობა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ გამარჯვებაში.

1982 წელს ჩვენმა გუნდმა მწვ. დავით აღმაშენებლის ჩრდილოეთი კედლის გავლით კვლავ ასახელა ქართული ალპინიზმი. საკავშირო პირველობაზე გუნდმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი გივი ქართველიშვილი), რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ტ. ლუკაშვილი (ხელმძღვანელი), ი. გელდიაშვილი, დ. თარხნიშვილი, მ. ჭიჭინაძე, ჯ. ქელეხსაშვილი, თ. შარაშენიძე, მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

1983 წელს "ხანდაზმულობის" გამო უკვე ტარიელ ლუკაშვილს მოუხდა გუნდის დატოვება და ასვლის ხელმძღვანელობა ირაკლი გელდიაშვილს გადაეცა.

ჩვენ ყველამ, თბილისში დარჩენილებმა, გზა დავულოცეთ ექსპედიციას სამხრეთ-დასავლეთ პამირში მწვერვალ “6100”-ზე (ექსპედიციის ხელმძღვანელი რომან გიუტაშვილი).

მოიერიშე ჯგუფში შევიდნენ: ი. გელდიაშვილი, დ. თარხნიშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. შარაშენიძე, ჯ. ქელეხსაშვილი. ეს ექსპედიცია მწ. “6100”-ზე წარმატებული ასვლით დაგვირგვინდა. საკავშირო ჩემპიონატში გუნდმა დაიკავა საპატიო მე-3 ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ამრიგად, თუ შევაფასებთ ჩვენი გუნდის მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატრებში 1976-83 წლებში, დავინახავთ, რომ გუნდმა დაიკავა ორი პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილი, რითაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ალპინიზმში.

დღესდღეობით მწ. ჯიგიტის ჩრდილოეთი კედელი ტიან-შანზე და კიუკურტლუს დასავლეთი კედელი კავკასიონზე, მე-6 კ. ს. მარშრუტებია და “ქართველების გზის” სახელწოდებითაა ცნობილი, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ ქართული ალპინიზმის სიმაღლეს იმ წლებში.

ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1984 წელი. თებერვალში, უშბაზე ზამთრის ასვლის დროს, ზვავის ჩამოწოლის გამო, დაიღუპა ჩვენი ექვსი მეგობარი, საქართველოს ალპინიზმის იმედი და საყრდენი ირაკლი გელდიაშვილი, გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე და გია ტუშური.

ჩემთვის ძალიან ძნელია ამ ტრაგედიაზე საუბარი და ამიტომ ექსპედიციის საქმიანობაზე, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, მოკლედ ვიტყვი.

უშბაზე და ისიც ზამთარში ასვლა ყველა მთამსვლელის ოცნებაა. ამიტომ, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ჩემი სურვილი - გაბრიელ ხერგიანის გზით ავსულიყავით უშბაზე, გავაცანი რომან გიუტაშვილს და დევი თარხნიშვილს, იდეა მათაც მოეწონათ.

დევი დაუკავშირდა გოგი ზუმბაძეს, მე - თამაზ ბაქანიძეს. ორივე დაგვთანხმდა. ამ დროს ირაკლი გელდიაშვილი და მურად ჭიჭინაძე შეკრებაზე იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც წარმატებით შეასრულეს ზამთრის ასვლა ცენტრალურ შხელდაზე ჩრდილოეთის კედლით. მათი ჩამოსვლის შემდეგ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდით, დაგვემატა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მთამსვლელი და თებერვლის დასაწყისში გავემგზავრეთ სვანეთში. დავბანაკდით სოფელ მაზერში გივი წერედიანის სახლში.

ამის შემდეგ, ორ დღეში ავედით გულის მყინვარის მისადგომებთან, სოფლის ფერმაში. გვქონდა სავარჯიშო გასვლები. მათ შორის მწვ. გულის მიმართულებითაც. ავედით დაახლოებით 3200 მეტრამდე და უკან დავბრუნდით. ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი, პირველი: ირაკლი გელდიაშვილი (ხელმძღვანელი), დევი თარხნიშვილი, გოგი ზუმბაძე, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე, გია ტუშური და მეორე: რომან გიუტაშვილი (ხელმძღვანელი), დიმიტრი შარაშენიძე, თამაზ ბაქანიძე, თამაზ შარაშენიძე და ჯემალ ქელეხსაშვილი.

ერთობლივად შემუშავდა ასვლის ტაქტიკა. გადაწყდა ჯგუფების მარშრუტზე გასვლა ერთი დღის განსხვავებით, რათა საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად გაგვეწია ერთმანეთისათვის დახმარება.

პირველი ჯგუფი მწვერვალისაკენ გავიდა 21 თებერვალს. 22-ში მივყევით მეორე ჯგუფი. ამინდი კარგი იყო, ზამთრის პირობებისთვის კი ასვლის ტემპი - ნორმალური. პირველი ჯგუფი მწვერვალზე 26 თებერვალს ავიდა. ჩვენი ჯგუფი მას ფეხდაფეხ მისდევდა. როდესაც ისინი მწვერვალიდან ჩამოდიოდნენ, ჩვენ უკვე გაბრიელის კედლის თავზე ვიყავით შეჩერებული ღამის სათევად. შეხვედრა უაღრესად გულთბილი იყო. უკვე დაღამებულზე ისინი დაეშვნენ კედლის ძირში. მეორე დღეს ჩვენი ჯგუფი მწვერვალისკენ გავიდა. 27 თებერვალს, დაახლოებით დღის ორ საათზე მურადმა შემომძახა კედლის ძირიდან, რომ წაიწევდნენ წინ ქვედა ღამის სათევამდე. ჩვენ ზევით განვაგრძეთ გზა. ამასობაში ამინდი მკვეთრად გაუარესდა, დილიდანვე დაიწყო ინტენსიური თოვა. ზამთარში სულ სხვაა მთაში უამინდობა, იგი გაცილებით მკაცრია ვიდრე ზაფხულში. ამიტომ ჩვენი ასვლის ტემპი შემცირდა და 27-ში ქედზე დაბანაკება მოგვიხდა მწვერვალიდან 100 მეტრის ქვევით. 28-ში ჯგუფი უჩემოდ ავიდა მწვერვალზე. მე ვერ წავედი, რადგან წინა დღით მსუბუქად მოვიყინე ხელის თითები.

დავიწყეთ დაშვება. საღამოს უკვე კარავში ვიყავით შესულები, როცა ომარ ერქომაიშვილმა გვამცნო საზარელი ამბავი: - მთელი ჯგუფი დაიღუპა, ისინი ზვავმა დაიტანაო. ალბათ გასაგებია რა დღეში ჩავცვივდით. მეორე დღეს სწრაფად დავიწყეთ დაშვება. ზვავსაშიშროება კვლავ არსებობდა, უშბის კლდეებზე სხვადასხვა ადგილზე რამდენჯერმე ისევ ჩამოვიდა ზვავი, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენ არ შეგვეხო. 2 მარტს ჩვენი ჯგუფი გულის მყინვარზე დაეშვა.

შეიძრა მთელი საქართველო. უამრავი მაშველი ჩამოვიდა თბილისიდან და ქუთაისიდან. მთელი სვანეთი ფეხზე დადგა.

ასეთი ტრაგიკული ფინალი ჰქონდა ამ უნიკალურ ასვლას, რომელიც ჩვენი ექსპედიციის ორივე ჯგუფის მიერ განხორციელდა.

ქართულმა ალპინიზმმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. თითქოს მას დედაბოძი გამოეცალა, ჩვენ კი, მეგობრებს, სამუდამოდ დაგვრჩა შეუხორცებელი იარა.

ამ ტრაგედიის შემდეგ, მე აღარ წავსულვარ მთაში. ჩემში რაღაც შეუვსებელმა სიცარიელემ დაისადგურა. თუმცა 1987 წელს მაინც გამიწია გულმა და მყინვარწვერზე ავედი. უნაგირადან მწვერვალისკენ მე და გივი გიგაური გავედით. გივი სწრაფად ავიდა მწვერვალზე და ასევე სწრაფად დატოვა იქაურობა. მე მარტო აღმოვჩნდი იქ და ყველაფერი ეს სიმბოლურად მენიშნა.

გავხედე მწვერვალ ყუროს, რომელიც მყინვარწვერიდან თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაცილებული. კალეიდოსკოპური სისწრაფით გაირბინა ჩემს თვალწინ მთაში გატარებულმა 31-მა წელიწადმა. სად არ ვყოფილვარ: პამირში, ტიან-შანში, ალპებში და არ მეგონა, რომ ასე უცნაურად დამთავრდებოდა ჩემი ალპინისტური მოღვაწეობა - ყურო ჩემი პირველი მწვერვალი იყო, მყინვარწვერი კი – უკანასკნელი.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემს გვერდით იყო მთაში, ვისთან ერთადაც ვსტუმრობდი მწვერვალებს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ექსპედიციის ხელმძღვანელის უცვლელი მოადგილე თენგიზ ბერიშვილი და დამხმარე ჯგუფის წევრები, რომლებიც თვითონ ხშირად არ ადიოდნენ მწვერვალზე, მაგრამ თავიანთი საქმიანობითა და თავდაუზოგავი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდათ ექსპედიციის წარმატებაში.

აი, ისინიც: ზაალ ქიქოძე, თამაზ შარაშენიძე, გია საჯაია, დევი თარხნიშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, ვახტანგ კოლხიდაშვილი, კოკა ჯავახია. აგრეთვე ჩვენი ექსპედიციის ექიმები - რეზო ჩანტლაძე, რამაზ შენგელია და ზურა ასტახიშვილი. გმადლობთ მეგობრებო! (2007 წლის აუდიოჩანაწერი).

თამაზ შარაშენიძე
არ მინდა 8000-იანის გარეშე დავრჩე

ჩემთვის ყველაზე საპატიო ტიტული რომელიც მაქვს "თოვლის ჯიქის" წოდებაა, რომელიც ერთ-ერთ პირველს მომენიჭა რომან გიუტაშვილთან და აფი გიგანთან ერთად. იგი მთამსვლელს ენიჭებოდა ხუთ შვიდიათასიან მწვერვალზე ასვლისათვის. მსურს ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელსაც "თოვლის ჯიქის" წოდება მიენიჭა, ყირგიზეთში მცხოვრები შესანიშნავი ინჟინერი, იქ ცნობილი და დაფასებული კაცი ლევან ალიბეგაშვილია, რომელსაც ყირგიზეთში ჩასულები აუცილებლად მოვინახულებთ ხოლმე და დღემდე მასთან ახლო ურთიერთობა გვაქვს.

მთამსვლელობაში მოსვლას ვუმადლი ომარ ერქომაიშვილს, რომლის დახმარებითაც პირველად მოვხვდი ალპინიადაზე და ხდის ხეობაში, მწვერვალ გორზე ავედი. შემდეგ, საერთოდ, ყველა მთამსვლელისათვის, და, ბუნებრივია, ჩემთვისაც ძალიან დიდი ბედნიერება და პატივი იყო ცნობილი ქართველი მთამსვლელის გივი ქართველიშვილის გუნდში მოხვედრა. აქედან მოყოლებული, მთელი ჩემი ცხოვრება გივი ქართველიშვილის ჯგუფთან და იმ ხალხთანაა დაკავშირებული, რომელთანაც გავიზარდე: ჩემი ბიძაშვილი დიმიტრი

შარაშენიძე, თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, ცხონებულები: გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, ირაკლი გელდიაშვილი.

პირველ რთულ მწვერვალზე რომ ავედი, პირველი ტრავმაც მაშინ მივიღე. აილამის მე-4 კატეგორიის სირთულის მარშრუტიდან დაბრუნებულმა ფეხი მოვიტეხე და ერთი წლით გამოვეთიშე მთამსვლელობას.

ვთვლი, რომ 1976 წლიდან მოყოლებული, ჩვენი გუნდის მიერ 8 წლის განმავლობაში მოპოვებული ექვსივე მედლის აღებაში გარკვეული წვლილი მეც მაქვს, ხოლო ბოლო ორი მედალი ჩემი მონაწილეობით არის მოპოვებული. 1983 წლის შემდეგ ქართველებს მედალი კი არა, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაც აღარ მიუღიათ. ამის ძირითადი მიზეზი ის ტრაგედია იყო, რომელიც 1984 წელს დატრიალდა უშბაზე. ფაქტობრივად, მთამსვლელების ძირითადი ბირთვი დავკარგეთ. ამ გარემოებამ ბევრით დაგვწია უკან.

1991 წელი ხვავრიელი აღმოჩნდა ჩემთვის, სამი 7000-იანი მწვერვალი დავლაშქრე – "პობედა", კორჟენევსკაიასა და ლენინის პიკები.

ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ილიკო გაბლიანის დაღუპვის შემდეგ "პობედაზე" ასასვლელად და ილიკოს ნეშტის ჩამოსატანად ქართველების ექსპედიცია 1966 წელს ჩავიდა ინილჩეკის მყინვარზე, მაგრამ რუსების ჯგუფს კაცი დაეღუპა და ქართველების ჯგუფი მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით სამაშველო სამუშაოებზე გადაერთო. ეს მთის დაუწერელი კანონია, შენ რა გეგმაც არ უნდა გქონდეს, ყველაფერს თავი უნდა მიანებო და გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს მიეხმარო. ქართველი მთამსვლელები ასეც მოიქცნენ, მაგრამ "პობედაზე" განმეორებითი იერიში უამინდობისა და დროის ამოწურვის გამო ვეღარ შეძლეს. მას შემდეგ აღარავის უცდია ილიკოს ჩამოსვენება.

1993 წელს, ცნობილი მთამსვლელის, პირველი ქართველი ევერესტელის რომან გიუტაშვილის ხელმძღვანელობით, მე და აფი გიგანი წავედით "პობედაზე" ასასვლელად. გაგვიმართლა, რომ გადაბმულად ათი დღე კარგი ამინდი იყო. "პობედაზე" ეს იშვიათობაა. ავედით, ვნახეთ ილიკო სადაცაა დასვენებული, მაგრამ ჩვენი – სამი კაცის შესაძლებლობა არ კმაროდა ილიკოს ნეშტის ჩამოსვენებისათვის, ამ საქმეს 10-15 კაცი მაინც სჭირდება, რადგან 7100 მეტრის სიმაღლეზეა სამუშაო. მეორედ ჯგუფი ბენო ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით 1997 წელს გავიდა "პობედაზე". მეც მოვხვდი ამ ჯგუფში, მაშინ ფილმიც გადავიღეთ. ილიკო გაბლიანი ისევეა შენახული, როგორც დაკრძალეს. 1998 წელს ვფიქრობდით ჩამოსვენებას, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჭირისუფლებმა უარი თქვეს და ილიკო დღესაც იქ განისვენებს.

1993 და 1996 წლებში სოლო ასვლა მაქვს ტიან-შანში, იმავე რაიონში მდებარე მწვერვალ ხან-თენგრიზე. ამერიკაში, ალასკაზე, ჩემს მეგობარ ავთო ცინცაძესთან ერთად ავედი მწვერვალ მაკ-კინლიზე. უამინდობის გამო ხუთი დღე ვიყავით 5200 მეტრზე, კარვიდან ვერ გამოვდიოდით. ორი დღე გვრჩებოდა, თუ მწვერვალზე ვერ ავიდოდით, ხელმოცარულები უნდა დავბრუნებულიყავით. მაგრამ გაიხსნა თუ არა ცა, მე და ავთო წავედით. რომ გაიგეს, ქართველები გავიდნენო, სხვებიც გამოგვყვნენ და მწვერვალისაკენ მიმავალ მთამსვლელთა ჯაჭვი გაკეთდა. კარგი ექსპედიცია იყო. იქ ყოფნა მთელი ცხოვრების მანძილზე ძალიან ლამაზად დამამახსოვრდება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ასაკის ქართველი მთამსვლელი თითქმის აღარავინ დადის მთაში, მაგრამ ვერ მოვხვდი ჰიმალაიში, კატმანდუში, ვერ შევედი ევერესტისკენ. 2006 და 2007 წლებში ჩემს მეწყვილე ავთო ცინცაძესთან ერთად პაკისტანში ვიყავი. პირველ წელიწადს მწვერვალ გაშერბრუმ 1-ზე 7800 მეტრიდან მოვტრიალდით ცუდი ამინდის გამო. შარშანაც, ისევ ცუდი ამინდისა და იმის გამო, რომ გერმანელების ექსპედიცია მსხვერპლით დამთავრდა, იმავე მწვერვალიდან უკან გამოვბრუნდით. ასე რომ, ჯერჯერობით 8-ათასიანის გარეშე ვარ დარჩენილი, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ფორმაში ვარ. ვნახოთ.

მწვ. დავით აღმაშენებელი

50 წლის რომ გავხდი, მყინვარწვერზე მარტო ასვლის სურვილი მქონდა. ქალაქიდანაც მარტო წავედი, ავედი მეტეოსადგურში, იქ ახალგაზრდა ბიჭები დამხვდნენ, შემომთავაზეს ერთად წასვლა, უარი ვუთხარი. წავედი მარტო. ცუდი ამინდის გამო, მეორე ჯვარი სადაც დგას, იქიდან დავბრუნდი ხელცარიელი. 55 წლის ასაკში, ჩემს მეგობართან ერთად, რომელსაც მთა უყვარს, წავედი მყინვარწვერზე. მეტეომდე რომ ავედით, ავად გახდა. გამახსენდა, რომ ჩემი დაბადების დღე იყო და ვუთხარი, მარტო წავალ-მეთქი. ღამის 2 საათზე გავედი მეტეოდან და 9 საათზე უკვე მწვერვალზე ვიდექი. ხელისგულივით ჩანდა მთელი კავკასიონი. ყველაზე ბედნიერი ვიყავი, რადგან მარტო ასვლა დაგეგმილი არ მქონდა და დაბადების დღეზე საკუთარ თავს საჩუქარი ვუძღვენი.

უნდა აღინიშნოს, რომ უამინდობა მთამსვლელების თანამდევია. მახსენდება 1976 წელს ჯიგიტზე ასვლის პერიოდი. ბიჭებს 15 დღიდან 14 დღე ცუდი ამინდი ჰქონდათ, მაგრამ მაინც იარეს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ოქროს მედლებიც ჩამოიტანეს საქართველოში.

ჩემი თაობა და მეც მათ შორის, იმით ვარ ბედნიერი, რომ უფროსი თაობიდან მოვესწარი ქ-ნ ალექსანდრა ჯაფარიძეს, კლუბში მოდიოდა ხოლმე, ბანაკ "აილამაში" რომ ავედი, სანდრო გვალია დაგვხვდა, ჯოკია გუგავა შედარებით უმცროსი იყო, შალვა მარგიანი

მახსოვს ძალიან კარგად, იოსებ კახიანს შევხვედრივარ ტერსკოლში, შეკრებებზე რომ დავდიოდი. მიშა ხერგიანს არ მოვსწრებივარ. მიშა 1969 წელს დაიღუპა, მე კი 1971 წელს დავიწყე მთამსვლელობა. უფროსი თაობაა ჩემთვის გივი ქართველიშვილის თაობა და ფაქტობრივად მის ხელში გავიზარდე. 1982 წელს ტარიელ ლუკაშვილთან ერთად მწვერვალ დავით აღმაშენებელზე ავედი და საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. ვიყავით ექვსნი: ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, მურად ჭიჭინაძე - ქუთაისელი საუკეთესო მთამსვლელი და მე. დასანანია, რომ ქუთაისშიც ჩაკვდა მთამსვლელობა. ქუთაისი, ფაქტობრივად, ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი მთავარი ძარღვი იყო (2008 წლის აუდიოჩანაწერი).

რამაზ შენგელია

ალპინიზმი ინტელექტუალების სპორტია



“აილამა” საოცარი ბანაკი იყო. ჯერ ადგილმდებარეობითაა ძალიან ლამაზი, შემდეგ კარგი ხალხი მუშაობდა და ძალზე თბილი ატმოსფერო სუფევდა. აქ იყო ერთი კაცი, რომელიც, ვთვლი, რომ ძალიან დაუმსახურებლად არის მივიწყებული. ეს არის სანდრო გვალია. ბ-ნი სანდრო საოცარი პიროვნება იყო, ძველი თაობის რაინდული ყაიდის კაცი, ინტელიგენტური, შთამბეჭდავი გარეგნობის, ჩიბუხით, კარგი რუსულით, ცდილობდა ჩვენთვის, იქ მყოფებისათვის, განსაკუთრებით, ახალბედებისათვის შეექმნა განსაკუთრებული გარემო. პირველი მწვერვალიდან - დადიაშიდან რომ ჩამოვედით, რაკეტის სროლითა და თაიგულებით დაგვხვდნენ, თითქოს გმირები ვიყავით. ეს ყველაფერი აღმაფრთოვანებელი იყო. ბ-მა სანდრომ კარგად იცოდა საზეიმო განწყობილების შექმნა. მაშინ გავიცანი ჩემი განუყრელი მეგობრები თამაზ შარაშენიძე, უშბაზე დაღუპული მურად ჭიჭინაძე. მაშინ ვნახე პირველად დევი თარხნიშვილი. ასე დაიწყო ჩემი ზიარება მთასთან. თავიდან ინტერესია, შემდეგ ნელ-ნელა სპორტული ჟინი ჩნდება, უმატებ თანრიგებს, სირთულეებს, ხიფათიც გხვდება. მერე გიჩნდება ადამიანების არჩევის სურვილი, ცოტა ხანში შევატყე, რომ შეიძლებოდა გავციებულიყავი ამისადმი, რადგან თუ მეგობარი არ გყავს გვერდით, ძალიან ძნელია. ეს ის პერიოდია, როცა სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, ახალციხეში გამანაწილეს ქირურგად და იქ ვმუშაობდი. ზაფხულია. სასტუმროში ვცხოვრობ, შუაღამისას მესმის ხმაური, ვიღაც ნასვამები მოვიდნენ. გია საჯაიას ხმა შემომესმა. ვიცოდი, რომ გია მთამსვლელი იყო. გამოვედი, გავიცანით ერთმანეთი, გავათენეთ საუბარში და ასე დავმეგობრდით. გიამ შემომთავაზა მთაში წასვლა გივი ქართველიშვილთან, მიტო შარაშენიძესთან, რომა გიუტაშვილთან ერთად, მათთან სიარული საოცნებო იყო ჩემთვის.

იმავე ზაფხულს ჩამოვედი თბილისში, მივედი ალპურ კლუბში და შევხვდი გივი ქართველიშვილს. გივი მაშინ 41 წლის იყო, ძალიან უფროსი მეგონა მე, 25-26 წლისას... შეხვედრისთანვე გივიმ გადამკოცნა, თბილად შემხვდა და დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. იმავე ზაფხულს ვნახე, თუ როგორ ემზადება გუნდი ექსპედიციისთვის. პამირის ექსპედიციისთვის ვემზადებოდით. წინა წელს ეს გუნდი ჯიგიტზე ავიდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ურთულესი გზა გაიარეს, მეორე წელს იყო აბალაკოვი, რომელიც არაფრით ნაკლები არაა ჯიგიტზე, რაც ვნახე, საშინელი კედელი იყო, ცივი, უწყლო. ვუყურებდი როგორ ემზადებოდა

გუნდი, დავინახე გივის საოცარი ორგანიზატორული ტალანტი, თან მეგობრული, დამყვავებელი, თან შინაგანად მკაცრი, მოწესრიგებული. როცა ასეთ მოწესრიგებულობას ხედავ, შენ უფლება არ გაქვს, ისეთივე არ იყო.

ფორტამბეკის მყინვარზე ავედით. ამ კედლის სანახავად მოდიოდნენ საბჭოთა გუნდები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უკრაინელები, ცნობილი მთამსვლელი იგორ პალევოი, ზედმეტსახელად გავროშა, თავისი გუნდით. ყველანი მაშინ გავიცანით და ეს ძალიან საინტერესო იყო. აქ იყვნენ ჩეხები, ამერიკელები, ფრანგები. ყოველგვარი ურაპატრიოტიზმის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი სადაც არ უნდა დამდგარიყო, კიშტიჯერობში იქნებოდა, პამირში თუ სხვაგან, ეს იყო ყველასაგან გამორჩეული ბანაკი. ყველაფრით აწყობილი, დაწყებული მომარაგებით – ათი მარტო ცხვარი ავიყვანეთ ვერტმფრენით: სულ ახალი ხორცი გვქონდა.

ძალიან საინტერესო საზოგადოება გავიცანით. მოდიოდნენ ეს გუნდები, კედელს უყურებდნენ და ამბობდნენ, რომ ამ კედლის გავლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, გავიარეთ, მაგრამ ოქრო მაინც არ მოგვცეს და მხოლოდ ვერცხლის მედლები გაიმეტეს. მარშრუტი, რომელსაც ოქრო მიანიჭეს, ჩვენ ერთ დღეში გავიარეთ, აბსოლუტურად არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. ალპინიზმი ინტელექტუალების სპორტია, ძალიან ბევრი პროფესორი, აკადემიკოსი და ცნობილი მეცნიერი შემხვედრია მთაში. აქ იყო რემ ვიქტოროვიჩ ხოხლოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საოცრად მომხიბლავი პიროვნება, ძალიან კარგი კაცი და სწრაფად დავმეგობრდით. საღამოს ხშირად რემ ვიქტოროვიჩი, მიტო შარაშენიძე, გივი, მე ერთად ვისხედით ხოლმე და ვსაუბრობდით. ის იყო დიდი მეცნიერი, საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც პრეზიდენტად ამზადებდნენ. უაღრესად თავმდაბალი კაცი იყო. ერთხელ მე და გივი ქართველიშვილი ვესტუმრეთ ამ გუნდს და დავინახეთ, რემ ვიქტოროვიჩი კარტოფილს ფცქვნიდა. გუნდის წევრებს ვუთხარი: - გაგიუდით, ხოხლოვს კარტოფილს აფცქვნევინებთ-მეთქი?! - "ნუ ი ჩტო დეჟურნი, პუსტ ი ჩისტიტ კარტოშკუ"... მოკლედ, ასეთი უბრალო დამოკიდებულება ჰქონდათ. არც კი მჯეროდა, რომ ამხელა კაცი ასე უბრალოდ დამიმეგობრდა, მეძახდა ხოლმე სასაუბროდ... სხვათა შორის, საკმაოდ კარგი მთამსვლელი იყო. ოთხი შვიდიათასიანი მწვერვალიდან სამზე ასული იყო და "თოვლის ჯიქის" წოდებაზე ჰქონდა პრეტენზია. საბჭოთა კავშირში იმ დროს სულ ოთხი შვიდიათასიანი მწვერვალი იყო: ლენინის, კომუნიზმის პიკი, კორჟენევსკაია და ხანთენგრი, რომელზეც შეიძლებოდა ასვლა, ხოლო ჩინეთის საზღვარზე მდებარე "პობედა", მათთან დაძაბული ურთიერთობის გამო, დახურული იყო მთამსვლელებისათვის. კომუნიზმის პიკი ჰქონდა დარჩენილი ბ-ნ რემს და წავიდა მწვერვალზე, მაგრამ არ მომწონდა, რომ ფიზიკური კონდიციები ისეთი აღარ ჰქონდა. 5000 მ-ზე დაეწყო ფილტვების შეშუპება, მისი ტრანსპორტირება იქიდან შეუძლებელი იყო, რომ წამოეყვანათ და სწრაფად ეტარებინათ გზაში დაიღუპებოდა. დრო რომ არ დაკარგულიყო, ფირნის ველზე (5200 მ) ვერტმფრენი უნდა დამჯდარიყო. ამ სიმაღლეზე ვერტმფრენის დასმა ძნელი და სარისკო იყო, ყველა პილოტი უარს ამბობდა, მაგრამ მოძებნეს ერთი ციმბირელი დათვივით კაცი იგორ ივანოვი, რომელმაც უყურა, უყურა და, გავფრინდებიო, თქვა. რისი გადმოყრაც შეიძლებოდა ყველაფერი გადმოყარა, შეამსუბუქა ვერტმფრენი და აფრინდა. ქვემოდან, ფორტამბეკის მყინვარიდან როცა უყურებ, აბსოლუტურად ყველაფერი ჩანდა როგორც ეკრანზე: ჩვენ წინ არის 2000 მეტრიანი შვეული კედელი, ამ შვეული კედლის თავზე უნდა დამჯდარიყო ვერტმფრენი და ჩვენ ამას ვუყურებთ. წავიდა ეს "მი-4", ერთხელ ვერ დაჯდა, ორჯერ ვერ დაჯდა, ბოლოს, როგორც იქნა, დაჯდა. მაშინვე ჩაუწვინეს ხოხლოვი და ვერტმფრენი ვეღარ ფრინდება, გაიშვიათებული ჰაერის გამო გაუჭირდა. შემდეგ ამ 2000 მეტრიანი კედლიდან, ვერტმფრენი თითქოს გადახტაო, წამოვიდა ქვემოთ, ჩვენ სუნთქვა შეგვეკრა, საშინელი სანახავი იყო, ემოციური. დაჯდა ჩვენთან ფორტამბეკზე და პილოტს ხელი უკანკალებდა. მოითხოვა სასმელი. ცოტა სპირტი დავალევინეთ. ვეცით რემ ვიქტოროვიჩს, იყვნენ კიდევ ექიმები ალექსეი შინდიაკინი და სვეტ ორლოვსკი. დავიწყეთ გასინჯვა. ის ხელს მკიდებდა და მეუბნებოდა: "რამაზ ია ჟივ, ია ჟივ!" მე ვეუბნებოდი: - ახლა გადაგაფრენენ

ჯირგიტალში, შემდეგ დუშანბეში და მოსკოვში. ველით მეორე ვერტმფრენს, რომ წაიყვანოს ჯირგიტალში, მაგრამ რემმა თქვა, არა, მე მარტო ამ კაცს ვენდობიო. პილოტი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული სტრესიდან, ისევ დაჯდა შტურვალთან და ასე აასრულა მისი, სამწუხაროდ, ბოლო სურვილი. ჯირგიტალიდან პირდაპირ მოსკოვში, კრემლის საავდმყოფოში გადაიყვანეს და მოხდა უცნაური რამ. დიდი წინასწარმეტყველებით არ გამოვირჩევი, მაგრამ ლიოშა შინდიაკინს, ექიმს, მეცნიერებათა კანდიდატს ვეუბნები:

- დუშანბეში ან ჯირგიტალში სითხე არ გადაუსხან, დაღუპავენ-მეთქი.
- რას ამბობ, ეგ შეცდომა სტუდენტს არ მოუვა, ფილტვების ანთებაზე, შეშუპებაზე

სითხეს ვინ გადაუსხამს.

სამი-ოთხი დღე არ იყო გასული, საღამოა, კარავში ვწევართ გია საჯაია, მიტო შარაშენიძე და მე. ვიღაც მეძახის, გავედი, როგორ იწინასწარმეტყველეო. კრემლის საავადმყოფოში მიყვანილი, ბრეჟნევს რომ მოუკითხავს, სად არის ხოხლოვიო, ესენი დაფეთებულან, ვერ უთხრეს ცუდად არისო, უნდოდათ სწრაფად დაეყენებინათ ფეხზე და სხვა რეზუსის სისხლი გადაუსხამთ. ასე დაიღუპა ხოხლოვი. ძალიან დაგვწყდა გული ყველას, მართლაც ძალიან კარგი პიროვნება იყო.

უცნაური წელი იყო 1977. ცოტა ხანში იური არუთინოვი დაიღუპა ზემოთ - კუჭის პერფორაცია დაემართა. მას მოასვენებდნენ მოსკოველი მთამსვლელები, მათ შორის ანდრეი მიგულინი, აკადემიკოსის შვილი, თვითონაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი იყო, უგანათლებულესი კაცი, ძველი მოსკოველი, არისტოკრატული ოჯახიდან. მათ თან ახლდათ ორი ექიმი: ორლოვსკი და შინდიაკინი. დაღუპულს რომ მოასვენებდნენ, უეცრად, მიგულინს მუცლის არეში ძალიან ძლიერი ტკივილები დაეწყო. გასინჯეს და დაასკვნეს, რომ აპენდიციტი უნდა ყოფილიყო. ზემოდან მირეკავენ, ეგებ ჯირგიტალს დაუკავშირდე, მწვავე მუცლის სურათია, ალბათ საოპერაციოა და სასწრაფოდ გადავაფრინოთო. დავრეკეთ და გვითხრეს, რომ არათუ დღეს და ხვალ, შეიძლება ერთი კვირაც უამინდობის გამო ვერტმფრენი ვერ ამოფრინდებაო. თქვენ თავს თვითონ მიხედეთო. იქ იყო კიდევ ერთი ექიმი ბოროდულინი, თერაპევტი. ერთად დავიწყეთ საოპერაციოს მომზადება. არ მინდა გადამეტებულად რაიმე დამსახურება მივიწერო, მაგრამ თუ ამ ოპერაციის დროს ყველაფერი კარგად დამთავრდა, ეს აშკარად ამ "საოპერაციოს" მომზადებამ გადაწყვიტა, თორემ ვის მოუვა თავში 4000 მეტრზე ლაპარატომია გააკეთო, მუცელი გახსნა. ავიღეთ დიდი ტაშტი, დავხვრიტეთ, ნათურები გავუყარეთ, საოპერაციო ნათურა გავაკეთეთ ტაშტიდან, დიდი, საკმაოდ ძლიერი სამხედრო გენერატორი ჩავრთეთ, რაც გვქონდა მოვაგროვეთ, სკალპელები, საკერავი მასალა ბლომად, კავები არ გვქონდა და მის ნაცვლად დანები და ჩანგლები დავღუნეთ, გამოვხარშეთ, ხალათები არ გვქონდა, ზეწრები შემოვიხვიეთ რომაელებივით. სანამ ლიოშა და სვეტ არლოვსკი იქ ჭამდნენ და მაგრდებოდნენ, გავსინჯე ავადმყოფი და ეჭვი შემეპარა, რომ აპენდიციტი იყო. უფრო ნაღვლის ბუშტის ან კუჭის პერფორაციას ჰგავდა. დიაგნოზში ვერ შევთანხმდით, მაგრამ ოპერაცია მაინც დავიწყეთ, რადგან უამისოდ აუცილებლად მოკვდებოდა. რომ გავხსენით, აპენდიციტი მართლაც უბიწო და უდანაშაულო აღმოჩნდა, ავედით ზემოთ და ორ-სამ სანტიმეტრზე თორმეტგოჯა ნაწლავი აღმოჩნდა გახეთქილი. არ იყო პერფორაცია, ეს იყო სტრესული მომენტიდან გამომდინარე, მუცელში ერთი-ორი ლიტრი ნაღველი და ჩირქი იყო ჩაღვრილი, ამოვწმინდეთ, ქვაბს რომ გამორეცხავ, ისე გამოვრეცხეთ. ვუყურებ აპოლონივით ბიჭი წევს, ფიზიკურად ძლიერი, ეგებ გადარჩეს, არ მაქვს იმედი, რადგან თბილისში ასეთი ათიდან ცხრა კვდება, ზედ რომ გადაჰყვები. 4 საათი მოვუნდით ოპერაციას, ხელში აგვიყვანეს, გვკოცნიან, სასმელს გვასმევენ. ვუთხარი: - ტყუილად ნუ გიხარიათ, შეიძლება არ გადარჩეს, იმედს ნუ დაიტოვებთ-მეთქი. ცოტა წავუძინე, დილაადრიან გავვარდი, დავხედე, გაახილა თვალი და მეუბნება, მითხარი მაინც რა გამიკეთეთო. რუსებს საერთოდ უყვართ პირდაპირ თქმა და რა დასამალი იყო, ვუთხარი დიდი ოპერაცია გაგიკეთეთ-მეთქი. ნელ-ნელა უკეთესობას ვატყობ. ჩამოფრინდა ვერტმფრენი მესამე დღეს და წაიყვანეს. მეოთხე დღეს ფეხზე დადგა. ამის შემდეგ მე და ანდრეი დიდი მეგობრები გავხდით. ამ შემთხვევით გავითქვით სახელი, დაგვაჯილდოვეს მედლებით, დაიწერა მსოფლიოს ასზე მეტ გაზეთში. ამ

ყველაფერზე შემდეგ წიგნი დაწერა ა. კუზნეცოვმა, რომელსაც "ვასხაუდენიე" ჰქვია, იქ ყველანი ჩვენი გვარებით ვართ წარმოდგენილი. საკმაოდ საინტერესო წიგნია.

შემდეგ ამას მოჰყვა "ზუგვანდის სარკე", 1979 წელს კიდევ ოქროს მედლები, დიდი სიხარული იყო. საოცარი გუნდი იყო: გივი ქართველიშვილი, უცილო ლიდერი და მეთაური ამ გუნდისა, დიმიტრი შარაშენიძე, რომელიც ყოველთვის იყო - ჭკუა და გონება, სტრატეგი და მცოდნე ამ საქმისა და თვითონ შესანიშნავი მთამსვლელი, რომან გიუტაშვილი – საუკეთესო მთამსვლელი, შემდგომში ევერესტზე პირველი ამსვლელი ქართველი, ტარიელ ლუკაშვილი – ბრწყინვალე მთამსვლელი, ექვსი 6-იანი სირთულის მწვერვალის დამლაშქრავი, მურად ჭიჭინაძე – თითქოს გენეტიკურად გრძნობდა მთის რელიეფს - ქუთაისის მთამსვლური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ირაკლი გელდიაშვილი – ვთვლი, რომ ის იყო საქართველოს ყველა დროის უდიდესი მთამსვლელი, გენიალური ადამიანი და პიროვნება, ბრწყინვალე მეკლდეური, მიშას შემდეგ ასეთი ლამაზი ტექნიკის მქონე მეკლდეური არ მინახავს. ირაკლი არ იყო მაღალი, მაგრამ ჰქონდა კლდის საოცარი გრძნობა და აზროვნებდა კლდეზე. მიხარია, რომ ვმეგობრობდით და პამირში ერთ კარავში გვეძინა, მისი ნაჩუქარი ქუდი დღემდე მაქვს შენახული. თამაზ ბაქანიძე – ბრწყინვალე მთამსვლელი, ტექნიკურად ალბათ ყველაზე გამართული, რომელიც წარმატებით დადიოდა როგორც კლდეზე, ისე ყინულზე. გოგი ზუმბაძე – საოცრად მიზანდასახული, ჟინიანი მთამსვლელი, კაცი, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა და სულაც არ ჰგავდა გოლიათური სულის პიროვნებას, თხელი, გამხდარი იყო, მაგრამ მთაში სხვა კაცად იქცეოდა ხოლმე, მთის მიმართ სულ სხვა ჟინი უჩნდებოდა, შეაკვდებოდა და გაივლიდა იმ მარშრუტს. საოცარი ხალხი იყო. იყო სიცილი, იუმორი: როგორ შეიძლებოდა ამის გარეშე, როცა ორ-ორი თვე ერთად ვიყავით. იუმორი არავის აკლდა და ამის გახსენება თბილისში მთელი წელი გვყოფნიდა.

დრო გადის და ხვდები, რომ ეს წლები მოუბრუნებლად მიდის, შენც ვეღარასოდეს დაბრუნდები აქტიურ სპორტში, მაგრამ სული არ ბერდება, ამიტომ არ გინდა მოსწყდე იმ სამყაროს, რომელიც ასე გიყვარს. დიდი სიხარული იყო, როცა ბ-მა გივი ქართველიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან კარგი საქმე დავიწყეთ, 8-დან 12 წლამდე ბავშვები მთაში მიგვყავს მთასთან საზიარებლად და შენც წამოდი, როგორც ექიმი და ბავშვების მეთვალყურეო. უკეთილშობილესი საზოგადოება შეგროვდა, რომელმაც 80-დე ბავშვი წაიყვანა ხევში, სოფელ გველეთში. ეს იყო საოცრად ლამაზი დღეები. ბავშვები იყვნენ სამებაზე, გერგეტის მყინვარზე, ღამე ათიეს სნოს ხეობაში, ქარში, სიცივეში, მათ უშუალოდ შეიგრძნეს მთის სილამაზე, მისი სიდიადე, დაინახეს მოსალოდნელი წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება მათ მთაში შეხვდეთ. ასეთ ლაშქრობებში ბავშვები დიდ გამოცდილებას იღებენ, ეცნობიან და ღრმად სწვდებიან ბუნების საიდუმლოებებს, რის შემდეგაც უფრო სრულყოფილად აღიქვამენ სამყაროს (2008 წლის აუდიოჩანაწერი).

შოთა ჩართოლანი
"მუჯირა" და პირველი "ალპენშტოკი"

ჩემი სპორტული აღმზრდელი გახლდათ ბიძაჩემი, ჭიჭიკო ჩართოლანი, რომელსაც ძალიან დიდი წარმატებები ჰქონდა თავის თაობასთან - ბექნუ და ბესარიონ ხერგიანებთან, გოჯი ზურებიანთან, მაქსიმე გვარლიანთან ერთად. მათი წარმატებები აიტაცა სვანეთმა ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე მთელი საქართველო გაიცნობდა.

მთამსვლელობა საერთოდ მთიანეთში ხალხური სპორტია. ბუნებრივია, საქართველოშიც მთამ მოხიბლა ადამიანი. ამას მოჰყვა მთაში მოსახმარ საშუალებებზე ზრუნვა - ტანსაცმელიც საგანგებო ჰქონდათ, ფეხსაცმელიც. თოვლში სასიარულო იყო ე.წ. "თხილმარები", ოვალური გარშემოწერილობის ხე, შუაში ბადით. მთამსვლელების ჯოხს სვანები "მიჯვრას" ეძახიან, მას

გრძელი, ოთხკუთხა რკინის ბუნიკი აქვს. სვანური ქუდი არაჩვეულებრივად იოლი სატარებელია. მთაში, პამირში ვიყავი თუ ტიან-შანში, ყველგან მეხურა.

მთამსვლელობის ერთ-ერთი საზომი გახლდათ ნადირობა. ყველა სვანი ჯიხვზე მონადირე არ იყო, ეს ბუნებრივი შერჩევით ხდებოდა, ვისაც ამის უნარი შესწევდა. კარგი მონადირე კაცი ავტორიტეტი იყო სვანეთში. მონადირეები გამოირჩეოდნენ ამავე დროს, მაღალი ზნეობით, სიდინჯით და კარგი ვაუკაცობით, მათ სოფელი ძალიან აფასებდა. ფაქტობრივად, ეს მონადირეები გახდნენ შემდეგ ალპინისტები.

მეგზური მარტო ფიზიკური ძალა არ არის: ადგილობრივმა შესანიშნავად იცის კლიმატი, ამინდის ცვალებადობა, ბილიკები, მოკლე გზები და ამიტომ იყვნენ ისინი შეუცვლელი მეგზურები. ეს ტრადიცია, ფაქტობრივად, დღემდე გრძელდება. ასე იყო ხევში, ასე იყო სვანეთშიც. ამიტომ თბილისელი ცნობილი მთამსვლელების, მეცნიერების, ნიკოლაძიდან

დაწყებული, განსაკუთრებით და-ძმა ჯაფარიძეების ძირითადი საყრდენი იყვნენ ადგილობრივი მთამსვლელები. მე მახსოვს მათი ურთიერთობის გარეგნული სახე. იქ ვერ გაარჩევდით ვინ უფროსია, ვინ ხელმძღვანელია, ვინ რიგითი წევრია, ყველას ერთმანეთთან თბილი მეგობრობა აკავშირებდა. საქართველოში სპორტის ეს სახეობა მეგობრობის საფუძველი გახდა.

ქართული მთამსვლელობის კერა რომ გაჩნდა თბილისში, სვანებიც ჩამოდიოდნენ. ცნობილი მთამსვლელები, მეცნიერები ღონისძიებებს ატარებდნენ და იზიდავდნენ ახალგაზრდობას, რათა გაზრდილიყო ახალი კადრი.

1947 წელს სანდრო გვალიამ ბანგურიანზე ალპინიადა მოაწყო. მე და მიშა ხერგიანს წასვლის დიდი სურვილი გვქონდა. მიშა ჩემი კლასელი იყო და ასაკის გამო უარი გვითხრეს ალპინიდაში ჩარიცხვაზე. მიშამ თქვა, ესენი ბევრნი არიან, ნელა ივლიან, მოდი დავეწიოთო. ქედზე პირველი მონაკვეთი თითქმის გავლილი ჰქონდათ, დავეწიეთ. ბექნუ ხერგიანმა და ბიძაჩემმა - ჭიჭიკო ჩართოლანმა რომ დაგვინახეს, თითქოს მკაცრად შეგვხედეს, მაგრამ შევატყეთ ეღიმებოდათ და ჩაგვიბეს თოკში. ასე ავედით პირველ მწვერვალზე.

1950 წელს ჩამრთეს შხელდა-უშბის ტრავერსის სამაშველო ჯგუფში. ჯგუფის შემადგენლობა ასეთი იყო: არონ ჯაფარიძე, ვალადი ჩართოლანი, დიდი მთამსვლელის გაბრიელის ძმა ჯუნის ხერგიანი, პავუჩი ნიგურიანი და მე. სანამ ძირითადი ჯგუფი შხელდას გამოივლიდა, ე.წ. "ზაბროსკა" გავაკეთეთ ცენტრალურ შხელდაზე. შემდეგ ბესარიონ ხერგიანის ხელმძღვანელობით ჩათინზე ავედით.

პირველად ლენინის პიკზე ავედი 1958 წელს, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ნაკრებთან ერთად. ეს იყო ევერესტზე ასასვლელად მზადება და ჩემი პირველი სასიმაღლო ასვლაც. აქ მივიღე ძალიან კარგი გამოცდილება. რუსების ჯგუფის ასვლებს ხელმძღვანელობდა მიხეილ ხერგიანი. მასთან ერთად იყო იოსებ კახიანი და ერთი ჩინელი - უნ პინ სუსი: წარმოსადეგი, ჩინელებში ერთადერთი მაღალი კაცი. 1962 წელს პამირის ექსპედიციაში მოგვეწონა ერთი მწვერვალი, რომელიც უშბას ჰგავდა. სვანებს გაგვიჩნდა განსაკუთრებული ინტერესი, რომ ეს მწვერვალი დაგვეპყრო. უსახელო მწვერვალი იყო, არავინ იყო ასული და ჩვენ ავედით უმცროსი მიშა ხერგიანის ხელმძღვანელობით; მწვერვალს "პამირის უშბა" დავარქვით.

ერთ-ერთი სერიოზული ასვლა 1958 წლის თებერვალში იყო თეთნულდზე. გარდა სპორტული ინტერესისა, ეს გვჭირდებოდა პამირზე წასვლისათვის გამოცდილების მისაღებად. ჩემთან ერთად იყვნენ: ლაერტ ჩართოლანი (ჭიჭიკო ჩართოლანის ვაჟი, ჩემი ბიძაშვილი), გივი წერედიანი, პირიბე გვარლიანი. კონსულტაციები მიღებული გვქონდა მიხეილ

ხერგიანისაგან, რომელმაც მითხრა, რომ მყინვარი და ფერდობი არ გადაკვეთოთ, ჩრდილოეთის ქედით არ ახვიდეთ არავითარ შემთხვევაში, ადით სამხრეთის ქედითო. თვითონ 2 წლის წინ ცადა იქ ასვლა, ზვავსაშიშ ადგილას მოხვდა და უარი თქვა ასვლის გაგრძელებაზე. ეს ასვლა ჩვენთვის დიდი სიამოვნება და ემოციური დატვირთვა იყო, თან მაყურებელიც გვყავდა - თურმე მთელი მულახი და ადიში გვიმზერდა.

ჩემს მეხსიერებაში ყველაზე შთამბეჭდავი მაინც დინჯი, რაღაც თავისებური იუმორის მქონე ბექნუ, ჭიჭიკო და მათი ჯგუფი იყო; მათთან ერთად საკვალიფიკაციო ასვლაზეც ვიყავი, ბექნუმ წაგვიყვანა. რთულ სიტუაციებში მათ სახეზე ნერვიულობა არ მინახავს. შესანიშნავი ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ და რწმენა იმისა, რომ აუცილებლად მიაღწევდნენ მიზანს. შიში ამ ხალხში არასოდეს შემიმჩნევია. საოცარი თაობა იყო... სამწუხაროდ, სვანეთში დღეს ასეთი პიროვნებების დეფიციტია.



ბედნიერება მქონდა მემეგობრა და მთაში მევლო მომდევნო თაობასთან: ჯუმბერ მეძამრიაშვილთან, თემო კუხიანიძესთან, სოლიკო ხაბეიშვილთან ერთად. სოლიკო გამოირჩეოდა განსაკუთრებული სითბოთი. პამირში ერთად ვიყავით და ერთი მომენტი მახსოვს: ამინდი გაგვიფუჭდა, საკვები გაგვითავდა, ვშიმშილობთ. სოლიკოს ერთი ფილა შოკოლადი აღმოაჩნდა, უნდა გაყოს ექვსად. დატეხა, ყველას დაგვირიგა და თავისთვის პატარა ნამცეცი დაიტოვა. ვითომ არაფერი, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ძალიან დიდი გამოცდა. როცა გვიჭირდა, წამოიწყებდა სოლიკო სიმღერას და ყველანი კარგ გუნებაზე ვდგებოდით.

ეს თაობა და მათთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ჯგუფი: შალიკო მარგიანი, იოსებ და ჯუმბერ კახიანები ძალიან ძლიერები იყვნენ, მაგრამ მიშა სულ სხვა იყო. მიშას გადმოყვანა მოახერხა საქართველოს მთავრობამ მაშინ, როდესაც ტიან-შანზე დაიღუპნენ ილიკო გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე. მორალურად, სულიერად და ფიზიკურადაც სიცარიელე შეიქმნა ქართულ ალპინიზმში. მაშინ ფიზკულტურის კომიტეტმა და ცეკამ შეძლეს და მოსკოვი დაითანხმეს, რომ მიხეილ ხერგიანს საქართველოს ალპურ კლუბთანაც ეთანამშრომლა. აი, ამ ვითარებაში, 1966 წელს მოხერხდა სწორედ ტიან-შანზე ექსპედიციის წასვლა მიშას ხელმძღვანელობით ილიკო გაბლიანის ნეშტის ჩამოსასვენებლად. ჩვენ ვიცოდით, რომ ილიკო გაბლიანის ჩამოსვენებისთვის მოსკოვი ექსპედიციის ნებართვას არ მისცემდა საქართველოს. ამიტომ ამას დაერქვა საკონკურსო-სარეკორდო ასვლა გამარჯვების პიკზე. გიორგი სიხარულიძე იყო ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, მან თავის კაბინეტში თათბირზე, ძალიან თბილი, შინაურული საუბრისას გვითხრა: ვიცი თქვენ გამარჯვების პიკი გინდათ ყველას, მაგრამ საქართველოს გამარჯვების პიკიდან წამოღებული ოქროს მედლები არ აინტერესებს. ახლა ჩვენ გვჭირდება ილია გაბლიანის ნეშტის ჩამოსვენება. ასე გაგვიშვეს.

უშბა - კავკასიონის მეფეა, ეს ემოციაც არის, სპორტული ინტერესიც, მაგრამ თეთნულდზე, რომელსაც "სვანეთის დედოფალი" შეარქვეს, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ზამთრის ასვლა. კიდევ მაქვს სურვილი იქ ასვლის, გავიარო ის მარშრუტი და შევიგრძნო მაშინდელი განცდა.

უფრო ადრე მოვაწყეთ სამთო-სათხილამურო გადარბენა: მესტია-თბილისი. იმ წელს ისეთი დიდი თოვლი იყო, ძალიან ზვავსაშიში, რომ კალიდან უშგულამდე გადასვლას ერთი დღე მოვუნდით. ჯერ 24 კაცი ვიყავით ამ ექსპედიციაში, მაგრამ ხალხს შეეშინდა თოვლსა და ზვავებში სიარული, დავრჩით მარტო ახლო ნათესავები: ვალადი ჩართოლანი, სილვესტრ

ნაკანი, ბორის ჩართოლანი, სილო ჩართოლანი, ზურაბ ნაკანი, კეპლერ ხერგიანი - დიდებული მთამსვლელის გაბრიელ ხერგიანის ვაჟი. ისეთი თოვლიანობა იყო საქართველოში, გორამდე ჩამოვედით თხილამურებით.

თბილისში, პიონერთა სასახლეში მოგვიწყეს ძალიან დიდი შეხვედრა. ალპური კლუბი ხომ ჩვენი სახლივით იყო. ჩემი წინა თაობის ბევრ ქმედებაში ვხედავ საქართველოს მთა და ბარი როგორ შეკრა სამთო სპორტმა. თბილისი და სვანეთი, თბილისი და ხევი. ეს ჩვენი უფროსი თაობის მთამსვლელთა დამსახურებაა.

უფროსი თაობიდან ალიოშა ჯაფარიძე მახსოვს ფიზიკურად, რომელიც ყველაზე ახლოს მეგობრობდა გაბრიელ ხერგიანთან. ასვლებიც ერთად ჰქონდათ. ქ-ნი ალექსანდრა მაშინ საოცრებად იყო მიჩნეული. ქალი უშბაზე, ქალი ასეთ მწვერვალებზე, მაგრამ ჰქონდა მას ამის ფიზიკური და სულიერი მონაცემები, ნებისყოფა, ძალა. ამ და-ძმამ უფროსი ძმა თეთნულდზე დაკარგა. ბ-ნი სიმონის ერთ-ერთი ჩამომსვენებელი გახლდათ ჩემი დედით ბიძა – ქემეთ ნაკანი, ცნობილი მონადირე. სამწუხაროდ, ისიც ნადირობის დროს დაიღუპა. პატარა ბავშვს მესმოდა ბიძაჩემის მონაყოლი, რა განცდები ჰქონია მას, როცა მივიდა სიმონ ჯაფარიძემდე, ცოცხალივით იყო და გვიჭირდა ხელის შეხება, ვერ ვეგუებოდით, რომ მკვდარი იყოო, მაგრამ მაინც გადმოვიყვანეთ მყინვარზე და ნაპრალებზეო.

ალმაცქირ კვიციანი - რომლის ოცნებაც უშბა იყო. მიშამ მოახერხა და უშბის ალპინიადის დროს 72 წლის კაცი აიყვანა მწვერვალზე. დღეს სვანებზე ვლაპარაკობ, თორემ მათთან იყვნენ მოხევეები და სხვა ცნობილი პიროვნებები.

დასაწყისშიც აღვნიშნე, გაბრიელის შემდეგ ეს თაობა მოდის ბესარიონთან ერთად – ბექნუ, ჭიჭიკო, გოჯი, მაქსიმე, შედარებით ახალგაზრდა ილიკო გაბლიანიც მათთან იყო. ესენი გამოირჩეოდნენ მაღალი ადამიანური ღირსებით, კაცურკაცობით. მათ დააფუძნეს სვანეთში ურყევი რწმენა, რომ მთამსვლელი ამავე დროს საუკეთესო ვაჟკაცი, სანდო, უბოროტო პიროვნება და პატიოსანი ადამიანია.

ცივილიზაცია სვანეთში ყოველთვის დედაქალაქიდან მოდიოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბ-ნი კაკო მარის ღვაწლი ამ საქმეში. მაშინ დამხმარე ჯგუფში ვიყავი, ბევრი არაფერი შემეძლო, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი და ვაკვირდებოდი ყველაფერს, აღვიქვამდი ყოველივეს.

კაკო მარი საოცარი პიროვნება იყო. უშბის კედელზე რომ ადიოდნენ, ფეხის დასადგმელი არ იყო და თოკს რომ ჩაეჭიდა, თავისუფლად ავიდა ხელებით, ძლიერი იყო. შხელდა-უშბის ტრავერსმა როცა იქუხა და თბილისმა ხელის გულზე ატარა ტრავერსის მონაწილენი, კაკო მარი ყოველთვის სვან მთამსვლელებზე ლაპარაკობდა, საკუთარ თავზე ერთ სიტყვასაც არ იტყოდა, ამას ხედავდნენ სვანები. ბექნუს ერთხელ უთქვამს: - კაკო, შენ ჩვენი უფროსი იყავი და ზოგჯერ შენზეც თქვი რამეო. საოცრად დიდი მეგობრობა ჰქონდათ. ყველა მათგანმა დადებითი როლი ითამაშეს სვანეთში არა მარტო სპორტის, არამედ განათლებისა და კულტურის განვითარებაში.

ადრინდელი ტრადიციით, კავკასიონის ქედს უყურებდნენ როგორც გამყოფს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოსახლეობას შორის. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ ეს შემკვრელი ხერხემალია. ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე მოსახლე ტომებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ. ის ბილიკები, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს ფუნქცია, ათასეული წლების წინათ არის აღმოჩენილი და გაკვალული. ესენი მაშინ უკვე მეტალურგები იყვნენ და ბუნებრივია, ჩაცმულობა, აღჭურვილობა, რკინის წრიაპები – ხალხურია, ჩვენია, ქართულია და მთიელებისაა. ის ჯოხიც - მუჯირა, ამ ცხოვრების მოთხოვნილებამ მოიტანა. ჩემმა მასწავლებელმა, შესანიშნავმა არქეოლოგმა, ბატონმა გერმანე გობეჯიშვილმა რაჭაში, მყინვართან ბრინჯაოს ცულები რომ აღმოაჩინა, მაშინ ივარაუდა - ისინი ყინულზე საფეხურების ამოსაჭრელად უნდა ყოფილიყო გამიზნული.

ანტიკურ ხანაში, როდესაც უკვე ლითონი იყო და ჩვენში უფრო იოლად ხდებოდა ნივთების დამზადება, კრემაციულ სამაროვანში აღმოჩნდა დანახშირებული ხის ტარიანი,

ბუნიკით ძირში, მთაში სასიარულო ჯოხი – წერაყინი. “ალპენშტოკს” რომ ვეძახით საერთაშორისო ტერმინოლოგიით, ეს არის პირველი ალპენშტოკი. ასეთი ალპენშტოკი არსად არ არის მსოფლიოში და აქამდე რომ მივიდნენ ადამიანები, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ უკვე მაღალ დონეზე იყო განვითარებული მთაში სიარულის ტექნიკა.

ალპინისტური ტრადიცია თითქოს დღემდე გრძელდება, მაგრამ ძალიან მადარდებს, როგორ განვითარდება მთამსვლელობა სვანეთში. ამას არა მხოლოდ ღონისძიებები, თავისებური პროპაგანდაც სჭირდება. ნუთუ მესტიაში ცნობილი მთამსვლელების - ბექნუ ხერგიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, გოჯი ზურებიანის, მაქსიმე გვარლიანის, ილიკო გაბლიანის სახლებთან უბრალო მემორიალური დაფები მაინც არ უნდა არსებობდეს? ან ამ ეროვნული, დიდებული ვაჟკაცების შესახებ წიგნები არ უნდა იქმნებოდეს, რომ მომავალმა თაობამ იცოდეს მათ შესახებ?!. ეს სვანეთის ისტორიაც იქნება, ტრადიციების მოფრთხილებაც და ამ მნიშვნელოვანი საქმის გაგრძელებაც (2007 წლის აუდიოჩანაწერი).

ნოდარ ცერცვაძე
მთა - ჩემი ცხოვრების სიხარული

მთა ქართველი კაცის თანმდევი, მუდამ მის თვალსაწიერში მყოფი სიხარულია. საქართველოში არ არის ადგილი, ჰორიზონტი ანუ მზერის საწვდომი, მთით რომ არ იკვეთებოდეს.



არ ვიცი, თვალის ახელიდან ეწყება თუ არა ყველა ქართველს მთის სიყვარული, მაგრამ მე ასე ვარ.

ბავშვობას ზაფხულობით ჩემს მშობლიურ სოფელ ვაჭევში, ბებიასთან და ბაბუასთან ვატარებდი. ვაჭევი საწალიკის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზეა გაშენებული, მთის მოტრფიალეთა, პოპულარიზატორთა, დამპყრობთა, ქართული მთამსვლელობის ფუძემდებელთა ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების სოფელ ხრეითიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ გაყოლებაზე. სოფელს ჩაუდის კარსტული მდინარე, რომელიც ღრმად ჭრის რელიეფს და ქმნის ვერტიკალურ, კირქვის კედლებიან ხეობას. კედლებში აქა-იქ ჩანს კარსტული წარმოშობის სხვადასხვა ზომის გამოქვაბულები. ჩვენი ოცნება, გატაცება და მიზანი იყო იმ გამოქვაბულებში მოხვედრა. ხან ქვევიდან ვცდილობდით კედლებზე აცოცებას, ხან ზემოდან ვეშვებოდით თოკით გამოქვაბულამდე და მთელი ზაფხული ამით ვერთობოდით, დაკავებული ვიყავით გამოქვაბულებში განძის ან რაიმე იდუმალი და მნიშვნელოვანი ნივთების ძებნით.

ახლა რომ ვაანალიზებ, აქედან დამეწყო მთის სიყვარული და მთამსვლელობით გატაცება.

1944 წელს, 15 წლის ასაკში, პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის მოსწავლეთა ჯგუფთან ერთად, ალექსანდრა ჯაფარიძის წინამძღოლობით კავკასიონის მწვერვალ ხუბიარაზე ავედი. 1945 წელს ისევ დეიდა ალექსანდრამ აჭარა-თრიალეთის ქედის მწვერვალებზე ლობოროტსა და მეფისკალოზე აგვიყვანა. ასვლისწინა მოსამზადებელ პერიოდში დეიდა ალექსანდრა არა მარტო მთამსვლელობისათვის საჭირო ელემენტარულ წესებს, ჩვევებსა და აუცილებელ ხერხებს გვასწავლიდა, არამედ საღამოობით, კოცონის გარშემო გვიყვებოდა თავისი მთამსვლური ცხოვრების საინტერესო ამბებს, რამაც

კიდევ უფრო შეგვაყვარა მთამსვლელობა და იგი ჩვენთვის საოცნებო და ძნელად მისაღწევ სამყაროდ აქცია.

მთასთან ჩემი დაახლოებისა და დამეგობრების შემდგომი ეტაპი იყო 1949 წელი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი და იმ ზაფხულს ზემო სვანეთში, მდ. ნაკრას ულამაზეს ხეობაში არსებულ ალპინისტურ ბანაკ "ნაკრაში" მოვხვდი. იქ მიღებული ალპინისტური წვრთნის ცხოვრებაში რეალიზების მიზნით დავლაშქრეთ ორი მწვერვალი. ნაკრიდან თბილისში წამოსასვლელად მესტიაში ავედი, სადაც შევხვდი უნივერსიტეტის მთამსვლელთა ჯგუფს. გუნდში ბევრი ჩემი მეგობარი აღმოჩნდა, რომლებისგანაც შევიტყვე, რომ უნივერსიტეტელები ემზადებოდნენ IV-ბ კატეგორიის სიძნელის მწვერვალების ტრავერსირებისათვის. მზადების პერიოდში მოიერიშე ჯგუფს ავადმყოფობის გამო ერთი წევრი გამოაკლდა და ექსპედიციის ხელმძღვანელის, გივი მელიასაგან მივიღე წინადადება, ავადმყოფს ჩავნაცვლებოდი. დიდი სიხარულითა და აღტაცებით დავთანხმდი წინადადებას და ამ ტრავერსის დროს საკმაოდ კარგი გამოცდილებაც მივიღე. ჩემთვის ეს იყო დიდ მთამსვლელობასთან ზიარება.

ტრავერსის შემდეგ არ მომეშვნენ და სერიოზულ აგიტაციას მიწევდნენ გადავსულიყავი უნივერსიტეტში, ამ მართლაც განათლების ტაძარში და არ დამეშალა უკვე შეხმატკბილებული, შეკრული ჯგუფი. ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია და უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ბ-ნ ნიკო კეცხოველის ხელშეწყობით, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარეც იყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გადავედი საქართველოს ერთადერთ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის მთამსვლელთა გუნდის გასაძლიერებლად, როგორც გივი მელიამ მოახსენა ბ-ნ ნიკოს.

მთის სიყვარულმა და მთამსვლელობით გატაცებამ ძირეულად შეცვალა ჩემი მომავალი ცხოვრება და საბოლოო ბედს მაზიარა. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოვიცვალე სპეციალობა და მშენებლის ნაცვლად გავხდი გეოლოგი, რასაც დიდი გატაცებითა და სიყვარულით ვემსახურე მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე და რომლის სხვა სპეციალობაზე გაცვლაც ვერ წარმომედგინა, ალბათ იმიტომ, რომ კვლავ მუდმივი კავშირი მქონოდა მთასთან; მეორე მთავარი გადამწყვეტი ფაქტორი ის გახლავთ, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის იმ ჯგუფში, რომელშიც მე დამსვეს, შემიყვარდა ერთი კოხტა გოგონა, რომელიც ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. ყველა სიკეთესთან ერთად აი, რა შეუძლია თურმე მთის სიყვარულს.

მრავალ ბუნებისმეტყველს, მთამსვლელსა თუ უბრალო მოგზაურს უცდია მთის უზომო სიყვარულის მიზეზის შეცნობა; იმის ახსნა, რომ კაცს თუ ერთხელ წაუცდა ფეხი მთისკენ, ვეღარ შეელევა ამ გატაცებას. არცთუ იშვიათი მსხვერპლის მიუხედავად, მთამსვლელი ვერ თმობს ამ სპორტს. ხშირად ეკითხებიან მათ: "რა გიზიდავთ მთაში და რა გაიძულებთ ასეთ თავგანწირვას?"

ძნელია მთას ნაზიარებმა კაცმა აუხსნა "ასფალტოიდს" რა მშვენიერება, ხალისი, სიხარული, ურთიერთსიყვარული, სხვისი დაცვისა და დახმარების ინსტინქტი, სპორტული ჟინი, წინააღმდეგობის დაძლევის ბედნიერება, გამარჯვების სიხარული, გამძლეობა და ამტანობა ახლავს ამ მართლაც დიდი ვაჟკაცების სპორტს. ასეთი უზომო სიყვარულისა და გატაცების ახსნა ისევე ძნელია, როგორც იმისა, რატომ გიყვარს დედა, მამა, და, ძმა თუ მეგობარი. არა მგონია ვინმემ მონახოს ამის ლოგიკური ახსნა. ეს ხომ ქვეცნობიერად, ინსტინქტებითა და უჩინარი მიზიდულობითაა ნაკარნახევი (2009 წ.).

ოთარ ხაზარაძე
იალბუზზე ზამთარში

ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი (5633 მ) მუდამ იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. იგი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით განცალკევებით დგას და მისი ორთავა

კონუსი ასეული კილომეტრით დაშორებული ადგილებიდან მოჩანს. პირველად მის გუმბათზე მთიელმა ყილარ ხაშიროვმა შედგა ფეხი 1829 წელს.

იალბუზზე ასვლა ზაფხულში, ალპინისტური თვალსაზრისით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს; ზამთარში კი ასვლის პირობები მკვეთრად იცვლება: 40^0-იანი ყინვა, სიცივე, გრიგალისებური ქარები და უხვი ნალექი მწვერვალს ძნელად მისადგომს ხდის.

ზამთარში იალბუზის მწვერვალს პირველად 1934 წელს მიაღწიეს "თერთმეტთა თავშესაფრის" მოზამთრეებმა გუსევმა და კორზუნმა.

1935 წელს იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე ადიან ნიკოლოზ გუსაკი და სხვები. აქედან მოყოლებულო 1937 წლამდე იალბუზზე კიდევ რამდენიმე ჯგუფმა მიიტანა იერიში. მათგან ზოგიერთი მარცხით დამთავრდა.

1943 წელს მამაცმა მთამსვლელებმა (ნიკოლოზ გუსაკი, ბექნუ ხერგიანი, გიორგი სულაქველიძე და სხვ.) ზამთრის პირობებში მიაღწიეს მწვერვალს და მოხსნეს გერმანელების მიერ აღმართული დროშა. ამის შემდეგ ჩვენამდე (1957 წლამდე) ზამთარში იალბუზზე ფეხი არავის შეუდგამს.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელთა ჯგუფმა გადავწყვიტეთ ზამთარში ავსულიყავით იალბუზზე. ჯგუფში შედიოდნენ: ო. ხაზარაძე (ხელმძღვანელი), ი. ბაქრაძე (მწვრთნელი), შ. მირიანაშვილი, ო. ბერაძე, გ. მახვილაძე, ლ. ღლონტი, გ. როსტომაშვილი და ნ. მუშკუდიანი.

ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრა 24 იანვარს. 25-ში ჩავედით ბაქოში, ხოლო 26-ში ნალჩიკში.

ნალჩიკში 27 იანვარი მოვანდომეთ სურსათის შეძენას და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის იალბუზის ექსპედიციის ბაზაში ასასვლელად მანქანების საკითხის მოგვარებას; ხოლო 28-ში უკვე მანქანით მივემგზავრებით ბაქსანის ხეობისაკენ. რამდენიმე საათის შემდეგ უკან რჩება ტირნიაუზი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბაზა ფიჭვნარში (იმ პერიოდში ფიჭვნარში იმყოფებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების ფიზიკის ლაბორატორია) და ბოლოს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბაზაში გავჩერდით.

აღნიშნულ ბაზაში იმ დროისათვის მუშაობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები: მ. ბოჭორიშვილი, გ. ვაჩიბერიძე, რ. საკანდელიძე და ჯ. ჯაფარიძე (ყველა ჩემი თანაკურსელი). საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბაზას იმ დროს ხელმძღვანელობდა ამ ბაზის სულისჩამდგმელი, ცნობილი მეცნიერი და მთამსვლელი გიორგი სულაქველიძე. ბაზაში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს ჩვენმა მეგობრებმა და მათ ოთახებში მოვთავსდით. სტუმარ-მასპინძლებს შორის გულთბილმა საუბარმა გვიან ღამემდე გასტანა.

მეორე დღე მთლიანად სამზადისს დაეთმო. ჩვენი ოთახები სახელოსნოს დაემსგავსა. ვინ წრიაპებს ულესავდა კბილებს, ვინ წერაყინებს, ზოგი კი შალის თბილ პირსაბურავს იკერავდა.

30 იანვარს მძიმე (30-35 კგ) ზურგჩანთებით დატვირთულნი შევუდექით აღმართს ტერსკოლის პიკისაკენ. საუცხოო მზიანი ამინდი იყო, მაგრამ სვლა მაინც ძნელი აღმოჩნდა. საკმაოდ დიდი დაქანების ფერდი თოვლის სქელი ფენით იყო დაფარული. ასეთ აღმართზე დაუჭედავი "შეკელტონებით" (სამთო ფეხსაცმელი) სიარული არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ფეხი საშინლად ცურავდა. ერთი საათის დაძაბული სიარულის შემდეგ შევჩერდით დასასვენებლად. ყველას ცქერა უნებურად იალბუზზე შეჩერებულიყო და თვალით "ადიოდა" მწვერვალზე. 5 საათის დაძაბული სიარულის შემდეგ, უკვე დაღლილებმა, მივაღწიეთ

ტერსკოლის პიკს. პიკზე მოთავსებულია აკადემიის ბაზის საშუალედო პუნქტი, სადაც 3 მოზამთრე და სპორტის დამსახურებული ოსტატი, მთამსვლელი ნიკოლოზ გუსაკი დაგვხვდა. მასპინძლები გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ. გუსაკი გაეცნო რა ჩვენს აღჭურვილობას და გუნდის შემადგენლობას, მრავალი ახალი და ღირსშესანიშნავი ცნობა მოგვაწოდა იალბუზის შესახებ. მანვე შეგვატყობინა, რომ ჩვენს მეთვალყურედ და მოკავშირედ "ყინულოვან ბაზაზე" აკადემიის ბაზის ორი თანამშრომელი იქნებოდა. საღამოს, ქართული ხალხური სიმღერებით ნასიამოვნებებს, ტკბილად ჩაგვეძინა.

31 იანვარს კარგ გუნებაზე გაგვეღვიძა. ღამით ყველას მშვენივრად დაესვენა და დაღლილობაც გამქრალიყო. საუზმის შემდეგ გამოვემშვიდობეთ ჩვენს ნაცნობებს და ზურგჩანთამოკიდებულები შევუდექით გზას "ყინულოვანი ბაზისაკენ". დღევანდელი დღე გუშინდელზე უფრო ძნელი აღმოჩნდა. აქ თოვლი არ დნება და ფირნიც არ წარმოიქმნება, ამიტომ ასეთ თოვლში ფეხი ძალიან ღრმად ეფლობა. გვიხდება წელამდე თოვლის რღვევა. ამას ემატება ძლიერი ქარი, რომელიც მხედველობას გვიზღუდავს. წინმავალი ხშირად იცვლება. იძულებული ვხდებით ხშირად დავისვენოთ. იგრძნობა ზურგჩანთების სიმძიმე. 5 საათიანი დამქანცველი სიარულის შემდეგ მივაღწიეთ "ყინულოვან ბაზას" (3900 მ), რომელიც წარმოადგენს მშვენიერ მრავალოთახიან შენობას, სადაც მოთავსებულია აკადემიის ლაბორატორიები და სხვადასხვა ექსპერიმენტული დაკვირვებები მიმდინარეობდა. სუსხიანი ამინდის შემდეგ თბილი ოთახი ძლიერ გვესიამოვნა და შემოვუსხედით ღუმელს გათოშილი ხელების გასათბობად. ორი რადისტი მასპინძელი ცხელი სადილით გაგვიმასპინძლდა. სადილის შემდეგ თბილ ღუმელთან ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით, როდესაც აკადემიის ბაზიდან გვაცნობეს, რომ ჩვენთან შესაერთებლად სპორტის ოსტატ იოსებ კახიანის ხელმძღვანელობით გამოვიდა ჯგუფი 3 კაცის შემადგენლობით. მართლაც 2 საათის შემდეგ ოთახში შემოვიდნენ სამნი: იოსებ და ჯუმბერ კახიანები და ანზორ ქურდიანი. დღის დარჩენილმა დრომ მომავალი ასვლის გეგმის განხილვასა და ტკბილ საუბარში გაიარა.

1 თებერვალს დილით 10 საათზე ვაპირებდით გასვლას, მაგრამ ამინდმა ამის საშუალება არ მოგვცა. ირგვლივ ბურუსი ჩამოწვა და 2 მეტრის იქით არაფერი ჩანდა. ამას ემატებოდა საშინელი ქარი, რომელიც თოვლის კორიანტელს აყენებდა; გუშინ მეტეოსადგურიდან მივიღეთ რადიოგრამა და კარგ ამინდს გვპირდებოდნენ. ამიტომ გასვლისათვის ვემზადებით ყველანი. ჩვენს ისედაც მძიმე ზურგჩანთებს ვუმატებთ შეშას, რადგან ზემოთ "11-თა თავშესაფარში" შეშა არ ყოფილა. თბილად ვიცვამთ. რადიოგრამა გამართლდა და 1 საათის შემდეგ იალბუზი გაიწმინდა ბურუსისაგან. ჩვენც არ დავაყოვნეთ, რადისტებთან და სვან მეგობრებთან ერთად დავიძარით "11-თა თავშესაფრისაკენ".

გზა "ყინულოვანი ბაზიდან" "11-თა თავშესაფრისაკენ" მყინვარზე გადის. იგი ზაფხულში უზარმაზარი, ზოგან 200 მ სიღრმის ნაპრალებითაა დაფარული. ზამთარში კი ეს ნაპრალები დაფარულია თოვლის სქელი ფენით. თოვლში ელექტრობოძებიც არ ჩანდა. თოვლის ფენა მყინვარზე მოძრაობას საშიშს ხდიდა, რადგან თოვლის ხიდზე გავლამ შესაძლოა ხიდის ჩაშლა, ნაპრალში ჩავარდნა და ავარია გამოიწვიოს. ამიტომ იყო, რომ იოსებ კახიანი (რომელმაც თითქმის ზეპირად იცოდა სად როგორი ნაპრალია) დიდი სიფრთხილით მიგვიძღოდა წინ.

2 საათის სწრაფი სიარულის შემდეგ მივადექით 3 სართულიან მშვენიერ, გემის ფორმის შენობას ე.წ. "11-თა თავშესაფარს", რომელიც ზ.დ. 4250 მეტრზე მდებარეობს. ამ ადგილზე კლდეებში ერთხელ 11-მა მთამსვლელმა შეაფარა თავი უამინდობას და სახელიც აქედან შემორჩა. ომამდე აქ ფიზიკის, გეოფიზიკის, ფსიქოლოგიის კეთილმოწყობილი ლაბორატორიები იყო მოთავსებული და გაცხოველებული მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობდა. ბაზას გააჩნდა საკუთარი ელექტროსადგური, ჰქონდა ორთქლით გათბობა და სხვ. როდესაც გერმანელებმა ბაქსანის ხეობა დაიკავეს, საბჭოთა მფრინავებმა აღნიშნული ელექტროსადგური ააფეთქეს, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

დღეისათვის აღნიშნულ ბაზას, უპატრონობისაგან მთლიანად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ქვედა სართული ამოვსებული იყო ჩამტვრეული ფანჯრებიდან შემოტანილი

თოვლით. ოთახები ქარის სათარეშო სარბიელად ქცეულა. იძულებული გავხდით მესამე სართულზე დავბანაკებულიყავით. ოთახებში საშინლად ციოდა. შემორჩენილი თერმომეტრი ოთახში მინუს 18^0-ს აჩვენებდა. ამ დღეს ბევრი სამუშაო გაგვიჩნდა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ღუმელების დასუფთავება და ანთება, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. საკვამური მილები და ღუმელებიც თოვლს გამოევსო. მის გაწმენდას გულმოდგინედ შეუდგნენ მუშკუდიანი, მახვილაძე და როსტომაშვილი. მე და შოთა რადიოსადგურის აღდგენას შევუდექით, მაგრამ მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ ანტენის უქონლობის გამო, ქვედა სადგურის ხმა გვესმოდა, ჩვენი ხმა კი მათ არ ესმოდათ. თუმცა კავშირი ვერ დავამყარეთ, სამაგიეროდ აკუმულატორებით კარგი სინათლე მივიღეთ და ოთახი მშვენივრად გავანათეთ. ღუმელების წყალობით საღამოსათვის ოთახის ტემპერატურამ $+8^0$-დე აიწია. საღამოს ყველანი მხიარულად შემოვუსხედით განათებულ და ცხელი საკვებით სავსე სუფრას. გვიანობამდე ვისაუბრეთ, რადგან ხვალ ვისვენებთ.

2 თებერვალს შესანიშნავი ამინდია. ამიტომ სადგურის თავზე ავედით. მთელი კავკასიონი ჩვენ წინ იყო გადაჭიმული. მწვერვალთა უსასრულო ჯაჭვში ვეძებთ ნაცნობებს: მყინვარწვერი, თეთნულდი, შხარა, უფრო ახლოს კავკასიონის სიამაყე ორწვერა უშბა; ჩვენ პირდაპირ იყო დონღუზორუნის გიგანტური მასივი, მის გვერდით ნაკრა, ცალგმილი, შტავლერი; ჩვენგან მარჯვნივ დასავლეთით მწვერვალები: გვანდრა, დალარი, უფრო შორს დომბაი-ულგენი, ბუ-ულგენი, აქსაუტი, ყარა-ყაია, ბელალაყაია და სხვ. დიდებული სანახაობაა! რაოდენ დიდ სიამოვნებას კარგავს ის, ვინც მთაში არ დადის!

ბოლოს ჩვენი მზერა იალბუზზე გაჩერდა. ის თითქოს სულ ახლოა, მაგრამ მოჩვენებითია ეს სიახლოვე, სულ ცოტა 10 საათის სიარულია საჭირო, რომ მის წვერს თავზე მოექცე. ვარჩევთ ხვალინდელი გზის სხვადასხვა ვარიანტებს. გზის უდიდესი ნაწილი ყინულოვან ფერდზე გადის, რადგან ძლიერი ქარების გამო თოვლი სულ გახვეტილია. დღის განმავლობაში ერთხელ კიდევ შევამოწმეთ ჩვენი მზადყოფნა და ადრე დავწექით დასაძინებლად, რადგან ხვალ ძალიან ადრე უნდა ავდგეთ.

3 თებერვალს ღამის 2 საათზე ვიღვიძებთ და ვემზადებით მწვერვალზე გასასვლელად. გარეთ ძლიერი ქარია. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, ამიტომ გადაწყდა მწვერვალზე იერიში მიგვეტანა. ტანზე ჩავიცვით, თუ რამ თბილი ტანსაცმელი გაგვაჩნდა (იმ დროს თბილი ბუმბულის ქურთუკები არ არსებობდა). თავზე შალის ჩაფხუტების გარდა ყურებიანი თბილი ქუდები დავიხურეთ. ასე რომ, ტანისამოსის სიმრავლისაგან მოძრაობაც კი გვიჭირდა და ცხელი ყავის სმის დროს ყველას ოფლი გვდიოდა. ამ სიცხემ დიდხანს არ გასტანა. როგორც კი თავი შენობის გარეთ გავყავით, მთელ ტანში სიცივემ დაგვიარა და ცხვირ-პირი დაგვწვა. წყვდიადში, ფარნის შუქზე შევუდექით აღმართს. ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, ერთმანეთთან საუბარს გვიშლიდა. ყველანი ჩაფიქრებულნი მივდივართ და წინმავალის ფეხის მოძრაობას ვუყურებთ. ვცდილობთ მისი გზით ვიაროთ, რათა შემთხვევით ნაპრალში არ ამოვყოთ თავი. საშინლად ცივა. ტემპერატურა მინუს $25\text{-}30^0$-ს აღწევს. ამონასუნთქი ჰაერი ტუჩებთან იყინება. რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენი შალის ჩაფხუტები მთლიანად დაიფარა ყინულის ფენით. მიუხედავად ამისა, არავის გვიცდია ყინულის ჩაფხუტის სახიდან მოცილება, რადგან ვიცოდით, ამის გარეშე ძლიერი ქარისაგან სახე მოგვეყინებოდა. მოლიპულ ყინულზე მივდივართ, მაგრამ თავს თავისუფლად ვგრძნობთ, რადგან ჩვენი წრიაპების კბილები საუცხოოდაა გალესილი. 2 საათის სიარულის შემდეგ მივაღწიეთ ე.წ. "პასტუხოვის თავშესაფარს". წყვდიადი თანდათანობით ფერმკრთალდება და მეტი სიმკვეთრით იხაზება იალბუზის გიგანტური კონტური. გგონია, მწვერვალი აქვე, სულ ახლოსაა, მაგრამ გზას დასასრული არ უჩანს. სიმაღლეს მაინც თავისი გააქვს, მოძრაობის ტემპი ეცემა. გათენდა და ჩვენც გავუსწორდით იალბუზის უნაგირას. ქარი თითქმის დაცხრა, მაგრამ როგორც კი მწვერვალისაკენ მიმავალ ქედზე გავედით, ახალი სიძლიერით კვლავ დაჰქროლა და წალეკვით დაგვემუქრა. სულ უფრო ნელა ვმოძრაობთ. ყოველი 10-15 ნაბიჯის შემდეგ შესვენება გვჭირდება. მანძილი მწვერვალამდე ნელა, მაგრამ მაინც იკლებს... და აი, სანატრელი მწვერვალი. დაღლა ყველას დაგვავიწყდა. ჩვენს ქვევით

თითქოს უსასრულო ზღვაა და ამ ზღვას ზემოდან დავყურებთ. წარმოუდგენელი სილამაზეა. ამ სილამაზის სანახავად ნამდვილად ღირდა ჩვენი ამდენი ტანჯვა.

10 საათზე თერთმეტი სახეგაბრწყინებული მთამსვლელი ევროპის უმაღლეს მწვერვალზე (5633 მ) ვიდექით და ერთმანეთს გამარჯვებას ვულოცავდით. დავწერეთ წერილი, ნიშაში მოვათავსეთ და სწრაფად დავეშვით დაბლა. ამგვარად, 1943 წლის შემდეგ ჩვენ გვერგო წილად იალბუზის მწვერვალზე ასვლის პირველობა ზამთრის პირობებში.

ორსაათნახევარში "11-თა თავშესაფარში" დავბრუნდით, იმავე დღეს კი "ყინულოვან ბაზაში" ჩავედით. დაღლილობის მიუხედავად დიდხანს ვუზიარებდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

მეორე დღეს ამინდი გაფუჭდა, მაგრამ მიზანი უკვე მიღწეულია; წინ ნაცნობი გზაა, ამიტომ უამინდობა აღარ გვაშინებს. ტერსკოლის პიკის გავლით ჩავდივართ იალბუზის ექსპედიციის ტერსკოლის ბაზაში. გზად ტერსკოლის პიკამდე შემოგვეგებნენ უნივერსიტეტის თანაკურსელი მეგობრები. ბაზაში გამარჯვებას გვილოცავენ 1943 წლის ასვლის მონაწილენი: ექსპედიციის უფროსი გიორგი სულაქველიძე და სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიკოლოზ გუსაკი. გულთბილად გვესალმებიან ექსპდიციის თანამშრომლები. მეორე დღე მეგობრებთან ერთად ტკბილი ქართული სუფრით აღვნიშნეთ. შემდეგ კი ყველანი თბილისში გამოვემგზავრეთ. ასე დასრულდა იალბუზზე ზამთრის ასვლის ეპოპეა (2009 წ.).

ლევან ჯაფარიძე
მეამაყება რომ მათი "გორისა" ვარ

ჩემი ცხოვრების დამამშვენებელი ნაწილი იყო ჩემი დამოკიდებულება ბუნებასთან, კერძოდ, მთამსვლელობასთან. ეს ამბავი საკმაოდ პროზაულად დაიწყო: ჩრდილო კავკასიის



ალპინისტურ ბანაკში წავედით ოთხი მეგობარი და თავი ამოვყავით საქვეყნოდ ცნობილ ტერსკოლში. გავიარეთ ეს სკოლა, სადაც ჩვენი პირველი მასწავლებელი ცნობილი მთამსვლელი იოსებ კახიანი იყო, რომელთანაც დაიწყო ჩვენი პირველი ასვლები. შემდეგ გამოჩნდა ახალგაზრდა მიხეილ ხერგიანი, შემდეგ ჯუმბერ კახიანი და სხვები. შემდეგ მივედით საქართველოს ალპურ კლუბში, რომელიც ვერის ბაღში, ჯერ კიდევ ძველ, ძალზე კოლორიტულ ალპური სტილის შენობაში იყო განთავსებული. იქ გატარებული დღეები და წლები მართლაც დიდი ბედნიერება იყო. იქ ტრიალებდა მთაში დაღუპული სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების, შოთა მიქელაძის სული, იქ ბრძანდებოდა ჩვენი მომხიბლავი, უსათნოესი, უმშვენიერესი ქ-ნი ალექსანდრა, რითაც ცოტა ვამაყობდი კიდეც, რადგან მათი მოგვარე ვიყავი, იქ იყო შესანიშნავი დირექტორი ლექსო ივანიშვილი თავისი მცირე შტატით. იმ პერიოდში მთამსვლელობა საზოგადოებაში ძალზე პოპულარული და პრესტიჟული იყო. შხელდა-უშბის ცნობილი ტრავერსის დროს რუსთაველის პროსპექტზე ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ფერადი სტენდი ეკიდა, რომელზეც პატარა დროშებით იყო აღნიშნული მარშრუტზე ჯგუფის გადაადგილება, შესვენებისა თუ ღამისთევის ადგილი და ეს საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა. ეს ინტერესი შეიძლება დღესაც არის, არ ვიცი, ღმერთმა ქნას რომ იყოს. იმიტომ რომ ამაზე უკეთესი საშუალება ახალგაზრდის შეზრდისა თავის მშობლიურ ბუნებასთან არა მგონია სხვა რამ არსებობდეს.

მთამსვლელთა დაოსტატების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მთამსვლურმა ბანაკებმა არა მარტო კავკასიონის გადაღმა, რომელთაც ჩვენ რუსულ ბანაკებს ვეძახდით, არამედ ქართულმაც. ასეთი იყო მაგალითად ნაკრის ხეობაში მშვენიერი ბანაკი "ნაკრა", შემდეგ "აილამა", "ზესხო", რომელთა შენარჩუნება ბოლო წლებში ძნელი გახდა, მაგრამ ეს ადგილები საქართველოსათვის მარგალიტებია. იქ კვლავაც უნდა აღდგეს ეს ბანაკები, რადგან აქ ხდებოდა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდების ფიზიკური და სულიერი წრთობა, მათი სულიერი კულტურის ჩამოყალიბება.

შემდეგ უკვე რთული ასვლები დაიწყო თავისი უშბითა და სხვადასხვა მწვერვალებით. აქ შეიკრა და ჩამოყალიბდა ჩვენი შესანიშნავი ჯგუფი, დიდი სამეგობრო, საყოველთაოდ ცნობილი მთამსვლელის, ამ საქმეზე სრულიად შეყვარებული უდიდესი ორგანიზატორის გივი ქართველიშვილის მეთაურობით.

მრავალი რამ არის მოსაგონარი მთასთან დაკავშირებით, მაგრამ მახსენდება ერთი შემთხვევა შხარის რაიონში. ახალგაზრდები ვიყავით, თითქმის მოვრჩით ასვლას და ეტყობა შიშის გრძნობა მნიშვნელოვნად გვქონდა დაქვეითებული, საკმაოდ დახრილი, პატარა თოვლიანი ფერდი გვქონდა გადასასვლელი. ჯერ კიდევ წრიაპები გვეცვა, თოკი რატომღაც ავიხსენით. თოვლის ფერდი მთავრდებოდა დაახლოებით 300-მეტრიანი ვერტიკალური კედლით. გადავიარეთ არხი, რომელშიც პერიოდულად ზვავი მოდის ხოლმე და ტკეპნის მის გვერდებს, რომელიც შემდეგ იყინება და ბობსლეის ციგა რომ მიქრის, დაახლოებით ისეთია. ღარი გადავჭერით და დავეშვით ქვემოთ. შემდეგ ჩვენი ერთი მეგობარი გადმოვიდა და, ეტყობა, ამ არხში მოძრაობის დროს წრიაპის წვერი წამოედო შარვლის ტოტს, წონასწორობა დაკარგა და დავარდა თავით ძირს. როგორც ბობსლეის ნავი აიღებს სიჩქარეს, ისეთი სიჩქარით წავიდა, ეს არხი კი პირდაპირ 300-მეტრიან ქარაფში გადადის. აღარაფერი დამრჩენოდა, ჩავხტი შიგ მის შესაჩერებლად, მაგრამ დამეჯახა, წავიქეცი და ორივენი დავცურდით. ღარის ბოლოში ქვის გამონატანი იყო, იმაზე შეგვაგდო და, საბედნიეროდ, ორივენი მასზე გავჩერდით.

ეს შემთხვევა იმიტომ აღვნიშნე, რომ ყველამ იცოდეს – სიფრთხილე მარშრუტის ბოლომდეა საჭირო.

კიდევ ერთი სამაგალითო და დასამახსოვრებელი ამბავი. შუროვსკის პიკის წვერზე ვართ, იქით უშბაა. ქვემოთ დიდი ყინულვარდნილია, საშინლად დაჩეხილი და ვხედავთ ამ დაჩეხილ მყინვარზე, ყოველგვარი ნორმებისა და წესების დაცვის გარეშე, რომ იტყვიან, კისრისტეხით გარბის ექვსი ადამიანი, დაბლა ეშვებიან. ჩვენ არც ვიცით, ვინ არიან, მაგრამ სტვენითა და ყვირილით ვაფრთხილებთ, რომ წინ საშიშროებაა. ბანაკში წესად იყო, ჩამოსვლისთანავე ჯგუფს ანგარიში უნდა წარედგინა, როგორ ჩაიარა ასვლამ, რა ვითარებაში, ვინ შეხვდა გზაში, როგორი იყო მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ.

ჩვენ მოვახსენეთ, რომ ექვსი ფიგურა ანგარიშმიუცემლად მირბოდა ქვემოთ ასეთ დაჩეხილ ყინულვარდნილზე. თურმე ცნობილი მთამსვლელის ლევ მიშლიაევის ჯგუფი 20 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ადიოდა ჩათინის ძალიან ძნელ ჩრდილოეთ კედელზე, რომელიც გადმოხურული ყინულის კარნიზით მთავრდებოდა. მისი გავლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ამ 20-დღიანი ასვლის შემდეგ იმდენად გამოფიტულან და შიშის გრძნობა მოსჩლუნგებოდათ, რომ გაუაზრებლად გარბოდნენ დაღმა იმ ყინულვარდნილზე. მაშინ ეს შემთხვევა მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ მიშლიაევი და მისი ჯგუფი ამ შიშის გრძნობის დაკარგვას შეეწირა.

დაუვიწყარია ჩემთვის ჯუმბერ მეძმარიაშვილთან ურთიერთობა, რომელსაც სევა ელიავამ "პატივცემულო" შეარქვა. ჯუმბერი საოცრად მომხიბვლელი კაცი იყო. ზრდილი, მშვიდი, ვაჟკაცი, ზომიერი, სამართლიანი, მშვენიერი მოკრივე იყო. ჯუმბერი 32 წლისა დაიღუპა და ჩვენ იმდენად ახალგაზრდები ვიყავით, რომ ამ სრულიად ახალგაზრდა კაცს, შევერცხლილი თმის გამო, "პატივცემულოს" ვეძახდით. ჯუმბერ მეძმარიაშვილთან ურთიერთობა დიდი ბედნიერება იყო, კუხო – თეიმურაზ კუხიანიძე ჩვენზე ცოტა უფროსი, ჩვენი მეგობარი იყო. ბაკურიანში სამთო თხილამურებზე შესანიშნავად იდგა და საქართველოში

წყლის თხილამურებით სპორტული სრიალის ერთ-ერთი პიონერი იყო, რომელსაც შემდეგ მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ჩვენც მასთან ყოფნა გვიხაროდა და ხშირად ვიყავით ერთად.

ჯუმბერისა და კუხოს ამბავი იმიტომ წამოვიწყე, რომ იმ წელს, "პობედაზე" როცა მიდიოდა ქართული ექსპედიცია, მოსამზადებელ პერიოდში ჩვენ უკვე ვიყავით გათვალისწინებული დამხმარე ჯგუფად. გივი ქართველიშვილი, მიტო შარაშენიძე, ძმები ბაქრაძეები და მე. ასე ვრჩებოდით თითქმის ბოლომდე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საექსპედიციო ჯგუფის დაკომპლექტების დროს რაღაც სირთულეები წარმოიქმნებოდა ხოლმე. პრესტიჟული იყო ვინ იქნებოდა მოიერიშე ჯგუფში. მაშინ, რომ იტყვიან, სათადარიგო სკამიც გრძელი იყო. ტიან-შანი საკმაოდ რთული რაიონია, უმძიმესი კლიმატური პირობებით, ჩვენ ფორმაში ვიყავით და საკუთარი სპორტული გეგმებიც გვქონდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლო მომენტში, ექსპედიციის მთავარი მიზნის გამო, შეიკვეცა ეს გეგმები. ჯუმბერი და კუხო შეწუხდნენ ამ გადაწყვეტილებით, რადგან ჩვენ ტიან-შანში წასვლას დაგვპირდნენ, სიტყვის კაცები იყვნენ და პირის გატეხა არ უნდოდათ. გაგვიყვანეს გვერდზე და გვითხრეს, რომ დავრჩენილიყავით... თქვენს საქმეს მიხედავთო. ასეც მოხდა, ბოლო მომენტში ჩამოვშორდით იმ საბედისწერო ექსპედიციას.

სამაგიეროდ ამ დროს სოლიკო ხაბეიშვილმა კავკასიონზე მოაწყო უაღრესად კარგად აღჭურვილი და დაკომპლექტებული ექსპედიცია და თითქმის ორი თვით წავედით სვანეთში. ბევრ მწვერვალზე ავედით. ასე განსაჯეთ, მაშინ სამი მე-5 კატეგორიის ასვლა განვახორციელეთ, მანამდე მე-3 და მე-4 კატეგორიის ასვლებიც იყო, ასე რომ, გაცხოველებული ასვლები მიმდინარეობდა. საუკეთესო ფორმაში ვიყავით. ბოლოს ეს ასვლები უშბის ტრავერსით დამთავრდა (სამხრეთიდან ჩრდილოეთით). სასიამოვნოდ დაღლილნი, ექსპედიციის შემდეგ ბედნიერები დავბრუნდით.

უშბის ტრავერსზე რომ მოგახსენებდით - ამ მწვერვალზე გურამ თიკანაძესთან ერთად გუნდში იყვნენ გივი ქართველიშვილი, მიტო შარაშენიძე, ძმები ბაქრაძეები. გურამ თიკანაძე ეს მომხიბვლელი, უნიჭიერესი კაცი, ბუნებასთან იყო შეზრდილი. ჩვენც ხომ გვიყვარდა ბუნება, ბევრ სიკეთესა და სილამაზეს ვხედავდით, მაგრამ გურამის ხედვა განსაკუთრებული იყო, მას სხვა თვალი და ხალხთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი ჰქონდა. არ მინახავს ასეთი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭის მიმართ. მთელი სვანეთი, დიდიც და პატარაც, ეთაყვანებოდა. გარეგნობაც ისეთი ჰქონდა, ზრდილობაც... მაგალითად, თუ ვინმეს სურათს გადაუღებდა, შემდეგ ის ფოტო აუცილებლად მივიდოდა ადრესატამდე და არც ის იყო გამორიცხული რომელიმე საერთაშორისო ფოტოგამოფენაზეც მოხვედრილიყო.

ჩამოვედი თბილისში, აგვისტოს ბოლოა, მოვიხსენი ზურგჩანთა და რეკავს ტელეფონი, - ალპურ კლუბში ჩამოდიო, - მითხრეს და მივხვდი, ცუდად იყო საქმე. ჩავედი და გავიგე: ტიან-შანში, სადაც ჩვენც უნდა ვყოფილიყავით, დაიღუპნენ ილიკო გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე. ეს იყო ჩვენი უდიდესი მარცხი, ნამდვილი საყოველთაო გლოვა. ჯუმბერი და კუხო დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, ილიკო გაბლიანი კი დღემდე ტიან-შანის ყინულებში განისვენებს (2007 წლის აუდიოჩანაწერი).

* * * * *

გაგაცანით რა ქართველ მთამსვლელთა წინა თაობის მოგონება-თავგადასავლები, არ შეიძლებოდა მკითხველისათვის არ შეგვეთავაზებინა ოთხმოცდაათიანელთა თაობის რამდენიმე წარმომადგენლის, ჩვენი ცნობილი მთამსვლელების მონათხრობის ის ფრაგმენტები, რომლებიც ეხება მათ ალპინისტურ ნათლობას, წინა თაობის მთამსვლელებთან ურთიერთობას, მათ დამოკიდებულებას წინანდელი წლების ალპინიზმზე და მათ შეხედულებებს მთამსვლელობაში დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

ბიძინა გუჯაბიძე: 1984 წლის 28 თებერვალს, მწვერვალ უშბიდან დაშვებისას ექვსი ქართველი მთამსვლელი დაიღუპა: ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, დავით კობახიძე, გია ტუშური, გოგი ზუმბაძე, მურად ჭიჭინაძე. დიდი დრო გავიდა, ბევრ მათგანს უკვე შვილიშვილები ჰყავს. მტკივნეული იქნება იმ ამბების გახსენება ყველასათვის, მტკივნეული არის ჩემთვისაც. ირაკლი გელდიაშვილი მაშინ 35 წლის იყო, დღეს ჩემზე 9 წლით უმცროსი, მაგრამ ისინი დღესაც უფროსებად, მასწავლებლებად და სამაგალითოებად რჩებიან, პირადად ჩემი ყველა მიღწევა მთაში მათ ხსოვნას ეძღვნება.

ოთხჯერ მქონდა უშბაზე ზამთარში ასვლის მცდელობა, მხოლოდ ორჯერ ავედი. წელსაც ვგეგმავდი, მაგრამ ჩემი და ჩემი მეგობრების გეგმები ერთმანეთს არ დაემთხვა და მე, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე სვანეთში ასვლა. იძულებული ვარ, ძველ დღიურებს გადავხედო და ასე გამოვეხმაურო ჩვენი მეგობრების ხსოვნას - დიდ ტკივილს, საქართველოს მთამსვლელობის დიდ ტრაგედიას...

1984 წელი, თებერვლის დასაწყისი. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მორიგი სახელმწიფო ლიდერი (ანდროპოვი) ახალი გარდაცვლილია. ქვეყანაში გლოვაა გამოცხადებული. გოგი ზუმბაძის და დათიკო კობახიძის წამოწყებული სიმღერა ზუგდიდის რესტორნის მთელმა პერსონალმა ერთხმად ჩაახშო, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ, პირველად ვარ დიდ ექსპედიციაში, დიდ მთამსვლელებთან; უშბაზე მივდივართ, თანაც ზამთარში. მართალია, დამხმარედ, მაგრამ ექსპედიციის სრულფასოვანი წევრი ვარ.

დიდი გუნდია, 20 კაცამდე. ბეჩოში, უშხვანარში მაკრინე ქურდიანს ვსტუმრობთ. მაკრინეს ალპინისტების დედას ეძახიან. მხოლოდ ამ ოჯახიდან გადიოდა ჯგუფები უშბაზე. უხარია ჩვენი ნახვა ქალბატონ მაკრინეს, სინანულს გამოთქვამს, ასაკის და ჯანმრთელობის გამო რომ აღარ შეუძლია ჩვენი მიღება, მოვლა-პატრონობა. ჩვენ უფრო ზემოთ, ნაშთგოლში, გივი წერედიანის ოჯახში გადავინაცვლეთ.

ერთმანეთს მისდევს მზიანი და თბილი დღეები. ჭიანჭველებივით გამწკრივებულები ზემოთ, გულის ფერმებისკენ მივეზიდებით ექსპედიციის ბარგს, აღჭურვილობას, სურსათს, შეშას, საწვავს. ახალგაზრდები - ჯავახია, თორთლაძე, მე - სტარჩიკთან ერთად, ძირითადად, მზიდავები ვართ. ომარ ერქომაიშვილი შეუცვლელი მზარეულია, თან სოფელ გულში ხეზე შერჩენილი გაყინული მაჟალოსგან არყის გამოხდაზე ოცნებობს, მიტო შარაშენიძე ექსპედიციის ხელმძღვანელია, დევი თარხნიშვილს და გოგი ზუმბაძეს აღჭურვილობა აბარიათ, ექიმი გია ჭელიძეა, ვახო კოლხიდაშვილი - საგარეო საქმეთა მინისტრი, რომა გიუტაშვილი თვითნაკეთი თხილამურებით თავს გვაწონებს, მურად ჭიჭინაძე - თოვლის მოტოციკლეტით, თამაზ ბაქანიძე, თამაზ შარაშენიძე კი... მოუთმენლად ველოდებით ირაკლი გელდიაშვილის ამოსვლას.

უკვე მთელი გუნდი ფერმებში გავედით, საჭიროების შემთხვევაში ერთი-ორი კაცი ჩამოვდივართ ქვემოთ. მარშრუტის ძირამდე გაჭრილია ბილიკი. უკვე აღჭურვილია პირველი ბანაკი. პირველ ჯგუფში არიან ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, გოგი ზუმბაძე, დათო კობახიძე, გია ტუშური, მურად ჭიჭინაძე. ირაკლის პირველად აცვია პლასტიკის ბათინკები და ძალიან მოსწონს თავი, კობახიძეს ჩემს ფრანგულ ბათინკებს ვაცმევ, პადოშა კი წრიაპებს და წერაყინს აძლევს, ტუშურს ჩემი საძილე მიაქვს, მურადის - გამაშები.

მე და კოკა გამთენიისას პირველ ბანაკამდე მივაცილებთ ჯგუფს და ცარიელები უკან ვეშვებით ფერმებში, ანუ სასტუმრო "იკანკალეში". ორი დღის შემდეგ მეორე ჯგუფი გადის - დიმიტრი შარაშენიძე, თამაზ ბაქანიძე, რომან გიუტაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, თამაზ შარაშენიძე. მეთვალყურეებს გარეთ დიდი ტელესკოპი გვიდგას, ორივე ჯგუფის ყოველ ნაბიჯს

თვალს ვადევნებთ, ხშირად გავდივართ კავშირზე და არ ვაციებთ კერას. ვუვლით ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ პატარა თაგუნას, სახელად "ტუტუს".

27 თებერვალს ცუდი ამინდია, მხედველობა არ არის, დევი მატყობინებს, მწვერვალზე ვდგავართო. მილოცვას რაღაც ნაღვლიანი ხმით მაწყვეტინებს, ჩამოვიდეთ და მერე მოგვილოცეო. კარავი კედლის ძირში აქვთ დატოვებული. დღეს მეორე ჯგუფი მათი დაკიდებული თოკებით კედლის თავზე ადის და ღამისსათევზე ეწყობა. ღამე, კედელზე დაშვებისას, მხოლოდ დევი ახერხებს მეორე ჯგუფის კარავში ჩაის დალევას.

დილით ამინდი გამოდის. კავშირი არ არის. მწვერვალზე ვხედავ მეორე ჯგუფს. მთელი დღე არ არის კავშირი პირველ ჯგუფთან, ვერც ვხედავთ. საღამოსკენ პირველი ბანაკის მოსახსნელად გავდივართ გრიშა სტარჩიკი, კოკა ჯავახია და მე. მარშრუტის ძირში, ფართო კულუარში პანტელეევიჩმა (სტარჩიკი) ზვავში რაღაც ნივთები შენიშნა, ბინოკლში ძალიან ჰგავს ადამიანებს, იმედი გვაქვს, რომ მხოლოდ ზურგჩანთაა გადმოვარდნილი და გამსკდარი. თუმცა, ესეც საკმაოდ დიდი ავარიაა. როგორც ირაკლი გვასწავლიდა, ზურგჩანთის გადმოვარდნა და კაცის, თითქმის ერთი და იგივეაო.

თავში უამრავი ფიქრი ირევა, ჩვენ ის აღარ ვართ, რაც რამდენიმე წუთის წინ ვიყავით, მხიარულები, უზრუნველები, თითქმის ბედნიერები. დავბერდით. სხვა ადამიანები გავხდით. ჩემთვის და კოკასთვის პირველი ავარიაა, თანაც ახლობლების, მეგობრების...

1989 წელი, იანვარი. დიდი დრო, 5 წელია უკვე გასული. ბევრი ჭირიც ვნახეთ და ბევრი ლხინიც, მრავალი ასვლა, სამაშველო ოპერაციები. ახალი ჩამოსულები ვართ სომხეთის მიწისძვრის შემდეგ ლენინაკანიდან, სპიტაკიდან. უკვე ის აღარა ვარ, რაც ვიყავ!

ამჯერად არმიის სპორტულ გუნდში ვართ, მწვრთნელია ლოვა სარქისოვი. დიდი გუნდი ვართ, 20-25 კაცი. ფული ძალიან ცოტა გვაქვს, სულ რაღაც 700 მანეთი, საჭმელი, ტრანსპორტი, საწვავი, სულ ეგ არის. საცხოვრებელში კი, მადლობა ღმერთს, სვანეთში ფული არ გვჭირდება. მამა ტარიელი (სიკინჭალაშვილი) პატრიარქისაგან უშბაზე ასატანად გამოგზავნილ წმინდა სამების ხატს გვატანს, წინასწარ კი შევუთანხმდი, მსუბუქი იყოს-მეთქი, მაგრამ ხატი ფაიფურისაა და საკმაოდ დიდი. გვიჭირს მცირედმორწმუნეებს ამის აუცილებლობაში დარწმუნება. ზუგდიდამდე - მატარებლით, მერე - ზოგი ავტობუსით, ზოგიც სატვირთო მანქანით... ისევ გივისთან, წერედიანთან ვიყრით თავს, მერე კი ყველანი ლუკა ვეზდენის სახლში გადავდივართ საცხოვრებლად, მაზერელი ბიჭები გვეხმარებიან მოწყობა-დალაგებაში, ღუმელის გამართვაში. ხარებით მოათრიეს დიდი მორები და შეშაც დაგვიჭრეს.

მეორე-მესამე დღესვე ვიწყებთ ზედა ბანაკების - ჯერ "იკანკალეს" და მერე მარშრუტის ძირის მოწყობას. დიდი, ჯარისკაცული ხის თხილამურები გვაქვს - შეშებს ან ღობეებს ვეძახით - რეზინის თასმებით ფეხებზე დამაგრებული, აღმართ-დაღმართში რომ არ ისრიალოს, ზედ

თოკები გვაქვს დახვეული. მხოლოდ ვანო ვაშაყმაძეს აქვს წესიერი "სკიტურის" თხილამურები, აღმართში სასიარულო ბეწვით, "ქამუსით".

10 დღეში ორივე ბანაკი მზადაა, შეიძლება მარშრუტზე გასვლა.

გადაწყდა. შვიდნი გავდივართ: ლოვა სარქისოვი, თორნიკე ბერიშვილი, ვანო ვაშაყმაძე, სანდრო კობაიძე, დათო რაქვიაშვილი, მალხაზ ცირეკიძე და მე - ორი კარვით. წინასწარ მე და მალხაზი ვკიდებთ რამდენიმე თოკს, კულუარიდან თითქმის ქედამდე. საღამოს ღრუბელი ჩაწვა ხეობაში. გვეშინია გასვლა, ვწევართ კარავში, მზეს მიფიცხებულები, ქვევით შავი ღრუბელია, ზევით - კაშკაშა მზე, გარეთ კი გაბოროტებული თორნიკე დააბიჯებს, გვლანძღავს ასეთი დღის გაცდენისათვის. ვგრძნობთ შეცდომას და გატრუნულები ვართ. მხოლოდ ვანო ცდილობს დანაშაულის გამოსყიდვას და თავისი "კარგი" თხილამურებით "იკანკალესკენ" ეშვება დამატებითი პროდუქტისათვის.

დილას, ადრიანად, მარშრუტზე ვართ. ძალიან ვფრთხილობთ, სულ თოკებს ვკიდებ, არ ვზოგავ აღჭურვილობას. საკმაოდ თბილა. რთულ მონაკვეთებზე უხელთათმანოდ ვცოცავ. ნაშუადღევს უკვე პირველ ღამის სათევზე ვარ. ბიჭები ლოვას ხელმძღვანელობით საკარვე მოედნების გაჭრას იწყებენ. მე და მალხაზი კიდევ სამ თოკს ვკიდებთ. ღამე ძალიან ცივა, ყინავს, რაქვიაშვილს კარვის წმენდისას შემოეხა კარავი. რაქვიაშვილი პირველადაა სერიოზულ მარშრუტზე, თითქმის ღამისთევაც კი არ ჰქონია, და კინაღამ უკარვოდ დაგვტოვა. ვანოს "კუბოში" კი ორნი ძლივს ეტევიან. ვკერავთ, ვაწებებთ კარავს და მთლად მშვიდად ვერ ვიძინებთ.

„უშბის ბიჭების" კუთხე ქართული მთამსვლელობის მუზეუმში.

ჯერ კიდევ გამოუცდელები ვართ, დიდი დრო გვჭირდება გაღვიძებაზე, მომზადებაზე, საუზმეზე, მერე გარეთ გამოსვლაზე და ალაგებაზე. მაგრამ მშვიდად ვართ. ლოვა ჩვენთანაა. ბლომად გვაქვს სურსათი, საწვავი, თბილი ტანსაცმელი და აღჭურვილობა. სანდრო კობაიძეს კი კარგი აფთიაქი აქვს. ჩვენი მიზანი მხოლოდ ასვლაა, რაც შეიძლება უხიფათო. ებმება თოკი თოკს, თითქმის შვიდ თოკზე იჭიმება ჯგუფი. მალხაზი მიდგას დაცვაზე, ჩემი ზურგჩანთა დანარჩენებს აქვს გადანაწილებული. მხოლოდ აღჭურვილობა და ორი თოკი მკიდია, ერთი ჩაბმის, მეორეს "პერილად" ვკიდებ. მოძრაობა თანაბარია. 4 საათისთვის საკარვეს თხრიან -

აშენებენ. დარჩენილ თოკებს ვკიდებ ხვალისთვის. ღრუბელი ისევ ხეობაშია ჩაწოლილი. შიშით ჩავყურებთ ჩაშავებულ ხეობას.

დღე დღეს მისდევს, თითქოს არაფერი იცვლება, სიმაღლის გარდა. რელიეფის მრავალფეროვნებაც კი ერთფეროვანი ხდება. ძირითადი კედლის ძირში კარგი საკარვე ადგილია. დილიდან ვიწყებ კედლის დამუშავებას. შემდეგ ღამის სათევამდე სულ რაღაც 5 თოკია, ანუ 250 მ. კალოშებით ვცოცავ, მიყვარს გრანიტი, საიმედო და კარგად ნაცნობი ქანია. კედელი ვერტიკალურია, პატარა კარნიზებით, კარგი ხელმოსაჭიდებია, ნაპრალებიც მრავალგვაროვანია, ბევრია ძველი პალო, მჭედლის გაჭედილი, ხის პალოებსაც ვხედავ. საშინლად ცივა, სხეული სიცივისაგან ძალიან მყიფეა, ახლა პატარა მოწყვეტაც კი ტრავმით დამთავრდება, შეიძლება შუშასავით დავიმსხვრე. თოკის დამთავრებისას თვითდაცვაზე ვეკიდები და გაყინული ფეხებისა და ხელების გათბობას ვცდილობ, სანამ შემდეგ თოკს მომაწვდიან. საღამოსკენ კედლის თავზე, ქვით ამოშენებულ ღამისსათევზე გავდივარ და ბოლო თოკს ვკიდებ. უკვე ყინულზე ვდგავარ კალოშებით. ბოლო ხმით ვკივი, სანამ ბათინკებს ამომიტანს მალხაზი. ვიცვლი ფეხზე, ზედმეტ აღჭურვილობას პალოზე ვკიდებ და ვეშვები ქვემოთ, სადაც მელოდება ცხელი ჩაი, წიწიბურას ფაფა "ტუშონკით".

მწვერვალზე გასვლას ამ ღამისსათევიდან, კედლის ძირიდან ვაპირებთ. ცოტა შორსაა, მაგრამ ზემოთ 2 კარავს ვერ დავდგამთ, ამას გარდა 7 კაციც ბევრია, ნელა ვივლით, ვინმეს დატოვებაც საცოდაობაა, მწვერვალამდე ხომ ცოტა დარჩა. ყოველ ღამე ხატს კუთხეში ვასვენებთ, ბათინკის ძირებზე, "ტუშონკის" კოლოფებზე სანთლებს ვანთებთ. კარავი პატარა ეკლესიას ემსგავსება. ვხვდებით, რომ ამ "ზედმეტი ტვირთის" გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა.

გათენებამდე ვძვრებით კარვიდან. რიგრიგობით ვეკიდებით თოკებზე. კედლიდან 50 მ. თოვლყინულიანი კულუარის გავლის შემდეგ ვიწრო ქედზე გავდივართ დიდი და თხელი კარნიზებით. თოვლს თითქმის არ იჭერს, ზოგან ქედს კლდეებამდე ვასუფთავებთ და ცხენზე გადამჯდარებივით მივცოცავთ. დათოს ზურგჩანთა უვარდება პრიმუსით და ბუმბულის ქურთუკით. ამინდიც ირევა. ახლა კი ცუდადაა საქმე!

რამდენიმე მეტრი რჩება მწვერვალამდე, ალბათ, გულში ყველა ითვლის 20, 19, 18... რაგინდ გასაკვირი არ უნდა იყოს, თითქმის ყველას გული გვიჩუყდება, საყოველთაო ეიფორიაა. ლოვა სანდროს ხელიდან გლეჯს ტურიდან ამოღებულ წერილს, ეშინია, ქარმა არ წაჰგლიჯოს, ქარი კი ძლიერდება... ხეობაში ჩაწოლილი ღრუბელი დუღდება და ზემოთ მოიწევს. ვიწყებთ დაშვებას.

ჯერ ქედი ბოლომდე არ გვაქვს გავლილი, რომ ბნელდება. არ გვაქვს ფანრები. უკვე თოვს, სეტყვაა. ერთი თოკი გამოქაჩვის დროს ქარმა წაიღო და კლდეზე გაიჭედა. ბოლო მოვდივარ. ლოვა მეხმარება, პირველი ვანოა. რაღაც საშინლად მწიწკნის ყურებზე და მწვავს. ვიგლეჯ შალის ქუდს, დამუხტულ ღრუბელში ვართ, ყველაფერი ზრიალებს, ბრწყინავს, ანათებს, ნაპერწკლებს ყრის. პალოები, წერაყინები, ცხვირის ბოლოები, ხელთათმანიდან დაცვენილი წვეთები, თმები ყალყზე დგას. კარგი იქნებოდა ქედის დატოვება და რკინეულობის მოშორება, მაგრამ აქ ეს შეუძლებელია, "სამართებლის" პირზე ვართ. მხოლოდ თორნიკე ვარდება თითქმის ჰორიზონტალური ქედიდან, ეკიდება ჰაერში. თოკის ორივე ბოლო დამაგრებულია. დიდხანს წვალობს. უკვე თოკის ერთი ბოლოს გადაჭრას ფიქრობს, რომ თოკმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღოს. საბედნიეროდ, ვერ გადაწყვიტა, წინა თუ უკანა გადაჭრას. მასთან ახლოს ვანიკო და სანდრო არიან, კივილით ამხნევებენ. მე და ლოვა ერთი თოკის მოშორებით ვდგავართ. საშინლად გამოვიფიტე, ჩემს თავს გარედან ვხედავ, გვერდიდან ვაფრთხილებ, ველაპარაკები, კვანძებს ვუმოწმებ. თორნიკე ვერ ამოდის, "არშაკოვიჩ, რა ვქნათ, გავუძლებთ?" გავუძლებთ. თორნიკე ამოჰყავთ ქედზე, დაღლილობისაგან კანკალებს და კივის, თავს იმხნევებს. რამდენიმე მეტრის მერე ჩვენს დატოვებულ თოკებს ვადგებით, აქედან უკვე ხელის ფათურით შეიძლება ჩასვლა. თოკებს კარვებამდე მივყავართ, 5 თოკია, უმეტესად ვერტიკალზე, ნელა, მაგრამ მშვიდობიანად ჩამოვიარეთ. კარავში ლოვა უკვე ყინულს ადნობს.

დილას გვიან ვიღვიძებთ. ძალიან დაღლილები ვართ. დღეს აქედან ვერ დავეშვებით. თითებიც საკმაოდ გვაქვს მოყინული. ნელ-ნელა იბერება ბუშტუკები. რაქვიაშვილი და მე ზემოთ მივდივართ თოკების მოსახსნელად, რამდენიმე საათის მერე ვბრუნდებით. გვაჭმევენ, გვასმევენ და ვიძინებთ. კარავში ცივა. თითქმის ისევეა თოვლი, როგორც გარეთ, მაგრამ უკვე მივეჩვიეთ.

დილიდან ქვემოთ, ნაბიჯ-ნაბიჯ, უკვე ნაცნობ გზაზე, განსაკუთრებით ფრთხილად თოვლის დიდ დაფას გადმოვდივართ, საიდანაც, ალბათ, მოწყდნენ ჩვენი ბიჭები 1984-ში. აქ დაცვის ორგანიზება ძნელია და ერთდროულად ვეშვებით. მერე უკვე აღარ ვზოგავ პალოებს. უკვე მოჩანს ჩვენი ბანაკი მყინვარზე. ხვალ ქვემოთ ვიქნებით.

ბოლო ღამისსათევიდან, ვერტიკალში, კულუარამდე 6 თოკია. მე და დათო ჯერ კიდევ შუაში ვართ, მალხაზი, თოკიდან ჩახსნილი, ფართო ნაბიჯებით მიაბიჯებს ქვემოთ, დამხმარე ჯგუფისაკენ.

მალე ყველანი ქვემოთ ვიკრიბებით. დიდია სიხარული ასვლის, მშვიდობით დაბრუნების. ქვემოთ, "იკანკალესკენ"!.. ხვალ დილას კი მაზერში დიდი ლხინი გველოდება. დიდი ღორია დაკლული, ღვინო და არაყიც ბლომადაა მომარაგებული. დაიღალა ხალხი მოლოდინით, გულშემატკივრობით. ახლა საერთო განტვირთვაა საჭირო. ეს უშბაზე ასვლაზე ნაკლები არ იქნება!

ისევ 1984 წელი მახსენდება. მაშინ დიდ, ნახევრად მიწურში ვცხოვრობდით. ახალგაზრდა ვიყავი, ალიასკის მოზამთრეებს ვადარებდი თავს. ღუმელი თითქმის განუწყვეტლივ ენთო, ღამეც კი რომელიმე ჩვენგანი, ნახევრად მძინარე, უკეთებდა შეშას, ზედ მუდმივად იდგა ჩაიდანი თოვლის გასადნობად. დღეში რამდენჯერმე ვწმენდდით გასასვლელს თოვლისაგან. კარები შიგნით იღებოდა, რომ არ ჩავკეტილიყავით; ზედ, დამატებით, წითელი საბჭოური ლოზუნგი ეკიდა ფარდად სითბოსათვის, რომელსაც ხელსაწმენდადაც ვხმარობდით. კედლის გასწვრივ - ნარები საძილეებით, ზურგჩანთებით, პირადი ნივთებით, კუთხეებში - ჭრაქი და კვარი, კედლებზე, ჭერზე - ორთქლადენილი ტანსაცმელი, თოკები, გარეთ - თხილამურები, წერაყინები, შეშა, ყინვისაგან შესქელებული ჰაერი, მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები, ან ჭახჭახა მზე, ზოგჯერ ქარბუქიც და, რაც მთავარია, ირგვლივ მეგობრები... ბევრი აღარ არის დღეს ცოცხალი.

(დაწერილია 2004 წ.).

* * * * *

გელა ოთარაშვილი: პირველად მთაში მე და ბენო ქაშაკაშვილი წავედით ერთად. "აილამაში" მოვხვდით და იმის შემდეგ თითქმის სულ ერთად დავდივართ. სერიოზული ტექნიკური და სასიმაღლო ასვლებიც ერთად გვაქვს შესრულებული მე, დათო ჩანტლაძეს, ბენოს და გია დვალს, რომელიც ამჟამად ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს, ღრმად ჩაეფლო მეცნიერებაში და დიდი მიღწევებიც აქვს.

1984 წლის უშბის ტრაგედიის შემდეგ ქართულ ალპინიზმში ვაკუუმი გაჩნდა. პრაქტიკულად საქართველოში გუნდი აღარ იყო. მაშინ მოვხვდით სკა-ში. სწორედ აქ მოვახერხეთ მე-5 და მე-6 კატეგორიის სირთულის სასიმაღლო, კლდოვანი და ტექნიკური მარშრუტების გავლა, რადგან აქ ამის უნიკალური შესაძლებლობა არსებობდა.

რაც შეეხება ალპინიზმის დღევანდელ დონეს, იგი სულ სხვაა ვიდრე 10 წლის წინ იყო. აღარაფერს ვამბობ 50 და მეტი წლის წინანდელ ალპინიზმზე. მთამსვლელობა ყოველწლიურად ვითარდება და ამაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჭურველსა და აღკაზმულობას. ამ თვალსაზრისით, ბოლო ათწლეულში ნამდვილი გადატრიალება მოხდა. მაგალითად, იყო დრო, როცა ყინულზე გადაადგილება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე კლდეზე, რადგან ყინულის პალოების დარტყმა პრობლემური და ხანგრძლივი პროცესი იყო. ახლა ისეთი წრიაპებია, ყინულის ისეთი ჩაქუჩებია, ისეთი საჭრელი "ლედობურებია", დაცვის ისეთი საშუალებებია, რომ თუ კარგი ფიზიკური მონაცემები გაქვს, ყინულოვან რელიეფზე

გადაადგილების გარკვეულ ტექნიკას ფლობ და შიში არ გაქვს, ყინულის ნებისმიერ რელიეფზე თავისუფლად შეიძლება მოძრაობა, ამიტომ ძალიან გაადვილდა ყინულოვანი კედლების გავლაც. მთამსვლელები სოლო ასვლების დროს ძალზე საიმედო თვითდაცვას იკეთებენ და გადიან როგორც ყინულოვან კედლებს, ასევე გაყინულ ჩანჩქერებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტვირთის სიმსუბუქეს. ერთ-ერთი მიზეზი, მთამსვლელობაში რომ გადატრიალება მოხდა და დონემ საგრძნობლად აიწია, თანამედროვე ტანსაცმელი და აღჭურვილობაა. აღარ არის ის თოკები, ის საჭურველი. ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს თერმოიზოლაცია აქვს, ქარს არ ატარებს, არ სველდება. გარდა ამისა, მომზადების დონეც ძალიან მაღალია. მთამსვლელობა სეზონური აღარ არის. წამყვანი მთამსვლელები წელიწადის ყველა დროს მთაში ატარებენ, სულ მოძრაობენ, ვარჯიშობენ ან მნიშვნელოვან ასვლებს ახორციელებენ. ასეთ მთამსვლელებთან ჩვენც გვქონდა ურთიერთობა ჰიმალაებსა და ევროპაში. ვნახეთ, რომ ეს ხალხი მხოლოდ მთამსვლელობითაა დაკავებული, ისინი პროფესიონალი მთამსვლელები არიან. ამ პროფესიონალიზმის ხარჯზე ისინი საოცარ შედეგებს აღწევენ. მაგალითად, შამონიში ცხოვრობს რუსი პროფესიონალი მთამსვლელი ვალერი ბაბანოვი, რომელიც ჩვენი მასპინძელი იყო საფრანგეთში. იგი გიდების სკოლაში სწავლობს, სადაც არაფრანგებისათვის ძალიან ძნელია მოხვედრა, მაგრამ იგი იმდენად მაღალი რანგის მთამსვლელი და პოპულარული პიროვნებაა, რომ ფრანგებისათვის პატივი და ერთგვარი რეკლამაცაა, ასეთი დონის მთამსვლელი რომ მათ სკოლას ამთავრებს. მან, გამარტივებული წესით, ერთ წელიწადში დაამთავრა 4-5 წლიანი კურსი. საფრანგეთში ყოფნისას ჩვენ ვნახეთ, რამდენად მაღალია მთამსვლელთა ტექნიკური დონე. საოცარი რეკორდებია დამყარებული ალპებში. მეტად პოპულარული მთამსვლელია პატრიკ ბერო, რომელიც რამდენიმე მე-6 კატეგორიის სირთულის მწვერვალზე საათებშია ასული. იგი ასეთი გრაფიკით მოძრაობს: ადის ურთულეს მე-6 კატეგორიის მწვერვალზე და მეორე მხარეს ეშვება თხილამურებით, იქვე მეორე მწვერვალზე ადის, შემდეგ ვერტფრენით გადადის სხვა მწვერვალის ძირში და იქიდან აგრძელებს ასვლას. რამდენიმე საათში ურთულესი ასვლები შეასრულა, რეკორდი დაამყარა. ეს არის ალპინიზმისადმი სპორტული მიდგომა.



უნდა ითქვას, რომ ძალზე ძნელია რთულ მარშრუტებზე მარტო სიარული ანუ ე.წ. სოლო ასვლა. სოლო ალპინიზმს ჰყავს მიმდევრები, მაგრამ არც ისე მრავლად. წარმოიდგინეთ, მარტო მიდიხარ მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტზე, ამაზე ძნელი აღარაფერია. ვალერი ბაბანოვი კი ახორციელებს მათზე სოლო ასვლას, პირველასვლას და გადის გაუვლელ მარშრუტებს, თან სად – ჰიმალაებში! მისი ასვლა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. იგი, ფაქტობრივად, 6 და 7-ათასიანზე დაბალ მწვერვალებზე არ დადის. 1999 წელს ინდოეთის ჰიმალაებში იგი ურთულეს მწვერვალ კანტეგაზე ავიდა, მაშინვე შეეცადა 6500 მ სიმაღლის მწვერვალზე ასვლასაც. არ გამოუვიდა, მაგრამ მეორე წელს წავიდა და მასზე სოლო ასვლა განახორციელა. ვალერი ბაბანოვი ამჟამად სოლო ასვლის ლიდერია და ამას იმით აღწევს, რომ მუდმივად მთაშია, იქ ცხოვრობს. მან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზამთრის ასვლა განახორციელა მწვერვალ პტიდრიუზე. ამ მწვერვალზე ჩამოინგრა მთელი დასავლეთი კედელი, მწვერვალთან ახლოსაც ვერავინ მიდიოდა. ბაბანოვმა თავის რუს მეგობართან ერთად საოცრება მოახდინა – ქვათაცვენა არ დამთავრებულიყო, რომ კედელს

მიადგნენ და გაიარეს. მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდნენ ჟურნალისტები ამ ამბის გასაშუქებლად. იმის თქმაც მინდა, რომ ასეთ ასვლას ფიზიკური მონაცემებიც სჭირდება, მაგრამ პირველ რიგში ამას პირობები უნდა. აფი გიგანზე ვამბობდი, მას რომ პირობები ჰქონდეს – ყოველ წელიწადს დადიოდეს ჰიმალაიში და ოჯახის ფინანსურ პრობლემებზე არ ფიქრობდეს, დარწმუნებული ვარ, პირველი თუ არა, ლიდერებში უთუოდ იქნებოდა სასიმაღლო ასვლაში. მოკლედ, ბოლო წლებში ძალიან განვითარდა სოლო ალპინიზმი. ასევე პოპულარული გახდა 7 და 8-ათასიან მწვერვალებზე "დროზე" ასვლა, შეიძლება ითქვას, "დარბიან" ასეთ სიმაღლეებზე. ერთი სიტყვით, ალპინიზმმა მეტისმეტად სპორტული სახე მიიღო და ამასაც ჰყავს თავისი ლიდერები და მიმდევრები.

ექსპედიციაში ვიყავით ნეპალელ ბაბუ შერპასთან ერთად, უფრო სწორად, ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და მან მოხსნა რეკორდი ევერესტზე - აირბინა და ჩამოირბინა. მანამდე მეორე მხრიდან ავიდა და მწვერვალზე უჟანგბადოდ დაიძინა. რაღაც საოცრებებს აკეთებდა ეს კაცი. სამწუხაროდ, ნაპრალში ჩავარდა და დაიღუპა.

აღვნიშნე, რომ სოლო ასვლები ხდება თოვლ-ყინულოვან მარშრუტებზე, ასეთი მონაკვეთების გავლა უფრო ადვილია, ხოლო რაც შეეხება კლდოვან ასვლებს, ისინი მაინც "გუნდურია", რადგან კედელზე მარტოობა ძნელია, თუმცა იშვიათად ამასაც აკეთებენ.

ალპინიზმის საერთაშორისო ფედერაციას (უიაა) დაწესებული აქვს ყოველწლიური პრიზი "ოქროს წერაყინი", რომელსაც იმ გუნდს აკუთვნებენ, რომელმაც წლის საუკეთესო ასვლა განახორციელა. ვინაიდან ალპინიზმში ჩემპიონატები არ ტარდება და ოლიმპიური თამაშების სიაშიც არაა შეტანილი, ეს პრიზი ყველაზე პრესტიჟულად ითვლება.

ეფიმოვმა რამდენიმე წლის წინ გაიარა მაკალუს სამხრეთ კედელი, ხოლო 2001 წელს ავიდა ლჰოცზე - საშუალოზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეფიმოვის გუნდში ყველა ის რუსი მთამსვლელი მოხვდა, რომლებიც წინა წელს ჩვენი გუნდის წევრები იყვნენ ლჰოცზეზე. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ჩვენ ვერ ვმონაწილეობდით ამ ასვლაში, თორემ ჩვენც მოვხვდებოდით ლჰოცზე საშუალოზე. იმის თქმა მსურს, რომ მთამსვლელობაში და სხვაგანაც ყველაფერს ფინანსები წყვეტს. უფულობის გამო ერთ წელს ვერ წახვალ, მეორე წელს ვერ წახვალ და ხელიდან უშვებ ძალიან ბევრ შანსს, ამ ფონზე შედეგებიც რა თქმა უნდა მწირია. ქართველებში არის ძალიან დიდი პოტენცია. ამის უტყუარი დასტურია ჩვენი ასვლა ელ-კაპიტანზე. ამერიკელები თვალებს არ უჯერებდნენ, რომ ორი ღამისთევით ავედით მწვერვალზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პროფესიონალები არიან, ვარჯიშობენ კვირაში 5-6 დღეს, მაგრამ ამ მარშრუტის გავლას ერთ კვირას ანდომებენ.

საზღვარგარეთ ინდივიდუალური ალპინიზმი უფრო განვითარებულია. ჩვენთან გუნდური პრინციპი უკეთ მუშაობს. დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა დროში აკეთებ ასვლას, როგორი სისტემით მოძრაობ და ა.შ. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა ლიდერებში თუ არ ვიქნებით, არ ჩამოვრჩეთ მათ, მაგრამ არ გვაქვს ელემენტარული პირობები.

თუ ჩვენ მსოფლიო არენაზე გასვლა გვსურს, ისეთი ტიპის ასვლები უნდა გავაკეთოთ, როგორზეც უკვე ვისაუბრე. თუ ოქროს მედლებს ვერ ავიღებთ, ისეთი მარშრუტები მაინც უნდა გავიაროთ, რომლებითაც მსოფლიოს ყურადღებას მივიქცევთ. ჩვენ გვაქვს ამის ძალა და შესაძლებლობა, რაოდენობრივი თვალსაზრისითაც და კვალიფიკაციითაც საკმარისი ხალხიც გვყავს, რომელიც შეძლებს ასეთი ასვლების განხორციელებას. არ არის აუცილებელი, პირდაპირ 8-ათასიანზე გაიარო ურთულესი კედელი, 6-ათასიანითაც შეიძლება დაწყება. უამრავი მწვერვალია ჰიმალაებში, რომლებზეც ჯერ ფეხი არავის დაუდგამს. 6-ათასიანიდან უნდა დაიწყო და შემდეგ თანდათანობით მოუმატო. ასე აკეთებს ყველა, მაგრამ ყველაფერ ამას ისევ და ისევ ფინანსებთან მივყავართ.

იმედს მაინც არ ვკარგავთ, რომ რაღაც გამოჩნდება, მით უმეტეს, ჩვენ კარგი მოსიმაღლეები და კარგი ტექნიკური კლასის მქონე მთამსვლელები გვყავს. არიან ისეთებიც, რომელთაც ორივე კარგად ეხერხებათ. ასე რომ, ამ თვალსაზრისით დაბრკოლება არ გვექნება. ფინანსებთან დაკავშირებით სახელმწიფო უძლურია, სპონსორებმა კი თავი ვერ გამოიჩინეს.

რაც შეეხება მომავალ თაობას, აქ პრობლემებია. თითქოს არიან ბიჭები, მოდიან, ვარჯიშობენ, მთაშიც დადიან, მაგრამ არ არის საკმარისი რაოდენობა. ჩვენ რამდენიც მოვედით, იმაზე ნაკლებია და მათგან შეიძლება აღარავინ დარჩეს. სამწუხაროდ, ასე ხდება ხოლმე.

ვინც ახლა იწყებს სიარულს, ისინი კარგი ბიჭები არიან. ჩვენ შევეცადეთ შეკრებაზე მონდომებული და სპორტული მონაცემების მქონე ბავშვები წაგვეყვანა. ამ 15-20 წლის ახალგაზრდებიდან მთას რომ 30% შერჩეს, დიდი საქმე იქნება. ჭაუხებში ვიყავით. თავიდან მარტივი მარშრუტები კარგად გაიარეს. შემდეგ მძიმე მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად მყინვარწვერზეც გამოიჩინეს თავი. მართალია, ბოლომდე ვერ ავედით, მაგრამ მთავარი მათი სულისკვეთება და ფსიქოლოგიური მზადყოფნის დონე იყო. სანამ ჩვენ არ ვუთხარით, რომ მეტი აღარ შეიძლება, მიდიოდნენ ბოლომდე, არც ერთს არ უთქვამს აღარ შემიძლიაო და ეს არის ძალიან კარგი მაჩვენებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასე განაგრძობენ, ისინი კარგი მთამსვლელები დადგებიან. ჩვენი ვალიცაა მათ მეტი დრო დავუთმოთ, მაგრამ რომ დააჯამებ რა თანხები სჭირდება მთაში მათ წაყვანას, კვლავ უმწეო ხდები, რადგან სახსარი არ გაგაჩნია.

ალპინიზმის საერთაშორისო დონეს როცა აფასებ და ხედავ, რა დიდი ძვრებია მასში, როგორი ტემპით წავიდა წინ, იძულებული ხდები არ ჩამორჩე და ამიტომ სულ უნდა იმოძრაო, არ უნდა გაჩერდე. ფინანსების გამო თუ სხვაგან ვერ მოვახერხებთ წასვლას, მყინვარწვერზე მაინც უნდა ვიაროთ სეზონის გარეშე, ზამთარ – ზაფხულ, ამას დიდი სახსრები არ დასჭირდება და უნდა ვეცადოთ, ეს ბიჭებიც ჩავრთოთ ამ საქმიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებას ხელს უწყობს განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც საკმაოდ მაღალ დონეზეა ევროპაში. იტალიაში, სუ-ალტოზე რომ ვიყვით, თავშესაფარი, რომელშიც ვცხოვრობდით, სახელად "ტისი", ზ.დ. 2200 მეტრზე მდებარეობს. აქ საშუალოდ 3-4 ათასი მეტრი სიმაღლის მწვერვალებია და ეს თავშესაფარი ისეთი კომფორტულია, რომ ჩვენთან სასტუმროებიც არაა ასეთ დონეზე. ჩვენ 3-4 დღე ვიყავით და კვებისა თუ დასვენების მხრივ საუკეთესო პირობები გვქონდა. აქ ტურისტების მუდმივი დინებაა. ამოდის ძირითადად "ტრეკინგის" ხალხი, როგორც წესი, ერთი დღე ჩერდებიან, ე.ი. საღამოს ამოდიან, ამ სასტუმროში ისვენებენ, ღამეს ათევენ, მეორე დღეს კი ქვემოთ ეშვებიან. არის ორდღიანი, სამდღიანი "ტრეკინგები" - ე.ი. ხალხი მუდმივად მოძრაობს. აქედან გამომდინარე, თავშესაფრის პატრონიც იქ ცხოვრობს, შენობას ინახავს და საკმაოდ სოლიდური შემოსავალი აქვს, ესაა მისი შემოსავლის წყარო, ამიტომ შენობა მუდამ სუფთად და კარგადაა მოწყობილი. აქ ძირითადად მთამსვლელები ცხოვრობენ ოჯახებით. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო.

ჩვენი მასპინძელი ცნობილი მთამსვლელია იტალიაში. იმ რაიონს კარგად იცნობს. კონსულტაციაც მივიღეთ მისგან, სუ-ალტოზე ჩვენს მარშრუტზეც იყო ნამყოფი. იგი თავის ცოლ-შვილთან ერთად უვლის აქაურობას და ყველას მასპინძლობას უწევს. ასეთი სტრუქტურა რომ არსებობს, ამას შენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმოიდგინეთ, მოდიხართ ქალაქიდან, არ მოგაქვს ზედმეტი ბარგი, გზის ნახევარს საბაგიროთი ფარავ, შემდეგ ფეხით ორი საათის სავალზე ხვდები ასეთ კეთილმოწყობილ გარემოში, სადაც კარგად ისვენებ, გაქვს სასმელ-საჭმელი და ყველა საჭირო პირობა. მეორე დღეს დილით გადიხარ მარშრუტზე, ერთ-ორ დღეში ადიხარ და ჩამოდიხარ, ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება, აღარ გეხარჯება დრო, ძალა, ენერგია და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ევროპის ქვეყნებში შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში ძალიან დიდი შემოსავალი აქვს ტურიზმს, განსაკუთრებით სამთო ტურიზმს. როგორც წესი, თითქმის ყოველი მესამე ადამიანი მთაში დადის და აქტიურად ისვენებს. მთა ძალიან პოპულარულია უცხოეთში, ასეულობით თავშესაფარია და თითქმის ყველა სავსეა, ეს კი უცხოეთში ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარობაზე მიუთითებს. ამიტომაც ჰყავთ მაღალი დონის მთამსვლელები, არჩევანიც ძალიან დიდია. ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ. ეს ქვეყნისთვისაც კარგი იქნება და ხალხისთვისაც.

საფრანგეთში ჩვენი ყოფნისას ჩატარდა მსოფლიო თასი მეკლდეურობაში, რომელიც ალბათ მალე გახდება ოლიმპიური სახეობა. შამონიში ერთ საოცარ სანახაობას შევესწარი. ცუდი ამინდი იყო და გადავწყვიტეთ კლდეებზე სავარჯიშოდ წასვლა. უამრავი ხალხია, რომლებიც კედლებზე, მარშრუტებზე ადიან და ჩამოდიან. შეიძლება ითქვას სიცოცხლე ჩქეფს ამ კედლებზე. ჩვენც ვემზადებით, ვხედავთ 70 წელს გადაცილებული ქალი ამოვიდა და კედლის ძირში ჩამოჯდა. ვიფიქრე, ტურისტია და შთაბეჭდილებებს აგროვებს–მეთქი. შემდეგ იმავე ასაკის კაცი ამოვიდა. ამოალაგეს საჭურველი, ჩასაჯდომი, "ბესედკას" რომ ვეძახით, კლდეზე ცოცვის ფეხსაცმელები. ვფიქრობ, ალბათ შვილიშვილისათვის ამზადებენ ყველაფერს, მაგრამ დაიწყეს ჩაცმა, შემდეგ ახალგაზრდა გიდმა ამოირბინა, აძვრა ზემოთ და დაცვით - ერთდროულად იღებდა ცოლ-ქმარს. ორივენი მე-4, მე-5 კატეგორიის სირთულის კედელზე ავიდნენ. კაცს უფრო გაუჭირდა და ქალი ნიშნის მოგებით უყურებდა ზემოდან. გაგიჟდა კაცი, ცოლმა რომ აასწრო. ორჯერ მოწყდა, ხელები გადაიტყავა, მაგრამ მაინც ავიდა. უნდა გენახათ მათი სახეები როცა ჩამოვიდნენ, თითქოს მეორედ დაიბადნენო ისეთი აღმაფრენით წავიდნენ. ასეთი მიდგომაა აქ. ახლადფეხადგმული ბავშვები მიჰყავთ კლდეებზე და მათ ყველაფერი კარგად გამოსდით, ვიდრე შიშის გრძნობა დაეუფლებათ. პატარას წყალში რომ აგდებენ და არ იხრჩობა - ისევეა კლდეზე. საოცრად ზუსტ მოძრაობებს აკეთებენ, ხვლიკებივით არიან. ასე სპორტულად ზრდიან მომავალ თაობებს, სულ ბუნებაში ჰყავთ, ზრუნავენ ადამიანზე, რომ ჯანმრთელი ფსიქიკა ჰქონდეს, სულ ვარჯიშსა და წვრთნაში არიან.

ჩვენ უდიდესი ტრადიციები გვქონდა და ეს ყველაფერი დავთმეთ, რაც ძალიან სამწუხაროა. ძირითადი მიზეზები ფინანსებია და ალბათ ჩვენი მონდომებაც არ არის საკმარისი. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ვიაროთ. თუ ხშირად და ინტენსიურად არ ვივლით, შედეგებიც არ გვექნება. რომ არაფერი აკეთო, მერე უცებ წახვიდე და ფანტასტიკური შედეგი აჩვენო - ასეთ რამეს ვერავინ აღწევს. ამას სჭირდება ეტაპობრივად, ნელ-ნელა საქმის კეთება.

ყველა თაობის მთამსვლელთა სანუკვარი ოცნება იყო და ჩვენს თაობას ხვდა წილად ჰიმალაებში წასვლის ბედნიერება. პირველად შეიძლება მეგობარმა წაგიყვანოს ან სურათზე გქონდეს ნანახი მთები, შემდეგ თუ სისტემატურად და მუდმივად დადიხარ მთაში, ეს შენი ცხოვრების ნაწილი ხდება და ცხოვრების წესად გექცევა. ამის გარეშე გიჭირს და გიძნელდება ცხოვრება. რაღაც პერიოდის შემდეგ თუ მთაში წასვლა არ შეგიძლია, კარგად ვერ ხარ, მხოლოდ იმ ენერგიის მარაგით ცხოვრობ, რომელიც მწვერვალიდან ჩამოგყვა. სპორტულ ალპინიზმს მაღალი დონის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ტექნიკური-ტაქტიკური მომზადება და მრავალმხრივი მონაცემები სჭირდება.

დღეს, სამწუხაროდ, ბევრი ძლიერი სპორტსმენი ფინანსური პრობლემების გამო, მთაში ვეღარ დადის. ეს ძალიან ცუდია. ნეტავ დადგებოდეს ისეთი დრო, რომ ყველას წაყვანის საშუალება გვქონდეს.

(2008 წლის აუდიოჩანაწერი).

* * * * *

დავით ჩანტლაძე: მთაში ჩემი ექიმი ძმის - რეზო ჩანტლაძის წყალობით მოვხვდი. ის ჯერ "აილამის" ბანაკში იყო ექიმად, შემდეგ გივი ქართველიშვილთან, პამირის ექსპედიციაში.. 1980 წელს, ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, მახსოვს, ჩემმა ძმამ ალპინისტურ ბანაკ "აილამას" საგზური მაჩუქა. 20 დღე მქონდა თავისუფალი და მთაში წავედი, დრო უნდა გამეტარებინა.

"აილამაში" ჩასულებს ნისლი და ცუდი ამინდი დაგვხვდა. მახსოვს, მეორე დილით ჩემი რეაქცია, როცა კოტეჯიდან გამოვედი და გადაწმენდილ ცაზე მწვერვალი აილამა დავინახე. გული ამიჩქარდა, ჟრუანტელმა დამიარა და... დავჯექი. მსგავსი რამ არასოდეს მენახა...

ჩემი პირველი მწვრთნელი და ინსტრუქტორი იყო თემურ მაისურაძე - ძალიან კარგი კაცი, ბევრი რამ მასწავლა. რაზმის უფროსი იყო ძია წეკო - თენგიზ ცერცვაძე. ლეგენდარული პიროვნება. ასე ძლიერ მისი წყალობით შემიყვარდა მთა.

"აილამა" სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული რუსებით სავსე ბანაკი იყო. ვიყავით ქართველებიც. უმეტესად სტუდენტობა. ძალიან ძლიერი რუსი და ქართველი ინსტრუქტორები იყვნენ. ქართველებიდან ძია წეკოს გარდა იყო შალიკო მარგიანი, დიდი მთამსვლელი და დათო ბაიდაური.

ბედმა გამიღიმა, რომ მეორე წელს ბანაკში ირაკლი გელდიაშვილის ჯგუფში მოვხვდი. იქიდან დაიწყო ჩემი სპორტული მოღვაწეობა. მერე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეკლდეურობაში დავიწყე ვარჯიში ლადო გურჩიანთან.

სასწავლო პროცესი "აილამაში" სტანდარტული იყო. გვასწავლიდნენ კვანძების შეკვრას - როცა ახალბედა ხარ, ამით იწყებ. მერე - კლდეზე ცოცვა, ვარჯიში თოვლზე, ყინულზე, ბალახიან ფერდზე. მერე - გამოცდას აბარებ და ინსტრუქტორს მიჰყავხარ მთაში. შემდეგ მწვერვალზე წასასვლელად რეკომენდაციას გაძლევენ და მხოლოდ ამის შემდეგ გიშვებენ მომდევნო ეტაპზე.

მახსოვს, ჩემი პირველი მწვერვალი ნინოშვილი. მართალია, დიდი შთაბეჭდილება ჩემზე აილამამ მოახდინა, მაგრამ ნინოშვილზე ასვლა მაინც სულ სხვა იყო: მწვერვალზე გავედით ღამით. აღმართ-აღმართ მიდიხარ სიბნელეში. ხედავ მხოლოდ შენ წინ მიმავალი კაცის ქუსლებს. მოვხვდით ფიტნარგინის პლატოზე და როგორც კი ინათა, მეორე საოცრება მოხდა ჩემს ცხოვრებაში - ერთი სწორი პლატოს გარშემო დგანან მწვერვალები, რომლებზეც შეგიძლია ახვიდე. ეს მართლაც საოცრება იყო. პირველ წელს ერთი მწვერვალი – ნინოშვილი და ორი უღელტეხილი – ზესხო და შარივცეკი გავიარე. შემდეგ გავიცანი ირაკლი გელდიაშვილი. კუკურტლუდან ახალი ჩამოსული იყო. 1981 წელს ირაკლი ბანაკში ამოვიდა სამუშაოდ და რადგან ჩემს ძმას იცნობდა, მეც მიკითხა... ასე მოვხვდი მასთან ჯგუფში და ირაკლი გახდა ჩემი მწვრთნელი.

ჩვენი ურთიერთობა ცოტა ხანს გაგრძელდა. ჩვენს ჯგუფთან მხოლოდ ათი დღე იმუშავა. მიუხედავად ამისა, იმ წელს მასთან ერთად ერთ მწვერვალზე მაინც მოვასწარი ასვლა - თუ არ ვცდები ზესხო-ნინოშვილის ტრავერსზე. მახსოვს თბილისში დაბრუნებულს მკითხა: - რა გადაწყვიტე, მთაში სიარულს აპირებო? ირაკლი მაშინ ჩემთვის უკვე ირაკლი გელდიაშვილი იყო. მის შესახებ ვიცოდი, რომ მეკლდეურობაში მიშას გაზრდილი და სსრკ-ს ჩემპიონი იყო. დიდი პიროვნება რომ იყო, ამაში მოგვიანებით დავრწმუნდი. დღემდე მენატრება ირაკლი, დევი თარხნიშვილი, მურადი ჭიჭინაძე, გია ტუშური, დათო კობახიძე... ასაკში სხვაობის მიუხედავად მალე დავმეგობრდით. ირაკლის წყალობით მოვხვდი დიდ მთამსვლელებთან და მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ჩვენ, ახალგაზრდები მათთან ერთად ვცხოვრობდით. პამირშიც ერთად ვიყავით. 1983 წელი საოცრება იყო ჩემთვის. მთაში ლეგენდებთან ერთად ვიყავი.

სხვებისაგან განსხვავებით, ირაკლი გელდიაშვილი ცდილობდა ჩემ მიმართ განსაკუთრებულად ყოფილიყო, ჯგუფში ჩემი თაობის მთამსვლელები ვიყავით და რასაც ირაკლი გვასწავლიდა, უმაღლესი დაოსტატების სკოლა იყო, ხოლო თავად ირაკლი, ამ სკოლის ერთ-ერთი მწვრთნელი. მე, ბიძინა გუჯაბიძე, თორნიკე ბერიშვილი, გოგი არაბული - ერთად მოვხვდით ირაკლისთან და შემიძლია ვთქვა, რომ ყველას მიმართ იგი ყოველთვის

მომთხოვნი იყო მთაშიც, ბარშიც და ადამიანურ ურთიერთობებშიც. მისგან ბევრი კაცური თვისება შევიძინეთ. ჩვენ 23-24 წლის ბიჭები ვიყავით, ირაკლი კი 35 წლის კაცი იყო. ახლა ეს ზღვარი უბრალოდ წაიშალა, გამარტივდა ურთიერთობები. ბედნიერი ვარ, რომ იმ თაობის ქართველ ალპინისტებს ვიცნობდი.

კიდევ ერთი ლეგენდა – შალვა მარგიანი, ჩემი მწვრთნელი და მასწავლებელი. ეს იყო სულ რაღაც 20-დღიანი ურთიერთობა, მაგრამ ბევრი რამ შევითვისე. ბანაკში მკაცრი და მომთხოვნი, მთაში ძალიან რბილი, მამასავით მომთმენი. ბალახიან ფერდზე დავდგამდით თუ არა ფეხს, მაშინვე იცვლებოდა და კვლავ მკაცრი ხდებოდა, ეს კი დიდი პიროვნებების თვისებაა.

პირველი რთული ასვლები მე და ბიძინას 1987 წლამდე ერთად გვქონდა გაკეთებული – სადაც მე ვიყავი ასული, იქ იყო ბიძინა. პირველი ასვლები ირაკლის მეთვალყურეობით ხდებოდა. 1983 წელს დაღესტანში ჩვენ პირველი მე-5 კატეგორიის მწვერვალი უნდა გაგვეკეთებინა. ამ სირთულის მწვერვალზე ინსტრუქტორის გარეშე წასვლის უფლება არ გვქონდა. მსგავსი დარღვევა რომ გაეგოთ სსრკ-ს დროს, ინსტრუქტორს დისკვალიფიკაციას მისცემდნენ. იარიდაგის მასივში 4-იანი სირთულის კლდოვანი მწვერვალი გავიარეთ. ეს ჩვენი პირველი 4-იანი იყო, თანაც დამოუკიდებელი. მწვერვალიდან რომ ჩამოვედით, ბიძინა გუჯაბიძეს, თორნიკე ბერიშვილს, გოგი არაბულს და მე ირაკლი დაგვიკავშირდა რაციით და გადმოგვცა, რომ კლდის ძირში ღამე გაგვეთია, მე საღამოთი მოვალ და დილით 5-იანზე გავალთო. ვიცით, რომ ირაკლი მოდის 5-იანზე, მას უფლება არ აქვს ჩვენ მარტო გაგვიშვას. საღამოს მართლაც მოვიდა ირაკლი, კომპოტი ამოგვიტანა. დავლიეთ ისიც და ჩაიც. მახსოვს ირაკლის სიტყვები

– სამი თუ ოთხი წელიწადია გავარჯიშებთ და შრომამ ნაყოფი უნდა გამოიღოს. მე თქვენთან ერთად ხუთიანზე არ წამოვალ. გავშრი. გოგი არაბულმა მუხლებზე დაიდო თავი და არ ვიცი სიმწრისაგან ტიროდა თუ იცინოდა.

– ეგრეა, ძმებო, საქმე, თუ გინდათ, წადით, თუ გინდათ, ნუ წახვალთ. აი, კედელი, აგერ თქვენ, მეც აქა ვარ – თქვა ირაკლიმ. უცებ ბიძინას შევხედე. ბიძინამ თქვა:

- ტყუილა დავდივართ მთაში? უნდა წავიდეთ, აბა რა! მეორე დილით ირაკლიმ ადრე

გაგვაცილა, წავედით მწვერვალზე. საღამო ხანი იყო საბაზო ბანაკში რომ ჩამოვედით. მარშრუტს მარტო ცხრა თუ რვა საათი მოვანდომეთ. ვხედავთ, ირაკლი ქვაზე ზის, ზურგჩანთები არ მოგვახსნევინა და დაგვიძახა - ამ ქვაზე ამოდითო, თან ყველაზე რთული მხრისაკენ მიგვანიშნა. მახსოვს ავედით და გახარებულმა გვითხრა:

– ვირები ხართ და რა უნდა გელაპარაკოთ! - მოგვეფერა თავისებურად. ეს იყო ჩვენი

დიდი გამარჯვება. იმავე წელს ნოემბრის დღესასწაულებზე ირაკლიმ აფხაზეთში წაგვიყვანა. აგუძერაში ფიზიკის ინსტიტუტი იყო, სადაც მთამსვლელებს საკუთარი კლუბი ჰქონდათ. აქ ძირითადად რუსი ფიზიკოსები მუშაობდნენ, საკმაოდ ძლიერი ბიჭები იყვნენ, ირაკლის იცნობდნენ და დაგვპატიჟეს. მე და ბიძინა პირველ თანრიგს ვხურავდით და შაგიშხას მწვერვალზე 5-იანის პირველ გავლა შემოგვთავაზეს. ეს მწვერვალი რიწის ტბას დაჰყურებს. ულამაზესია. წარმოიდგინეთ, 1980 წელს დავიწყე მთაში სიარული, 1983-ში კი პირველი თანრიგი დავხურე. ეს დიდი მიღწევა იყო. უკვე ვიცოდი, რომ მთაში უნდა მევლო.

ყველაზე ცუდად მახსოვს უშბა. 1984 წლის 27 თებერვალს მომხდარი ტრაგედია. ამ ავარიის შემდეგ ჩვენი გუნდი დაიშალა. ჩვენ ყველა ერთად არმიის სპორტული კლუბის გუნდში გადავედით. გაგვიმართლა, კარგი საწვრთნელი პირობები და ძალიან ძლიერი სკოლა იყო.

სწორედ სკა-ში ყოფნის დროს მომიწია რთულ მწვერვალებზე ასვლა. 1984 წელს, ავარიის შემდეგ, ლოვა სარქისოვმა პატარა ბიჭები უშბაზე გაგვიშვა. გუნდში ბიძინა, მე, გოგი და ორი რუსი ჯარისკაცი ვიყავით. ჩვენ მაზერის „зазубрина“-ზე სამი დღე ვისხედით უამინდობის გამო. მერე პროდუქტიც გამოგველია, თანაც კოკისპირულად წვიმდა, თოვლიც მოდიოდა, ნისლი იყო. კარავში ვიყავით და გარეთ ვერ გამოვდიოდით. რა უნდა გვექნა, დავბრუნდით. მერე პამირში წავედით. ავედით 6700 მეტრიან მწვერვალზე. შევასრულეთ სასიმაღლო ასვლა მარქსის პიკზე 5-იანი

მარშრუტით. საქართველოდან ამ მარშრუტით არავინ ყოფილა, საკმაოდ ტექნიკური მარშრუტი იყო. იმავე წელს ავედით პამირის უშბაზე 5-იანი სირთულის - პატარა მიშა ხერგიანის გავლილი ძალიან ლამაზი მარშრუტით. მწვერვალი ცოტათი წააგავს უშბას. იმავე წელს ბიძინა, მე და კიდევ ორი რუსი ხოხრა უშბაზე ავედით. რუსებიდან ერთ-ერთი სამხედრო მაიორი იყო და ლოვა ხანდახან იძახებდა ხოლმე. ეს კიდევ ერთი დამოუკიდებელი 5-იანი იყო. თბილისში ორი დღით ჩამოვედი და ვგრძნობდი, რომ კიდე უფრო "მაგარი ბიჭი" გავხდი.

1985 წელს მე და ბიძინა საკონკურსო ასვლაზე მოვხვდით შეიარაღებული ძალების პირველობაზე, უშბაზე მიშლიაევის 6-იანი კატეგორიის მარშრუტი გავიარეთ. ხელმძღვანელი ლევ სარქისოვი იყო. ჩემპიონები გავხდით. ძალიან ცუდ ამინდში ვიარეთ; ჩემსა და ბიძინას გარდა, ჯგუფში ვალოდია ქურასბედიანი და შოთა მარტიროსიანი იყვნენ. ყველაზე ახალგაზრდები 24 წლისანი - მე და ბიძინა ვიყავით. ახლა ყველაფერი გამარტივდა და მთაში სიარულიც ადვილია. აღჭურვილობაც თანამედროვეა. მიშლიაევის მარშრუტზე შვიდი დღე ვიარეთ, აქედან ოთხი დღე უამინდობის გამო კარვებში ვიჯექით. ფსიქოლოგიურად დათრგუნულები ვიყავით. უშბაზე ხომ წინა წელს ირაკლი გელდიაშვილი და ბიჭები დაიღუპნენ.

სკა-ში რომ მივედით, რუსები ბევრნი იყვნენ. ქართველებიდან მარტო ვალოდია ქურასბედიანი და ფრიდონ ჯოხაძე დაგვხვდნენ. მე, ბიძინა გუჯაბიძე, გოგი არაბული და თორნიკე ბერიშვილი რომ მივედით, მერე მოგვყვნენ ბენო ქაშაკაშვილი, გელა ოთარაშვილი, გია დვალი. მეორე წელს არც ერთი რუსი აღარ იყო და სულ ჩვენ ვიყავით. ეს თავისთავად მოხდა; არ მოეწონათ, რომ მთაში სიარული ამდენმა ქართველმა დაიწყო და სკა-ში დავბინავდით. იმ წელს ყველა – კლდოვან, ტექნიკურ და სასიმაღლო კლასში, ქართველებმა ავიღეთ პირველი ადგილი. საოცრება იყო, შეიარაღებული ძალების პირველობაზე არც ერთ გუნდს ასეთი რამ არ გაუკეთებია. ყველაზე მეტად გახარებული ლოვა იყო.

მე და ბიძინა ავედით უშბაზე და ენგელსის პიკზე 6-იანი - "ბუდანოვის" მარშრუტით. იმ წელს ორი 6-იანი მარშრუტი დავძლიეთ. არ ველოდით სასიმაღლო კლასში ოქროს მედალს. თუ ორი თავით მაღლა არ ხარ რუსზე, ოქროს არ მოგცემენ.

ჰიმალაი ყველა მთამსვლელის ოცნება იყო, იმიტომ, რომ ქართველ მთამსვლელთა თაობებს (რომლებიც სხვებზე ათჯერ ძლიერები იყვნენ) ჰიმალაი არც კი უნახავთ.

საოცრებაა კატმანდუ. როგორც საბჭოთა მთამსვლელებისთვის ოში იყო მექა, ასევე კატმანდუ მსოფლიო მასშტაბის მთამსვლელთა მექაა. სამწუხაროდ, მწვერვალზე ვერ მოვხვდი.

ხშირად გვეკითხებიან რატომ დავდივართ მთაში? სხვათა შორის, ამ კითხვაზე მეუფე ნიკოლოზმა თქვა: ყველა მთამსვლელის ბუნებაში არის ბერული მოღვაწეობის ჟინი. მთამსვლელობა ქვეცნობიერად ღმერთისაკენ მიმავალ გზას ჰგავსო. ადამიანის არსებობის პიკია იღვაწო და მოხვდე სამოთხეში. მთამსვლელიც ასეა – ადიხარ, ადიხარ და მწვერვალზე რომ მოექცევი გგონია სამოთხეში ხარ. იმის იქით გზა არ არის. მხოლოდ ზეცაა. აი ეს თქვა მეუფემ და მეც ვეთანხმები.

უმეგობროდ არა თუ მწვერვალზე ასვლა, საბაზო ბანაკში ყოფნაც კი გამიჭირდება. მთაში ჩემი განუყრელი მეგობარი ბიძინა გუჯაბიძე იყო. შემდეგ გელა ოთარაშვილი და ბენო ქაშაკაშვილი. მთამ არა მარტო დაგვამეგობრა, ერთნი გაგვხადა. გია დვალი, ჯარჯი აქიმიძე, ეროსი კიწმარიშვილი – ყველანი ერთად დავდიოდით მთაში. ამ ადამიანების მიმართ დღემდე დიდი სიყვარული შემომრჩა. შეიძლება ეროსის და ჯარჯის წელიწადში ორჯერ ვხედავ, მაგრამ ეს ნახვა მოიცავს მთელ განვლილ წლებს და გადმოცემა ძნელია, ისეთი სიყვარულით ვხვდებით ერთმანეთს.

ბენო ქაშაკაშვილი, ეროსი კიწმარიშვილი, ჯარჯი აქიმიძე, ვახტანგ სვანიძე, გია თორთლაძე, სულ 17 კაცი ლენინის პიკზე ვიყავით, ამ ასვლის შემდეგ კომუნიზმის პიკზე ვერ ავედით. მაშინ გივი ქართველიშვილი ჩვენთან იყო, მაგრამ თბილისში ბრუნდებოდა. აქვე იყვნენ ალმა-ატელი მთამსვლელები, მამა-შვილი სტუდენინები, რომლებსაც ძია გივიმ სთხოვა, - ჩვენი გუნდი გიუტაშვილის თამადობით, მანქანით ხანთენგრის ძირში წავეყვანეთ.

ძია გივიმ გვითხრა: - კომუნიზმის პიკი აქ დგას და სულ აქ იქნებაო. ხან-თენგრი კი დაკეტილი ზონა იყო. მყისვე მანქანებს დავახტით და 4 დღე ვიარეთ. კარა-კარას ხეობიდან ალმა-ატელებმა მოიდოდირში შეგვაფრინეს, სადაც სასაზღვრო ზონაა. ასე მოვხვდით ხან-თენგრიზე – ამ ულამაზეს მწვერვალზე. ეს ბიჭები დღემდე ერთად შემოვრჩით.

ახალგაზრდა აღარ ვარ. ჩემი საყვარელი მთა დღემდე არის მყინვარწვერი. შემიძლია ამ მთაზე ვიარო და ვიარო. ასეთი ლამაზი და მისტიკური მთა არ მინახავს დედამიწაზე; ყოველდღე სხვანაირია. თვეში 10-ჯერ რომ წავიდე არ მომბეზრდება. შეიძლება არ ავიდე მთაზე, მაგრამ ყოველთვის კმაყოფილების გრძნობით მოვდივარ. ჭეშმარიტად ქართული მთაა.

მთაში იმდენი კარგია, რომ ცუდი გავიწყდება. ადრე ყველაფერს ვაქცევდი ყურადღებას, რა ლამაზად ელავს, მზე როგორ ანათებს, რა ლამაზი ქედია, თოვლია... ეს გრძნობა რომ არ გქონდეს, ე.ი. ავად ხარ, მაგრამ ეს ეტაპი გადის. გადის მაშინ, როცა რთულ ასვლებს იწყებ.

სასაცილო სიტუაციებიც მრავლადაა მთაში. ერთს გავიხსენებ ბენოზე. მაისის თვეში ეწყობოდა შეკრება აფხაზეთში – ავადხარას ხეობაში. ულამაზესი ხეობაა, პატარა, მაგრამ კლდოვანი 2500-2700 მეტრი სიმაღლის მთებით. ერთხელ ჩამოსული იყო ქ. ივანოვოს ჯგუფი. მე, ბენო, გელა, გივი გიგაური და პადოშა მივდივართ 2-იანზე თუ 3-იანზე, კულუარი უნდა გავიაროთ. ძალიან თოვს, არაფერი ჩანს და ასვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. ივანოვოდან ჩამოსული 20 კაცი გამოდარებას უცდის. ბენოს ჰქონდა "ვსპიშკიანი" აპარატი. გამოყოფდა კარვიდან, გააჩხაკუნებდა და უყვიროდა „Ребята молния, кидай железо!", არა და თოვს, რა "მოლნია", რის "მოლნია". ისინიც გადაყრიდნენ ხოლმე რკინას, ჩვენ კი გულიანად ვხარხარებდით. მერე იმდენი თოვლი მოვიდა, იმ ადგილიდან ძლივს გამოვედით (2008 წლის აუდიოჩანაწერი).

ჩვენც თქვენთან ვართ

თამარ ერისთავი - პოეტი, მთარგმნელი

სიმაღლე სულისა

სიმაღლე მრავალგვარია ამ სამყაროში. არის ცის მიუწვდომელი და განუსაზღვრელი სიმაღლე - დღისით მზით გაჩაღებული, ღამით - ვარსკვლავების ბრწყინვალეებით აელვარებული; ამ ვარსკვლავებს ზოგს სახელი ჰქვია - ადამიანთაგან შერქმეული, უამრავი მათგანი კი უსახელოა. ჩვენი ფიქრი და ოცნება ელოლიავება მათ იდუმალ არსებობას, განცვიფრებით შეჰყურებს ჩვენი თვალები მათ შეუცნობელ რეალობას, მათ მიუწვდომელ სიშორეს და ზენაარ წესრიგს.

მოკვდავი ადამიანისთვის ზოგჯერ სულის შემძვრელიც კია ზეცის უსასრულობაში ფიქრით შეღწევა და ამ წესრიგის ღვთაებრივი ჰარმონიის შეგრძნება.

ჩვენ დედამიწიდან შევყურებთ ზეცას და ისე შევეჩვიეთ მზიან-მთვარიან-ვარსკვლავიან გუმბათს, რომ ეს ციური სხეულები ჩვენი არსებობის განუყრელ ნაწილად მიგვაჩნია... რა იქნებოდა დედამიწა ამ დაუსაბამო, უსასრულო სივრცის გარეშე - იმ ოცნების და ფანტაზიის გარეშე, რომელსაც ის აღძრავს ჩვენს გონებაში თუ შეგრძნებებში.

ადამიანს უფალმა მიანიჭა სიმაღლისკენ ლტოლვის

სურვილი, მისი ფიზიკური შესაძლებლობის ფარგლებში და უფრო მეტად - სულიერი აღმაფრენის იმპულსი. ამ ღვთაებრივი უნარის გარეშე ადამიანი თიხისგან მოზელილი არსება იქნებოდა, მიწიერ არსებობაზე მიბმული, მხოლოდ ხორციელი ინტერესებით შემოფარგლული. მაგრამ უფალმა ინება ამ თიხის გასულიერება, ფრთაშესხმა და სიმაღლისკენ სწრაფვა.

იქნებ იმიტომ გაჩნდა ამ ჩვენს პლანეტაზე კავკასიონი და ჰიმალაის მთები, რომ ადამიანს ზეაღსვლის წყურვილი მოეკლა, განეცადა სიმაღლის დაპყრობის სიხარული, მაღალი მთის მწვერვალიდან გაეხედა დაუსაბამო სივრცისათვის და ზიარებოდა სამყაროს იდუმალებას, მთელი არსების დაძაბვით, მთელი ენერგიის მოკრებით და სულიერი აღმაფრენით.

ამაზე რომ ვფიქრობდი, თვალწინ მედგა ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელი იდეალი, მიწიერ ცხოვრებაში მრავალჭირნახული, მთებთან ბრძოლაში გამობრძმედილი, ზეციურ სიმაღლეს ნაზიარები, შეუდრეკელი, ლეგენდარული მთამსვლელი ქალი - ალექსანდრა ჯაფარიძე (2009 წ.).

თეიმურაზ პეტრიაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სოციალურ-სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

როგორ შეიძლება პატივი არ ვცეთ

ზაფხულის ცხელი დღე იყო. სოხუმის მატარებელი თბილისის რკინიგზის სადგურში შემოვიდა. საკმაოდ ბევრი დამხვდური დაიძრა ვაგონებისაკენ და სიხარულით მიეგებნენ ჩამოსულებს.

სოხუმიდან ბებიასთან ერთად დავბრუნდი, სადაც ორ კვირაზე მეტხანს ვისვენებდი. სადგურში დამხვდურთა შორის დედაჩემიც იყო. შევამჩნიე, რომ საკმაოდ ღელავდა. პირველი, რაც ბებიას უთხრა, ეს იყო - ალიოშა იპოვეს...

ბებია შეცბა და ანგარიშმიუცემლად ხმამაღლა იკითხა: - ცოცხალი?! თუმცა მაშინვე მიხვდა შეკითხვის უხერხულობას, რაც მხოლოდ უდროოდ წასული ახლობლისა და საყვარელი ადამიანის მონატრებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

- გუშინ დავკრძალეთ ვერის ბაღში, მთელი თბილისი აქ იყო, ყველა გლოვობდა და განიცდიდა, რაიონებიდანაც ბევრი ხალხი ჩამოვიდა - განაგრძობდა დედა.

მაშინ შვიდი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ 1945 წელს უშბაზე დაღუპული ალიოშა ჯაფარიძის 12 წლის შემდეგ პოვნისა და თბილისში ჩამოსვენების ეს ამბავი მკაფიოდ და სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ჩემთვის ვფიქრობდი და ვერ ამეხსნა, რა უნდოდა ალიოშა ჯაფარიძეს უშბაზე, რისთვის დადიოდა უზარმაზარი მთების უმაღლეს მწვერვალებზე - ვინმეს ემალებოდა, ნადირობდა თუ სამომავლოდ იქ აპირებდა დასახლებას.

როგორც ჯაფარიძეთა ოჯახის ახლობელმა ვიცოდი, რომ ამ ოჯახიდან მთაში პირველად ალექსანდრა წავიდა, შემდეგ სიმონი, მაგრამ როცა სიმონი მეგობრის გადარჩენის მცდელობისას თეთნულდზე დაიღუპა, ამის შემდეგ გადაწყვიტა და-ძმამ - ალექსანდრამ და

ალიოშამ - შური ეძია თეთნულდზე, გამოეკვლია დაღუპვის მიზეზები და გაეგრძელებინა მისი დაწყებული საქმე.

შვილის დაღუპვით დამწუხრებულმა მშობლებმა მაინც დაულოცეს გზა მთებისაკენ მიმავალ და-ძმას. განსაკუთრებით ალიოშას, რომელიც პირველად მიდიოდა მთაში.

ბავშვობაში მუდამ მაწვალებდა ფიქრი, უხსოვარი დროიდან რატომ მიილტვოდნენ ადამიანები მწვერვალებისაკენ, რისთვის ადიოდნენ მკაცრ, კლდოვან და ყინულოვან მთებზე. ვერავის ვუმხელდი, მაგრამ სულ ვეძებდი ამ კითხვებზე პასუხს. მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი ამ კითხვებზე პასუხის მოსაძებნად თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში რომ დავიწყე სიარული. რამდენიმე წელი ვიარე კაბინეტში, მაგრამ ამ კითხვაზე ჩემთვის სასურველი პასუხი ვერ მივიღე.

კაბინეტში არაჩვეულებრივი ადამიანები მუშაობდნენ, ქალბატონები მარინე უთმელიძე, დენიზა გოზალიშვილი და... რა თქმა უნდა, ალექსანდრა ჯაფარიძე. ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის დამაარსებელი, ქ-ნი მზია ერისთავი, რომელიც ბავშვთა ტურისტული ცენტრის დირექტორად დაინიშნა და ახალ საქმეებში იყო ჩაფლული, ესტუმრებოდა ხოლმე კაბინეტს, სადაც მრავალი ნიჭიერი ბავშვი დადიოდა, რომელთა უმრავლესობა აქ ჩამოყალიბდა პიროვნებად და მნიშვნელოვანწილად აქ განისაზღვრა მათი ცხოვრების მომავალი.

შარშან მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, რომელსაც ჩვენი და ჩვენზე უფროსი თაობა დღესაც პიონერთა სასახლეს ეძახის, მზია ერისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც თავი მოიყარეს ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში აღზრდილმა სხვადასხვა თაობის უკვე ხანშიშესულმა ადამიანებმა - ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთმა საუკეთესო ნაწილმა. მოზრდილ დარბაზს თვალი რომ გადავავლე, ისეთი პიროვნებები დავინახე, გულში სითბო ჩამეღვარა და უნებლიედ გავიფიქრე: დედამიწის რომელ კუთხეში შეიძლება ნახო ასეთი მშვენიერი ხალხი-მეთქი. ვიცი, რომ მრავალმა მათგანმა ადრევე გასცა პასუხი იმ კითხვებს, რომლებიც მე ბავშვობაში მაწუხებდა, ზოგმა მწვერვალების დალაშქვრით, ზოგმა კი ქვეყნისათვის სასარგებლო და სასიკეთო საქმეთა კეთებით. სამწუხაროდ, დროთა მდინარებაში აღარ დამამახსოვრდა ბევრი თანატოლის სახელი და გვარი, რომლებიც ჩემთან ერთად დადიოდნენ ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში, მაგრამ ის კარგად მახსოვს და არც კი ვიცი, დღეს მწარედ ვინანო თუ ვიამაყო იმით, რომ ბავშვობაში ზალიკო ქიქოძეს მე შევთავაზე ერთად გვევლო ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში.

ჩემთვის "უმაღლესი" მწვერვალი მთამსვლელობაში ფუნიკულიორის ზემო პლატო იყო, ზალიკომ კი ბოლომდე თავგანწირვით უერთგულა ბევრისათვის მიუწვდომელ ამ ურთულეს საქმეს და ცნობილი მთამსვლელის სახელი დაიმკვიდრა. როგორც ჩანს, მან ბავშვობაშივე გაიგო თუ რატომ მიისწრაფოდენ ადამიანები მარადთოვლიანი მწვერვალებისაკენ, ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი ვაჟკაცობით, თუნდაც სიცოცხლის ფასად მთებისაკენ ლტოლვის დაუოკებელი სურვილით, მწვერვალზე ასვლისა და გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის უზომო განცდის ნიჭით, მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში არასდროს აუხსნიათ, რა შთაგონებას, რა ძალას მიჰყავს ადამიანი მწვერვალებისაკენ. კაბინეტის პედაგოგები კარგად ამჩნევდნენ ბავშვების მიდრეკილებებს და მას იმ მიმართულებით ავითარებდნენ, რის შესაძლებლობასაც ბავშვის ნიჭიერება იძლეოდა. შესაძლოა, ბავშვში არ იდო მთამსვლელის "ფენომენი", მაგრამ ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში დამკვიდრებული გამორჩეული მეგობრული ურთიერთობა მასწავლებლებთან თუ მოსწავლეებთან, დიდ როლს თამაშობდა მის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში, ალამაზებდა ახალგაზრდის ცხოვრებას და რაც მთავარია, აღვივებდა უდიდეს პატივისცემას იმ ადამიანებისადმი, თავიანთი ცხოვრება მწვერვალთა დაპყრობას რომ მიუძღვნეს.

აბა, როგორ შეიძლება პატივი არ ვცეთ ერთი შეხედვით ნაზ ქალბატონს, რომელმაც უშბის კედელზე თოკით დაკიდებულმა, მარტომ გაათენა ღამე და გადამწყვეტი როლი ითამაშა უშბაზე წარმატებით ასვლაში.

როგორ შეიძლება პატივი არ ვცეთ კლდიდან მეტეორივით მოწყვეტილ მიხეილ ხერგიანს, რომელიც, სვანური სიმღერით ძალამიცემული, ვეფხვივით ცოცავდა კლდეებზე.

როგორ შეიძლება პატივი არ ვცეთ გიო ნიგურიანის გმირობას, როცა უშბაზე პირველი ასვლის დროს გადამწყვეტ მომენტში წრიაპები მოიხსნა, ფეხზე გაიხადა, შიშველი ფეხებით აცოცდა უშბის ვერტიკალურ კედელზე და გზა გაიკაფა.

მაპატიოს ყველამ, ვისაც ვერ გავიხსენებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის გმირული მიღწევები მთამსვლელობაში მართლაც რომ უმნიშვნელოვანესი და მრავლისმთქმელია, რაც ყველა თაობის ქართველ მთამსვლელთა დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, განა შეიძლება პატივი არ ვცეთ იმ ადამიანებს, რომელთაც ღმერთმა ბუნების სიყვარულის, მწვერვალებისაკენ სწრაფვისა და მათზე ასვლით გამოწვეული ბედნიერების განცდის ნიჭი არგუნა?! ამ "უკურნებელ სენს" ხომ მთამსვლელობა ჰქვია, რომლის რაობასაც ყველა ვერ გაიგებს, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რადგან მწვერვალთან ჭიდილი, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე სიარული, ცხადია, უსაზღვრო გმირობას, ვაჟკაცობას, ხშირად თავის გაწირვასაც კი მოითხოვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი თავისუფლების მძებნელნი არასოდეს დაილევიან ქვეყანაზე. მწვერვალთან ბრძოლაში, უსაზღვროებისკენ სწრაფვაში ადამიანი იმარჯვებს, პოვებს და განამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს. ამიტომ კვლავაც იქნება ახალი გამარჯვებები, ხშირად დამარცხებაც და ზოგჯერ ცრემლიც, მაგრამ ადამის მოდგმას ცრემლი და დამარცხება ვერასოდეს შეაშინებს, მას ხომ სილაღე და თავისუფლება ჰაერივით სჭირდება (2009 წ.).

ჯუმბერ ხანთაძე
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის თავმჯდომარე,
საქართველოს სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

ფიქრები საქართველოში მთამსვლელობის მომავალზე

უცნობ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ალპინიზმი მაღალმთიანი ტურიზმის სახეობას წარმოადგენს და მიუვალ მთებზე, მყინვარებზე, მთაგრეხილებზე ასვლას გულისხმობს.



ჩვენ, ქართველები, დიდი მამულიშვილის, გიორგი ნიკოლაძის შემწეობით, უფრო ბევრისმომცველი ტერმინით - მთამსვლელობით ვსარგებლობთ, რომლის უნივერსალურობის გამო, იგი ყველა მთიანეთისათვის გამოდგება, განსხვავებით "ალპინიზმისაგან", რომელიც ალპებთან ასოცირდება.

ალპინიზმის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, რასაკვირველია, ვერ შევედავებით, თუმცა აქ სრულიად არაა გათვალისწინებული ადამიანის ის მუხტი, რომელმაც მას მიუვალ მთაზე ასვლა გადააწყვეტინა და არც ის ემოციური დატვირთვა, რომელიც ამ პროცესს თან სდევს. როცა თოკში ჩაბმული მიდიხარ ნაპრალებით დაღარულ ფერდობსა თუ თოვლ-ყინულიან კლდოვან მონაკვეთზე და შენი ბედი

შენ უკანმავალზეა დამოკიდებული, ხოლო მათი ბედი შენს მიერ ჩაჭედებულ პალოზე, როცა საერთო თოკზე დაკიდებული ადამიანები ერთ ბედქვეშ ხართ და ყოფნა-არყოფნის შეგრძნება მთელი მარშრუტის ბოლომდე თან გსდევთ, სწორედ მაშინ იგრძნობთ, რომ მთამსვლელობა ყველა სხვა საქმიანობისაგან გამორჩეული, ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ულამაზესი, განსაკუთრებული და ხიფათით სავსე სფეროა.

ისმის რიტორიკული კითხვა: ვინ არიან ეს ადამიანები, რა ამოძრავებთ მათ, რას ეძებენ, ან რას პოულობენ მთაში? დღევანდელი პრაგმატულად მოაზროვნე ობივატელისათვის მართლაც ძნელი წარმოსადგენია მათი თავგანწირვა. საკითხი რთულია, მასზე ლაკონური და ცალსახა პასუხი არ არსებობს. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ მთაში სიარული მოითხოვს ფიზიკურ გამძლეობას და სულიერ სიძლიერეს. აქ ადამიანი ბუნებასთან მუდმივ ჭიდილშია. იგი უდიდეს სიამოვნებას იღებს არა მარტო მთაზე ასვლით და ლამაზ გარემოსთან ურთიერთობით, არამედ უპირველეს ყოვლისა, რთული და საშიში მიზნის მიღწევის გზაზე თვითდამკვიდრების შეგრძნებით. ადამიანს იზიდავს მთის ეგზოტიკური გარემო, ამოძრავებს ექსტრემალურ პირობებში თავის გამოცდის მიზნით მთაზე ასვლის სურვილი და, რასაკვირველია, გამორჩეულობის ამბიცია. ამგვარად, მთამსვლელები მთებზე უსაზღვროდ შეყვარებული, მკვლევრის ცნობისწადილითა და ახლის ძიების სურვილით შეპყრობილი ხალხია. მთამსვლელობა მათთვის საშუალებაა იხილონ ულამაზესი ობიექტი - მთა - ბუნების ეს ღვთაებრივი ქმნილება და განიცადონ ის უსაზღვრო სიხარული, რომელსაც მთაზე ასვლა იწვევს.

ქართველებისათვის, როგორც მთიანი ქვეყნის მკვიდრთათვის, მთაში საქმიანობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენში დასაბამიდან ჩამოყალიბდა ადამიანისა და მისი საარსებო, მთის მკაცრი გარემოს ჰარმონიული თანაარსებობა. ამის დასტურად სვანეთში მოპოვებული უძვირფასესი არქეოლოგიური მასალაც გამოდგება, სადაც ანტიკური ხანის შრომის იარაღებთან ერთად, თანამედროვე წერაყინის ანალოგიცაა აღმოჩენილი. ქართველები ძველთაგანვე სარგებლობდნენ კავკასიონის უღელტეხილებით, მიმოსვლა ჰქონდათ როგორც შიგა, ისე გარე მეზობლებთან. მეფე ვახტანგ VI-ის ემიგრაცია რუსეთში 1724 წელს, 1200-მდე წარჩინებულთან ერთად, რომელთაც გადალახეს კავკასიონის მთავარი ქედი გურძივცეკის გადასასვლელით (3400 მ), მასობრივი გადასვლის საუცხოო მაგალითია. ეს მარშრუტი დღესაც რთულ სამთო-ტურისტულ მარშრუტთა რიცხვს განეკუთვნება.

საერთოდ, მთაში მცხოვრები კაცი უკვე ბავშვობიდან იძენს ალპინისტის ჩვევებს. გაზრდილი რისკ-ფაქტორი, ზვავების, ღვარცოფების, მეწყერებისა და სხვა სტიქიურ მოვლენათა სიხშირე, ზამთრის ხანგრძლივობა და ამინდის ჭირვეულობა მთიელისაგან დიდ გამძლეობას, გამჭრიახობას და სიმარჯვეს მოითხოვს. ქართველი მთიელების მიერ ბუნებასთან ურთიერთობაში გამოყენებული პრიმიტიული, მაგრამ ძალზე რაციონალური ტექნიკა აღტაცებას იწვევს. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც თუნდაც ერთხელ შეავლებს თვალს მათ საქმიანობას - ხის მორების ჩამოტანას, თივის ზვინების დაცურებას, ან გაჰყვება იქაურ ფეხმარდ მონადირეს.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ, თქმულებებმა და ლეგენდებმა შემოგვინახა იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ძველ დროში მწვერვალებზე ადიოდნენ. გადმოცემის თანახმად მე-18 საუკუნეში მღვდელ იოსებ მოხევეს მყინვარწვერიც კი დაულაშქრავს. ვთქვათ, ეს საკამათო საკითხია და ნუ დავიჩემებთ პირველობას, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ მყინვარწვერის მთიან მასივში, ზ.დ. 4100 მეტრზე, მდებარეობს ბეთლემის გამოქვაბული - უძველესი ქრისტიანული ძეგლი, განდეგილ წმინდა მამათა სალოცავი და საცხოვრისი. ეს ფაქტი ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ პიროვნებასაც კი დაარწმუნებს, რომ ქართველები უძველესი დროიდან საქმიანობდნენ მთაში. არც პრომეთეს მითია შემთხვევითი. ანტიკური ხანის ცივილიზებულმა სამყარომ სწორედ კავკასიონის მაღალსა და მკაცრ მყინვარწვერს მიაჯაჭვა პრომეთე - ჩვენთვის ამირანი და ამით დაადასტურა, რომ საქართველო ითვლება ადამის მოდგმის უძველეს საცხოვრისად.

დიდმა ფრანგმა განმანათლებლებმა ჟან-ჟაკ რუსომ და მონტესკიემ წარმოაჩინეს მთის ფენომენი. მათ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ მთის მკაცრი პირობები მთიელისაგან განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას, გამძლეობას, ვაჟკაცობას მოითხოვს. მთიელები თავისუფლების მეტად მოყვარულნი არიან და გმირულად იცავენ თავიანთ დედა ადგილს. ამის გამო მთის მოსახლეობა თავისუფალი რჩებოდა მთელ მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ მათ გვერდით არსებობდნენ უზარმაზარი სახელმწიფოები და იმპერიები, ჩვენი მთიანეთი შეუღწეველი იყო როგორც გარეშე დამპყრობლებისათვის, ასევე ფეოდალური მმართველებისათვისაც. მთის მოსახლეობამ ვერაფრით იგუა ბატონყმობის უღელი და თითქმის მეოცე საუკუნემდე შეინარჩუნა ცხოვრების თავისუფალი, თემობრივი წესი. მთიელი მარტო მეფეს სცნობდა და მზად იყო მეფისა და მამულისათვის გაეწირა თავი. მარტო 300 არაგველის ამბავი რად ღირს. მთიელების გაუტეხლობის მრავალი მაგალითი არსებობს: მთიულეთის ამბოხება (1804 წ.), სვანეთში, ხალდეს აჯანყების სახელით ცნობილი ამბოხი (1875 წ.) და სხვა. მთიელები დღენიადაგ დარაჯობდნენ საქართველოს, მთაში არასოდეს დახრილა საქართველოს დროშა, მაშინაც კი როცა ბარში მტერი და დუშმანი ბოგინობდა. ამგვარად, მთიანეთს ქვეყნისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ გვითხრა დიდმა ილიამ მაინცადამაინც მოხევის პირით: "ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო". ამიტომ, ბუნებრივია, როგორც კი საქართველოში მთამსვლელი გამოჩნდა, დასაწყისში უცხოელის სახით, ქართველი კაცი იქვე ჩაება ამ საქმიანობაში, თავდაპირველად როგორც გამყოლი (მურათბი კიბოლანი, იაგორ კაზალიკაშვილი, გახა წიკლაური და სხვანი), ხოლო შემდეგში თავად იტვირთა ჩვენი ლამაზი მთებისა და მთაგრეხილების კვლევა-ძიება და ამ ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი.

მთამსვლელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის მთიანეთში ყველაფერს ქართული სახელები აქვს: იაგორას ნიში, მიქელაძის გზა, გაბრიელის მარშრუტი, რუსთაველის, მარჯანიშვილის, სულხან-საბას, გურამ რჩეულიშვილის მწვერვალები და სხვანი და სხვანი. ყველაფერს ჩვენმა მთამსვლელებმა გაუწიეს ნათლიობა და კარგადაც. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ კავკასიონზე ვერ ნახავთ კომუნიზმის, მარქსის, ლენინის, სტალინის პიკს და სხვა ამგვარი ჯურის სახელებს.

1923 წელს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერის დალაშქვრა, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, მიჩნეულია საბჭოთა ალპინიზმის საწყისად და მას შემდეგ საბჭოთა სივრცეში ქართველი მთამსვლელები ყოველთვის ლიდერობდნენ.

ამგვარად, ქართველი კაცისათვის მთაში სიარული გენეტიკური კოდითაა ნაკარნახევი, ისე როგორც ვაზის მოვლა, პურეულის მოყვანა და საერთოდ მიწათმოქმედება, რის გამოც უძველესი დროიდან შეგვარქვეს გეორგია ანუ მიწათმოქმედი.

თუ ჩვენს სპორტულ მიღწევებს დავუკვირდებით, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ ქართველ კაცს უფრო ჭიდაობა ეხერხება, იმიტომ, რომ უხსოვარი დროიდან ჭიდაობს. ბურთთანაა წილნაყარი იმიტომ, რომ ლელობურთს, ცხენბურთს, ისინდს თამაშობდა ოდითგანვე. შემდეგ ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ხელბურთი და, საერთოდ ყველაფერი, რაც ბურთთანაა დაკავშირებული, ლაზათიანად ითამაშა. რასაკვირველია, ჩვენ არავინ გვიშლის წარმატებას მივაღწიოთ სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ ჩვენთვის თანდაყოლილი, გენეტიკით ნაკარნახევი სახეობები და მათ შორის მთამსვლელობაც უფრო გვემარჯვება, ესაა ჩვენი შინაგანი, ეროვნული სწრაფვა.

გლობალიზაციის პროცესმა, რომელშიც ჩვენდა უნებურად ვართ ჩართულნი, განაპირობა ადამიანის ბუნებისაგან გაუცხოება. ტელევიზორმა, კომპიუტერმა და საერთოდ, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ღრმად ჩაითრია ჩვენი ახალგაზრდობა. მოზღვავებული ინფორმაციის ფონზე თანდათანობით უფერულდება ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა სამშობლო, მისი ისტორია, კულტურა და სხვა. სწორედ ამიტომაა დღეს აუცილებელი სპორტის სამთო სახეობების განვითარება, როგორც ახალგაზრდობის მორალურ-ესთეტიკური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალება.

გარდა სპორტულ-შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, მთამსვლელობასა და სამთო-ტურიზმს დიდი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც აქვს. ცნობილია, თუ როგორ უწყობს ხელს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკურ აღმავლობას სამთო-ტურისტულ-ალპინისტური ინფრასტრუქტურის განვითარება. მაგრამ ამჟამად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ფონზე ამ საქმიანობის მდგომარეობა შემაშფოთებელია.

ჩვენი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, როგორი გამოხმაურება ჰქონდა ქართველი მთამსვლელების საქმიანობას. 1950 წელს შხელდა-უშბის ტრავერსს მთელი თბილისის ახალგაზრდობა ადევნებდა თვალყურს. მაშინდელი პაპანინისა (ახლანდელი სარაჯიშვილის) და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში, იქ, სადაც ძველად ჭადრაკის კლუბი იყო განთავსებული, ტევა არ იყო ხოლმე. კლუბის ფასადზე დიდი პანო იყო ჩამოკიდებული, რომელზეც მთამსვლელთა მარშრუტი იყო დატანილი. მასზე მთამსვლელთა მოძრაობისა და ღამისთევის აღმნიშვნელ ალამს დღეში რამდენჯერმე გადააადგილებდნენ, რათა ჩვენ, გულშემატკივრებს, გვცოდნოდა, იმ დროისათვის როგორ მიდის მართლაც წარმოუდგენელი სირთულის ექსპედიციის საქმიანობა, რომელსაც ერთ თოკში ჩაბმული ხუთი ვაჟკაცი: კაკო მარი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი, მაქსიმე გვარლიანი ახორციელებდა დელგმაში, თოვლში, ქარბუქსა და ყინვაში. ასეთი გულშემატკივრობა წესად იყო მიღებული, ყველა ცნობილი ასვლა ფართოდ შუქდებოდა საზოგადოებაში, ექსპედიციის მასალების გასაცნობად ეწყობოდა საჯარო ლექციები, გამოფენები, შეხვედრები მთამსვლელებთან და ა.შ.

ახლა ჩვენს მთამსვლელებს ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი აქვთ დალაშქრული, მათ შორის ანტარქტიდისაც, სად არ დადიან - ჰიმალაის მთიანეთში, ანდებში, კორდილიერებში, მაგრამ მათი ასვლების შესახებ დეპეშისხელა განცხადებას თუ გააკეთებს პრესა, რადიო-ტელევიზია და სენსაციური სიახლის სახით გვაცნობებს, ამაზეც მადლობელი უნდა ვიყოთ. შედეგმაც არ დაახანა. დღეს ქვეყანაში ჩამკვდარია სამთო-ტურისტული მოძრაობა, სახელმწიფოს მხრიდანაც ხელშეწყობა ნულოვანია, აღარ ეწყობა სამთო ექსპედიციები, ახალგაზრდობამ დაკარგა მთისადმი ინტერესი, საზოგადოებაში გაქრა მთაზე ასვლით გამოწვეული სიხარულის განცდა, ხალხი ნაკლებადაა გაცნობიერებული ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის სიკეთეში.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთი გამძაფრებული ცხოვრების ფონზე კიდევ სულდგმულობს ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი. კერძო ინვესტორების დახმარებითა და თანადგომით, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნულმა ფედერაციამ აღადგინა ოთხმოცდაათიანი წლების მოვლენების შედეგად თითქმის მთლიანად განადგურებული კლუბის ინფრასტრუქტურა, აღადგინა მიწასთან გასწორებული ქართული მთამსვლელობის მუზეუმი, გააცოცხლა ჩვენი დიდი წინაპრების გიორგი ნიკოლაძის, ალექსანდრე დიდებულიძის, ალექსანდრა, სიმონ, ალიოშა ჯაფარიძეების, ლევან გოთუას, ნიკო კეცხოველის, დავით ფურცელაძის, გაბრიელ, ბექნუ და მიხეილ ხერგიანების, იოსებ ასლანიშვილისა და სხვა, მთაში მოღვაწე მამულიშვილების სახეები და ამით ქართველ ხალხს შეუნარჩუნა ჩვენი ისტორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი, ლამაზი მონაკვეთი. ალპური კლუბის დარბაზში მოეწყო ხელოვნური საცოცი კედელი, რომელზედაც ჩვენი ბავშვები დილიდან საღამომდე დაძვრებიან. თითქმის ათი წელია მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია გარდა სპორტული ღონისძიებებისა, რეგულარულად აწყობს ბავშვთა ორკვირიან სამთო ექსპედიციებს, რაც იმედს გვისახავს, რომ საქართველოში ალპინისტური მოძრაობა კვლავ აღორძინდება (2009 წ.).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში
ქართველ მთამსვლელთა გამარჯვებები
1950-1983 წ.წ.

1950 წლიდან საბჭოთა კავშირში საუკეთესო ასვლათა აღნიშვნა დაიწყო, ხოლო 1954 წლიდან თითქმის ყოველწლიურად ტარდებოდა საკავშირო პირველობა ტექნიკურად რთული ასვლის, ტრავერსებისა და სასიმაღლო ასვლის კლასში. ქართველები ამ შეჯიბრებებში ყოველწლიურად მონაწილეობდნენ და მნიშვნელოვან შედეგებსაც აღწევდნენ. ჩვენს მთამსვლელებს არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოუპოვებიათ, რასაც ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ადასტურებს.

მთიანეთი, მწვერვალი, სიმაღლე მეტრებში, მარშრუტი, კლასი	ასვლის წელი	მიღწევა	მონაწილენი (მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი პირველია ჩამონათვალში)
კავკასიონი, შხელდა-უშბა, ტრავერსების კლასი	1950	საუკეთესო ასვლა	***ი.მარი,*** მ.გვარლიანი, გ.ზურებიანი, ჭ.ჩართოლანი, ბ.ხერგიანი
კავკასიონი, წურუნგალა-აილამა-ჯანღა-თეთნულდი,ტრავერსების კლასი	1952	საუკეთესო ასვლა	***ა.ნემსიწვერიძე,*** ზ. და ლ. ახვლედიანები, ს. და ჯ. გუგავები, გ.გულბანი, რ.კვიციანი
კავკასიონი, შხარა-რუსთაველი-ჯანღა-კატინთაუ-თეთნულდი ტრავერსების კლასი	1952	საუკეთესო ასვლა	***ბექნუ ხერგიანი,*** ი.გაბლიანი, მ.გვარლიანი, ჭ.ჩართოლანი, ბესარიონ ხერგიანი,
პამირი, ენგელსის პიკი, სასიმაღლო კლასი	1954	2 ადგილი	***მ.გვარლიანი,*** გ.გულბანი, კ.კუზმინი, ა.ნემსიწვერიძე,
კავკასიონი, სამხრ.უშბის დას.კედელი, ტექნიკური კლასი	1955	3 ადგილი	***ი.მარი,*** მ.გვარლიანი, გ.ზურებიანი, ჭ.ჩართოლანი, ბ.ხერგიანი
პამირი, კომუნიზმის პიკი ბელიაევის მყინვარიდან, სასიმაღლო კლასი	1955	ჩემპიონი 1 ადგილი	***ი.კახიანი,*** ლ.ახვლედიანი, ჯ.მეძმარიაშვილი, მ.ხერგიანი,
პამირი, "როსია", ბელიაევის მყინვარიდან, სასიმაღლო კლასი	1955	2 ადგილი	***მ.გვარლიანი,*** ზ. და ლ. ახვლედიანები, ს. და ჯ. გუგავები, ი.კახიანი, ჯ.მეძმარიაშვილი, დ.ობოლაძე, მ.ხერგიანი
პამირი, მოსკოვის პიკის დას. მწვ. პირველასვლა, სასიმაღლო კლასი	1956	2 ადგილი	***დ.ობოლაძე,*** ზ. და ლ. ახვლედიანები, თ.კუხიანიძე, ჯ.მეძმარიაშვილი, რ.ხაზარაძე
პამირი, დარვაზის ქედის ტრავერსი, ტრავერსების კლასი	1957	ჩემპიონი 1 ადგილი	***ჯ.მეძმარიაშვილი,*** გ.აბაშიძე, ზ. და ლ. ახვლედიანები, ი.გაბლიანი, თ.კუხიანიძე, ჭ.ჩართოლანი, ო. და რ.ხაზარაძეები, ბ.ხერგიანი
კავკასიონი, ფასის მთა-ჯანღა, ტრავერსების კლასი	1958	2 ადგილი	***გ.გულბანი,*** ს. და ჯ. გუგავები, გ.თიკანაძე

კავკასიონი, შხარა, დას. მწვერვ. სამხრ. კედლით, ტექნიკური კლასი	1958	2 ადგილი	***დ.ობოლაძე,*** დ.დანგაძე, ო.კაპანაძე, ა.ძიძიგური
პამირი,ზულუმარტისა და იმიერალაის ქედი, ტრავერსების კლასი	1960	ჩემპიონი 1 ადგილი	***ლევან ახვლედიანი,*** ზ.ახვლედიანი, ო.ბერაძე, ი.გაბლიანი, ს.და ჯ.გუგავები, თ.კუხიანიძე, ჯ.მეძმარიაშვილი, ჭ.ჩართოლანი, ბ.ხერგიანი
კავკასიონი, ჯანღა, ცენტრ. მწვერვალი, ტექნიკური კლასი	1960	2 ადგილი	***ო.ხაზარაძე,*** გ.ბერძენიშვილი, გ.მანაგაძე, შ.მირიანაშვილი, ნ.ნადირაშვილი, ა.ძიძიგური
კავკასიონი, მაზერი-შხელდა-უშბა, ტრავერსების კლასი	1961	3 ადგილი	***დ.ობოლაძე,*** ი.ბერუაშვილი, ვ.გაბელაშვილი, ვ.კვაჭაძე, გ.კობიძე, გ.ჯაფარიძე,
კავკასიონი, უშბა, ჩრდილო მწვერვალი "უშბის სარკე", ტექნიკური კლასი	1964	ჩემპიონი 1 ადგილი	***მ.ხერგიანი,*** ჯ.გუგავა, ჯ.კახიანი, შ.მარგიანი, გ.წერედიანი მ.ხერგიანი (უმცროსი)
კავკასიონი, აილამა-მისისთაუ, ტრავერსების კლასი	1965	ჩემპიონი 1 ადგილი	***მ.ხერგიანი (უმცრ.),*** ვ.გაბელაშვილი, ჯ.გუგავა, ჯ.კახიანი, გ.წერედიანი,
კავკასიონი, ჯანღა, დასავლ. მწვერვალი, სასიმაღლო-ტექნიკური კლასი	1965	3 ადგილი	***გ.ქართველიშვილი,*** თ.ბაქანიძე, ბ. და ნ. ბაქრაძეები, თ.ბერიშვილი დ.შარაშენიძე,
კავკასიონი, აილამა, სამხრეთი კედელი, ტექნიკური კლასი	1965	3 ადგილი	***შ.მირიანაშვილი,*** დ.დანგაძე, ვ.თევდორაშვილი, ლ.ღლონტი
კავკასიონი, შხარა სამხრეთიდან, სასიმაღლო-ტექნიკური კლასი,	1969	3 ადგილი	***შ.მირიანაშვილი,*** გ.აბაშიძე, დ.დანგაძე, ო.ხაზარაძე
პამირი, კორჟენევსკაიას პიკი, სასიმაღლო კლასი	1973	3 ადგილი	***დ.დანგაძე,*** ს.ბარლიანი, შ.გაბისიანი ა.გავაშელი, ტ.ლუკაშვილი, შ.მირიანაშვილი, ო.ხაზარაძე.
კავკასიონი,ა.ჯაფარიძე (შავიუცნობი)-აილამა-შხარა-თეთნულდი, ტრავერსების კლასი	1973	2 ადგილი	***გ.წერედიანი,*** გ.გუგავა, ვ.მუშკუდიანი, ნ.ნიგურიანი, ვ.რატიანი
პამირი, მოსკოვის პიკი სამხრ. თხემით, სასიმაღლო კლასი	1975	2 ადგილი	***დ.დანგაძე,*** გ.აბაშიძე, ს.ბარლიანი, შ.გაბისიანი, შ.მირიანაშვილი, ო.ხაზარაძე,
პამირი, ნაბლიუდენიე-მოსკოვი-დუშანბე, ე.წ. "საღრანის დიდი ნალის" ტრავერსი, სასიმაღლო კლასი	1976	ჩემპიონი 1 ადგილი	***დ.დანგაძე,*** გ.აბაშიძე, ს.ბარლიანი, შ.გაბისიანი, შ.მირიანაშვილი,
ტიან-შანი, ჯიგიტი, ჩრდ.-	1976	ჩემპიონი	***დ.შარაშენიძე,*** თ.ბაქანიძე, გ.ზუმბაძე,

დას. მხრიდან, ტექნიკური კლასი		1 ადგილი	ტ.ლუკაშვილი, გ.ქართველიშვილი, მ.ჭიჭინაძე
კავკასიონი, ჭაუხის მასივის ტრავერსი, კლდოვანი კლასი	1977	2 ადგილი	***შ.მირიანაშვილი,*** გ.აბაშიძე, ს.ბარლიანი, შ.გაბისიანი, დ.დანგაძე, ო.ხაზარაძე,
პამირი, ე.აბალაკოვის პიკი, ჩრდ. კედლით, სასიმაღლო-ტექნიკური კლასი	1977	2 ადგილი	***გ.ქართველიშვილი,*** თ.ბაქანიძე, რ.გიუტაშვილი, გ.ზუმბაძე, ტ.ლუკაშვილი, ჯ.ქელეხსაშვილი დ.შარაშენიძე,
პამირი, ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, "ზუგვანდის სარკე", სასიმაღლო-ტექნიკური კლასი	1979	ჩემპიონი 1 ადგილი	***გ.ქართველიშვილი,*** თ.ბაქანიძე, ი.გელდიაშვილი, რ.გიუტაშვილი, ტ.ლუკაშვილი, მ.ჭიჭინაძე
კავკასიონი, კუკურტლუ, ჩრდ-დას. კედელი, ტექნიკური კლასი	1981	2 ადგილი	***ტ.ლუკაშვილი,*** ი.გელდიაშვილი, დ.თარხნიშვილი, ჯ.ქელეხსაშვილი, მ.ჭიჭინაძე,
კავკასიონი დავით აღმაშენებელი, კლდოვანი კლასი	1982	2 ადგილი	***ტ.ლუკაშვილი,*** ი.გელდიაშვილი, დ.თარხნიშვილი, ჯ.ქელეხსაშვილი, თ.შარაშენიძე, მ.ჭიჭინაძე
სამხრ.-დას. პამირი, უსახელო მწვერვალი "6100", სასიმაღლო-ტექნიკური კლასი	1983	3 ადგილი	***ი.გელდიაშვილი,*** დ.თარხნიშვილი, მ.ჭიჭინაძე, თ.შარაშენიძე, ჯ.ქელეხსაშვილი

ზემოთ ჩამოთვლილი წარმატებული ასვლების გარდა, ქართველმა მთამსვლელებმა საკავშირო მედლები მოიპოვეს სხვა არაქართულ გუნდებში მონაწილეობის დროსაც:

- 1956 წელს მიხეილ ხერგიანმა რუს მთამსვლელებთან - "ავანგარდის" გუნდის წევრებთან ერთად, კავკასიონზე ტიუტიუბაშის ჩრდილოეთი კედელი დალაშქრა და ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ოქროს მედალი მოიპოვა.

- 1957 წელს მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი ტექნიკურად რთულ ასვლათა კლასში რუსების გუნდის "სპარტაკის" სახელით გამოდიან და კავკასიონზე დონღუზორუნს ჩრდილო-დასავლეთი კედლით ლაშქრავენ, რისთვისაც ბრინჯაოს მედლებს იმსახურებენ.

- 1958 წელს შალვა მარგიანმა "სპარტაკის" გუნდის წევრებთან იოსებ კახიანთან, მიხეილ ხერგიანთან, მიხეილ ხერგიანი-უმცროსთან, იგორ პოლეევოისთან და შამილ ტენიშევთან ერთად, კავკასიონზე ტიუტიუბაშის მთავარი მწვერვალი ჩრდილოეთი კედლით დალაშქრა და ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

- 1959 წელს იოსებ კახიანმა, "სპარტაკის" გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონობა მოიპოვა და პამირში, ახმად დონიშის პიკზე (6667 მ) ასვლისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

- 1960 წელს ქართველმა მთამსვლელმა იოსებ კახიანმა რუსებთან ერთად "სპარტაკის" ნაკრებ გუნდში სასიმაღლო კლასში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლენინის პიკზე ჩრდილოეთის მხრიდან ასვლისათვის. მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი ყაბარდო-ბალყარეთის მთამსვლელებთან ერთად, შუროვსკის პიკზე ჩრდილოეთის კედლით ასვლისათვის, ტექნიკურ კლასში ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

- 1966 წელს ყაბარდო-ბალყარეთის გუნდი იოსებ კახიანის ხელმძღვანელობით, პამირში, ტაჯიკეთის პიკზე ავიდა აღმოსავლეთის კედლით და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

- 1972 წელს შეიარაღებული ძალების გუნდში იყო ახალგაზრდა ქუთაისელი მთამსვლელი გიორგი ახვლედიანი, რომელმაც პამირში აკადემიის პიკების ტრავერსი განახორციელა და ჩემპიონი გახდა. ამავე წელს ნოვოსიბირსკელთა გუნდის შემადგენლობაში მყოფმა ქუთაისელმა მთამსვლელმა მურად ჭიჭინაძემ, საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სპორტის დამსახურებული ოსტატები, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები, საკავშირო კატეგორიის მსაჯები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, "თოვლის ჯიქები"

ქართული მთამსვლელობის ისტორიაში მრავალი შესანიშნავი მთამსვლელის სახელია დაუვიწყარი, რადგან მათ შექმნეს ის ფუნდამენტი, რომელზეც შემდეგ ქართული ალპინიზმის მდიდარი და სახელოვანი ტრადიცია დაფუძნდა. მაგრამ თუკი ამ შემთხვევაში იმ მთამსვლელთა სახელებს გამოვაცალკევებთ, რომელთაც საბჭოთა სისტემაში არსებული უმაღლესი წოდებები ჰქონდათ მინიჭებული, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ და ხაზი გავუსვათ ქართველ მთამსვლელთა მიღწევებს, მათ ავტორიტეტსა და მაღალ რეიტინგს საბჭოთა სისტემაში.

სპორტის დამსახურებული ოსტატები:

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე (1899, სოფ. ხრეითი (ჭიათურის რ-ნი) - 1945, დაიღუპა მწვ. უშბაზე, დაკრძალულია თბილისში, ვერის ბაღში). ინჟინერი-ჰიდროენერგეტიკოსი. ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936), ალპინიზმის ოსტატი (1934), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1940),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი (1938), საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე (1938-40; 1943-45). პამირისა და კავკასიონის მწვერვალებზე შესრულებული აქვს ასზე მეტი სპორტული ასვლა. საეტაპო და მნიშვნელოვანი იყო პირველი ასვლა თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), უსახელო მწვერვალზე პამირში (1936), ცენტრალური კავკასიონის მცირე (1938) და დიდი ტრავერსი (1940). მინიჭებული ჰქონდა "პამირის გმირის" წოდება (1936). ავტორია წიგნებისა: "უშბა" (1939), «Ушба» (1940), "პამირის მთებში" (1940), "თეთნულდი" (1948), "რჩეული ნაწერები" (1949). ხსოვნის უკვდავსაყოფად ალექსანდრე ჯაფარიძის სახელი მიენიჭა საქართველოს ალპურ კლუბს (1945), მწვერვალებს პამირსა და კავკასიონზე. ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში გახსნილია მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983).



ალექსანდრა ჯაფარიძე (1895, სოფ. ხრეითი (ჭიათურის რ-ნი) - 1974, თბილისი, დაკრძალულია ვერის ბაღში). პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი. ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1923), საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936), სპორტის ოსტატი (1940), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1945),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი (1931), საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე (1954), საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1960), საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1962), ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური

კლუბის პრეზიდიუმის წევრი (1936-1974), დევდორაკის ალპინისტური ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი (1938-39), თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის გამგე, პედაგოგი (1944-61), შესრულებული აქვს ასამდე სპორტული ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე. საეტაპო და მნიშვნელოვანი იყო პირველი ასვლა მყინვარწვერზე (1923), თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), დიხ-თაუზე (1950), ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი (1940). მყინვარწვერის კალთებზე, ზ.დ. 4100 მ-ზე აღმოაჩინა და შეისწავლა ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული (1948). აღზარდა ქართველ მთამსვლელთა არაერთი თაობა. ქართულ ენაზე თარგმნა ფრანგი მთამსვლელის მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი "ანაპურნა" (1974). დაჯილდოებული იყო ლენინის (1960), "საპატიო ნიშნის" (1944) ორდენებით, მრავალი მედლითა და სიგელით. საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმით აღიარებულია მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად. ხსოვნის უკვდავსაყოფად ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი მიენიჭა მის მიერ 1913 წელს წელს სოფელ ხრეითში დაარსებულ სკოლას (1994), მწვერვალს კავკასიონზე, ჭაუხების მასივში (1975). ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში გახსნილია მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983).

იოსებ (სოსო) ასლანიშვილი (27.01.1891, ქუთაისი - 11.11.1955, თბილისი). ექიმი-ენდოკრინოლოგი. **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1946),** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (1936), დოცენტი (1940), საქართველოს დამსახურებული ექიმი (1946), საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936), პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია "შევარდენი"-ს წევრი. ჟურნალების: "თეატრი და მუსიკა" (1919), "ხელოვნება" (1919-1921), "შევარდენი" (1920, 1922), "თანამედროვე მედიცინა (1924-1933) რედაქტორი. 1923 წელს მონაწილეობდა პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ პირველ სამეცნიერო ექსპედიციაში მყინვარწვერზე, რომელმაც გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ და საბჭოთა ალპინიზმს. კავკასიონზე ჩატარებული მრავალი ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი, მთამსვლელობის ორგანიზატორი და პოპულარიზატორი. მთამსვლელობაზე ავტორია წიგნებისა: "მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით" (1928), "მთამსვლელობა საქართველოში" (1935) ქართულ და რუსულ ენებზე, "მთამსვლელობა საქართველოში" (1954), თანაავტორები ოთარ გიგინეიშვილი და დავით ფურცელაძე.

მაქსიმე გვარლიანი (1915, მესტია - 1993, იქვე). სპორტის ოსტატი (1950), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951),** მთამსვლელობის ინსტრუქტორი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. სსრკ-ში პირველად, თანაგუნდელებთან ერთად განახორციელა კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბაზე, რითაც სათავე დაუდო კედლოვანი ასვლების კლასს მთამსვლელობაში. წლის საუკეთესო ასვლებად ჩაითვალა შხელდა-უშბისა (1950) და შხარა-რუსთაველი-ჯანღა-კატინთაუ-თეთნულდის (1952) ტრავერსები, სსრკ ჩემპიონატებში ვერცხლის მედლები მოიპოვა სასიმაღლო კლასში, პამირში მისი ხელმძღვანელობით ენგელსის პიკზე (1954) და მწვ. როსიაზე ახალი გზით ასვლისათვის (1955). მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დაჯილდოებულია "სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით" (1942), "შრომის წითელი დროშის ორდენით" (1957).

გოჯი ზურებიანი (1906, სოფ. მულახი (მესტიის რ-ნი - 1975, იქვე). სპორტის ოსტატი (1945), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951),** მთამსვლელობის ინსტრუქტორი (1937), სვანეთის სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი (1938-40). სსრკ-ში პირველად, თანაგუნდელებთან ერთად განახორციელა კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბაზე, რითაც სათავე დაუდო კედლოვანი ასვლების კლასს მთამსვლელობაში. წლის საუკეთესო ასვლად ჩაითვალა

თანაგუნდელებთან ერთად გავლილი შხელდა-უშბის (1950) ტრავერსი. მეორე მსოფლიო ომის დროს (1941-45) შედიოდა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმში. დაჯილდოებულია (1940, 1943-45) საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრკ და საქართველოს სპორტკომიტეტების საპატიო სიგელებით, მედლებით "მამაცობისათვის", "კავკასიის დაცვისათვის".

ივანე (კაკო) მარი (1902, სოფ. დაბლაციხე, ჩოხატაურის რ-ნი - 1990, თბილისი). სპორტული მთამსვლელობის შესანიშნავი ორგანიზატორი, **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951),** საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936) და თავმჯდომარე (1940-43), საქართველოს სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი, ალპინისტურ ბანაკ "წეის" დირექტორი (1938-39), საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმოს წევრი, მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, სამხედრო ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი (1985). სპორტული მიღწევებიდან აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ასვლები მყინვარწვერზე ახალი გზით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (1932), ნამყვამი-წურუნგალა-აილამისა (1947) და შხელდა-უშბის (1950) ტრავერსები, უშბაზე ასვლა სამხრეთ-დასავლეთის კედლით (1955).

ჭიჭიკო ჩართოლანი (1906, მესტია - 1984, იქვე). სპორტის ოსტატი (1950), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951),** მთამსვლელობის ინსტრუქტორი (1937), სსრკ-ში პირველად, თანაგუნდელებთან ერთად განახორციელა კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბაზე, რითაც სათავე დაუდო კედლოვანი ასვლების კლასს მთამსვლელობაში (1937). წლის საუკეთესო ასვლად ჩაითვალა თანაგუნდელებთან ერთად გავლილი შხელდა-უშბისა (1950) და შხარა-რუსთაველი-ჯანღა-კატინთაუ-თეთნულდის ტრავერსები. ოქროს მედალი მოიპოვა პამირში დარვაზის ქედის ტრავერსისათვის (1957), ვერცხლის მედალი ზულუმარტისა და იმიერალაის ქედის ტრავერსისათვის (1960). ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია სსრკ და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სპორტკომიტეტების საპატიო სიგელებით.

ბექნუ ხერგიანი (1912, მესტია - 1990, იქვე). სპორტის ოსტატი (1940), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი (1937), ფიზკულტურის მასწავლებელი, მესტიის სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი, სსრკ-ში პირველად, თანაგუნდელებთან ერთად განახორციელა კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბაზე, რითაც სათავე დაუდო კედლოვანი ასვლების კლასს მთამსვლელობაში (1937). წლის საუკეთესო ასვლად ჩაითვალა შხელდა-უშბისა (1950) და შხარა-რუსთაველი-ჯანღა-კატინთაუ-თეთნულდის (1952) ტრავერსები. ოქროს მედალი მოიპოვა პამირში დარვაზის ქედის ტრავერსისათვის (1957), ვერცხლის მედალი ზულუმარტისა და იმიერალაის ქედის ტრავერსისათვის (1960). პამირისა და კავკასიონის მწვერვალებზე განახორციელა ასზე მეტი ასვლა. იალბუზის დასავლეთი მწვერვალიდან ჩამოხსნა გერმანელ ფაშისტთა მიერ აღმართული ნაცისტური დროშა (1943). ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით და ოთხი მედლით, მათ შორის "მამაცობისათვის", "კავკასიის დაცვისათვის".

იოსებ კახიანი (1921, სოფ. მულახი, მესტიის რ-ნი - 1992, იქვე). მეკლდეური. სპორტის ოსტატი (1956), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1963),** მთამსვლელობის ინსტრუქტორი (1950), ჩეგეტის სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი, რუსეთის



ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი (1967). ინგლისში მიხეილ ხერგიანთან ერთად მიენიჭა "კლდის ვეფხვის" წოდება (1960). მთამსვლელობაში სსრკ ჩემპიონატების არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი. დაჯილდოებულია "სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით", მედლებით "მამაცობისათვის", "სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის". მასზე შექმნილია მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი "ძია ერმინე".

მიხეილ ხერგიანი (1932, მესტია - 1969, დაიღუპა იტალიაში, მწვერვალ სუ-ალტოზე, დაკრძალულია მესტიაში). მეკლდეური, **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1963),** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1967), სპორტის ოსტატი მეკლდეურობაში (1968), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, ფიზკულტურის მასწავლებელი, სსრკ სამგზის ჩემპიონი მთამსვლელობაში (1955-56, 1964), მეკლდეურობაში სსრკ ჩემპიონატებისა და პროფკავშირების შვიდგზის (1952, 1962, 1964-65 აბსოლუტური, 1966-67) ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. დალაშქრული აქვს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალპების ურთულესი მწვერვალები. ინგლისში მიანიჭეს "კლდის ვეფხვის" წოდება (1960). დაჯილდოებულია "საპატიო ნიშნის" ორდენით (1966). ხსოვნის უკვდავსაყოფად მიხეილ ხერგიანის სახელი მიენიჭა კავკასიონსა და პამირ-ალაიში, თურქესტანის ქედზე არსებულ მწვერვალებს, ვრაჩანის მასივის ერთ-ერთ ალპინისტურ მარშრუტს ბულგარეთში, კლდეს იაილის მასივზე ყირიმში, ახალგაზრდულ კლუბ "ბეთქილს", სკოლას და ქუჩას მესტიაში, მცირე პლანეტას მარსი-იუპიტერის ორბიტაზე. დაწესებულია მ. ხერგიანის სახელობის ყოველწლიური მემორიალი მეკლდეურობაში (1967), შექმნილია მ. ხერგიანის მედალი, მესტიაში გახსნილია მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983). მასზე გადაღებულია არაერთი კინო და ტელეფილმი, გამოცემულია წიგნები, ალბომები, ბუკლეტები.

დიმიტრი ობოლაძე (1914, ქუთაისი - 2001, თბილისი). სპორტის ოსტატი (1956), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1965),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1967), საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი მეკლდეურობაში, ალპინისტურ ბანაკ "აილამას" დირექტორი, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი, თბილისის ალპინისტური სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. ამიერკავკასიის ჩემპიონი ძალოსნობაში. სსრკ ჩემპიონატების სამგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. პამირში მწვ. როსიასა (1955) და მოსკოვის პიკის დასავლეთ მწვერვალზე პირველასვლისათვის (1956), ტრავერსების კლასში - ზულუმარტისა და იმიერალაის ქედის ტრავერსისათვის (1960). დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, საქართველოსა და ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მედლებით.





ლევან ახვლედიანი (1928, სოფ. ორხვი, ცაგერის რ-ნი - 2004, ქუთაისი). სპორტის ოსტატი (1956), **სპორტის დამსახურებული ოსტატი (1966),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს იზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ლენტეხის რაიონისა და ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ქუთაისის დოსაააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე. სსრკ ჩემპიონატებში საუკეთესო ასვლად შეფასდა წირუნგალა-აილამა-ჯანღა-თეთნულდის ტრავერსი (1952), ოქროს მედალი მიიღო პამირში დარვაზის ქედის (1957) ტრავერსისათვის, სასიმაღლო კლასში კომუნიზმის პიკზე ასვლისათვის (1955), ვერცხლის

მედლები - პამირში მწვ. როსიასა (1955) და მოსკოვის პიკის დასავლეთ მწვერვალზე პირველასვლისათვის (1956), ტრავერსების კლასში - ზულუმარტისა და იმიერალაის ქედის ტრავერსისათვის (1960). დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, საქართველოსა და ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მედლებით.

აკაკი (ხუტა) ხერგიანი (1947, მესტია). სპორტის დამსახურებული ოსტატი (1982), მთამსვლელობის ინსტრუქტორი. სპორტის ოსტატი მეკლდეურობაში. საქართველოს სპორტის აკადემიის ალპინიზმის, სათხილამურო და ველოსპორტის კათედრის გამგე. ექსპედიცია "ევერესტი-82"-ს კინოოპერატორი. დაჯილდოებულია მედლით "შრომითი წარჩინებისათვის".

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები

ოთარ გიგინეიშვილი (1916, თბილისი - 1990, იქვე). მთამსვლელი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. **სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ალპინიზმში (1961),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, თსუ-ის სპორტული კლუბის მთამსვლურ-ტურისტული სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე. პამირსა და ტიან-შანში ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციების ხელმძღვანელი.

ალექსი ივანიშვილი (1907, თბილისი - 1974, იქვე). **სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ალპინიზმში (1961),** მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი, საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. პამირსა და ტიან-შანში ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციების ხელმძღვანელი.

საკავშირო კატეგორიის მსაჯები



ალექსანდრა ჯაფარიძე - საკავშირო კატეგორიის მსაჯი მთამსვლელობაში (1960). იხ. სპორტის დამსახურებული ოსტატები.

დენიზა გოზალიშვილი (1919, თბილისი - 1998, იქვე). **საკავშირო კატეგორიის მსაჯი მეკლდეურობაში (1979),** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1981), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი (1981), საქართველოს მთამსვლელთა

ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი (1963-90), საქ. მეკლდეურთა კომიტეტის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, ალ. ჯაფარიძის სახ. საქართველოს ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი (1966).

1941 წ. საბჭოთა კავშირში ქალთა პირველი ზამთრის სათხილამურო ასვლის ხელმძღვანელის მოადგილე. 1969 წელს ხელმძღვანელობდა ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის პირველ რესპუბლიკურ ალპინიადას თრუსოს ხეობაში. 1971 წ. ჩაატარა მეცნიერ მთამსვლელ ქალთა ასვლა მწვ. არაგაწზე ქართული ფეხსაბიჯებით (თხილამურებით). წლების განმავლობაში ატარებდა საერთაშორისო ფოტო-კინო კონკურსს "მთები და ადამიანები", ბავშვთა ნახატების კონკურსს "ჩემი მთები".

თბილისსა და სტეფანწმინდაში შექმნა საბჭოთა კავშირში პირველი მთამსვლელთა მუზეუმი. მისი ავტორობით გამოცემულია გზამკვლევები და ბუკლეტები: "ბეთანია", "მცხეთა", "კოჯორი", "კრწანისი" (1966), "თბილისის შემოგარენი" (1976), "მყინვარწვერი" (1978), "შხარა" (1979), "მთის ბილიკებით", "მთის მგოსანი" (1980), "მიხეილ ხერგიანი" (1982), "შენთვის ნორჩო მოგზაურო" (1986), "კლდოვან ქარაფებზე" (1990. დაჯილდოებულია საკავშირო და საქართველოს განათლების სამინისტროების საპატიო სიგელითა და "განათლების წარჩინებულის ნიშნით", საკავშირო პროფსაბჭოს სამკერდე ნიშნით "ფიზკულტურისა და სპორტის წარჩინებული, მედლებით "კავკასიიის დაცვისათვის" და "შრომითი მამაცობისათვის დიდ სამამულო ომში".

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები:

გიორგი (აგი) აბაშიძე. დაიბადა 14.03.1934 წ. თბილისი. სსრკ ორგზის ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1957, დარვაზის ქედი; 1976, სუღრანის დიდი ნალი), ორგზის მეორე (1975, 1977) და ორგზის მესამე (1968, 1973) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. **საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1967).** შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგე.

დიმიტრი დანგაძე. დაიბადა 14.03.1933 წ. ქუთაისი. სსრკ ორგზის ჩემპიონი ტრავერსების

კლასში (1960, ზულუმარტ-იმიერალაის ქედი; 1976, სუღრანის დიდი ნალი), სამგზის მეორე (1958, 1975, 1977) და სამგზის მესამე (1965, 1968, 1973) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1967), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

შოთა მირიანაშვილი. დაიბადა 2.07.1931 წ. ახალსოფელი, ყვარელი. სსრკ ჩემპიონი

ტრავერსების კლასში (1976, სუღრანის დიდი ნალი), სამგზის მეორე (1960, 1975, 1977) და სამგზის მესამე (1965, 1969, 1973) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. **საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1967),** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. თსუ-ის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის პრეზიდენტი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი.

მიხეილ ხერგიანი. იხ. სპორტის დამსახურებული ოსტატები

“თოვლის ჯიქი”

5 შვიდიათასიან მწვერვალზე (კომუნიზმის პიკი-7495 მ, გამარჯვების პიკი-7439 მ, ლენინის პიკი-7134 მ, კორჟენევსკაიას პიკი-7105 მ, მწვ. ხან-თენგრი-6995 მ) ამსვლელები:



აფი გიგანი

რომან გიუტაშვილი

ბიძინა გუჯაბიძე

ლევ სარქისოვი

თამაზ შარაშენიძე

ვინც მთაში დარჩა

სასიქადულო მწერალი, მთამსვლელი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა მთაში დაღუპულ უახლოეს მეგობართან დაკავშირებით წერდა: "დაღუპული ახლო მეგობრის გახსენება, ყოველთვის იწვევს ძველი ნაიარევის მწვავე ტკივილს, მაგრამ ამ გრძნობას მუდამ ახლავს ერთად განვლილი ცხოვრების შთამბეჭდავი სურათების აღდგენა და მათი ხელახალი, გულისხმიერი გააზრება".

ლევან გოთუას ეს სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდა და თან დამყვება საკუთარი სულივით. სწორედ ეს მოტივი მასულდგმულებდა, როცა დაღუპულ მთამსვლელთა სიის შედგენა-დაზუსტება დავიწყე. ამ წიგნის შექმნაშიც მნიშვნელოვანია დაღუპულ მთამსვლელთა როლი – მრავალი მათგანი ხომ ჩვენი მეგობარი და ახლობელი იყო, ვისთან ერთადაც მთაშიც გვივლია და ცხოვრების ჭირ-ვარამიც გაგვიზიარებია.

თავდაპირველად ვფიქრობდი, შემეტანა თუ არა წიგნში დაღუპულთა სია, მაგრამ როგორც კი დაზუსტდა მონაცემები და წარმოჩნდა ქართული ალპინიზმის 87-წლიანი ისტორიის მანძილზე რა მსხვერპლია გაღებული მთამსვლელობის – ამ მართლაც ეროვნული სპორტის განვითარება-გაძლიერებისა და უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის, ბუნებრივია, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ და აუცილებლადაც კი მივიჩნიეთ კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების სახელები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სიაში შეტანილია მთაში დაღუპულ იმ პირთა სახელები, რომელიმე გუნდის წევრებად რომ ითვლებოდნენ და წარმოებდა მათი ასვლების აღრიცხვა.

სიმონ ჯაფარიძე - 1929 თეთნულდი
პიმენ დვალი - 1929 თეთნულდი
შოთა მიქელაძე - 1932 მყინვარწვერი
ვასო ხაიკაშვილი – 1939 მყინვარწვერი
ფრიდონ ჩართოლანი – 1942 იალბუზი
ალიოშა ჯაფარიძე - 1945 უშბა
ქელეშბი ონიანი - 1945 უშბა
ნიკოლოზ მუხინი - 1945 უშბა
დავით ბაბაკიშვილი - 1946 უშბა
ილია გაბლიანი - 1961 პობედა
თეიმურაზ კუხიანიძე - 1961 პობედა
ჯუმბერ მეძმარიაშვილი - 1961 პობედა
კიმი დარსაძე - 1962 პამირი
ზაურ ჩარქსელიანი - 1962 პამირი
გურამ თიკანაძე - 1963 შხარა
ჯონი ობოლაშვილი - 1965 ნამყვამი
დავით ხარაშვილი – 1966 რუსთაველი
თეიმურაზ მელია - 1966 რუსთაველი
გურამ წოწორია - 1966 რუსთაველი
დიმიტრი ჭავჭანიძე - 1966 რუსთაველი
ბიჭიკო ოტიაშვილი - 1966 რუსთაველი
დათო ბაქანიძე - 1967 წურუნგალა
მიხეილ ხერგიანი - 1969 სუ-ალტო (იტალია)
ლოვა აკოპიანი – 1970 კუკურტლუ
ზაურ მიქაძე – 1972 რუსთავი
გურამ ლოგუა – 1972 რუსთავი

ლომიკო ჯინჭველაშვილი – 1972 რუსთავი
ნესტორ (კუკა) მაჭავარიანი – 1972 ჯანტუგანი
ვალერი გაბელაშვილი – 1975 ფანის მთა, რუდაქი
ზურაბ ათანაზევიჩი– 1980 როსია
დათო მეძმარიაშვილი - 1980 როსია
გიორგი ნაიდენი – 1980 როსია
ვიქტორ რიბინსკი – 1980 როსია
ვახტანგ ფირცხალავა - 1980 კომუნიზმის პიკი
გიორგი ჟღენტი – 1985 ალ. ჯაფარიძე (შავი უცნობი)
სერგო ბარლიანი – 1983 ზესხო
გია გიორგაძე 1983 ყარაუგომი
ირაკლი გელდიაშვილი – 1984 უშბა
გოგი ზუმბაძე – 1984 უშბა
დევი თარხნიშვილი – 1984 უშბა
დათო კობახიძე – 1984 უშბა
გია ტუშური – 1984 უშბა
მურად ჭიჭინაძე – 1984 უშბა
ხათუნა ალავიძე – 1987 ჭაუხები-შავთავა
ვანო გულედანი – 2001 უშბა
ზაალ ქიქოძე – 2005 უშბა
მერაბ ხაბაზი – 2005 უშბა
მიხეილ ჩაჩანიძე – 2005 შხელდა

მათი ღვაწლი არასოდეს დაიკარგება

საქართველოს მრავალი კარგი მთამსვლელი ჰყავდა და ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ამ წიგნში ვერ მოხვდნენ. შესაფერისად ვერ ვთქვით იმ შესანიშნავ ადამიანებზე, რომლებიც ყოველთვის ასახელებდნენ თავიანთ ქვეყანას ექსპედიციებში, ალპინისტურ ბანაკებში, მთამსვლელთა და მეკლდეურთა შეჯიბრებებზე, სხვადასხვა რანგის შეკრებებზე, თავის სპეციალობასა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

დასანანია, რომ წიგნში ცალ-ცალკე ვერ წარმოვადგინეთ ისინი, ვინც მთაში თუ ბარში მუდამ გვერდით ჰყავდათ სახელოვან მთამსვლელებს მრჩევლებად, მეთვალყურეებად, დამხმარეებად, მაშველებად, მწვრთნელებად, ინსტრუქტორებად.

ვიგონებთ გარდაცვლილებს, მათ სამარადისო ხსოვნას ვისურვებთ, ცოცხლებს კი ყველას ვემადლიერებით მთამსვლელობისადმი უსაზღვრო სიყვარულისათვის, მეგობრებისადმი თავდადებისა და ერთგულებისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ ქართული მთამსვლელობის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე.

მათი სახელები რომ არ დაიკარგოს და მომავალმა თაობებმა იცოდნენ ვინ იყვნენ ის პიროვნებები, რომელთა გარეშეც საქართველოს მთამსვლელობა და მეკლდეურობა ასეთ სიმაღლეს ვერ მიაღწევდა, სიამოვნებით დავასახელებთ მათ ვინაობას პერიოდებისა და ანბანის მიხედვით, ვისი გახსენება და მოძიება შევძელით. ალბათ, ბუნებრივია, ბევრი გამოგვრჩა და ვერ მოხვდა ამ ჩამონათვალში, ამიტომ ბოდიშს მოვიხდი ყველა მათგანის წინაშე. სიაში არ შევიდა იმ მთამსვლელთა გვარები, ვინც ერთხელ მაინც არის ნახსენები წინამდებარე წიგნის ფურცლებზე და მოცემულ ცხრილში.

1923-1955 წლებში მოღვაწე მთამსვლელები:

ვახტანგ აბაშიძე
დ. ალიბეგაშვილი
ს. არუთინოვი
შალვა ასათიანი
გიორგი ბარბაქაძე
ანზორ ბენიძე
ვ. გამხიტაშვილი
ივანე გველესიანი
გ. გომიაშვილი
შ. გოშაძე
შ. დარასელია
ვ. ედიბერიძე
ნ. ვარდუკაძე
გედა თაბაგარი
ექვთიმე თავბერიძე
გ. თომაევი
ოთარ თორთლაძე
ვ.კლემენტიევი
გ. მელაშვილი
ს. მეტრეველი
ე. მჭედლიშვილი
ჯ. ონოფრიშვილი
ნატა რაზმაძე
როსტისლავ რუბანოვი
ალექსანდრე რუსანოვი
იური საპანაძე
რობინზონ სიფრაშვილი
მარიამ სულხანიშვილი
ჯიმი სხირტლაძე
ნიკო ტარასაშვილი
ვ. ფაჯიაშვილი
ვ. ფეიქრიშვილი
დევი ფირცხალავა
ვახტანგ ფიცხელაური
ი. ფიცხელაური
რამაზ ღამბაშიძე
ლევან ყანჩაველი
ბ. ყარალაშვილი
ა. შალამბერიძე
ა. ჩაკვეტაძე
შ. ჩხეიძე
შ. წიკლაური
მ. ჭონიაშვილი
გ. ხუციშვილი
მურზაყან ჯაფარიძე
ქრისტეფორე ჯაყელი

1955-1991 წლებში მოღვაწე მთამსვლელები:

ვახტანგ აბაიშვილი
ს. აბესაძე
ჯემალ აბზიანიძე
მალხაზ ასროსიანი
ზურაბ ასტახიშვილი
თემურ ახალკაცი
გიორგი ბაქანიძე
გურამ ბერიშვილი
ზაურ ბერიშვილი
ტარიელ ბოლქვაძე
ვახტანგ ბურდული
ფატიმა ბურდული
თენგიზ ბურჭულაძე
ტარიელ გაბოძე
ვალოდია გვარლიანი
კოტე გიორგაძე
ოთარ გოცირიძე
ტარიელ გურგენიძე
ოთარ დადეშქელიანი
ამირან დეკანოსიძე
ანატოლი დოლიძე
შოთა ელისაშვილი
დავით ერისთავი
ნიკა ერქომაიშვილი
ლევან თათარაშვილი
მურმან იაშვილი
ელდარ იბერი
მაია კაკაბაძე
გურამ კალანდარიშვილი
ზურაბ კაპანაძე
კეპულაძე
ბაგაულ კვიციანი
საბა კიკნაძე
ელისო კორძაია
ალექსანდრე ლაბარტყავა
ნიკა ლებანიძე
შალვა ლეჟავა
ვალერი ლობჟანიძე
გივი ლომთათიძე
გურამ ლორია
გია მაისურაძე
რეზო მაისურაძე
რობერტ მარქაროვი
გოგი მაჩალაძე
შოთა მესტვირიშვილი
თენგიზ მირზაშვილი
თემურ მუშკუდიანი
ლევან მუშკუდიანი
ფრიდონ ნადარაია
თამაზ ნეფარიძე
ერიკ ჟვანია
ჯულივერ რუსიშვილი
სულიკო რუხაძე
დავით სააკაძე
მირიან სერებრიაკოვი
დავით სიმონიშვილი
ლადო სვიმონიშვილი
გელა სულიკაშვილი
გია სუჯაშვილი
ზურაბ სუჯაშვილი
გოჩა ქუმსიაშვილი
თეიმურაზ ღლონტი
სერგეი შაპოვალოვი
ირაკლი შეყრილაძე
კუკური ჩოგოვაძე
გურამ ცინცაძე
გიგლა წიკლაური
თამაზ წიკლაური
ილია ხირსელი
ჯონი ხუციშვილი
ცოტნე ჯავახიშვილი
ჟურიკო ჯაფარიძე

ბოლოთქმა

ძვირფასო მკითხველო! გასრულდა ჩვენი ხანგრძლივი შრომა, რათა თავი მოგვეყარა არქივებში, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა თუ მთამსვლელთა ხსოვნაში შემორჩენილი მასალებისათვის და შეძლებისდაგვარად აღგვედგინა თავგადასავლებით, მეგობრობისათვის თავდადების მაგალითებითა თუ გმირული შემართებით აღსავსე ის გზა, რომელიც ქართულმა მთამსვლელობამ გაიარა მყინვარწვერიდან ევერესტამდე - 1923-დან 1991 წლამდე.

ვეცადეთ მკითხველის თვალწინ გადაგვეშალა მრავალთათვის მიუწვდომელი საოცარი სამყარო, რომელშიც მთამსვლელებს უხდებათ ყოფნა; გვსურდა მკაფიოდ წარმოგვეჩინა ის განცდები თუ ემოციები, მწვერვალებთან შერკინებას რომ ახლავს ლაშქრობის დასრულებამდე და მის შემდეგაც რომ აფორიაქებს, მოსვენებას უკარგავს მთამსვლელებსაც და მათ ქომაგებსაც.

ქართული მთამსვლელობის ისტორია არ იყო ია-ვარდით მოფენილი, რადგანაც, ზოგადად ქართული სპორტი, კერძოდ კი მთამსვლელობა, საბჭოთა იმპერიის მარწუხებში იყო მოქცეული და ძალზე ხშირად, დამატებით დაბრკოლებად იქცეოდა ხოლმე ჩვენი მთამსვლელებისათვის; ბუნებრივია, ეს გარემოება სპორტულ მიღწევებზეც ახდენდა გავლენას. ამასთან დაკავშირებით, გამოვაქვეყნე წერილი "იმპერიული უზნეობის მაგალითები" (გაზ. "ლელო", №91, №92, 20-22.11; 23-26.11, 2001 წ.), რომელშიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით აღვნიშნავდი, რომ მთამსვლელობა უმაყურებლო სპორტია და სუბიექტური მომენტები აქ გაცილებით ჭარბობს, ვიდრე სპორტის სხვა სახეობებში, მოედნებსა თუ საჭიდაო ხალიჩებზე. მიუხედავად "ცენტრის" ჩინოვნიკთა ასეთი დამოკიდებულებისა, ყველა თაობის ქართველ მთამსვლელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეროვნული ღირსება მათ არასოდეს შეუბღალავთ, მუდამ შემართებით მიელტვოდნენ და იპყრობდნენ ახალ სიმაღლეებს.

თუკი გულისხმიერად გავიაზრებთ ქართველი მთამსვლელების მიერ გავლილ გზას, მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას. თუნდაც ის რად ღირს, რომ 1923 წელს პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ჯგუფის ასვლა მყინვარწვერზე ოფიციალურადაა აღიარებული მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეში მთამსვლელობის საწყისად, ხოლო 1934 და 1937 წლებში ალიოშა ჯაფარიძისა და გაბრიელ ხერგიანის უშბაზე სხვადასხვა მარშრუტით ასვლამ დასაბამი მისცა მთელ საბჭოთა კავშირში მწვერვალებზე ტექნიკურად რთულ და კედლოვან ასვლებს.

1936 წელს, ქართველ მთამსვლელთა მიღწევების აღსანიშნავად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პირველად საქართველოში გაიხსნა ალპური კლუბი, რომლისთვისაც 1972 წელს იქვე, ვერის ბაღში, ძველის სანაცვლოდ აიგო სპეციალური შენობა. სწორედ აქ, ამ შენობაში, საკავშირო კატეგორიის მსაჯის, ალპური კლუბისა და მთამსვლელთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის დენიზა გოზალიშვილის დიდი შრომითა და მეცადინეობით, ყოფილ საბჭოთა კავშირში მთამსვლელობის პირველი მუზეუმი გაიხსნა.

1950 წელს კაკო მარის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა შხელდა-უშბის ტრავერსმა, რომელიც კავშირში წლის საუკეთესო ასვლად აღიარეს, საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირში რთული ტრავერსების განხორციელებას, რომელიც შემდგომ ტრავერსების კლასში საბჭოთა კავშირის პირველობად გადაიქცა.

1952 წელიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მთამსვლელებისათვის, რადგან ამ წელს ქართველთა ორი გუნდის ასვლა აღიარეს საუკეთესოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1954 წლამდე ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა მედლების განაწილება და საპრიზო ადგილების აღნიშვნა. სხვადასხვა კლასში საუკეთესოდ ფასდებოდა მხოლოდ ერთი ასვლა. 1954 წელს, დაწესდა თუ არა საპრიზო ადგილები და მედლების სამი კომპლექტი, ქართველმა მთამსვლელებმა პამირის მთიანეთი "აითვისეს" და 1954-55 წლებში პირველივე გასვლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ოქროსა და ვერცხლის მედლებით აღნიშნეს.

ასევე ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ მთამსვლელობაში მაშინ, როცა ჩვენმა გუნდმა გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით კლასიფიცირებულ მე-6 კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე დაიწყო ასვლა.

თუ საბჭოთა პერიოდში (საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობა და სხვა საასპარეზო ჩვენ გუნდებს არ ჰქონდათ) ქართველ მთამსვლელთა გუნდების მიღწევებს შევაჯამებთ, საკმაოდ შთამბეჭდავ და სოლიდურ სურათს მივიღებთ. 1950-დან 1983 წლის ჩათვლით, ქართველ მთამსვლელთა მონაპოვარი ასეთია: სამი ასვლა შეფასდა, როგორც წლის საუკეთესო ასვლა (აღინიშნა, რომ მაშინ მედლები არ იყო დაწესებული), რვა ასვლა პირველი ადგილითა და ოქროს მედლებით აღინიშნა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურეს თორმეტჯერ, ხოლო მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს შვიდჯერ.

ამ წარმატებების უწყვეტი ჯაჭვი 1991 წელს ევერესტზე ასვლით დააგვირგვინა შესანიშნავმა ქართველმა მთამსვლელმა, "თოვლის ჯიქის" წოდების ერთ-ერთმა პირველმა მფლობელმა რომან გიუტაშვილმა.

მართალია, წინამდებარე წიგნი რომან გიუტაშვილის ევერესტზე ასვლით სრულდება, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას იმ ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელებზე, რომლებიც გასცდნენ კავკასიონს და სხვადასხვა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალები დალაშქრეს.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ ასვლათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია 1999 წელს ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფის ევერესტზე ასვლა. ევერესტზე ასვლის ისტორიას მანამდე არ ახსოვდა შემთხვევა, ერთ სეზონზე, საქართველოს დარი პატარა ქვეყნის ორ ჯგუფს, სხვადასხვა მხრიდან წარმატებით დაელაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი. ეს შეძლეს ქართველმა მთამსვლელებმა 1999 წელს, როცა 12 მაისს მწვერვალზე სამხრეთის მხრიდან ავიდა ბენო ქაშაკაშვილის პირველი ქართული ექსპედიციის, ხოლო 26 მაისს - ჩრდილოეთის მხრიდან გია თორთლაძის ჯგუფის წევრები.

ქართველ მთამსვლელთა შესანიშნავ მიღწევებს ზოგჯერ სამწუხარო მარცხი და მსხვერპლიც ახლდა, მაგრამ ეს ვერ თრგუნავდა მთამსვლელობის მოყვარულთ. პირიქით, უფრო მეტი ახალგაზრდა მოდიოდა მთამსვლელობაში და ორმაგი გატაცებით მიჰქონდა იერიში უმაღლეს და ურთულეს მწვერვალებზე. ქართველთა გენეტიკურად მებრძოლი სული მთებთან "პაექრობაშიც" მასშტაბურად იჩენდა ხოლმე თავს და შედეგიც ყოველთვის სასურველი იყო.

მთამსვლელობის ისტორიაში ჩაღრმავებისას წარმოუდგენელია არ აღფრთოვანდე იმ შემართებითა და ენთუზიაზმით, რომლითაც ახალგაზრდა ერისკაცები კვალავდნენ გზა-ბილიკებს მარადთოვლიანი მწვერვალებისაკენ; იკვლევდნენ, ეძიებდნენ და პოვებდნენ საქართველოს გულში ჩამარხულ წიაღისეულს; სასიქადულო მამულიშვილები უსაზღვრო სითბოთი, სიყვარულითა და თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ხელმოკლე, მაგრამ უდიდესი ღირსების მქონე მთის მოსახლეობას. თავის მხრივ, მთიელთა გარკვეული ნაწილი ამ დიდებულ პიროვნებებთან ურთიერთობითა და თანამშრომლობით მონადირეობიდან და მეგზურ-გამყოლობიდან შესანიშნავ მთამსვლელებად იქცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქართველმა მთამსვლელებმა გაუღვივეს ცოდნის მიღებისა და განათლებისაკენ სწრაფვის სურვილი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას, მათი ლაშქრობებისა და მწვერვალებზე ასვლის შედეგად დაიმსხვრა მთაში გაბატონებული მრავალგვარი ცრურწმენა.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ წინამდებარე წიგნი უნაკლო და შეცდომებისაგან დაზღვეული იქნება. ჩვენ ვეცადეთ, მასში სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა მოგონებები და თავგადასავლები, მწვერვალებზე ასვლის საინტერესო ეპიზოდები ჩაგვერთო, რათა უფრო უშუალო და მიმზიდველი გაგვეხადა თხრობა. სამწუხაროა, რომ მრავალი შესანიშნავი პიროვნებისა და მთამსვლელის საარქივო მასალა საქართველოსათვის უმძიმეს წლებში უგზო-უკვლოდ გაიბნა და დაიკარგა, ზოგი კი ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, ამიტომ მკითხველს ვთხოვთ, შემჩნეული ხარვეზი სულგრძელად მოგვიტევოს, ჩვენ კი მის მიერ

მოწოდებულ ყველა შენიშვნასა და სურვილს, რომლებიც ქართული მთამსვლელობის ისტორიასთან იქნება დაკავშირებული, გულწრფელად გავიზიარებთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოცემის იდეის ავტორისა და წარმოდგენილი წიგნის რედაქტორის, ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის, უმნიშვნელოვანესი და საეტაპო ასვლების ხელმძღვანელის, უმაღლესი კლასის არაერთი მთამსვლელის აღმზრდელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ბ-ნი გივი ქართველიშვილის დიდი გარჯა და ყოველმხრივი ხელის შეწყობა. ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა მისი ყოველდღიური ყურადღების, დახმარების, მზრუნველობისა და მუშაობის პროცესში უამრავი სასარგებლო რჩევისა და ახსნა-განმარტების გარეშე.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო მთამსვლელ ბესიკ ბაქრაძის დაუზარელი შრომა, წიგნისათვის საჭირო მასალების მოძიება-მომზადებისათვის.

სასიამოვნო იყო ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების თანადგომა, რომელთაც თავიანთი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს მთის, მთამსვლელობისა და სხვადასხვა თაობის ქართველ მთამსვლელთა მიმართ.

მადლობას მოვახსენებ ყველა მთამსვლელს, რომელთაც საინტერესო მოგონებები მოგვაწოდეს თავიანთ ასვლებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციისა და მთამსვლელთა საზოგადოების სახელით უღრმეს მადლობას ვუხდი "**მაგთის**" - ჭეშმარიტად ეროვნული პროგრამის განმახორციელებელს - საქართველოში მთამსვლელობის აღორძინების, ქართველ მთამსვლელებზე ზრუნვისა და წიგნის გამოცემის მხარდაჭერისათვის.

დასასრულ, შეუძლებელია არ აღვნიშნო, რომ წიგნზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ ახლებურად დავინახე, ზოგიერთი ფაქტი თითქოს ხელახლა აღმოვაჩინე, სიხარულიც მრავალჯერ განვიცადე და მწუხარებამაც არაერთხელ მომიცვა, რადგან ქართული მთამსვლელობის ისტორია ტკივილისა და სიხარულის თანაბარი მონაცვლეობაა...

მთამსვლელობის არსის - სიმაღლისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილის შეცნობა ხშირად უჭირთ იმ ადამიანებს, რომელთაც არ ჰქონიათ მთასთან თანაზიარობის განცდა. მთამსვლელთა ეს სულისკვეთება, მათი გრძნობებისა და სულის ძალუმი ფეთქვა შესანიშნავად გამოხატა მთამსვლელთა დიდმა მეგობარმა, პოეტმა და მთარგმნელმა **თამარ ერისთავმა** ლექსით "სიმაღლე".

ყველა თაობის მთამსვლელთა ღვაწლის, გმირობისა და თავდადების ამ უკვდავი ჰიმნით გვსურს დავასრულოთ ქართველების გზა მყინვარწვერიდან ევერესტამდე:

"აღებულ მწვერვალს აღარ ჰქვია უკვე სიმაღლე,
ის სხვა სიმაღლის მისადგომთან ისევ ძირშია;
ერთ მთაზე ასვლით ჯერ მთამსვლელი მუხლებს იმაგრებს, -
ეს სხვა მთებისკენ დაწყებული იერიშია.

სიმაღლეებო, ჩვენი სული იმით აღზარდეთ,
რომ თქვენს აღმასვლას ამა ქვეყნად არა აქვს ბოლო,
მოგყვებით ზევით, დავიღლებით კიდეც ამ გზაზე,
თქვენ კი ახალი დაღლისათვის გვაქეზებთ მხოლოდ.

და ამ სწრაფვაში სიჯიუტე მუდამ თან გვახლავს,
და ემსგავსება სული ცეცხლში ჩაგდებულ ლითონს, -
თქვენთან ჭიდილში აღმოვაჩენთ სივრცეებს ახალს
და იმ სიმაღლეს, რაიც თურმე ჩვენშია თვითონ".

დისკზე ჩაწერილია

1. ალექსანდრა ჯაფარიძის მოგონება 1923 წლის მყინვარწვერის პირველ ექსპედიციაზე და 1934 წელს უშბის კედელზე ღამისთევის შესახებ = 2’05”
2. ნიკო კეცხოველი მიხეილ ხერგიანზე = 0’25”
3. ლევან გოთუა ალიოშა ჯაფარიძის ძებნაზე, მისი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ = 10’20”
4. მიქელ პატარიძე კითხულობს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსის საკუთარ თარგმანს = 2’05”
5. არჩილ ღუდუშაური თავის ასვლებზე და საკუთარი ლექსი ალიოშა ჯაფარიძეზე = 1’36”
6. მარინე უთმელიძე - მოგონებები = 4’24”
7. სარგის ცაიშვილი იგონებს ლევან გოთუას = 3’00”
8. რევაზ ნათაძე იგონებს დიხ-თაუზე 1950 წლის ასვლას = 4’09”
9. მიხეილ ხერგიანის მოგონება ილიკო გაბლიანზე = 1’29”
10. შოთა ჩართოლანი ყვება თავის ბიოგრაფიას = 16’36”
11. თორნიკე ტატიშვილის სიტყვა მარინე უთმელიძის იუბილეზე = 3’55”
12. დიმიტრი ობოლაძე – იხსენებს გრიგოლ გულბანს = 0’35”
13. სოლიკო ხაბეიშვილი – იხსენებს გრიგოლ გულბანს = 2’54”
14. დენიზა გოზალიშვილი იგონებს თამაზ წიკლაურს = 2’03”
15. ვანო ყვავილაშვილი იხსენებს ჭაუხებში ლაშქრობას = 5’26”
16. ვანო გულედანი – იხსენებს მწვერვალ “წითელ ჯვარზე” ასვლას = 1’24”
17. მერაბ ხაბაზი მთამსვლელობასა და პამირში ასვლების შესახებ = 0’52”
18. ზაალ ქიქოძის მოგონება “უშბის ბიჭების” 20 წლისთავზე = 9’51”
19. ლევან თათარაშვილი ხან-თენგრიზე და ჭაუხების ასვლებზე = 1’25”

პირთა სახელების ანბანური საძიებელი

1. აბალაკოვი ევგენი – 28, 54, 56, 197
2. აბალაკოვი ვიტალი – 44, 56, 165
3. აბაშიძე გიგი - 68
4. აბაშიძე გიორგი (აგი) – 35-38, 40, 50-51, 53, 55-57, 68-69, 180, 238-240, 247
5. აბაშიძე ელენე – 26, 91, 127
6. აბგაროვიჩი ევა – 2
7. აბულაძე თენგიზ - 146
8. ავალიანი ადსილ – 20, 22, 89-90, 103, 105
9. ავალიანი ბართლომე – 18, 21
10. ავალიანი რომანოზ – 4, 103
11. ავალიშვილი გიორგი – 13-15
12. ავსაჯანიშვილი შალვა - 70
13. ათანაზევიჩი ზურაბ - 250
14. აიზელინი მაქს - 177
15. აკოპიანი ლოვა – 188, 249
16. ალავიძე ხათუნა – 250
17. ალიბეგაშვილი ლევან - 202
18. ალიბეგაშვილი სტეფანე – 15, 73
19. ალიევი - 38
20. ალიხანოვი გიორგი – 11
21. ალმერი ულრიხ – 22
22. ამირანაშვილი შალვა – 133
23. ამირანი – 5, 235
24. ამირეჯიბი კონსტანტინე - 85
25. ანდროპოვი იური - 219
26. ანუფრიკოვი მიხეილ – 54, 56
27. ანჯაფარიძე ვერიკო - 94
28. არაბული გოგი – 228, 229
29. არაბული შოთა - 130
30. არაქელოვი არტაშ – 68, 72
31. არუთინოვი ივანე – 144
32. არუთინოვი იური - 206
33. არღვლიანი აკაკი - 49
34. არღულიანი მიტო – 9
35. ასლანიშვილი იოსებ (სოსო) – 3-5, 11, 13-16, 18, 20, 23-24, 28, 68, 70, 72, 75, 86-87, 89, 92, 95-98, 104, 112, 115, 119, 121, 173, 237, 242
36. ასტახიშვილი ზურაბ – 63, 201
37. ასტახიშვილი კოტე – 48, 68, 70, 133, 139
38. აქიაშვილი ვაჟა – 169
39. აქიმიძე ჯარჯი - 230
40. აღმაშენებელი დავით – 131
41. აღნიაშვილი ატო – 11-12, 58, 84
42. ახვლედიანი ავთანდილ - 180
43. ახვლედიანი გივი - 179
44. ახვლედიანი გიორგი – 51, 141, 241
45. ახვლედიანი ელენე - 134
46. ახვლედიანი ზურაბ – 34-40, 43, 69, 72, 141, 147, 179-180, 238-239
47. ახვლედიანი თამაზ - 179
48. ახვლედიანი ლევან – 34-37, 39-40, 47, 50-51, 68, 72, 92, 139, 141,

147, 160, 169, 179-180, 238-239, 245
49. ბაბაკიშვილი დავით - 249
50. ბაბანოვი ვალერი - 224
51. ბაბლუანი თემურ - 146
52. ბაგრატიონი ვახუშტი – 7-8, 91, 116, 127, 178
53. ბაიდაური დავით - 227
54. ბალმა ჟაკ – 7
55. ბარლიანი სერგო – 49-51, 53, 55-57, 183, 239-240, 250
56. ბარუშკო მიხეილ - 76
57. ბაუზბეკი ლეოპოლდ - 63
58. ბაუმჰაუერი ფრიდრხ – 11
59. ბაქანიძე დავით - 249
60. ბაქანიძე თამაზ – 49-50, 52-53, 55-56, 58-59, 62, 64-66, 78, 152, 162, 166, 176, 188, 192-193, 195-199, 200, 202, 207, 219, 239-240
61. ბაქრაძე გიორგი - 15, 17, 25, 68, 73-74, 76, 119-122, 144
62. ბაქრაძე ბესიკ – 47, 49, 51, 64-65, 120, 186-188, 193-194, 218, 239, 253
63. ბაქრაძე ნუგზარ – 47, 49, 51, 64-65, 120, 176, 186-188, 194, 218, 239
64. ბაქრაძე ირაკლი – 68, 70, 77, 158, 213
65. ბეზურთანოვი აბზი – 11
66. ბეზურთანოვი იან – 86, 122
67. ბელეცკაია ვერა – 26, 76, 91, 127, 134, 153
68. ბელიაშვილი აკაკი – 3, 68, 72, 74-75, 123-124
69. ბენაშვილი არჩილ – 2, 12-15, 18, 58, 84, 92
70. ბენდუქიძე ნუნუ – 112
71. ბეჟანიშვილი მარიამ – 11-12, 16, 84, 97, 115, 148
72. ბერაძე ომარ – 36-38, 40, 43, 48, 50, 68, 71, 180, 213, 239
73. ბერელაშვილი გაიოზ – 64
74. ბერიშვილი თენგიზ – 47, 49, 51, 62, 64-65, 188, 196, 201, 239
75. ბერიშვილი თორნიკე – 221-222, 228-229
76. ბერიძე ვახტანგ – 133
77. ბერო პატრიკ - 224
78. ბერუაშვილი იასონ – 42, 68, 147, 239
79. ბერულავა ხუტა – 97-98
80. ბერძენიშვილი გიორგი – 42, 48, 57, 68, 70, 76-77, 155, 239
81. ბეტხოლდი – 23
82. ბილიხოძე თამარ - 177
83. ბილხენი სელმა - 153
84. ბოდლერი შარლ – 107
85. ბოროდულინი – 206
86. ბორჩხაძე ნ. - 78
87. ბოჭორიშვილი მ. - 213
88. ბრაილაშვილი ნინო – 134
89. ბულაშვილი ეთერ - 89
90. ბურლაკოვი იური - 44
91. ბურჩაკ-აბრამოვიჩი ნიკოლოზ – 26, 91, 127
92. გაბაშვილი ბესიკ - 156
93. გაბაშვილი ვალერიან – 7
94. გაბელაშვილი ვალერი – 42, 49, 62, 141, 147, 239, 250
95. გაბისიანი შაქრო – 51, 53, 55-57, 239-240
96. გაბლიანი გივი - 144
97. გაბლიანი ეგნატე – 24
98. გაბლიანი ილია – 33-38, 40, 42-46, 50, 126, 144, 160, 180, 193, 202-

203, 209-211, 218, 238-239, 249, 257
99. გავაშელი ალიოშა – 53, 57, 239
100. გაზდელიანი ალიოშა - 158
101. გალუსტოვი ივანე – 25, 138, 179
102. გამილაღდიშვილი გიორგი - 169
103. გამსახურდია კონსტანტინე – 156
104. გამყრელიძე პეტრე – 178
105. გარსევანიშვილი მიხეილ – 15, 73
106. გაფრინდაშვილი გივი – 130, 142
107. გეგეჭკორი მერაბ – 68, 70
108. გედენიძე დუდე – 51
109. გელდიაშვილი ირაკლი – 58-62, 64-66, 79-80, 146, 171-172, 177, 185, 189, 191, 198, 200, 202, 204, 207, 219-220, 227-229, 240, 250
110. გელოვანი გაბრიელ – 7
111. გეწაძე აკაკი – 128, 130
112. გვალია სანდრო – 4, 22-25, 30, 73, 75-77, 87, 96, 107, 113-115, 120-121, 133, 158, 164, 204, 208
113. გვარლიანი მაქსიმე – 25, 30-35, 37, 40, 68, 70, 72, 125, 179, 208, 210-211, 236, 238, 242
114. გვარლიანი პირიბე – 40, 47, 49, 68-70, 72, 209
115. გვიჭიანი სევერიან - 119
116. გიგანი აფი – 63, 67, 77, 167-168, 192-193, 202, 248
117. გიგაური გივი – 201, 230
118. გიგაშვილი ვაჟა – 49
119. გიგინეიშვილი ვალენტინ - 121
120. გიგინეიშვილი ოთარ – 4-5, 22, 25, 34-35, 37, 38, 42-43, 47-48, 50, 54, 75, 68, 77, 95, 135-138, 147, 156, 179, 246
121. გინცენბერგი ბორის – 123-124
122. გიორგაძე გია – 250
123. გიორგიძე გიტო – 8, 20, 110
124. გიორგობიანი გ. – 122
125. გიპენრეიტერი ევგენი - 71
126. გიუტაშვილი რომან - 2, 49-50, 52, 56, 58-60, 62-67, 176, 193, 195, 197-200, 202, 205, 207, 219, 230, 240, 248, 254
127. გობეჯიშვილი გერმანე - 211
128. გოგებაშვილი იაკობ – 99, 174
129. გოგიაშვილი თამარ - 130
130. გოგოლაური დ. – 51
131. გოზალიშვილი დენიზა – 68, 89, 100, 133, 136, 150, 152-154, 193, 232, 246, 253, 257
132. გოთუა ლევან – 3-4, 25-26, 74, 90-91, 93, 112, 120-121, 126-131, 138, 142, 144, 156, 158-159, 179, 237, 257
133. გოქსაძე მამია – 108
134. გუგავა ბერდია - 157
135. გუგავა გელა – 52, 239
136. გუგავა მამუკა - 157
137. გუგავა მირანგულ - 157
138. გუგავა სოზარ – 34-35, 37, 40, 72, 158, 179, 238-239
139. გუგავა ჯოკია – 34-35, 37, 40, 46-47, 49, 72, 77, 157-158, 165, 179, 204, 238-239
140. გულბანი გრიგოლ – 34, 37, 40, 68, 70, 156-158, 180, 238-239, 257
141. გულედანი ვანო – 250, 257
142. გურამიშვილი დავით – 156, 174
143. გურგენიძე დიმიტრი – 13-15

144. გურგენიძე ოთარ – 46
145. გურჩიანი ლადო – 78-80. 158, 166, 227
146. გუსაკი ნიკოლოზ – 28, 213-214, 216
147. გუსევი ალექსანდრე – 56, 213
148. გუჯაბიძე ბიძინა – 62-63, 67, 190-192, 219, 228-230, 248
149. გუჯეჯიანი არჩილ – 18, 21
150. გუჯეჯიანი ბორის – 123
151. დადეშქელიანი შამილ - 158
152. დავითაშვილი ა. – 28
153. დანგაძე დიმიტრი – 40, 43, 47-51, 53, 55-58, 147, 183, 239-240, 247
154. დარსაველიძე ჯუმბერ - 179
155. დარსაძე კიმი – 47, 249
156. დევაძე ვ. - 75
157. დევიძე გიორგი – 42, 147, 158
158. დევიძე პავლე – 68
159. დეკანოსიძე ოთარ – 33
160. დვალი გიორგი (გია) – 63, 77, 223, 229
161. დვალი პიმენ – 17-18, 20, 249
162. დიდებულიძე ალექსანდრე – 7, 11-15, 68-69, 72, 85-86, 95, 132, 148, 237
163. დისტელი – 22
164. დოლიძე ამირან – 63, 77
165. დონდუა დავით – 102, 130
166. დუხოვსკოი - 87
167. ებრალიძე ნოდარ – 130
168. ეგნატაშვილი გიორგი – 64
169. ევანსი ჩარლზ – 71, 94
170. ელიავა სევა – 68, 70, 186, 217
171. ერისთავი ბაბეტა – 120
172. ერისთავი თამარ – 231, 253
173. ერისთავი მზია – 4, 92, 132, 148-149, 154, 181, 232-233
174. ერიქაშვილი გიორგი – 13-15
175. ერმაკოვი ვ. - 51
176. ეროხინი – 44
177. ერქომაიშვილი ნუგზარ - 183
178. ერქომაიშვილი ომარ – 62, 189, 192-193, 201-202, 219
179. ერცოგი მორის – 94, 165
180. ეფიმოვი - 225
181. ვალერი პოლ – 107
182. ვაშაყმაძე ვანო – 221-222
183. ვაჩიბერიძე გ. - 213
184. ვახტანგ VI – 7, 97, 235
185. ვებერი – 22
186. ვეზდენი ლუკა - 220
187. ვეისი არნოლდ – 11, 13-15
188. ვერლენი – 107
189. ვეფხვაძე ოთარ - 183
190. ვოროჟიშჩევი ვლადიმერ - 50
191. ზაგაშვილი მიხეილ (ტარას) – 11, 14-15, 18
192. ზარგარიანი მიხეილ – 2
193. ზევსი - 5
194. ზუმბაძე გიორგი – 53, 55-56, 62, 64-66, 190, 195-197, 200, 202, 207, 219, 240, 250

195. ზურებიანი გოჯი – 18, 21, 24-26, 28-30, 32-33, 72, 89, 103, 105, 121, 124-125, 208, 210-211, 236, 238, 243
196. ზურებიანი მუსა – 18, 21
197. ზურებიანი პავლე – 18, 21
198. თათარაშვილი ლევან - 257
199. თამლიანი აბრამ - 119
200. თამლიანი აპოლონ - 119
201. თამლიანი გეგი – 119
202. თამლიანი დავით – 119
203. თარხნიშვილი გია - 196
204. თარხნიშვილი დევი – 2, 59-62, 64-66, 192, 199-202, 204, 219-220, 228, 240, 250
205. თევდორაშვილი ვასო – 49, 58, 239
206. თვარაძე სოფო – 67, 177
207. თიკანაძე გურამ – 2, 36-37, 40, 47, 58, 68, 70, 130-131, 134, 140, 157, 161-163, 175, 178, 194, 218, 239, 249
208. თიკანაძე ია – 164
209. თოიძე ირაკლი - 97
210. თორთლაძე გიორგი (გია) – 63, 67, 190-191, 219, 230, 254
211. თოფაძე ანდრია – 11, 13-15
212. თოფურიძე ნუცა - 134
213. თულაშვილი ვალენტინ – 11, 13-15, 92
214. თულაშვილი-ფურცელაძე თამარ – 150
215. თურმანიშვილი იულია – 79-80, 166
216. იაკობაშვილი დავით – 2
217. იაშვილი ალექსანდრე - 68
218. ივანიშვილი ალექსი – 34-35, 37, 42, 48, 54, 68, 72, 76, 92, 137-139, 179, 186, 216, 246
219. ივანოვი იგორ - 205
220. ინანიშვილი რევაზ – 128, 130
221. ინწკირველი ნიკო – 13-15
222. იოსებ მოხევე – 10, 235
223. იოსელიანი დავით - 63
224. იოსელიანი ოტია – 51
225. ისაკოვი - 86
226. კავთიაშვილი გიორგი – 68
227. კაზალიკაშვილი ალექსი – 88-89
228. კაზალიკავილი იაგო - 89
229. კაზალიკაშვილი იაგორ – 4, 9, 11, 15, 18, 20, 22-24, 86-90, 96, 103, 105, 113-114, 117, 119, 121, 123, 143, 154, 235
230. კაზალიკაშვილი მერი – 89
231. კაზალიკაშვილი ნინო - 89
232. კაზალიკაშვილი ოსმან – 144
233. კაზალიკაშვილი სტეფანე - 87
234. კალანდარიშვილი ვასასი – 92, 103, 110
235. კალანდაძე გურამ - 177
236. კალვი სილვიო – 2
237. კამერონი იულია - 143
238. კანკავა ნოდარ – 51, 70, 76, 78, 80
239. კაპანაძე ოთარ – 40, 68, 72, 100, 147, 155, 179, 239
240. კაპანაძე შალვა - 96
241. კახეთელაძე შალვა - 111
242. კახიანი იოსებ – 35, 40, 72, 78, 164-166, 168-169, 179, 204, 209, 214, 216, 238, 240-241, 244

243. კახიანი ჯუმბერ – 43, 46, 48-49, 158, 165, 209, 214, 216, 239
244. კახიძე გურამ – 68, 70
245. კევლიშვილი ირინე – 153
246. კევლიშვილი ქეთევან - 153
247. კეკელიძე კორნელი – 142
248. კერესელიძე - 16
249. კეცხოველი ნიკო - 3, 46, 75, 68, 98-101, 133-134, 143, 156, 177, 212, 237, 257
250. კვაჭაძე ვახტანგ – 42, 68, 77, 92, 147, 155, 239
251. კვეზერელი-კოპაძე ლევან - 111
252. კვირიკაშვილი მიხეილ – 2
253. კვიციანი ა. - 51
254. კვიციანი ალმაცქირ – 51, 105, 165, 210
255. კვიციანი რამინ – 34, 37, 180, 238
256. კიბოლანი იოსებ - 105
257. კიბოლანი მურათბი – 9, 21, 235
258. კილაძე ალექსანდრე – 11-12, 84
259. კიწმარიშვილი ეროსი – 230
260. კობაიძე სანდრო - 63, 221-222
261. კობახიძე დავით – 62, 190, 192, 200, 219, 228, 250
262. კობერიძე მანანა – 130
263. კობიძე გიორგი – 162, 239
264. კოვალკოვი ანდრია – 18, 92
265. კოკინი ჯონ – 22
266. კოკოჩაშვილი მერაბ – 146, 181
267. კოლხიდაშვილი ვახტანგ – 60, 62, 201, 219
268. კორზუნი ირინა - 213
269. კოსმაჩოვი - 188
270. კოჩერგინი ვიქტორ – 13-15
271. კრეპსი ბორის – 33, 36, 38, 46
272. კრეპსი იგორ - 51
273. კუზმინი კირილ – 34, 37, 42-46, 238
274. კუზნეცოვი ალექსანდრე - 207
275. კუკავაძე ვანო – 12, 82, 84, 97, 115
276. კუპრავა ოთარ – 130
277. კუჭავა ზურაბ – 77
278. კუჭუხიძე ნიკოლოზ – 108, 109
279. კუხიანიძე თეიმურაზ - 3, 35-37, 40, 42-46, 68, 70-71, 76, 134, 147, 154, 160, 174, 180-181, 202, 209, 217-218, 238-239, 249
280. ლაისტი არტურ - 97
281. ლაიხსი – 22
282. ლაპკინი ვიქტორ - 192
283. ლაცაბიძე ნუნუ – 78, 166, 177
284. ლებანიძე მურმან – 163
285. ლებედევი ნიკოლოზ – 16, 87
286. ლენინი ვლადიმერ - 99
287. ლეონიძე გიორგი – 156
288. ლეტავეტი ავგუსტ – 42, 56
289. ლიპინსკი ევგენი – 13-15
290. ლი ტი ე - 97
291. ლოგუა გურამ – 249
292. ლომთათიძე გიორგი – 26, 91, 127
293. ლორთქიფანიძე ბეჟან - 92

294. ლორთქიფანიძე ელენე – 11-12, 16, 82, 84, 148
295. ლორთქიფანიძე ზურაბ – 130
296. ლორთქიფანიძე ნიკო – 156
297. ლუკაშვილი ერეკლე – 15, 68, 73, 97, 115
298. ლუკაშვილი ტარიელ – 2, 52-53, 55-56, 58-62, 64-66, 78, 134, 166, 176, 184, 195, 197-200, 202, 204, 207, 239-240
299. მათიაშვილი მიხეილ – 11
300. მათითაიშვილი ვაჟა - 158
301. მაიაკოვსკი ვლადიმერ – 75, 107-108, 257
302. მაისურაძე თემურ – 158, 227
303. მაკაშოვი - 190
304. მალავიჩკო ვიქტორ - 122
305. მამამთავრიშვილი ზაქარია – 11
306. მანაგაძე გიორგი – 42, 58, 239
307. მანაგაძე ოქრო - 68
308. მანაგაძე შოთა – 33
309. მარგიანი შალვა – 48-49, 72, 78, 158, 165-166, 169, 204, 209, 227-228, 239-240
310. მარი ივანე (კაკო) – 4, 25, 29-32, 35, 40, 47, 57, 68, 72-75, 89, 112, 117, 121, 123-126, 143, 210, 236, 238, 243, 253
311. მარტიროსიანი შოთა - 229
312. მარუაშვილი ლევან – 3-4, 8, 20, 23-25, 68, 70, 96, 110-115, 117, 121, 147
313. მარჯანიშვილი კოტე – 103, 235
314. მაქაცარია მზია - 80
315. მაღლაფერიძე ბონდო - 179
316. მაყაშვილი რევაზ - 145
317. მაყაშვილი შალვა – 17-18, 74-75, 113, 119, 121, 134
318. მაჩაბელი თემო - 68
319. მაჭავარიანი ალექსანდრე – 19, 96
320. მაჭავარიანი ნესტორ (კუკა) - 250
321. მაჭარაშვილი გიორგი (ცაცო) – 37-38, 40, 69
322. მახარაძე – 21
323. მახვილაძე გიორგი – 68, 213, 215
324. მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა - 40
325. მედვედევი იაკობ – 15, 73
326. მელაძე გურამ – 181-182
327. მელია გივი – 68, 70, 122, 212
328. მელია თეიმურაზ - 249
329. მემანიშვილი გერმანე – 24, 96, 173-174
330. მენაბდე გიორგი – 38
331. მერკვილაძე გიორგი - 132
332. მერკვილაძე თ. – 36, 38
333. მერკლი – 23
334. მერცბახერი – 11
335. მესნერი რაინჰოლდ – 177
336. მესხიშვილი ლადო – 115
337. მეუფე ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) - 230
338. მეძმარიაშვილი დავით – 159, 190, 250
339. მეძმარიაშვილი ჯუმბერ – 3, 35, 37, 39-46, 57, 68-69, 71-72, 139, 147, 149, 156, 159-160, 169, 174, 179, 182, 202, 209, 217-218, 238-239, 249
340. მიგულინი ანდრეი – 206-207
341. მილშტეინი – 15, 73
342. მინაძე მამია - 109

343. მინდაძე ვ. - 51
344. მირზიაშვილი თენგიზ - 68
345. მირიანაშვილი შოთა – 36-38, 40, 42, 48-51, 53, 55-58, 68-70, 77, 155, 213, 215, 239-240, 247
346. მიქაძე ზაურ - 249
347. მიქაძე მაია - 2
348. მიქელაძე დევი - 12, 14, 18, 82, 84, 92, 99
349. მიქელაძე შოთა – 18, 20-22, 87, 92, 117, 123, 143, 216, 249
350. მიშლიაევი ლევ – 217, 229
351. მოკვერაშვილი ავთანდილ – 63
352. მონტესკიე - 235
353. მუავანაძე ალექსანდრე – 66
354. მროველი ლეონტი - 142
355. მური – 9
356. მუსელიანი ჯუანშერ (ხიტო) – 47, 49, 51
357. მუსხელიშვილი დავით – 130
358. მუშკუდიანი ვ. - 239
359. მუშკუდიანი ზაქრო – 49-50, 52, 158
360. მუშკუდიანი ნ. – 213, 215
361. მუშკუდიანი ნესტორ - 96
362. მუხაძე გრიგოლ - 112
363. მუხინი ნიკოლოზ – 26-29, 92, 125, 249
364. მჭედლიშვილი ვასილ – 11
365. ნადიბაიძე ვარდიკო - 190
366. ნადირაშვილი ნოდარ – 40, 42, 48, 58, 69, 239
367. ნათაძე რევაზ – 92, 145, 257
368. ნაიდენი გიორგი - 250
369. ნაკანი ზურაბ – 210
370. ნაკანი სილვესტრ – 210
371. ნაკანი ქემეთ – 210
372. ნაკანი ქრისტინე - 96
373. ნანიტაშვილი პეტრე - 108
374. ნანუმოვი სერგო – 51, 188
375. ნარიმანიშვილი ლუიზა – 153, 177, 185
376. ნასონოვა ვალენტინა – 26, 76, 91, 127
377. ნემსიწვერიძე ალექსანდრე – 4, 26, 34, 37, 91-92, 122, 127, 130, 142-143, 176, 180, 238
378. ნემსიწვერიძე მერაბ – 63, 67
379. ნემსიწვერიძე ნაზიმ – 51
380. ნიგურიანი გიო – 23-24, 26, 87, 89, 96, 105, 114, 121, 233
381. ნიგურიანი ნუგზარ – 52-53, 158, 239
382. ნიგურიანი პავუჩი - 208
383. ნიკოლაიშვილი ასმათ – 11-12, 16, 20, 47, 68, 82, 84, 117, 123, 143, 148, 150
384. ნიკოლაიშვილი გურამ – 68, 70
385. ნიკოლაიშვილი დარეჯან – 92, 110
386. ნიკოლაძე გიორგი – 2-5, 7, 11-17, 19-20, 37, 58, 69, 81-87, 99-100, 106, 111, 132, 148, 208, 234, 236-237, 253
387. ნიკოლაძე თამარ – 64
388. ნიკოლაძე ნიკო - 82
389. ნინოშვილი ეგნატე - 103
390. ნიუარაძე ანზორ – 47
391. ნიუარაძე ივდითი – 163
392. ნოზაძე ლიკა – 67, 177

393. ნონეშვილი იოსებ - 149
394. ნორგეი თენსინგ – 47, 148, 153, 162, 169
395. ობოლაშვილი ჯონი - 249
396. ობოლაძე დიმიტრი – 35, 37-38, 40, 42, 68, 76-77, 133, 147-148, 158, 179, 188, 238-239, 245, 257
397. ობოლაძე მაყვალა - 148
398. ობოლაძე ნადია - 148
399. ობოლაძე უშანგი - 148
400. ოთარაშვილი გელა – 63, 67, 77, 167-168, 191-192, 223, 229-230
401. ონიანი ვახტანგ - 168
402. ონიანი ქელეშბი – 4, 26-29, 76, 92, 125, 249
403. ონიშჩენკო ვიაჩესლავ – 165-166
404. ორბელიანი სულხან-საბა - 103, 174, 235
405. ორლოვსკი სვეტ – 206
406. ოტიაშვილი ბიჭიკო - 249
407. პაიჭაძე ფაცია - 133
408. პაკარი მიშელ - 7
409. პაკენდორფი კურტ - 11
410. პაპინაშვილი კონსტანტინე – 13-15
411. პატარიძე მიქელ – 2-4, 13, 23, 58, 68, 73-75, 96, 106-108, 110, 257
412. პეტრიაშვილი თეიმურაზ - 232
413. პოლევოი იგორ – 169, 205, 240
414. პოღოსოვი არტურ - 130
415. პრეობრაჟენსკაია მარია – 11, 13, 87
416. პრომეთე – 5, 235
417. პუშკინი - 75
418. პფანი – 22
419. ჟუჟი ჟან – 52
420. ჟღენტი გიორგი – 250
421. რაიზერი ევგენი – 26, 125
422. რაიხერტი – 22
423. რასაპოვი - 42
424. რატიანი დევეთ – 33
425. რატიანი ვალერი – 52, 158, 239
426. რატიანი მარლენ – 49
427. რაქვიაშვილი დავით – 190, 221-223
428. რეხლი – 23
429. რიბინსკი ვიქტორ – 192, 250
430. რიკმერსი ვილი – 21, 22
431. როლანი - 107
432. რონსარი - 107
433. როსტომაშვილი გიორგი (ფასო) – 51, 213, 215
434. რუდაქი – 36
435. რუსთაველი – 98, 103, 146, 156, 174
436. რუსო ჟან ჟაკ – 235
437. რჩეულიშვილი გურამ – 134, 181, 235
438. საბანიძე ვახტანგ – 79, 158
439. საკანდელიძე რ. - 213
440. სანადირაძე ალეკო - 130
441. სანებლიძე მელენტი – 25, 121, 148
442. სარქისოვი ლევ – 63, 67, 188, 220-222, 229, 248
443. საყვარელიძე დავით – 129

444. საჯაია გია – 76, 172-173, 196, 201, 205-206
445. სელა ვიტორიო – 11
446. სემიონოვი – 184
447. სვანიძე ვახტანგ – 77, 230
448. სიბაშვილი გივი – 68, 70
449. სიკინჭალაშვილი – მამა ტარიელი – 220
450. სიმონოვიჩი სპირიდონ – 15, 73-74
451. სირბილაძე შალვა – 179
452. სიხარულიძე გიორგი - 209
453. სოსიური ბენედიქტ – 7
454. სტარჩიკი გრიგოლ – 62, 188, 219-220
455. სტატკოვსკი ბორის – 15, 73
456. სტრავინსკაია სონია - 84
457. სტუდენინი - 230
458. სულაქველიძე გიორგი – 25, 213, 216
459. სულხანიშვილი დავით - 68
460. სუმბაძე ლონგინოზ – 138
461. სუსი უნ პინ – 209
462. სუჯაშვილი ლევან – 4, 25, 68, 70, 128, 130
463. ტაბეშაძე ვანო – 109
464. ტაბიძე გალაკტიონ – 156
465. ტაბიძე ტიციან – 156
466. ტამი იგორ - 93
467. ტარასოვი ტ. – 10
468. ტატიშვილი თორნიკე – 68, 149, 156, 159, 257
469. ტენიშევი შამილ – 169, 240
470. ტიხონოვი ნიკოლოზ - 93
471. ტუკერი – 9
472. ტუშური გია – 62, 190, 192, 200, 219, 228, 250
473. ტყავაძე მარო -11-12, 16, 47, 68, 70, 97, 100, 115, 148, 150
474. უგულავა ირაკლი - 67
475. უთმელიძე მარინე – 4, 68, 100, 133-134, 139-140, 148-151, 153-154, 156, 159, 177, 181, 232, 257
476. ულმერი – 11
477. უორდროპი მარჯორი - 97
478. უორდროპი ოლივერ - 9
479. ფალიანი დავით – 33
480. ფალიაშვილი ეთერ – 153
481. ფანჯიკიძე გურამ – 158
482. ფირცხალავა ვახტანგ - 250
483. ფიფია ანდრო – 68, 70
484. ფიფია პავლე (ბახვა) – 9
485. ფოფხაძე ვალიკო – 68, 78, 162
486. ფრანკო ჟან - 177
487. ფრეშფილდი დუგლას – 9, 13
488. ფუკურო - 48
489. ფურცელაძე დავით – 4-5, 25, 68, 72, 74, 95, 111, 121-124, 237
490. ფურცელაძე ჯანსუღ – 75, 121
491. ფშაველა ვაჟა – 41, 46, 50, 100
492. ფხალაძე ლადო - 84
493. ქადეიშვილი ნიკოლოზ – 68, 78
494. ქავთარაძე ანატოლი – 68, 72, 92, 145

495. ქავთარაძე გიორგი (ტოპოგრაფი) – 13-15, 20-21
496. ქავთარაძე გიორგი (მწერალი) – 130
497. ქავთარია კოსტა – 47, 49
498. ქართველიშვილი გივი – 1, 6, 47, 49-51, 53, 55-60, 62-66, 77, 155, 171, 173, 176, 178, 184-185, 188, 193-195, 197-200, 202, 204-205, 207, 217-218, 227, 230, 253-254
499. ქარჩავა მოსე - 130
500. ქაშაკაშვილი ბენო – 2, 63-64, 67, 77, 167-168, 189, 191-193, 203, 223, 229-230, 253
501. ქაშაკაშვილი გურამ – 63, 84
502. ქელეხსაშვილი ჯემალ – 56, 59-62, 64-65, 197, 199-201, 204, 219, 240
503. ქიაჩელი ლეო - 156
504. ქირიკაშვილი ვახტანგ – 25, 143, 144-146
505. ქირიკაშვილი ვახტანგ (უმცროსი) - 146
506. ქირიკაშვილი თემური – 146
507. ქირიკაშვილი იზოლდა - 146
508. ქირიკაშვილი ლალი - 146
509. ქირიკაშვილი ლევან - 146
510. ქირიკაშვილი ლილი - 146
511. ქირიკაშვილი მარიამ - 146
512. ქირიკაშვილი ნიკო – 88, 105, 117, 121, 123, 143-145
513. ქირიკაშვილი შალვა – 146
514. ქიტუაშვილი თამარ - 79
515. ქიქოძე ზაალ – 62, 196, 201, 233, 250, 257
516. ქოქოშვილი შოთა - 80
517. ქურასბედიანი ვალიკო – 190, 193
518. ქურასბედიანი ვლადიმერ – 158, 229
519. ქურდიანი ანზორ - 214
520. ქურდიანი ემელიან – 130
521. ქურდიანი მაინე - 174
522. ქურდიანი მაკრინე – 4, 23-24, 26-29, 96, 161, 173-175, 178, 219
523. ღამბაშიძე ჟორჟეტა - 82
524. ღლონტი ლევან – 49, 58, 213, 239
525. ღუდუშაური არჩილ – 4, 125, 144, 257
526. ყავლაშვილი ილია - 40
527. ყაზბეგი ალექსანდრე – 16
528. ყალაბეგიშვილი გივი – 42, 47, 49, 51, 128, 130, 139
529. ყანდარელი დიმიტრი – 92, 145
530. ყვავილაშვილი ვანო – 48, 257
531. ყიფიანი გია - 68
532. ყიფიანი ედიშერ – 93, 128, 130
533. ყურაშვილი ვალიკო – 18, 21
534. შადური გრიგილ – 25
535. შამანაძე ნოდარ – 130
536. შარაშენიძე თამაზ – 59-65, 67, 196, 199-202, 204, 219, 240, 248
537. შარაშენიძე დიმიტრი – 47, 49, 51, 53, 55-56, 59-60, 62, 64-66, 77, 155, 188, 193-195, 197, 199-200, 202, 205-207, 218-219, 239-240
538. შარაშიძე დავით – 87, 113
539. შენგელაია ნიკოლოზ – 16
540. შენგელია განა – 153
541. შენგელია მიხეილ – 68, 70
542. შენგელია რამაზ – 201, 204, 206
543. შერაზადიშვილი ზაქარია – 130
544. შერპა ბაბუ – 224

545. შინდიაკინი ალექსი - 206
546. შიპილოვი – 43
547. შონია ილია - 122
548. შულცე ადოლფ – 11, 22-23
549. შუსტერი - 22
550. შხვაცაბაია სიმონ – 26, 91, 127
551. ჩანტლაძე დავით – 63, 77, 190-192, 223, 227
552. ჩანტლაძე რეზო – 201, 227
553. ჩართოლანი ბორის - 210
554. ჩართოლანი ვალადი – 33, 208, 210
555. ჩართოლანი ზაურ - 77
556. ჩართოლანი ლაერტ – 47, 49, 209
557. ჩართოლანი სილო – 210
558. ჩართოლანი ფრიდონ - 249
559. ჩართოლანი შოთა – 7, 33, 47, 49, 68-70, 208, 257
560. ჩართოლანი ჭიჭიკო – 25, 30, 32-38, 40, 68, 70, 121, 125-126, 180, 208-211, 236, 238-239, 243
561. ჩარკვიანი ჯანსუღ – 128, 130
562. ჩარქსელიანი ზაურ – 47, 249
563. ჩაჩანიძე მიხეილ – 250
564. ჩახრუხაძე - 174
565. ჩეგიანი გოჯი – 103
566. ჩიტაია გიორგი – 133, 138
567. ჩიქოვანი გიგლა – 109-110
568. ჩიქოვანი სიმონ – 156
569. ჩიჩუა გოგი – 71
570. ჩიხლაძე საშა - 96
571. ჩოფიკაშვილი შალვა – 117, 123, 143
572. ჩოხელი გოდერძი - 146
573. ჩუმიხინი ალექსანდრე - 11
574. ჩხეიძე ლიდა – 11-12, 16, 84, 148
575. ჩხენკელი ვადიმ – 144
576. ცაიშვილი სარგის – 68, 70, 72, 75, 130, 149, 156, 159, 257
577. ცაგარეიშვილი პალიკო - 77
578. ცერცვაძე თენგიზ – 72, 158, 227
579. ცერცვაძე ნოდარ - 211
580. ცინცაძე ავთანდილ – 67, 203
581. ცინცაძე ვახტანგ – 127
582. ცირეკიძე მალხაზ – 221-223
583. ცისკარიშვილი პეტრე – 112
584. ციხისელი მამუკა – 67, 141
585. ცნობილაძე ნატო – 68, 150, 153
586. ცომაია დემურ – 47, 51
587. ცხაკაია სერგი – 13-15
588. ძიძიგური ავთანდილ – 26, 40, 42, 58, 68, 139, 147, 239
589. ძიძიშვილი ქუჯი - 68
590. წერედიანი გივი – 47-49, 52, 62, 165, 209, 219-220, 239
591. წერეთელი დავით – 3-4, 24-25, 68, 70, 72, 74, 87, 89, 112, 116-118, 121, 123-124, 133, 143
592. წიკლაური გახა - 9, 11, 18, 86, 235
593. წიკლაური თამაზ - 257
594. წიკლაური ივანე – 68, 162

595. წიკლაური ილარიონ – 18
596. წოწორია გურამ - 249
597. ჭავჭავაძე ილია – 7, 93, 100, 129, 145, 174, 235
598. ჭავჭანიძე დიმიტრი - 249
599. ჭეიშვილი ვ. – 22
600. ჭელიძე გია - 219
601. ჭიჭინაძე მურად – 51, 53, 55-56, 58-62, 64-66, 80, 141, 195, 198, 201, 204, 207, 219, 228, 240-241, 250
602. ჭიჭინაძე უშანგი – 38, 72
603. ჭკადუა ეკა - 80
604. ჭკადუა ზინა – 79-80
605. ხაბაზი მერაბ – 67, 250, 257
606. ხაბეიშვილი სოლიკო – 40, 48, 50, 69, 77, 139, 155, 158, 169-170, 209, 218, 257
607. ხაბულიანი იაკობ - 158
608. ხაზარაძე ოთარ – 35-38, 40, 42-43, 48, 50-51, 53, 56-58, 68-69, 77, 155, 180, 213, 238-239
609. ხაზარაძე რეზო – 35-37, 40, 43, 48, 50, 77, 147, 155, 178, 180, 238
610. ხაიკაშვილი ვასო – 18, 249
611. ხანთაძე ჯუმბერ – 234
612. ხარატიშვილი გიორგი - 68
613. ხარაშვილი დავით - 249
614. ხარაძე ანა – 17, 74, 121, 123-124
615. ხაშიროვი ყილარ - 213
616. ხახლიშვილი იაგორ - 16
617. ხეთაგური ანდრო – 28, 117, 123, 143
618. ხერგიანი აკაკი – 79, 158, 245
619. ხერგიანი ბესარიონ – 25, 32, 34, 121, 165, 208, 210, 238
620. ხერგიანი ბექნუ – 4, 24-25, 28-30, 32, 35-38, 40, 121, 125-126, 139, 163, 180, 208-211, 213, 236-239, 244
621. ხერგიანი გაბრიელ – 4, 25, 29, 121, 200, 210, 237, 253
622. ხერგიანი ელენე - 96
623. ხერგიანი თინა – 78, 166
624. ხერგიანი იდრის – 63, 77
625. ხერგიანი კეპლერ - 210
626. ხერგიანი მიხეილ – 35, 40, 42-51, 57, 72, 78-80, 115, 164-169, 171, 173, 176, 179, 182, 184, 188, 193, 202, 204, 207-209, 216, 228, 233, 237-241, 244, 248-249
627. ხერგიანი მიხეილ (უმცროსი) – 42-45, 47, 49, 141, 165, 169, 229, 239-240, 257
628. ხერგიანი ჯუნის - 208
629. ხეცურიანი გურამ – 130
630. ხინჩაგაშვილი გ. - 75
631. ხოხლოვი რემ – 205-206
632. ხუციშვილი ვ. – 28, 122
633. ხუციშვილი ნ. - 78
634. ხუციშვილი ლალა – 9
635. ხუჭუა შალვა – 13-15
636. ჯაგინოვი ნიკოლოზ – 120
637. ჯავახია კოკა – 62, 201, 219-220
638. ჯავახიშვილი ალექსანდრე – 75, 98, 116
639. ჯავახიშვილი ივანე – 18, 98-99, 142
640. ჯავრიშვილი დავით - 64
641. ჯავრიშვილი ვასილ - 141

642. ჯავრიშვილი კოტე – 15, 25, 48, 73, 101, 105, 121, 130, 138-141, 148, 151, 179
643. ჯანგულაშვილი თეიმურაზ – 130
644. ჯანელიძე თამაზ - 178
645. ჯაფარიძე ალექსანდრა – 2, 4, 6, 8, 11, 13-17, 20, 23-26, 29-30, 68, 71, 76, 86, 87, 90-97, 100, 103, 110-111, 114-115, 121, 123-130, 133, 138-139, 143-144, 147, 149-154, 163, 166, 174-175, 177, 179, 181-182, 204, 208, 210-212, 216, 231-232, 237, 242, 246, 257
646. ჯაფარიძე ალიოშა – 2, 4, 6, 20-30, 37, 41, 53, 57-58, 64, 68-70, 72 75, 87-88, 90-92, 96, 99-105, 107, 112, 114-117, 121-125, 127-128, 130, 132-133, 135, 137-141, 143-144, 148, 151-154, 175, 179, 194, 208, 210-211, 216, 232, 237, 241, 249, 253, 257
647. ჯაფარიძე არონ - 208
648. ჯაფარიძე გიორგი – 26, 42, 77, 91, 127, 147, 151-152, 158, 176, 239
649. ჯაფარიძე ვანო - 90
650. ჯაფარიძე ივანე – 1-4, 193
651. ჯაფარიძე ლევან – 186-187, 194, 216
652. ჯაფარიძე ნინო - 96
653. ჯაფარიძე ნოე – 68, 70, 92-93, 100
654. ჯაფარიძე რეჯებ - 33
655. ჯაფარიძე სიმონ – 3-4, 14-21, 82-83, 87, 90, 92, 99, 102-103, 111, 145, 151, 210-211, 216, 232, 237, 249
656. ჯაფარიძე სოფიო - 2
657. ჯაფარიძე ტელემაკ – 18, 21, 26
658. ჯაფარიძე ჯ. – 213
659. ჯინჭარაძე მიხეილ – 11
660. ჯინჭველაშვილი ლომიკო - 250
661. ჯიშკარიანი ჯუმბერ - 147
662. ჯობაძე ვახტანგ - 135
663. ჯობაძე ნოდარ – 130
664. ჯოხაძე ფრიდონ – 229
665. ჰანტი ჯონ – 164, 168
666. ჰელბლინგი – 22
667. ჰერედია ხოსე მარია დე – 107
668. ჰიუგო ვიქტორ – 107
669. ჰუპერტი ჰუგო – 97

სარჩევი

რედაქტორისაგან ---------- 3

შესავალი ---------- 5

ქართველ მთამსვლელთა გზა მყინვარწვერიდან ევერესტამდე ---------- 12

საქართველოს ალპური კლუბი, მეკლდეურობა, ბანაკები ---------- 68

გაცოცხლებული სახეები ---------- 81

მოგონება-თავგადასავლები ---------- 177

ჩვენც თქვენთან ვართ ---------- 232

ჩემპიონატებში ქართველ მთამსვლელთა გამარჯვებები 1950-1983 **წ.წ.** ---------- 239

სპორტის დამსახურებული ოსტატები, სსრკ დამსახურებული მწვრთნელები, საკავშირო კატეგორიის მსაჯები, საერთაშორისო კლასის ოსტატები, "თოვლის ჯიქები", ---------- 242

ვინც მთაში დარჩა ---------- 249

მათ ღვაწლი არასოდეს დაიკარგება ---------- 251

ბოლოთქმა ---------- 253

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 256

სარჩევი ----------256



ივანე ჯაფარიძე

დაიბადა 1944 წლის 22 თებერვალს ქ. ჭიათურაში. 1962 წ. დაამთავრა თბილისის 24-ე საშ. სკოლა, 1967 წ. თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. 1966 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ექსპედიციების ხელმძღვანელად. 30–ზე მეტი მეცნიერული შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. არაერთი წიგნის რედაქტორი, რეცენზენტი, თანაავტორი.

1966 წლიდან ნაყოფიერად მოღვაწეობს ჟურნალისტიკაში. იკვლევს ქართული სპორტის, კერძოდ, ალპინიზმის ისტორიის საკითხებს. მის სტატიებს, წერილებსა და ნარკვევებს შეხვდებით სპორტსმენებზე გამოცემულ წიგნებში, ალბომებში, ენციკლოპედიებსა და სპორტულ ცნობარებში. მისი ინიციატივით, ჭიათურის რაიონის სოფ. ხრეითში, მამაპაპეულ სახლში გაიხსნა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი. 2005 წ. იყო ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი. არის საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდიუმის წევრი და პრეს-სპიკერი, არასამთავრობო ორგანიზაცია "მთის მოყვარულთა კავშირის", საქართველოს გეოლოგიური და გეოგრაფიული საზოგადოებების წევრი.

მრავალმხრივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, მისი სახელი შეტანილია ქართველ მოგზაურთა, გეოგრაფთა და ბუნების მკვლევართა შესახებ 2003 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში.

ამჟამად საქართველოს რადიოს პროგრამა "პიკის საათში" გადაცემების "საქართველოს სოფლებისა" და "ძველი ქალაქები და ციხესიმაგრეების" ავტორი და წამყვანია.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.